mastsavlebeli.ge

მასწავლებლის წიგნი

13

სხვა გაკვეთილების ცხრილი

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

მასწავლებლის წიგნი

სხვა გაკვეთილების ცხრილი

მაია მენაბდე

ანა ღვინიანიძე

თამთა დოლიძე

ნინო ლომიძე

ინა იმედაშვილი

ნინო ჭიაბრიშვილი

თემურ სუყაშვილი

შორენა ტყეშელაშვილი

გიორგი ჭანტურია

ინა არჩუაშვილი

ნათია ნაცვლიშვილი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2020

წიგნის სათაური შემთხვევითი არ გახლავთ... ნაფიქრია... მკითხველის დაბნევა არ გვიცდია. ეს ჩვეულებრივი გაკვეთილების ცხრილია – ტრადიციული საგაკვეთილო ჩამონათვალით. უბრალოდ, ამ ჩამონათვალში არსად წერია კონკრეტული საგნების დასახელება. აქ, სინამდვილეში, ყველა დისციპლინაა, რომელსაც სკოლაში ვასწავლით, თითოეული მათგანისთვის აუცილებელი შინაარსით. თუ თქვენ ქიმიის, ფიზიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, ხატვის, მუსიკის თუ რომელიმე სხვა საგნის მასწავლებელი ხართ, ეს წიგნი თქვენთვისაა. აქ აუცილებლად იპოვით თქვენთვის მნიშვნელოვან წერილებს. როგორც შეგპირდით, ყველა საგანს თან ახლავს თვითშეფასების, წიგნიერების, მედიაწიგნიერების, ტოლერანტობის, ძალადობის გადალახვის, მშობლებისა და შვილების და ჩვენი მასწავლებლების პასუხისმგებლობიდან თავისუფლებამდე და პირიქით გასავლელი გზისთვის საჭირო მინიშნებები. ეს წიგნი ნდობაზეა. სხვაგვარად არაფერი ისწავლება.

რედაქტორები:

ნატო ინგოროყვა

მანანა ბოჭორიშვილი

სტილის რედაქტორი:

ნანა მაჭავარიანი

დიზაინერი:

ბესიკ დანელია

© 2020, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მაია მენაბდე

1 პასუხისმგებლობიდან თავისუფლებამდე – სწავლა-სწავლების მთავარი პრინციპი 7

2 ვასწავლოთ თვითშეფასება 12

3 ამბების ხიბლი 20

4 წითელი ეპოქის ამბები ბავშვებისთვის 23

5 უსიყვარულო ქვეყნის შვილები 27

6 უცვეთელობის პარადოქსი 31

7 დახურული სივრცის მაგია 36

პასუხისმგებლობიდან თავისუფლებამდე – სწავლა-სწავლების მთავარი პრინციპი

ერთგვარი მარადიული „მისტერიაა“ ჩემთვის ანდერსენის შექმნილი მართლა გენიალური მხატვრული ხატი: როგორ მედიდურად თავაწეული დადის ქალაქის ქუჩებში დედიშობილა მეფე, გარშემო ყველა მას შესცქერის, ისტერიულად უკრავენ ტაშს და ისმის შეძახილები: რა ლამაზია! რა მშვენიერია! მაგრამ ხალხის სახეები შეუსაბამოა ამ რეპლიკებთან – ისინი გაოცებასა და დაბნეულობას უფრო გამოხატავენ, ვიდრე აღფრთოვანებას. ეს სულელად წარმოჩენის შიშით რეალობასა და საკუთარ შეხედულებებზე უარისმთქმელი ადამიანების ისტერიაა. მათი „მხსნელი“ აღმოჩნდება პატარა ბიჭი, რომელიც ბუნებრივი გულწრფელობით ამბობს მარტივ ფრაზას: მეფე ხომ შიშველია?! აქ მთავრდება ზღაპარი, რომლითაც ანდერსენი გვეუბნება, რომ სიმართლე ყოველთვის მარტივი და ადვილად შესამჩნევია, მაგრამ უფროსებს ჩვენი მანკიერებანი გვაკარგვინებს მისი დანახვის უნარს. შეპყრობილები ვხდებით. ბავშვი კი თავისუფალია „უფროსული“ კლიშეებისგან და თავისუფალი ადამიანი ხომ სიმართლეს ადვილად ამჩნევს.

სწორედ ამ ფსიქოლოგიურ ფაქტორზე წერს ვაჟა-ფშაველა თავის წერილში „რას ჰქვიან თავისუფლება“:

„ადამიანი თავისუფალი იბადება. უცქირეთ ბავშვს, როგორ თავისუფლად მოქმედობს, როცა შეიძლებს მოძრაობას, ეპოტინება ყველაფერს, რასაც თვალი და ყური მიუწვდება; იქნევს ხელებს და ფეხებს, როცა აკვანში აწვენს დედა და ხელებზე არტახებს უჭირებს. მხოლოდ დიდების მოსაზრება, დაშლა, დაშინება ჰკვეცავს ფრთებს ბავშვის თავისუფალ მოქმედებას, რომელიც უსამზღვრო თავისუფლებისაკენ მიისწრაფის...

გაიზრდება, მოვა გონებაზე და მაშინ ხომ შინაურ უფროსებთან ერთად უჩნდება გარეთ სხვა უფროსი – საზოგადოება აუარებელი ზნე-ჩვეულებით, აზრებით, წესებით, რომელთა შორის მრავალი უვარგისი და პირდაპირ დამღუპველია ადამიანისა, შემბოჭველი იმის თავისუფლებისა, საღის მსჯელობისა. მშობლები, საზოგადოება და უხეირო სკოლები აჩვევენ ყრმას ისეთს აზ-

როვნებას, რაც უხშავს მას გონებას, უნერგავს ცხოვრებისათვის მავნე აზრებს, აჩვევს გონებას მორჩილებას, მოთმენას, უკლავს სიყვარულს თავისუფლებისადმი. ასე: ადამიანი მოსისხლე მტერი ხდება ბუნებისა; იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს და განავითაროს ეს ძვირფასი განძი – თავისუფალი გრძნობა, მისცეს მას გონივრული მიმართულება, ცდილობს დაახშოს, მოსპოს იგი, სრულიად ამოაგდოს ძირიან-ფოჩვიანად ადამიანის გულიდან“.

მგონი, ეს მცირე ლიტერატურული ექსკურსიც საკმარისია იმის დასანახავად, რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნების სწორად ჩამოყალიბებისთვის თავისუფლების მაღალი ხარისხი ბავშვობიდანვე.

რაც მასწავლებელი ვარ, სულ ვფიქრობდი, რომ თავისუფლება უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სწავლა-სწავლების დროს, მაგრამ ყოველთვის, როცა თავისუფლებას ვაძლევდი ბავშვებს, ძალიან მალე ვხვდებოდი, რომ მათ ურთიერთობაში ბალანსის დაჭერა უჭირდათ და მოვალეობებიც ავიწყდებოდათ. ამიტომაც ყოველთვის „მოზომილ თავისუფლებას“ ვირჩევდი ხოლმე.

როცა ერთ მშვენიერ დღეს ესტონეთში აღმოვჩნდი პროფესიული ვიზიტით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ზოგადად ევროპული განათლების განმსაზღვრელია, არის მოსწავლეთა თავისუფლების უმაღლესი ხარისხი. ამაში იგულისხმება როგორც ყოფითი, ისე მენტალური თავისუფლება.

თავიდან სკოლების ინფრასტრუქტურებისა და კეთილმოწყობის შემხედვარეს, საშინლად შემეცოდნენ ჩვენი ბავშვები.

მაგრამ მალევე გახდა ჩემთვის ნათელი, რომ არავითარი ინფრასტრუქტურა, არავითარი უფასო სადილები, დიდი ეზოები და მოედნები ისე მიმზიდველს არ ხდის სკოლას ბავშვებისთვის, როგორც იმის აღქმა, რომ ისინი აქ შემბოჭველ, დამთრგუნავ, სხვისი კანონებით მართულ სივრცეში კი არ არიან, არამედ მათთვის და მათ მიერვე დიდი სიყვარულითა და რუდუნებით შექმნილ თავისუფალ, სასურველ გარემოში. ის ინფრასტრუქტურაც ამ განცდის გამყარებას ემსახურება.

ყოფითი თავისუფლების მაგალითებიდან: სკოლის შენობის თითქმის ნახევარი ეთმობა თავისუფალ, მოსასვენებელ სივრცეებს, რომლებიც განკუთვნილია მოსწავლეებისთვის. იქნება ეს მუსიკალური ინსტრუმენტების კუთხე, წიგნების, კომპიუტერების, უბრალოდ რბილი სავარძლებით მოწყობილი თუ სასადილო სივრცეები, რომელთაც ერთმანეთისგან სქელი კედლები კი არა, სიმბოლური, პირობითი ბარიერები მიჯნავთ(სკოლის ადმინისტრაცია მაქსი-

მალურად ცდილობს, ბავშვებისთვის სკოლა იყოს არა მხოლოდ განათლების მიღების, არამედ დასვენების, თავისუფალი დროის შინაარსიანად და სასიამოვნოდ გატარების ადგილი. ზოგჯერ მთელი დღე სკოლაში რჩებიანო).

მენტალური თავისუფლების მაგალითები:

- დავიწყოთ ელემენტარულით, მაგრამ, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანით: გიმნაზიაში, სადაც მხოლოდ უფროსკლასელები არიან, ზარი არ ირეკება: ისინი საკმაოდ დიდები არიან იმისთვის, რომ დროითა და თავიანთი სურვილით იხელმძღვანელონ და არა კონკრეტული მაუწყებელი ნიშნით.
- მოსწავლეები თავად ირჩევენ სასწავლი საგნების უმეტესობას, რადგან ყველა მეათეკლასელმა იცის, სავარაუდოდ, რომელ პროფესიას აირჩევს, რომელი საგნებია მისთვის საჭირო.
- ხელოვნება ყველაზე დიდი დოზით გულისხმობს თავისუფლებას, დაწყებითი კლასებიდანვე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფერწერის, დრამის, ცეკვის, ხელსაქმის გაკვეთილებს/წრეებს, რომელთა არჩევანი დიდია.
- ზეიმები ეწყობა ბავშვებისთვის ფერად, მყუდრო და უცხო თვალს მორიდებულ სივრცეში და არა მშობლებისა და სხვა მასწავლებლებისთვის თავის მოსაწონებლად...

აი, ასეთი თავისუფლება მომინდა ჩვენი მოსწავლეებისთვის. მაგრამ ამ თავისუფლებისთვის(ისევე, როგორც ნებისმიერისთვის) უმნიშვნელოვანესია მზაობა, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას ეფუძნება. გზა ჭეშმარიტ თავისუფლებამდე აუცილებლად პასუხისმგებლობაზე გადის – მივხვდი, აი, ამის გააზრება აკლიათ და ეს უნდა გაითავისონ ჩვენმა ბავშვებმა. ახლა პასუხისმგებლობის მაგალითებიდან:

- დაწყებითი კლასებიდანვე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვებში თვითშეფასების უნარის განვითარებას. თვითშეფასება, ერთგვარი კითხვარებისა და საგანგებო ფორმების დახმარებით, წელიწადში ორჯერ პირველი კლასიდანვე სავალდებულოა. მიზანი: თვითკრიტიკულმა ადამიანმა აუცილებლად იცის პასუხისმგებლობის ფასი.
- დაწყებით სკოლაში ფეხშიშველა, მოტანტალე ბავშვების დანახვაზე თვალები შუბლზე აგვივიდა. გაოცებაზე ასე გვიპასუხეს: ბავშვები თავად ზრუნავენ დღის განმავლობაში საკლასო ოთახების, დერეფნების, ტუალეტების სისუფთავეზე და იციან, რომ ყველაფერი სუფთაა...

- მაღალ კლასებში ხელსაქმისა და კულინარიის გაკვეთილებზე რასაც ქმნიან ბავშვები, იმის რეალიზებაზეც თავადვე ზრუნავენ. მაგალითად, სკოლაში იდგა ძალიან კომპაქტური, საინტერესო სავაჭრო დახლი, რომელიც რამდენიმე წლის წინ მოსწავლეებმა თავად დაამზადეს და ახლა სხვა თაობის ბავშვები იყენებდნენ...

ყველგან იგრძნობოდა, რომ ეს ყველაფერი მათთვის უკვე ყოველდღიური კულტურის ნაწილი იყო და არა თავსმოხვეული დროებითი მოვალეობები.

მერე ის იყო, ჩამოვედი და ვუყვებოდი ბავშვებს იქ ნანახ საოცრებებზე, თვითონაც მოიხიბლნენ, მოუნდათ, მაგრამ კარგად ვიცი, კიდევ დიდი და ძალისხმევით სავსე გზა უნდა გაიარონ, რომ პასუხისმგებლიან და თავისუფალ საზოგადოებად ჩამოყალიბდნენ.

ისინი ჯერ ვერ ამჩნევენ, რომ ჩვენი საზოგადოების ძალიან დიდი ნაკლი თავისუფლებაში საკუთარი პასუხისმგებლობის ვერგაცნობიერება და სხვისი თავისუფლების ვერდანახვაა.

ნელ-ნელა უნდა ვასწავლო, რომ ნამდვილ საზოგადოებას საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადამბრალებელი, ახალგაზრდების დამაბრმავებელი, სხვისი შემბოჭველ-გამმათრახებელი, სოციალური ჩირგვებიდან მლანძღველ-მაწყევარი ადამიანებისგან ვერ შექმნიან. და სურთ, უკეთესი მომავალი ჰქონდეთ, პასუხისმგებლები აქედანვე თავად უნდა გახდნენ.

როცა ამას ვწერდი, უფროსკლასელთა საერთო ჩატში ჩავწერე: რა არის თავისუფლება? (მიპასუხეთ გულწრფელად და სხვისი ბრძნული გამონათქვამების გარეშე, თქვენი ყოფითი ცხოვრებიდან გამომდინარე-მეთქი).

ნელ-ნელა მომდიოდა პასუხები, ზოგი იქვე წერდა, ზოგი პირადად მიგზავნიდა:

- ჩემთვის თავისუფლება არის დრო, როდესაც ზიხარ, ფილმს უყურებ და არავინ გაწუხებს. (ან როდესაც ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ ექვსწლედს დაამთავრებ :))
- თავისუფლება ის კი არაა მომთვინიერებლის ხელიდან დაგდებული მათრახი არ ავიღოთ, არამედ ავიღოთ და ჩვენი წილი მოთვინიერების შესაძლებლობა გვქონდეს.

- არ ვიცი, ზოგადად როდის ვგრძნობ თავს თავისუფლად, მაგრამ თავისუფლება, ალბათ, იმას ნიშნავს, როცა შემიძლია ფიქრი და არავინ მიშლის ხელს.
- თავისუფლება ჩემთვის არის მრავალფეროვნება ყველგან და ყოველთვის.

ერთგულება ადამიანების და ცხოველების უფლებებისადმი. სიმშვიდე და თანასწორობა. უსასრულობის ერთი ჯაჭვი, რომელიც სხვას ეჭიდება და ყველა ერთად დიდ წრეს ქმნის.

აი, ჩემი თავისუფლება.

– ჩემთვის თავისუფლება არის აი, ის გრძნობა, როცა იცი, კარგი ადამიანი ხარ, როცა სინდისი სუფთა გაქვს, თავისუფლებაა ფლობდე საკუთარ თავს. და ბოლოს თავისუფლებაა, იყო ის, ვინც ხარ...

კი გაიელვა სტრიქონსა და სტრიქონს შორის, მაგრამ თვითონ სიტყვა „პასუხისმგებლობა“ მაინც არც ერთს არ უხსენებია. ეს ჩემთვის ნიშნავს, რომ კიდევ ძალიან ბევრი უნდა ვიკითხოთ ერთად, ვისაუბროთ და ვწეროთ ამ რთული და საჭირო სიტყვის მრავალმხრივი გააზრებისთვის.

ვასწავლოთ თვითშეფასება

მგონი, აღარავინ კამათობს იმაზე, რომ თვითშეფასების უნარი და ზომიერი თვითკრიტიკა აუცილებელი პირობაა პიროვნების სწორად ჩამოყალიბებისთვის და რომ ამ უნარების გამომუშავება თანამედროვე სკოლის ერთერთი პრიორიტეტი უნდა იყოს.

ჩემს მეექვსეკლასელებს, შარშან რომ სანიმუშოები იყვნენ ქცევით, წელს ვეღარ ვცნობ. გაკვეთილზე კონცენტრაციაც უჭირთ და არც ერთმანეთთან დამოკიდებულება აქვთ სახარბიელო.

შენიშვნის მიცემის შემთხვევაში აუცილებლად სხვისკენ იშვერენ ხელს ან თვლიან, რომ მათი ბრალი არაფერია. უყვართ ფრაზა: „მარტო მე შემამჩნიეთ, მასწავლებელო?!“ ხშირად მიწევს ახსნა, თუ რატომ მივეცი შენიშვნა და დამტკიცება, რომ ის ნამდვილად სამართლიანი იყო.

არასოდეს მენანება დრო ასეთ პრობლემებზე სასაუბროდ, მაგრამ მხოლოდ საუბარი არაფრისმომცემია, არც მათი საქციელის მხოლოდ შეფასებაა ეფექტური. მივხვდი, რომ საკუთარ თავზე, ქცევაზე დაკვირვების სხვადასხვაგვარი მეთოდი უფრო შედეგის მომცემი იქნებოდა და დავიწყე კიდეც ამაზე ფიქრი.

როცა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარებზე მუშაობას შევუდექი, 2 მიზანი მქონდა:

1) ბავშვებს დავხმარებოდი საკუთარ თავზე დაკვირვებასა და გაკვეთილის განმავლობაში ქცევის მართვაში;
2) უფრო მეტად დაკვირვებოდნენ თავიანთ კლასელებს, მათ დადებით მხარეებს.

ჩავთვალე, რომ ეტაპობრივად უნდა მიმეჩვია ისინი საკუთარ თავსა და სხვაზე დაკვირვებას. ამიტომაც ვეცადე, რომ პირველი თვითშეფასება მარტივი და სახალისო ყოფილიყო. ეს იყო ღიმილაკების წყება, რომლებსაც მოკლე აღწერა ახლდა. მაგალითად: „ბრავო, ყველაფერი კარგად გამომივიდა გაკ-

ვეთილზე“ ან „ბევრი რამ გაუგებარი იყო ჩემთვის ამ გაკვეთილზე“. ბავშვებს, უბრალოდ, დღეების მიხედვით უნდა აღენიშნათ, თითოეულ გაკვეთილზე ის ღიმილაკი, რომელიც უფრო შეეფერებოდა კონკრეტულ გაკვეთილზე. არ იყვნენ შეზღუდული რაოდენობაში, შეეძლოთ რამდენიმე მოენიშნათ, თუ, რა თქმა უნდა, ერთმანეთს არ გამორიცხავდა.

მერე ისეც მოხდა, რომ ერთი საჭირო ღიმილაკი, რომლის აუცილებლობაც დაინახეს, თვითონვე მიახატეს.

	ბრავო, ყველაფერი კარგად გამიმოდა გაკვეთილზე	საერთოდ არ დამანტერესა გაკვეთილმა	ბევრი რამ გაუგებარი იყო ჩემთვის ამ გაკვეთილზე	რაღაც ვერ გავიგე, უნდა გკითხო მასწავლებელს	საერთოდ არ ვეუმენდი გაკვეთილს	შენიშვნა დადებითია	მასწავლებელი გაგაბრაზე ჩემი საქციელით	ბევრს ვლაპარაკობ, ჩუმად უნდა ვიყო	ძალიან ენანობ, რომ ბევრი შენიშვნა დადებითია გაკვეთილზე
ორშაბათი									
სამშაბათი									
ოთხშაბათი									
ხუთშაბათი									
პარასკევი									
მთელი კვირის ანალიზი									

მეორე ეტაპი იყო თვითშეფასების პირამიდები, რომლებიც ოთხ ძირითად დონედაა დაყოფილი. თითოეული დონე აღნიშნულია და მოცემულია აღნიშვნის შესაბამისი ტექსტი (საჭიროებებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, ტექსტი შეცვალოთ):

A – ვიყავი ყურადღებით და მთლიანად ვერთვებოდი გაკვეთილში, შეკითხვებსაც ვუპასუხე;

B – ყურადღებით ვიყავი, ვისმენდი, მაგრამ ნაკლებად ვაქტიურობდი, მხოლოდ 1-2- ჯერ ავწიე ხელი;

C – არ ვლაპარაკობდი, მაგრამ არ ვიყავი გაკვეთილში ჩართული;

D – ვიყავი უყურადღებოდ, ძირითადად არ ვუსმენდი გაკვეთილს და შენიშვნებიც დავიმსახურე.

ბავშვებს მხოლოდ უნდა გაეფერადებინათ ის დონე, რომლის შესაბამისადაც იქცეოდნენ გაკვეთილზე. თუმცა აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 4 დონე საკმარისი არ ყოფილა სრულყოფილი თვითშეფასებისთვის და ცოტა უკმაყოფილო დარჩნენ ამის გამო. ამიტომ სხვა კლასში გამოყენებისას აუცილებლად დავამატებ 2 დონეს მაინც.



მთელი კვირის ანალიზი

მოსწავლეებისთვის სასიამოვნო პროცესი აღმოჩნდა ამ თვითშეფასებებზე მუშაობა. გამოიკვეთა, რომ ბავშვები, რომლებიც გაკვეთილზე დაუდევრად იქ-ცევიან, არც ისე აგდებულად მიუდგნენ თვითშეფასების კითხვარებს. უფრო მე-ტიც, რამდენიმემ ქცევა საგრძნობლად გამოასწორა და მათი თვითშეფასებები სანიმუშოც კი გახდა, როგორც ობიექტური და გულმოდგინე ნამუშევარი. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ არ არიან მოსწავლეები, რომლებისთვისაც თვითშეფასებაც ისეთივე უინტერესო აღმოჩნდა, როგორც გაკვეთილები.

ყველაზე მეტად კვირის შემაჯამებელი ანალიზი უჭირთ, რადგან აქ უნდა დაწერონ გაბმული ტექსტი, რომელშიც შეაფასებენ საკუთარ ქცევას კვირის განმავლობაში. თავიდან ძალიან მოკლედ წერენ ხოლმე, მაგრამ გარკვეული მითითებების მერე ეჩვევიან(ნამუშევრების გადახედვის შემდეგ, მთელ კლასს მივეცი მითითება, რომ ყურადღება მიექციათ თავიანთი ნაწერებისთვის, არ

ეჩქარათ, რადგან სიჩქარის გამო წინადადებები ხშირად გაუმართავია). თითოეულ თვითშეფასებას ვუთმობთ 2 ან მაქსიმუმ 5 წუთს – ეს შეფასების ტიპზეა დამოკიდებული.

ყოველი კვირის ბოლოს მიმაქვს ნაშრომები და ვამოწმებ, ვინ რამდენად სწორად გაიგო თვითშეფასების პრინციპი, რამდენად ობიექტურად შეაფასა საკუთარი თავი. ჩემეული ანალიზი მათთვის არანაკლებ საინტერესო და სახალისოა. ყოველთვის აღვნიშნავ, ვის ნამუშევარს ეტყობოდა განსაკუთრებული გულმოდგინება. რადგან უმნიშვნელოვანესია, ბავშვები აგდებით არ მოეკიდონ თვითშეფასებას.

ამის შემდეგ გადავედით არა საკუთარი ქცევის, არამედ გაკვეთილის შეფასებაზე, რომელიც ერთდროულად საკუთარი თავის, კლასელებისა და მასწავლებლის შეფასებასაც კი მოიცავს, რადგან მოსწავლე აკვირდება ზოგად სიტუაციას გაკვეთილზე, როგორია კლასის განწყობა, მასწავლებლის მზაობა. მასწავლებელმაც იცის, რომ ეს ფურცელი მის შეფასებასაც გულისხმობს.

ვიზუალი ამ შეფასების ფურცელს არაბავშვური, აკადემიური აქვს. ბავშვებს ვაძლევ ინსტრუქციას, რომ დაშტრიხონ ის მეოთხედი, რომელიც, მათი აზრით, კონკრეტულ გაკვეთილს შეესაბამება. ასევე აქვთ უფლება, გაამუქონ არა 1, არამედ 2 ნაწილი, თუ სურთ, სანახევროდაც.



გაკვეთილის შეფასება

ორშაბათი

I - დღეს გაკვეთილს საინტერესოდ ვაიარა. არც მასწავლებელს მოეცია ბევრი შენიშვნა: ჩართული ვიყავით გაკვეთილშიდარმიც ჩავებეთი.

II- გაკვეთილი საშეალოდ საინტერესო იყო. მაგრამ ჩვენ მაინც ჩავერთეთ. ვასრულებდით შეკითხვებს. მასწავლებელს მხოლოდ 1- 2 ბავშვს მიაცა შენიშვნა მშეიდად.

III- გაკვეთილი არ იყო საინტერესო. მაგრამ ეშეტებლობა მაინც ეეფილობდით ყურადღებით ეეფიდლავით. თეშეა 1-2 კლასელს საკეთილს კაადეშ ყველაფერი და მასწავლებელეა გაანერეთელა. მოეკეა დიდალება. მაგრამ ეხანა ეველრ მოასწრო.

IV- გაკვეთილი არ გამოიდა. ეყურადღებით ეიყავით და მასწავლებელეა წინადაეწერეშ კვანტეეედა შენიშვნებს. ზოგიერთს ხმამაღლაც კი. შესაბამისად დროც არაფრისთვის ყეეენ.

სამშაბათი

I - დღეს გაკვეთილს საინტერესოდ ვაიარა. არც მასწავლებელს მოეცია ბევრი შენიშვნა.ჩვენც. ეშეტებლობა. ჩართული ვიყავით გაკვეთილშიდარმიც ჩავებეთი.

II- გაკვეთილი საშეალოდ საინტერესო იყო. მაგრამ ჩვენ მაინც ჩავერთეთ. ვასრულებდით შეკითხვებს. მასწავლებელს მხოლოდ 1- 2 ბავშვს მიაცა შენიშვნა მშეიდად.

III- გაკვეთილი არ იყო საინტერესო. მაგრამ ეშეტებლობა მაინც ეეფილობდით ყურადღებით ეეფიდლავით. თეშეა 1-2 კლასელს საკეთილს კაადეშ ყველაფერი და მასწავლებელეა გაანერეთელა. მოეკეა დიდალება. მაგრამ ეხანა ეველრ მოასწრო.

IV- გაკვეთილი არ გამოიდა. ეყურადღებით ეიყავით და მასწავლებელეა წინადაეწერეშ კვანტეეედა შენიშვნებს. ზოგიერთს ხმამაღლაც კი. შესაბამისად დროც არაფრისთვის ყეეენ.

ოთხშაბათი

I - დღეს. გაკვეთილს საინტერესოდ ვაიარა. არც მასწავლებელს მოეცია ბევრი შენიშვნა.ჩვენც. ეშეტებლობა. ჩართული ვიყავით გაკვეთილშიდარმიც ჩავებეთი.

II- გაკვეთილი საშეალოდ საინტერესო იყო. მაგრამ ჩვენ მაინც ჩავერთეთ. ვასრულებდით შეკითხვებს. მასწავლებელს მხოლოდ 1- 2 ბავშვს მიაცა შენიშვნა მშეიდად.

III- გაკვეთილი არ იყო საინტერესო. მაგრამ ეშეტებლობა მაინც ეეფილობდით ყურადღებით ეეფიდლავით. თეშეა 1-2 კლასელს საკეთილს კაადეშ ყველაფერი და მასწავლებელეა გაანერეთელა. მოეკეა დიდალება. მაგრამ ეხანა ეველრ მოასწრო.

IV- გაკვეთილი არ გამოიდა. ეყურადღებით ეიყავით და მასწავლებელეა წინადაეწერეშ კვანტეეედა შენიშვნებს. ზოგიერთს ხმამაღლაც კი. შესაბამისად დროც არაფრისთვის ყეეენ.



ხუთშაბათი

I - დღეს. გაკვეთილს საინტერესოდ ვაიარა. არც მასწავლებელს მოეცია ბევრი შენიშვნა: ჩართული ვიყავით გაკვეთილშიდარმიც ჩავებეთი.

II- გაკვეთილი საშეალოდ საინტერესო იყო. მაგრამ ჩვენ მაინც ჩავერთეთ. ვასრულებდით შეკითხვებს. მასწავლებელს მხოლოდ 1- 2 ბავშვს მიაცა შენიშვნა მშეიდად.

III- გაკვეთილი არ იყო საინტერესო. მაგრამ ეშეტებლობა მაინც ეეფილობდით ყურადღებით ეეფიდლავით. თეშეა 1-2 კლასელს საკეთილს კაადეშ ყველაფერი და მასწავლებელეა გაანერეთელა. მოეკეა დიდალება. მაგრამ ეხანა ეველრ მოასწრო.

IV- გაკვეთილი არ გამოიდა. ეყურადღებით ეიყავით და მასწავლებელეა წინადაეწერეშ კვანტეეედა შენიშვნებს. ზოგიერთს ხმამაღლაც კი. შესაბამისად დროც არაფრისთვის ყეეენ.

პარასკევი

I - დღეს. გაკვეთილს საინტერესოდ ვაიარა. არც მასწავლებელს მოეცია ბევრი შენიშვნა: ჩართული ვიყავით გაკვეთილშიდარმიც ჩავებეთი.

II- გაკვეთილი საშეალოდ საინტერესო იყო. მაგრამ ჩვენ მაინც ჩავერთეთ. ვასრულებდით შეკითხვებს. მასწავლებელს მხოლოდ 1- 2 ბავშვს მიაცა შენიშვნა მშეიდად.

III- გაკვეთილი არ იყო საინტერესო. მაგრამ ეშეტებლობა მაინც ეეფილობდით ყურადღებით ეეფიდლავით. თეშეა 1-2 კლასელს საკეთილს კაადეშ ყველაფერი და მასწავლებელეა გაანერეთელა. მოეკეა დიდალება. მაგრამ ეხანა ეველრ მოასწრო.

IV- გაკვეთილი არ გამოიდა. ეყურადღებით ეიყავით და მასწავლებელეა წინადაეწერეშ კვანტეეედა შენიშვნებს. ზოგიერთს ხმამაღლაც კი. შესაბამისად დროც არაფრისთვის ყეეენ.

კვირის
ანალიზი:_____

ამ სამი კვირის შემდეგ, ჩავთვალე, რომ უკვე უნდა გადავსულიყავი ურთიერთშეფასებებზე.

მაგრამ როგორც დასაწყისში უკვე აღვნიშნე, ბავშვებს ერთმანეთის მიმართ ჩასაფრებული პოზიცია ჰქონდათ და მათი ობიექტურობა ძალიან მეეჭვებოდა. ამიტომ შემოვიღე ცნება „საიდუმლო მეგობარი“. მოსწავლეები გაკვეთილის განმავლობაში უნდა დაკვირვებოდნენ ერთ ამორჩეულ კლასელს, შეეფასებინათ და ამავდროულად დაეწერათ თავიანთი თვითშეფასებაც. ეს რომ მარტივად გამოსვლოდათ, მათთვის ნაცნობი ვენის დიაგრამა ავიღე, რომელიც გაუადვილებდა, ერთმანეთის ქცევებს შორის პარალელის გავლებას და მსგავსება-განსხვავებების დანახვას. ასევე მინდოდა, ამჯერად თვითშეფასებისა და შეფასების თავიანთი სიტყვები შემოეტანათ და არ ყოფილიყო, მხოლოდ სიმბოლოებით აღნიშვნა. ჩემდა სასიხარულოდ, მშვენივრად გაართვეს თავი. პირნათლად იცავდნენ „საიდუმლოს“ მთელი კვირის განმავლობაში. კვირის ბოლოს, ვისაც სურდა, მხოლოდ იმან გაამჟღავნა საიდუმლო მეგობრის ვინაობა.



კვირის ანალიზი

როგორ ვიქცეოდი მე	როგორ იქცეოდა ჩემი მეგობარი

მათი ნამუშევრებისა და ჩემგან მიცემული მითითებების შემდეგ კიდევ ერთი, ახალი ეტაპი დაიწყო მათ შემფასებლურ ცხოვრებაში. ამჯერად, გვერდით მჯდომი უნდა შეეფასებინათ. საკუთარი თავისაგან მოისვენეს და მთლიანად მეგობრის შეფასებაზე გადავიდნენ. ახლა დასამალი აღარაფერი იყო, წინა შეფასებებმა მაჩვენა, რომ მათი ობიექტურობის ნდობა შეიძლებოდა. ამ შეფასებებში აქცენტი მხოლოდ დადებით ქცევაზე კეთდებოდა, ხოლო გამოსასწორებელი რაც ჰქონდა, ამას მხოლოდ რეკომენდაციის სახით წერდნენ.





მათი რეკომენდაციები იყო ყოველთვის ლაკონიური, მაგრამ საჭირო და აუცილებლად გასათვალისწინებელი. მაგალითად: „დავალება ცოტა მონდომებით და სახლში დაწერე! უფრო იაქტიურე გაკვეთილზე. და მინდა გითხრა, ცოტა ცელქობ!“

„ბევრს ლაპარაკობ და პასიური ხარ, თუმცა დავალება ყოველთვის გაქვს. იმედია, მალე გამოსწორდები.“

„აღარ იყვირო ხელის აწევის დროს და ბევრი არ ილაპარაკო...“

თუმცა სახალისო რეკომენდაციებიც უხვადაა: „არ იმაიმუნო და სწავლა გამოასწორე“, „იუმორი უნდა გამოასწორო იმიტომ, რომ უკბილო ხუმრობებზე ძაან ხმამაღლა და დიდი ხანი იცინი“, „მე ჩამიშვა და გავუბრაზდი და აღარ ჩამიშვას“, „გაკვეთილზე არ უნდა იცინო და ჩუმად არ უნდა ჭამო, გაკვეთილში ჩართული უნდა იყო...“ და სხვა მრავალი „მარგალიტის“ ამოკრება შეიძლება.

ახლა ტაიმაუტი აქვთ აღებული, ვიფიქრე, ცოტა ხანს მოვასვენებ-მეთქი, მაგრამ თვითონ ვერ ისვენებენ, ისევ უნდათ განაგრძონ თვით – და სხვის შეფასებაზე მუშაობა. ყოველდღე მეკითხებიან, როდის მივუტან შეფასების ფურცლებს.

ვფიქრობ, ერთ გაკვეთილს დავუთმობ „წაღმა-უკუღმა უბის წიგნაკების“ შექმნას. ფერადი ფურცლებითა და სტეპლერით შექმნიან თხელ უბის წიგნაკს, რომელსაც უკვე 2 კვირის განმავლობაში შეავსებენ. წაღმა-უკუღმა იმიტომ იქნება, რომ ერთი მხრიდან საკუთარ თავზე დაწერენ, მეორე მხრიდან მეგობარზე. უფრო მეტიც, მივცემ არჩევანის უფლებას, ვისაც ენდომება, მე შემაფასებს. ეს „უპირატესობა“ ერთგვარი სიურპრიზი იქნება და ერთგვარად მათი გაბედულების გამოცდაც. მივცემ მითითებას, რომ ამ უბის წიგნაკში შეუძლიათ დაწერონ დაკვირვებები არა მხოლოდ გაკვეთილზე, არამედ გაკვეთილის გარეთაც. ამ უბის წიგნაკს სახლშიც წაიღებენ(თვითშეფასების ფურცლები სახლში არ მიჰქონდათ) 2 კვირის შემდეგ, ორშაბათის 1 გაკვეთილი დაეთმობა მათ თითო-თითო წუთიან მონოლოგს, რომელშიც შეაჯამებენ თავიანთ დაკვირვებებს საკუთარ თავზე, მეგობარსა თუ მასწავლებელზე. დროის კონტროლისთვის გამოვიყენებთ ქვიშის საათს ან ტაიმერს – ლეპტოპის ეკრანზე, რათა თვალსაჩინო იყოს. არა მგონია ცუდი იდეა.

ამბების ხიბლი

„– რას ეუბნება კედელი კედელს?“ – სელინჯერის ამ მარადიული კითხვით ბევრჯერ ჩამიგდია საგონებელში ჩემი მოსწავლეები. თავები უმტვრევიათ პასუხისთვის განურჩევლად ასაკისა, სქესისა, კანის ფერისა და აღმსარებლობისა. გავკადნიერებულვარ და ზოგჯერ მეორე დღისთვისაც გადამიდია პასუხი, ძილშიც უფიქრიათ და ღვიძილშიც, დილით საკლასო ოთახში შესვლისთანავე შეუხსენებიათ, პასუხის უამრავი ვარიანტი უთქვამთ, მაგრამ არც ერთხელ სელინჯერის მსგავსი. ეს მხოლოდ მწერლის პასუხია: კუთხეში შევხვდეთ ერთმანეთსო. ნეტავ დაგანახათ, რა სახეებს იღებენ, როცა გაიგებენ – გაოცება, აღფრთოვანება და იმედგაცრუება (ეს როგორ ვერ გამოვიცანითო) ერთდროულად ეხატებათ სახეზე!

თუმცა მთავარი ეს არ არის, მთავარია, რომ არც ერთხელ არ დაუსვამთ კითხვა, რატომ უნდა ელაპარაკოს კედელი კედელს. ეს ძალიან ჩვეულებრივი, ბუნებრივი ამბავია მათთვის. და ვერც იმას აცნობიერებენ, ამ კითხვაზე ფიქრით მათსა და დიდ მწერალს შორის დიალოგი რომ იბმება. ცოტა მოიზრდებიან და სხვა კითხვაც გაუჩნდებათ: სად მიდიან იხვები, როცა პარკში ტბა იყინება...

ზოგადად, ბავშვებს უყვართ ახირებული კითხვა – პასუხები, სჭირდებათ დიალოგები, ურთიერთობები, აინტერესებთ ამბები... არ არსებობს ამბავი, რომელსაც ისინი ვერ გაიგებენ, თუკი მათ ენაზე მოვუყვებით.

დედაჩემი ფილოლოგია, მაგრამ აღარ მასწავლებლობს.

ერთხელ ყური მოვკარი, როგორ უყვებოდა „სტუმარ-მასპინძელს“ მისთვის გასაგები ენითა და ემოციებით ჩემს 6 წლის შვილს. გავიფიქრე და დავწერე კიდეც: არსებობენ გადამდგარი გენერლები, მაგრამ არ არსებობენ გადამდგარი ფილოლოგები-მეთქი და გამახსენდა, როგორ მიყვებოდა მეც იმავე პოემას პატარაობისას. ზუსტად მახსოვს, როგორ აღმიწერდა აღაზას სილამაზეს და სანამ მართლა წავიკითხავდი „სტუმარ-მასპინძელს“, ბევრი წელი გავიდა. კითხვის სწავლამდე ვიცოდი აკაკი წერეთლის „ღამურაც“, როგორ დაისაჯა იმისთვის, რომ თაგვობა კი არა, ჩიტობა უნდოდა. კიდევ ბევრი ნაწარმოები მოუყოლია ამბებად.

ამას წინათ სოციალური ფსიქოლოგიის კონსპექტში გადავაწყდი – ჩამოთვლილი იყო ის კომპეტენციები, რომელსაც აუცილებლად უნდა ფლობდეს მასწავლებელი. ერთ- ერთი იყო:

„ყოფითი ამბების, შემთხვევების პრეზენტაცია: იდეების სწავლებისა და გადაცემის საუკეთესო საშუალებაა ყოფითი ამბების, შემთხვევების მოყოლის მეთოდი. ასეთ სიტუაციებს შეჩვეული კლასი ყოველთვის ელის ამბის განვითარებას და თავისთავად ერთვება მასწავლებელთან თანამშრომლობით ურთიერთობაში“. (გ. ჩაგანავა)

ამბებს დიდი ძალა აქვთ. საოცარი შეგრძნებაა, როცა რაიმეს თხრობას იწყებ და მაშინვე მოგაჩერდებიან დაჭყეტილი თვალებით და დაცქვეტილი ყურებით. სულ რამდენიმე სიტყვა ყოფნით, მოინუსხონ რაიმე ამბით. არადა, გაკვეთილის ახსნისას რამხელა ძალისხმევა გჭირდება, მათი ყურადღება რომ მიიპყრო! თუ რაიმე წამიკითხავს, მინახავს, შემმთხვევია და განსაკუთრებით განმიცდია, სულ ამბებად მომიყოლია მათთვის.

ბავშვებმა დიდებივით იციან, რომ ცხოვრებაც ერთი დიდი, საიდუმლოებებითა და მოულოდნელობებით სავსე, ყველაზე ფერადი ამბავია, რომელშიც უთვალავჯერ იკვრება თავგადასავლების კვანძი, უთვალავჯერ აღწევს კულმინაციას და იმდენივეჯერ, მაგრამ სხვადასხვანაირად იხსნება ბოლოს.

კითხვა კარგია, აუცილებელია, ჰაერია, მაგრამ ამბებს თავიანთი ადგილი უჭირავთ მუდამ. თითქმის ყველა მწერალი იხსენებს, როგორ უყვებოდა ვიღაც ბავშვობაში მითებს, ლეგენდებს, საინტერესო თავგადასავლებს და როგორ მოახდინა გავლენა მასზე ამ ამბებმა.

„– ბებო, რამე წამიკითხე, – ვეტყოდი ხოლმე შემდეგ.

ბებიაც მიკითხავდა გრიმების ზღაპრებს, მიამბობდა ამირანის ამბავს...

ერთხელ „მუმუ“ წამიკითხა.

– ბებო! – შევშფოთდი, – დაიხრჩო?

– დაიხრჩო...

– მოკვდა?

– მოკვდა...

– რატომ დაიხრჩო, ცოდვა არ არი? – შევაცქერდი ბებიას და ტირილი დავაპირე.

ტირილი ხმამაღალი მიყვარდა. ისეთ ღრიალს ამოვუშვებდი ხოლმე, რომ...

– დაიცა, დაიცა, – დაფაცურდა ბებია, – ჯერ არ დამიმთავრებია. მუმუმ იცოდა კარგი ცურვა, – განაგრძო „კითხვა“ ბებიამ, – გასცურა მდინარე, მივიდა

გერასიმესთან და ახლაც იქ ცხოვრობენ კარგად და ბედნიერად... ფქვილი აქა, ქატო იქა, – დაუმატა დამაჯერებლობისათვის.

მეც დავუჯერე და ცრემლიანი თვალებით გავუღიმე („პირველი კონცერტი“ გ. დოჩანაშვილი) – ჰო, ბებიებს ტყუილიც კი დაეჯერებათ. მე კი მინდოდა, ორი რამ აუცილებლად მეთქვა:

პირველი და მნიშვნელოვანი – არასოდეს დაგეზაროთ ამბების მოყოლა, მათ დიდი ძალა აქვთ. არ დაგენანოთ დრო მბობისთვის, ლიტერატურა ამის ფუფუნებას იძლევა. ამბების მოყოლით პატარა ადამიანები ბევრ რამეს სწავლობენ: როგორ მოუსმინონ სხვებს, როგორ გამოხატონ, რომ უსმენენ, უჩნდებათ სურვილი, თვითონაც მოყვნენ ამბებს. მალევე მიხვდებიან, რომ ადამიანები მხოლოდ მათ უყვებიან ამბებს, ვინც უყვართ და ეს ნდობის დიდი გამოხატულებაა.

და მეორე, არც ისე მნიშვნელოვანი – არ მიყვარს ადაპტირებული წიგნები, არასოდეს ვუკითხავ ჩემს შვილს (არც მოსწავლეებს) ადაპტირებულ კლასიკას, რადგან ვთვლი, ისედაც საკმარისად თავდაჯერებულს, დააჯერებს, რომ კლასიკაც გადაკითხული აქვს და ინტერესს დაუკარგავს. მაგრამ სამაგიეროდ, მოვუყვები ადაპტირებულ ან თუნდაც ინტერპრეტირებულ ამბებად და იმედს დავიტოვებ, ოდესმე აუცილებლად გადაამოწმებს.

წითელი ეპოქის ამბები ბავშვებისთვის

ეს ისტორიის ის მონაკვეთია, რომლის ცოდნასაც აუცილებლად ვთხოვთ მოსწავლეებს. ამ უცნაურ, ტკივილიან, საინტერესო ამბებითა და ადამიანებით სავსე ეპოქის გათავისება ნამდვილად უჭირთ. რამდენიც არ უნდა ელაპარაკოს მასწავლებელმა, მაინც მათი გულისა და ფიქრის გარეთ რჩება. ბევრად უფრო ნამდვილია და ადვილია, მოყვე მას, რის შემსწრე და თვითმხილველიც ხარ. უფრო ემოციურადაც გამოგდის და მსმენელის გულამდეც ადვილად აღწევს ეს მონათხრობი.

ისტორიის სახელმძღვანელო, რა თქმა უნდა, ვერ შველის ამ პრობლემას. რაც უნდა კარგი სახელმძღვანელო იყოს, მაინც მშრალი ფაქტებია და ვერ იკვალავს ის ამბები მოსწავლის გულში გზას.

მწერლის მონათხრობი კარგი ვარიანტია, მაგრამ ბავშვებს მაინც უჩნდებათ ეჭვი – იქნებ ყველაფერი გამონაგონი და მწერლის ფანტაზიის ნაყოფია. მაგალითად, მთელი მე-19 საუკუნე აკა მორჩილაძის „ქართულის მაგრამ რვეულების“ დახმარებით გავისიგრძეგანეთ, მუდმივად ისმოდა კითხვა: მასწ, ეს მართლა მოხდა, თუ აკამ გამოიგონა? საიდან იცის ასეთი და ამდენი წვრილმანი? ვამშვიდებდი იმით, რომ აკა მხოლოდ მწერალი არა, ისტორიკოსიცაა და ეს ყველაფერი, ალბათ, საარქივო მასალებში ჰქონდა ამოკითხული. ასე რომ, თვითმხილველობა ყველაზე დამაჯერებელია ბავშვისთვის, თან თუ მწერალიც არ ხარ და შენი პროფესია ფანტაზიის სიმდიდრით არ განისაზღვრება. და რაც გინახავს, იმას, უბრალოდ, საინტერესოდ ყვები. ამიტომ ყოველთვის ვაგროვებ ხოლმე საინტერესო მონათხრობებს, მოგონებებს, რომ მერე ბავშვებსაც წავუკითხო ან წავაკითხო. ეს ის ეპოქაა, მოსაგონებელი და დასაწერი რომ არ ელევათ ადამიანებს, უამრავი მასალა არსებობს, უბრალოდ, მე ისინი ამოვკრიბე, რომელთა ძალაც თავად გამომიცდია საკლასო ოთახში და მათი წაკითხვით თვალებგაფართოებული და შეფიქრიანებული ბავშვებიც მინახავს.

წითელ ეპოქიდან კი იმდენი რამ არის მათთვის ამოუცნობი!

მაგალითად, ვერაფრით ხვდებიან, რატომ ატარებდნენ ბავშვები პატარა ლენინის გამოსახულებას გულზე და რაც მთავარია, რატომ უხაროდათ. აკაკი ბაქრაძის წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“ (გამომცემლობა „სარანგი“, 1990) ერთი თავია უცნაური სათაურით „განჯგონებულობა“. კრიტიკოსი სტალინური ეპოქის აბსურდზე ლაპარაკობს, თავისებურად საფუძვლიანად და რთულად განიხილავს, არა საბავშვო ენით. მაგრამ არის ერთი პატარა მონაკვეთი. აკაკი ბაქრაძე იხსენებს თავის პირველ დღეს სკოლაში, საინტერესოდ და სახალისოდ ყვება, როგორ დაუსვა სკოლაში პირველად მისულ ბავშვებს პირველმა მასწავლებელმა ჩამჭრელი კითხვა: ბავშვებო, ვინ გიყვართ ყველაზე უფროო. ყველაზე ბუნებრივი და ლოგიკური პასუხი „დედა“-ც კი არასწორი აღმოჩნდა. მერე დაბნეულები ჩამოთვლიან ოჯახის წევრებს, მაგრამ მასწავლებელი შეუვალია. სიტუაცია კლასში იძაბება. მონაკვეთი ასე სრულდება : „ძარღვებაშლილი მასწავლებელი ოთახში დარბოდა და ცივი ხმით კიოდა: – არ არის სწორი! არ არის სწორი!

კლასი დუმდა, გაჩუმდა და გაიტრუნა. იოლი კითხვის პასუხი ურთულესი აღმოჩნდა. თავზარდაცემული ვცახცახებდით. მასწავლებელი კარგა ხანს ჩუმად მოგვჩერებოდა, მერე დაცინვით შემოგვხედა და ღვარძლიანი ხმით იკითხა:

– როგორ, ბავშვებო, თქვენ ლენინი არ გიყვართ?

ამის გაგონება იყო და მთელმა კლასმა დაუფიქრებლად ერთად ვიბღავლეთ: – გვიყვარს, გვიყვარს, გვიყვარს!“

ამ პატარა მონაკვეთის წაკითხვით ნათელი ხდება მოსწავლეებისთვის, რატომ „უყვარდათ“ ლენინი.

1921 წლის 25 თებერვლის თემაზე დაწერილი კოლაუ ნადირაძის ლექსი „25 თებერვალი“ მოსწავლეებისთვისაც შთამბეჭდავი და ემოციურია, მათ უმეტესობას მოსწონს ეს ლექსი. თანამედროვე კრიტიკოსის, ლიტერატორისა და მთარგმნელის, ლევან ბრეგაძის, ჩანაწერებში (სათაურით „მარგინალიები“, გამომც. „ინტელექტი“, 2011 წელი) შემთხვევით გადავაწყდი ამ ლექსის დღის სინათლეზე გამოსვლის საოცარ ისტორიას, რომელიც ბავშვებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა. ლევან ბრეგაძე ყვება, როგორ შემთხვევით აღმოჩნდა ეს ლექსი, როგორც ავტორის ხელნაწერის ნიმუში, 1985 წელს გამოსულ ქართველ პოეტთა საერთო კრებულში „პოეტის ათასი სტრიქონი“. კრიტიკოსი აღწერს, რამდენად რთული გზის გავლა სჭირდებოდა უმკაცრესი ცენზურის გამო თითოეულ ნაწარმოებს, წიგნს, დღის სინათლე რომ ეხილა და მიუხედავად

ამისა, მაინც როგორ დაუძვრა ხელიდან ცენზორებს ეს ანტისაბჭოთა ლექსი რაღაც განგებით: „აი, ასე! ატყდა ერთი ამბავი! ლექსის ბოლო თარიღია: 1969 წელი. ხელს აწერს ბატონი კოლაუ ნადირაძე. ეს ლექსი, ცხადია, მან თავისთვის დაწერა, ამისი გამოქვეყნების იმედი მას არ ჰქონდა, მერე კი თავის მეგობარს, შალვა დემეტრაძეს, აჩუქა, გამომცემელი იყო ასეთი, ძალიან ცნობილი, „ცისფერყანწელების“ მეგობარი...გარდაიცვალა შალვა დემეტრაძე და მისი არქივი მოხვდა მუზეუმში. აი, რამდენი პირობა უნდა შესრულებულიყო, რამდენი რამ უნდა მომხდარიყო თავ-თავის დროზე, რომ ამ ლექსს დღის სინათლე ეხილა! სენსაციაა, საისტორიო ამბავია!“ (გვ. 50-51) ამ მონათხრობიდან ძალიან კარგად იგებენ მოსწავლეები, რას ნიშნავდა ცენზურა და რა სირთულეები ახლდა ყოველი ანტისაბჭოთა ნაწარმოების „დაბადებას“.

14 აპრილი ის თარიღია, რომელსაც აუცილებლად აღვნიშნავთ სკოლაში. ბავშვებმა გულის გარეთ იციან, რა მოხდა. უჭირთ გათავისება, რა როლი შეასრულეს ამ საშვილიშვილო საქმეში ახალგაზრდებმა, რა მნიშვნელოვანი ძალაა სტუდენტობა და რამდენი რამის შეცვლა შეუძლია.

ქართველი ხელოვნებათმცოდნის, ჟურნალისტისა და კინოკრიტიკოსი გოგი გვახარიას ესეების კრებულს, „ცრემლიან სათვალეს“ რომ ვკითხულობდი (ნაწილი 7; „ენით კი ვის არ შეუცოდავს?“ ენა და ენები“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013), ძალიან საინტერესო მომეჩვენა მისი მონათხრობი 1978 წლის მოვლენებზე. ამ თავიდანაც გარკვეული მონაკვეთი ამოვიღე და უფროსკლასელებს წავაკითხე. გარდა იმისა, რომ ძალიან კარგად დაინახეს, რა როლი შეასრულეს სტუდენტებმა ყველაზე კრიტიკულ პერიოდში, ცოცხლად დახატული მათი ემოციები ამოიკითხეს, ზუსტად გაიგეს, რა მოხდა 14 აპრილს, რა ხდებოდა ზუსტად იმ დროს და იქ, როცა ქართულ ენას ემუქრებოდნენ: „უილიამ ბლეიკისა არ იყოს, „ან სისტემა უნდა შექმნა, ან უნდა შეურიგდე აზრს, რომ დაგიპყრობენ.“ ჩვენ ვერ შევქმენით სისტემა. რუსებს ენა გამოვუყავით, გვეგონა, ასე აღვაგზნებდით და დავიმორჩილებდით. მათ კი მაკრატელი ამოიღეს და ენის მოჭრით დაგვემუქრნენ“ (გვ. 93). ამ მონაკვეთში ავტორი ასევე ყვება ლეო რჩეულიშვილზეც, გურამ რჩეულიშვილის ბიძაზე. სულ რამდენიმე სტრიქონმა ამ ადამიანზე, ბავშვები დაარწმუნა იმაში, რომ ყველა უფროსი უპირობოდ არ იზიარებდა სტალინურ სიყვარულს.

ამ ამბებს აუცილებლად ერთი ქართული ფილმიც უნდა დავურთო, ბიოგრაფიული ხასიათის: „ნეტავი იქ თეატრი არის?“ (რეჟ. ნანა ჯანელიძე) https://www.youtube.com/watch?v=IiE8Z7TGAoM

კახი კავსაძე თავისებურად, მეტისმეტად საინტერესოდ და ემოციურად ყვება თავისი ოჯახის ტრაგიკულ, სევდიან – სიყვარულიან ისტორიას, ქართველი ხალხისა და ქართული სიმღერის ჯადოსნურ თავგადასავალს, ბელადისა და მისი მოგებული ომის ამბავს, 9 მარტის საშინელი ტრაგედიის ამბავს, თეატრის სიყვარულის ამბავს... ისე გაფაციცებით უსმენენ, ისე თვალებგაფართოებული უყურებენ, ვხვდები, უკლებლივ ყველა სიტყვას უჯერებენ ჭარმაგ და ღვაწლმოსილ მსახიობს.

ასეთი ამბების მერე მე, მასწავლებელს, რაღა მრჩება მოსათხრობი?!

უსიყვარულო ქვეყნის შვილები

ერთი გულსაკლავი ამბით უნდა დავიწყო. მეგობარი მყავს ბავშვობის. არც ერთ გალაქტიკაში არ მეგულება ასეთი კარგი ადამიანი. ერთხელ მირეკავს, შენი რჩევა მჭირდება ძალიანო. და მიყვება თავის პირველკლასელ, მერცხლისთვალეობა, საოცრად წყნარ და ჭკვიან ნინიკოზე: როგორ დარჩა სახლში წყლის ბოთლი, რა ძალიან მოსწყურდა, რადგან სიცხე მიუცია სკოლაში, როგორ არ გამოიძებნა უზარმაზარი საჯარო სკოლის უზარმაზარ ბუფეტში ერთი ჭიქა, რომ ბავშვს წყალი დაელია. როგორ ითმინა ეს საშინელი წყურვილი და 39 გრადუსი სიცხე მე-5 გაკვეთილის ბოლომდე ისე, რომ არავის შეუწუხებია თავი, არც წყალი მიუწოდებიათ, არც დედისთვის დაურეკავთ და როცა, ბოლოს და ბოლოს, დედა მივიდა და გულაჩუყებული, აქვითინებული გადახვევია, დაადგათ ნინიკოს დამრიგებელი თავზე და მკაცრი ტონით მოუწოდებდა, ისტერიკები ნუ დაიმართეო, მერე დედას მიუბრუნდა და უსაყვედურა, წყალი არასდროს არ უნდა დაგავიწყდეთ, მე სად ვეძებო მერე ჭიქა, რამდენჯერაც ამათ წყალი მოსწყურდებათო! საერთოდაც, ძალიან უცნაური და ემოციური ბავშვია და კეთილი ინებეთ, სახლში ამაზე იმუშავეთო.

გავშრი.

რა უთხარი-მეთქი? არაფერი, ბოდიში მოვუხადეო, ხომ იცი, მასწავლებლებმა როგორ იციან გადაკიდება ბავშვებზე (ჩვენ მასეთ სკოლაში არ გავზრდილვართ, მაგრამ არ იუაროო) და სხვა რა გზა მქონდაო.

წამით წარმოვიდგინე, როგორ იდგა მასწავლებლის „გადაკიდებით“ შეშინებული ჩემი ყველაზე მამაცი, კეთილი და ციმციმა მეგობარი, რომელსაც 6 წლისას ულამაზესი და უჭკვიანესი დედა მოუკვდა, 11 წლისას მამა ჩააკვდა ხელში, იმის მერე სრულიად მარტო ზრდიდა საკუთარ თავს და ერთხელაც არც შეურცხვენია და არც დაუჩაგვრინებია ვინმესთვის თავი... წარმოვიდგინე, როგორ ჰპირდებოდა მორჩილად ვიღაც ფსევდომასწავლებელს, რომ აღარასოდეს დაავიწყდებოდა შვილისთვის წყლის გამოტანება, აუცილებლად იზრუნებდა ნინიკოს ზედმეტ ემოციურობაზე სახლში...

და რჩევა კი არა, ტირილი მომინდა... ყურმილის დაკიდების მერეც მეტირებოდა, ღამითაც და დილითაც, ერთი კვირის მერეც და ერთი თვის მერეც,

იმდენჯერ, რამდენჯერაც გამახსენდებოდა... ძალიან მომინდა, არ ვყოფილიყავი 600 კილომეტრით შორს, მყოფნოდა გამბედაობა, მივსულიყავი და პასუხი მომეთხოვა წყურვილისა და სიცხისგან გაწამებული პირველკლასელის გამო.

ნინიკო უსიყვარულო ანუ უპასუხისმგებლო ქვეყანაში ცხოვრობს, აქ უნდა გაიზარდოს.

დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ სიყვარული ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა და ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გვაკლია, როგორც საზოგადოებას, სწორედ ეს გრძნობაა.

 უძნელესი მგონია, ბავშვს გაუჩინო პასუხისმგებლობის განცდა. არადა, თუ პასუხისმგებლობის გრძნობა გაუჩნდა, სწორედ მაშინ ყალიბდება ის თავისუფალ, ძლიერ და რაც მთავარია, მოსიყვარულე პიროვნებად.

„პასუხისმგებლობა“ რთული სიტყვაა და ორი ნაწილისგან შედგება: პასუხის მგებლობა – ანუ ვიღაცამ რაღაც გითხრა და შენ უნდა უპასუხოო. ილიასი არ იყოს, მადლზე რომ ამბობს: „მადლი ერთისგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის“, პასუხისმგებლობაც ასეა. უამრავი გზა არსებობს, როგორ უნდა გავუჩინოთ ბავშვს პასუხისმგებლობის გრძნობა: დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას უნდა მივაჩვიოთ, არჩევანის საშუალება მივცეთ საკვების, ტანსაცმლის, სათამაშოს, წიგნის არჩევისას... შინაური ცხოველი ვუყიდოთ, რათა მასზე ზრუნვას მიეჩვიოს და ა. შ. და ა. შ. მაგრამ მე მგონია, რომ ეს ყველაფერი არაფერი იქნება, თუ არ დაინახა, რომ მე, უფროსს, მიყვარს ჩემი საქმე და იმიტომ მიხარია მისი კეთება. მე, უფროსს, მიყვარს ჩემი ქალაქი და იმიტომ ვეძებ აუცილებლად ნაგვის ურნას, რომ ჩავაგდო ჯიბეში ჩაჭმუჭნული ქაღალდი. მიყვარს ადამიანები და იმიტომ ვცდილობ, დავეხმარო, ვისთვისაც დახმარება შემიძლია და თუ არა, გული არ ვატკინო მაინც...

ერთ ხანს გამალებით ვეძებდი ნაწარმოებებს, რომლებიც პასუხისმგებლობის თემას ეხებოდა. ვიცი, პირველ რიგში, მომაგებებთ „გამზრდელსა“ და „ხევისბერ გოჩას“. დიახ, ძალიან უყვართ ბავშვებს აკაკის ეს პოემა, მაგრამ ზუსტად იციან, რომ ვერც მე და ვერც სხვა მასწავლებელი ვერ მოვიკლავთ თავს, თუკი ჩვენი აღზრდილი უღირსად მოიქცევა. დაძაბულები და მთელი ინტერესით კითხულობენ „ხევისბერ გოჩას“, ბევრს ფიქრობენ და კამათობენ, მაგრამ ძალიან კარგად იციან, რომ, ზოგადად, მამები არ კლავენ შვილებს არანაირი ღალატის გამო და არც უნდა მოკლან.

მოკლედ, ბევრი ვეძებე თუ ცოტა გონების ლაბირინთებში, სხვებსაც ვკითხე, მაგრამ ამაზე უფრო ადამიანური და „ პასუხისმგებლიანი“ ნაწარმოები მე არ მეგულება – „ლამაზი ცრემლები“.

ალბათ, ყველა ფილოლოგმა იცის რევაზ ინანიშვილის ეს მართლა ულამაზესი ნოველა. ერთი „ჩამყუდროებული“, სათნო მოხუცი როგორ უტოვებს ანდერძად შვილიშვილს, დაასრულოს თავისი დაწყებული საქმე, დახერხოს შეშა ერთ-ერთ ოჯახში. ის შვილიშვილი აუცილებლად ჩამოყალიბდება პასუხისმგებლიან ადამიანად, რადგან ბაბუამ ძალიან გულწრფელად და ბუნებრივად დაანახვა, რამდენად მნიშვნელოვანია, თუნდაც სრულიად უცხო ადამიანებსაც კი იმედი არ გაუცრუო.

მერე ფილმებსაც გადავავლე გონების თვალი.

„კესი“ კენ ლოუჩის არაჩვეულებრივი ფილმია იმაზე, თუ როგორ დაინტერესდება ერთი „უსაქმური, უწიგნური და უპასუხისმგებლო“ ბიჭი შევარდნების მოშინაურებით. როგორ აიძულებს ეს ინტერესი, წაიკითხოს სქელი წიგნი მათ მოშინაურებაზე. რუდუნებით, ნაბიჯ- ნაბიჯ მიყვება ამ წიგნის ინსტრუქციას და ბავშვისთვის თითქმის შეუძლებელს შეძლებს: მოიშინაურებს შევარდენს. ლუკმას უნაწილებს თავის შევარდენს, აღარ მიდის სახეტიალოდ და სათამაშოდ, მაშინვე სახლში მორბის, რომ კესს აჭამოს (ასე ჰქვია შევარდენს) და როცა ერთხელაც ამ მიღწევით გაოცებული მასწავლებელი სახლში ესტუმრება, საოცრად მარტივად და გულწრფელად უხსნის, რომ ხალხი არასწორად ფიქრობს, შევარდენი მოშინაურებული კი არაა, ის ისევ გარეულია, უბრალოდ, ბიჭს დართო ნება, რომ მასზე იზრუნოს და ბიჭსაც ძალიან მოსწონს, რომ მას უვლის. საოცარი ფორმულირებაა იმისა, თუ რას ნიშნავს სიყვარული და პასუხისმგებლობა. თუ გიყვარს, მასზე ზრუნვა გინდება და თუ უყვარხარ, გაძლევს ნებას მასზე იზრუნო, ოღონდ ისე, რომ შენ შენად დარჩე, თან მისი იყო. მაგრამ ფილმში ამ პატარა ბიჭის საოცარ სიყვარულს გარშემო მყოფი უამრავი უფროსის უსიყვარულობა, გულგრილობა, ძალადობა უპირისპირდება და ხდება კიდეც ამ ძალადობის მსხვერპლი...

დიახ, ვერ ვასწავლით ბავშვს პასუხისმგებლობას და სიყვარულს, თუ არ გვეყვარება უკლებლივ ყველა ბავშვი; თუ ერთხელ მაინც ვეცდებით, მოვატყუოთ ის; თუ დავპირდებით და არ შევუსრულებთ; თუ შეგვეშლება მათთან და არ ვაღიარებთ ამ შეცდომას და ბოდიშს არ მოვიხდით მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვები არიან; თუ არ ვეცდებით, მათთან ერთად ვაკეთოთ მნიშვნელოვანი, სასარგებლო და საინტერესო საქმეები; თუ სავარძლებში ვსხედვართ და

არ მივაქცევთ ყურადღებას მათ გამოთქმულ აზრებს, იდეებს, ინიციატივებს მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვები არიან (აი, დედები, მამები, ბიძიები ან თუნდაც მასწავლებლები რომ მოჰყოლოდათ, მაშინ სხვა იქნებოდა)... არ ექნებათ პასუხისმგებლობა, თუ შეამჩნევენ რომ ჩვენ, დიდებს, არ გვიყვარს ჩვენი საქმე; თუ დაინახავენ, როგორ ვუმსხვრევთ და ვუნადგურებთ ქალაქს მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაცაზე გავბრაზდით... თუ დაინახავენ, რომ ნასვამები ვსხედვართ საჭესთან, ხელაღებით დავარღვევთ ყველა წესსა და კანონს და უამრავი სრულიად უდანაშაულო ადამიანი ეწირება ჩვენს უპასუხისმგებლობას ... თუ საუკუნის წინანდელ წიგნის მაღაზიას, რომელიც ქალაქის რელიკვია და თვალსაჩინოება იყო, რესტორნად ვუქცევთ, რომელშიც წიგნები მხოლოდ ბუტაფორიაა, ისინი ჩათვლიან, რომ არც წიგნის სიყვარულია აუცილებელი, არც საკუთარი ქალაქის და მით უმეტეს, რა საჭიროა სხვისი ნაშრომ-ნაღვაწის მოფრთხილება. თუ ჩვენი უყურადღებობისა და უპასუხისმგებლობის გამო თუნდაც ორი მოხუცი გაგვეყინება ჩვენს ქვეყანაში, ბავშვები ჩათვლიან, რომ არ ღირს ამ ქვეყნის სიყვარული, მაშასადამე, არც აქ დარჩენა ღირს, ადგებიან და წავლენ. მერე დავრჩებით უპასუხისმგებლო და უსიყვარულო უფროსები და ვივიშვიშებთ იმაზე, რომ ახალი თაობა ტოვებს ქვეყანას.

ბავშვებმა ზუსტად იციან, რა ძნელია უსიყვარულო ქვეყნის შვილობა. ნინიკომ უკვე იცის, სულ ემახსოვრება.

უცვეთელობის პარადოქსი

„ამიტომაც არასოდეს არ მითქვამს შენთვის,
რომ სინამდვილეში,
დიდი ხანია, გაცვდა ჩემი სამშობლოს ფირუზიცა და ზურმუხტიც...“

„ამბავი უსამშობლოთა“, სალომე ბენიძე

26 მაისი რომ იყო, ჩემი მოსწავლეების უმეტესობამ პროფილის სურათები საქართველოს დროშის ფონზე დადო და ბევრი მათგანი ერს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავდა...

ზოგადად, მჯერა, რომ სიყვარული ისწავლება, მაგრამ არ ვიცი, ვასწავლი თუ არა სამშობლოს სიყვარულს ჩემს მოსწავლეებს, ან თუ ვასწავლი, როგორ ვასწავლი... ან თუ არ ვასწავლი, რატომ არ ვაკეთებ ამას...თუ რაიმე ამის მაგვარი ხდება, ალბათ, უფრო ინსტინქტის დონეზე, განცდილის გაზიარების დონეზე.

ის ვიცი, რომ კარგა ხანს მეგონა, თემა „სამშობლო“ გაცვდა და რაც უფრო ხშირად ვახსენებდი ხაზგასმით, მით უფრო დავაშორებდი ბავშვებს ამ თემის ყველაზე სათუთ სიღრმეს.

ახლა ვზივარ და ვითვლი გონებაში ძალდატანების გარეშე ამოტივტივებულ რამდენიმე ფრაზას:

„გინახავთ თქვენ მთები დაბინდულ ქლიავის,
ეს ჩემი სამშობლოს მთებია...“
„სჯობს, აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა, არ იყოს ასე ლამაზი“

ან

„ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა...“ – და კიდევ რამდენიმე, თითებზე ჩამოსათვლელად.

ყველაზე ბევრ ლექსს დაწყებით და საშუალო საფეხურზე ვასწავლით, არც ერთი არ მახსენდება ახლა და ზუსტად ვიცი, ამ შემთხვევაში ჩემი ცუდი მეხ-

სიერება ნამდვილად არაფერ შუაშია... დარწმუნებული ვარ, არც ჩემს მოსწავლეებს ახსოვთ... ან თუ ახსენდებათ, მხოლოდ სიტყვები, ყოველგვარი ემოციის გარეშე.

მაშინ, როცა უფროსებისთვის (პოეტებისა და ვითომ პოეტებისთვისაც, პოეზიის ან პოეტთა მოყვარულთათვისაც) პატრიოტული ლირიკის ეპოქა ცალსახად დასრულდა, ამ ლირიკის მთელ თაიგულებს სწავლობენ ბავშვები და ვხვდები, რა საცოდაობაა, ლექსით ასწავლო სამშობლოს სიყვარული! მთლად უარესი – მერე გამოიყვანო და აუდიტორიის წინაშე ომახიანად ათქმევინო! მურმან ჯინორიას ჩანაწერი მახსენდება: „სცენაზე გოგონა დიდი მონდომებით კითხულობდა ლექსს, გულით მოგინდებოდა, მისი მასწავლებლისთვის ყური აგეწია“.

სამშობლოს განცდა ადვილი არაა. დიდებსაც გვიჭირს. სამშობლოს სიყვარული პატარ-პატარა, მათ გვერდით აღმოჩენილ, მარტივი და ძალიან ჩვეულებრივი სიყვარულებით უნდა ისწავლონ პატარა ადამიანებმა. მაგალითად, მე მტკიცედ მწამს, რომ ჩვენი საკეთებლის (თუნდაც ძალიან მოკრძალებულის) სიყვარული სამშობლოს სიყვარულის პირდაპირპროპორციულია.

აი, პატრიოტული ლირიკის ეპოქა კი, მგონი, მაშინ დასრულდა, როცა ერთმა ძალიან ჩუმმა და უბრალო გენიოსმა, ერლომ ახვლედიანმა, დაწერა „ამბავი კაცისა, რომელსაც სამშობლო ძალიან უყვარს“:

„კაცი იყო, სამშობლო ძალიან უყვარდა.
ჰკითხეს: მაინც როგორ გიყვარს სამშობლოო?
უპასუხა: ძალიან მიყვარსო. მისთვის რას არ მოვიმოქმედებო.
ჰკითხეს: ვთქვათ, შეიტყვე, რომ შენს მოყვასს სამშობლო შენსავით
არ უყვარს. რას უზამ?
უპასუხა: სულ ნაკუწ-ნაკუწ ავქნი და ყვავ-ყორნებს გადავუყრი საჯიჯგნადაო.
ჰკითხეს: მის ლამაზ ცოლს რას უზამ?
უპასუხა: ხარჯად დავისვამო.
ჰკითხეს: მის წვრილშვილს რაღას უზამ?
უპასუხა: სტამბულს მონებად დავყიდიო.
ჰკითხეს: მის ეზო-კარს, ყანას, საქონელს და ყოველივეს, რაც მას
ეკუთვნის, რას უზამ?
უპასუხა: გავუნაწილებ იმათ, რომელთაც სამშობლო ჩემსავით უყვართო.“

თანამედროვე პოეზიას რომ გადავხედე, მივხვდი, პატრიოტული ლექსების ანთოლოგიების გაქრობა, სულაც არ ნიშნავს, სამშობლოს სიყვარულის გაქრობასა და გაუფერულებას.

ახლა სხვანაირი სამშობლო გვაქვს, სხვანაირ სამშობლოს განვიცდით... ახლა სხვანაირად გვეფიქრება სამშობლო და გვტკივა:

„სად გიპოვო,
რაში ხარ მეტად არეკლილი,
ჩემო სამშობლოვ?
პეიზაჟებში,
სიმღერებში
თუ ადამიანებში?
ღიმილიანი,
ლაღი,
გახარებული
რატომ არა ხარ არსად...“

ირაკლი კაკაბაძე

მძიმე წლებში ვცდილობდით, დაგვევიწყებინა, გვეგონა, რომ გარდაცვლილ მამებს მივაჩეჩებდით ასე ძვირფასს:

„ ...ჩვენი სიმართლე შეირყა.
ჩვენმა შეყვარებულებმა შხამისფრად გადაიღებეს თმები.
ჩვენი ბავშვობის საწოლები
უკაცრიელ ქუჩებში დაწვეს
შემცივნულმა ჯარისკაცებმა,
ხოლო სამშობლო გარდაცვლილ მამას ჩავაყოლეთ გულისჯიბეში,
როგორც ძვირფასი ნივთი.
მამა გიჟი იყო.“

ნაწყვეტი „რეკვიემი ცოცხლებისათვის“, ზვიად რატიანი

სამშობლო ყველაზე ახლობელია, ადამიანია, შენ სამშობლო ხარ:

„აი, ასეთი იყო მუდამ ჩემი სამშობლო,
შენნაირი,

მინის ნამსხვრევებით შეკოწიწებული,
ასკინკილით შემოსარბენი,
ფრთებით დასაფარი,
როცა არ გჯერა,
რომ მარტივი და სევდიანი
აწმყო ხარ მხოლოდ...“

ნათია ნაცვლიშვილი

ახლა მისი დადანაშაულებაც შეიძლება და არ იქნება მისი უსიყვარულობა:

„სამშობლო ხარ! — ამას აღარ ეშველება,
მაგრამ თუ არ მოგვიკითხავ დიდხანს,
მე წინდაწინ მებრალები იმ დღისათვის,
როცა მოგვიკითხავ.
პოეტი ვარ... შენი სიოც გადამძალავს,
შენი ცერად შემოხედვაც დამჭრის;
ვმალავ ლექსებს საქაღალდის ფსკერზე, რადგან,
ფსევდონიმში დასამალი რა მჭირს!
სანამ ჩემი სიყვარულის გეშინია,
დგას „ჭკვიანი“ და აღლუმი მიჰყავს,
სანამ თვითონ არ მიმხვდარხარ, საქართველოვ,
მოსავლელი ვინ გყავს.
რა გვჭირს შვილებს ფსევდონიმში გასაქცევი...
ვკეცავ ლექსებს და უჯრაში ვდებ.
ჩემი შიში შენი დიდი სირცხვილია,
მათქმევინე, დე!
სამშობლო ხარ! – ამას აღარ ეშველება,
მაგრამ თუ არ მოგვიკითხავ დიდხანს,
იმ დღისათვის მებრალები, საქართველოვ,
როცა მოგვიკითხავ...

„მათქმევინე, დე!“, ელა გოჩიაშვილი

მახსოვს, სკოლაში ახალმისულებს როგორ გვაზეპირებინებდნენ სამშობლოს მრავალგვარ განმარტებას – „სამშობლო ის ადგილია, სადაც დავიბადეთ, გავიზარდეთ...“

ახლა ესაა სამშობლო და რომ ვკითხულობ, მე განვიცდი:

„სამშობლო
იქ არის,
სადაც კარგად ვიცით,
გაზაფხულობით,
მიწის სიღრმიდან
ვისი გვამები
გვაწვდიან ხოლმე
„მინდვრის ყვავილებს“.

თორნიკე ჭელიძე

ახლა სამშობლოსთვის მარტივად, გულწრფელად და გულში ვლოცულობთ:

„დილით ავდექი ძალიან ადრე,
გამოვაღე ყველა ფანჯარა,
მზეს შევეგებე და
მხოლოდ ერთი ლოცვა ვთქვი გულში –
ჩემი სამშობლო, ჩემი სამშობლო, სამშობლო ჩემი...“

იაკი კაბე

ასე რომ, ახლა სხვანაირად ვფიქრობ, მივხვდი, რომ ის, რაც ღრმა და გულწრფელია, არასოდეს ცვდება, უბრალოდ, ვისწავლეთ (თუ არადა, უნდა ვისწავლოთ), რომ : „სამშობლოზე უნდა ილაპარაკო მოკლედ და გასაგებად, როგორც მომაკვდავები ლაპარაკობენ“ – ოთარ ჭილაძეს ჩაუწერია თავის უბის წიგნაკში. წერტილი.

დახურული სივრცის მაგია

ეპიგრაფივით:

მოდილიანი არაფერ
შუაშია, მაგრამ როცა ამას
ვწერდი, თვალწინ მაინც
მისი პორტრეტები მედგა:
ჩახურული, სადღაც შიგნით,
სულში მაყურებელთვალე-
ბიანი და მაღალყელიანი
ადამიანებით, ან ჩაკეტილი
კარის ფონზე ან კუთხეში
რომ სხედან. ეს ყველაფერი
ქმნის საოცარ მაგიას,
რომელიც ძალიან გიზიდავს.

ბავშვობიდან არ მიყვარდა „ღია გაკვეთილები“ და დამსწრეები. მაშინ მიზეზი სხვა მეგონა, მაგრამ ახლა ვხვდები, რატომ: ღია გაკვეთილებზე და დამსწრეებთან არც ჩვენი არაჩვეულებრივი მასწავლებელი იყო ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო და არც ჩვენ ვიყავით ჩვენ... ახლა, როცა მასწავლებელი ვარ, კიდევ უფრო აღარ მიყვარს. „ღია გაკვეთილს“, თუნდაც არაჩვეულებრივს, კარმიხურული და ჩვეულებრივი გაკვეთილი მირჩევნია. ეს ის უცნაური მომენტია, როცა ღია სივრცეს ნამდვილად სჯობს დახურული სივრცე. იმიტომ, რომ იმ სივრცეში, რომელშიც მხოლოდ მასწავლებელი და მოსწავლეები შედიან, უფრო მეტი თავისუფლებაა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც)!

ამ თავისუფლებაზე დიდი ხანია ვფიქრობ და ჩემთვის „დახურული სივრცის მაგია“ შევარქვი. ახალი სამყარო მაშინ იხსნება, როცა ზარის დარეკვის შემდეგ მასწავლებელი შედის კლასში, კარი იხურება და იწყებს უცნაურ

მაგიას. ეს მაგია რაიმე განსაკუთრებულსა და არაჩვეულებრივს სულაც არ გულისხმობს (ოღონდ არც გამორიცხავს), ეს თითოეული ბავშვის გულთან, ან ყველასთან ერთად, უხილავი ნდობის ძაფების გაბმაა, ასე ძალიან რომ სჭირდება მასწავლებელს იმისთვის, რომ ჯერ თავი და მერე საგანი (პირიქით, მგონი, არ არსებობს, ან ძალიან იშვიათადაა) შეაყვაროს მოსწავლეს... თუ ეს დახურული სივრცე არ იქნება, არც ნდობა იქნება, თუ ნდობა არ იქნება, სიყვარული არ იქნება, თუ სიყვარული არ იქნება, ინტერესი არ იქნება, არც სიტყვა იქნება, არც ფიქრი, არც კამათი და ა. შ. მოკლედ, ყველაფერი არაფერი გახდება მასწავლებელ – მოსწავლეებისთვის... ამას სულ ვგრძნობდი, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ დავრწმუნდი, როცა ჩემი ერთ-ერთი მოფიქრალი მოსწავლის რჩევით ვნახე არაჩვეულებრივი ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. ფილმი ერთ უცნაურ მასწავლებელზე, მისტერ კითინგზე, რომელიც თავის გაკვეთილებზე ბავშვებს ახევინებს პოეზიის თეორიის წიგნებს და სპორტის დახმარებით აყვარებს პოეზიას. ნებისმიერი უცხო თვალისთვის ეს სიგიჟე და უფრო მეტიც, დანაშაულია, ბავშვებისთვის – მთელი სამყარო. არასოდეს დამავიწყდება ის სირცხვილის განცდა, ამ ფილმის ყურებისას რომ გამიჩნდა, რადგან არ ვიყავი და ვერასოდეს ვიქნებოდი ასეთი თავისუფლების მიმცემი მასწავლებელი ჩემი მოსწავლეებისთვის. მერე კლუბში რომ ვუყურეთ ერთად და ბავშვების აღფრთოვანებულ სახეებს რომ ვუყურებდი, კიდევ უფრო შემრცხვა და დავღონდი. მოკლედ, ამას არაფერი ეშველება, მაგრამ ის კია, რომ დავრწმუნდი, რა აუცილებელია ეს „დახურული სივრცის მაგია“.

ტოლათსოფელში მასწავლებლობდა ვაჟა-ფშაველა. უკლებლივ ყველა გენიოსივით ახირებული იყო ისიც. თბილისიდან მივლენილი ინსპექტორი დარსკი კლასში არ შეუშვა, გარეთ დაუდგა სკამი, აქედან მისმინეო. მამამისთან, პავლე მღვდელთან, დაუჩივლია დარსკის: შემიშვას, მისთვის უფრო ცუდია, არაფერს დავაშავებო. მხოლოდ მამის თხოვნის შემდეგ შეუშვია გაკვეთილზე ვაჟას (აკა მორჩილაძე „ქართულის რვეულები“).

ინტერნეტში შემთხვევით გადავაწყდი ყველაზე წარმატებული, ფინური განათლების სისტემის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს. ერთ-ერთია ნდობა:

„სკოლაში მომუშავეთათვის არ არსებობს შემოწმებები, მეთოდისტები. განათლების სისტემა ქვეყანაში ერთიანია, მაგრამ მხოლოდ საერთო რეკომენდაციებს მოიცავს და ყოველი პედაგოგი სწავლების იმ მეთოდს იყენებს, რომელსაც შესაფერისად თვლის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოსწავლე-

ებისადმი ნდობა“ – და მაშინ ვთქვი, აჰა, ფინელებს ღრმად სწამთ „დახურული სივრცის მაგიის“!

მხოლოდ კლასის არა, პატარ-პატარა, შიდა „დახურული სივრცეების მაგიაც“ ამუშავდება ხოლმე მასწავლებელსა და მხოლოდ ერთ, ან მხოლოდ ორ, ან მხოლოდ სამ მოსწავლეს შორის.

ბევრი რამის გახსენება შეიძლება ამ „დახურული სივრცის მაგიაზე“ ლიტერატურიდან, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო ჩოხელის უუცნაურესი მოთხრობა „ნადირობა ოზანოს მთაში“ მგონია. ამ მოთხრობის მთავარი გმირი სამოცდაათი წლის ახირებული, მეზობლებისაგან ლამის გიჟად მიჩნეული ღრუბელა მექობაურია. ის სრულიად მარტო ცხოვრობს გალავანშემოვლებულ სახლში, ხანდახან თვეობით იკარგება ხოლმე და უკან უამრავი წიგნით დატვირთული ბრუნდება. მერე ან ამ წიგნებს კითხულობს, ან ღამღამობით გრძელი დურბინდით ცას შეჰყურებს. ერთი პატარა ბიჭი, გუჯია გაბედავს ღრუბელას სამანს გადააბიჯოს და პატარა ლეკვივით მიიჩვევს ღრუბელა. ასწავლის, როგორ იმოგზაუროს წარმოსახვით. დაანახვებს, რომ წარმოსახვის სამყარო გადაჯაჭვულია წიგნების სამყაროსთან. ასე უცნაურად, წარმოსახვით, მოხუცი ღრუბელა და გულადი ბიჭი გუჯია ყოველ დღე ხან მთებში მოგზაურობენ, ხან შხარას დაიპყრობენ, ხან ვარსკვლავებს ესტუმრებიან...იმისთვის, რომ მათი წარმოსახვა „რეალური“ იყოს, ზედმიწევნით სწავლობენ გეოგრაფიასა და ასტრონომიას, გულდასმით შეისწავლიან რაკეტის აგებულებას, თითო წელს თითო უცხო ენის შესწავლას უთმობენ... ხდება ღრუბელა მასწავლებელი და გუჯია მოსწავლე. ბოლოს ოზანოს მთებში მიდიან და წარმოსახვით ნადირობენ...ასე გრძელდება მანამ, სანამ ერთ დღესაც გუჯია არ უღალატებს წარმოსახვას და მართლა არ მოკლავს ბელებიან დედა დათვს. აქ ყველაფერი მთავრდება.

ეს არის მართლა საოცარი მოთხრობა სამი რამის მაგიურ ძალაზე: წარმოსახვის მაგია, წიგნის მაგია და ეს ჩვენი „დახურული სივრცის მაგია“. და საუკეთესოდ ჩანს, რა ძალა აქვს მასწავლებელი – მოსწავლის დასაკავშირებლად ჩარაზულ თავისუფლებას.

მეორე, რაც ამ თემაზე მახსენდება, ჯემალ ქარჩხაძის ერთ-ერთი მოთხრობაა „სასწაული“. მათემატიკის მოხუც, „მტარვალ“ მასწავლებელსა და ოროსან 13 წლის ბიჭზე, გია ბარბაქაძეზე, იგივე გიორგი ნიკიფოროვიჩზე. ამ მოთხრობაში ისეთი სასწაული ხდება, რომელიც, როგორც წესი, ოროსნებს არ შეემთხვევათ ხოლმე. გამოსაცდელად დაბარებული გია მოხუცი მასწავ-

ლებლის ერთადერთი მხსნელი აღმოჩნდება და გარდა იმისა, რომ შემსწრე გახდება ფაქტის, როგორ ამბობს უარს მისი მწვალებელი მასწავლებელი თავის პროფესიაზე უკვე მოხუცებულობის გამო, ასევე მას საჩუქრად სწორედ იმ საძულველ უბის წიგნაკს გადასცემს, რომლის ხელში ჩაგდებაზეც მუდამ ოცნებობდა, რათა გაენადგურებინა. ჰოდა, როცა მარტო დარჩენილი წიგნაკს გადაშლის, იქ აღმოაჩენს, რომ წერია მხოლოდ სახელები და გვარები და მათ გასწვრივ ჯერ ორიანები, მერე სამიანები, მერე ოთხიანები და სულ ბოლოს ერთი 5. აქედან ახალი სახელი და გვარი იწყება და ისევ ხუთიანით მთავრდება ნიშნების მწკრივი. მაშინ მიხვდება ბიჭი, რატომ უწოდა მასწავლებელმა უბის წიგნაკის გადაცემისას „გამოუსწორებელი მეასე“.

მაგრამ მთავარი ეს კი არა, ისაა, როგორ აღწერს მწერალი, უხილავი ნდობის ძაფების გაბმას ერთმანეთის პირისპირ მარტო დარჩენილ „მწამებელ“ მასწავლებელსა და წამებულ მოსწავლეს შორის. ქარჩხაძეს არ უყვარს მოკლე მოთხრობები და არც ეს მოთხრობაა მოკლე, მაგრამ დრო და სივრცე უცვლელია, მხოლოდ მოსწავლე-მასწავლებლის ემოციები, ფიქრები იცვლება. მოთხრობას რომ დაასრულებ, ტკბილად გეღიმება ამ სასწაულებრივი მაგიით მოხიბლულ, გამოსწორების გზაზე დამდგარ ოროსან ბიჭს რომ ხედავ, როგორ მიაბიჯებს მეტიჩარა ნათიას სახლისკენ: „გიამ ამ დღეს მრავალი რამ გამოსცადა: სიმწარეც და სიტკბოც. და ყოველივე ამას მხოლოდ ნათიას თუ ეტყოდა, რადგან სხვები ამ ამბის ვერც სიმწარეს დაინახავდნენ და ვერც სიტკბოს“...

ასეა, თითქოს ადვილია, მაგრამ ამ საოცარი და აუცილებელი მაგიის შექმნას დიდი სიყვარული, მოთმინება სჭირდება. და კიდევ, ასე მგონია, მასწავლებელი გენიოსი თუ არ იქნება, ახირებული მაინც უნდა იყოს, უყვარდეს თავისი დახურული სივრცე, ოღონდ შეძლოს ამ კარმიხურულ თავისუფლებაში ბავშვები ღია გულებით (გურიაში განსაკუთრებული სტუმრის მოლოდინში ფართოდ გაღებულ ჭიშკარს რომ ჰგავს), ღია თვალებით (რომელთა სწრაფი ხამხამი ძალიან მაგონებს ქარიან ამინდში ღიად დატოვებულ ფანჯრების ფართქუნს) და თუნდაც გაოცებისაგან ღიად დარჩენილი პირებით ისხდნენ.

ანა ღვინიანიძე

1 რატომ უნდა ვიცოდე ეს მე, როგორც მასწავლებელმა? 43

2 რისი მწამს გულით? 47

3 ვზრუნავ, თუ...? 51

4 ისაუბრეთ მათთან 55

5 ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი 59

6 დაკვირვება – დაბრუნება გაუცხოებულთან.
როგორ განვავითაროთ დაკვირვების უნარი მოსწავლეებში? 65

რატომ უნდა ვიცოდე ეს მე, როგორც მასწავლებელმა?

მიკერძოებული დასკვნები და სწავლა

წარმოიდგინეთ, რომ ტექსტში შეგხვდათ მონაკვეთი, რომელიც ერთხელ წაკითხვით ვერ გაიგეთ. როგორი აზრები გებადებათ? ფიქრობთ, რომ „მაინც არაფერი გამოვა, მეორედაც რომ წავიკითხო," „მაინც ვერ გავიგებ, ეს ტექსტი მეტისმეტად რთულია", ან „უუნარო ვარ", თუ იმას, რომ „არა უშავს, ერთხელ წაკითხვით თუ ვერ გავიგე. მოგვიანებით, ხელახლა ვცდი, ბუნდოვან ადგილს დავუბრუნდე."

ადამიანები, რომელთაც ტექსტის რთული მონაკვეთის კითხვის დროს, ისეთი აზრები ებადებათ, როგორიცაა: „უუნარო ვარ", „თუ ერთხელ წაკითხვით ვერ გავიგე, მაშინ უნიჭო ადამიანი ვარ", დიდწილად, შფოთვას, დათრგუნვილობას და, ზოგჯერ, უიმედობას განიცდიან.

შემდეგი კომპონენტი ამ აზრებზე გამომუშავებული საპასუხო ქცევაა. როგორ მოიქცეოდით თქვენ, საკუთარ თავზე რომ გეფიქრათ, რომ უუნარო ხართ? დახურავდით წიგნს და არასდროს დაუბრუნდებოდით იმ მონაკვეთის კითხვას, რომლის კითხვის დროსაც დაასკვენით, რომ ტექსტი ვერ გაიგეთ, ხელახლა მიუბრუნდებოდით მონაკვეთის კითხვას დაძაბულობის და მოსალოდნელი სირთულეების აღძრული შფოთვის განცდით, თუ განსაზღვრული დროის შემდეგ, მშვიდად შეძლებდით ტექსტის ხელახლა, გულდასმით წაკითხვას?

ადამიანი მნიშვნელობის მაძიებელი არსებაა. ის ყოველთვის ცდილობს, შეაფასოს და განსაზღვრული მნიშვნელობა მიანიჭოს თავის ქცევას და მის შედეგებს. იქიდან გამომდინარე კი, რომ ადამიანის თავის ტვინი „მსუნაგი" ორგანოა და მისი ცხოველქმედების შენარჩუნებისთვის უამრავი ნივთიერების მარაგი გვჭირდება, ჩვენი ფსიქიკა ცდილობს, შექმნას მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებისთვის მნიშვნელობის მინიჭების „დამზოგავი" გზები, რომელსაც დასკვნას ვუწოდებთ.

შესაძლოა, დასკვნა ხანგრძლივი კვლევის, განვითარებული მოვლენების თანმიმდევრობის გახსენების, აწონ-დაწონვის და საკუთარი თავისადმი მოვლენების მიმართების შეფასების საფუძველზე გამოვიტანო, მაგრამ მაინც შევცდე. მცდარ დასკვნებს კოგნიტური ფსიქოლოგია მიკერძოებულ დასკვნებს[1] უწოდებს.

მიკერძოებული დასკვნები ისეთი განზოგადებული მნიშვნელობებია, რომელთა დახმარებითაც ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს სწრაფად ვაფასებთ და შეფასებების მიხედვით, ვსაზღვრავთ, როგორ მოვიქცეთ.

ეს თავისებურება სწავლის პროცესშიც ვლინდება.

მაგალითად, რა მნიშვნელობას ვანიჭებ ჩემს დაშვებულ შეცდომას ამოცანის ამოხსნის დროს? რა მნიშვნელობას ვანიჭებ მასწავლებლის ქებას ან მისგან მიღებულ საყვედურს? რა მნიშვნელობას ვანიჭებ ჩემს თანაკლასელებს შორის არსებულ კონფლიქტებს?

მიკერძოებული დასკვნები აისახავს მოუხელთებელ წარმოდგენებს საკუთარ თავსა და ირგვლივმყოფებზე.

მაგალითად, გამოცდაში დაბალი ქულის მიღების შემდეგ, დამებადა აზრი, რომ დაბალი ქულის მიღება ჩემს წარუმატებლობაზეა მინიშნება. რას განვიცდი და როგორ მოვიქცევი, ერთი მხრივ, იმაზეა დამოკიდებული, მაქვს თუ არა გამოცდაში მიღებული დაბალი ქულის, როგორც შედეგის, სხვაგვარი ახსნა ან ახსნები. ანუ, ვხსნი თუ არა გამოცდაში მიღებულ დაბალ ქულას მხოლოდ იმით, რომ მე ვარ წარუმატებელი, თუ, შემიძლია, ვივარაუდო, რომ ეს შედეგი სხვა, ჩემგან დამოუკიდებელი გარემოებების ურთიერთქმედების შედეგადაც შეიძლებოდა მიმეღო? მაგალითად, ვვარაუდობ თუ არა, რომ მე აუცილებლად წარუმატებელი ადამიანი ვარ, რადგან ამ კონკრეტულ გამოცდაში სასურველი შეფასება ვერ მივიღე, თუ, მაგალითად, შეიძლებოდა, მიღებული ქულა საგამოცდო ტესტის სირთულის, ყურადღების კონცენტრაციის სირთულის, დროში შეზღუდულობის ან ცოდნის ნაკლებობის შედეგი ყოფილიყო?

საინტერესოა, რას ველი იმ შემთხვევაში, თუ ეს წარმოდგენა ჩემს თავზე ჭეშმარიტია. თუ მე ვვარაუდობ, რომ კონკრეტული ფაქტი ნამდვილად ჩემი წარუმატებლობის დამადასტურებელია, რომელი შედეგის მეშინია ყველაზე მეტად? რა შეიძლება მოჰყვეს ჩემს მიღებულ დაბალ ქულას? ის, რომ კეთილგანწყობას დავკარგავ? ის, რომ სასჯელს დავიმსახურებ? იქნებ, ის, რომ შეიძლება, განუსაზღვრელობაში აღმოვჩნდე? რა მაშინებს იმ შედეგებს შორის ყველაზე მეტად, რაც ჩემმა წარმოსახვამ გამოცდაში მიღებულ დაბალ ქულას დაუკავშირა? შესაძლოა, დაბალ ქულას აღიარების დაკარგვას ვუკავშირებ ან, სულაც, მეშინია, ჩემი მშობელი არ გავანაწყენო.

1 Cognitive Biases.

არსებობს მიკერძოებული დასკვნების ჯგუფი, რომელიც ადამიანებში მტანჯველ ემოციებს აღძრავს და საკუთარი თავით კმაყოფილების განცდას ხელს უშლის. ისინი, სხვა მიკერძოებული დასკვნებისგან განსხვავებით, მჭიდროდ უკავშირდება თვითშეფასებას და გარესამყაროზე წარმოდგენებს, რაც სწავლისადმი განწყობებზეც აისახება.

სტატიის შემდეგი მონაკვეთი აღწერს, როგორ აისახება მიკერძოებული დასკვნები სწავლასთან დაკავშირებული საკითხების აღქმაზე. ეს კოგნიტური ცდომილებები საკუთარ თავზე გაშინაგნებულ ისეთ წარმოდგენებს უკავშირდება, როგორიცაა: „უუნარო ვარ," „წარუმატებელი ვარ" და ა. შ.

ყველაფერი ან არაფერი – გამოცდილების მხოლოდ ორი კატეგორიით, უკიდურესობებით შეფასება. შესაძლოა, ეს მიკერძოებული დასკვნა ვლინდებოდეს შემდეგი აზრების სახით: *„ან ათოსანი ხარ, ან ხუთოსანი," „ან ყველა კითხვაზე იცი პასუხი, ან არცერთზე", „ან ყველა საგანში წარმატებული ხარ, ან არცერთში".*

განზოგადება – ამ შემთხვევაში, ადამიანს სწამს: თუ რაღაც ერთხელ მოხდა, ეს მოვლენა აუცილებლად განმეორდება. „ყოველთვის დაბალ ქულებს მივიღებ," „ყოველთვის ამ შეცდომას დავუშვებ," „ყოველთვის შენიშვნებს დავიმსახურებ."

დადებითის გაუფასურება – აკადემიურ სფეროში ეს მიკერძოებული დასკვნა წარმატების გაუფასურებით ვლინდება. „მერე რა, რომ ეს ამოცანა წარმატებით ამოხსენი? ალბათ, ამოცანა იყო მარტივი."

დასკვნის სწრაფად გამოტანა – არსებითი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ცოდნის გარეშე დასკვნის გამოტანა. „არა მგონია, გამოცდა ძალიან რთული იყოს," მაშინ, როდესაც არაფერი იცი გამოცდის შესახებ.

სხვისი აზრების კითხვა[2] შეიძლება ასე ვლინდებოდეს: „ზუსტად ვიცი, მასწავლებელი ჩემზე ფიქრობს, რომ წარუმატებელი ვარ."

წინასწარმეტყველება – ამ კოგნიტური ცდომილების არსი უარყოფითი მოვლენების მოლოდინი და მომავლის წინასწარმეტყველებაა. მაგალითად, შესაძლოა, მოსწავლეს სწამდეს: „გამოცდაში აუცილებლად ჩავიჭრები."

კატასტროფის მოლოდინი ან საფრთხის გაუფასურება – ეს ცდომილება შემდეგი აზრების სახით ვლინდება: „თუ ეს პრეზენტაცია წარმატებით არ ჩაივლის, მშობლის ან მასწავლებლის კეთილგანწყობას დავკარგავ."

განცდა, როგორც ფაქტი – „რადგან განცდა მაქვს, რომ ცუდი მოსწავლე ვარ, ე.ი., ეს ასეცაა," „მგონია, რომ წარუმატებელი ვარ და ეს ნამდვილად ასეა."

„უნდა" – ეს მიკერძოებული დასკვნა მოიცავს წესებს, რომელთა დარღვევას მოსწავლე მძაფრად განიცდის. მაგალითად, შესაძლოა, მას სწამს, რომ

2 Mindreading.

„შეცდომა არ უნდა დაუშვა“, ან „ტექსტი სრულყოფილად უნდა გქონდეს გააზრებული, ყველა დეტალი ზედმიწევნით ზუსტად უნდა იცოდე“.

იარლიყის მიკუთვნება – „სულელი ვარ“ ნაცვლად უფრო გაწონასწორებული ახსნისა, როგორიცაა მაგალითად: „ამ ტესტისთვის შესაბამისად არ მოვემზადე და ამიტომ ვერ ჩავაბარე“.

გაპიროვნება – მოსწავლე არ ითვალისწინებს იმას, რომ სხვა ადამიანის მდგომარეობა (ჯანმრთელობის გაუარესება, უბედური შემთხვევა) სხვადასხვა ფაქტორს შეიძლებოდა გამოეწვია: „დედა იმის გამოა ცუდად, რომ მე დაბალი ქულა მივიღე“.

რატომ უნდა ვიცოდე ეს მე, როგორც მასწავლებელმა?

პირველ რიგში, ყველაფერი გვაფიქრებს, რომ სწავლა მოწყვეტილი არაა ჩვენ მიერ მისი შედეგებისთვის მინიჭებული მნიშვნელობებისგან. თუ გავიხსენებთ, აღმოვაჩენთ, რომ ზოგიერთ ჩვენგანს იმისი ეშინოდა, რომ მშობლის რისხვას დაიმსახურებდა, ზოგიერთს კი იმისი, რომ მშობლის ჯანმრთელობა მის წარმატებასთან პირდაპირ იყო დაკავშირებული ან, სულაც, ის გვახარებდა, რომ მასწავლებლები გვაღიარებდნენ და ჩვენს უნარიანობას ხშირად აღნიშნავდნენ. ზოგიერთი ჩვენგანისთვის შეიძლება სწავლაში მიღწეული წარმატებები არა სიახლის გაგების სიხარულთან იყო მიჯაჭვული, არამედ უსიამოვნებისგან განრიდებასთან. მარტივად რომ ვთქვათ, მაგალითად, მე ნამდვილად ყველა საგანში წარმატებული მოსწავლე ვარ და, რატომღაც, ეს სიხარულს არ მანიჭებს, მუდმივ დათრგუნვილობას განვიცდი და, შესაძლოა, ვერც კი ამიხსნია, რატომაა ასე. დაფიქრების შემდეგ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მაღალი აკადემიური მოსწრება მოსალოდნელი სასჯელისგან ან კეთილგანწყობის დაკარგვისგან თავდაცვის ერთ-ერთი გზა იყო ჩემთვის.

ქცევის შეფასება კი ჩემი ქცევის მიღმა მდგომი შეფასებების გარეშე, სრულყოფილი ვერ იქნება. მაგალითად, გყოლიათ მოსწავლე, რომლის სასურველი ქცევების სიხშირე, თქვენი გულწრფელი ქების მიუხედავად, არათუ იმატებს, არამედ – მცირდება? ან, მოსწავლე, რომელიც მუდმივად გთხოვთ მისთვის დამაბრკოლებელი ამოცანის ამოხსნის გადავადებას?

შესაძლოა, სწორედ თქვენი და საკუთარი ქცევისათვის მინიჭებული შეფასებები მართავს თქვენი მოსწავლის ქცევას. იქნებ, ასწავლეს, რომ დახმარების გარეშე უნდა შეძლოს ამოცანების ამოხსნა და, აქედან გამომდინარე, თქვენი მხარდაჭერის მიღება უჭირს? ან, იქნებ, სწავლა მისთვის სრულიადაც არ არის ისეთი შედეგის უზრუნველმყოფი, რაც მისთვის სასურველი იქნებოდა? ან, იქნებ, ჩათვალა, რომ „სწავლა მისი არაა?“

რისი მწამს გულით?

თითქოს, ვიცით, რომ სწავლის დროს შეცდომების დაშვება გარდაუვალია. სწავლაში არსებულ დაბრკოლებებთან გამკლავება ადამიანებში უნარიანობის განცდასა და დაბრკოლებებთან გამკლავების შესაძლებლობების რწმენას აძლიერებს. სწავლის დროს არსებული დაბრკოლებებისადმი ჩემი განწყობა წამოჭრილი დაბრკოლებების საპასუხოდ განხორციელებულ ქცევებში ვლინდება.

მაგალითისთვის განვიხილოთ ჩემი, როგორც მოსწავლის გამოხმაურება აქამდე უცნობი საკითხის მიერ აღძრულ განცდებზე საპასუხოდ.

რას ვფიქრობ, თუ აღმოვაჩინე, რომ ამ საკითხზე აქამდე არაფერი მცოდნია, რას ვიფიქრებ ამ მოვლენაზე, რომელი ემოციები მომიცავს და როგორ მოვიქცევი?

თუ მჯერა, რომ სწავლა დაბრკოლებების გადალახვის პროცესია და სიახლეები სწავლის განუყოფელი ნაწილი, როცა ტექსტში აქამდე უცნობი რამ შემხვდება, შესაძლოა ეს დადებითი ემოციების აღმძვრელიც კი აღმოჩნდეს.

ქვემოთ მოცემულია გამოსახულება იმის უკეთ წარმოსადგენად, თუ როგორ არის გაშუალებული ქცევა გონებაში ძალდაუტანებლად აღმოცენებული აზრებითა და მათი თანმხლები ემოციებით.

გარემო და მოსწავლისაგან დამოუკიდებელი აღმძვრელების აღწერა
საკლასო ოთახი. მოსწავლე ეცნობა ტექსტს. მოსწავლისათვის უცნობი საკითხი.

▼

ფსიქიკური აღმძვრელი (განცდა, აზრი, ემოცია, გამოსახულება)
ცნობისმოყვარეობა

▼

ძალდაუტანებლად აღმოცენებული აზრი
„ეს რაღაც ახალია... ნეტავ, რას ნიშნავს? არ ვიცი."

▼

ემოციები და განცდები
ცნობისმოყვარეობის განცდა, აღტყინება, სიხარული.

▼

ძალდაუტანებლად აღძრული აზრისთვის მინიჭებული მნიშვნელობა
„მეტი მეცოდინება, ვიდრე აქამდე ვიცოდი. განვვითარდები."

ემოციები და განცდები
სიხარული, ცნობისმოყვარეობა და სხვა, მონათესავე განცდები.

▼

წესები, რომელთაც ჩემი ქცევები ეყრდნობა
„უნდა ვცადო, ჩემთვის უცნობი საკითხის დაზუსტება.“

▼

სწავლასთან დაკავშირებული რწმენები, რომლებიც ჩემი ქცევების საფუძველია
„სწავლა განვითარებაა.“
„სიახლე სწავლის განუყოფელი ნაწილია.“
„ეს ჩემთვის ახალი საკითხია და, ჯერ-ჯერობით, მის შესახებ ცოტა რამ ვიცი. თუმცა, შემიძლია, ვისწავლო.“
„ბუნებრივია ახალი საკითხების არსებობა, რომელიც ჯერ არ ვიცი.“
„ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია.“

▼

მოვლენისა და საკუთარი თავის შეფასება, რომლებიც წესებისა და რწმენებისგან გამომდინარეობს
„თუ სწავლა განვითარებას ნიშნავს, გამოდის, ეს სიახლეც ჩემი განვითარების შესაძლებლობაა.“
„ის, რომ ამ საკითხის მნიშვნელობა არ ვიცი, მიბიძგებს მოვიძიო შესაბამისი წყაროები, რაც სიახლის გაგებაში დამეხმარება.“

▼

ქცევები
საკითხის მნიშვნელობის დაზუსტებისთვის გამიზნული ქცევები: უცნობი საკითხის მნიშვნელობის მოძიება, მხარდამჭერი პირის ძიება, მხარდამჭერი პირისთვის კითხვების დასმა საკითხთან დაკავშირებით.

ზემოთ მოცემულ სქემაში აღწერილია დამოკიდებულება, რომელიც გონებაში შემოჭრილ აზრს ემოციებით ფერავს. ის, რომ მე აქამდე განსაზღვრული საკითხი არ ვიცოდი და მჯერა, რომ ახლა მაქვს შანსი, გავიგო სიახლე, სწავლისადმი, როგორც განვითარებისადმი, დამოკიდებულებას ასახავს. ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეები, რომლებიც სწავლას განვითარებასთან აიგივებენ, სიახლის განცდას სწავლისაგან განუყოფელ ნაწილად აფასებენ. შესაბამისად, შექმნილ დაბრკოლებებს მათი გონება უნარიანობის კიდევ ერთხელ დამტკიცების შესაძლებლობად აფასებს.

ხშირად, სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება დაბრკოლებისა და მარცხისადმი დამოკიდებულებების სწავლაზე განზოგადების შედეგია. ქვემოთ მოცემულ სქემაში ჩანს, ძალდაუტანებლად აღმოცენებული აზრებისთვის მინიჭებული უარყოფითი მნიშვნელობები როგორ მოქმედებს ქცევაზე.

შეცდომებისა და დაბრკოლებების მიერ აღძრული განცდებისადმი მოსწავლის მედეგობა იმ განწყობებზეა დამოკიდებული, რომლის ჭეშმარიტებისაც მას სწამს. შესაძლოა, ჩვენ გაშინაგნებული გვქონდეს რამდენიმე, ერთმანეთთან დაპირისპირებული განწყობა („ყველაფერი უნდა ვიცოდე“, „ყველა-



ფერი ვერ მეცოდინება“), თუმცა, უპირატესად, ერთი განწყობის ჭეშმარიტების გვწამდეს და ამას ჩვენი აზრები, ემოციები და ქცევები ასახავს. შესაძლოა, ვამბობდეთ, რომ შეცდომა ან მარცხის განცდა სწავლის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, ჩვენი აზრები, ემოციები და ქცევები არ შეესაბამებოდეს ჩვენსავე ნათქვამს. შესაძლოა, მე მარცხის განცდისადმი ნაკლებად ამტანი აღმოვჩნდე და ჩემი წარუმატებლობისადმი – ნაკლებად შემწყნარებელი. ჩემი ქცევები ავლენს, თუ რომელი განწყობის ჭეშმარიტების მწამს.

სწავლისადმი, დაბრკოლებებისა და შეცდომის შეფასების გარდა, თითოეული ჩვენგანი აფასებს იმ ემოციებსაც, რომელთაც განიცდის. მაგალითად, მე მწამს, რომ მოწყენილობა აუტანელია ან შფოთვა – დამაზიანებელი ან მწამს, რომ სწავლა მარცხის და სასოწარკვეთის განცდის გარეშეც შესაძლებელია. თუ ეს ასეა, მარცხის განცდისადმი მგრძნობიარობამ შესაძლოა, უმოქმედობის, ამ განცდის აღმძვრელი გარემოსგან გაქცევისა და განრიდებისკენ მიბიძგოს, რაც, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება სწავლისადმი ჩემს დამოკიდებულებებსა და შედეგებზე.

ამ შემთხვევაში, ჩვენი, როგორც მასწავლებლების მიზანი კი იმ განწყობების წახალისებაა, რომლებიც მოსწავლეებს განვითარებისკენ უბიძგებს.

ვზრუნავ, თუ...?

სიჩუმე რამდენიმე წამის მანძილზე გაგრძელდა. ვგრძნობდი, რომ რაღაც უცნაური ხდება ჩემ თავს: კუნთები მსუბუქად მეძაბება, უხერხულობის განცდა მწიფდება და, თითქოს, გონებას და სხეულს სცდება. მგონია, რომ თუ ახლა არ გავთავისუფლდი ამ მოუსვენრობისგან, უსასრულოდ გაგრძელდება სიჩუმე.

ჩემ წინ ჩემი სტუდენტია, რომელთანაც განსაზღვრული საკითხების განსახილველად გვიანობამდე შემოვრჩით. ახლა გამოცდა არ არის. არ ვაფასებ: არც განმავითარებელი, არც სხვაგვარი შეფასების საშუალებით.

სტუდენტი მეუბნება, რომ კითხვა ვერ გაიგო. ვცდილობ, ზედმიწევნით ზუსტად გავუმეორო, შემდეგ განვუმარტო და დავუზუსტო, რას ვგულისხმობდი იმ კითხვაში. სტუდენტი ჩემ წინ მორცხვად ზის: თავდახრილი, მოუსვენრად აცეცებს თვალებს და მხოლოდ დროდადრო მისწორებს თვალს. ვვარაუდობ, რომ დაზუსტების შემდეგაც, არ აქვს პასუხი. ცოტა დრო მაქვს, მივხვდე, რას განიცდის და რა ჰქვია მის განცდას. მგონია, თუ კითხვაზე პასუხს შევთავაზებ, გაცილებით მშვიდად იგრძნობს თავს. სავარაუდოდ, იმაზე დარდობს, რომ პასუხი არ აქვს. შეიძლება, ჩემგან გაკიცხვასაც ელის.

რა შეიძლება გავაკეთო ამ შემთხვევაში?

I ვერსია – სწორი პასუხის შეთავაზება

შემიძლია, ჩემს სტუდენტს თავად შევთავაზო სწორი პასუხი. რას მივაღწევ? ერთი მხრივ, გავთავისუფლდები იმ შფოთვისგან, რომელსაც, რატომღაც, ვგრძნობ უხერხული სიტუაციის არსებობის დროს.

დაკვირვებიხართ, რას განიცდით, როცა სხვა ადამიანი შეუსაბამოდ იხუმრებს ან რაიმე შემაცბუნებელი შეემთხვევა? ამ შემთხვევაში, ზოგიერთ ჩვენგანს გაქცევის ან უხერხულობის განმუხტვის ძლიერი სურვილი იპყრობს.

შესაძლოა, ასეთივე სურვილმა მაშინაც მოგიცვათ, როდესაც თქვენ წინ თქვენი მოსწავლეა, რომელიც უიმედოდ დაჰყურებს თავის დაშვებულ შეც-

დომას ან მისი უმოქმედობა და სევდა იმისკენ გიბიძგებთ, რომ მას მზა პასუხი შესთავაზოთ. ანუ, არათუ პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტის გზების აღმოჩენაში ეხმარებით, არამედ – პრობლემურ სიტუაციასთან გამკლავების გზას პირდაპირ სთავაზობთ.

ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილება უნარიანობის განცდაა.

რას ნიშნავს ეს მოთხოვნილება?

მე მინდა, დარწმუნებული ვიყო, რომ შემიძლია, დაბრკოლებებს გავუმკლავდე.

როგორ შეიძლება ეს განცდა შემექმნას?

როდესაც საკუთარი შეცდომის შედეგად წარმოქმნილ დაბრკოლებებთან გამკლავება თავად შემიძლია.

როგორ შემიძლია, განვივითარო ეს განცდა?

როდესაც მცირეწლოვანი ვარ, მჭირდება მფარველი, რომელიც დაშვებული შეცდომის აღმოჩენაში დამეხმარება, ერთად შევძლებთ, შეცდომის გასწორების შესაძლო გზებზე ფიქრს.

რას გულისხმობს ეს უკანასკნელი?

მე მჭირდება უსაფრთხო საყრდენი: უსაფრთხოების განცდა, როდესაც შეცდომას ვუშვებ. მჭირდება ადამიანი, რომელსაც ვეყრდნობი, ერთი მხრივ, განჭვრეტადი იყოს: ჩემს დაშვებულ შეცდომებზე მისი ქცევების წინასწარმეტყველება შემეძლოს. მეორე მხრივ – უსაფრთხო: ვიცოდე, რომ ჩემი შეცდომა მისთვისაც სწავლის შესაძლებლობაა.

ამას იმ შემთხვევაში ვგრძნობ, თუ ერთად ვსვამთ ისეთ კითხვებს, როგორიცაა:

„შეგიძლია, განსაზღვრო, რა შეასრულე შეცდომით შენს დავალებაში?“ – ეს კითხვა განმაწყობს, თავად ვეძებო შეცდომები, ვიფიქრო, რა შეიძლებოდა, შემშლოდა. ამასთან, ავითარებს ჩემს უნარს, ვარაუდი გამოვთქვა ჩემს შესრულებულ დავალებაზე.

მასწავლებლისთვის კი მსგავსი კითხვები მნიშვნელოვანია, რამდენადაც:

ა) **წარმოდგენას უქმნის მას, შეუძლია თუ არა მოსწავლეს, დაუშვას შეცდომის არსებობა. ანუ, შეუძლია თუ არა გაიაზროს დავალება.**

ბ) გააანალიზოს მოსწავლის ცოდნაში არსებული შეზღუდვები და განსაზღვროს, რას ფიქრობს მოსწავლე დაშვებულ შეცდომაზე.

„რა შემიძლია, გავაკეთო, შენ რომ უკეთ შეძლო დავალების შესრულება?“ – შესაძლოა, იფიქროთ, რომ ეს კითხვა მეტისმეტად შეუსაბამოა მცირეწლოვანი ბავშვისთვის და მისი გაჟღერება უშედეგო იქნება. თუმცა, ამ კითხვაზე მიღებული პასუხები თქვენ დაგეხმარებათ, გაიგოთ, როგორ წარმოუდგენია მოსწავლეს თქვენი მონაწილეობა უნარების გაუმჯობესებაში. იქნებ, თქვენ ესაუბრებით ადამიანს, რომელიც ისურვებდა, დამოუკიდებლად ეცადა კონკრეტული შეცდომის გამოსწორება.

„მოდი, ერთად ვცადოთ, ამ შეცდომაზე დაფიქრება. როგორ ფიქრობ, რატომ დაუშვი ეს შეცდომა?“ – ეს კითხვა მოსწავლეს, ერთი მხრივ, აფიქრებინებს, რომ თქვენ, როგორც მფარველი, მზად ხართ, უნარების გაუმჯობესებისთვის მასთან ერთად იყოთ. მეორე მხრივ, ეს კითხვა ქმნის ვარაუდების წარმოქნის მზაობას, როგორ შეიძლებოდა ეს შეცდომა დაეშვა მოსწავლეს, რაც მას დაეხმარება, გაიაზროს ის ნაბიჯები, რომლებმაც მცდარ შედეგამდე მიიყვანა.

რისთვის გვჭირდება ეს ყველაფერი?

მზრუნველობა ადამიანის ისეთი მოთხოვნილებაა, რომლის დაკმაყოფილებაც ნებისმიერი სახის ურთიერთობაში სურს ადამიანს იმისგან დამოუკიდებლად, აღიარებს თუ არა ამ მოთხოვნილების არსებობას. ზრუნვა ყურადღების და გულისხმიერების გამოხატვასთან ერთად, ადამიანების უნარიანობის განცდის განვითარებაში დახმარებას გულისხმობს.

ამიტომ, მნიშვნელოვანია, საკუთარი ქცევების გააზრებისთვის ისეთი კითხვები დავსვათ, როგორიცაა:

ა) **რას ვფიქრობ ჩემი მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებზე?** – იქნებ, ჩემი მოსწავლის დაშვებული შეცდომები ჩემს დამარცხებად მიმაჩნია? იქნებ, ვფიქრობ, რომ მხოლოდ მე ვარ პასუხისმგებელი ჩემი მოსწავლის შეცდომებზე?

ბ) **რას მაგრძნობინებს ჩემი მოსწავლის დაშვებული შეცდომები?** – მასწავლებლობა განუყოფელია უიმედობის და დამარცხების განცდისგან. არსებობს დღეები, როდესაც ფიქრობ, რომ შენი საქმიანობა უშედეგოა და დადებითისკენ არაფერს ცვლის შენი ძალისხმევა.

გ) როგორ ვიქცევი ჩემი მოსწავლის დაშვებული შეცდომების საპასუხოდ? – იქნებ, ვცდილობ, მარცხის განცდისგან დავიცვა თავი და, ამიტომ, მოსწავლეს თავად ვთავაზობ სწორ პასუხებს? იქნებ, კითხვასა და პასუხს შორის ჩამოვარდნილი სიჩუმე მაშფოთებს და ვცდილობ, ეს სიჩუმე რაც შეიძლება სწრაფად დავასრულო სწორი პასუხისკენ გზის გამარტივებით?

II ვერსია – როგორ მოიქცეოდით თქვენ?

აქ თქვენი თვითანალიზის სივრცეა. აღწერეთ თქვენი მოსწავლის შეცდომამ რა გაფიქრებინათ, რა გაგრძნობინათ და რისკენ გიბიძგათ.

ზრუნავთ მასზე და თქვენს თავზე?

ისაუბრეთ მათთან

ბავშვებისთვის განუსაზღვრელობით სავსე დროა. მათ მეტად სჭირდებათ მფარველი ზრდასრული, რომელიც მათთან გულღიად ისაუბრებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. სიახლეების უწყვეტი ნაკადის ზემოქმედებისგან გამომდინარე, რთულია, ყველაფერს გაეცნო, რასაც მოსწავლეები ან შვილები ეცნობიან. თითქმის შეუძლებელია, პასუხი გქონდეს ყველა იმ კითხვაზე, რაც მათ აღელვებთ. თუმცა, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობის, სიახლეების სანდოობის ერთად შემოწმების მზაობისა და მოსწავლეებში კითხვების დასმის უნარის განვითარება. ხშირად, მოსწავლეებს განცდილი ემოციების დასახელება უჭირთ. მათ ცხოვრებაში ახლა უჩვეულო ხანაა. მაგალითად, სწავლა-სწავლების ახალი გზები მათაც აფორიაქებს. ერთი მხრივ, ისინი სიახლეს სიხარულით ხვდებიან, მეორე მხრივ, თუ იმ გარემოებებს გავითვალისწინებთ, რომელთაგან გამომდინარეც, ისინი ამ სიახლის წინაშე აღმოჩნდნენ – დღის მანძილზე ერთი და იმავე სივრცეში ყოფნა, ერთი და იმავე გამღიზიანებლების ზემოქმედება – მივხვდებით, რომ დღევანდელობა ბავშვებში მოწყენილობის განცდას აძლიერებს. ბავშვებიც დაჟინებით ცდილობენ ამ განცდისგან გათავისუფლებას. მოწყენილობისადმი ასეთი განწყობის ერთ – ერთი განმაპირობებელი სტიმულების სიჭარბეა, რომლითაც თანამედროვე ზრდასრულების და ბავშვების ცხოვრებაა მოცული. თუ საკუთარ თავსაც გამოვუტყდებით, ჩვენც გვიჭირს, ყურადღება ხანგრძლივად დავუთმოთ ერთ კონკრეტულ აქტივობას ან საკითხს, რადგან სოციალური მედიის სივრცეში განთავსებული მორიგი სიახლე ცდილობს ჩვენი ყურადღების მიპყრობას. შეტყობინებები სოციალური მედიის სივრცეში დამეგობრებული ადამიანების ცხოვრების თუ სხვადასხვა, მეტად მნიშვნელოვანი სიახლეების ნაკადი ჩვენს ფსიქიკასა და თავის ტვინს შეგუების უწყვეტი აუცილებლობის წინაშე ამყოფებს.

ვფიქრობ, მასწავლებლებს შეუძლიათ, მოსწავლეებს სიახლეებთან შეგუებაში დაეხმარონ. მათ ამაში ემოციების ცნობა და თანაგრძნობის სწორად გამოხატვის უნარის გავარჯიშება დაეხმარება.

ყურადღების მართვის სირთულე და მოუსვენრობა – როდესაც ბავშვი ცქმუტავს და ყურადღებას არ გვაქცევს, შესაძლოა, ის შფოთვას განიცდიდეს. ხშირად, ამ ემოციით მოცული ბავშვები საგაკვეთილო პროცესიდან უეცრად განყენებულნი ხდებიან და მათი გამომეტყველება ოცნებით გატაცებული ადამიანის შთაბეჭდილებას გვიქმნის. არ არის გამორიცხული, ისინი მოცულნი იყვნენ მათთვის მნიშვნელოვან კითხვებზე ფიქრით. მოუსვენრობა, ხშირ შემთხვევაში, შფოთვის თანმხლები სხეულებრივი შეგრძნებაა. შესაძლოა, მოსწავლე ხშირად ასრულებდეს მოძრაობებს, იმეორებდეს განსაზღვრულ ქმედებებს, უჭირდეს საუბრის დასრულება ან, ერთი შეხედვით, აღტყინებულიც იყოს.

ბავშვებს უჭირთ ემოციების დასახელება და განსაზღვრულ ასაკამდე შფოთვასთან გამკლავების აზრობრივი გზები, ანუ, ფაქტების აწონ-დაწონვის საფუძველზე დამშვიდების უნარი, განსავითარებელი აქვთ. ისინი, ძირითადად, ყურადღების მართვის სირთულესა და კუნთებში მტანჯველი მოუსვენრობის შეგრძნებებს ხშირი მოძრაობით და ყურადღების მართვის სირთულით პასუხობენ. მოზარდებს უჭირთ შფოთვის მიერ გაძლიერებული, ერთი და იმავე შინაარსის აზრებისგან გათავისუფლება.

განუსაზღვრელობა აძლიერებს შფოთვას – შესაძლოა, ბავშვებმა ვერ დაასახელონ, რას განიცდიან, თუმცა, მათ ისევე აღელვებთ განუსაზღვრელობა, როგორც ზრდასრულებს. ხშირად, ბავშვებს უჭირთ ფაქტებისთვის სწორი მნიშვნელობების მინიჭება, რაც ღელვას აძლიერებს. გარდა ამისა, მათ აწუხებთ კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემას მთელი გულით ისურვებდნენ, თუმცა, სხვადასხვა მიზეზისგან გამომდინარე, თავს იკავებენ მათი გაჟღერებისგან. ბავშვებს აინტერესებთ, რატომ არიან შეზღუდული სახლში ყოფნით, რატომ არის აკრძალული გარეთ გასვლა, როდის დამთავრდება ასე სწავლება, როდის შეძლებენ მეგობრების პირისპირ ნახვას, რატომ არიან მათი მშობლები შეშფოთებული.

როგორ მოვიქცეთ?

აღიქვით მათი სადარდებელი სერიოზულად – ხშირ შემთხვევაში, შფოთვას განუსაზღვრელ გარემოებებში განვიცდით და თითოეული ჩვენგანი ცხოვრებაში რამდენჯერმე მაინც ავღელვებულვართ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მოსწავლე გადაწყვეტს, გესაუბროთ სადარდებელზე, ეცადეთ, ეს გაბედულ

ნაბიჯად ჩათვალოთ, რადგან, ხშირად, მცირეწლოვანი ბავშვები თუ მოზარდები თავს კიცხავენ იმ ემოციების გამო, რომელთაც განიცდიან. ზოგჯერ მათ სჯერათ, რომ მხოლოდ მათ ეშინიათ და არ უნდა ეშინოდეთ. შესაბამისად, თუ ისინი თქვენთან ისურვებენ ამ საკითხზე საუბარს, ეცადეთ, შეაქოთ გულწრფელობისთვის.

აღიარეთ შფოთვის საფუძველი და მიიღეთ შფოთვა რეალობად – ბოლო ერთი თვის მანძილზე, სწრაფად ცვალებადი რეალობა ფორიაქის საფუძველია. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ და თქვენი მოსწავლეები გულწრფელად საუბრობთ ამაზე, შეგიძლიათ, ასეთი ფრაზები გამოიყენოთ: „ბუნებრივია, რომ ღელავ. ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის, მეც, დროდადრო, ვშფოთავ.“ „რომ არ მქონოდა პასუხი, მეც ვიღელვებდი იმ კითხვებზე, რომელიც გაწუხებს.“

თავი შეიკავეთ მოსწავლის შერცხვენისგან – როგორც წესი, შერცხვენა იმას გვაფიქრებინებს, რომ მიუღებელია როგორც ჩვენი ქცევები, ასევე – ჩვენი ემოციები. შესაბამისად, სასურველია, თავი შევიკავოთ ისეთი ფრაზების გამოყენებისგან, როგორიცაა: „რა გემართება?,“ „როგორ არ შეგიძლია, მშვიდად იჯდე?“

თავი შეიკავეთ მოსწავლის მდგომარეობისკენ თანაკლასელების ყურადღების მიპყრობისაგან – ხშირად, მოსწავლეები, გაურბიან საკუთარ ემოციებზე თანაკლასელებთან საუბარს. ასეთ დროს, სასურველია, განცალკევებით განიხილოთ მისი ქცევა. მაგალითად, მას შემდეგი სიტყვებით მიმართოთ: „ბოლო დროა, შევნიშნე, რომ ჩაფიქრებული ხარ. გინდა, მითხრა, რა გაწუხებს?,“ „იქნებ, შევძლო შენს კითხვებზე პასუხის გაცემა?,“ „ხომ ვერ დაგეხმარები?“

თუ მოსწავლეს არ სურს გულახდილად საუბარი, შეგიძლიათ, მას უთხრათ, თუ სურვილი ექნება, გესაუბროთ თავის მდგომარეობაზე, თქვენ მზად ხართ, მოუსმინოთ.

ხუთი წუთი ხშირად დასმული კითხვებისთვის – შეგვიძლია, საგაკვეთილო დროის მცირე ნაწილი ჩვენი მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენოთ. ან, იმისათვის, რომ გამოვავლინოთ, რომელ კითხვებზე ისურვებდნენ პასუხის მოსმენას. ბოლო თვენახევრის მანძილზე, ჩვენ ხშირად გვახსენებენ, რომ ჩვენი ქცევები ერთმანეთზე აისახება. შესაძლოა, ბავშვებს ბუნდოვნად წარმოედგინოთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ხელების ოცი წამის მანძილზე, საგულდაგულოდ დაბანა, რატომ უნდა ვიმყოფებოდეთ ერთმანეთისგან განსაზღვრულ მანძილზე, რატომ უნდა

დავრჩეთ სახლში. ამ შემთხვევაში, დაგვეხმარება ისეთი წყაროების მოძიება, რომლებიც ბავშვებისთვის მკაფიოდ განსაზღვრავს პასუხისმგებლობას. მაგალითად, შეგვიძლია, მცირეწლოვან მოსწავლეებს UNICEF-ის მიერ გავრცელებული, სახალისო ვიდეორგოლის დახმარებით განვუმარტოთ, როგორ უნდა დავიბანოთ ხელები. მნიშვნელოვანია, მკაფიოდ განვუსაზღვროთ მოსწავლეებს მათი პასუხისმგებლობის სფერო. მაგალითად, შეგვიძლია, მოსწავლეები მცირე დისკუსიაში ჩავრთოთ, დავუსვათ კითხვა: „თქვენი აზრით, რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი და საყვარელი ადამიანების ჯანმრთელობაზე ვიზრუნოთ?“ ამ კითხვის ირგვლივ მსჯელობა, ერთი მხრივ, დაგეხმარებათ, გამოავლინოთ, როგორ წარმოუდგენიათ მათ თავიანთი წვლილი ირგვლივმყოფების ჯანმრთელობაზე ზრუნვაში. ასევე, შეგვიძლია, მოკლედ განვიხილოთ მათ მიერ წარმოსახული, მოვლენების შესაძლო განვითარება. თუ მათ დავუსვამთ შემდეგ კითხვას – „როგორ ფიქრობთ, რა მოხდება, თუ არ დავრჩებით სახლში და გარეთ გავალთ?“ – გავიგებთ, როგორ წარმოუდგენიათ მოვლენების განვითარება კონკრეტული რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. მომავალი გაკვეთილის დასასრულისთვის კი შეგვიძლია, მოვიძიოთ ისეთი მასალები, რომლებიც მოსწავლეებში მნიშვნელოვნების განცდას და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ჩვენი მიზანი კი ისაა, რომ შფოთვის ნაყოფიერ ქმედებად გარდაქმნაში დავეხმაროთ მოსწავლეებს და, თუ შეგვიძლია, საგაკვეთილო გეგმის მიღმა არსებული ურთიერთობის სივრცეებიც, დროდადრო, მოვიკითხოთ და მოვინახულოთ.

ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი

ზარმაცი ვარ. ზოგჯერ ეს წინადადება არა მხოლოდ მოსწავლის დახასიათება, არამედ – ირგვლივმყოფებსა და მოსწავლეს შორის არსებული შეთანხმებაა, რომელიც დამატებით ნაგულისხმევ მნიშვნელობებს მოიცავს. მაგალითად:

[ზარმაცი ვარ], შესაბამისად, სწავლის სურვილი არ მაქვს.

[ზარმაცი ვარ], შესაბამისად, წარუმატებელი ვარ.

[ზარმაცი ვარ], შესაბამისად, ნურაფერს ელით ჩემგან: ნურც მიღწევებს, ნურც მიღწეულის გაუმჯობესებას.

ხშირად, სიზარმაცეს იმ მოსწავლეებს მიაწერენ, რომელთა ქცევებიც სწავლის სურვილის ნაკლებობად ფასდება. რატომ არ შეასრულა დავალება ამჯერად მაინც? სავარაუდოდ, იმიტომ, რომ სწავლის სურვილი არ აქვს. ანუ, ზარმაცია.

დროთა მანძილზე, მოსწავლე იწყებს ამ შეფასებით სარგებლობას.

როგორ შეუძლია მოსწავლეს გამოიყენოს ეს შეფასება თავის სასარგებლოდ?

როდესაც ამ საკითხებში გათვითცნობიერებისთვის მცირე დრო მაქვს ან, უბრალოდ, არ ვიცი, როგორ გადავჭრა ის ამოცანები, რომლებიც ჩემ წინაშეა, გაუცნობიერებლად ზარმაცის იარლიყს მივმართავ დასახმარებლად. რატომ?

დადგენილია, რომ ადამიანები უჩვეულოდ იქცევიან მნიშვნელოვან გასაუბრებამდე ან გამოცდამდე ერთი დღით ადრე. შესაძლოა, მათ ჭარბი რაოდენობით ალკოჰოლური სასმელი მიიღონ ან გვიანობამდე შემორჩნენ მეგობრებთან ერთად რომელიმე ბარში, სადაც გამოფიტვამდე ცეკვავენ. კითხვაზე, თუ რატომ შეიძლება ასე მოიქცე მნიშვნელოვან მოვლენამდე ერთი დღით ადრე, ერთ-ერთი მამოძრავებელი ასე ჟღერს: თუ მე წარუმატებლად ჩავაბარებ გამოცდას ან გასაუბრებაზე ჩემს მონაცემებს დაიწუნებენ, მე შევძ-

ლებ, ეს არა ჩემი უუნარობით, არამედ ჩემი მდგომარეობით ავხსნა. ამიტომ, გაუცნობიერებლად, წინასწარ ვქმნი ჩემი ქცევის ისეთ ახსნას, რომელიც უუნარობის განცდას განმარიდებს: დამიცავს ამ განცდისგან. ნაბახუსევი ვიყავი, ამიტომ, ვერ ვაზროვნებდი, უუნარო კი არ ვარ. ცეკვამ გამომფიტა, ალბათ, ისე შთამბეჭდავად ვერ ვმეტყველებდი, უუნარო კი არ ვარ.

ასევე მოქმედებს ადამიანებზე იარლიყი – [ნიჭიერია, მაგრამ] ზარმაცი.

ხშირად, ფორმულირება – [ნიჭიერია, მაგრამ] ზარმაცი – ადამიანებს აფიქრებს იმაზე, რომ მათ უნარიანობაში ეჭვი არავის ეპარება. ეჭვი ეპარებათ იმაში, უნდა თუ არა ადამიანს სწავლა. შესაბამისად, უუნარობის განცდისგან უცნაურად, მაგრამ, ამჯერადაც, დაცული ვართ.

თუმცა, ეს მანამ, სანამ იარლიყი – [ნიჭიერია, მაგრამ] ზარმაცი – არ გამოიწვევს ჩემი უნარიანობის განცდის სრულ ამოწურვას, რადგან უნარიანობის განცდას ისევე სჭირდება ზრუნვა, როგორც პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას.

დროთა მანძილზე, ჩემი მიღწევები მეხსიერების მიუვალ კუნჭულებში გადაინაცვლებს, სიცინცხლეს დაკარგავს, უფრო და უფრო გამიჭირდება საკუთარი თავის, როგორც უნარიანი ადამიანის შეფასება და წინ უნარიანობის განცდის ნაკლებობა წამოიწევს.

ამდენად, მნიშვნელოვანია, საკუთარ თავთან თუ სხვებთან დაკავშირებით ასეთი კითხვა დავსვა:

ჩემი ან ჩემი მოსწავლის ქცევებს ნამდვილად შესატყვისად ახასიათებს იარლიყი – [ნიჭიერია, მაგრამ] ზარმაცი?

ჩემი მოსწავლის ქცევები ნამდვილად სწავლის სურვილის ნაკლებობაზე მიანიშნებს, თუ არსებობს ამ ქცევის სხვა მამოძრავებელი?

ქმედების დაწყების გადავადებას, რომელსაც პროკრასტინაციასაც უწოდებენ, სხეულებრივი საფუძვლების გარდა, ფსიქიკური მამოძრავებლები და კონკრეტული მიზნები აქვს. ხშირად, ქმედების დაწყების გადავადებისკენ მიდრეკილ ადამიანებს არათუ სწავლა არ უნდათ, არამედ – განსაზღვრული ემოციების და საკუთარ თავთან დაკავშირებული დადებითი წარმოდგენების დაკარგვა არ სურთ.

ქმედების დაწყების გადავადებას რამდენიმე მიზეზი აქვს.

#1 – სრულყოფილებისკენ დაუოკებელი სწრაფვა[1]

ეს პიროვნული თავისებურება შესაძლოა იქცეს როგორც საშუალებად, ასევე – თვითმიზნად. ადამიანების ნაწილი, რომელიც სრულყოფილებისკენ ისწ-

რაფვის, აცნობიერებს, რომ სრულყოფილება რომც არსებობდეს, მისი მიღწევა თითქმის შეუძლებელია, თუმცა, ცდილობენ, სრულყონ ცოდნა, განივითარონ უნარები და შეუძლიათ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. ასეთი ადამიანები აცნობიერებენ, რომ ცოდნის გამდიდრება არ ნიშნავს იმას, რომ არ დარჩება პასუხგაუცემელი კითხვები ან გასაუმჯობესებელი უნარი. თუმცა, მათთვის ეს თვისება შემეცნების იარაღია. ხოლო ადამიანები, რომელთათვისაც სრულყოფილება თვითმიზანია, ხშირად, თავს იცავენ სხვა, მათთვის მეტად არასასურველი მოლოდინების ახდენისგან. შესაძლოა, ამ თავისებურების მქონე ადამიანებისგან ხშირად მოისმინოთ ისეთი ფრაზები, როგორიცაა:

თუ ბოლომდე ვერ გაიგებ რამეს, რა აზრი აქვს რაიმეს სწავლის დაწყებას?

თუ ყველა საგანში ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად არ მეცოდინება, რა აზრი აქვს სწავლას?

#2 – სტრესორებზე რეაგირების თავისებურება

შესაძლოა, თქვენმა მოსწავლემ ჩათვალა, რომ ტექსტში მეტისმეტად ბევრი უცნობი სიტყვა, ცნება ან ფორმულაა. შფოთვასთან გამკლავებისთვის, ზოგიერთი მოსწავლის გონება ოცნებით, დავალებასთან დაუკავშირებელი აზრებით, ემოციებითა და ქცევებითაა გატაცებული.

აღიარეთ, ვის არ დაგვილაგებია სახლი ან ვის არ გვითვალიერებია ნაცნობ-მეგობრების ფოტოები მთელი დღის მანძილზე, ოღონდ, იმ ტექსტის კითხვა არ დაგვეწყო, რომელშიც უამრავი უცნობი სიტყვა, ცნება თუ ფორმულაა? ან, ვის არ გაგვიტარებია მთელი დღე საუბარში, ოღონდ, იმ ტექსტის წერა არ დაგვეწყო, რომელიც ჩვენგან დიდი ძალისხმევის გაღებას მოითხოვდა?

ზოგჯერ გარემოს მოთხოვნები მეტისმეტია ჩვენი მოსწავლეებისთვის: ახალი ცნებები, ტერმინები, ფორმულები, მათი ისტორია, ფორმულების გამოყენება და ა. შ.

#3 – ძირითადის მეორეხარისხოვნისგან განსხვავების სირთულე

რომელი ფერის კალმით დავწერო ეს ესე? მობილურში დავიწყო წერა, თუ კომპიუტერში? იქნებ, სჯობს, ელ-ფოსტაში ავკრიფო, შეინახებოდა. სამუშაო ფურცელი ყვითელი იყოს თუ თეთრი? წერის დაწყება დილით საუზმემდე სჯობს, თუ გვიან ღამით?

თითოეული ამოცანა მოიცავს ძირითადს და მეორეხარისხოვანს. ზოგჯერ მოსწავლეს უჭირს, განსაზღვროს, რამდენად აისახება ან აისახება თუ არა რომელიმე დეტალის გაუთვალისწინებლობა დავალების შესრულების ხარისხზე.

მოსწავლეებს უჭირთ, ერთმანეთისაგან პირველხარისხოვანი მეორეხარისხოვნისგან განასხვაონ.

ამდენად, სასურველია, ინსტრუქციები მათდამი მოლოდინებსაც ზუსტად ასახავდეს.

მაგალითად, რატომ არის მნიშვნელოვანი თემის სიტყვების რაოდენობის განსაზღვრა? დიდი ალბათობით, იმიტომ, რომ მოსწავლეები დროს და ძალისხმევას არ ხარჯავენ ისეთ საკითხზე ფიქრში, რომელსაც, თურმე, პასუხი, საერთოდაც, არ აქვს და გამოცნობანას[2] თამაშობენ: არავინ იცის, რამდენი სიტყვისგან შედგენილ თემას ელიან მისგან. თუმცა, ზოგიერთ მოსწავლეს მასწავლებლის მოლოდინებთან თემის სიტყვების რაოდენობის შესაბამების ძლიერი სურვილი ეუფლება, რაც თავად წერის დაწყებას ართულებს.

#4 – შედეგების განუსაზღვრელობა და განუსაზღვრელობის აუტანლობა

ზოგიერთი მოსწავლე დიდი ხნის მანძილზე ფიქრობს ქმედების შედეგებზე. მაგალითად, რა შედეგი მოჰყვება იმას, თუ ისეთ თემას დაწერს, რომელიც მასწავლებელს ან მის ძვირფას ადამიანებს მოლოდინს გაუცრუებს? როგორ მოიქცევა ასეთ შემთხვევაში? შეძლებს, მომდევნო თემა წარმატებით დაწეროს?

მოსწავლეებს წარმოსახული შედეგები აშფოთებთ. იმ შემთხვევაში, თუ მე დროებით გადავავადებ თემის დაწერას, შევძლებ, განვერიდო იმ შედეგებზე ფიქრსაც, რომელიც ჩემთვის ავისმომასწავებელია. ჯერ ვითამაშებ, შემდეგ – მეგობრებს დაველაპარაკები, შემდეგ ცოტა დროს ოცნებასაც დავუთმობ და ასე გადავავადებ უსიამოვნო შედეგებზე დამაფიქრებელი დავალების შესრულების დაწყებას.

ამ შემთხვევაში, მე გაუცნობიერებლად ვირჩევ, განვერიდო შფოთვის განცდას და ისეთი აქტივობები განვახორციელო, რომლებიც თავს უნარიან ან სასურველ ადამიანად მაგრძნობინებენ.

#5 – ვერ ვიგებ, რისთვის ვაკეთებ ამას

ზოგიერთ მოსწავლეს უჭირს დავალების მიზნის წვდომა. ხშირად, მათ სჭირდებათ ზუსტი პასუხი იმაზე, თუ რ ი ს თ ვ ი ს ასრულებენ განსაზღვრულ

დავალებას. ზოგიერთი მათგანი უხალისოდ დაჰყურებს დავალებას და განმეორებით უსვამს საკუთარ თავს კითხვას: „ბოლოს და ბოლოს, რატომაა ამ დავალების შესრულება ჩემთვის მნიშვნელოვანი? რას ვისწავლი ახალს?“

შესაძლოა, დავალების მიზნის მკაფიოდ ჩამოყალიბება მოსწავლის ქცევის მამოძრავებელი და გზამკვლევი გახდეს.

„რას ისწავლით ამ დავალების შესრულების შემდეგ? ეს დავალება მიზნად ისახავს...“

#6 – არ ვიცი, როგორი ვიქნები მომავალში, თუმცა, ვიცი, როგორი ვარ ახლა

რა მოჰყვება შეცდომის დაშვებას? აღფრთოვანდებიან თუ არა ჩემი მოხსენებით? იქნებ, მოხსენების დროს, ნასწავლი დამავიწყდეს და შევრცხვე? შევძლებ, ამდენი სიახლე გავითავისო? ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს ის, რომ ამდენი რამ არ მცოდნია? რას ვიფიქრებ ჩემზე, თუ სიახლის ან სირთულის პირისპირ აღმოვჩნდები? უუნარო ვარ, ზარმაცი, თუ...?

#7 – არ ვიცი, რომელი ნაბიჯი რომლის შემდეგ გადავდგა

ზოგჯერ მოსწავლეებს უჭირთ დავალების შესრულებისთვის შესატყვისი ნაბიჯების თანმიმდევრობის განსაზღვრა. როგორც წესი, ეს უნარი დაგეგმვის უნარის განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. დაგეგმვის უნარი კი მცირეწლოვან მოსწავლეებს, როგორც წესი, ჯერ კიდევ დაუხვეწავი აქვთ, ხოლო მოზარდ მოსწავლეებს, თავის ტვინის განვითარების თავისებურებებისგან გამომდინარე, უჭირთ ქცევის შედეგების გაცნობიერება. შედეგების გაუთვალისწინებლად განხორციელებული ქცევაც და ქცევის განხორციელებისგან თავშეკავებაც, ხშირად, ქმედების თუ უმოქმედობის შედეგების სრულფასოვნად გათვალისწინების განსავითარებელი უნარის შედეგია.

შესაბამისად, შეგვიძლია, დავალების შესრულების ინსტრუქცია იმასაც მოიცავდეს, რომელი ნაბიჯი რომლის შემდეგ უნდა გადავდგათ იმისათვის, რომ შევამციროთ ნაბიჯების თანმიმდევრობის განსაზღვრის თანმხლები შფოთვა ან ვცადოთ, გაკვეთილის ნაწილი მაინც დავუთმოთ დავალების შესრულებისთვის საჭირო ნაბიჯების თანმიმდევრობის განსაზღვრას.

ამ შემთხვევაში, სასურველია, მოსწავლე ორ კითხვაზე დაფიქრდეს:

ა) რომელ ნაბიჯებს გადადგამთ იმისათვის, რომ დავალების შესრულება შეძლოთ?

ბ) რომელ ნაბიჯს რომელი ნაბიჯის შემდეგ გადადგამთ იმისათვის, რომ დავალების შესრულება შეძლოთ?

რომ შევაჯამოთ, ქმედების დაწყების გადავადება საკუთარ თავზე გაბატონებული დადებითი წარმოდგენების შენარჩუნებას ემსახურება, რომელთა დაკარგვაც არ მსურს.

და მერე, როდესაც მასწავლებლები და მშობლები მოტივირების მათთვის ნაცნობი გზების წარუმატებლობის და მარცხის განცდისგან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მომაკუთვნებენ ზარმაცი ადამიანის იარლიყს... ნუთუ არ განვიცდი?

განვიცდი... თუმცა, მთავარია, აქ და ახლა, როდესაც აქამდე უცნობის წინაშე აღმოვჩნდი, თავი ხელებში ჩავრგე და არ ვიცი, რა ვქნა, უუნარობის განცდას დავეხსნა: წიგნი დავხურო და რამდენიმე საათით კიდევ გადავავადო ამ განცდის წინაშე ყოფნის აუცილებლობა.

დაკვირვება – დაბრუნება გაუცხოებულთან. როგორ განვავითაროთ დაკვირვების უნარი მოსწავლეებში?

ჩემს შავ კატას სარკის ანარეკლებით ვეთამაშებოდი, როდესაც მის ქცევაში ერთი უცნაური რამ შევნიშნე. მიუხედავად იმისა, რომ ამ შავ კატამდე უამრავი კატა მყავდა, არასდროს აღმომიჩენია ის, რაც მაშინ აღმოვაჩინე. როგორც აღმოჩნდა, არც იმას შევსწრებივარ ოდესმე, როგორ ნადირობს კატა ჩიტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქცევას აუცილებლად შევნიშნავდი: დრუნჩი აღელვებით მოძრაობს, მისი თვალები ერთ წერტილსაა მიშტერებული, გუგების ზომა იცვლება, თავი დახრილი და წინ წაწეული აქვს, სხეული თითქმის ბოლომდე ეკვრის ზედაპირს, რომელსაც ეყრდნობა, კუდი და სხეულის უკანა ნაწილი, დროდადრო, მოძრაობს. ამ ყველაფერს კი ნახტომი მოსდევს. კატა უცნაურ, წყვეტილ ხმებს გამოსცემს. თითქოს, ეს ქცევა სასურველთან დაახლოების, ხელში ჩაგდების და მონადირებამდე მის მიერ შესრულებული რიტუალია. თუმცა, დღემდე არ ვიცი ამ ქცევების ზუსტი ფუნქცია. განსაკუთრებით, იმ ხმის, რომელსაც ამ დროს კატა გამოსცემს.

დაკვირვების ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ შეგიძლია, აქამდე უცნობი რამ აღმოაჩინო. აჩქარებულ სამყაროში, რომელშიც ერთი გამღიზიანებელი მეორეს საოცარი სისწრაფით ცვლის, თითქოს, არც დრო გვაქვს და არც – ფუფუნება, ჩვენსავე გარემოს დავაკვირდეთ.

ემოციური ინტელექტისა და სოციალური ინტელექტის მნიშვნელობის გაცნობიერება და ამ ორი უნარის შესახებ ადამიანების ცოდნის გამდიდრება კი იმაზე გვაფიქრებს, რომ ისევ და ისევ ვაღიარებთ იმ საწყისების მნიშვნელობას, რომლისგანაც მოვდივართ.

დაკვირვების უნარი ძირძველი და კეთილშობილი უნარია. როგორ შეძლებდა ადამიანი გარეულ ცხოველებთან ერთად თანაცხოვრებას მათზე დაკვირვება რომ არ შეძლებოდა? წარმოიდგინეთ, თქვენ ცხოვრობთ გარემოში, რომელშიც მტაცებლები ცხოვრობენ. თქვენი ყოველდღიური ამოცანაა, ამ გარემოში გადარჩეთ. ხოლო, გადარჩენა, ერთი მხრივ, მათგან თავდაცვას გულისხმობს, ხოლო, მეორე მხრივ, თქვენ საკვების მოპოვებაზეც უნდა იზრუნოთ. მხოლოდ განრიდებით ვერ შეძლებთ დიდხანს იცოცხლოთ. შესაბა-

მისად, სხვა უნარების განვითარებაც უნდა სცადოთ იმისათვის, რომ ამ გარემოში გადარჩეთ. როგორ შეძლებთ, ამ ორ ამოცანას თავი გაართვათ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ გამოცალკევებიხართ იმ გარემოს, რომელშიც ბევრი, სხვადასხვა თავისებურების მქონე არსება ცხოვრობს?

ეს ჩვენი განვითარების ის ხანაა, რომელიც, ერთი შეხედვით, შორეული წარსულია. რისთვის სჭირდება თანამედროვე ადამიანს დაკვირვების უნარი? ისეთი საფრთხეები ჩვენ ირგვლივ თითქმის აღარ არსებობს, რომლებიც შორეულ წარსულში უქმნიდა ჩვენს არსებობას საფრთხეს, არც ისეთი შენიღბვა გვჭირდება დღეს, როგორიც მაშინ, როდესაც გარემოსთან უნაკლო შერწყმაზე უნდა გვეზრუნა. სუპერმარკეტის თაროებზე, თვალწარმტაცად შეფუთული საკვები სულ რამდენიმე წუთში იქნება თქვენს სახლში და იმაზე მეტად დამუშავებული და დანაწევრებული, ვიდრე – ოდესმე. ადამიანების უმრავლესობა იმაზე არ ვფიქრობთ, რომელი ნაბიჯები გადავდგათ საკვების მოსაპოვებლად – როგორ ავცოცდეთ ქოქოსის ხეზე ქოქოსის ნაყოფის მოსაწყვეტად, ან რამდენი ხანი უნდა ჩავუსაფრდეთ არსებას, რომელიც საკვებად გვემსახურება. ჩვენ გაცილებით მეტს ვფიქრობთ იმაზე, როგორ გამოვიმუშაოთ და არა იმაზე, როგორ მოვიპოვოთ.

რა დარჩა დაკვირვების უნარისგან დღეს?

ფსიქოლოგების ნაწილი ფიქრობს, რომ ემოციების ცნობის უნარი, ისევ და ისევ, იმისათვის განვითარდა, რომ გარემოს შევგუებოდით. მაგალითად, ჩვენ უნდა გვეცნო არა მხოლოდ ადამიანის ემოციები და მათი შესატყვისი ქცევები, არამედ – იმ არსებების ემოციებიც და მათგან გამომდინარე ქცევები, რომლებიც ჩვენ ან საფრთხეს გვიქმნიდნენ, ან – ადამიანის საკვებს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, ჩვენ უნდა შეგვძლებოდა, არა მხოლოდ ჩვენგან განსხვავებული არსებების ემოციებისა და შესატყვისი ქცევების ცნობა, არამედ – შესატყვისი ემოციებით გამოხმაურება და შესაბამისი ქცევის დაგეგმვა და აღსრულება.

დღესდღეობით, ემოციების ცნობის უნარი, ძირითადად, მისი სოციალური მნიშვნელობისგან გამომდინარე გვჭირდება. ანუ, ისევ და ისევ იმისათვის, რომ ჩვენივე სახეობის წარმომადგენლებთან ჩვენთვის და მათთვის ნაყოფიერი და სასარგებლო ურთიერთობა დავამყაროთ.

თუმცა, ნამდვილად ამდენად გამოვეყავით დაკვირვების საწყის მნიშვნელობას? რამდენად უსარგებლოა, მაგალითად, ცხოველების ქცევაზე დაკვირვების უნარი?

როგორც აღმოჩნდა, არათუ უსარგებლოა, არამედ – პირიქით, ზოგჯერ იმაზე მეტად საჭიროა, ვიდრე – ჩვენ წარმოგვიდგენია.

მაგალითად, იმისათვის, რომ სხვადასხვა ვირუსული დაავადებისგან თავი დავიცვათ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია გვირჩევს, იმ ცოცხალი არსებების ქცევაზე დაკვირვება ვისწავლოთ და ბავშვებსაც ვასწავლოთ, რომლებიც, შესაძლოა, სხვადასხვა ვირუსული ინფექციის გამავრცელებლები იყვნენ. მაგალითად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ადამიანებს ასწავლიდა, რა შემთხვევაში როგორ იქცევა ძაღლი. რატომაა ეს მნიშვნელოვანი? თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ პრევენცია ყველაზე გონივრული გამოსავალია, მაშინ სხვადასხვა არსების ქცევაზე დაკვირვებაც შეიძენს მნიშვნელობას.

იმისათვის, რომ, მაგალითად, ჩვენ ჩვენს ოთხფეხა მეგობრებთან მშვიდი და ბედნიერი თანაცხოვრება შევძლოთ, მათ ქცევაზე დაკვირვებაც უნდა შეგვეძლოს. მაგალითად, იმისათვის, რომ თავი დავიცვათ ცხოველის ნაკბენისგან, რა თქმა უნდა, შეძლებისამებრ, სწრაფად უნდა შევძლოთ მის ქცევაში იმაზე მანიშნებელი ქცევების ცნობა, რომლებიც ჩვენ სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს და მიგვანიშნებს იმაზე, რომ ცხოველს ჩვენთან ურთიერთობა არ სურს ან მისთვის ჩვენთან ურთიერთობა შემაშინებელია და ამ შემთხვევაში მასთან დაახლოებისგან თავშეკავება გონივრული გამოსავალია.

ზემოთ დასახელებული მნიშვნელობების გარდა, დაკვირვების უნარის განვითარებას ჩვენი ფსიქიკური კეთილდღეობის შენარჩუნებაც შეუძლია. ბევრი მიდგომა, მაგალითად, მღვიძარებაზე[1] დაფუძნებული დაკვირვების უნარის გამომუშავება იმას გულისხმობს, რომ დღეში სულ რამდენიმე წუთი დავაკვირდეთ ჩვენს შეგრძნებებს, გარემოს. ამ მიდგომის წარმომადგენლები გვათავაზობენ, რომ „ჩაურევლად“, დასკვნის სწრაფად გამოტანის გარეშე დავაკვირდეთ ფოთლის ფერს, მის ფორმას. თუ ამ მიდგომას ვენდობით, დაკვირვება თავს იმ მთლიანის ნაწილად გვაგრძნობინებს, რომლისგანაც დიდი ხნის წინ დავიწყეთ განცალკევება და განყენება. დაკვირვება კი გვეხმარება, ერთი მხრივ, ხელახლა გავუუცხოვდეთ იმ წარმოდგენებს, რომლებიც ჩვენ ოდესღაც გავიშინაგნეთ. მაგალითად, შესაძლოა, მეზობლად მდგომი თუთის ხის ნაყოფისთვის, დიდი ხნის მანძილზე, არც კი შეგვიხედავს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს, ერთი თვის მანძილზე მაინც, მაყვლისფერი თუთები ხმაურით ცვივა მეზობლის მანქანაზე.

დაკვირვების უნარის განვითარება აფართოებს ემოციურ და სოციალური ინტელექტში ნაგულისხმევ უნარებს. მაგალითად, ადამიანები, რომლებ-

საც განვითარებული აქვთ დაკვირვების უნარი, გაცილებით მდიდარ ცოდნას აგროვებენ ადამიანების ქცევაზე, გაცილებით მარტივად შეუძლიათ, დაკვირვების მონაცემები სწორ დასკვნებს შეუსაბამონ და იმოქმედონ სწორად ურთიერთობებში, ვიდრე ადამიანებს, რომელთაც დაკვირვების უნარი ნაკლებად აქვთ განვითარებული. დაკვირვების უნარი ავითარებს ქცევისა და ქცევის მამოძრავებლების შესახებ ვარაუდების გამოთქმის უნარს. გარდა ამისა, დაკვირვების უნარი საშუალებას გვაძლევს, სწრაფად შევნიშნოთ ისეთი ემოციებიც, როგორიცაა ბრაზი, უკმაყოფილება, სევდა და ა.შ., რაც, შესაძლოა, საგრძნობლად დაგვეხმაროს, თუნდაც, ჩვენს ახლობელ ადამიანზე ზრუნვაში, საკუთარი მდგომარეობის გაცნობიერებაში და ა.შ.

როგორ შეგვიძლია, განვავითაროთ დაკვირვების უნარი მოსწავლეებში?

შესთავაზეთ თქვენს მოსწავლეებს რამდენიმე მოსამზადებელი საფეხური იმისათვის, რომ დაკვირვების უნარის გავარჯიშების ხელშემწყობი სავარჯიშო წარმატებით შეასრულონ.

დაკვირვების წარმოებამდე შესთავაზეთ საკითხის შესახებ მოკლე წარდგენის მომზადება – მაგალითად, თუ თქვენი გაკვეთილის თემა რომელიმე სახეობის ცხოველის ქცევის თავისებურებებია, შეგიძლიათ, თქვენს მოსწავლეებს სთხოვოთ ამ საკითხთან დაკავშირებით, მოკლე, არა უმეტეს, 5 წუთიანი პრეზენტაციის მომზადება. ეცადეთ, თქვენმა მოსწავლეებმა პასუხი გასცენ ისეთ ძირეულ კითხვებს, როგორიცაა, მაგალითად, რომელი სახეობის წარმომადგენელია ცხოველი ან რომელი ქცევები განასხვავებს მას სხვა სახეობის წარმომადგენლებისგან.

სთხოვეთ მოსწავლეებს, დაკვირვების წარმოებამდე გათავისუფლდნენ ხელის შემშლელი ნივთებისგან და გამღიზიანებლებისგან – ხშირად, დაკვირვების დროს, ჩვენ ვერ შევძლებთ ქცევა გავამეორებინოთ დაკვირვების ობიექტს. მაგალითად, შესაძლოა, ჩვენი კატა დღის მანძილზე, მხოლოდ ერთხელ იყოს განწყობილი სანადიროდ. შესაბამისად, თუ ჩვენ მის ქცევას არ ვიწერთ ვიდეოჩანაწერის სახით, გაგვიჭირდება, ის მნიშვნელოვანი წუთი აღვწეროთ ჩვენი დაკვირვების მონაცემებში, რომლებიც მისი ქცევის შესწავლისთვის ასეთი მნიშვნელოვანია. ეს მას ყურადღების ერთ, კონკრეტულ აქტივობაზე კონცენტრირებაში დაეხმარება.

სცადეთ მშობლების მონაწილეობის გაზრდა – სთხოვეთ მშობლებს, მოსწავლესთან ერთად, გააკეთონ დაკვირვების სამიზნე ქცევის ჩანაწერი. მაგალითად, თუ თქვენს მოსწავლეს სთხოვეთ, დააკვირდეს როგორ იქცევა მისი ლეკვი დილის, შუადღის და საღამოს საათებში და დაკვირვებისთვის დღის თითოეულ მონაკვეთში, 5-10 წუთის მანძილზე დაკვირვებაზე შეთანხმდით, სთხოვეთ მის მშობელს ვიდეოჩანაწერი უზრუნველყოს. ვიდეოჩანაწერი მოსწავლეს დაეხმარება დაკვირვების მისეული ჩანაწერები შეადაროს ვიდეორგოლში აღწერილ ქცევებს. ხშირად, ადამიანები მცდარ მნიშვნელობას ვანიჭებთ დაკვირვების მონაცემებს. მაგალითად, შესაძლოა, სხვადასხვა ქცევა ერთი და იმავე კატეგორიაში გავაერთიანოთ.

აუხსენით მოსწავლეს დამკვირვებლის ქცევის მნიშვნელობა – აუხსენით თქვენს მოსწავლეს, რომ, როდესაც ის დამკვირვებლის საქმიანობას ასრულებს, მან კონკრეტული წესები უნდა დაიცვას. დაუსვით შემდეგი კითხვები და სთხოვეთ, დაკვირვების დაგეგმვის ნაწილში ამ კითხვებზე თქვენთან ერთად შემუშავებული პასუხები გაითვალისწინოს.

ა) როგორ ფიქრობ, სად უნდა იმყოფებოდეს დამკვირვებელი დაკვირვების დროს?
ბ) როგორ ფიქრობ, შეძლებ, ისეთი ადგილი შეარჩიო, საიდანაც ქცევას ან მოვლენას დააკვირდები?
გ) როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა შეცვალოს შენმა სიახლოვემ შენი დაკვირვების ობიექტის ქცევა? რატომ?
დ) რომელ სიტყვებს გამოიყენებ დაკვირვების შედეგების ჩასაწერად?
ე) როგორ ფიქრობ, არსებობს სიტყვები, რომელთა გამოყენებაც დამკვირვებელს ხელს შეუშლის სწორი დასკვნის გამოტანაში? რომელი?
ვ) როგორ ფიქრობ, შეუძლია, თუ არა დამკვირვებელს მიუახლოვდეს დაკვირვების ობიექტის? თუ ფიქრობ, რომ კი, შეგიძლია, დაასაბუთო შენი აზრი? თუ ფიქრობ, რომ მას ეს არ შეუძლია, შეგიძლია, მითხრა, ასე რატომ ფიქრობ?

ეს კითხვები მოსწავლეს უბიძგებს დაფიქრდეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება სანდო დაკვირვების წარმოება. გარდა ამისა, მას უბიძგებს შესატყვისი სიტყვები მოძებნოს ქცევის აღწერისთვის და თავი შეიკავოს ქცევის შეფასებისგან.

შეაქეთ მოსწავლის ძალისხმევა. თუმცა, საჭიროებისამებრ, განუმარტეთ, რისი გაუმჯობესება იქნებოდა სასურველი – ხშირად, ადამიანებს ძლიერი სურვილი მოგვიცავს, ქცევები კი არ აღვწეროთ, არამედ შევაფასოთ. მაგალითად, ვთქვათ არა ის, რომ ჩვენი მოსწავლე მერხზე ურტყამს ხელს ან კალამს, არამედ ის, რომ ჩვენი მოსწავლე ყურადღებაგაფანტული ან აგრესიულია. ქცევის დასაწყისშივე ყურადღებაგაფანტულობის ან აგრესიულობის გამომხატველად შეფასება სწრაფად გამოტანილი დასკვნაა. დაკვირვების უნარის განვითარება მსგავსი მიკერძოებებისგან რამდენადმე მაინც გვიცავს. მაგალითად, შესაძლოა, რომელიმე მათგანმა რომელიმე ცხოველის ქცევა შეაფასოს, როგორც ნადირობისთვის მზადება, როდესაც შესაძლოა, ის, უბრალოდ, თამაშობს ან „ვარჯიშობს“ ნადირობაში. ასეთი მიკერძოებული დასკვნები ჩვენი გონების ბუნებრივი მიდრეკილებების შედეგია, თუმცა, აუცილებელია, მოსწავლეებს განვუმარტოთ, რომ ზოგჯერ დასკვნის სწრაფად გამოტანისკენ მიდრეკილებას მცდარ დასკვნამდე მივყავართ და შესაძლოა, ასეთივე მიკერძოების გავლენის ქვეშ ისინიც აღმოჩნდნენ.

ვიდეორგოლში აღწერილ ქცევაზე ან მოვლენაზე დაკვირვება – შესთავაზეთ მოსწავლეებს ვიდეორგოლის ნახვა. სასურველია, ვიდეორგოლის ნახვა გამხმოვანებლის სიტყვების გარეშე შესთავაზოთ, რადგან, ხშირად, ისინი დაკვირვების შეფასებებს გვთავაზობენ. თქვენი მიზანი კი ისაა, მოსწავლემ არა აღწერილი მოვლენის ან ქცევის შეფასება მოისმინოს და სწორი დასკვნა გამოიტანოს, არამედ თავად შეძლოს დაკვირვების დახმარებით ვიდეორგოლში აღწერილი ქცევის სწორად დასახელება. შეგიძლიათ, მოსწავლეებს შესთავაზოთ, დაითვალონ, რამდენჯერ ახორციელებს დაკვირვების ობიექტი ერთსა და იმავე ქცევას, რომლის რაოდენობის აღრიცხვაზე შეთანხმდით. ეცადეთ, მოსწავლეებს შესთავაზოთ ქცევის ან მოვლენის, შეძლებისამებრ, ზუსტი, ორაზროვნების გამომრიცხავი აღწერა. ასევე, სასურველია, გაითვალისწინოთ, რომ ქცევის აღწერა უნდა მოიცავდეს ერთ, განცალკევებულ ქცევას და არა – მთელი ქცევის ჯაჭვის აღწერას. მაგალითად, თუ თქვენ აღრიცხავთ, რამდენჯერ მიაწოდეს მონაწილეებმა ბურთი ვიდეორგოლში ერთმანეთს, დაკვირვებისთვის ქცევის განსაზღვრა შემდეგ საკითხებზე იქნება დამოკიდებული:

ა) რა გაინტერესებთ კონკრეტულად? – მაგალითად, რა გაინტერესებთ თქვენ და თქვენს მოსწავლეებს? ვიდეორგოლის ყველა მონაწილე თუ ვიდეორგოლის მონაწილე გოგონები რამდენჯერ აწვდიან ერთმანეთს ბურთს?

ბ) როგორ ისვრიან მონაწილეები ბურთს? – მონაწილეები ერთმანეთს მხოლოდ ხელებში აწვდიან ბურთს, თუ მას ფეხებისკენაც ისვრიან? თუ ეს ასეა, მაშინ, სცადეთ, თქვენი არჩევანი ერთი სახის ქცევაზე შეაჩეროთ. მაგალითად, აირჩიეთ, დაითვალოთ რამდენჯერ აწვდიან ბურთს ვიდეორგოლში მონაწილე გოგონები ერთმანეთს.

გ) გაითვალისწინეთ სხვა ცვლადები – მაგალითად, თუ ვიდეორგოლში რამდენიმე ფერის ბურთი გამოიყენება, ესეც დამატებითი ცვლადი იქნება, რომელიც, სასურველია, გაითვალისწინოთ და მოსწავლეებთან შეათანხმოთ. პირობის თანახმად, რომელიმე ფერის ბურთზე უნდა იყოს კონცენტრირებული მისი ყურადღება, თუ, ამ შემთხვევაში, ბურთის ფერს მნიშვნელობა არ აქვს?

გაითვალისწინეთ, რომ რაც უფრო მეტ ცვლადს შეიტანთ პირობაში, მით უფრო რთული იქნება დაკვირვების პროცესი, რადგან მოსწავლეებს, ერთდროულად, რამდენიმე პირობის დამახსოვრება და მის მიხედვით ამოცანის შესრულება დაევალებათ. ამდენად, დასაწყისისთვის, შეგიძლიათ, მხოლოდ ერთი ცვლადის მიხედვით დაკვირვების წარმოება სთხოვოთ მოსწავლეებს. მაგალითად, რამდენჯერ აწვდიან გოგონები (თუ ვიდეორგოლში ბიჭებიც მონაწილეობენ) ერთმანეთს ბურთს?

ასეთი სავარჯიშო დაგეხმარებათ, გამოავლინოთ, რამდენად ურთიერთგანსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭეს ვიდეორგოლში მოცემულ ქცევებს. შემდეგ კი, შეძლებთ, განიხილოთ, რატომ შეიძლებოდა, სხვადასხვა მნიშვნელობა მიენიჭებინა ერთი და იმავე ქცევისთვის სხვადასხვა მოსწავლეს.

დ) გაიზიარეთ აღმოჩენის სიხარული – ხშირად, დაკვირვება სასიამოვნო სწორედ იმიტომაა, რომ გაუცნობიერებლად იმ კავშირს ვგრძნობთ, რომელიც გულდასმით დაკვირვების დროს ჩვენსა და გარემოს შორის მყარდება: ჩვენ არ ვცვლით დაკვირვების შედეგებს შეფასებებით, არ ვერევით მოვლენების მიმდინარეობაში, არც რომელიმე ადამიანის ან სხვა არსების ქცევაში, მხოლოდ აღვიქვამთ. შესაბამისად, დაკვირვებას თან ახლავს ცნობისმოყვარეობის და დაკვირვების შედეგებთან დაკავშირებული სიხარულის გაზიარების სურვილი. ქიმიური ნივთიერებების ურთიერთქმედების შედეგად შექმნილი სანახაობაც, ალბათ, ამის გამო აღგვაფრთოვანებს და გვიყვარს: რაღაც მოულოდნელი ხდება ჩვენ თვალწინ, ჩვენ კი ზოგჯერ მხოლოდ ის გვევალება ამ სანახაობას დავაკვირდეთ.

დაკვირვება მანძილზე სწავლების დროს

მანძილზე სწავლების დროს, შეგვიძლია, მოსწავლეებს მარტივი დავალება მივცეთ: მაგალითად, მათ ვთხოვოთ, დააკვირდნენ მცენარეს, რომელიც თავად დარგო ან დათესა, მის ზრდას, როგორ ისრუტავს ნიადაგი წყალს, როგორ მოქმედებს წყლის ნაკლებობა მცენარეზე და ა. შ. ამ სახის დაკვირვებაში მოსწავლე თანამონაწილეობს და, შესაბამისად, გარემოზე ზრუნვასაც სწავლობს. ვისაც შინაური ცხოველი ჰყავს, შეგვიძლია, ვთხოვოთ, მათი კვების შესახებ საკითხის მომზადება, ხოლო შემდეგ, ამ ცოდნის გამოყენება და ცხოველის ქცევაზე დაკვირვება. მაგალითად, რამდენჯერ სვამს ცხოველი წყალს, როგორ უნდა მივხვდეთ, რომ შია ან სწყურია, რაზეა დამოკიდებული მისი კვების თავისებურებები და ა. შ. ეს ყველაფერი კი მოსწავლეში თანაგანცდისა და ზრუნვის უნარებსაც აძლიერებს.

იქნებ, სწორედ დამკვირვებლის გაღვიძება გვჭირდება ზოგჯერ იმისათვის, რომ გაუცხოებულთან დაბრუნება შევძლოთ?

თამთა დოლიძე

1 მეგობარი გაკვეთილები: მულტიდისციპლინური მოდელის შესახებ 75

2 რემედიაციის შესახებ 79

3 როგორ შევადგინოთ სარემედიაციო გაკვეთილის გეგმა 84

4 კითხვა-პასუხის ხელოვნება 91

მეგობარი გაკვეთილები: მულტიდისციპლინური მოდელის შესახებ

ინტეგრაცია, საგანთაშორისი კავშირები, გამჭოლი კომპეტენციები, სიღრმისეული სწავლა... ეს ტერმინები ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობია, თუმცა ჯერჯერობით ჭირს ზემოაღნიშნული მიმართულებების სასკოლო ცხოვრებაში ხარისხიანად დანერგვა, რადგან საგნობრივი სწავლების სტილი ყველა დისციპლინას საკუთარი შინაარსის ჩარჩოში ამწყვდევს.

როგორც ვიცით, ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია საგნებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარება. ფრაგმენტულად შეკავშირებული გაკვეთილებისგან (რამდენიმე საგნის მასწავლებლის მიერ ორგანიზებული საერთო გაკვეთილი) მნიშვნელოვნად განსხვავდება ხანგრძლივ ინტეგრაციაზე ორიენტირებული კურიკულუმი. უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული პროგრამით სწავლება საგანმანათლებლო სიახლეს წარმოადგენს და დღემდე დაკვირვებისა და დახვეწის პროცესშია.

განათლების ექსპერტები ხაზს უსვამენ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნისა და უნარების ურთიერთდაკავშირებისა და გამოყენების მნიშვნელობას. მათი აზრით, ახალი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში არსებულ მოთხოვნებს უნდა მიესადაგებოდეს, ანუ მოსწავლე უნდა ხედავდეს აწმყოში მისი გამოყენების საჭიროებას. ინტეგრირებული კურიკულუმი კი სწორედ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

საგანთა შორის მკაფიო კავშირების დამყარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა სიღრმისეული სწავლების ერთ-ერთ გზად მოიაზრება. გამოყოფენ რამდენიმე მოდელს: მულტიდისციპლინურს, ინტერდისციპლინურს, ინტრადისციპლინურს და ტრანსდისციპლინურს. ინტრადისციპლინურ მოდელს ერთ დისციპლინაში შემავალ საგნებს შორის კავშირების დასამყარებლად იყენებენ (მაგალითად მოვიყვან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, სადაც კავშირები მყარდება ბიოლოგიას, ქიმიას და ფიზიკას შორის). თემატურ კავშირთან ერთად ყურადღება ექცევა საერთო უნარ-ჩვევების ინტეგრირებულ განვითარებასაც. რაც შეეხება ინტერდისციპლინურ მოდელს, აქ აქცენტი დაისმის ინტერდისციპლინური უნარების განვითარებასა და ცოდნის მრავალმხრივ

გააზრებაზე. მაგალითად, მუსიკის მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს საკუთარი ხელით შეაქმნევინოს საკრავები, რის შედეგადაც იგი გამოიყენებს ხელოვნების მიმართულებისთვის დამახასიათებელ უნარებს, მათემატიკასთან დაკავშირებული გაზომვისა და სიმეტრიის საკითხების ცოდნას, ბუნებრივი და/ან ხელოვნური რესურსის სწორად შერჩევას (ბუნებისმეტყველება) და ამ გზით დაამყარებს კავშირს სხვა საგნებთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარებთან. ტრანსდიციპლინური მოდელი კი მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით იგება და პასუხობს მათ მიერ დასმულ კითხვებს. აღნიშნული მოდელით სწავლისას მოსწავლეები ყველაზე ეფექტურად ივითარებენ ცხოვრებისეულ კონტექსტთან მჭიდროდ დაკავშირებულ უნარ-ჩვევებს და სიღრმისეულად გაიაზრებენ მიღებულ ცოდნას, რადგან საგნებს შორის მანძილი მინიმუმამდე მცირდება. ტრანსდისციპლინური მოდელის თანახმად, დისციპლინები ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენს. აქ აქცენტი დაისმის არა კონკრეტულ საგანთან დაკავშირებულ ცოდნებსა და უნარებზე, არამედ ცნებებსა და კონცეფციებზე, რომლებსაც მოსწავლეები სხვადასხვა დისციპლინაში არსებული ცოდნებისა და უნარების მოძიება-დაუფლების გზით შეისწავლიან. ზემოაღნიშნული მოდელი შეგვიძლია გამოვიყენოთ პროექტული სწავლების დროს.

მულტიდისციპლინური მიდგომა საგნების თემატურ გაერთიანებას გულისხმობს. დისციპლინები შეიძლება გაერთიანდეს როგორც თემის, ისე უნარებისა და დამოკიდებულებების გარშემოც. სწავლება მიმდინარეობს სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში, თუმცა თითოეული გაკვეთილი ქმნის ერთგვარ ჯაჭვს, ანუ ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს შერჩეული თემის ამოწურვამდე. თუ სასწავლო ფოკუსს რომელიმე ცნების გააზრებისკენ მივმართავთ, ამ შემთხვევაშიც ინტეგრაციის პროცესში ჩართული ყველა საგანი მისივე შინაარსის ფარგლებში შეეცდება ცნების მნიშვნელობის გააზრებას.

მაგალითად, თუ ავიღებთ თემას „რატომ ქმნიან ადამიანები ნივთებს?“ და მის გარშემო ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, მუსიკისა და ხელოვნების დისციპლინებს გავაერთიანებთ, ქართულის გაკვეთილებზე მოსწავლეები სიტყვა „ნახელავთან“ დაკავშირებულ ტექსტებს შეისწავლიან და თავადაც შეეცდებიან ხელნაკეთი ნივთების დამზადებას, რაშიც ხელოვნების გაკვეთილებზე გამომუშავებული უნარ-ჩვევები, მათემატიკის გაკვეთილებზე შესწავლილი სიბრტყითი და სივრცითი ფიგურების სპეციფიკა, ბუნებისმეტყველების მიმართულებით – ბუნებრივ და ხელოვნურ რესურსებთან მუშაობის გამოცდილება და მუსიკის გაკვეთილზე საკრავების შექმნის ტექნიკებზე დაკვირვება დაეხმარებათ. თითოეული თემის შესწავლისთვის გამოყოფილი დროის ამოწურვის შემდეგ სასურველია საერთო შემაჯამებელი პროექტის განხორციელება, რაც ცოდნისა და უნარების თავმოყრასა და ურთიერთდაკავშირებას

საგრძნობლად გააადვილებს. თემატური ინტეგრაციის ხანგრძლივობა საერთო თემების რაოდენობასა და მათი დაფარვის დროზეა დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ, მულტიდისციპლინური მოდელით შექმნილი სასწავლო კურიკულუმი უმეტესად ფოკუსირებულია თემატურ კავშირებზე. იგი სიღრმისეულ ცოდნას გადასცემს საგნობრივი სწავლების ფორმატში. ტრანსდისციპლინური მოდელისგან განსხვავებით, დისციპლინური ცოდნა და უნარ-ჩვევები პრიორიტეტულია. თუმცა მასწავლებელი სწავლების პროცესში აქაც ფასილიტატორის როლს ირგებს. რაც შეეხება ინტეგრაციის ხარისხს, მიიჩნევა, რომ განსაკუთრებით მჭიდრო ინტეგრაცია ტრანსდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ მოდელებს ახასიათებს, თუმცა საგნობრივ სწავლებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს მულტიდისციპლინური მოდელი ყველაზე კარგად ერგება.

წელს, საკუთარი პრაქტიკის კვლევის ფარგლებში, კოლეგებთან ერთად მულტიდისციპლინური კურიკულუმის შედგენა განვიზრახე. კვლევის ჯგუფში გავერთიანდით ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მუსიკის მასწავლებლები. თავიდანვე გამოიკვეთა, რომ მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე დასახული მიზნის მიღწევა გაგვიჭირდებოდა. ჯერ საკვანძო თემები შევარჩიეთ და საგაკვეთილო ბადეზე დაყრდნობით გაკვეთილების დაგეგმვა დავიწყეთ. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ თემაზე დაყრდნობით ინდივიდუალური გეგმების დაწერა სირთულეს არ წარმოადგენდა, მაგრამ გაკვეთილების ერთმანეთთან დაკავშირების პროცესმა ინდივიდუალურ ნაშრომებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა მოითხოვა. როგორც ხედავთ, მხოლოდ თემის გარშემო გაერთიანება და საკუთარი დისციპლინის შინაარსზე დაყრდნობით სწავლება საკმარისი არ არის. თემატური ერთეულის თითოეული კვირის გაკვეთილები ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. როცა ეს „აღმოჩენა“ გავაკეთეთ, ისევ საწყის წერტილს დავუბრუნდით და ე. წ. საერთო ინდიკატორებზე შეთანხმება გადავწყვიტეთ, ანუ გამოვყავით თემასთან დაკავშირებული ის საერთო დებულებები, რომლებიც სასწავლო თემას და თითოეული საგნის ინდიკატორებს ეხმიანებოდა. შემდეგ თითოეული აქტივობა მას მივუსადაგეთ და ჯაჭვის აწყობაც გაგვიადვილდა. საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ კურიკულუმის ერთ-ერთი თემის „რატომ ქმნიან ადამიანები ნივთებს?“ საერთო კონცეფციებს:

- ყველა ნივთს აქვს კონკრეტული დანიშნულება;
- ადამიანი ნივთებს პირადი საჭიროების მიხედვით ქმნის;
- ადამიანი ნივთებს ქმნის გართობის ან თვითგამოხატვის მიზნით;
- მრავალი ნივთი მზადდება ბუნებაში არსებული რესურსით;
- ერთი და იმავე საგნების დამზადების წესი და რესურსი დროთა განმავლობაში იცვლება და იხვეწება;
- ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ ნივთების დამზადების გამოცდილებას.

თითოეული გაკვეთილისგან მთავარი აქცენტების გამოყოფით და საგაკვეთილო ბადის (გაკვეთილების თანმიმდევრობა) გათვალისწინებით, მე და ჩემმა კოლეგებმა შევიმუშავეთ ერთგვარი ინსტრუმენტი (სქემა), რომელიც ჩვენი კვლევის მთავარ მიგნებად იქცა. სქემაში თითოეული გაკვეთილის მიზნების გადატანამ ინტეგრაციის ჯაჭვის აგება საგრძნობლად გაგვიადვილა. შეგიძლიათ გაეცნოთ ზემოაღნიშნულ ინსტრუმენტს თემატური კურიკულუმის პირველი კვირეულის მაგალითზე:

იხ. სქემა N1

I კვირა	რატომ ქმნიან ადამიანები ნივთებს?!		
ორშაბათი	**ქართული**	**მათემატიკა**	**ბუნება**
	პროექტის გაცნობა; სიტყვა „ნახელავი" - ვარაუდების რუკის შედგენა; ჩემი ნახელავი („მუყაოს დათურა" - სიბრტყითი ფიგურა).	სასწავლო კითხვა: რა - ფიგურები შეიძლება ამოვიცნოთ ნივთებში? სიბრტყითი ფიგურების - გაცნობა-დახარისხება, აქცენტრება საგნების ფორმებზე.	ხელოვნური და ბუნებრივი მასალების განსაზღვრა; ინტერაქციული თამაში „რა რისგან შედგება?"
სამშაბათი	**მუსიკა**	**მათემატიკა**	**ქართული**
	ქართული ხალხური საკრავები - შემადგენლობა (მასალა), ჟღერადობა, დამზადების სპეციფიკა.	გეომეტრიული ფიგურების/საგნების სიმეტრიის კონტექსტში განხილვა.	ნივთის დანიშნულების გააზრება, ძველი ნივთისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება („ველოსიპედის ბორბალი" - მხატვრული ტექსტი).
ოთხშაბათი	**მათემატიკა**	**ბუნება**	**ქართული**
	გაამთლიანე/გაშიფრე ფიგურები სარკით.	ნივთების ახალი სიცოცხლე - სხვადასხვა ნივთისგან ახალი ნივთის შექმნა (დაგეგმვა-კონსტრუირებასთან დაკავშირებული ჯგუფური სამუშაო).	ნივთის დანიშნულების გააზრება და ძველი ნივთისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება („ბორბალი" - საინფორმაციო ტექსტი)
ხუთშაბათი	**მათემატიკა**	**მუსიკა**	**ქართული**
	ტანგრამის ფიგურების გამოყენებით სხვადასხვა ნივთის/გამოსახულების აგება.	ქართული ხალხური საკრავის, დაირის, დამზადება (ერთჯერადი თეფშები, მარცვლეული, გუშის სალებავები).	ხელნაკეთი ნივთების სახელოსნო - წერილობით ინსტრუქციაზე დაყრდნობით სხვადასხვა რესურსისგან ნივთების (ბორბალი, მანქანა, საქაღალდე, დათვი) დამზადება.
	შენიშვნა: *პარასკევი დასვენების დღეა.*		

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Drake, S. M., & Burns, R. C. (2004). *Meeting standards through integrated curriculum*, 6-17. Association for Supervision and Curriculum Development
2. http://www.ascd.org/publications/books/103011/chapters/What-Is-Integrated-Curriculum%C2%A2.aspx

რემედიაციის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა იმ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს. რემედიაცია მიზნობრივი აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემის შემცირებას ან სრულად გადაჭრას ნიშნავს. იგი დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პრობლემის დროულად აღმოჩენა და ჩარევა სასურველი შედეგის მიღწევას მნიშვნელოვნად აადვილებს. სარემედიაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფში არ შედიან ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. აღნიშნული პროგრამა იქმნება ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან იმ ტიპის სირთულეებს, როგორიცაა – არასაკმარისი სასკოლო მზაობა, დეკოდირების პრობლემა, წაკითხულის გააზრება და სხვ.

სწავლის პროცესი ინდივიდუალურია. თუმცა არსებობს საერთო სტანდარტი საფეხურის მიხედვით, რომელსაც ყველა მოზარდი სხვადასხვა გზით აღწევს. სარემედიაციო პროგრამის დახმარება მაშინ ხდება საჭირო, როცა დიფერენცირებული მიდგომებითაც ვერ ხერხდება კონკრეტულ მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური უნარების განვითარება. მთავარია, დროულად განისაზღვროს პრობლემის ტიპი და დაიგეგმოს სირთულის დაძლევაზე ორიენტირებული ეფექტური ინტერვენციები.

სარემედიაციო პროგრამაში ჩართულ მოსწავლეებს არ უნდა შეექმნათ საფეხურით გათვალისწინებული საკლასო გაკვეთილების გაცდენის საჭიროება (დამატებითი მეცადინეობები უნდა ჩატარდეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან შემდეგ). პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, რემედიატორ მასწავლებელთან ერთად, ერთვება კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია. პროგრამის განხორციელების ძირითადი საფეხურებია:

- მოსწავლეთა სკრინინგი და შედეგების ანალიზი;
- სამიზნე ჯგუფის დიაგნოსტირება და შედეგების ანალიზი;
- სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტება;

- სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილის გეგმების შედგენა;
- სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება;
- პროგრესის მონიტორინგი და შუალედური შეფასება;
- შემაჯამებელი შეფასება.

როგორც ვხედავთ, სარემედიაციო პროგრამაში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა დიაგნოსტირების პროცესს. სკრინინგის ტესტის შედეგები გვიჩვენებს, თუ ვის უნდა ჩავუტაროთ ჩაღრმავებული დიაგნოსტიკური ანალიზი. დიაგნოსტიკის პროცესი ორ ნაწილად იყოფა – „წაკითხვის თანმდევი ჩანაწერები“ და „გასაუბრება კითხვის გარშემო“ (გაგება-გააზრების გადასამოწმებლად მასწავლებელი წინასწარ მომზადებულ რამდენიმე შეკითხვას სვამს და სწორი პასუხების რაოდენობას ინიშნავს). დიაგნოსტიკის ფაზაში ასევე შედის შედეგების ანალიზი, მშობლებთან გასაუბრება სარემედიაციო პროგრამაში ჩართვისთვის ნებართვის მისაღებად და მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნა. დეტალური მონაცემების შეგროვება და სიღრმისეული ანალიზი ასევე აადვილებს რელევანტური მეთოდების/აქტივობების შერჩევას და ეფექტური გაკვეთილების დაგეგმვას.

საქართველოში სარემედიაციო პროგრამის პილოტირება 2017-2018 სასწავლო წელს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PRIED) ფარგლებში განხორციელდა. პროგრამის მიზანი სკოლებში სარემედიაციო პრაქტიკის დანერგვა გახლდათ. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან დაკავშირებული საკვანძო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სარემედიაციო მიმართულებით, კერძოდ, კითხვის/დეკოდირების საკითხებით დავინტერესდი.

საგანმანათლებლო კვლევების თანახმად, კითხვასთან დაკავშირებულ სირთულეებს აწყდება მოსახლეობის დაახლოებით 20%, მაგრამ მოსწავლეობის ასაკში სათანადო დახმარებას მხოლოდ 4% იღებს. არადა, ბავშვებს შეუძლიათ კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა, თუ მასზე ადრეულ ასაკში ვიმუშავებთ. შეიძლება გაწაფული კითხვის პრობლემა სულაც არ უკავშირდებოდეს მოზარდის გონებრივ შესაძლებლობებს. პრობლემის გამომწვევ მიზეზებად მოიაზრება წიგნთან ურთიერთობის ნაკლებობა, მწირი ფონეტიკური და/ან ენობრივ-გრამატიკული გამოცდილება, მეტყველების, სმენის ან ფონოლოგიური აღქმის პრობლემა და ა. შ.

დეკოდირება/გაშიფვრა არის სიტყვის გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად გარდაქმნა, ანუ ასოების შესაბამის ბგერებთან დაკავშირება, ბგერების სიტყ-

ვად გამთლიანება და აკუსტიკური ხატის სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირება. სიტყვის დეკოდირება რამდენიმე მოქმედებას აერთიანებს: ცალკეული გრაფემების/ასოების იდენტიფიცირებას, სიტყვის გონებაში გახმოვანებას და სიტყვის კონტექსტით გათვალისწინებულ მნიშვნელობასთან დაკავშირებას. დეკოდირებას სიტყვის ცნობასაც უწოდებენ. გაწაფული კითხვის ერთ-ერთ მახასიათებლად მთლიანი სიტყვების სწრაფად ამოკითხვა მოიაზრება. აქედან გამომდინარე, „სიტყვის ცნობა“ კითხვის უნარის დაუფლების გზაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა.

დეკოდირების პრობლემა აფერხებს გაგება-გააზრების პროცესსაც, რადგან მოსწავლე მთელ ენერგიას ამოკითხვაზე ხარჯავს და შინაარსზე დაკვირვებას ვეღარ ახერხებს. რაც უფრო რთულდება ტექსტი და იზრდება მისი ზომა, პრობლემაც მძიმდება. ამიტომაცაა საჭირო სიტყვების დეკოდირების ავტომატურ რეჟიმზე (მთლიანი სიტყვების ამოკითხვა) დროულად გადასვლა.

არსებობს რამდენიმე ეფექტური მეთოდი დეკოდირების პრობლემის დასაძლევად. როგორც წესი, გაწაფული მკითხველი კითხვისას რამდენიმე გასაღებს იყენებს: გრაფო-ფონემურს (ასოებსა და ბგერებს შორის შესაბამისობა), სინტაქსურს (წინადადების გრამატიკული წყობა) და კონტექსტურს (ტექსტის შინაარსობრივი მხარე). ამ ჩამონათვალიდან მოსწავლეს რომელი „გასაღების“ გამოყენებაც უჭირს, სწორედ იმას უნდა მოვარგოთ სარემედიაციო სტრატეგიები.

ზემოაღნიშნული პრობლემის დასაძლევად ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი მეთოდები/აქტივობები:

- ფონოლოგიური სავარჯიშოები – აქტივობები სიტყვების დამარცვლაზე, პირველი ბგერის ამოცნობაზე, ბგერების გადაბმასა და სიტყვის ბგერებად დაშლაზე;
- „სიტყვაზე შეტევა“ – თითის გაყოლება, თავასოზე დაკვირვება, სიტყვის ნაცნობი ნაწილის ამოკითხვა, ილუსტრაციაზე დაკვირვება, კონტექსტის მიხედვით სიტყვის ამოცნობა;
- მართული კითხვის აქტივობა – მოსწავლის კითხვის დონის შესაბამისი გაბმული ტექსტების წაკითხვა;
- ნაცნობი ტექსტის განმეორებით კითხვა და/ან ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა და შედეგის გაანალიზება;
- მკითხველთა თეატრი – შერეული ტექსტების როლებში წაკითხვა;
- გაწაფული კითხვის მოდელირება.

მოსწავლისთვის ხმამაღლა კითხვას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ალბათ ყველას გინახავთ, თუ როგორ „კითხულობენ“ ანბანის ცოდნის გარეშე პატარები კარგად ნაცნობ/ ძილის წინ მოსმენილ ზღაპრებს. ასეთივე ეფექტური გახლავთ დეკოდირების პრობლემის მქონე მოსწავლეებისთვის გაწაფული კითხვის „ჩვენება“. აღნიშნული მეთოდი მოსწავლეებს დეკოდირების პროცესის ისეთ დეტალებზე დაკვირვების საშუალებას აძლევს, როგორიცაა – სიტყვათა ერთიანობის შედეგი (შინაარსი), ინტონაციური აქცენტები, პაუზა სიტყვებს/ წინადადებებს შორის და სხვ. შინაარსის აღქმის გარეშე რთულდება ტექსტის ვიზუალიზება/გონებაში გაცოცხლება. არასწორი ინტონაციით ან პაუზის გარეშე კითხვა კი ნაცნობი სიტყვების მიმართაც იწვევს გაუცხოებას. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ მასწავლებლები წაკითხულის წარმოსახვას და წარმოდგენილის აღწერას/ვიზუალიზებას სთხოვენ მოსწავლეებს, მხატვრული კითხვის ელემენტებს შეიტანენ ტექსტის დამუშავების პროცესში და ა.შ.

აქვე შემოგთავაზებთ გაწაფული კითხვის ერთ-ერთ სახალისო მეთოდს/ აქტივობას, რომელსაც ხშირად ვიყენებ საგაკვეთილო პროცესში:

უცნაური ხმებით კითხვა

მეთოდი გულისხმობს ნაცნობი ტექსტის არაერთხელ წაკითხვას სხვადასხვა ხმით. მისი ხშირად გამოყენება ზრდის კითხვის მოტივაციას და აუმჯობესებს კითხვის ტექნიკას. მისი გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- გაწაფული კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- მოსმენისა და მეტყველების უნარები.

მუშაობის ფორმა: წყვილები, ჯგუფები, ინდივიდუალური.

რესურსი: ტექსტი, ემოციის ბარათები და ბარათების ყუთი/ქილა/ტომსიკა ან ემოციების დაფა.

მასწავლებლის მიერ დამზადებულ ემოციის ბარათებზე/დაფაზე მოცემულია სხვადასხვა ემოციის გამომსახველი ნახატები შესაბამისი სიტყვებით. ბარათების სათავსოდან ამოღების ან ემოციების დაფაზე ისრის დატრიალების შემდეგ, მოსწავლეებს ევალებათ შემხვედრი ემოციით მთლიანი ტექსტის ან მისი ერთ-ერთი მონაკვეთის წაკითხვა.

იხ. ემოციების დაფის ნიმუში



მიზნობრივი და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენების გარდა, აუცილებელია სარემედიაციო ჯგუფისთვის კომფორტული, საჭირო რესურსებით (მცირე ბიბლიოთეკა, სასწავლო და ტექნიკური რესურსი) აღჭურვილი სივრცის გამოყოფა. აქვე ორიოდე სიტყვით შევეხები ეთიკურ პრობლემებსაც. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამიზნე ჯგუფის წევრებს შეიძლება შეექმნათ ე.წ. იარლიყის (ჩამორჩენილი, სუსტი და სხვ.) მიკერების საფრთხე. მათ თანაკლასელებს აუცილებლად გაუჩნდებათ კითხვა, თუ რატომ სჭირდება ზოგიერთ მათგანს დამატებით მეცადინეობებზე დასწრება. ამავე მიზეზით სარემედიაციო პროგრამაში ჩართულ მოსწავლეებსაც შეიძლება გაუჩნდეთ პროტესტის გრძნობა. მასწავლებლებს დიდი სიფრთხილე გვმართებს მსგავსი სიტუაციების რეგულირებისას. სასურველია, ისე ავუხსნათ მოსწავლეებს სარემედიაციო ჯგუფის ფარგლებში გაწეული დახმარების რეალური მნიშვნელობა, რომ ფრუსტრაციის (ჯგუფის წევრების მხრიდან) და დაცინვის (ჯგუფის წევრთა თანაკლასელების მხრიდან) საფრთხე თავიდან ავირიდოთ. სავარაუდოდ, ზემოაღნიშნული პრობლემა არც წარმოიქმნება, თუ ინდივიდუალური საჭიროებების ხმამაღლა დაფიქსირებისა და ურთიერთდახმარების ტენდენციას სასწავლო პროცესის შემადგენელ ნაწილად ვაქცევთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კითხვის სარემედიაციო პროგრამის განხორციელება სკოლაში. 2017. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd).
2. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე. 2015. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd). მოძიებულია შემდეგ ბმულზე: http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf

როგორ შევადგინოთ სარემედიაციო გაკვეთილის გეგმა

სარემედიაციო გაკვეთილის ჩარჩოს გაცნობამდე თვალი გადავავლოთ სტანდარტული გაკვეთილის დაგეგმვის პროცესს. პირველ რიგში, გაკვეთილის გეგმა უნდა პასუხობდეს შემდეგ შეკითხვებს: რას უნდა მიაღწიონ მოსწავლეებმა, რა გზით მივიღებთ სასურველ შედეგს და როგორ გავზომავთ შედეგის მიღწევის დონეს? მკაფიო მიზნის დასახვა გვეხმარება სასურველი შედეგისკენ მიმავალი გზების/აქტივობების სწორად შერჩევაში. ამიტომაც, წინასწარ უნდა განისაზღვროს, რას მოველით ჩვენი მოსწავლეებისგან, როგორია მათი მზაობა (წინარე ცოდნა და უნარები) და რომელ კონკრეტულ უნარ-ჩვევებს განივითარებენ ისინი გაკვეთილის დახმარებით. ასევე წინასწარ უნდა გაიწეროს კონკრეტული ამოცანები, რა სამუშაოს შესრულება მოუწევთ ბავშვებს გაკვეთილის პროცესში, ცოდნის დემონსტრირების/ტრანსფერის რომელი საშუალებები იქნება უფრო ეფექტური, რომელ კრიტერიუმებს გამოიყენებს მასწავლებელი შედეგების შეფასებისთვის და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასწავლებელი არჩევს სასწავლო მასალასა და რესურსს, რომელიც გეგმის წარმატებით განხორციელებისთვის სჭირდება. გაკვეთილის მსვლელობა აისახება აქტივობებისთვის განკუთვნილ გრაფებში. შინაარსის გარდა, გეგმაში მასწავლებელი მოინიშნავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა – გაკვეთილის საგნობრივ სტანდარტთან და სწავლების დონეებთან (ბლუმის ტაქსონომია) შესაბამისობა, დამატებითი სამოტივაციო/ბონუს აქტივობების ჩამონათვალი და სხვ.

სწავლების სამფაზიანი მოდელის გამოყენებით აგებული გაკვეთილი მოიცავს მოსწავლეთა მოტივირების/პროვოცირების, ძირითად/სამუშაო და დასკვნით/შემაჯამებელ ეტაპებს. შესავალ ნაწილში (A ფაზა – მოლოდინების განსაზღვრა/გამოწვევა) მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ გაკვეთილის მიზანი და გავუჩინოთ ადეკვატური მოლოდინი შედეგთან მიმართებაში. ასევე უნდა „გამოვიყენოთ“ მოსწავლეთა ინტერესები, რათა შევძლოთ მათი მოტივირება და ყურადღების მობილიზება. გაკვეთილის ძირითადი ნაწილი (B ფაზა – ცოდნის კონსტრუირება/შინაარსის რეალიზება), როგორც წესი, მთავარი თემის მრავალფეროვანი აქტი-

ვობებით დამუშავებას ეთმობა. გაკვეთილის დასასრულს (C ფაზა – გამთლიანება/რეფლექსია) კი შემაჯამებელი აქტივობების დრო დგება.

რაც შეეხება შეფასებას, მოსწავლემ აუცილებლად უნდა მიიღოს რაიმე სახის უკუკავშირი გაკვეთილის მსვლელობის ყველა ეტაპზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედეგების შეფასება, რომლის დემონსტრირების ხერხიც (მოსწავლეთა ნამუშევრების (თხზულებები, პლაკატები, კედლის გაზეთი, კომიქსების ჟურნალი და სხვ.) გამოფენა, პრეზენტაცია, პორტფოლიო, შეფასების რუბრიკა, ტესტი და ა. შ.), კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, წინასწარ უნდა ვარჩიოთ და განვიხილოთ მოსწავლეებთან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გეგმის თითოეული დეტალი: გაკვეთილის მიზანი, შინაარსი, სასწავლო მასალა, მეთოდები/აქტივობები და შეფასების ფორმები ერთმანეთთან მჭიდროდ იყოს დაკავშირებული.

სარემედიაციო მეცადინეობის ფორმატი (გაკვეთილის ხანგრძლივობა, მოსწავლეთა რაოდენობა, სასწავლო მიზნები, რესურსი...) მნიშვნელოვნად განსხვავდება სტანდარტული გაკვეთილისგან. იგი ექვსი საფეხურისგან შედგება. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

მიმოხილვის საფეხურზე უნდა გავააქტიუროთ მოსწავლეების წინარე ცოდნა/გამოცდილება და გავაცნოთ მათ კონკრეტული მეცადინეობის მიზანი.

შემდეგი საფეხური – მოდელირება მასწავლებლის მიერ (ხმამაღლა ფიქრის მეთოდი) მიმართულია დასაუფლებელი უნარის დემონსტრირებაზე, რაც მოსწავლეებს ეხმარება შიშის დაძლევასა და წარუმატებელ მცდელობებთან გამკლავებაში.

მართული პრაქტიკა წარმოადგენს პრაქტიკული სავარჯიშოების/აქტივობების წარმართვის ეტაპს. სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს მრავალფეროვანი აქტივობა/სამუშაო ფორმატი, რათა შეძლოს მოსწავლეებისთვის მათ საჭიროებებზე მაქსიმალურად მისადაგებული ინსტრუმენტის მიგნება–შეთავაზება.

შეჯამებისა და რეფლექსიის საფეხურებზე აქცენტი კეთდება ახალი მასალის შეჯამებასა და მისი გამოყენების ალტერნატიული ვარიანტების წარმოდგენაზე. სტანდარტული გაკვეთილისგან განსხვავებით, შეჯამების ფაზა არ გახლავთ სარემედიაციო მეცადინეობის ბოლო საფეხური, მას დამოუკიდებელ პრაქტიკასა და ცოდნის ტრანსფერთან დაკავშირებული ეტაპები მოსდევს.

დამოუკიდებელი პრაქტიკა გულისხმობს ახალშეძენილი ცოდნისა და უნარების გაკვეთილზევე გამოყენებას დამოუკიდებლად ან ჯგუფური მუშაობის

ფორმატში. გამოყენება/ტრანსფერი კი მეცადინეობის შედეგად შეძენილი უნარების მოსწავლის პრაქტიკაში დანერგვასა და მრავალჯერად გამოყენებაზეა ორიენტირებული.

სარემედიაციო გაკვეთილის თითოეული აქტივობა ზემოაღნიშნული ფაზების გათვალისწინებით იგეგმება. ცხადია, მკაფიო მიზნის დასახვა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია. სარემედიაციო პროგრამის არსიდან გამომდინარე, სასურველია, გაკვეთილის მიზანი იყოს მოკლევადიანი და რეალისტური. რაც შეეხება აქტივობებს, ისინი ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდნენ და დასახულ მიზანს ეხმიანებოდნენ. აქვე გაგიზიარებთ ჩემ მიერ შედგენილ სარემედიაციო გაკვეთილის გეგმას.

სარემედიაციო გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი: სახელი, გვარი
საფეხური: III კლასი, I სემესტრი
მოსწავლეთა რაოდენობა: 3-5 მოსწავლე
თარიღი: რიცხვი/თვე/წელი
გაკვეთილის ხანგრძლივობა: 50 წთ.
სარემედიაციო გაკვეთილის მიზანი:

- ასოს/სიტყვის ცნობა/ამოკითხვა;
- გაწაფული კითხვის უნარის განვითარება.

შენიშვნა: გაკვეთილზე ჩასატარებელი ყველა აქტივობა მოთავსებულია სარემედიაციო გაკვეთილის ერთ ჩარჩოში. აქედან გამომდინარე, გაკვეთილის ჩასატარებლად უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: მიმოხილვის საფეხური (მიზნის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება); აქტივობა #1 „ფერადი სიტყვები“ (ყველა საფეხური); აქტივობა #2 „მოძებნე სიტყვები“ (ყველა საფეხური); აქტივობა #3 „გაელვება“ (ყველა საფეხური).

საფეხური	აქტივობა	რესურსი	დრო
მიმოხილვა	1. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანს: • დღეს ჩვენ „ვინადირებთ“ სიტყვებზე: სიტყვების ჩამონათვალში მოვძებნით, გავაფერადებთ და ამოვიკითხავთ მითითებულ სიტყვებს; • მოვძებნით/გავხაზავთ/ ამოვიკითხავთ მითითებულ სიტყვებს მცირე ზომის ტექსტში/წინადადებებში; • ამოვიცნობთ გაკვეთილზე დამუშავებულ სიტყვებს სიტყვის ბარათებზე. 2. წინარე ცოდნის გააქტიურება: • მასწავლებელი დაფაზე გამოაკრავს ფერების და მათი შესაბამისი სიტყვების ბარათებს (შეგვიძლია „ბარათების“ ელექტრონული ვერსიის დამზადება და პროექტორით ჩვენება); მოსწავლეები დაასახელებენ ფერებს/წაიკითხავენ სიტყვებს. • მოსწავლეები ნახავენ თემატურ კლიპს ფერებზე.	ფერების და მათი აღმნიშვნელი სიტყვების ბარათები; პროექტორი, ლეპტოპი „ჟირაფი ჟოზე და ჟოზეფინა – ფერები“ https://www.youtube.com/watch?v=XVKGzsRxaKQ	8 წთ.
მოდელირება მასწავლებლის მიერ (ხმამაღლა ფიქრის მეთოდი)	#1 „ფერადი სიტყვები“ მასწავლებელი განმარტავს დავალების ინსტრუქციას (მაგალითად, გააფერადეთ სიტყვები, რომლებშიც გამოყენებულია მხოლოდ „ა“ და „ე“ ხმოვნები; ორმარცვლიანი სიტყვები გააფერადეთ წითლად, სამმარცვლიანი კი – მწვანედ...). შემდეგ პროექტორით აჩვენებს „სიტყვების დაფას“, პირველ სვეტში თავად მოძებნის, აფერადებს და მკაფიოდ ამოიკითხავს სიტყვებს (მოსწავლეებიც აფერადებენ ამავე სიტყვებს თავიანთ ეგზემპლარებში).	ლეპტოპი, პროექტორი, სამუშაო ფურცელი „სიტყვების დაფა“ (სამუშაო ფურცლის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები), ფერადი ფანქრები.	3 წთ.

საფეხური	აქტივობა	რესურსი	დრო
	შენიშვნა: აქვე შეგვიძლია ფონოლოგიური უნარების გააქტიურებაც: მოძიებული სიტყვების ასო-ბგერებად/მარცვლებად დაშლა, ხმოვნების/თანხმოვნების დათვლა და ა. შ.		
	#2 „მოძებნე სიტყვები“ მასწავლებელი პროექტორის დახმარებით მოსწავლეებს აჩვენებს მცირე ზომის, ვიზუალურად კარგად აღსაქმელ (დიდი შრიფტი, დაშორება სტრიქონებს შორის და ა. შ.) ნაცნობ/დამუშავებულ ტექსტს. შემდეგ დაფაზე ჩამოწერს (წინასწარ შეიძლება გაამზადოს და გამოაკრას) მოსაძებნ სიტყვებს და ჯერ თავად მოძებნის/ხმამაღლა ამოიკითხავს რამდენიმე მათგანს მარტივი საძიებო ხერხების დემონსტრირების მიზნით. პარალელურად მოსწავლეები მასწავლებლის მიერ ამოკითხულ სიტყვებს მონიშნავენ ტექსტის თავიანთ ეგზემპლარში. **შენიშვნა:** სასურველია, ჩამონათვალი შედგებოდეს ისეთი სიტყვებისგან, რომელთა ამოკითხვაც ტექსტზე მუშაობისას მოსწავლეებს განსაკუთრებით გაუჭირდათ.	ლეპტოპი, პროექტორი, საკითხავი მასალა (ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები), დაფა, მარკერი, ფორმატი, სიტყვების ჩამონათვალი, კალამი/ფანქარი.	3 წთ.
	#3 გაელვება მოსწავლეები მასწავლებელს ძალიან სწრაფად აჩვენებენ „სიტყვის ბარათებს“ და ამოწმებენ მის მიერ დასახელებული სიტყვების სისწორეს.	სიტყვის ბარათები (მზა სასწავლო რესურსი)	2 წთ.

საფეხური	აქტივობა	რესურსი	დრო
მართული პრაქტიკა	*მოსწავლეები მუშაობენ, მასწავლებელი აკვირდება და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ერთვება სამუშაო პროცესში.* #1 „ფერადი სიტყვები“ მოსწავლეები დამოუკიდებლად პოულობენ და აფერადებენ საჭირო სიტყვებს სამუშაო ფურცელზე. შემდეგ ამოიკითხავს ერთ-ერთი წყვილი და დანარჩენები ადარებენ, ყველა სიტყვა იპოვეს თუ არა. მოძებნიან და გააფერადებენ გამორჩენილ სიტყვას.	#1 სამუშაო ფურცელი „სიტყვების დაფა“, ფერადი ფანქრები.	5 წთ.
	#2 „მოძებნე სიტყვები“ მოსწავლეები წყვილებში აგრძელებენ სიტყვების მოძიება-გახაზვას. აქტივობის დასრულების შემდეგ წყვილები ამოიკითხავენ გახაზულ სიტყვებს, მასწავლებელი კი შეადარებს დაფაზე/ფორმატზე ჩამოწერილ სიტყვათა მწკრივს და გახაზავს/მინიშნებების დახმარებით მოაძებნინებს გამოტოვებულ სიტყვებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	#2 სამუშაო ფურცელი – ტექსტი, კალამი/ფანქარი, დაფა, მარკერი, ფორმატი, სიტყვების ჩამონათვალი.	7 წთ.
	#3 „გაელვება“ მასწავლებელი მოსწავლეებს (წყვილებში ან ინდივიდუალურად) ძალიან სწრაფად აჩვენებს წინა აქტივობებზე დამუშავებული სიტყვების ბარათებს, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ „გაელვებული“ სიტყვები.	სიტყვის ბარათები (მზა სასწავლო რესურსი)	2 წთ.
შეჯამება და რეფლექსია	თითოეული აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ზეპირად და/ან წერილობით უპასუხებენ შემდეგ კითხვებს: • რაში ვივარჯიშეთ? • რაში დამეხმარება მიღებული ცოდნა/უნარი? • რა გავიგე/რისი გაგება გამიჭირდა? • რაზე მუშაობას ვისურვებდი დამატებით? და ა.შ.	თვითანალიზის ანკეტა / გასასვლელი ბილეთი კალამი/ფანქარი	6 წთ.

საფეხური	აქტივობა	რესურსი	დრო
დამოუკიდებელი პრაქტიკა	#1 „ფერადი სიტყვები“ – ლექსიკური თამაშის შექმნა მოსწავლეები შეადგენენ „სიტყვის დაფის“ ახალ/მცირე ვერსიას და დაურთავენ მოკლე ინსტრუქციას.	სიტყვების ცხრილი (შაბლონი), კალამი/ფანქარი	5 წთ.
	#2 „მოძებნე სიტყვები“ – სამუშაო ფურცლის დამზადება მოსწავლეებს დაურიგდებათ მცირე ზომის ნაცნობი ტექსტი, რომლიდანაც ამოიწერენ რამდენიმე სიტყვას და შეადგენენ საძიებო სიტყვების ჩამონათვალს.	საკითხავი ტექსტები (ბავშვთა რაოდენობის მიხედვით), ფურცლები (საძიებო სიტყვების ჩასაწერად), კალამი/ფანქარი	5 წთ.
	#3 „გაელვება“ – სიტყვის ბარათების დამზადება მოსწავლეები დაამზადებენ „სიტყვის ბარათებს“ სასურველი სიტყვებით.	მუყაოს ბარათები (შაბლონი), კალამი/ფანქარი	4 წთ.
გამოყენება და ტრანსფერი (საშინაო დავალება)	#1 „ფერადი სიტყვები“ მოსწავლეები თავიანთ სიტყვის დაფას აჩვენებენ ოჯახის წევრებს და სთხოვენ, ინსტრუქციის მიხედვით შეასრულონ დავალება. #2 „მოძებნე სიტყვები“ მოსწავლეები ჯგუფის რომელიმე წევრს/მეწყვილეს გაუცვლიან საკითხავ ტექსტს დამოუკიდებელი პრაქტიკის საფეხურზე შედგენილი საძიებო სიტყვების ჩამონათვალით და შეასრულებენ ერთმანეთისგან მიღებულ დავალებას. #3 „გაელვება“ მოსწავლეებმა თავიანთი სიტყვის ბარათებით აქტივობა „გაელვება“ შეიძლება ათამაშონ, როგორც თანაკლასელებს, ასევე – ოჯახის წევრებს.		

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კითხვის სარემედიაციო პროგრამის განხორციელება სკოლაში. 2017. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd).
2. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე. 2015. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd). მოძიებულია შემდეგ ბმულზე: http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf

კითხვა-პასუხის ხელოვნება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ხშირად გვესმის წაკითხულის გაგება-გააზრების პრობლემის შესახებ, ამაზე ყველასათვის კარგად ნაცნობი კვლევის (წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში „PIRLS“ საქართველო 2006 წლიდან ჩაერთო) შედეგებიც მეტყველებს. აქედან გამომდინარე, დღემდე არ გვაქვს მკაფიო პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა იმუშაოს სკოლამ ორიენტირებული კითხვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლებაზე.

ეფექტური კითხვისთვის მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ არაერთხელ დაწერილა. ამ მიმართულებით არც მრავალფეროვანი აქტივობების სიმწირეს ვუჩივით: დისკუსია/დებატები, სოკრატული დიალოგი, ოთხი კუთხე, პერსონაჟთა რუკა, ინტერვიუ პერსონაჟთან/ავტორთან, მოლოდინების გზამკვლევი, დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე, ვიცი-გავიგე-მინდა გავიგო, 3-2-1, შეჯამების ვარსკვლავი, შესასვლელი/გასასვლელი ბარათები, მკითხველის დღიური და სხვ. ეს იმ აქტივობათა მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გაგება-გააზრების უნარების განვითარების მიზნით საგაკვეთილო პროცესში იყენებს.

შეიძლება იფიქროთ, თუ კითხვა იცი და შენი ლექსიკური მარაგიც დამაკმაყოფილებელია, წაკითხულის გაგებას რაღა უნდაო?! სამწუხაროდ ასე მარტივად არაა საქმე. შეიძლება ცალკე აღებული სიტყვების მნიშვნელობა იცოდეთ, მაგრამ წინადადებად ამოკითხულის გააზრება მაინც გაგიჭირდეთ. თან თუ ამას დაემატება ყოველ ან რამდენიმე წინადადებაში ერთხელ უცხო სიტყვებთან შეხვედრა, წაკითხულის გააზრების პროცესიც გართულდება. აღნიშნულ შემთხვევაზე ამბობენ, საკითხავი მასალა და მოსწავლის კითხვის დონე ერთმანეთს არ შეესაბამებაო. გაგება-გააზრების გზაზე კიდევ ერთ მსუყე პრობლემად გაუწაფავი კითხვა გვევლინება. ასევე უნდა გავითვალისწინოთ კონცენტრირების სირთულე და კითხვის დაბალი მოტივაციაც.

ერთი შეხედვით, კითხვის პროცესი ერთიან მოქმედებად აღიქმება, სინამდვილეში კი ჩვენ გვჭირდება ანბანური (ასოების აღქმა), ფონოლოგიური (ამოკითხული მასალის გონებაში გახმოვანება), სემანტიკური (დეკოდირებული სიტყვებისთვის მნიშვნელობის მინიჭება), სინტაქსური (გრამატიკული) და

კონტექსტური (ამოკითხული მასალის მსხვილ იდეებში გაერთიანება, გაგრძელებასთან დაკავშირებით ვარაუდების ჩამოყალიბება) ცოდნის/უნარების სინქრონულად ამუშავება. ეფექტური მკითხველობისკენ მიმავალ გზაზე პირველ ნაბიჯად სწრაფ დეკოდირებასა და სიტყვისთვის მნიშვნელობის მინიჭებას მიიჩნევენ. აღნიშნული უნარის ფლობის გარეშე მოსწავლე ვერ გაივლის წაკითხული ტექსტიდან აზრის გამოტანის, საკუთარ გონებაში წარმოდგენების კონსტრუირებისა და ავტორის ჩანაფიქრის/ნათქვამის გაცნობიერების ეტაპებს. აქედან გამომდინარე, წაკითხულის გააზრება სამ სხვადასხვა დონეს მოიცავს: სიტყვასიტყვით გაგების, წვდომის (ანალიზი, დასკვნა) და შეფასების დონეებს.

როგორც ცნობილია, გაგება-გააზრების პროცესზე ოთხი ფაქტორი ზემოქმედებს, ესენია: მკითხველი, ტექსტი, მიზანი და კონტექსტი. მკითხველი ტექსტამდე გარკვეული უნარებით აღჭურვილი მიდის. იგი „შეიარაღებულია“ წინარე ცოდნით, ლექსიკური მარაგით, კითხვის უნარითა და მოტივაციით. აქედან გამომდინარე, იგი მზაობის შესაბამისად აღიქვამს წაკითხული ტექსტის თემატიკასა და შინაარსს, მის სტრუქტურას, მოცულობას, ენობრივ მახასიათებლებსა და დიზაინს. რაც შეეხება მიზანს, მასში მოიაზრება მკითხველის მიერ ამა თუ იმ დავალებისთვის გამოყენებული სტრატეგიებისა და რესურსების ეფექტურობა/დავალებასთან შესაბამისობა. ასევე მნიშვნელოვანია იმ გარემოებათა ერთობლიობის (კონტექსტის) გათვალისწინება, რომელშიც მიმდინარეობს კითხვის პროცესი.

კარგი მკითხველი ადვილად ამოიცნობა შემდეგ მოქმედებებში: მას შეუძლია წაკითხული სიტუაციების/მოქმედებების წარმოსახვა და ვიზუალიზება; კრიტიკულად იაზრებს წაკითხულ მასალას, შეუძლია ვარაუდების გამოთქმა და ძირითადი აზრების შეჯამება; უბრუნდება ტექსტს და ხელმეორედ კითხულობს ბუნდოვანი დეტალების დასაზუსტებლად; დიდ ტექსტს ყოფს ნაწილებად და მომდევნო ნაწილზე მხოლოდ წაკითხული ეპიზოდის სიღრმისეულად გააზრების შემდეგ გადადის; აკეთებს მონიშვნებს/ჩანაწერებს; ქმნის და/ან იყენებს გრაფიკულ სქემებს, სადაც ასახავს ტექსტში ამოკითხულ ინფორმაციას; ხედავს კავშირებს ტექსტში გადმოცემულ ამბებსა და პირად გამოცდილებას შორის; რაც მთავარია, კითხვის პროცესში უჩნდება შეკითხვები (საკუთარ თავთან, ავტორთან/პერსონაჟთან) და ცდილობს პასუხების სხვადასხვა გზით მოძიებას.

დღეისათვის სახელმძღვანელოებში მოცემულ ყველა საკითხავ მასალას ერთვის ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული კითხვები, რომლებიც

მოსწავლეებს, როგორც ხილული ინფორმაციის, ასევე იმპლიციტური (ნაგულისხმევი, სავარაუდო) სათქმელის მოძიებაში ეხმარება. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით უჭირთ წერილობით შეკითხვისა და პასუხის აგება. უმეტესად იყენებენ არასრული პასუხის ფორმას და კითხვის ფორმულირების დროსაც სანახევრო ინფორმაციით შემოიფარგლებიან. არადა, კითხვა-პასუხის შედგენის უნარი ვრცელი ტექსტების (ეპიზოდის შინაარსი, თავისუფალი თემა და სხვ.) შეთხზვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამიტომაც დაწყებით საფეხურზე კითხვებისა და პასუხების სტრუქტურული თუ შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვით ფორმულირებაში მოსწავლეებს სხვადასხვა მეთოდით ვავარჯიშებთ. აქვე წარმოგიდგენთ რამდენიმე მეთოდს/აქტივობას, რომელსაც ყველაზე ხშირად ვიყენებ საგაკვეთილო პროცესში.

5 კითხვა (ვინ? სად? რა? როდის? რატომ?)

აქტივობის სათაურში ჩამოთვლილი კითხვები შეიძლება წარმოვადგინოთ ხუთსვეტიან ცხრილად, სადაც ჩაიწერება კითხვების შესაბამისი ინფორმაცია. წარმოგიდგენთ ცხრილის ნიმუშს, რომელშიც მოცემულია იაკობ გოგებაშვილის მოთხრობიდან „ჯიუტი თხები“ ამოღებული ინფორმაცია.

ვინ? / რა?	სად?	რას შვრება/ რა ქნა?	როდის?	რატომ?
ორი თხა	ხიდზე	ერთმანეთს შეხვდა; გზა ვერ განაგრძეს; ჩხუბი მოუვიდათ და ხიდიდან გადაცვივდნენ.	ერთხელ	ვიწრო ხიდზე ერთმანეთისთვის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო; ორივე თხა ჯიუტი და ქედმაღალი იყო; არც ერთს არ უნდოდა უკან დახევა.

ეს შაბლონი შეგვიძლია დავურიგოთ მოსწავლეებს ან დაფაზე დავხაზოთ, მათ კი რვეულში გადაიხაზონ (გააჩნია, რომელ კლასს ვასწავლით). სასურველია, პირველ ჯერზე მასწავლებლის დახმარებით შეავსონ ცხრილი. აღნიშნული მეთოდით რამდენიმე ტექსტის დამუშავების შემდეგ კი დამოუკიდებლადაც შეძლებენ ამ გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენებას.

ხუთი კითხვის მეთოდის ერთგვარ ვარიაციას წარმოადგენს აქტივობა „5+1“, სადაც ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს კიდევ ერთი (როგორ?) ემატება. შესაძლებელია ექვსსვეტიანი ცხრილის დახაზვა, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში,

აქტივობის შაბლონად იყენებენ გაშლილი ხელის მტევნის გამოსახულებას, რაზეც (თითებზე და ხელისგულზე) დატანილია კითხვითი სიტყვები: ვინ? რა? სად? როდის? რატომ? როგორ?

კითხვები და პასუხები (QAR)

ამ მეთოდის დახმარებით ტექსტის უფრო სიღრმისეულად დამუშავების საშუალება გვეძლევა. შეგვიძლია, მოსწავლეები დავაჯგუფოთ ან აქტივობას ინდივიდუალური სამუშაოს სახე მივცეთ.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეარჩიოს დასამუშავებელი ტექსტი და მოამზადოს შეკითხვები, რომელსაც ჩამოწერს დაფაზე ან ბარათების სახით დაარიგებს კლასში. მას ასევე დასჭირდება სქემა, რომელიც ასევე წინასწარ უნდა მოამზადოს და ამონაბეჭდის სახით დაურიგოს მოსწავლეებს. ცხრილი შედგება ოთხი უჯრისგან. ერთ-ერთი კითხვის პასუხი მოსწავლემ უნდა მოიძიოს „იქვე, ტექსტში“, ანუ პირველ უჯრაში იწერება ისეთი კითხვა, რომელზე პასუხიც ექსპლიციტურადაა მოცემული საკითხავ მასალაში. რაც შეეხება უჯრას „იფიქრე და მოიძიე“, მასში იწერება ისეთი შეკითხვა, რომელზე პასუხიც სხვადასხვა ეპიზოდში გაბნეული ინფორმაციის მოძიების შედეგად გაიცემა. მესამე უჯრა, სახელად „ავტორი და მე“ გამოიყენება იმპლიციტური ინფორმაციის ამოსაკრებად, რისთვისაც მოსწავლეებს წინარე ცოდნის გამოყენება და ავტორთან/პერსონაჟებთან ე.წ. დიალოგის გამართვა დასჭირდებათ. ცხრილის ბოლო უჯრაში კი განთავსდება განზოგადებული ინფორმაცია, რომელსაც ტექსტის წაკითხვის გარეშე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობითაც შეიძლება გაეცეს პასუხი, მაგრამ ასევე გამოდგება ტექსტის შესაჯამებლად. მაგალითის წარმოსადგენად ისევ „ჯიუტ თხებს“ მოვიშველიებ.

ტექსტში	ჩემს გონებაში
იქვე, ტექსტში სად შეხვდნენ თხები ერთმანეთს? თხები ერთმანეთს მდინარეზე გადებულ ვიწყო ხიდზე შეხვდნენ.	**ავტორი და მე** როგორები აღმოჩნდნენ თხები? ორივე თხა აღმოჩნდა ჯიუტი, ქედმაღალი და წინდაუხედავი.
იფიქრე და მოიძიე ჩხუბის დაწყებამდე სთხოვეს თუ არა თხებმა ერთმანეთს უკან დახევა? ერთმა თხამ მეორეს სთხოვა, უკან დაიხიეო, მაგრამ ხიდზე პირველად ამოსულმა თხამ უარი განაცხადა და თავადაც მოითხოვა გზის დათმობა.	**მე თვითონ** რა არის სიჯიუტე? სიჯიუტე არის თვისება, რომელიც ახასიათებთ ურჩ, ქედმაღალ ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ საკუთარი პოზიციის დათმობა და სხვათა უპირატესობის/სიმართლის აღიარება.

მოცემულ ცხრილში შეგვიძლია წინასწარ ჩავწეროთ სასურველი კითხვები და მოსწავლეებს მხოლოდ პასუხების მოძიება-ჩაწერა დაევალოთ ან დაფაზე ჩამოვწეროთ შეკითხვები, რომლებსაც ბავშვები შესაბამის უჯრებში დამოუკიდებლად გადაანაწილებენ. შეგვიძლია ამოცანა უფრო გავართულოთ და შეკითხვები თავად მოსწავლეებს მოვაფიქრებინოთ. მათი მოტივაცია უფრო გაიზრდება, თუ კითხვების შედგენისას წყვილებს ნამუშევრების გაცვლას, ერთმანეთის კითხვებისთვის პასუხების მოძიებას და მეწყვილის ნამუშევრის რედაქტირება-შეფასების უფლებას მივცემთ.

შეკითხვა – ტექსტი ამბობს – მე ვფიქრობ – ამიტომაც

შეკითხვა კიდევ ერთი გრაფიკული ორგანიზატორის „მთავარი პერსონაჟია“. მისი დახმარებით მოსწავლეები სიღრმისეულად გაიაზრებენ წაკითხულ ტექსტს და აღარ გაუჭირდებათ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა. ამ სქემასაც ზემოთ განხილული მოთხრობის მაგალითზე წარმოგიდგენთ.

შეკითხვა	ტექსტი ამბობს...	მე ვფიქრობ...	ამიტომაც...
რატომ არ დაუთმეს გზა ერთმანეთს თხებმა?	არც ერთს არ უნდოდა უკან დახევა.	მათ დათმობა არავინ ასწავლა.	იჩხუბეს და მდინარეში ჩაცვივდნენ.

ამჯერად სქემაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სვეტი. მის მსგავსად უნდა შეივსოს დანარჩენი სვეტები, რომელთა რაოდენობაც განისაზღვრება მასწავლებლის მიერ დასმული/დაფაზე ჩამოწერილი კითხვებით.

როგორც ხედავთ, ერთი და იმავე ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღება ყოველ ჯერზე „სწორი“ კითხვების გამოყენებით შევძელით. ამიტომ ვფიქრობ, რომ, პირველ რიგში, მოსწავლეებს შეკითხვების დასმა და პასუხების ძიება უნდა შევაყვაროთ, რადგან სწავლის სურვილს წაკითხულისადმი ინტერესის გაჩენა იწვევს. დაინტერესებული მოსწავლე აუცილებლად დაიწყებს კითხვების დასმას, პასუხებისაკენ მიმავალ გზაზე კი შეიძლება დახმარება დასჭირდეს და ჩვენც მზად დავხვდებით.

ლევან ალფაიძე

1 კენ რობინსონი ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების შესახებ 99

2 რა არის განათლება? 104

3 როგორ ვასწავლოთ ბავშვებს ცრუ ინფორმაციის, ანუ ფეიკნიუსების გამოვლენა? 109

4 პიტერ გრეი – ბავშვების თავისუფლება ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან 115

5 კრეატიული სკოლების აუცილებლობის შესახებ 120

6 საუბარი სერ კენ რობინსონთან – რატომ გახდა შემოქმედებითი აზროვნება ასეთი მნიშვნელოვანი? 125

კენ რობინსონი ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების შესახებ

ადამიანური რესურსები ბუნებრივი წიაღისეულივითაა – ღრმადაა ჩამარხული. უნდა ადგე და მათ საძებნელად წახვიდე, რადგან ზედაპირზე არ ყრია. უნდა შექმნა გარემო, სადაც ეს რესურსები თავს დაგვანახებენ.

კენ რობინსონი[1]

„ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ მომავლის რთულ სამყაროში ორიენტირებას, თუ მხოლოდ უკანა ხედვის სარკეში დავიწყებთ ყურებას. თუ ასე ვიზამთ, აღმოვაჩენთ, რომ მთლად სრულ ჭკუაზე არ ვართ“.

„შემოქმედების უნარი – ეს ადამიანისთვის ბოძებული მთავარი საჩუქარია. რაც უფრო რთული ხდება სამყარო, მით უფრო მეტი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა გვჭირდება, რათა შევძლოთ მის სირთულეებთან გამკლავება“. მაგრამ ბევრ ადამიანს ეჭვი ეპარება თავის შემოქმედებით შესაძლებლობებში.

თავის გახმაურებულ წიგნში „Out of Our Minds: Learning to be Creative“ („არცთუ მთლად სრულ ჭკუაზე: როგორ ვისწავლოთ კრეატიულობა“; რუს. თარგმ. – „Образование против таланта“) კენ რობინსონი განათლების საშუალებით ადამიანის ნიჭის განვითარების საკითხებს განიხილავს.

თავისი წიგნის დანიშნულების შესახებ რობინსონი გვეუბნება: „ვცდილობ, რამდენიმე კითხვას გავცე პასუხი: რა მნიშვნელობა აქვს შემოქმედებას? რატომ ეპარებათ ხანდახან ადამიანებს ეჭვი თავიანთ შემოქმედებით შესაძლებლობებში? რამ გამოიწვია ეს და რით შეგვიძლია შველა?“

წიგნში განხილულია რამდენიმე ძალიან საინტერესო თემა, რომლებიც ადამიანის შესაძლებლობებს, მის პოტენციალსა და ამ ყველაფერთან განათ-

---

1 კენ რობინსონი (Ken Robinson) – განათლების ინგლისელი მკვლევარი, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო საზოგადოების ნამდვილი წევრი, დიდი ბრიტანეთის რაინდის ტიტულის მფლობელი, საერთაშორისო კონსულტანტი განათლების საკითხებში.

ლების მიმართებას შეეხება. „ადამიანის ინტელექტისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვნება და შემოქმედებისკენ, ახლის შექმნისკენ მიმართული უნიკალური შესაძლებლობა და უნარი. ასეთი შემოქმედებითი პოტენციალის შეცნობა და მისი ძიება გახლავთ გზა, რომელიც ადამიანს საკუთარ დანიშნულებასა და მოწოდებას აპოვნინებს.

სწორედ ამ გზაზე სიარულისას არის აუცილებელი განათლება როგორც დამხმარე და ხელშემწყობი საშუალება. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი განათლება ვერ უმკლავდება ამ ამოცანას. შედეგად ადამიანების უმრავლესობა მთელ ცხოვრებას ისე ატარებს, რომ ვერ პოულობს საკუთარ დანიშნულებას, ვერ აღმოაჩენს საკუთარ ნიჭს“.

კენ რობინსონი თავის ნაშრომში საინტერესო მასალას გვთავაზობს განსჯისათვის. იგი მოგვითხრობს ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ ღუპავენ განათლების თანამედროვე სისტემები უამრავი ადამიანის ნიჭსა და შემოქმედებით უნარს და გვთავაზობს ამ სისტემების შეცვლის გზებს. სერ რობინსონი მოუწოდებს ყველა ადამიანს, შეიცნოს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის სიმდიდრე და გააცნობიეროს ის მიზეზები, რომელთა გამოც საკუთარ შესაძლებლობებში ხანდახან ეჭვი გვეპარება. ავტორი ყველას მოუწოდებს, ირწმუნონ საკუთარი ძალები და შექნან ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის განათლებაში ნამდვილი რევოლუციის მოხდენას.

ეს წიგნი პირველად 2001 წელს გამოიცა. წიგნის ახლანდელი ვერსია თავიდან ბოლომდე გადამუშავებულია.

„რატომ დამჭირდა ამ წიგნის ხელახლა გამოცემა და რა არის მასში ახალი?

წიგნის პირველი ვერსია 2001 წელს დავწერე, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა და მსოფლიო როგორც ჩემ გარშემო, ისე ჩემში ძალიან შეიცვალა. თითქმის ყველგან ცვლილებების ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდა და იდეები, რომლებიც ამ წიგნს დაედო საფუძვლად, კიდევ უფრო აქტუალური გახდა. მოდი, დავფიქრდეთ ტექნოლოგიების ცვლილების სიჩქარეზე. ათი წლის წინ ინტერნეტი ბევრისთვის სიახლეს წარმოადგენდა. სმარტფონები, აიპოდები, YouTube-ი და სოციალური ქსელები, Facebook-ი და Twitter-ი, ჯერ კიდევ არ იყო ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, დღეს მთელ მსოფლიოში ახდენს გავლენას კულტურასა და ეკონომიკაზე“.

„მოხდა ბევრი ისეთი რამ, რის წინასწარმეტყველებაც ათი წლის წინ შეუძლებელი იყო. მაგალითად გავიხსენებ 11 სექტემბრის შეტევას აშშ-ზე, რამაც

გლობალური ცვლილებები გამოიწვია, და მსოფლიო ფინანსურ კრიზისს, რომელიც დღემდე ახდენს გავლენას ჩვენი პლანეტის პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურასა და, საზოგადოდ, გარემოზე. ბიზნესში, განათლებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის მხარდამჭერი არგუმენტების საფუძველი სწორედ ჩვენი ცხოვრების არაპროგნოზირებადობაა – ჩვენ არ შეგვიძლია მომავლის განჭვრეტა".

„წიგნის გადამუშავებისა და ხელახლა გამოცემისკენ იმანაც მიბიძგა, რომ დამიგროვდა ბევრი ახალი მოსაზრება მთავარი კონცეფციებისა და მათი რეალიზების საშუალებების შესახებ. ბოლო ათი წლის განმავლობაში მე აქტიურად ვეწეოდი წიგნში მოყვანილი იდეების პროპაგანდასა და დასაბუთებას მსოფლიოს წამყვანი კორპორაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პოლიტიკოსების, მხატვრების, მეცნიერების, სტუდენტების, მასწავლებლებისა და მშობლების წინაშე. სწორედ ამ დროს დავრწმუნდი, რომ ჩემ მიერ წიგნის პირველ რედაქციაში წარმოდგენილი კონცეფცია კვლავ მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო და ის უფრო ფართო აუდიტორიისთვის უნდა წარმედგინა".

„წიგნის განახლების მესამე მიზეზი ჩემს პირად ცხოვრებას უკავშირდება, რომელშიც ბოლო ათი წლის განმავლობაში, ისევე როგორც მსოფლიოში, უამრავი ცვლილება მოხდა, მათ შორის – ტერიტორიულიც. ამ წიგნის პირველ ვარიანტზე მუშაობისას ოჯახითურთ ეივონის სტრატფორდში ვცხოვრობდი – პატარა ინგლისურ ქალაქში, სადაც უილიამ შექსპირი დაიბადა. ახალი გამოცემის ტექსტს კი უკვე იქ ვწერდი, სადაც ამჟამად ვცხოვრობთ – ლოს-ანჯელესში, ქალაქში, რომელზეც არქიტექტორმა ფრენკ ლოიდ რაითმა თქვა, რომ „თუ მსოფლიოს კარგად შევანჯღრევთ, ყველაფერი, რაც არასაიმედოდ იყო დამაგრებული, ამ ქალაქში მოხვდება". ჩვენც სწორედ ამ ქალაქში აღმოვჩნდით – ჩვენს ოჯახს სწორედ იქ მოუწია გადაბარგება ჩემი წიგნის პირველი რედაქციის გამოცემის შემდეგ (პირველი წიგნის წარმატების შემდეგ კენ რობინსონი ლოს-ანჯელესში მდებარე ჯ. პოლ გეტის ფონდმა მიიწვია და განათლების დარგში მთავარი მრჩევლის თანამდებობა შესთავაზა, – ლ. ა.). ვერ წარმოიდგენთ, რა ადვილი იყო კალიფორნიაში გადასვლა".

„მას შემდეგ მე მთელი ამერიკა მოვიარე და ყველგან, ყველა შტატში, ქალაქსა თუ დასახლებაში, საოცარ ადამიანებს შევხვდი, გავეცანი მათ არაჩვეულებრივ წამოწყებებს. ამ ახალმა გამოცდილებამ საშუალება მომცა, შემეკრიბა ახალი მონაცემები მომდევნო გამოცემისთვის, რომელშიც მეტი ყურად-

ღება ეთმობა განათლების ტენდენციებს ევროპაში, აზიასა და ორივე ამერიკაში. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, ვინაიდან განათლების საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს გლობალური ხასიათი აქვს. წიგნში გამოთქმული მოსაზრებები 2006 წელს გავაცანი TED-ის საერთაშორისო კონფერენციის (TED – Technology, Entertainment, Design – ტექნოლოგია, სანახაობა, დიზაინი) დამსწრეებს მონტერეიში (კალიფორნია). ჩემი ეს მოხსენება 5 მილიონჯერ გადმოიწერეს მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში.

თუ შეიძლება, ამ სიტყვებს ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ – ჩემმა შვილებმა, ჯეიმსმა და ქეითმა, ამას წინათ 30-წამიანი ვიდეორგოლი მაჩვენეს, რომელშიც ორი კნუტი თითქოს ერთმანეთს ესაუბრება და ამ ვიდეოს YouTube-ზე 30 მილიონზე მეტი ნახვა აქვს. ასე რომ, ყველაფერი ფარდობითია. მაგრამ ერთი რამ ვიცი: კნუტებიანი ვიდეორგოლისგან განსხვავებით, ჩემი გამოსვლა ბევრჯერ აჩვენეს მთელ მსოფლიოში მიმდინარე დიდ თუ მცირე კონფერენციებზე, შეკრებებსა და სასწავლო ღონისძიებებზე. შედეგად ჩემს მოსაზრებებს განათლებისა და ადამიანის შესაძლებლობების შესახებ ას მილიონზე მეტი ადამიანი გაეცნო. ეს ამ საკითხებისადმი ინტერესის მაჩვენებელია“.

„მეორედ TED-ზე 2010 წელს გამოვედი და ამ გამოსვლასაც დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ჩემი მომდევნო წიგნის სათაური გახლდათ „სტიქია: როგორ ცვლის ყველაფერს საკუთარი მისწრაფების (ვნების) პოვნა“ (ინგლისურად: „The Element: How Finding Your Passion Changes Everything“) – როგორ ვიპოვოთ ის, რისთვისაც [კონკრეტული] ადამიანია დაბადებული, რა არის საჭირო, რომ მან თავის სტიქიაში იცხოვროს? ეს წიგნი 2008 წელს დავწერე და მასში განვიხილავ [ადამიანის] ნიჭის ბუნებას, ყოველ ადამიანში არსებულ შემოქმედებით საწყისს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს პიროვნების შემოქმედებით განვითარებას“.

„სტიქია“ ჩემი პირველი წიგნის ლოგიკური გაგრძელებაა... თუმცა ბოლო წიგნში მე უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობ ჩვენი ბუნებრივი მონაცემების – განსაკუთრებით კი ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების – განვითარების აუცილებლობას და იმის ანალიზს, რატომ არის, რომ, საზოგადოდ, მთელი სისტემა და, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ შესაძლებლობათა დათრგუნვას ცდილობენ და არა განვითარებას.

ასევე მსურს გითხრათ ორიოდე სიტყვა წიგნის სათაურის შესახებაც. „სტიქია: როგორ ცვლის ყველაფერს საკუთარი მისწრაფების (ვნების) პოვნა“ – ეს სათაური სამი მიზეზით შევარჩიე. პირველი: ადამიანის ინტელექტს ახასი-

ათებს შემოქმედებისკენ მრავალფეროვანი და უნიკალური სწრაფვა. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც იდეების, ადამიანის წარმოსახვის, კულ-ტურული ღირებულებებისა და რწმენების შედეგია.

ადამიანთა სამყარო იქმნება როგორც ადამიანისავე წარმოსახვაში, ისე იმ ფიზიკურ გარემოში, რომელსაც ბუნებას ვეძახით. აზროვნება და შეგრძნება მხოლოდ იმას არ ნიშნავს, მსოფლიო ისეთი დავინახოთ, როგორიც არის; მიმდინარე ცხოვრების აღსაქმელად არანაკლებ მნიშვნელოვანია, გვქონდეს საკუთარი ხედვა და შევძლოთ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების ინტერპრეტაცია. ადამიანთა საზოგადოებები განსხვავდებიან ერთმანეთის-გან, რადგან თავიანთ წარმოდგენათა და მსოფლმხედველობათა სისტემებში ცხოვრობენ. ის სამყაროები, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ, პირდაპირი მნიშ-ვნელობით, ჩვენ მიერვეა შექმნილი. ჩვენ ასევე ხელგვეწიფება არსებულის შეცვლა და ახალი სამყაროების შექმნა. მსოფლიოს ისტორიაში გლობალური მასშტაბის რევოლუციები ხშირად ახალი იდეების, სამყაროს ახლებური ხედ-ვის შედეგად ხდებოდა და ანგრევდა ძველი, გაყინული, რევოლუციამდელი სამყაროს რეალობას. არსებითად, სწორედ ესაა კულტურული ცვლილების არსი.

მეორე: შემოქმედებითი პოტენციალის შეცნობა ნაწილობრივ საკუთარი გარემოს ძებნასა და საკუთარი მოწოდების პოვნას გულისხმობს. სწორედ ამ ძიებაში უნდა გვეხმარებოდეს განათლება, თუმცა ის თითქმის ვერასოდეს ას-რულებს ამ ფუნქციას. შედეგად, ადამიანების უმეტესობა ისე გალევს სიცოც-ხლეს, რომ ვერ შეიმეცნებს საკუთარ შემოქმედებით ტალანტს, ვერ აგნებს საკუთარ მისწრაფებას და ამ კუთხით, ძნელია, მათ ცხოვრებას ცნობიერი უწოდო.

მესამე კი ის გახლავთ, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო პოლიტი-კას თავისებური მანია ახასიათებს: ნაცვლად სერიოზული დისკუსიისა იმაზე, თუ როგორი სტრატეგია უნდა გვქონდეს მომავლის შეუცნობელი ცვლილე-ბების ღირსეულად დასახვედრად, ჩვენ გვესმის მომაბეზრებელი მანტრები ტრადიციული აკადემიური განათლების სტანდარტების ამაღლებაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სტანდარტები სხვა დროისა და სხვა მიზნებისთვის იყო შემუშავებული – ჩემს წიგნში საუბარი ამ თემებსაც ეხება.

ჩვენ ვერასდროს შევიცნობთ მომავლის რთულ სამყაროს, თუ მხოლოდ უკანა ხედვის სარკისკენ გვექნება მიმართული მზერა. თუ ასე გავაგრძელეთ, აღმოვაჩენთ, რომ „არც მთლად სრულ ჭკუაზე ვართ“.

რა არის განათლება?

ციტატები მსოფლიოს სახელგანთქმული მოაზროვნეებისგან
ავტორი: მერილინ პრაის-მიტჩელი: ფსიქოლოგიის დოქტორი, ავტორი და ბლოგერი

დღევანდელი განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და რეფორმირებაზე ფიქრისას, ადამიანი საკუთარ თავს უსვამს შეკითხვას „რა არის განათლება?“. ის პასუხები, რომლებიც ქვემოთ წერილშია მოყვანილი, საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ მე-5 საუკუნიდან დღემდე გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც გამორჩეულ მოაზროვნეებს ეკუთვნით. ვფიქრობთ, განათლებაზე გამოთქმული აზრები საინტერესო იქნება როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე – მოზრდილთათვის, რომლებსაც 21-ე საუკუნეში უწევთ სწავლა და სწავლება.

ალბათ, მნიშვნელოვანია, რომ რაღაც მომენტში შევჩერდეთ, დავივიწყოთ სტანდარტული ტესტები, დისკუსია მოსწავლეთა ნიშნებზე და მასწავლებლების შეფასებებზე და დავფიქრდეთ განათლების მნიშვნელობაზე, მის შინაარსზე. ამიტომაც შევარჩიე მსოფლიოს სახელგანთქმულ ფილოსოფოსთა, პოეტთა, ისტორიკოსთა, თეოლოგთა, პოლიტიკოსთა და განმანათლებელთა გამონათქვამები, რომლებიც არა მხოლოდ წიგნებში უნდა იყოს დაბეჭდილი, არამედ უნდა გადაიქცეს განათლების შესახებ მიმდინარე დიალოგის ქვაკუთხედად.

მე, როგორც განვითარების ფსიქოლოგიის მკვლევარს, მუდმივად მიწევს საკუთარ თავთან ბრძოლა იმ წონასწორობის შესანარჩუნებლად, რომელიც საჭიროა ფორმალური განათლებისა და ჯანმრთელი, ბედნიერი ბავშვების აღზრდის მიზნებზე ფიქრისას. აკადემიურ უნარებთან ერთად, მოგზაურობა განათლების სამყაროში, საბავშვო ბაღიდან საუნივერსიტეტო მერხამდე, გულისხმობს იმ გზაზე სიარულს, რომლის დროსაც ახალგაზრდა ადამიანები სწავლობენ, ავითარებენ მრავალ, ერთმანეთთან დაკავშირებულ უნარს, რომლებიც მათ სჭირდებათ, რათა ჩამოყალიბდნენ ოჯახისა და საზოგადოების ნამდვილ, მზრუნველ წევრებად.

ქვემოთ მოყვანილი გამონათქვამების ნაკრები აერთიანებს განათლების ინტელექტუალურ, სოციალურ, ემოციურ და ფიზიკურ ასპექტებს. ჩემთვის კარგი განათლება ერთგვარ „შიდა კომპასს“ წარმოადგენს, რომელიც ადამიანს ცხოვრების განმავლობაში კარნახობს მოძრაობის სწორ მიმართულებას.

რა არის განათლება: პასუხები მე-5-დან 21-ე საუკუნემდე

1. სკოლებში, განათლების მთავარი პრინციპი უნდა იყოს იმ მამაკაცებისა და ქალების ჩამოყალიბება, რომლებსაც შეეძლებათ რაიმე ახლის კეთება და არა მხოლოდ იმის გამეორება, რაც წინა თაობებმა შექმნეს – **ჟან პიაჟე, 1896-1980, შვეიცარელი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი.**
2. განათლება არ ნიშნავს იმას, რამდენი ჩაეტია შენს მეხსიერებაში, ან თუნდაც რამდენი იცი. განათლება უნარია, რომელიც გაძლევს საშუალებას, განასხვავო, რა იცი და რა – არა. – **ანატოლ ფრანსი, 1844-1924, ფრანგი მწერალი.**
3. განათლება ყველაზე ძლიერი იარაღია, რომელიც შეგიძლია გამოიყენო სამყაროს შესაცვლელად. – **ნელსონ მანდელა, 1918-2013, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი, აქტივისტი, ფილანთროპი**.
4. განათლების მიზანია, გვასწავლოს სილამაზის სიყვარული. – **პლატონი, 424-348, კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი**.
5. განათლების ფუნქციაა, ვისწავლოთ ინტენსიურად და კრიტიკულად აზროვნება. გონებას მიმატებული ხასიათი – ეს გახლავთ ნამდვილი განათლება. – **მარტინ ლუთერ კინგი, უმცროსი. 1929-1968, ამერიკელი პასტორი, აქტივისტი და ჰუმანიტარი**.
6. განათლება არის ის, რაც გრჩება სკოლაში ნასწავლის დავიწყების შემდეგ. – **ალბერტ აინშტაინი, 1879-1955, გერმანელი ფიზიკოსი და მოაზროვნე**.
7. განათლებული გონების თვისებაა ისეთ მოსაზრებაზე ფიქრი, რომელსაც არ იზიარებ. – **არისტოტელე, 284-322, ბერძენი ფილოსოფოსი**.
8. განათლება ნათლად აზროვნების ძალაა, ძალა, რომელიც საქვეყნო საქმეს გაკეთებინებს და ძალა, რომელიც სიცოცხლის დაფასების საშუალებას გაძლევს. – **ბრიგემ იანგი, 1801-1877, ამერიკელი რელიგიური ლიდერი, სოლტ-ლეიქ-სიტის დამაარსებელი**.
9. განათლება ჭურჭლის გავსება არ გახლავთ. განათლება ჩირაღდნის ანთებაა. – **უილიამ ბათლეტ იეტსი, 1865-1939, ირლანდიელი პოეტი**.

10. განათლება თავისუფლებაა. — **პაულუ ფრეირე, 1921–1997, ბრაზილიელი განმანათლებელი, ფილოსოფოსი.**
11. განათლება არ გახლავთ ცხოვრებისათვის მომზადება. იგი თავად არის ცხოვრება. — **ჯონ დიუი, ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების რეფორმატორი.**
12. განათლება ის გასაღებია, რომლითაც იღება თავისუფლების ოქროს კარი. — **ჯორჯ ვაშინგტონ კარვერი, 1864–1943, ამერიკელი მეცნიერი, ბოტანიკოსი, გამომგონებელი, განმანათლებელი.**
13. განათლება განსაცვიფრებელი რამ არის, მაგრამ, ალბათ, დროდადრო უნდა გავიხსენოთ ხოლმე, რომ ვერაფერს, რის ცოდნაც ღირებულია, ვერ ასწავლი. — **ოსკარ უაილდი, 1854–1900, ირლანდიელი მწერალი, პოეტი.**
14. განათლების მთელი არსი ის გახლავთ, რომ სარკეები ფანჯრებად ვაქციოთ. — **სიდნი ჯ. ჰარისი, 1917–1986, ამერიკელი ავტორი, „ჩიკაგო დეილი ნიუსის“ ჟურნალისტი.**
15. განათლების დანიშნულებაა ცარიელი გონების ღია გონებით შეცვლა. — **მალქოლმ ფორბსი, 1919–1990, ამერიკელი გამომცემელი, ჟურნალ „ფორბსის“ მფლობელი, პოლიტიკოსი.**
16. ჯერ არავის გაუცნობიერებია ის თანაგრძნობა, სიკეთე და გულუხვობა, რომელიც ბავშვის სულშია ჩამალული. ნამდვილი განათლების მთავარი მიზანი ამ საგანძურის აღმოჩენა უნდა იყოს. — **ემა გოლდმანი, 1869–1940, რუსულ-ებრაული წარმოშობის ამერიკელი ანარქისტი, პოლიტიკური აქტივისტი, მწერალი.**
17. დღევანდელი განათლება მონუმენტურად არაეფექტურია. ჩვენ ჩვენს ახალგაზრდებს უმეტესწილად მოკრეფილ ყვავილებს ვურიგებთ, მაშინ, როცა ყვავილების გაზრდას უნდა ვასწავლიდეთ. — **ჯონ. უ. გარდნერი, 1912–2002, აშშ-ის ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური დახმარების სახელმწიფო მდივანი, პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონის დროს.**
18. განათლება საზოგადოების სულია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. — **გილბერტ კ. ჩესტერტონი, 1874–1936, ინგლისელი მწერალი, თეოლოგი, პოეტი და ფილოსოფოსი.**
19. განათლება სიბნელიდან სინათლისკენ მოძრაობაა. — **ალან ბლუმი, 1930–1992, ამერიკელი ფილოსოფოსი-ლასიცისტი, მოაზროვნე და ავტორი.**
20. განათლება იმის სწავლაა, რაზეც იცოდით, რომ არ იცოდით. — **დენიელ ჯ. ბურსტინი, 1914–2004, ისტორიკოსი, პროფესორი, იურისტი.**

21. განათლების მიზანია არა ფაქტების დასწავლა, არამედ ღირებულებების აღმოჩენა. — **უილიამ ს. ბეროუზი, 1914-1997, ამერიკელი, „ბიტნიკი“, პოსტ-მოდერნისტი მწერალი, ესეისტი, მხატვარი.**
22. განათლების მიზანია ახალგაზრდების მომზადება თვითგანათლებისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში. — **რობერტ მ. ჰატჩინსი, 1899-1977, ამერიკელი ფილოსოფოსი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი და კანცლერი.**
23. განათლება, როგორც ასეთი, დამაკავშირებელი ხიდების გადებას გულისხმობს. — **რალფ ელისონი, 1914-1994, ამერიკელი მწერალი, ლიტერატურული კრიტიკოსი.**
24. რაც სკულპტურაა მარმარილოს ნაჭრისათვის, იგივეა განათლება სულისათვის. — **ჯოსეფ ადისონი, 1672-1719. ინგლისელი ესეისტი, პოეტი, დრამატურგი, პოლიტიკოსი.**
25. განათლება მომავლის პასპორტია, რადგან ხვალინდელი დღე მათ ეკუთვნით, ვინც მისთვის დღეს ემზადება. — **მალქოლმ იქსი, 1925-1965, ამერიკელი მუსლიმი მოძღვარი, ადამიანის უფლებათა დამცველი.**
26. პატიოსნებისა და ღირსების ყველა წყარო განათლებიდან მომდინარეობს. — **პლუტარქე, 46-120 წწ. ბერძენი ისტორიკოსი, ბიოგრაფი და ესეისტი.**
27. განათლების ფაქტორებიდან, ყველაზე დიდი გავლენა ბავშვის მშობლიურ სახლში საუბრებს აქვთ. — უილიამ თემფლი, 1881-1944, ინგლისელი ეპისკოპოსი, მასწავლებელი.
28. განათლება ადამიანის სულს საუკეთესო მიზნისკენ მიუძღვება და მათგან საუკეთესოს ქმნის. — **ჯონ რასკინი, 1819-1900, ინგლისელი მწერალი, ხელოვნების კრიტიკოსი და ქველმოქმედი.**
29. განათლება ათანასწორებს სათამაშო მოედანს და ყველას აძლევს შეჯიბრების საშუალებას. — **ჯოის მეიერი, 1943, ქრისტიანი მქადაგებელი და ავტორი.**
30. მოდით, შევხედოთ განათლებას როგორც ჩვენი შესაძლებლობების განვითარების საშუალებას, რადგან ყოველ ჩვენგანში არსებობს ჩვენი პირადი იმედი და ოცნება, რომელთა შესრულება, შეიძლება ყველა ჩვენგანის სიკეთედ და ჩვენი ერის ძლიერებად გადაიქცეს. — **ჯონ ფ. კენედი, 1917-1963, აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი.**
31. ჩვენი ბავშვების გონების განათლებისას არ უნდა დავივიწყოთ მათი გულების განათლებაც. — **დალაი ლამა, ტიბეტური ბუდიზმის სულიერი ლიდერი.**

32. განათლება წარმოადგენს უნარს, მოუსმინო თითქმის ყველაფერს ისე, რომ არ დაკარგო მოთმინება და საკუთარი თავის რწმენა. — **რობერტ ფროსტი, 1874–1963, ამერიკელი პოეტი, პულიცერის პრემიის ოთხგზის ლაურეატი.**
33. განათლების საიდუმლო მოსწავლისადმი პატივისცემაში მდგომარეობს. — **რალფ უოლდო ემერსონი, 1803–1882, ამერიკელი ფილოსოფოსი-ტრანსცენდენტალისტი, ესეისტი და პოეტი.**
34. დედაჩემი მეუბნებოდა, რომ შეუწყნარებელი უნდა ვყოფილიყავი უვიცობისადმი, მაგრამ გამეგო, რომ ვინმე, ვისაც სკოლაში სიარულის საშუალება არ მიეცა, შეიძლება წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილიყო; რომ ზოგიერთი ადამიანი, სკოლის განათლების გარეშე უფრო გონიერია, ვიდრე ზოგიერთი უნივერსიტეტის პროფესორი. — **მაია ანჯელუ, 1928–2014, ამერიკელი პოეტი ქალი, აქტივისტი, აფრო-ამერიკელთა უფლებადამცველი.**

როგორ ვასწავლოთ ბავშვებს ცრუ ინფორმაციის, ანუ ფეიკნიუსების გამოვლენა?

ავტორი: Anabelle Timsit, ჟურნალების Quartz-ისა და Politico-ის რეპორტიორი (აშშ)

ცრუ ახალი ამბების, ანუ, ე.წ. „ფეიკ ნიუსების“ ეპოქაში, სკოლებში ბავშვებს ასწავლიან ფაქტების შემოწმებას.

ერთ-ერთ ციფრულ მედიაპლატფორმაზე განთავსებულ ფოტოზე სამი უცნაურად გაზრდილი და დაზიანებული ფორმის გვირილაა გადაღებული. ყვავილები ისე არიან გაზრდილი და თანაც მოხრილი, რომ სალვადორ დალის ნახატებიდან გეგონებათ გადმოტანილი. სურათზე დართული კომენტარი გვეუბნება, რომ ფოტო ფუკუშიმას ატომური სადგურის მახლობლად არის გადაღებული. კომენტარის ბოლო წინადადება კი შემდეგს გვამცნობს: „ასეთი რამ მაშინ ხდება, როდესაც ყვავილები ბირთვული დაბინძურების მქონე ნიადაგში იზრდებიან“.

2015 წელს მესამე საფეხურის (ე. წ. „ჰაი-სქული“) 170 ამერიკულ სკოლაში მოსწავლეებს ზემოთ აღწერილი ფოტოსურათის შესახებ მარტივი შეკითხვა დაუსვეს: „ხედავთ თუ არა ამ ფოტოზე იმის დადასტურებას, რომ კადრი/სურათი სიმართლეს გამოხატავს?“

ძალიან რბილად რომ ვთქვათ, აღწერილი ფოტოსურათი ზედაპირულად გამოიყურება. იგი ფოტოგრაფიების გაზიარების პლატფორმაზე, Imgur-ზე გამოაქვეყნა მომხმარებელმა, რომელსაც ძალიან უცნაური ვირტუალური სახელი, ე. წ. ნიკი, ჰქონდა – “pleasegoogleShakerAamerpleasegoogleDavidKelly“.

სურათს თან არ ახლავს ავტორი-ფოტოგრაფის და პირველწყაროს (ქსელში განმთავსებლის) ვინაობა. სურათზე არ არის მითითებული, კონკრეტულად სად არის ის გადაღებული. მიუხედავად ამ ფაქტებისა, შეკითხვაზე „ხედავენ თუ არა ფოტოზე იმის დადასტურებას, რომ გვირილების უცნაური ფორმა ფუკუშიმას ატომური სადგურის აფეთქებამ გამოიწვია?“ გამოკითხულ მოსწავლეთა 40% უპასუხა „დიახ“ (აქვე უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში, აღნიშნული ფოტო რეალურია, თუმცა მეცნიერებმა თქვეს, რომ გვირილების უცნაური ფორმა არ შეიძლება რადიაციას გამოეწვია).

„გვირილების“ ექსპერიმენტი გახლდათ უფრო დიდი კვლევის ნაწილი, რომელსაც ატარებდა სტენფორდის უნივერსიტეტის ისტორიის განათლების ჯგუფი – History Education Group (HEG). მათი პროექტის სახელი გახლდათ „სამოქალაქო განსჯა-მსჯელობა ონლაინ სივრცეში“ – „civic online reasoning”. მისი მიზანი იყო იმის გაგება, თუ რა შესაძლებლობები და უნარები აქვთ ახალგაზრდებს, ონლაინწყაროებზე განთავსებული ინფორმაციის სანდოობის შესაფასებლად.

ამ საკითხის შესასწავლად მკვლევრებმა მოამზადეს 56 სახის შეფასებითი ფორმატი, მეორე და მესამე საფეხურის სკოლებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის, აშშ-ის 12 შტატისათვის.

როგორც მეცნიერებმა ანგარიშში აღნიშნეს, მათ 7804 პასუხი მიიღეს ახალგაზრდებისგან.

მკვლევრების თქმით, ექსპერიმენტის ჩატარებამდე ისინი სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოსწავლეები თავისუფლად მოახერხებდნენ მიწოდებული ინფორმაციის საიმედოობის დადგენას და ეჭვიც კი ჰქონდათ, რომ ეს ამოცანა ძალიან მარტივი იქნებოდა ახალგაზრდებისთვის.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეცნიერებს ინტუიციამ უმტყუნა – მათ მიერ მიღებული შედეგები იმაზე მეტად განსხვავებული აღმოჩნდა, ვიდრე მკვლევრები დაუშვებდნენ. დაწყებითი, საპილოტე რაუნდის შემდეგ, მკვლევრებმა დაინახეს, რომ მოსწავლეების უმეტესობას უბრალოდ არ გააჩნდა უნარი, ერთმანეთისგან განესხვავებინათ სანდო, უტყუარი ინფორმაცია და მიკერძოებული ონლაინ სიცრუე ან შელამაზებული ტყუილი, ე.წ. “online junk”, ან მიმხვდარიყვნენ განსხვავებებს სპონსორირებულ და ორიგინალურ სტატიებს შორის. როგორც მოგვიანებით მკვლევრებმა ანგარიშში აღნიშნეს: „ბევრი თვლის, რომ ახალგაზრდების განვითარებული უნარები სოციალურ მედიაში, ნიშნავს მათ მიერ ამ მედიაში განთავსებული ინფორმაციის სწორად აღქმას. ჩვენმა გამოკვლევამ კი პირდაპირ საწინაღმდეგო შედეგი გვიჩვენა“.

სტენფორდის უნივერსიტეტის კვლევა გვიდასტურებს იმ მოსაზრებას, რომელსაც ბევრი მასწავლებელი იზიარებს: დღევანდელი მოსწავლეები არ არიან მზად, გაუმკლავდნენ იმ ინფორმაციულ „წარღვნას“, რომელიც მათკენ სხვადასხვა ციფრული წყაროდან და მოწყობილობიდან მოედინება!

პრობლემას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც რამდენიმე გასულმა წელმა გვიჩვენა, მიკერძოებულ რეპორტაჟებს და აშკარად ცრუ, ახალ ამბებს წარმოუდგენელი პოტენციალი აქვს: მათ შეუძლიათ იმოქმედონ არ-

ჩევნებისა და რეფერენდუმების შედეგებზე და გამოიწვიონ რეალური ტრაგიკული შედეგები. როგორც ეს #Pizzagate-ის სახელით ცნობილ ონლაინ შეთქმულების შემთხვევაში მოხდა – ჩრდილოეთ კაროლინის მკვიდრმა, ედგარ უელჩმა, ცრუ-ნიუსების მოსმენის შემდეგ, ვაშინგტონის ერთ-ერთ პიცერიაში (Comet Ping Pong) უმისამართო სროლა წამოიწყო (საბედნიეროდ, მსხვერპლის გარეშე, ლ.ა.), რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს პიცერია ჰილარი ქლინტონის და დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ მართული ბავშვთა ტრეფიკინგის ქსელის ნაწილი გახლდათ.

სტენფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კვლევაში მეცნიერები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს რომ „დღეს, დემოკრატია საფრთხეშია, რადგან დეზინფორმაცია მნიშვნელოვანი სამოქალაქო საკითხების შესახებ შესაძლოა, წამებში გავრცელდეს უამრავი სოციალური ქსელით“.

სკოლები კალიფორნიის, აიოვის, ნიუ-იორკის, ჰავაის, არიზონისა და კიდევ რამდენიმე შტატში უკვე მუშაობენ სასწავლო პროგრამაში იმის ჩართვაზე, თუ როგორ ასწავლონ ბავშვებს, მცირე ასაკიდან, საინფორმაციო ქსელში განთავსებული ინფორმაციის შეფასება, რომლებიც მათი ყოველდღიური ონლაინ საკითხავია. მასწავლებლები, სასკოლო ოლქები და არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ, შექმნან ისეთი კურიკულუმი, აპლიკაციები და შეფასების მექანიზმები, რომლებიც მოსწავლეებს მოამზადებს სამომხმარებლო ინფორმაციის კრიტიკული შეფასებისთვის.

ერთი მხრივ, თითქოს ადვილი ჩანს ზემოთ თქმული პრობლემის ორ ნაწილად („სიმართლე-სიცრუე“), ბინარულ წყვილად განხილვა – „ვასწავლოთ ბავშვებს ამ ორის განცალკევება, ამაზე ფიქრი და პრობლემაც გადაიჭრება“. მაგრამ სტენფორდის ისტორიის პროფესორი, სემ უაინბურგი თვლის, რომ ეს საკითხი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ჩვენ ვხედავთ.

„ცრუ-ნიუსების წყაროდ შესაძლოა რუსული „ბოტები“ (bot – იგივეა რაც რობოტი, ოღონდ კომპიუტერულ ქსელში) და „ტროლების“ ფერმები (to troll, trolling – ინტერნეტში პროვოკაციული შეკითხვების და ინფორმაციის სპეციალურად განთავსება, ლ.ა.) წარმოვიდგინოთ სადმე სანკტ-პეტერბურგში“, -ამბობს პროფესორი უაინბურგი. „თუმცა ნამდვილი პრობლემა ის გახლავთ, რომ არ ვიცით, ვინ აწარმოებს იმ ინფორმაციას, რომელსაც ჩვენ მოვიხმართ და მეორე, რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია?“

მაგალითად, ევროპულ სივრცეში, აქტიურად მუშაობენ რუსული მედიაკომპანიები: Russia Today და Sputnik. ორივე, მთავრობის მიერ დაფინან-

სებული მედიასაშუალება გახლავთ. ორივე მედია ცრუ ინფორმაციას ავრცელებს ევროპულ პოლიტიკასა და ევროპელ პოლიტიკოსებზე და რეგულარულად აწოდებენ მაყურებელს/მკითხველს სიახლეებსა და „ამბებს“ ევროპის ბნელ მხარეებზე, რუსეთის წარმატებებსა და რუსული პოპულისტური პარტიების შესახებ. ჟურნალი „ეკონომისტის“ მიხედვით, „Russia Today“ და Sputnik შესაძლოა რესპექტაბელურობის შთაბეჭდილებასაც ქმნიდეს, რადგან მათ უზარმაზარ „ნიუს-რუმებში“ (საინფორმაციო ამბების სტუდია ტელევიზიაში, ლ.ა.), ამ „ახალ“ ამბებს ხუთ ენაზე თარგმნიან ევროპელი მაყურებლისთვის. ამ დროს ორივე მედიასაშუალების სიუჟეტები და სტატიები მთავრობის მიერ არის შედგენილი.

ცრუ ახალი ამბების, ანუ ე.წ. „ფეიკ ნიუსების“ ეპოქაში, სკოლებში ბავშვებს ასწავლიან, თუ როგორ შეიძლება ფაქტების შემოწმება.

ყველასთვის ნათელია და სიმართლეა ის, რომ სოციალური მედია და ციფრული პლატფორმების ორაზროვნება ხელს უწყობს მიკერძოებული და ტყუილი ინფორმაციის ადვილად გავრცელებას მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემის მთავარ ღერძს ტექნოლოგია არ წარმოადგენს – პრობლემას ვერ გადაწყვეტს „ფეიკ-ამბების“ ახალი ფილტრები თუ შემაკავებელი ალგორითმები. როგორც სთოუნი-ბრუკის უნივერსიტეტის ახალი ამბების შესწავლის ცენტრის დირექტორი, რიჩარდ ჰორნიკი აღნიშნავს, ეს „ადამიანური პრობლემაა. ეს ჩვენი თვისებაა“

სხვა სიტყვებით, ადამიანი როგორღაც მიდრეკილია ცრუ-ამბებისადმი. ჟურნალ „ატლანტიკში“, ავტორი რობინსონ მეიერი შემდეგს წერს: „ცრუ-ამბები და ჭორები უფრო მეტ ადამიანამდე აღწევს, უფრო ღრმად შედის სოციალურ ქსელებში და უფრო ჩქარა ვრცელდება, ვიდრე აკურატულად მოწოდებული ამბები“. ეს ალბათ იმის გამო ხდება, რომ ადამიანს იზიდავს ამ „ამბების“ სიახლე და მძლავრი ემოციები (შიშიდან ზიზღამდე და გაკვირვებამდე), რომელსაც ეს „ამბები“ იწვევენ. როგორც 2018 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი კვლევის შედეგებშია აღნიშნული, „ცრუ ახალი ამბები იმიტომ არის ასე გავრცელებული ონლაინ გამოცემებში და პლატფორმებში, რომ მას ადამიანები (და არა რობოტები) ავრცელებენ“.

უფრო მეტიც, „ცრუ-ახალ ამბებში არაფერია ახალი“, აღნიშნავს კელი მენდოსა, ციფრული საგანმანათლებლო პლატფორმის, არამომგებიანი ორგანიზაციის, Common Sense Media-ს დირექტორი. 1672 წელს, ინგლისის მეფემ, ჩარლზ II გამოსცა ბრძანება „მცდარი ინფორმაციის გავრცელების წინააღმ-

დეგ"; მეორე მსოფლიო ომის დროს, ნაცისტების მიერ კონტროლირებადი მაუწყებლები მასობრივად ავრცელებდნენ ტყუილებს მათ მიერ ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობაში ევროპის მასშტაბით.

როგორც სმითსონიანის ინსტიტუტის (Smithsonian – მსოფლიოს უმსხვილესი სამუზეუმო, კვლევითი და საგანმანათლებლო ამერიკული ინსტიტუტი ვაშინგტონში) წარმომადგენელი, ჯაკი მანსკი აღნიშნავს, „ცრუ ახალი ამბების გავრცელება, ამ საქმიანობის ნაწილი იყო პირველი თავისუფალი მედიის შექმნის დღიდან". „დღეს ადამიანი უნიკალურ მდგომარეობაში იმყოფება – რაც იბეჭდება, ის იმ ადგილას ვრცელდება, სადაც ნაბეჭდს მიიტანენ და მას ზღვრული გავრცელება აქვს. რაც შეეხება ციფრულ ინფორმაციას, მისი გავრცელების სისწრაფე გეომეტრიული პროგრესიის მსგავსია. დღეს ძალიან ადვილია, სწრაფად გაავრცელო ის, რაც სიცრუეს წარმოადგენს", დასძენს კელი მენდოსა.

„ჩვენი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს არ აქვს საკმარისი უნარები საინფორმაციო ტექნოლოგიებიდან მომდინარე ინფორმაციის იმ უპრეცენდენტო მოცულობის ასათვისებლად, შესაფასებლად და დასახარისხებლად. ჩვენ უფლებას ვაძლევთ ციფრულ პლატფორმებს, ტელეფონებს, სოცმედიასა და კომპიუტერებს, გვმართონ. ჩვენ მათ უპირატესობას ვემორჩილებით", ამბობს პროფესორი უაინბურგი.

აშშ-ს რამდენიმე შტატმა (როდ-აილენდი, ნიუ-მექსიკო, კალიფორნია და კონექტიკუტი), უკვე მიიღო და დაამტკიცა კანონმდებლობა, რომელიც სკოლებს ბავშვებისთვის ახალი ამბებისა და მედიაწიგნიერების გაკვეთილების ჩატარებას ავალდებულებს. თუმცა, კრიტიკოსების აზრით, ამ პროგრამების დაფინანსება პრობლემურია, ხოლო მასწავლებლებს ისედაც უამრავი გაკვეთილები აქვთ სასწავლო გეგმაში. სკოლების დახმარებას ცდილობენ ამერიკული არასამთავრობოებიც. მათ შეიმუშავეს რამდენიმე სია-ჩამონათვალი (ე.წ. „ჩექ-ლისტი", ინგლ.), ისეთი კრიტერიუმებით, რომელთა მიხედვით მოსწავლეებს უნდა გაუადვილდეთ ტყუილისა და სიმართლის გარჩევა ახალ ამბებში. სახელმძღვანელო 30-მდე კითხვას შეიცავს, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია: „აქვს სტატიის ავტორს იმის კვალიფიკაცია, რომ ამ საკითხზე წეროს?", ან „არის თუ არა პუბლიკაციაში გამოყენებული მიკერძოებული ან გამაღიზიანებელი ენა?"

სამწუხაროდ, მასწავლებლების ნაწილი უკმაყოფილოა ასეთი მიდგომით და თვლის, რომ „ჩექ-ლისტები" უსარგებლოა, გრძელია და ხშირად მოძვე-

ლებული. პროფესორ ჰორნიკის აზრით, „ჩექ-ლისტები“ ვერაფერს უშველის. საჭიროა „ტყუილების დეტექტორის“ (ინგლ. Bullshit Detector) მიდგომის განვითარება. “ამ დროს ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ის უნარები, რომლებიც ინფორმაციის „გამოძიებას“ ასწავლის მათ, ინფორმაციის უბრალოდ „მოხმარების“ ან „ჩაყლაპვის“ ნაცვლად; განუვითარებს მათ ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურების უნარებს, პუბლიკაციის სხვებისთვის გაზიარებამდე; უჩვენებს ბავშვებს, რომ ხშირად, ინფორმაციის გამომგზავნი ან გამზიარებელი არ წარმოადგენს ინფორმაციის/პუბლიკაციის ავტორს; გაითვალისწინებენ ყველა იმ წარმოდგენას თუ ცრურწმენას, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი ატარებს. „ამის გარეშე, ნებისმიერი კრიტიკული შეფასება თუ სწავლება, დროის ფუჭი ხარჯვა იქნება“, ამბობს ჰორნიკი.

როგორც ცრუ ამბებისა და ტყუილების ფენომენის მკვლევრები აღნიშნავენ, მთავარი კითხვა შეიძლება ასე ჟღერდეს: „საიდან უნდა გავიგოთ, რომ „ფეიკ“-ნიუსების საწინააღმდეგოდ მიმართული პროგრამები წარმატებულად მუშაობენ ან რომელი მათგანია სხვებზე უკეთესი? – ექსპერტების პასუხები განსხვავებულია. თუმცა ერთზე ყველა თანხმდება: მოსწავლეთა მიერ ახალი ამბების მოხმარების წესის შეცვლას წლები შეიძლება დასჭირდეს. როგორც პროფესორი უაინბურგი აღნიშნავს, ამ პრობლემის გადასაწყვეტად ალბათ ადამიანის გენომის გამოკვლევის პროექტის დონის საგანმანათლებლო ეკვივალენტი დაგვჭირდება, რომელზეც ათეულობით წლის სამუშაო, მილიარდობით დოლარი, ათასობით მეცნიერი და საერთაშორისო თანამშრომლობა იქნება აუცილებელი“.

პიტერ გრეი – ბავშვების თავისუფლება ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან

გასულ ათწლეულებში აშშ-ში შესამჩნევი გახდა პროგრესი საბაზო სამოქალაქო თავისუფლებების კუთხით. აფროამერიკელების, ქალების, ჰომოსექსუალებისა და უნარშეზღუდული მოქალაქეების უფლებები გაფართოვდა. ეს ნაწილობრივ სამოქალაქო უფლებების დამცველ საზოგადოებათა დაუღალავი შრომისა და აქტიურობის შედეგია. უამრავი ადამიანი დასახელებული საზოგადოებრივი ჯგუფებიდან აქტიურად მოითხოვდა საკუთარი უფლებების დაცვას და რეალურ ცხოვრებაში მათ დანერგვას. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ პერიოდში ბავშვთა უფლებები შეიზღუდა.

სამოქალაქო უფლებები ამერიკული პოლიტიკური იდეოლოგიის ქვაკუთხედია.

ჩვენი, როგორც დემოკრატიული საზოგადოების პროგრესი, იზომება ადამიანის უფლებათა იმ გარანტიებით, რომლებიც ადამიანების სხვადასხვა კატეგორიას ეძლევა სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ.

აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში თომას ჯეფერსონმა განაცხადა, რომ ადამიანისთვის განუყოფელია სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებები.

აშშ-ს კონსტიტუციის უფლებათა კანონპროექტი შეიქმნა ისეთი საბაზისო უფლებების დასაცავად, როგორებიცაა სიტყვის, პრესის და შეკრების თავისუფლებები. კონსტიტუციის მე-5 შესწორებაში განცხადებულია, რომ „დაუშვებელია სიცოცხლის, თავისუფლების ან ქონების ხელყოფა სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე“.

არც კონსტიტუციაში და არც რომელიმე ჩემთვის ნაცნობ კანონში არ არის გაცხადებული, რომ ბავშვი არ არის პიროვნება.

მიუხედავად ამისა, ბავშვებს მუდმივად ეზღუდებათ თავისუფლებები სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს ბავშვების თავისუფლებები უფრო შეზღუდულია, ვიდრე სამოცი წლის წინ ან ჩვენი მშობლების ბავშვობის წლებში.

განურჩევლად წარმოშობისა, ყველა ბავშვი განიცდის თავისუფლებების შეზღუდვას.

როგორც ჩემს ადრინდელ წერილებში აღვნიშნავდი (Gray, 2011; 2013), დღევანდელ ბავშვებში რეკორდულ დონეზეა შფოთვა, დეპრესია და თვითმკვლელობისადმი მიდრეკილებაც კი.

დეპრესიული აშლილობის (ინგლ. Major Depressive Disorder) და შფოთვის ტიპის ფსიქოლოგიური დარღვევების ზოგადი მაჩვენებლები, სტანდარტიზებული კლინიკური შეფასებების თანახმად, 8-ჯერ (!) აღემატება იმავე მაჩვენებელს 1950-იან წლებში.

ასევე შემაშფოთებელია სასკოლო ასაკის ბავშვების თვითმკვლელობის დონე, რომელიც 6-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მე-20 საუკუნის 1950-იან წლებში!

მენტალური აშლილობების სტატისტიკის სერიოზული მატება ბავშვების თავისუფლების შემცირების პირდაპირპროპორციულია. სავარაუდოდ, უკვე არსებობს მყარი არგუმენტები იმისა, რომ პირველის მატება მეორის შემცირების შედეგია.

მიზეზების ორი კატეგორია, რომლებიც ბავშვთა თავისუფლების შეზღუდვას იწვევს:

ათწლეულების განმავლობაში საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებმა გამოიწვია ის, რომ ბავშვების თავისუფლება შემცირდა, მაგრამ მთავარი შეზღუდვები ორ კატეგორიას შეეხო.

პირველი კატეგორია პირდაპირ კავშირშია სასკოლო სწავლებასთან.

აშკარაა, რომ სავალდებულო სასკოლო სწავლება (რაც, ფაქტობრივად, დაძალებით სწავლებას ნიშნავს) ბავშვის თავისუფლებაზე შეტევაა. ბავშვებს მოეთხოვებათ სკოლაში სიარული, ხოლო სკოლაში ისინი თავისუფლები არ არიან.

ფაქტობრივად, ბავშვებს უფრო მეტად ეზღუდებათ სკოლებში თავისუფლება, ვიდრე ბოროტმოქმედებს ციხეებში.

მათ მუდმივად მიუთითებენ, სად იყვნენ და რა აკეთონ ამა თუ იმ მომენტში; სიტყვისა და შეკრების თავისუფლება მათთვის აშკარად შეზღუდულია და მეტიც – ისჯება; მათ არ ეთქმით სიტყვა სკოლის წესების შესახებ და როდესაც წესების დარღვევაში ადანაშაულებენ, შეუძლებელია მათი ბრალეულობის ან უდანაშაულობის დადგენა. ასევე არ არის განსაზღვრული მოსალოდნელი სასჯელი.

სკოლები ყოველთვის ასე მუშაობდნენ, მაგრამ დღეს მდგომარეობა უარესია, ვიდრე წინათ, რადგან დღეს ადმინისტრირება მეტია და უფრო ამკრძალავი კუთხით არის წარმოდგენილი.

მოვიყვან დღევანდელ სკოლებში ამ ცვლილებების რამდენიმე მაგალითს:

სასწავლო წელი გახანგრძლივდა – დღეს ის 5 კვირით მეტია, ვიდრე 1950 წელს.

სასკოლო დღეც უფრო გრძელი გახდა – ამჟამად სკოლაში ბავშვები თითქმის 7 საათს ატარებენ, მაშინ როდესაც 50-60-იან წლებში ეს დრო არ აღემატებოდა 5-6 საათს.

შესვენებისა და სადილის/ლანჩის პერიოდები შემცირდა – როგორც დროის, ისე თავისუფლების ხარისხის კუთხით.

1950-იან წლებში დაწყებითი სკოლებისთვის ჩვეულებრივი რამ იყო ორი, ნახევარსაათიანი შესვენება და სადილისთვის გამოყოფილი სრული საათი, რომლის განმავლობაშიც ბავშვებს შეეძლოთ, სურვილისამებრ ეთამაშათ.

დღეს დაწყებით სკოლებში შესვენებები ან არ არის, ან მხოლოდ 15 წუთი გრძელდება. მშობლებისგან გამიგონია, რომ არსებობს სკოლები, სადაც ლანჩის/სადილის შესვენება მხოლოდ 20-წუთიანია და ბავშვებს ამ დროს საუბარიც კი ეკრძალებათ, რომ არაფერი ვთქვათ გარეთ გასვლასა და თამაშზე. ასევე მოიმატა საშინაო დავალების მოცულობამაც.

ბავშვებს დაწყებით კლასებშიც კი აძლევენ საშინაო დავალებას, რომლის შესრულებაც, მათი აზრით, მშობლებმა უნდა უზრუნველყონ – გამოდის, რომ ბავშვი სკოლის შემდეგაც არ არის თავისუფალი.

მშობლები ხშირად მეუბნებიან, რომ მათი შვილების სასკოლო ცხოვრება ძალიან ჰგავს ზრდასრული მოქალაქის სამუშაოს, მაგრამ ეს არ არის სიმართლე. ეს უფრო თავის მოტყუებაა.

სამსახური ზოგიერთი მოზრდილისთვის შეიძლება ციხედ გადაიქცეს, დღევანდელი სკოლა კი ყველასთვის ციხეა! ზრდასრულ მოქალაქეს კანონი არ ავალდებულებს, იმუშაოს. მას ნებისმიერ დროს შეუძლია წამოვიდეს სამსახურიდან. მოზრდილთათვის მათი ნების საწინააღმდეგო შრომის დავალდებულება უკანონო ქმედებაა და მას მონობა ჰქვია.

მე არ ვიცნობ არც ერთ ზრდასრულ ადამიანს, რომელიც დათანხმდებოდა ისეთ მჭიდრო მიკრომენეჯმენტს, როგორც ჩვენ შვილებს უწევთ სკოლებში; წარმოიდგინეთ სამსახური, სადაც გეკრძალებათ თანამშრომლებთან საუბარი, უნებართვოდ არ შეგიძლიათ სამუშაო ადგილის დატოვება და სადაც მუდ-

მივად გაკვირდებიან, მუდმივად გიტარებენ გამოცდებს თანამშრომლების თანდასწრებით და ეს პროცესი თითქოს განგებ თქვენს შესარცხვენად არის მოგონილი.

დაახლოებით ას ათი წლის წინ აიკრძალა ბავშვთა სრული განაკვეთით შრომა, რადგან ეს მათთვის საზიანოდ იქნა მიჩნეული.

დღეს კი, იმ დროის გათვალისწინებით, რომელსაც ბავშვები სკოლაში ატარებენ, სასკოლო განათლება გადაიქცა სრულგანაკვეთიან სამუშაოდ, ხოლო თავისი სირთულით ალბათ სრულგანაკვეთიან სამუშაოზე უფრო რთულ ამოცანად, რომლის შესრულებასაც არც ერთი ზრდასრული ადამიანი არ დათანხმდებოდა.

ბავშვების თავისუფლების შემზღუდველი კიდევ ერთი ფაქტორია სკოლის გარეთ მათთვის დაწესებული რეგულაციები.

1920–1930–ან წლებში, როდესაც ჩემი მშობლები იყვნენ ბავშვები, 1950–ანებში, როდესაც თავად გახლდით ბავშვი და 1970–ანებშიც კი, ჩემი შვილის პატარაობისას, ბავშვები უამრავ დროს ატარებდნენ გარეთ, ეზოში თუ ბაღში, სადაც ისინი თამაშობდნენ და იკვლევდნენ გარემოს მეგობრებთან ერთად, მშობლებისა და სხვა მოზრდილების გარეშე.

ამ ტიპის თამაშის დროს ბავშვები სწავლობდნენ და პრაქტიკაში ახორციელებდნენ ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან უნარებს, რომლებსაც სკოლაში ვერ შეიძენ.

ბავშვები სწავლობდნენ, როგორ წარემართათ აქტივობა იმ დღეს, როგორ გადაეჭრათ პრობლემები, რომლებსაც გზადაგზა შეეჯახებოდნენ, იჩენდნენ მეგობრებს, პასუხს სცემდნენ მოძალადე ბავშვებს და მართავდნენ თავიანთ ემოციებს.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, ისინი თავიანთ ცხოვრებაზე იმ მომენტში თვითონვე იღებდნენ პასუხისმგებლობას. ამ პროცესში ისინი იმ უნარებს იძენდნენ და ივითარებდნენ, რომლებიც მათ თავდაჯერებას და ემოციურ მდგრადობას სძენდა. ეს კი საიმედო დაცვაა დეპრესიის, შფოთვისა და სუიციდალური მიდრეკილებებისგან.

დღეს კი, გამოდის, რომ ბავშვებს ფაქტობრივად ავუკრძალეთ საჯარო ადგილებში ყოფნა.

ბევრი მშობელი უბრალოდ არ უშვებს ბავშვებს ეზოში მოზრდილთა მეთვალყურეობის გარეშე, ხოლო მას, ვინც ბავშვებს ეზოში თამაშის უფლება მისცა, ზოგიერთ შემთხვევაში სისხლის სამართლის მუხლით მოუწია პასუხისგება ბავშვებისადმი უყურადღებობის გამო.

ეზოებიდან ბავშვების გაქრობას ჩვენ ახალი ტექნოლოგიების მაცდურ ბუნებას ვუკავშირებთ, მაგრამ სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვები სიამოვნებით გაატარებდნენ მეტ დროს გარეთ, მეგობრებთან ერთად, თუ მათ ამის უფლებას მისცემენ (იხ.Boyd, 2014; Gray, 2013).

აი, დაახლოებით ასე გამოიყურება ბავშვების მდგომარეობა ჩვენს საზოგადოებაში. მათ ადრინდელზე გაცილებით მეტი დროის გატარება უწევთ სკოლის „ციხეში", ხოლო სკოლისგან თავისუფალ დროს შინაპატიმრობაში არიან.

არასდროს, გარდა მონათმფლობელობისა და ბავშვთა ინტენსიური შრომის პერიოდებისა, ბავშვები არ ყოფილან ისეთი არათავისუფალნი, როგორიც დღეს.

რატომ არ ვრეაგირებთ ბავშვებისთვის თავისუფლებების შეზღუდვაზე?

რატომ არ გამოვდივართ პროტესტის ნიშნად ქუჩებში, ლოზუნგით „თავისუფლება ბავშვებს!"?

რატომ არ ვწერთ და ვარიგებთ პეტიციებს ბავშვების თავისუფლების მოთხოვნით იმ პოლიტიკოსებისგან, რომლებსაც ჩვენი ხმები სჭირდებათ?

რატომ ვაძლევთ სახელმწიფოს უფლებას, ასე შეზღუდოს ბავშვების თავისუფლება, როდესაც ნათლად ვხედავთ, როგორ იტანჯებიან ბავშვები ამ შეზღუდვებით?

ალბათ არა იმიტომ, რომ ბავშვები არ გვიყვარს. ადამიანების უმეტესობას ძალიან უყვარს ბავშვები. ვფიქრობ, ყველაფრის თავიდათავი უცოდინრობაა.

წყარო: https://www.psychologytoday.com/us/blog/freedom-learn/201902/children-s-freedom-human-rights-perspective

კრეატიული სკოლების აუცილებლობის შესახებ

დროა დავასრულოთ საგამოცდო-საქარხნო ტიპის განათლება.

ჩრდილოვანი კაბინეტის განათლების ყოფილი მდივანი მიესალმება სერ კენ რობინსონისა და ლუ არონიკას განცხადება-მანიფესტს, რომელიც უპირისპირდება ტესტების სტანდარტიზებულ სისტემას და მოუწოდებს ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტს, სასკოლო სწავლებაში უფრო შემოქმედებით და შთამაგონებელ მიდგომებს დაუჭირონ მხარი.

„ჩვენი სასკოლო სიტემა დღეს გახლავთ ორგანიზაციული რიტუალებისა და ინტელექტუალური ჩვევების ისეთი მატრიცა, რომელიც არაადეკვატურად აღიქვამს დღევანდელი სკოლის მოსწავლეების ტალანტების მრავალფეროვნებას. ეს იმიტომ ხდება, რომ სისტემა ბავშვების ნიჭისა და მონაცემების განვითარების საპირისპიროდ მოქმედებს: უამრავ სტუდენტს ჰგონია, რომ მათ სწავლის პრობლემები აქვთ; რომ არასაკმარისად გონიერნი არიან, ან უჭირთ საგნების ათვისება“ (სერ კენ რობინსონი, ბრიტანელი ავტორი, განათლების ექსპერტი, ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიის წევრი).

კენ რობინსონის თეზისი დამაჯერებლად ჟღერს: ჩვენ დღემდე ვიყენებთ მასობრივი განათლების ფორდისტულ მოდელს[1], რომელიც დღეს აღარ შეესაბამება ახალგაზრდებისთვის საჭირო მზარდ სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ ციფრული ხანა უყენებს. კიდევ უფრო სავარაუდოა, რომ პოლიტიკოსები, რომლებიც სკოლებში სწავლების მოქნილობასა და ინოვაციურობას უნდა უჭერდნენ მხარს, დღეს სტანდარტიზებული ტესტებისა და შეფასებების მკაცრ დამცველებად გვევლინებიან და ეს კიდევ უფრო ამძიმებს არსებულ კრიზისს.

რობინსონს რევოლუცია სურს განათლების სფეროში, რომელიც „სტანდარტების მოძრაობის სხვადასხვა პრინციპზეა დაფუძნებული“. მას სურს, რომ ჩვენ/თქვენ – გავხდეთ ცვლილების საფუძველი. „ყველაზე სწორი ადგილი, საიდანაც განათლების სისტემაზე ფიქრი უნდა დავიწყოთ, სწორედ სკოლაა და ის გარემო, სადაც თქვენ ამჟამად ხართ. თუ შეძლებთ შეცვალოთ სასკოლო გამოცდილება

იმათთვის, ვისთან ერთადაც მუშაობთ, თქვენ გახდებით განათლების, როგორც ერთიანი სისტემის ცვლილების ფართო და რთული პროცესის ნაწილი“.

რობინსონი, რასაკვირველია, თვითონ არის ცვლილების ინიციატორი, ე.წ „change-maker“. მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მისი ცნობილი გამოსვლით, „სკოლები კლავენ შემოქმედებას?“, 2006 წლის TED talk-ზე[2] (დღეს ეს გამოსვლა მსოფლიოში 300 მილიონზე მეტ ადამიანს აქვს ნანახი), თუმცა კენ რობინსონი, როგორც მასწავლებელი, მთავრობის მრჩეველი, ექსპერტი და მეცნიერი უკვე 40 წელზე მეტია საუბრობს მეტ კრეატიულობაზე სწავლებაში და სასკოლო სასწავლო პროგრამებში.

სერ კენ რობინსონისა და ლუ არონიკას 2016 წელს გამოცემული წიგნი „შემოქმედებითი სკოლები“ (Creative Schools: The Grassroots Revolution That's Transforming Education), „ნიუ იორკ-თაიმსის“ ბესტსელერი, ძლიერი, ელეგანტური და მიმზიდველი მანიფესტი, აერთიანებს სასკოლო გამოცდილებასა და პოლიტიკას (საგანმანათლებლო პოლიტიკებს), რომელიც ცვლილებისკენ მოუწოდებს მკითხველს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ წიგნში ოდნავ მძაფრია „განათლების კონფერენციების ტონალობა“ – მასში ხაზგასმულია „ცნობისმოყვარეობის, კრიტიკის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის“ საჭიროება, „მრავალფეროვნების, სიღრმისა და დინამიზმის“ მნიშვნელობა და, რაც მთავარია, წიგნი მკითხველს სთავაზობს საქმეში ღრმად ჩახედული ავტორების, კეთილგანწყობილი სტილით დაწერილ მოულოდნელ ამბებს შთაგონებით აღსავსე მასწავლებლებზე.

რობინსონისა და არონიკას წიგნი წარმოადგენს განათლების პოლიტიკაზე არსებულ იმ მზარდ საჯარო დისკურსს, რომელშიც გადმოცემულია ახალი იდეები და ინფორმაცია, ის არის შთაგონებული პრაქტიკოსებისა და სასკოლო ინოვატორების შესახებ. აქ არის დაგ ლემოვი (Doug Lemov) და პასი სალბერგი (and Pasi Sahlberg) – სწავლების საკითხებით, პოლ ტაფი (Paul Tough) – ხასიათის საკითხებით, ანდრიუ ადონისი (Andrew Adonis) – სასკოლო რეფორმის შესახებ, ანასტასია დე ვაალი (Anastasia de Waal) – შერჩევასელექციის თემით, პოლ მარშალი (Paul Marshall) – მოსწრებისა და ცოდნის ათვისების საკითხებით. ამის გარდა, წიგნი მოიცავს ბლოგებს, Twitter-ის ჩანაწერებს, Teach-Meets[3] და EdTech[4]-ის სტატიებსა და გამოსვლებს, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მასწავლებლებისა და განათლების სპეციალისტებისგან. ამას დაუმატეთ მსოფლიოს განათლების თავისებურებები, შედარებები და წინააღმდეგობები: შვედეთის თავისუფალი სკოლები, ფინური

განათლების სისტემა; ახალი ორლეანის ჩარტერული სკოლები, სინგაპურის კურიკულუმის რეფორმები და სხვა.

რაც მთავარია, სისტემების ამ მრავალფეროვნებას წიგნი მიესალმება. რაც მეტ დისკუსიას გავმართავთ განათლებაზე, მით უკეთესი. ეს აუცილებელია იმ 40-წლიანი სიცარიელის ამოსავსებად, რომელიც განათლების პოლიტიკის „შემოქმედთა“ მეცადინეობით დღევანდელ სისტემაში მათ მიერ დასახულ მიზნებსა და მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სისტემას შორის გაჩნდა. პოლიტიკოსების საქმე კი ის უნდა იყოს, რომ ეცადონ ამ სიცარიელის ამოვსებასა და სხვადასხვა ნაპირზე მდგომთა ხიდით დაკავშირებას.

რობინსონის აზრით, ზემოთ ხსენებული პოლიტიკოსები, სამწუხაროდ, საწინააღმდეგოს აკეთებენ: სკოლების საქმიანობის „პიზის“ საერთაშორისო შეფასებებით შეშინებულებს, სხვა არაფერი დარჩენიათ, რომ ჩაიკეტონ ტესტებისა და შეფასებების უკვე არსებულ მოდელში.

შედეგად, ჩვენ ვრისკავთ, „დავფიქსირდეთ“ ინდუსტრიული (საწარმოო) ტიპის განათლების სისტემაში, რომელიც „აწარმოებს“ მორჩილ, სწორხაზოვან მოსწავლეებს. „ტესტირებზე აქცენტის გაკეთებით, ჩვენ უარს ვამბობთ იმ ტიპის სწავლებაზე, რომელიც ბავშვის ბუნებრივ კრეატიულობასა და სტრატეგიული ტალანტების განვითარებას შეუწყობს ხელს; იმ ნიჭისა და უნარების განვითარებას, რომლებიც მათ დაეხმარება მომავლის იმ არაპროგნოზირებადი მოულოდნელობების გადალახვისას, რომლებიც მათ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ელოდებათ“.

ამ სიტუაციის წამალია სწავლების უფრო მდიდარი პერსონალიზაცია – რომელიც გულისხმობს გონების მრვალფეროვნებისა და მრავალსახეობის დაფასებას; სასწავლო გრაფიკის მორგებას მასალის შეთვისების სხვადასხვა სიჩქარეზე; მოქნილობას, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მისდიონ თავიანთ ინტერესებსა და ძლიერ მხარეებს; და შეფასების განსხვავებული მოდელის შემოღებას. როგორც მოსალოდნელი იყო, რობინსონი მხარს უჭერს სკოლებში ხელოვნების განათლების დიდი დოზით შეტანას – როგორც სასკოლო სწავლებისა და განათლების ძირითადი კომპონენტისა.

რობინსონი, თავის წიგნში საინტერესო მაგალითების მეშვეობით – შექსპირის სწავლებით, ლოს-ანჯელესის კორეულ კვარტალში A+ ხელოვნების პროგრამის აღწერით და ჩრდილო კაროლინის სკოლების ტრანსფორმაციით – გვიჩვენებს, თუ რა შედეგი შეიძლება მოგვცეს სკოლაში ხელოვნების სწორად და სერიოზულად სწავლებამ, განსაკუთრებით კი ღარიბულ, ქალაქის შიდა ნაწილში მდებარე რაიონებში[5].

პერსონალური ყურადღება მოსწავლისადმი, მათზე დახარჯული დრო და კვლავ ხელოვნება ზრდის მოსწავლეებში ჩართულობას.

მიუხედავად რობინსონის ზოგჯერ „ზედმეტად“ „კალიფორნიული“ საუბრებისა – განსაკუთრებით „ორგანულ განათლებაზე“ და სახლში სწავლების შესახებ (ე.წ. „ჰოუმ-სქულინგზე“)- მისი შთამაგონებელი კრიტიკა სკოლებზე, როგორც „გამოცდებისა და ტესტების ქარხნებზე“, ღირებულია რეფლექსიისა და საკითხზე დაფიქრების კუთხით.

ამის მიზეზი ალბათ ის გახლავთ, რომ ინგლისური სასკოლო განათლება ძალიან არის ორიენტირებული ტესტების მომზადებაზე, ფოკუსირებულია საგნის შეფასების „C” და „D” (დაბალი შეფასების ზღვარი, როდესაც „A”, უმაღლესი შეფასებაა, ლ.ა.) ზღვარზე.

თუ წარმოვიდგენთ, რომ ყველა მოსწავლე შეძლებს აითვისოს საბაზო მინიმუმი წერა-კითხვასა და არითმეტიკაში, დაწყებითი კლასების დამთავრებისას სწავლის შედეგი და საგნების ათვისების უნარი შესამჩნევად მაღალი იქნება.

მსგავსად, ჩვენ ბევრად მეტი თანმიმდევრულობა გვჭირდება პროფესიულ განვითარებასა და მასწავლებლების სწავლება-ტრეინინგებში.

მიუხედავად რობინსონის გამკიცხავი ტონისა, „პიზის“ შეფასება-შედარების სისტემა ნათლად გვიჩვენებს განსხვავებებს განათლების არსებულ სისტემებში. „პიზის“ ცხრილებით ჩანს, რომ ახალგაზრდები პოლონეთიდან თუ გერმანიიდან, რომ არ ვისაუბროთ სინგაპურელ და შანხაელ მოსწავლეებზე, ბევრად უფრო წინ არიან მნიშვნელოვან საგნებსა და უნარებში.

რობინსონი მართებულად შენიშნავს შემოქმედებითი სწავლების სიმკაცრეზე – „კრეატიულობა ნებისმიერ სფეროში მოიცავს ღრმა, ფაქტობრივ ცოდნასა და პრაქტიკული უნარების მაღალ დონეს“ – მაგრამ აუცილებელია, თავი დავიცვათ დაბალი მოლოდინების რბილი ცრურწმენებისგან: შემაშფოთებელი ტენდენციაა, რომ თამაში და ექსპრესია თითქოს მხოლოდ მომუშავე კლასისთვის არის ადეკვატური, ხოლო ძნელი საკითხები, როგორებიცაა ფიზიკა ან ისტორია, მათი მდიდარი მეგობრების სამფლობელოა...

ის, რაც მე პირადად მივიღე რობინსონის ამაღელვებელი ნაშრომიდან, გახლავთ განათლების სფეროსთვის ინოვაციების აუცილებელი და დაუსრულებელი საჭიროება.

პროექტებზე დამყარებული სწავლება, შერეული საკლასო ოთახი, პერსონალიზებული კურიკულუმი – ყველა ეს ფაქტორი საჭიროა განათლების სფეროს განახლებისთვის, ტრანსფორმაციისა და მასწავლებლის როლის დასახვეწად.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა საინტერესო, ხანდახან არაკომფორტული შესაძლებლობა, რომლებსაც ციფრული ტექნოლოგიები გვთავაზობენ.

ნებისმიერი მასწავლებლის ამბიცია, პროფესიონალიზმი და საგანში განსწავლულობა ამ სისტემის მთავარი მამოძრავებელია. „არანაირი მნიშვნელობა არ აქვს კურიკულუმის დეტალირების ხარისხს ან რა ჯდება ტესტები თუ გამოცდები; განათლების ტრანსფორმაცია დამოკიდებულია სწავლების ხარისხზე". სკოლის სტრუქტურა აშკარად უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ეფექტური და განათლებული მასწავლებლის ტვინი, მასწავლებელთა ნაკრები, რომლებიც ცვლილების ხელშემწყობი შეიძლება გახდეს და მათი პროფესიული განვითარების ხარისხი.

ჩვენ უნდა შევაჩეროთ საგამოცდო-საქარხნო მოდელი, უზრუნველვყოთ ფართო და გაწონასწორებული სასწავლო პროგრამა სკოლებისთვის და აქცენტი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე გავაკეთოთ; დავანებოთ თავი სასკოლო სისტემის რეფორმირების უნაყოფო მცდელობებს – არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვობა სკოლაში უფრო მდიდარი, სასიამოვნო და გამოწვევებით აღსავსე პერიოდად იქცეს, არამედ იმიტომაც, რომ მომავლის ეკონომიკა სწორედ ისეთ კრეატიულობას და მოქნილობას ითხოვს ახალგაზრდა თაობისგან, რომლის ადვოკატირებასაც სერი კენეტ რობინსონი ცდილობს თავის ნაშრომში.

წყარო: https://www.theguardian.com/books/2015/apr/23/creative-schools-revolutionising-education-from-the-ground-up-ken-robinson-lou-aronica-review

ავტორი: ტრისთრამ ჰანთი (Tristram Hunt), Victoria & Albert Museum-ის დირექტორი, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ყოფილი წევრი ლეიბორისტული პარტიიდან, ჩრდილოვანი კაბინეტის ყოფილი განთლების მინისტრი.

[1] ფორდისტული მოდელი, „ფორდიზმი" – ტერმინი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ლიტერატურაში (1) მასობრივი წარმოების ეკონომიკის დასახასიათებლად, რომელიც პირველად მე-20 საუკუნეში „ფორდ მოტორს კომპანიაში" ჰენრი ფორდმა დანერგა; (2) ეკონომიკური ზრდის მე-2 მსოფლიო ომის შემდგომი ტიპური მოდელი, განვითარებულ კაპიტალიზმში, მასთან ასოცირებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წესებით (https://www.britannica.com/topic/Fordism).

[2] TED – საერთაშორისო, ზეპარტიული, არამომგებიანი სატელევიზიო-ვიდეო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა სპეციალობისა და წარმოშობის მოაზროვნეთა და ინტელექტუალთა იდეების გავრცელებას (იხ. https://www.ted.com/talks და მისი ქართული ვერსია: https://www.facebook.com/tedtalksgeo

[3] Teach-Meet – მასწავლებელთა საერთაშორისო სოციალური ქსელი, რომელიც დაიწყო მასწავლებელთა ბლოგებით შოტლანდიაში.

[4] EdTech – ონლაინ ჟურნალი სკოლისა და უმაღლესი განათლების სპეციალისტებისთვის.

[5] აშშ-ში, ქალაქის „შიდა ნაწილები" (ე.წ. inner city), ამერიკის ურბანიზაციის თავისებურებების გამო, ძირითადად ღარიბი, აფრო-ამერიკული და ლათინური წარმოშობის მოსახლეობით არის დასახლებული.

საუბარი სერ კენ რობინსონთან – რატომ გახდა შემოქმედებითი აზროვნება ასეთი მნიშვნელოვანი?

ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრს საუბრობენ შემოქმედებით აზროვნებაზე, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე ფასეულ უნარზე. სიტყვა და ცნება „კრეატიულობა“ უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა ქართულში და მას ხშირად იყენებენ. ამ სიტყვას უკვე ყველგან და თითქმის ყველა კონტექსტში წააწყდებით. რატომ გახდა შემოქმედებითი აზროვნების უნარი ასეთი მნიშვნელოვანი ჩვენს ტექნოლოგიზირებულ და ციფრულ საუკუნეში? რატომ საუბრობენ კრეატიულობაზე მსოფლიოს ყველაზე დიდი კორპორაციები? რა კავშირშია კრეატიულობა და შემოქმედებითი ტალანტები განათლებასთან? რა შეუძლია გააკეთოს მასწავლებელმა ან მშობელმა, ბავშვში შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშესაწყობად? ამ კითხვებზე პასუხებისთვის გთავაზობთ ინტერვიუს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო რესპონდენტთან, განათლების სპეციალისტთან, სერ კენ რობინსონთან, რომელიც 21-ე საუკუნეზე და მიმდინარე საუკუნეში განათლების თავისებურებებზე საუბრობს.

კრეატიულობა ან შემოქმედებითობა: მას აძაგებდნენ, არ ამჩნევდნენ და ვერ იგებდნენ. მაგრამ როგორც იქნა, შემოქმედებითი ნიჭი თვითონვე იბრუნებს თავის ადგილს. ამ ინტერვიუში, კენ რობინსონი, ბრიტანელი ექსპერტი, კრეატიულობისა და შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული დამცველი და მკვლევარი, მოგვითხრობს შემოქმედების, როგორც 21-ე საუკუნის უმთავრესი უნარისა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ.

სერ რობინსონი 1998 წელს გახლდათ ბრიტანეთის მთავრობის მრჩეველთა კომიტეტის თავკაცი კულტურული განათლებისა და შემოქმედების საკითხებში. გაწეული სამუშაოსათვის მას მიენიჭა რაინდის წოდება. კენ რობინსონის წიგნებიდან აღსანიშნავია The Element (გამომცემლობა: Viking Adult, 2009) და Out of Our Minds: Learning to Be Creative (გამომცემლობა: Capstone Publishing Limited, 2001)

როგორც კრეატიულობა, ისე კრიტიკული აზროვნება, 21-ე საუკუნის მთავარ და მნიშვნელოვან უნარებად მოიხსენიება. თუმცა ზოგიერთები კვლავ

მიიჩნევენ, რომ ისინი ერთმანეთისგან ისევე განსხვავდებიან, როგორც ზეთი წყლისგან. თქვენ როგორ ფიქრობთ?

საინტერესოა, როდესაც ადამიანები კრიტიკულ აზროვნებასა და შემოქმედებითობას ერთმანეთს უპირისპირებენ. ეს ნაწილობრივ, ალბათ, იმის ბრალია, რომ ხალხი კრეატიულობას, შემოქმედებას, ტოტალურ თავისუფლებასა და არასტრუქტურულობას უკავშირებს. თუმცა ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ შემდეგი რამ: ვერ იქნები კრეატიული, თუ არაფერს აკეთებ. ადამიანს შეუძლია კრეატიული იყოს მათემატიკაში, მეცნიერებებში, მუსიკაში, ცეკვაში, მზარეულობაში, სწავლებაში, ოჯახის პატრონობაში, თუ ინჟინერიაში. რადგანაც კრეატიულობა არის ისეთი ორიგინალური იდეების შექმნა-წარმოების პროცესი, რომელთაც რაიმე ღირებულება გააჩნიათ. შემოქმედების დიდ ნაწილს, საქმეების ახლებურად, ახალი გზებით კეთება წარმოადგენს და ამ დროს საქმიანობის სფეროს მნიშვნელობა არ აქვს.

ვთქვათ, თქვენ ხართ შემოქმედი შეფმზარეული. თქვენს კრეატიულობას და ორიგინალურობას თქვენსავე სამზარეულოში მომზადებული კერძებით შეაფასებენ. ანუ იმის თქმა მინდა, რომ უაზრობა იქნება ახალი სუფლეს რეცეპტი თანამედროვე ჯაზის კრიტერიუმებით შევაფასოთ. შემოქმედებითი პროცესი, შესაძლოა ახალი იდეის უეცარი გაელვებით ან ინტუიციური შეგრძნების მეშვეობით დაიწყოს. იგი შეიძლება პრობლემის შესახებ ფიქრისას, იმპროვიზაციამ, ექსპერიმენტირებამ ან რაიმე უცხო იდეამ წარმოშვას, რომელიც მანამდე არავის გასჩენია. რაც მთავარია, ეს ყველაფერი პროცესია და არა ერთეული მოვლენა. ნამდვილი შემოქმედებითი პროცესი მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას, ისევე როგორც მოვლენის წარმოსახვით აღქმას და ახალ იდეებს.

მაგრამ კრეატიულობა არ გახლავთ მხოლოდ ახალი იდეები. ზოგიერთი იდეა შესაძლოა სრულიად არაპრაქტიკული და გიჟური იყოს. ამიტომაც კრეატიული პროცესის ყოველი ეტაპი და შემადგენელი ნაწილი მის შეფასებასაც გულისხმობს.

როდესაც, ვთქვათ, მათემატიკურ პრობლემაზე მუშაობთ, თქვენ მუდმივად ახდენთ მის შეფასებას და თავს ეკითხებით: „ნეტავი ეს სწორია?“ თუ პიანინოსთან ზიხართ და მუსიკას წერთ, თქვენი გონების ნაწილი უსმენს მას, რასაც აკეთებთ და თან ფიქრობს – „ეს ვარგა? ნეტავ, სწორი მიმართულებით მივდივარ?“

რაში მდგომარეობს ადამიანების ყველაზე მცდარი წარმოდგენები კრეატიულობაზე?

პირველია ის, რომ ფიქრობენ, თითქოს კრეატიულობა განსაკუთრებული ადამიანების ხვედრია – თითქოს ადამიანების მხოლოდ მცირე რაოდენობას აქვს შემოქმედებითი უნარები. ნებისმიერ ადამიანს აქვს უზარმაზარი შემოქმედებითი შესაძლებლობები. განათლებაში კრეატიულობის ხელშეწყობის პოლიტიკა, ყველას უნდა ეხებოდეს და არა მხოლოდ მოსწავლეთა მცირე ნაწილს.

მეორე მცდარი წარმოდგენაა აზრი იმის შესახებ, რომ შემოქმედება რაიმე განსაკუთრებულ საქმიანობს გულისხმობს. ადამიანები, ძირითადად, შემოქმედებითობას ხელოვნებასთან აკავშირებენ. მე თვითონ, ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გულმხურვალე ადვოკატი ვარ, მაგრამ კრეატიულობა ყველაფრის შემადგენელი ნაწილია, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ასე რომ, განათლება შემოქმედების შესახებ მთელ სასწავლო გეგმას უნდა შეეხებოდეს და არა მხოლოდ მის ნაწილს.

მესამე მცდარი წარმოდგენა კრეატიულობის შესახებ ეხება იმას, თითქოს ამ დროს ადამიანი „მიუშვებს“ თავს, ოთახში დარბის და ცოტა შეშლილივით იქცევა. სინამდვილეში შემოქმედება ძალიან დისციპლინირებული პროცესია, რომელიც მოითხოვს უნარებს, ცოდნასა და კონტროლს.

რა თქმა უნდა, შემოქმედება მოითხოვს წარმოსახვის უნარსა და შთაგონებას. მაგრამ ეს არასაკმარისია: კრეატიულობა წარმოადგენს ყოველდღიური განათლების დისციპლინირებულ გზას. თუ გავიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ვაფასებთ, მათი შემოქმედებითი მიღწევების გამო დავინახავთ, რომ ეს ხდება მათი განსაკუთრებული ხედვის, მათ მიერ მიღწეული წარმატებისა და იმ დისციპლინის გამო, რომელიც მათ სამუშაოს სჭირდებოდა.

როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა კრეატიულობა ასეთი მნიშვნელოვანი დღეს?

გამოწვევები, რომლებთანაც დღეს გვიწევს გამკლავება, უპრეცენდენტოა. დღეს პლანეტაზე იმაზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ოდესმე უცხოვრია.

დედამიწის მოსახლეობა ბოლო 30 წლის განმავლობაში გაორმაგდა. დღეს დედამიწაზე არსებულ რესურსებზე ზეწოლა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ტექნოლოგია კი წინსწრებით ვითარდება, ადამიანისთვის ჩვეულ რიტმზე უფრო სწრაფად.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები ცვლის ყველაფერს: როგორ შრომობს ადამიანი, როგორ ფიქრობს და უკავშირდება სხვებს. ეს გარემოებები ცვლიან ჩვენს კულტურულ ფასეულობებს. თუ შევხედავთ იმ ზეწოლას, რომელსაც ჩვე-

ნი პოლიტიკური და ფინანსური ინსტიტუტები, ჯანმრთელობის დაცვის სისტემები და განათლების სისტემა განიცდიან, დავინახავთ, რომ ჩვენ ამ პროცესს ვერაფერს შევადარებთ. წარსულში ასეთი ამოცანები და პროცესები არ ყოფილა. დიახ, მსგავსი რამ ადრე არ მომხდარა, ეს მართლაც ახალი გამოწვევებია და ამიტომაც, ჩვენთვის მნიშნელოვანია ჩვენი ერთიანობის, წარმოსახვისა და კრეატიულობის ყოველი მისხალი, რათა ამ პრობლემებს დავუპირისპირდეთ.

გარდა ამისა, ჩვენ ვცხოვრობთ მასობრივი არაპროგნოზირებადობის ეპოქაში — ბავშვები, რომლებიც სკოლას ა. წ. სექტემბერში დაიწყებენ, საპენსიო ასაკს დაახლოებით 2070 წელს მიაღწევენ. არავის შეუძლია დღეს გვითხრას, როგორი იქნება სამყარო 5 წლის შემდეგ, უფრო სწორად, მომავალ წელსაც კი... ამიტომაც სწორედ განათლების ამოცანაა, დავეხმაროთ ამ პატარა ბავშვებს იმის აღქმასა და შეგრძნებაში, თუ როგორ სამყაროში მოუწევთ მათ ცხოვრება და საქმიანობა.

ალბათ იცით, რომ ჩემს თაობას — მე 1950 წელს დავიბადე — გვეუბნებოდნენ, რომ თუ გულმოდგინედ იმუშავებ, დაამთავრებ უნივერსიტეტს, მიიღებ სამეცნიერო წოდებას, მაშინ შენი მომავალი ცხოვრება უსაფრთხო და დაცული იქნება, შენ თვითონვე ააწყობ შენს მომავალს. დღეს ალბათ უკვე აღარავინ ფიქრობს, რომ ასეთი ფორმულა სწორია, თუმცა სასკოლო სისტემას ისევე ვამუშავებთ, როგორც იგი ჩემი ახალგაზრდობის დროს მუშაობდა.

უამრავ ადამიანს აქვს დაცული სამეცნიერო ხარისხი. მეტიც, დღეს, ერთი ხარისხი უკვე აღარ არის საკმარისი, მისი ღირებულება, მისი ადრეული ღირებულებისა და მნიშვნელობის მხოლოდ ნაწილიღაა. ამიტომაც, შემოქმედებითი უნარები და კრეატიულობა ძალიან მნიშვნელოვანი გახდა დღევანდელი ეკონომიკისთვის.

მე ხშირად ვმუშაობ „ფორჩუნ-500“-ის კომპანიებთან და ისინი ყოველთვის მეუბნებიან — „ჩვენ გვჭირდება ადამიანები, რომლებსაც სიახლეების შემოთავაზება შეუძლიათ, ვინც განსხვავებულად ფიქრობენ“. თუ აშშ-ში კომპანიების გაქრობის/გაკოტრების მონაცემებს შევხედავთ, ვნახავთ, რომ იგი ძალიან მაღალია. ამერიკა დღეს ალბათ ყველაზე დიდი გამოწვევის წინაშე დგას — შეინარჩუნოს ლიდერის პოზიცია მსოფლიო ეკონომიკაში.

ამ ამოცანების გადაწყვეტას და შემდეგ მათ განხორციელებას კი მაღალი დონის სიახლე, შემოქმედება და გამომგონებლობა სჭირდება. დღეისათვის, კრეატიულობის წახალისების ნაცვლად, ჩვენ სისტემატურად ვდევნით ამ უნარს, ჩვენი ბავშვების განათლების სისტემიდან.

კრეატიულობა წინააღმდეგობაშია სტანდარტიზებული ტესტების სიტემასთან?

განათლების სისტემას ამერიკაში და ზოგადად, ძველ ინდუსტრიალიზირებულ ქვეყნებში ერთი მთავარი პრობლემა აქვს. ამერიკაში, სკოლის მაღალ კლასებში, მოსწავლეების 30 პროცენტი სკოლას ტოვებს და სწავლას აღარ აგრძელებს. ეს რიცხვი აფროამერიკელებსა და ლათინოამერიკელებში 50%-ს აღწევს, ხოლო აბორიგენ ამერიკელებში 80%-მდე ადის. როდესაც ასეთი მონაცემები გაქვს, ამაში ბავშვებს ვეღარ დაადანაშაულებ. ასეთი სავალალო მონაცემების შემხედვარე, ნათელია, რომ სისტემას რაღაც სჭირს – განათლების არაპერსონიფიცირებული ფორმები, რიგში მსხდომი ახალგაზრდა ადამიანებით, რომლებიც ვერაფერს ვერ იღებენ, რაც მათ ინტერესს გააღვივებდა, შთაგონებას მისცემდა და რაიმე სურვილს გაუჩენდა.

ეს მეტწილად სტანდარტიზებული ტესტირების დამკვიდრებულ კულტურას უკავშირდება. ეს კულტურა მთლიანად არაპროდუქტიულია. თუ ჩვენი განათლების წლებს გავიხსენებთ, თვალწინ დაგვიდგება კონკრეტული გაკვეთილები, კონკრეტული მასწავლებლებით, რომლებიც საშუალებას გვაძლევდნენ ის გვეკეთებინა, რაც გვაინტერესებდა, შთაგვაგონებდა. ასევე, როდესაც აღმოვაჩენდით იმ საქმიანობას თუ საგნებს, რომლებიც კარგად გამოგვდიოდა, ეს გვეხმარებოდა სხვა საგნების აღქმასა და სწავლაშიც – ამ დროს ადამიანის თავდაჯერებულობა მატულობს და დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ განსხვავებული ხდება.

ახლა კი, ძალიან ხშირად, ჩვენ ადამიანებს ვაუცხოებთ მათივე ტალანტებისგან და, შესაბამისად, განათლების მთელი პროცესისგან.

ეს ჩემთვის არ გახლავთ რაიმე ექსტრაორდინალური არგუმენტის მსგავსი, როდესაც ამბობენ – „ხომ არ აჯობებდა რომ ყველას ის ეკეთებინა, რაც მოსწონს“. ეს ფუნდამენტური ადამიანური ჭეშმარიტებაა: ადამიანები უკეთ საქმიანობენ, როდესაც ის საქმე, რომელზეც მუშაობენ, ამავდროულად, შთაგონებს მათ. მაგალითად, ზოგი ადამიანისთვის, ეს სპორტული ვარჯიშია, ზოგისთვის – ბლუზის დაკვრა და ზოგიერთისთვის – დათვლა თუ ანგარიში.

ჩვენ ეს ვიცით იმიტომ, რომ ადამიანის კულტურა ასეთი განსხვავებული და მდიდარია – და ჩვენი განათლების სისტემა ამ მრავალფეროვნების ფონზე ძალიან მონოტონური და მოსაწყენი ხდება. სულ არ არის გასაკვირი, რომ ბევრ ბავშვს ამ სისტემიდან გასვლა სურს. ხშირად ისინიც კი, ვინც სკოლაში

რჩება, იზოლირებულია. პროცესი მხოლოდ ადამიანების მცირე რაოდენობისთვისაა სასარგებლო. მაგრამ ეს რაოდენობა ძალიან მცირეა იმასთან შედარებით, რომ ენერგიის ეს ფუჭი ფლანგვა გავამართლოთ.

ადამიანები შემოქმედებით უნარებს ხშირად ინდივიდუუმთან აიგივებენ. არსებობს კრეატიულობის სოციალური განზომილება, რომელიც 21-ე საუკუნეს შეესაბამება?

ნამდვილად არსებობს. ორიგინალური აზროვნების უმეტესი შემთხვევები თანამშრომლობის შედეგია და სხვა ადამიანების იდეების სტიმულირების შედეგად ჩნდება. არავინ ცხოვრობს ვაკუუმში. ის ხალხიც კი, ვინც მარტო ცხოვრებას არჩევს — როგორც მარტოსული პოეტები ან სოლო-გამომგონებლები თავიანთ ფარეხებში — იმ კულტურის ნაწილნი არიან, რომელშიც ისინი გაიზარდნენ და რომელთაც სხვა ხალხის მიღწევებისა თუ იდეების გავლენა განიცადეს.

პრაქტიკული გაგებით კრეატიული პროცესის უმეტესი შემთხვევები, თანამშრომლობის შედეგად წარმოიშვება. დიდი სამეცნიერო გარღვევები, როგორც წესი, საერთო მისწრაფებებისა და ინტერესების მქონე, მაგრამ განსხვავებული აზროვნების ადამიანების გაცხარებული თანამშრომლობის შედეგია.

ეს არის ის უდიდესი უნარი, რომელსაც ხელი უნდა შევუწყოთ და რომელიც ბავშვებს უნდა ვასწავლოთ — თანამშრომლობა და სარგებლის მიღება განსხვავებული მიდგომებისგან და არა ის ჰომოგენურობა, რომელიც დღეს განათლების სისტემაშია დამკვიდრებული.

ამ მომენტისთვის ჩვენ დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ — განათლებაში დომინირებს სტანდარტიზებული ტესტირების კულტურა, რომელიც გონებრივი შესაძლებლობების მხოლოდ გარკვეულ ხედვას წარმოადგენს. შესაბამისად, ვიღებთ შევიწროებულ სასწავლო პროგრამას და განათლების სისტემას, რომელიც ათანაბრებს და ახშობს იმ საბაზო უნარებსა და პროცესებს, რომლებზეც დიდწილად არის დამოკიდებული ადამიანის კრეატიულობა.

გავიხსენოთ თომას ედისონი. იგი ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამომგონებელია. მან აშშ-ს საპატენტო სააგენტოში 1,100-ზე მეტი პატენტი დაარეგისტრირა. რეალობაში კი ისე გამოვიდა, რომ ედისონის უდიდესი ნიჭი სხვა ადამიანების მობილიზაციას უწყობდა ხელს — მას ჰყავდა ინტერდისციპლინური სპეციალისტების ჯგუფები, რომლებიც მასთან ერთად მუშაობდნენ. ისინი თავიანთთვის ისახავდნენ ნათელ ამოცანებს და კონკრეტულ ვადებს. მუშაობის პროცესი ძირითადად ერთად მუშაობასა და თანამშრომლობაზე იყო დამყარებული.

ამიტომაც, ჩემთვის უეჭველია, რომ თანამშრომლობა, მრავალფეროვნება, იდეების ურთიერთგაცვლა და სხვა ადამიანების მიღწევების შემდგომი განვითარება, შემოქმედებითი პროცესის გულს წარმოადგენენ. განათლება, რომელიც ფოკუსირებულია მხოლოდ იზოლირებულ ინდივიდზე, ამ შესაძლებლობების უაზროდ ფლანგვისთვისაა განწირული.

შესაძლოა კრეატიულობის სწავლება?

დიახ. თუმცა ადამიანებს ჰგონიათ, რომ ამის სწავლება შეუძლებელია, რადგან კარგად არ ესმით მისი არსი. ისინი ხშირად ამბობენ: „მე არ ვარ საკმარისად კრეატიული, ამიტომაც ვერ შევძლებ ამას“.

ამასთან არსებობს კრეატიულობის სწავლებაზე ფიქრის ორი გზა. პირველი, შესაძლოა ასწავლო შემოქმედებითი აზროვნების უნივერსალური უნარები, ისევე როგორც ვასწავლით კითხვას, წერას ან მათემატიკას. ზოგად უნარებს შეუძლიათ ადამიანისთვის პრობლემისადმი მიდგომების გზების გათავისუფლება – მაგალითად, ასეთია დივერგენტული აზროვნების უნარები. ასევე შესაძლებელია კრეატიულობის პროცესის გაძლიერება ანალოგიების, მეტაფორების და ვიზუალური წარმოსახვის წახალისებით.

ერთ დროს ამერიკელი ინდიელების ერთ-ერთ თემში ვმუშაობდი. მათი სურვილი იყო დავხმარებოდი მათ ტომს ხალხში სიახლეების გავრცელებაში. დავსხედით საერთო ოთახში და ისინი, პირველი საათის განმავლობაში ჩემგან ელოდნენ პრეზენტაციას და პლაკატებზე ხატვას, რომელიც მათ ამ სიახლეებს და ახალ მეთოდებს შეასწავლიდა. აქედან არაფერი გამოვიდა. შემდეგ, ავდექი და ვთხოვე, რომ ჯგუფებად ემუშავათ და დაეხატათ/გამოესახათ ის გამოწვევები თუ პრობლემები, რომლებიც აწუხებდათ.

იმ წუთიდან, როცა ადამიანები ვიზუალურად იწყებენ აზროვნებას და ნააზრევის ფურცელზე გამოსახვას – და არა პუნქტებად ჩამოწერილი წინადადებებით – ოთახში რაღაც განსხვავებული ხდება.

იმ ჯერზე ჩემი ინდიელი მასპინძლების ჯგუფებად დაყოფამაც იმუშავა: იმის გამო, რომ ისინი აღარ ისხდნენ ერთი მაგიდის გარშემო და უწევდათ ჯდომა და მუშაობა იმ ადამიანებთან, რომლებთანაც ჩვეულებრივ არ მუშაობდნენ, შედეგად სულ სხვა დინამიკა მივიღეთ. ასე რომ, შესაძლებელია ადამიანებს გონების გათავისუფლებისთვის გარკვეული უნარები შეასწავლო და საშუ-

ალება მისცე საკუთარი აზრების გამოსახატად, აზრთა მრავალფეროვნების ღირებულების და მათი მნიშვნელობის აღსაქმელად.

მაგრამ ამ უნარების სწავლების გარდა, არსებობს ინდივიდუალური, პერსონალური კრეატიულობა. ხშირად, ადამიანები თავიანთ საუკეთესო მიღწევებს პერსონალურ დონეზე ახერხებენ, როდესაც მათ საშუალება ეძლევათ გარკვეული მედიუმის (საშუალების) ან მასალების გარკვეული ნაკრების დახმარებით, განახორციელონ ის, რაც მათ აღმაფრენას უღვივებს და შთააგონებს.

ჩემი წიგნი – „ელემენტი (სტიქია)" – ადამიანის მიერ საკუთარი ვნების პოვნის შესახებაა დაწერილი. მე უამრავ ადამიანს ვესაუბრე – ტანმოვარჯიშეებს, მუსიკოსებს, მეცნიერებს, შესანიშნავ ქალბატონს, რომელიც ბილიარდის მოთამაშე გახლდათ.

მნიშვნელობა არ აქვს, იქნება ეს მუსიკა თუ ჯაზი ან სამმაგი ხტომა, თითოეული მათგანისათვის ეს იყო რაღაც, რაც რეზონირებდა მათში, რისადმიც ყოველ მათგანს პერსონალური მიდრეკილება ჰქონდა. თუ პერსონალურ მიდრეკილებას შეაერთებ იგივე საქმისადმი ვნებასთან, შემოქმედება სულ სხვა ადგილას წაგიყვანს.

იცით, ერიკ კლეპტონს გიტარა იმავე ასაკში აჩუქეს, როგორც მე. ამან კარგად იმუშავა ერიკისთვის, მაგრამ ვერ იმუშავა ჩემთვის. მან ის ჩინებულად აითვისა, მაგრამ ამავე დროს, უნარს თავისი უდიდესი ვნებაც დაუმატა მუსიკისადმი.

თუ კრეატიულობა და ინოვაცია ასეთი მნიშვნელოვანია, შესაძლოა მათი შეფასება?

ზოგადად, ადამიანების შეფასება, შეუძლებელია – კრეატიულობისათვის, აუცილებელია რაიმეს აკეთებდე, რათა კრეატიული გახდე.

თუ მათემატიკის გაკვეთილს უსმენთ და სწავლების მეთოდი თქვენში წაახალისებს ახალ მიდგომებზე ფიქრს, ახლებურად აზროვნებას, მაშინ შესაძლებელია განვსაზღვროთ კრეატიულობის და წარმოსახვითობის დონე მათემატიკური კლასის ჩარჩოებში, ისევე, როგორც ეს შეიძლება გააკეთო ცეკვის, მუსიკისა თუ ლიტერატურის გაკვეთილზე.

მე მკვეთრად ვმიჯნავ ერთმანეთისგან კრეატიულ სწავლებასა და კრეატიულობის სწავლებას. კრეატიული სწავლება ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი იყენებს თავის კრეატიულ უნარებს, იდეებისა და შინაარსის უფრო საინტერესოდ წარმოსადგენად.

ზოგი დიდი მასწავლებელი, რომლებზეც გვსმენია ან რომლებსაც ვიცნობთ, არიან ის ადამიანები, ვინც შეძლო სასწავლი შინაარსისა და მოსწავლის ინტერესების ერთმანეთთან დაკავშირება.

მაგრამ, ასევე შესაძლებელია ვისაუბროთ კრეატიულობის სწავლებაზე. ამ დროს, პედაგოგიკის პროცესი ისეა შექმნილი, რომ იგი ბავშვებს კრეატიულად აზროვნებისკენ უბიძგებს. შესაძლებელია მოსწავლეებისთვის ექსპერიმენტირება წავახალისოთ, არ გავცეთ ყველა შეკითხვაზე პასუხი, მაგრამ მივცეთ მათ საშუალება თვითონ მოიპოვონ ეს პასუხები ან გამოიკვლიონ ახალი გზები პასუხების საპოვნად. ზოგიერთ გარემოში შესანიშნავად გამოდის შემდეგის თქმა: „ჩვენ გვაინტერესებს ამ პრობლემის გადაჭრის ახალი და ორიგინალური გზები“.

რაც შეეხება ნიშნებს და შეფასებას კრეატიულობისთვის, ეს დიდი კითხვის ნიშანია. რა თქმა უნდა, გადასარევი იქნება, თუ ადამიანებს ორიგინალურობისთვის ნიშანს ან შეფასებას მივცემთ, წავახალისებთ მას და ბავშვებს დავაფიქრებთ ამ ახალი იდეების ეფექტურობაზე, ძველ იდეებთან მათ შედარებაზე – ეს პედაგოგიკის მძლავრი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ, არ შეიძლება ყველაფრის ნიშანზე და რიცხვზე დაყვანა. ვფიქრობ, არც უნდა დავიყვანოთ. ეს პრობლემის ნაწილია.

სტანდარტიზებული ტესტების რეჟიმმა იქამდე მიგვიყვანა, რომ გვგონია, თუ რაიმეს ვერ ვითვლით, მაშინ მას მნიშვნელობა აღარ აქვს.

ფაქტობრივად ყველა შემოქმედებით მიდგომაში არის საკითხები, რომლებსაც დავეძებთ, მაგრამ, რომელთა დათვლა ან მათი რაიმე ნიშნულზე დაყვანა, შეუძლებელია.

თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ მნიშვნელობა არ აქვთ.

როდესაც მესმის ადამიანების ნათქვამი „რა თქმა უნდა, კრეატიულობის შეაფასება შეუძლებელია“, ვფიქრობ-ხოლმე: „შესაძლებელია მეგობარო, უბრალოდ, შეჩერდი და დაფიქრდი მასზე“.

ინტერვიუერი: Amy M. Azzam

წყარო: http://www.ascd.org/publications/educational-leadership/sept09/vol67/num01/Why-Creativity-Now%C2%A2-A-Conversation-with-Sir-Ken-Robinson.aspx

ნინო ლომიძე

1 დემაგოგია 137

2 არგუმენტი – რაობა და სახეები 141

3 ვინ არის დამნაშავე? 145

4 „ვაგონის დილემა“ 147

5 მდუმარე ექსპერიმენტი- აცნობიერებენ თუ არა ჩვენი მოსწავლეები გაკვეთილის მნიშვნელობას? 151

დემაგოგია

დღეს ინფორმაცია სტიქიური ნაკადივით იღვრება, ყველგანაა და ყოველთვის. ამ სტიქიასთან გამკლავება არც თუ ადვილი ამოცანაა. ბუნებრივი სტიქიის მსგავსად, მასაც დამანგრეველი ძალა აქვს, სწორედ ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის დამუშავების, კრიტიკული აზროვნების, მედიაწიგნიერების უნარებზე ყოველდღიური მუშაობა.

ერთ-ერთი „დესტრუქციული იარაღი" საინფორმაციო არსენალიდან დემაგოგიაა.

რა არის დემაგოგია? სად, როდის და როგორ შეიძლება გავხდეთ დემაგოგიის „მსხვერპლი"? რა შეიძლება შევუპირისპიროთ დემაგოგიას? როგორ ავირიდოთ დემაგოგიის „მავნე ზემოქმედება"?

სკოლაში ამ კითხვებზე პასუხების მოსაძიებლად და პრობლემაზე სამუშაოდ დროის გამონახვა ყოველდღიურადაა სასურველი.

რა არის დემაგოგია?

დემაგოგია ბერძნული სიტყვაა. თავდაპირველად ნეგატიური მნიშვნელობა არ ჰქონდა, აღნიშნავდა ხალხის წინამძღოლობას, წარმართვას. ანტიკურ საბერძნეთში დემაგოგს უწოდებდნენ გამორჩეული ორატორული უნარების მქონე პოლიტიკოსს ან მოაზროვნეს, რომელსაც მარტივად შეეძლო ხალხზე სათანადო ზემოქმედება. თანამედროვე განმარტების თანახმად, დემაგოგია ცრუ დაპირებით, ფარისევლობით, ფაქტების განზრახ დამახინჯებით ზეგავლენის მოხდენას გულისხმობს.

შესაძლოა, ადამიანს მცდარი შეხედულებები ჰქონდეს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ამ მცდარ შეხედულებებს ღიად გამოხატავდეს, ცდილობდეს სხვების დარწმუნებას ან გადარწმუნებას, მაგრამ თუ ის განზრახ, გაცნობიერებულად ამახინჯებს ფაქტებს, იშველიებს ცრუ არგუმენტებს, ცრუ დაპირებებით ცდილობს მსმენელებს თავს მოახვიოს საკუთარი მოსაზრებები, ის დემაგოგია.

სოციალურ ქსელებში, ონლაინ, ბეჭდურ თუ ტელემედიაში ხშირად ვაწყდებით ხოლმე დისკუსიას სხვადასხვა საკითხზე. დისკუსიებს, დებატებსა და დისპუტებს გაკვეთილებზეც ვაწყობთ. ზედაპირული დაკვირვებაც საკმარისია იმის სათქმელად, რომ კამათის კულტურა ჩვენს საზოგადოებაში დასახვეწია.

რა ხერხებსა და „მანქანებს“ იყენებენ ხოლმე ყველაზე ხშირად დემაგოგები?

კითხვა კითხვის წილ

მარტივი ფსიქოლოგიური ხრიკი, რასაც დემაგოგები ხშირად მიმართავენ, დასმულ კითხვაზე კითხვისვე შეგებებაა. კითხვა ერთგვარი „შეტევითი აქტია“. ვინც კითხვას სვამს, ის უტევს კიდეც. დემაგოგისთვის მნიშვნელოვანი ტაქტიკური პოზიციაა გავლენის მოპოვება, ამიტომ დასმულ კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის ნაცვლად ის კითხვას „აიფარებს“. ასეთ შემთხვევაში ოპონენტს არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, თავი დაიძვრინოს. გაიმეორეთ თქვენი შეკითხვა და მოითხოვეთ კონკრეტული პასუხი.

რელატივიზმი

ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა, ზოგადად, დემაგოგიის საფუძველია. ოპონირებისას „კუთხეში მიმწყვდეული“ დემაგოგის ტაქტიკა სწორედ ამას ეფუძნება. ფრაზები „აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს“, „ ყველა თავისებურად მართალია“, „ყველაფერი ფარდობითია“ – მარტივი გამოსავალია და გამოიყენება ოპონენტის დასაშოშმინებლად. ამ შემთხვევაში კამათის საგანთან დაბრუნება, თეზისის ნათლად, მკაფიოდ გამეორება და კონკრეტული არგუმენტების მოთხოვნაა გამოსავალი.

„ინვერსიული პრეზუმფცია“

უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც ცნობილია, გულისხმობს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ მიიჩნევა მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ამასთან, არავინაა ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. საკუთარი პოზიციის გასამართლებელი არგუმენტების წარმოჩენის ნაცვლად დემაგოგი ხშირად მიმართავს პრეზუმფციის ამ ზოგად თეზას და ითხოვს ოპონენტისგან საწინააღმდეგოს დამტკიცებას. „დამიმტკიცეთ საწინააღმდეგო“, „მოიყვანეთ საწინააღმდეგო არგუმენტები“ . ამ შემთხ-

ვევაში საჭიროა სიტუაციის სიტყვიერი ანალიზი, დემაგოგისთვის „კარტების გაშლა“ და მითითება, რომ ის „გაშიფრულია“.

ყურადღების კონცენტრირება შეცდომებსა და უზუსტობებზე

გამოცდილი დემაგოგი ყურადღებით უსმენს ოპონენტს, ინიშნავს ყველა უზუსტობას, შეცდომას (მათ შორის, გრამატიკულს, წარმოთქმის დროს დაშვებულს, უმცირესსაც კი), შემდეგ კი „მიჯრით მიაყრის“ ამ უზუსტობებს მსმენელს და ყურადღებას ამახვილებს მათზე, საბოლოოდ, ყველაფერი იქითკენ მიჰყავს, რომ ადამიანს, რომელიც ასეთ შეცდომას უშვებს, ჭკუა არ მოეკითხება, მისი მოსაზრებები და პოზიცია კი სწორი ვერ იქნება. ზოგიერთი უფრო შორსაც მიდის და ოპონენტის ცხოვრებისეულ შეცდომებს, ბიოგრაფიულ მონაცემებს იყენებს კონკრეტულ საკითხზე მსჯელობისას. ამრიგად, ყურადღების კონცენტრირება ხდება არა სამსჯელო საკითხზე, არამედ არაარსებით დეტალებზე. უნდა ვიცოდეთ, რომ მონაცემები, რომელიც სამსჯელო საკითხს, თეზისს არ ეხება, არგუმენტებად არ გამოდგება და ეს წმინდა წყლის დემაგოგიაა.

წყაროები და კვლევები

საერთაშორისო, მასშტაბური, უცხოური, მსოფლიო მკვლევრების და ბრიტანელი/კანადელი/ამერიკელი მეცნიერების კვლევებზე დაყრდნობა დემაგოგების „საყვარელი“ ხრიკია. აქვეა მოძველებული, სტერეოტიპული, სულაც, მოგონილი და არარეალური გამოკითხვების შედეგებიც. ზოგი უფრო შორსაც მიდის – გასაიდუმლოებული, „გრიფით საიდუმლო“, კონფიდენციალური წყაროები – ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში სახელდება, როდესაც შეუძლებელია ზუსტი ფაქტების დამოწმება. მოითხოვეთ ზუსტი წყაროები, ფაქტები, რიცხვები, სტატისტიკური მონაცემები.

დილემა და ალტერნატივა, როგორც ულტიმატუმი

საკმაოდ გავრცელებულია ასევე უამრავი შესაძლო ვარიანტიდან მხოლოდ იმ ორის წარმოჩენა, რომელიც მთქმელს მიზნის მისაღწევად სჭირდება. ეს ცრუ ალტერნატივა, ცრუ დილემა საკმაოდ ნათელ (უფრო სწორად კი, ბნელ) სურათს ქმნის და ოპონენტს უხშობს სხვა ვარიანტებს, სამსჯელო საკითხი იმდენად და იმ სახით ვიწროვდება, როგორც დემაგოგს „აწყობს“.

მაგალითად, პიროვნული თავისუფლების საკითხზე მსჯელობისას დემაგოგიურად ჟღერს ფრაზა „რა უფრო მნიშვნელოვანია, თავისუფლება თუ უსაფრთხოება? სახელმწიფო ზრუნავს თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, ამიტომ პიროვნული თავისუფლების გამოხატვა უნდა იზღუდებოდეს. დემოკრატია კარგია, სტაბილურობა კი აუცილებელი“. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმაზე მითითება, რომ ეს ორი რამ ერთმანეთის ალტერნატივად არ უნდა განიხილებოდეს და მსჯელობის საგანი დილემის გადაჭრა არ არის.

ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია. კრიტიკული აზროვნება კი ერთ-ერთი ის იარაღია, რაც თანამედროვე ადამიანისთვის შეუცვლელი მნიშვნელობისაა. დემაგოგის არსენალში არსებული ზემოთჩამოთვლილი სტრატეგიების დამუშავება საგაკვეთილო პროცესში საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ადვილად ამოიცნოს დემაგოგიური მსჯელობა და შეუპირისპიროს მას არგუმენტირებული მსჯელობა.

არგუმენტი – რაობა და სახეები

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ხშირად ვთხოვთ მოსწავლეებს არგუმენტირებულ მსჯელობას.

რამდენად კარგად ესმით მათ, რას ნიშნავს არგუმენტი?

რამდენად დამაჯერებელია მათი მსჯელობა?

როგორ ასაბუთებენ მოსაზრებებს და იყენებენ თუ არა არგუმენტებს სწორად – ეს კითხვები სწავლა-სწავლების პროცესში ხშირად გვიჩნდება.

თუ მოსწავლეებს არასწორად ესმით არგუმენტის მნიშვნელობა, ისინი ადვილად ურევენ დაშვებას, ვარაუდს ან თეზისს არგუმენტირებულ მსჯელობაში.

ასე რომ არ მოხდეს, მნიშვნელოვანია, მათ კარგად ესმოდეთ ცნების მნიშვნელობა და ასხვავებდნენ არგუმენტის სახეებს.

რა არის არგუმენტი?

არგუმენტი, განმარტების თანახმად, საბუთია, რომელიც მოჰყავთ რისამე დასამტკიცებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არგუმენტი არის ის, რაც ხსნის, ნათელს ჰფენს კითხვას – რატომ უნდა დავიჯეროთ/გავითავისოთ/მივიღოთ/უარვყოთ ან ვირწმუნოთ ნათქვამი. არგუმენტი, ამავდროულად, არის ის, რაც მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს მოსაზრებას, არგუმენტირებული საუბარი და პოზიცია კი პატივისცემასა და მოსმენას იმსახურებს იმის მიუხედავად, ვეთანხმებით თუ არა.

არგუმენტირებული მსჯელობა

ესე, წაკითხულის ანალიზი, მხატვრული ნაწარმოების ანალიზი, თხზულება, საკუთარი მოსაზრების ზეპირად ან წერილობით ჩამოყალიბება – ყველა ამ მიმართულებით ყოველდღიური მუშაობაა საჭირო, რათა მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს არგუმენტირებული მსჯელობის უნარი და ჩვევა. არგუმენტირებული მსჯელობა მნიშვნელოვანი და გამჭოლი კომპეტენციაა, რაც მთელი

ცხოვრების განმავლობაში გვჭირდება მიუხედავად არჩეული პროფესიისა თუ სპეციალობისა.

არგუმენტირებული მსჯელობა კარგად სტრუქტურირებული მსჯელობაა.

თავდაპირველად, საჭიროა სამსჯელო თეზისის კარგად გააზრება, ნათლად ჩამოყალიბება, საკუთარი პოზიციის გაცხადება.

ამას მოჰყვება არგუმენტი – ანუ, საბუთი, პასუხი კითხვაზე – რატომ უნდა მივიჩნიოთ ეს (და არა სხვა) პოზიცია მართებულად.

არგუმენტს სასურველია ახლდეს მაგალითი (დემონსტრაცია), რომელიც კიდეც უფრო ცხადს გახდის პოზიციის სისწორეს.

და ბოლოს – დასკვნა – ლოგიკური კავშირი, გამომდინარე ორივე წინადადებიდან, ანუ თეზისის დაკავშირება არგუმენტთან.

ზოგიერთ შემთხვევაში მსჯელობა კონტრარგუმენტების მიმოხილვასაც გულისხმობს, ანუ მსჯელობის დროს პირი თავად წამოაყენებს საკუთარი პოზიციის საწინააღმდეგო არგუმენტებს და ცდილობს გააბათილოს ისინი.

არგუმენტის სახეები

არსებობს სხვადასხვა ტიპის არგუმენტი. ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარი ნათქვამის დასასაბუთებლად ვიყენებთ ფაქტებს – არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს, სტატისტიკას, მეცნიერებას, აქსიომებს, ერთი სიტყვით, იმას, რაც უკვე დამტკიცებულია, რისი მართებულობაც სადავო არ არის და რაც ჩვენს მოსაზრებას რეალურად არსებული ფაქტების მეშვეობით განამტკიცებს.

ხშირად იყენებენ ასევე ფსიქოლოგიურ-ემოციური ტიპის არგუმენტებს, ახსენებენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს. ამ შემთხვევაში სპეკულაციის, პოპულიზმის, დემაგოგიის რისკი მეტია, ორატორს სიფრთხილე მართებს, რომ მისი მსჯელობა დემაგოგიაში არ გადაიზარდოს და მეტისმეტად პლაკატური არ გახდეს.

არგუმენტებად შეიძლება გამოვიყენოთ აფორიზმები, ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიები, გამონათქვამები, ანდაზები, ეპიზოდები/მონაკვეთები წაკითხული წიგნებიდან, ნანახი ფილმებიდან, პუბლიცისტური წერილებიდან და ა. შ.

ამ შემთხვევაში აუცილებელია წყაროს მითითება, ავტორიტეტის სახელისა და გვარის, მისი ნაშრომის მოხსენება (დაუშვებელია ამ ტიპის განცხადებები – ვიცნობ ერთ კაცს, ან – როგორც ერთმა ცნობილმა ადამიანმა თქვა, ან – ისე, როგორც იმ ფილმშია, სადაც...).

საფრთხილოა ასევე სტატისტიკური მონაცემებისა და ციფრების მოშველიება. თუ არ გვინდა, რომ მსჯელობისას ცილი დაგვწამონ უვიცობასა ან უზუსტობაში, არ უნდა გამოვიყენოთ ზოგადი ფრაზები „50%“, „ნახევარზე მეტი“, „ყველა“ ან „არავინ“...

მნიშვნელოვანია, ზუსტად გვახსოვდეს სტატისტიკური მონაცემი ან კვლევის შედეგი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავიმოწმოთ ის.

არგუმენტებად ხშირად იშველიებენ ხოლმე ანალოგიებსაც – ამ ტიპის არგუმენტის ფორმულირებისას ასეთი ფრაზა გვხვდება „ ეს იგივეა რაც“ – და მთქმელი ცდილობს, მოძებნოს სამსჯელო საკითხის მსგავსი, ანალოგიური სიტუაცია (მოცემულობა), რათა უკვე გადაწყვეტილი/მსგავსი მოცემულობა მოიყვანოს ნიმუშად.

იმისთვის, რომ არგუმენტი დამაჯერებელი და „წონიანი“ იყოს, მნიშვნელოვანია:

მარტივად, ნათლად, მკაფიოდ, გასაგებად ჩამოვაყალიბოთ სათქმელი – არგუმენტს ყოველთვის პირდაპირი მიმართება აქვს დასმულ სამსჯელო საკითხთან და არ ცვლის მსჯელობის მიმართულებას;

მოვიშველიოთ ზუსტი ფაქტობრივი მონაცემები – ეფექტიანი არგუმენტი ყოველთვის ზუსტ ფაქტს, მონაცემს, მეცნიერულ ცოდნას ეყრდნობა;

ვიყოთ კორექტულები – დაუშვებელია პიროვნული დამოკიდებულების გამოხატვა, ოპონენტის (საწინააღმდეგო მოსაზრების, კონტრარგუმენტის) დამცირება;

არ გამოვიყენოთ არგუმენტებად დაშვება („დავუშვათ“, „გააჩნია“, „მგონია“ ტიპის მსჯელობა), ვარაუდი, უზუსტობები, მცდარი ანალოგიები, როდესაც ორ საგანს შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება, განზოგადებები (ერთი კონკრეტული მაგალითის მასშტაბური განზოგადება).

ვინ არის დამნაშავე?!

ბევრ სხვადასხვა სიტუაციასა და ვითარებაში შეიძლება ამ კითხვის დასმა, მაგრამ არის ერთი სივრცე, ერთი კონკრეტული სიტუაცია, როცა ეს ყოვლად დაუშვებელი, საზარელი და ამაზრზენია და ეს სივრცე მოსწავლეებით სავსე საკლასო ოთახია.

ამ საკითხზე წერილის დაწერა მაშინ გადავწყვიტე, როცა მეგობარმა თავისი შვილის სკოლაში მომხდარის შესახებ მიამბო.

ამბის მთავარი გმირი საოცარი და ღირსეული ადამიანია – მეგობრის შვილის კლასში ახალი გადასული მოსწავლე. სიტუაცია კი ასეთია – ერთ-ერთი სკოლის მეშვიდეკლასელებმა ცელქობისა და თამაშის დროს დასვარეს კედელი.

კედელს ორი სხვადასხვა ფეხსაცმლისგან დატოვებული ნაფეხური ეტყობოდა. რადგან ყველამ იცოდა, რომ იმ სივრცეში მეშვიდეკლასელები თამაშობდნენ და ფეხსაცმლის ანაბეჭდიც დაახლოებით ამ ასაკის ბავშვებისა იყო, სკოლის დირექციამ და მასწავლებელმა დაკითხვა მოაწყვეს – კლასში შელაგდნენ და ავისმომასწავებელ სიჩუმეში ეს საზარელი და უმისამართო კითხვა რამდენჯერმე დასვეს.

კითხვას, საბოლოოდ, გამოეპასუხა ერთ-ერთი „დამნაშავე“, რომელსაც მშობლის მოყვანა დაავალეს და „განაჩენიც“ იქვე, სიტყვიერად, ყველას თანდასწრებით „გამოუტანეს“, მაგრამ, ცხადია, ამით უფროსები ვერ დაკმაყოფილდებოდნენ და კლასის დატოვებას მანამ არ აპირებდნენ, სანამ მეორე დამნაშავე არ ადგებოდა ან რომელიმე მოხალისე კლასელი არ გათქვამდა მის ვინაობას.

ამ დროს, გაჭიანურებულ დუმილში, კლასში ახალგადმოსულს ხელი აუწევია და მორიდებით უკითხავს:

– შეიძლება მე რომ ვიყო მეორე?

ამ გულწრფელ და გასაოცარ კითხვას, მადლობა ღმერთს, უფროსებისგან, ამჯერად მაინც, ადეკვატური რეაქცია მოჰყოლია. მეორე „ცოდვილის“ ძიების პროცესი დასრულდა და კლასში შემოლაგებული დირექცია და ოფიციალური პირები ისევ გალაგდნენ.

ამბის დასასრული.

ყოველ ჯერზე, როდესაც ამ სიტუაციის წარმოდგენას ვცდილობ, მაინტერესებს და ვერაფრით მივმხდარვარ, რა მოტივი აქვთ უფროსებს – მასწავლებელს, დირექტორს, სასწავლო ნაწილს, მოადგილეს, სულ ერთია – მოსწავლეების წინაშე მდგომებს. რა სურთ მათ? რა არის მათი მიზანი? რაზე ფიქრობენ, როცა მუქარანარევი ტონით უსვამენ ამ კითხვას ბავშვებს?

სამართლისა და სიმართლის პოვნა სურთ?

გამბედაობის უნარის გამომუშავებასა თუ წაქეზებაზე „მუშაობენ“?

რაიმეს გამოსწორებაა მათი მიზანი?

დავუშვათ, სკოლაში მოხდა რაღაც მიუღებელი.

დავუშვათ, ყველამ ზუსტად იცის, რომ ამ მიუღებელი ქცევის ჩამდენი რომელიღაც კონკრეტული კლასის მოსწავლეა (ვინაობა უცნობია).

სასწრაფო წესით იკრიბება მთელი კლასი და საზარელ დაძაბულობაში ისმის ეს კითხვა – ახლავე ითქვას, ვინ ჩაიდინა ეს! ახლავე ადგეს დამნაშავე!

ვფიქრობ, ამგვარი „საჯარო საგამოძიებო ღონისძიება“ დაუშვებელია და მოსწავლის ღირსების შემლახველიც. წარმოიდგინეთ თუნდაც, „დამნაშავე“ მოსწავლის, მოზარდი ადამიანის მდგომარეობა, როდესაც მას აიძულებენ ხმამაღლა და ყველას თანდასწრებით გათქვას საკუთარი ან სხვისი „დანაშაული“.

ვფიქრობ, დაუშვებელია ადამიანის იძულება გამოთქვას რაიმე შეხედულება ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, სხვების თანდასწრებით.

სწორედ ამას ითხოვს ის, ვინც მთელი კლასის წინაშე სვამს კითხვას:

ვინ არის დამნაშავე?

ახლა მეორე ამბავიც მინდა მოვყვე. ამჯერად – პირადი გამოცდილებიდან.

სკოლაში, სადაც ვმუშაობ, სამასწავლებლოში ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე მიმდინარე საკითხებსა და პრობლემებზე. ერთ დღესაც, შესვენებაზე, აღელვებული დამრიგებელი ყვებოდა კლასში მომხდარი უსიამოვნების შესახებ – კლასში ერთ-ერთ მოსწავლეს ახალი, ლამაზი პენალი დაეკარგა. დილით სკოლაში მოტანილი უცბად გაქრა! მასწავლებელმა გაკვეთილის თემაც და გეგმაც გვერდით გადადო და ასეთი რამ შესთავაზა მოსწავლეებს:

ახლა ჩვენ ყველანი გავალთ გარეთ და შემდეგ სათითაოდ შევალთ კლასში. ის, ვინც სხვისი ნივთი მიისაკუთრა, დააბრუნებს მას თავის ადგილას ან დადებს მასწავლებლის მაგიდაზე. ამით ეს უსიამოვნება ამოიწურება. მოსწავლე, რომელმაც სხვისი ნივთი დაუკითხავად აიღო (რასაც ქურდობა ჰქვია),

კარგად დაფიქრდება თავის ქცევაზე. თუ მას სურვილი აქვს, შეუძლია საბოდიშო წერილი დაწეროს და ასევე მაგიდაზე დატოვოს.

„თუ ახლა ვერ მოახერხებთ დაბრუნებას, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს დაბრუნდეთ კლასში და დააბრუნოთ აღებული“ – დასძინა მასწავლებელმა.

მოგვიანებით, როდესაც კლასი ისევ შეიკრიბა ერთად, მასწავლებელმა სთხოვა მოსწავლეს, რომელსაც პენალი დაეკარგა, შეემოწმებინა ჩანთა. ნივთი დაბრუნებული აღმოჩნდა.

მასწავლებელმა მადლობა გადაუხადა „დამნაშავეს“ სწორი გადაწყვეტილებისთვის და ამ თემას იმ დღეს აღარ მიბრუნებია.

მორიგი გაკვეთილები მან ისე დაგეგმა, რომ ბევრი ემსჯელათ ამ თემაზე. გარკვეული ხნის შემდეგ მის მაგიდაზე საბოდიშო წერილი გაჩნდა.

მსგავსი შემთხვევა კლასში აღარ განმეორებულა.

როგორ უნდა მოქცეულიყო დირექცია და მასწავლებელი ჩემი მეგობრის შვილის კლასში მომხდარი უსიამოვნების შემდეგ?

კლასის წინაშე პირისპირ მდგარ მასწავლებელს შეეძლო აეხსნა მოსწავლეებისთვის, რომ სკოლის სივრცე მათი სივრცეა. ადგილი, სადაც ისინი დღის დიდ ნაწილს ატარებენ. ადგილი, სადაც მათზე ზრუნავენ. ამიტომ მოსწავლეებმაც, თავის მხრივ, უნდა იზრუნონ სივრცეზე და მოუარონ მას.

მას შეეძლო ეთხოვა იმ მოზარდებისთვის, რომლებმაც თამაშის დროს დააზიანეს ან დასვარეს კედელი, მობრუნებულიყვნენ გაკვეთილების შემდეგ და მშობლების დახმარებით მოეწესრიგებინათ გარემო. შეიძლებოდა იმის შეთავაზებაც, რომ კლასს ერთობლივად დაელაგებინა და დაესუფთავებინა სივრცე.

შეიძლებოდა ნებისმიერი სხვა, უფრო მართებული და გამართლებული გამოსავლის მოძებნა. ოღონდ არა საჯარო სასამართლოს მოწყობა საკლასო სივრცეში და დამნაშავის აღიარების გამოძალვა.

რა თქმა უნდა, სიტუაცია და პრობლემა მრავალნაირი შეიძლება იყოს. ცხადია, არის მძიმე შემთხვევებიც და ისეთი ვითარებაც, როდესაც დუმილი და დამალვა დანაშაულის ტოლფასია და ასეთი შემთხვევები სცდება მოსწავლისა და მასწავლებლის(ან დირექციის) ურთიერთობის ფორმატს და საკლასო სივრცესაც.

შესაბამისად, ამას არც განვიხილავთ.

ისევ და ისევ, თუ საქმე მოზარდების მიერ დაშვებულ შეცდომებს და ადვილად გამოსასწორებელ ქმედებებს ეხება, დამნაშავის გამოვლენისა და სასჯელის საჯაროდ გაცხადების ნაცვლად უმჯობესია, ამ პრობლემისა თუ შეცდომის აღმოფხვრაზე დავხარჯოთ ენერგია და მოსწავლეებს თავად დავავალოთ გაფუჭებულის გამოსწორება.

ვაგონის დილემა

რა იქნება თქვენი პასუხი კითხვაზე – შეძლებთ თუ არა ადამიანის მოკვლას ოდესმე? რას უპასუხებთ კითხვას – გადაარჩენდით თუ არა ადამიანის სიცოცხლეს, ეს რომ თქვენს ქმედებაზე იყოს დამოკიდებული?

რა მოხდება, თუ ეს ორი სიტუაცია ერთმანეთს გადაეჯაჭვება და რთული მორალური დილემის წინაშე დადგებით?

რამდენად რეალურია მორალური იმპერატივის არსებობა?

რის მიხედვით გვეცვლება მორალური ღირებულებები, პატერნები? საერთოდ, შეიძლება თუ არა არსებობდეს „პირადი მორალი“? თუ ის მუდამ საყოველთაო და ერთადერთია?

არსებობს ორი სიმართლე? თუ ორი არსებობს, ე. ი. უთვალავიც არსებობს?

რაც გაუმართლებელია ერთ შემთხვევაში, გამართლებულია მეორე შემთხვევაში?

რა ფაქტორები განაპირობებს მორალური ღირებულებების ამოტრიალებას?

არსებობს ზოგადსაკაცობრიო მორალური ფასეულობები?

არის თუ არა გამართლებული მცნებითმეტყველებითი სტილი სკოლებში?

თავბრუდამხვევია კითხვების ეს კასკადი. უსასრულობამდე შეიძლება გაგრძელდეს და პასუხებიც სხვადასხვაგვარი გაეცეს.

ლიტერატურის გაკვეთილებზე ხშირად ისმის ხოლმე ასეთი კითხვები. პერსონაჟების ქმედებებისა და მათი ხასიათის შესახებ მსჯელობისას მოსწავლეები თანაგანიცდიან ამა თუ იმ მორალურ სიტუაციას, ცდილობენ არსის წვდომას, პასუხების მოძიებას.

ერთ-ერთ გაკვეთილზე საუბარი მორალზე ჩამოვარდა. რაოდენ ცვალებადი და მყიფეა გარკვეული მორალური ღირებულებები, რითია განპირობებული და რა ცვლის მათ, ამასთან, არსებობს (უნდა არსებობდეს თუ არა) ზოგადსაკაცობრიო მორალი თუ ადამიანის თავისუფლება მორალური თვალსაზრისითაც შეუზღუდავი უნდა იყოს?

ეს კითხვები ბუნებრივია. საჭიროც.

მათზე ფიქრი, მოსაზრებების ან ვარაუდების გამოთქმა, „რთული“, ასე ვთქვათ, „მიუღებელი“ ან არაპოპულარული პასუხების ამოთქმა, ხმამაღლა გაჟღერება – მნიშვნელოვანია. როცა მოსწავლეები დარწმუნებულნი არიან „უსაფრთხოებაში“, იმაში, რომ მათ არავინ დაადანაშაულებს და არ მიაკრავს გარკვეულ იარლიყებს, ისინი ცდილობენ სხვადასხვა კუთხით, რაკურსით შეხედონ ამა თუ იმ პრობლემას.

ეს ფასდაუდებელი პროცესია. ამ პროცესს რაღაც აქვს საერთო არისტოტელესეულ კათარზისთან, როდესაც „შიშისა და თანაგრძნობის გზით“ ვცდილობთ“ ამგვარ ვნებათაგან განწმენდას“ ან მათ პირისპირ მდგარი (ვნებებთან და შიშთან) ვცდილობთ ძიებას, პოვნას, პასუხის მორგებას ან უკუგდებას...

მასწავლებელს ამ პროცესში მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი – ერთი მხრივ, მან არ უნდა შეზღუდოს აზროვნების პროცესი, ყოველგვარ მოსაზრებას და ფიქრს უნდა ჰქონდეს გაცხადების უფლება, აქ საფრთხილოა, ლოზუნგური და პლაკატური განსჯით არ დავაფრთხოთ ახალგაზრდები, ამავდროულად, არ გაგვიტაცოს „სწორი იდეური ორიენტირების ჩანერგვის“ ხიბლმა, მეორე მხრივ, რთულია თავის შეკავება, როდესაც ჩვენთვის ძვირფას, გათავისებულ, გასაგებ, მისაღებ „სამყაროსეულ წესრიგს“ სხვაგვარად აღიქვამენ, უარყოფენ, არ ეთანხმებიან.

მაგრამ რამდენს ვსწავლობთ ამ ვითარებაში...

ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ მოსმენას უფრო მეტი ძალა და მიზანი აქვს, შესაბამისად კი შედეგიც, ვიდრე ჭკუის სწავლებას, მცნებითმეტყველებას – ეს ცუდია, ეს კი კარგია. ასე უნდა მოიქცე, ასე კი – არა.

ზოგჯერ ისეც ხდება, ხისტ ქმედებას ან თქმას აქვს ოდენ შედეგი.

როგორი რთულია არჩევანის გაკეთება, სწორი მიმართულების შერჩევა, სიფრთხილის დაცვა...

შევეცადე, შესავალ ნაწილში ზოგადი კონტექსტი წარმომეჩინა, რაც ერთი საინტერესო მორალური დილემის, ამოცანის გასაცნობადაა ზედგამოჭრილი. ეს ფილოსოფიური ამოცანა კი იმის ილუსტრაციაა, თუ როგორ შეიძლება გარკვეულმა ფაქტორებმა შეცვალონ ჩვენი ქმედებები ან იმოქმედონ გადაწყვეტილების სისწორისა თუ მცდარობის შეფასებაზე.

1960-იან წლებში ინგლისელმა ფილოსოფოსმა ფილიპა რუთ ფუტმა, რომელიც მორალისა და ეთიკის საკითხებს იკვლევდა, შექმნა საინტერესო წარმოსახვითი მორალური ამოცანა, რომელიც „ვაგონის პრობლემის“ (Trolley problem) სახელითაა ცნობილი.

ამოცანა:

მძიმე, უმართავი ვაგონი ლიანდაგზე მიჰქრის. ის დიდი სისწრაფით უახლოვდება 5 ადამიანს, რომლებიც ვერ გადაადგილდებიან ვერც მარცხნივ, ვერც მარჯვნივ, რათა თავი გადაირჩინონ. თქვენ დგახართ გადამრთველთან და საკმარისია ვაგონს ლიანდაგზე მიმართულება შეუცვალოთ, რომ ხუთივე ადამიანი გადარჩება. საქმე ისაა, რომ შეცვლილი მიმართულებით მოძრავი ვაგონი უცილობლად გაიტანს ერთ ადამიანს, რომელიც ასევე ლიანდაგზეა და ვერც მას ასცდება ვაგონი.

გადამრთველთან მდგარი ადამიანი დილემის წინაშეა. მას რთული არჩევანი აქვს გასაკეთებელი – არ მოიმოქმედოს არაფერი და ამ შემთხვევაში ვაგონი ხუთ ადამიანს იმსხვერპლებს, გადართოს მიმართულება და ამ შემთხვევაში ვაგონი ერთ ადამიანს იმსხვერპლებს.

რომელია მორალურად უფრო სწორი გადაწყვეტილება?

„მსუქანი ადამიანი“

ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჯუდით ჯარვის თომსონმა იმავე დილემის სახეცვლილი ვარიანტი წარმოადგინა – უწინდებურად, უმართავი ვაგონი მიჰქრის ხუთი ადამიანისკენ. თქვენ დგახართ ხიდზე, რომლის ქვეშაც ლიანდაგია, ვაგონი საცაა ამ ხიდქვეშ გაივლის. თუ ლიანდაგზე რაიმე დიდსა და მძიმეს ჩააგდებთ, ვაგონი შეჩერდება. თქვენ გვერდით ძალიან მსუქანი ადამიანია. ერთადერთი საშუალება, შეაჩეროთ ვაგონი და გადაარჩინოთ 5 ადამიანი, მსუქანი ადამიანისთვის ხელის კვრა და ლიანდაგზე მისი ჩაგდებაა. ვაგონი მას გადაუვლის და გაჩერდება.

ამ შემთხვევაში ადამიანი პირდაპირი ქმედების არჩევანის წინაშე დგას – ცოცხალ ადამიანს უნდა ვკრათ ხელი.

„მსუქანი ავაზაკი“

ყველაფერი იგივეა, იცვლება მხოლოდ ის, რომ მსუქანი ადამიანი ბოროტი ავაზაკია, რომელმაც ეს ხუთი ადამიანი დააბა ლიანდაგზე.

არის ამოცანის სხვადასხვაგვარი სახეცვლილი ვარიანტებიც (იცნობთ ერთს და არ იცნობთ ხუთს, ხუთივე ადამიანი – თქვენი ოჯახის წევრია, ერთი კი უცნობი და პირიქით და ა. შ.).

„ვაგონის დილემის“ კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ამ არარეალისტური სიტუაციის წარმოდგენა ადამიანებისთვის რთულია და მათი ზეპირი პასუხიც შორს იქნება იმ ქმედებისგან, რასაც ისინი განახორციელებენ (განახორციელებდნენ) მსგავსი დილემის წინაშე რეალურად რომ წარმდგარიყვნენ. აღწერილ სიტუაციებს გამოკითხულთა უმრავლესობა არ აღიქვამს სერიოზულად და დასკვნის ზნეობრიობაც, მათი აზრით, საკამათოა.

თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, რობოტებისა და თვითმართვადი ტექნიკური საშუალებების დახვეწის პირობებში, დილემა კვლავ იძენს აქტუალობას – ადრე თუ გვიან დღის წესრიგში დადგება ხელოვნური ინტელექტის ყოველდღიურ ყოფაში იმაზე მეტად ჩართვის საკითხი, ვიდრე ეს დღეს ხდება. მაგალითისთვის ავიღოთ მანქანა ან უპილოტო სატრანსპორტო საშუალებები – ვთქვათ, თვითმართვადი ავტომობილის წინ (ავტომობილი იცავს მოძრაობის ყველა წესს, არის გამართული) გადაირბინა ბავშვმა. მანქანას დამუხრუჭების დრო არ რჩება. მარჯვნივ მოხვევის შემთხვევაში ის ღრმად მოხუც ადამიანს დაეჯახება, შემდეგ კი გაჩერდება, მარცხნივ მოხვევის შემთხვევაში საპირისპირო ზოლში გადავა და მგზავრებს შეუქმნის საფრთხეს – მოქმედების რა ვარიანტები უნდა დაუპროგრამდეს ასეთი შემთხვევებისთვის რობოტს? რა იქნება ამ შემთხვევაში ეთიკური, მორალურად გამართლებული? ვინ და როგორ უნდა გადაწყვიტოს ამგვარი საკითხები?

ასეა თუ ისე, საინტერესოა – არსებობს ადამიანი, რომელსაც ერთი, სწორი, უყოყმანო პასუხი აქვს ამ კითხვებზე?

მდუმარე ექსპერიმენტი

აცნობიერებენ თუ არა ჩვენი მოსწავლეები გაკვეთილის მნიშვნელობას?

45-წუთიანი დროის მონაკვეთი ჩვენთვის გეგმის შესასრულებელი, ცოდნის, სასარგებლო, საინტერესო, საჭირო, მნიშვნელოვანი ცნობის გადასაცემი, სწავლა-სწავლების შემადგენელი სხვადასხვა სახალისო აქტივობის შესასრულებელი პერიოდია.

რას აკეთებენ, რით არიან დაკავებული, რას ისურვებდნენ და რას გააკეთებდნენ მოზარდები, მათი ნება რომ იყოს?

იღებენ თუ არა უშუალო მონაწილეობას თავიანთი დღის წესრიგის დაგეგმვაში?

კიდევ იმაზეც დავფიქრებულვარ, შეუძლიათ თუ არა მათ, სწორად გადაანაწილონ დრო, განსაზღვრონ თავიანთი საჭიროებები, შეადგინონ გეგმა და მიჰყვნენ მას.

ამ საკითხებზე ფიქრის დროს ერთი იდეა დამებადა. არ ვიცი, უკვე არსებობს თუ არა ეს ექსპერიმენტი, რომელსაც ახლა გაგიზიარებთ ან თუ არსებობს, რა ჰქვია და ვის აქვს ეს გამოცდილება. ჩემს შემთხვევაში სპონტანურად გაჩენილი იდეა მეორე დღის გაკვეთილის გეგმად იქცა (აქვე დავძენ, რომ სკოლაში, რომელშიც ვასწავლი, სწავლა „ეპოქალურია“, ანუ რამდენიმე კვირის განმავლობაში ტარდება „მთავარი გაკვეთილი“, რომელიც გრძელდება საათსა და 45 წუთს. ამჯერად მეათეკლასელებს „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქა აქვთ. ერთი საათისა და 45 წუთის გარდა, მათთან „ჩვეულებრივი“ გაკვეთილიც მაქვს (45 წუთიანი) და სწორედ ეს გაკვეთილი გამოვიყენე „რიგგარეშე“ და არაფორმალური აქტივობისთვის).

იდეა

ამ ექსპერიმენტს „30 წუთიანი მდუმარე ექსპერიმენტი“ დავარქვი და დიდი სიფრთხილით და მღელვარებით შევიტანე მეათე კლასში.

შედეგი კი იმაზე საინტერესო მივიღე, ვიდრე ველოდი ან ვიდრე შემეძლო წარმომედგინა.

ექსპერიმენტის აღწერა

არანაირი წინაპირობა, არავითარი ინვენტარი, არავითარი წინასწარი მომზადება...

გაკვეთილის დაწყებისთანავე დაფაზე დავწერე „ექსპერიმენტი – მდუმარე ნახევარი საათი“ და მარტივი წესები:

გაქვთ ნახევარი საათი. დაგეგმეთ ისე, როგორც გენებოთ, გააკეთეთ ის, რაც მოგესურვებათ, მთავარია – გააკეთოთ რაიმე სასარგებლო და შემეცნებითი!

დაიცავით ორი პირობა: გააკეთეთ საქმე მდუმარედ და ნახევარი საათის შემდეგ აღწერეთ – რაში დახარჯეთ თქვენი ცხოვრების ეს 30 წუთი.

დაფაზე დაწერილმა პირველივე წინადადებამ ფაქტობრივად მთელი კლასის ყურადღება მიიპყრო. წესების წაკითხვისთანავე უთქმელად, ზედმიწევნით დაიწყეს იმის კეთება, რაც დაევალათ. სიტყვიერად დავაზუსტე, საკლასო სივრცის დატოვებაც შეგიძლიათ და მაგალითად, ბიბლიოთეკაში გადაბარგება-მეთქი. მხოლოდ ორი მოსწავლე გავიდა კლასიდან. ერთ-ერთი მოგვიანებით შემოვიდა, კალამი გაიტანა და კვლავ თავის საქმეს დაუბრუნდა.

ნახევარი საათის განმავლობაში ვაკვირდებოდი საქმიან, მოწესრიგებულ, თავისი საქმიანობით მეტისმეტად გატაცებულ მოსწავლეებს. ერთი ხატავდა, ხუთი წერდა, სამი – საშინაო დავალების რვეულებში რაღაცას იწერდა, ერთი – უცხო ენის სახელმძღვანელოს ამუშავებდა, რამდენიმე – ქართულის დავალებას ასრულებდა, სამი მოსწავლე „არაფრის კეთების ნეტარ ხიბლში“ ჩავარდა. სრულიად ლეგიტიმურად მიეცათ უფლება, მოეწყინათ გაკვეთილზე და არაფერიც არ ეკეთებინათ. მოწყენა ზოგჯერ როგორი სასარგებლო რამაა...

ოციოდე წუთის შემდეგ ამ სამიდან ერთი აგათა კრისტის დეტექტივს კითხულობდა, ერთი „ვეფხისტყაოსანს“ და ერთიც კვლავ საფიქრალს მისცემოდა.

მოსწავლეები მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ.

არავინ გადასულა ყირაზე, არცერთს არ გამოუყენებია ბოროტად ნდობა, არავინ გასულა (ნებართვის მიუხედავად) გარეთ „გასანიავებლად“.

მოზარდები ისხდნენ და იმას აკეთებდნენ, რაც იმ მომენტში საინტერესოდ და საჭიროდ მიაჩნდათ.

ექსპერიმენტი შედგა და იმაზე საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა.

ყველა სიტყვასა და შეფასებაზე მეტად სათქმელს მათი ბარათები ამბობს. ბარათები, რომლებიც ნახევარი საათის შემდეგ ჩამაბარეს.

„ეს 30 წუთი ჩემთვის საკმაოდ დამხმარე და პროდუქტიული გამოდგა. ამ დროს მე დავფიქრდი, რა უნდა გამეკეთებინა. როგორც ცნობილია, ადამიანი იცვლება გარემოებებიდან გამომდინარე და გამიჩნდა უდიდესი სურვილი, რომ სკოლის სოციუმში ვიყო ისეთი, როგორიც ვარ სინამდვილეში. ეს არ დამიწერია იმიტომ, რომ ნაწერი მოგწონებოდათ. არამედ ეს ჭეშმარიტი აზრია“.

გიორგი

„ვიმეცადინე ინგლისური. შემდეგ კი გავაგრძელე ფიქრი. ამ თემაზე დაახლოებით ოთხი თვეა ვფიქრობ. საბოლოო პასუხი მაინც ვერ მოვიფიქრე, მაგრამ მივხვდი, რომ რაც მინდა, მე თვითონ უნდა შევძლო. მშობლებისგან და ოჯახისგან დამოუკიდებლად“.

მაშო

„როგორც კი მივხვდი, რა დაწერეთ, მაშინვე ვიფიქრე, რომ წიგნის კითხვას დავიწყებდი. სხვათა შორის, ძალიან გამიხარდა, რადგან სახლში იშვითად ვახერხებ წიგნის კითხვას და ძირითადად ტრანსპორტში ვკითხულობ – მეტროში, ავტობუსში, გაჩერებაზეც, სკოლაშიც, გაკვეთილებზეც, თუ თემა არ მაინტერესებს, რასაც იმ გაკვეთილზე გავდივართ. უღრმესი მადლობა ამ გაკვეთილისთვის და ჰო, კმაყოფილი ვარ, ჩემი ცხოვრების ნახევარი საათი წიგნის კითხვაში გავატარე და 10 წუთი ჩემი ემოციების ამ ფერად ფურცელზე გადმოტანაში“.

სოფო

„ეს ნახევარი საათი ჩემთვის ძალიან სასარგებლო იყო, რადგან შევძელი მათემატიკის და ქართულის საშინაო დავალების შესრულება. კარგია აზრიანად და ნაყოფიერად ნახევარი საათის გამოყენება“.

მარი

„წავიკითხე „ნადირობა ცხვარზე“, ზუსტად 30 გვერდი და გავიგე, რას ნიშნავს სიტყვა პწკარედი“.

სანდრო

„ჩემი 30 წუთი თითქმის დუმილში გავფლანგე და ამასთან ჩემს თავს მომავალში წერილი მივწერე. გავფლანგე-მეთქი ზედმეტი მომივიდა. მივხვდი, რა მნიშვნელოვან დროს ვკარგავ ხოლმე და შედეგად არაფერს არ ვიღებ. იმ

წერილში, რომელიც მომავალ საკუთარ თავს გავუგზავნე, თავს ვამხნევებდი. დაბადების დღეც მივულოცე. ჩამოვწერე მოლოდინები და სურვილები“.

სალომე

„ამ 30 წუთში ნახატი გავაფერადე. მეთქი, ბოლომდე დავასრულებ, მაგრამ მომწყინდა. სულ ვხატავ, ვხატავ...ჰოდა გადავწყვიტე, წამეკითხა წიგნი, რომელიც მეგობარმა მირჩია. ამ წიგნმა ძალიან ჩამითრია. მეგონა, სერიალს ვუყურებდი. ვერ გავჩერდი. მოკლედ, ძალიან კარგი იყო“.

ვერიკო

„ეს ექსპერიმენტი ძალიან საინტერესოა იმ მხრივ, რომ ვნახოთ – რაში გამოიყენებს ადამიანი იმ უცბად გამოჩენილ თავისუფალ დროს, რომელიც დაგეგმილი არ იყო. ჩემდა სამწუხაროდ ისეთი პროდუქტიული არ იყო, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან არ მქონდა თან წიგნი ან სხვა დასამთავრებელი საქმე. თუმცა მოვასწარი ერთი ნახატის დამთავრება. იმ სტილში დავხატე, როგორშიც ადრე არ მიცდია“.

ნინო

„საინტერესო იყო. როგორც დავაკვირდი, ყველა ჩუმად იყო. თავიდან დავაპირე გასვლა, მაგრამ მერე კითხვა ვარჩიე. ვიჯექი და ვკითხულობდი. სიჩუმე იყო“.

ნინო

„მე დავწერე ერთი თემა, რომელზეც ამ ბოლო დროს ვმუშაობ. ვირჩევ ხოლმე თემებს და მერე ვამუშავებ. ვწერ. ეს ექსპერიმენტი მომეწონა“.

გიორგი

„პირველი ხუთი წუთის განმავლობაში დაძაბული ვიყავი. ვგრძნობდი, რაღაც უჩვეულო იყო. შემაშინა მდუმარებამ. შემდეგი 25 წუთი კი ვცდილობდი წამეკითხა წიგნი. ვერ ვიტყვი, რომ დიდი ინტერესით ვკითხულობდი ამიტომ ხშირ-ხშირად ვათვალიერებდი კლასსა და მოსწავლეებს“.,

ნინა

„ეს დრო გამოვიყენე ორი რამისთვის: 1. გაცდენილი გაკვეთილის მასალა აღვადგინე; 2. გავიხსენე ჩემი საყვარელი ციტატები სიმღერებიდან, წიგნებიდან, ფილმებიდან და ბრჭყვიალა ფლომასტერით დავწერე პატარა ფურც-

ლებზე. ვერთობი ასეთი რამეებით და კარგ განწყობაზე მაყენებს. ნუ განმსჯით! ზოგადად, მიყვარს სიჩუმე და სიჩუმის უხერხულობა და მისტიკა. არასდროს ვიტყვი უარს საკუთარ თავთან მარტო დარჩენაზე სიჩუმეში. ამაზე მეტად საინტერესო ისაა, სხვებთან ერთად რომ ხარ მარტო და სიჩუმეს იყოფთ. საინტერესო იყო და მადლობა“.

კესო

„ეს ნახევარი საათი გამოვიყენე გერმანულის თემაზე სამუშაოდ. დრომ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა. მოვასწარი ნაწერის შემოწმება, გადაკეთება და ბოლომდე მიყვანა. კარგი იქნებოდა უფრო მეტი დრო მქონოდა. გადათეთრებასაც მოვასწრებდი. სასიამოვნო იყო კლასში მუშაობა. მომეწონა, ჩვენთვის დრო რომ გამოყავით, რადგან ეს საქმე აქ გავაკეთე და ამიტომ სახლში დამატებით ნახევარი საათი დავისვენებ“.

კატო

„ჩემი ცხოვრების ეს ნახევარი საათი დავხარჯე გერმანულის დავალებაში. ეს ჩემთვის სასარგებლო იყო, რადგან მალე გერმანულის გამოცდა გვაქვს. გარდა ამისა, სახლში რომ მივიდოდი, დავალების გაკეთება, სავარაუდოდ, დამავიწყდებოდა ან დამეზარებოდა. ახლა კი მეტი თავისუფალი დრო მექნება. მადლობა! კარგი იქნება, ამას თუ კიდევ გავიმეორებთ“.

გვანცა

„ნახევარი საათიდან ნაწილი ბიოლოგიის რვეულის შევსებას მოვანდომე. მერე წერის წყურვილმა დამიწყო ღრღნა. თავისუფალი წერის სურვილმა. მაშინ უნდა წერო, როცა გრძნობ, რომ ემოციები მოგიზღვავდა, გულის სიღრმეებში ჩამწყვდეული ემოციები... ჰოდა, მეც გადავწყვიტე ამათი სასეირნოდ გამოშვება. ავიღე ჩემი იაკი კაბეს ჰაიკუების კრებული (საიდუმლო სანტას დიდი მადლობა ამ საჩუქრისთვის), ამოვირჩიე საყვარელი ჰაიკუ, გადავწერე რვეულში და შემდეგ ის დავწერე, რაც ვიგრძენი.

ეს ჰაიკუა:

წვიმის შემდეგ, შემოდგომის მოჟამულ ცაზე ღრუბელთ მსვლელობას ჩრდილოეთისკენ ჩემზე მეტად სევდიანად შეჰყურებდნენ ჩემი ეზოს ლეღვის ფოთლები (იაკი კაბე – ირაკლი კაკაბაძე).

ცარიელ ოთახში სიჩუმის სიმყუდროვეს მხოლოდ წვიმის ხმა არღვევს. წვიმის, რომელსაც მაღლა ცაში ნაცრისფერ ღრუბლებთან ჯდომა მოსწყინებოდა“.

ინა იმედაშვილი

1 „გამარჯობა, მე მქვია ლევანი და მე მჩაგრავენ...“ 159

2 ფსევდოპატრიოტიზმის მრავალთავა ურჩხული 164

3 შენ ეს შეძელი! – ჩემი მეგობარი მასწავლებლის ერთი მნიშვნელოვანი მიგნება 168

4 ო, ეს საოცარი თომა! ბიჯი ჰიპერაქტიურობის დიაგნოზითა და ამოუწურავი ფანტაზიით 171

5 რისთვის სჭირდებათ ბავშვებს ზღაპრები 176

„გამარჯობა, მე მქვია ლევანი და მე მჩაგრავენ...“

ერთი კლასის ერთი ამბავი –
როგორ იქცნენ რუხი ღრუბლები ცისარტყელად

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო, 17. კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევები. 1710/102 – შეუძლია, დაეხმაროს სხვებს კონფლიქტის მოგვარებაში იმით, რომ შესთავაზოს რამდენიმე შესაძლო ალტერნატიული გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან.

„გამარჯობა, მეშვიდე კლასელი ვარ, ჩემი გამოგონილი სახელი ლევანია, და ამ წერილს იმიტომ გწერთ, რომ ვიცი თქვენც გამოგიცდიათ, როგორია, როდესაც გჩაგრავენ...“

ეს წერილი ჩემი დაწერილია, ლევანიც ჩემი მოფიქრებული ბიჭია. წლების წინ ერთ-ერთ კლასში, რომელსაც მე ვასწავლიდი ე. წ. ბულინგის საფრთხე დადგა. თუმცა ამის გაცნობიერება ბავშვებს გაუჭირდათ, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები და დიდაქტიკური დარიგებები, რომ ჩაგვრა არ შეიძლება, რომ ეს არაჰუმანურია, თავიდანვე უარვყავი და გადავწყვიტე ისეთი რამ გამეკეთებინა, რომელიც ყველა ბავშვს დააფიქრებდა და უკეთ გააზრებინებდა შექმნილ სიტუაციას.

სანამ დაწვრილებით მოგიყვებოდით ჩემს ამბავს და რჩევებსაც გაგიზიარებდეთ, ბულინგს და ჩაგვრას ზოგადად შევეხები.

ვიცით, რომ ბულინგი არ არის ქართული სიტყვა, ის შემოპარულია უცხო ენიდან, ამბობენ, რომ ბულინგი განსხვავდება ჩაგვრისგან და მას ქართული შესატყვისი არ გააჩნია, ჩაგვრა ერთი ინდივიდის მიერ მეორე ინდივიდის დამცირება თუ ფიზიკური/მორალური ზიანის მიყენებაა, რასაც შეიძლება ერთჯერადი ხასიათი ჰქონდეს, ბულინგი კი მრავალჯერადია და თან „ბულერებად“ ჯგუფი გვევლინება, რომელთა სამიზნეც შესაძლოა ერთი ან რამდენიმე მოსწავლე იყოს. თუმცაღა, ჩემი აზრით, ჩაგვრაც შეიძლება იყოს მრავალჯერადი, და შესაძლოა მჩაგვრელებად ჯგუფიც იქცეს. ამიტომ, მე პირადად ვერ ვხედავ ამ ტერმინის (ბულინგის) დამკვიდრების საჭიროებას, თუმცა თუ ეს ამ კუთხით პრობლემების მოგვარებას შეუწყობს ხელს და თანამედროვე მოზარდებისთვის „ბულერი“ და „ბულინგი“ უფრო გასაგებია და უკეთ ასახავს სიტუაციას, მაშინ დავტოვოთ „ბულინგი“ და გააკეთოს თავის საქმე – პრობლემის იდენტიფიკაციისა, სახელის დარქმევისა. ამ წერილშიც გამოვიყენებ „ბულინგსაც“ და ჩაგვრასაც, რომ კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი მათ შორის განსხვავების არ არსებობას.

ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ჩაგვრა ახალი რამ ნამდვილად არ არის და მას უზარმაზარი ისტორია აქვს, უფრო მასშტაბურად ერებს შორის დაპირისპირებებითა და კონფლიქტებით. რაღა თქმა უნდა, ამ წერილის მიზანი არ არის, ადამიანის ბუნების და ზოგადად ძალადობის მიმოხილვა, ამიტომ, შევეხები ერთ კონკრეტულ საკითხს: ჩაგვრას სკოლაში, რაც ასევე მრავალ წელს ითვლის, ალბათ პირველი სკოლის/სასწავლებლის შექმნიდან, და რასაც გამომწვევი მიზეზები და წინა ისტორიებიც აქვს. ხშირად, როდესაც სკოლაში ჩაგვრის შემთხვევა ფიქსირდება, რა თქმა უნდა, ჩაგრულის მხარეს ვიჭერთ, მჩაგვრელს კი ვსაყვედურობთ და მკაცრ ზომებსაც მივმართავთ. რაც ნორმალურია, და ასეც უნდა იყოს, მაგრამ, გვავიწყდება რომ, ხშირ შემთხვეაში, ის ადამიანი, რომელიც სხვაზე ძალადობს, თავადაც ძალადობის მსხვერპლია და ყველა არ არის ისეთი ძლიერი, რომ მათზე სიტემატურმა ძალადობამ კვალი არ დატოვოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სკოლის მოსწავლეებზე, ფაქიზი ფსიქიკის მქონე მოზარდებზე ვსაუბრობთ.

მოძალადედ მაშინ იქცევი, როდესაც გიჭირს ემოციების კონტროლი, გაქვს მოვლენების არასწორი აღქმა და შეფასებები, სტერეოტიპული დამოკიდებულებები თუნდაც გენდერის გააზრების, დაბალი თვითშეფასება, მუდმივი სტრესი და სხვ. მოკლედ, მოძალადეებად არ იბადებიან, ასეთები შემდეგ ხდებიან და მათ ჩამოყალიბებაში საზოგადოებას, ოჯახს, სკოლას უზარმაზარი, გადამწყვეტი როლი აქვთ, და პირიქითაც, მოძალადე შესაძლოა კარგი მეგობარი გახდეს, თუ კი სწორად მივუდგებით და რაც ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია პრევენციულ ზომებს მივმართავთ.

მასწავლებლობა ურთულესი პროფესიაა. არ არსებობს კარგი და ცუდი მასწავლებელი, ან ხარ მასწავლებელი ან არა. მასწავლებელს იმხელა პასუხისმგებლობა აკისრია, რომ ცოტა პროფესია თუ დაიკვეხნის. პათეტიკურად რომ ვთქვათ, მას კლასის მაჯისცემაზე მუდმივად უნდა ჰქონდეს ყური დადებული, ერთი პატარა გამორჩენილი დეტალი – „მერე რაა, ბავშვები არიან, ასეც ხდება“, „მალე შერიგდებიან“, „ჩემს ბავშვობაშიც ასე არ იყო?“, შესაძლოა დიდი პრობლემის წინაპირობა გახდეს. პრობლემები კი არსებობს ძალიან დიდებიც, ცრემლიანებიც და ტრაგედიებიც – დანგრეული ცხოვრება, დაკარგული სიცოცხლე, ჩაფერფლილი ოცნებები.

მოკლედ, მნიშვნელოვანია სულ მცირე, უბრალო შემთხვევაზეც კი გვქონდეს ჩვენი რეაქცია, განსაკუთრებით კი დაწყებით კლასებში, რადგან ამ დროს ყალიბდება ადამიანის ხედვა, ღირებულებები, დამოკიდებულებები, ეს ეტაპი განსაზღვრავს – როგორი ადამიანი იქნები შემდგომში, თუნდაც მაღალ კლასებში და ზოგადად ცხოვრებაში.

აღმოჩნდა, რომ ჩემს კლასში რაღაც ვერ იყო რიგზე, ბავშვები იძაბებოდნენ, არასასიამოვნო ლექსიკით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, გახდნენ არამეგობრულები და რაღაცნაირად საკუთარ თავში ჩაიკეტნენ. თუ კი აქამდე ჩემთან ღიად საუბრობდნენ საკუთარ პრობლემებზე, ახლა ყველა გამირბოდა და პირზე: „ყველაფერი კარგადაა“ ეკერათ, მაშინ, როდესაც გუმანით ვგრძნობდი, რომ რაღაც დიდი და რუხი ღრუბელი გვიახლოვდებოდა *(მასწავლებლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი, „ჯადოსნური ჯოხი“, მისი მასწავლებლური ინტუიციაა, შესაძლოა მესამე თვალიც, მიენდეთ მას, ის არასდროს გიღალატებთ, მხოლოდ მშრალი წესებითა და თეორიებით პრობლემები არ გვარდება, თუნდაც ისინი ზედმიწევნით კარგად დავიცვათ, დაუშვით გამონაკლისები და ხანდახან არათანმიმდევრობაც, უპრინციპობაც გვეპატიება)*.

არც ისე მარტივია ბულინგის გამოაშკარავება და სახელის დარქმევა. შესაძლოა, მცდელობამ მოსწავლეები გააღიზიანოს და უფრო ჩაკეტოს ისინი, უფრო მეტიც, ცილისმწამებლადაც კი ვიქცეთ.

ძალიან ბევრი ვიფიქრე, რა გამეკეთებინა. გადავწყვიტე, დამეწყო მათთვის ძალიან საყვარელი საქმიანობით: დავავალე იაპონური ანიმაციის, ანიმეს ყურება, სახელწოდებით: A Silent Voice, ძალიან საინტერესო და დამაფიქრებელი ფილმია, მისი მთავარი პერსონაჟი – დაწყებით კლასებში მოძალადე იშიდაა, რომელიც იაზრებს საკუთარ დანაშაულს სმენადაქვეითებულ გოგონას, შოუკოს წინაშე, მას აწუხებს წარსულში დაშვებული შეცდომები, იმდენად აწუხებს, იმდენად დარდობს მასზე, ისე სიღრმისეულად აანალიზებს, რომ სუიციდამდეც კი მიდის. თუმცა ფილმს კეთილი დასასრული აქვს, ეს ფილმი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ იცვლება ადამიანი, რომ ცვლილებები შესაძლებელია და შეცდომები არ არის განაჩენი. რომ მოძალადე შესაძლოა ძალიან კარგ მეგობრადაც იქცეს, თუ კი ამაში მას მეგობრები, კლასელები, ოჯახი დაეხმარება. საბოლოოდ მჩაგვრელი და ჩაგრული საუკეთესო მეგობრები ხდებიან, ერთმანეთისთვის სიცოცხლეც კი არ ენანებათ. თუ ფილმის დასაწყისში იშიდას დაცინვისგან და შეურაცხყოფისგან გულგატეხილი შოუკო სხვა სკოლაში გადადის, დასასრულს იშიდა გადაარჩენს შოუკოს და დაეხმარება მას საკუთარი თავის შეყვარებაში და მიღებაში. ფილმი ძალიან ემოციური და სასიამოვნო საყურებელია, გაჯერებული ანიმესთვის დამახასიათებელი სტილით.

ბავშვებს გარდა იმისა, რომ უნდა ეყურებინათ ფილმისთვის, უნდა დაეწერათ მთავარი პერსონაჟის (იშიდა) განვითარების ეტაპები, რა შეიცვალა მასში, რატომ შეიცვალა, როგორ შეიცვალა და საკუთარი აზრიც დაეფიქსირებინათ. ასევე დაეკავშირებინათ საკუთარ გამოცდილებასთანაც.

დავალება პარასკევს მივეცი, რომ უქმეები გამოეყენებინათ, რადგან ფილმი საკმაოდ დიდია. ორშაბათს ჩავიბარე მათი ნაწერები, თითქმის არავის გამოუთქვამს სურვილი, რომ ნაწერი ხმამაღლა წაეკითხათ, ყველამ მთხოვა, ჩუმად წამეკითხა და შემეფასებინა. მათი ნაწერებიდან მივხვდი, რომ პრობლემა მართლაც ჰქონდათ და ღრუბელი მართლაც გვიახლოვდებოდა, ზოგიერთს ისიც კი ეწერა, რომ ძალიან კარგად ხვდებოდა, თუ რას გრძნობდა შოუკო, რომ მსგავსი რამ მასაც განუცდია და სუიციდზეც კი უფიქრია. ერთ-ერთი გამოტყდა, რომ მოსწონს, როდესაც სხვას ჩაგრავს, რადგან ის ამ დროს ძლიერი ჩანს სხვების თვალში და ეს მას აღაფრთოვანებს.

დრო აღარ იყო ბევრი ფიქრის და სასწრაფოდ ზომები იყო მისაღები. სწორედ მაშინ გამოვიგონე ვითომ ჩემი მეგობრის შვილი ლევანი, ერთი ჩემი ნათესავი ბიჭის ხელით წერილი შევქმენი და წავუღე ბავშვებს. ვუთხარი, რომ ჩემი მეგობრის შვილი დიდ გასაჭირშია, მე გამენდო და რჩევა მკითხა, მე კი შევთავაზე, რომ ჩემზე უკეთ ურჩევდნენ მისივე ასაკის ბავშვები, რომლებსაც ამ საკითხში შესაძლოა, ჩემზე მეტი გამოცდილება ჰქონდეთ. მაშინ ლევანმა წერილი დაწერა და მათთან გამომატანა. ლევანი წერდა, რომ მას ერთი კლასელი ჩაგრავდა, ზედმეტი, მისივე გამოგონილი, ლევანისთვის უსიამოვნო სახელით მიმართავდა და ნივთებს ართმევდა, რამდენჯერმე წიხლიც ამოარტყა და ეს ხუმრობად ჩათვალა, მის ამ ქცევაზე კი ბავშვებმა ბევრი იცინესო. ლევანი ყვებოდა საკუთარი გრძნობებისა და განცდების შესახებ, იმ მომენტში როგორ შესძულდა საკუთარი თავი, როგორ იგრძნო უმწეობა, რომ ვერაფერი ვერ გააკეთა, ფიზიკურადაც ვერ გაუსწორდა, რადგან მუდმივად ესმოდა, რომ კონფლიქტები მშვიდობიანად უნდა მოეგვარებინა, დიდ გასაჭირში იყო: სასწორის ერთ მხარეს მისი რწმენა და პრინციპები იდო, მეორე მხარეს დაცინვის, ჩაგვრის და ძალადობის საფრთხე. ლევანი ითხოვდა რჩევას: რა უნდა გაეკეთებინა, რომ ამ სიტუაციიდან მშვიდობიანად გამოსულიყო. ბავშვებმა თავიდანვე მკითხეს, შეეძლოთ თუ არა ანონიმური წერილების მიწერა, რაზეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი, ეს ამბავი ნამდვილად დაიჯერეს, არც კი დაფიქრებულან, რომ შესაძლოა წერილი ჩემი მოფიქრებული იყო, ალბათ იმიტომ, რომ პრობლემები მათთვის ძალიან ნაცნობი იყო. გაჩაღდა მიმოწერა, ერთი სული ჰქონდათ, როდის მივუტანდი ლევანს ახალ წერილს, ზოგიერთი წერდა, რომ ძალადობით უნდა ეპასუხა ლევანსაც, რადგან სუსტი ეგონებოდათ და აუცილებლად დაჩაგრავდნენ, ურჩევდნენ, სკოლა გამოეცვალა, ზოგიერთი წერდა, მშობლები და მასწავლებლები ჩაეყენებინა საქმის კურსში, რომ მოუგვარებელი პრობლემები არ არსებობსო. დაპატიჟეს კიდეც, მეგობრობას სთავაზობდა რამდენიმე.

ამ ყველაფერმა კი მათ ბიძგი მისცა, საკუთარი პრობლემების იდენტიფიკაციაც მოეხდინათ და ესაუბრათ. ლევანის პრობლემები მათ პრობლემებზეც გადავიტანეთ და აღიარეს, რომ მსგავსი შემთხვევები კლასშიც იყო. ნელ-ნელა გამოიკვეთა მჩაგვრელიც, რომელსაც ძალიან ფრთხილად მივუდექი. აღმოჩნდა, რომ ოჯახში არ ჰქონდა სიმშვიდე, მშობლები ეყრებოდნენ და მის გარშემო არასასიამოვნო და უარყოფითი ემოციების ზღვა ტრიალებდა.

როდესაც იცი, სად არის და ვისთან არის პრობლემა, მოგვარებაც შეიძლება. რა თქმა უნდა, ვესაუბრე მშობლებს, ჩავრთე ფსიქოლოგი და შეთანხმებასაც მივაღწიეთ – კლასის და იმ ერთი ბიჭის სასარგებლოდ.

საავდრო ღრუბელმა გადაიარა და შვიდფერა ცისარტყელამ გამოანათა, როგორც მეგობრობის და მშვიდობის სიმბოლომ.

ეს ამბავი ასე დასრულდა, ახლა უკვე მაღალკლასელები არიან, დღემდე სჯერათ ლევანის არსებობის და დარწმუნებულები არიან, ერთი მეშვიდეკლასელი ბიჭის ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალეს. თუ კი ამ წერილს რომელიმე მათგანი წაიკითხავს, ვეტყვი, რომ ლევანი მართლაც არსებობდა, და ის იმ დროინდელი თითოეული მათგანი იყო. ამ შემთხვევის შემდეგ მივხვდი, რომ არ უნდა ველოდო რუხ ღრუბლებს, მუდმივად უნდა შევახსენო ბავშვებს და ჩემს თავსაც, რომ ეს ის თემაა, რომელზეც საუბარი და მუშაობა, არასდროს არ არის ზედმეტი და მოყირჭებული, რომც არ იყოს საჭიროება მაშინაც კი. რა იცი, რა ხდება მომავალში. აქ კი რამდენიმე სავარჯიშოს გაგიზიარებთ კლასში სამუშაოდ.



ფსევდოპატრიოტიზმის მრავალთავა ურჩხული

ოთხი-ხუთი წლის ვიქნებოდი, როდესაც ბებიაჩემის თხოვნით დავიზეპირე უზომოდ გრძელი და ჩემთვის გაუგებარი სიტყვებით სავსე ლექსი, ავტორი „თვალნათელ“ და „სანატრელ“ საქართველოს უგალობდა, რომელიც, ოდესღაც, შორეულ წარსულში დიდიც კი ყოფილა. ამას გაუთავებელი სტრიქონები მოჰყვებოდა, სადაც პოეტი „გასაშტერებელ ოპიზრებს“, ცურტაველსა და მოდრეკილს ასხამდა ქებას. ნიკოფსიიდან დარუბანდამდეც ყოფილა გადაჭიმული და თან თამარსაც უკრეფია სულ ოქროს ვაშლები (ვიზუალურად წარმოდგენილიც კი მქონდა, როგორ კრეფდა თამარი ოქროს ვაშლებს, სავარაუდოდ, ოქროს ხეზე, აბა, ვერცხლის ხე ხომ არ მოისხამდა ოქროს?). მოკლედ, უცხო და ჩემთვის ძნელად გამოსათქმელი სიტყვების რახა-რუხი ფრიად სევდიანად და პესიმისტურად სრულდებოდა – ვაჰ, დრონი, დრონი – ბოლო ნაწილის თქმისას, კი სევდიანი სახე უნდა მიმეღო და ზემოთ აპყრობილი ხელები ძირს მომაკვდავი ჩიტებივით ჩამომეყარა. ლექსს ვამბობდი გამოთქმით, ხმამაღლა, ხატოვნად – სტუმრებისა და მეზობლების წინ, სკამზე შემდგარი თუ იატაკზე გაშეშებულ პოზაში. ოჯახში სუფრის თამადის მოთხოვნითა თუ ბებიაჩემის ხათრით. მეგონა, რომ ძალიან კარგად გამომდიოდა და სიამაყით ვივსებოდი ხოლმე. რომ გეკითხათ, რაზე იყო ეს ლექსი ან ვინ იყვნენ ოპიზრები, ცურტაველი, რატომ აღარ იყო საქართველო დიდი, თამარი რატომ ან საიდან კრეფდა ოქროს ვაშლებს, რა თქმა უნდა, პასუხს ვერ გაგცემდით. კი ვხვდებოდი, რომ ლექსი სამშობლოს ეხებოდა, ოღონდ რომელს და რატომ, რა საჭირო იყო ან ამით საქართველოს რა წაადგებოდა, პასუხი არ მქონდა. ის კი არა, უკვე საკმაოდ მოზრდილმა გავიგე მათი ვინაობა და მაშინ კი ამომიტივტივდა ეს უჩვეულოდ გადაპრანჭული ლექსი.

ოთხმოცდაათიანი წლები იყო, დრო, როდესაც ხმამაღალი ლექსები და პატრიოტული სიმღერები მოდაში შემოვიდა. იმ ხანად, როგორც ჩანს, საზოგადოებას სჭირდებოდა ეს ხმამაღალი „ყვირილი“, რომ როგორღაც ამ „ყვირილს“ მაინც აენთო მათ გულებში წლების განმავლობაში მიმქრალი

სამშობლოს ცნება და განცდა. მიზანი ნათელი იყო, საშუალება არასწორი – ყოველგვარ შინაარსს და არსს მოკლებული პათეტიკა სუფრებზე დაბინავდა, სიმღერებში დაიდო ბინა და რაც ყველაზე სევდიანი ამბავია, სასკოლო სახელმძღვანელოებშიც შემოგვეპარა. აბა, როგორ უნდა გაიზარდოს ადამიანი, თუ სისხლისფერი ყაყაჩოები ხმამაღლა და გამოთქმით არ წარმოუთქვამს, „სულიკოში“ – საქართველო არ აღმოუჩენია და ნაცემ არწივში – დაბეჩავებული სამშობლო არ მოსჩვენებია.

გულზე მჯიღის ცემით დაწყებულმა პატრიოტიზმმა ჩვენს გულებში სამშობლო ვერ აანთო, ის მიმქრალი ნაპერწკალიც კი გააქრო და უზარმაზარ, მრავალთავა, დიდ მონსტრად იქცა. მონსტრად, რომელიც ყველას მოედო, სამშობლოს სიყვარულის სახელით ადამიანებს თვალებზე ლიბრი ააკრა და საგნები სულ სხვანაირად დაანახვა.

ვიღაცები ამ ფსევდოპატრიოტიზმს ამოეფარნენ და საკუთარი ბინძური საქმეების და ფიქრების, აზრების გამართლება სცადეს. ისიც უნდა ითქვას, რომ მონსტრი ოთხმოცდაათიან წლებში არ შექმნილა, წითელი რეჟიმი მას წლების განმავლობაში ზრდიდა, კვებავდა, რომ რეჟიმის მოსპობის შემდეგ ჩვენთვის დაეტოვებინა, რომლის მოშორება, მოსპობა და ამოძირკვა მარტივი საერთოდ არ აღმოჩნდა, პირიქით, უფრო და უფრო ძლიერდება. მით უფრო, როდესაც ხალხზე მისი ძალაუფლება შეამჩნიეს და სათავისოდ გამოიყენეს იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც დიდად სიჭკვიანითა და შორსმჭვრეტელობით არ გამოირჩევიან. ნელ-ნელა სიტყვები გახუნდა, მაგრამ, დრო და დრო, მას ფერი ემატება და ახალი თავიც ეზრდება. უამრავი ლოზუნგი, სლოგანი, სწორედაც რომ, ამ მრავალთავას გაძლიერებაა.

სამწუხაროდ, მას მხოლოდ პოლიტიკოსები როდი მიმართავენ დასახმარებლად.

რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში გადავაწყდი ულამაზესი, პატარა გოგონას ვიდეოს, სადაც ის დაჭიმული, კოპებ და მუშტებშეკრული ზეპირად „ყვიროდა“ ლექსს, შიგადაშიგ კი, კბილებს შორის გამოცრილი: „სამშობლო“ და „საქართველო“ ისმოდა. დიახ, ჩვენი დღევანდელი პატრიოტიზმი კბილებიდან გამოცრილი და მუშტებშეკრულია, გაბრაზებულია, მრისხანებით სავსე და აგრესიულია, ალბათ, იმიტომ, რომ მონსტრის ძალაუფლება დღითიდღე იზრდება და კონტროლს კარგავს. კიდევ უფრო შემაშფოთებელი ის კომენტარები იყო, ადამიანები ამ ბავშვს რომ უწერდნენ და ხოტბას ასხამდნენ, ასეული, ათასობით ადამიანისთვის ეს ყველაფერი უბრალოდ მისაღები კი

არა, სასურველი და აღმაფრთოვანებელი იყო. დიახ, ფსევდოპატრიოტიზმის მონსტრს უამრავი მიმდევარი ჰყავს და ისინი მას უზარმაზარ ძალას აძლევენ. ეს ყველაფერი კი იმ ფონზე, როდესაც რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთი საოცარი საბავშვო ავტორის, ძალიან კარგი საბავშვო ლექსი დამნაშავედ ცნეს თაობის „გადაგვარებაში", ხოლო ავტორის უპირობოდ დასჯა მოითხოვეს. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი ლექსები ჩვენს მონსტრს აღიზიანებს და არ მოსწონს, იმიტომ, რომ ასეთ ლექსებზე გაზრდილი თაობა თავისუფალი და ლაღი იქნება, იმიტომ, რომ წითელი რეჟიმის შვილი ასეთ რამეებზე ძალიან ფრთხება და შიში იპყრობს, რომ არ გააძევონ ერთხელ და სამუდამოდ.

აბა, როგორ გავზარდოთ ბავშვები პატრიოტად, რომ თავი დავაღწიოთ ფსევდოპატრიოტულ რახარუხს, მრავალთათვის საკმევლის კმევას? როგორ ვასწავლოთ სამშობლოს სიყვარული? ძალიან მარტივად, მიეცით საშუალება, რომ სამშობლოს შეეხონ, იგრძნონ, გაითავისონ.

ჩემს ბავშვობაში თამარ მეფე (თუ ოქროს ვაშლების მოკრეფას არ ჩავთვლით), დავით აღმაშენებელი თუ ილია ჭავჭავაძე ხელშეუხებელნი, განყენებულები და შორეულები იყვნენ, ისევე როგორც საქართველოს დროშა, გერბი, ისტორია, ჰიმნი.

მგონია, რომ ბავშვებისთვის ეს ყველაფერი ახლობელი უნდა იყოს, როგორც მაგალითად, მათთვის საყვარელი რომელიმე ანიმაციური ფილმი. მათ უნდა გამოძერწონ, ხატონ, შექმნან კომიქსები და საკუთარი აზრი ყოველგვარი კრძალვის გარეშე გამოთქვან. უნდა ისაუბრონ წინაპრების შეცდომებზეც და მიღწევებზე.

მესამე კლასის სახელმძღვანელოში „ცხრა ძმა ხერხეულიძე" შეგვხვდა და მათზე საუბარი მოგვიწია, ზოგიერთი საერთოდ ვერ მიხვდა, დედა რატომ იყო ბედნიერი, როდესაც შვილებს მტერთან საბრძოლველად უშვებდა, რატომ არიგებდა, რომ ზურგში არ დაჭრილიყვნენ და ხმლისთვის მკერდი შეეშვირათ. რატომ აჩენდა ამდენ შვილს, თუ მაინც დაეხოცებოდა. პატარებს რთულია აუხსნა და მიახვედრო, რა არის თავგანწირვა და სამშობლოსთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების მსხვერპლად შეწირვა. ამის პარალელურად ვისაუბრეთ ხალხურ ლექსზე, სადაც ჩიტი მელას უყრის ბარტყებს, რომ ხე დაიცვას. ვთქვით, რომ ხე და სამშობლო ამ შემთხვევაში ერთმანეთს უდრის და ორივე მათგანი სამყაროს აღნიშნავს. სამყაროს გადარჩენა იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ მომავალი არსებობდეს, რომ ცხრა ძმის დედამ საკუთარი შვილების გაწირვით ჩვენ არსებობის და დაბადების საშუალება მოგვცა.

ვიღაცები ჩაფიქრდნენ, ვიღაცები ისევ საკუთარ აზრზე დარჩნენ, ვიღაცებმა ისიც კი თქვეს, რომ მათთვის სამშობლო დედამიწაა და საზღვრები ადამიანების მოგონილია, ანუ ყინული დაიძრა, საუბარი დავიწყეთ.

ბავშვებს ესაუბრეთ იმაზე, თითოეულ მათგანს როგორ შეუძლია საკუთარი ქვეყნისთვის სარგებლის მოტანა, სამშობლო ხომ მიკრო სამყაროა ამ მაკრო სამყაროში ჩვენი პლანეტა უამრავი ასეთი ქვეყნისგან შედგება და თუ კი ყველა საკუთარ სამშობლოზე იზრუნებს, სამყაროზე ზრუნვა გამოგვივა.

ბავშვები ამჟამინდელი, აწმყო დროის გმირებითა და ამბებით მოხიბლეთ, ჩვენი დღევანდელი წარმატებით და არა წარსულზე ტირილით. მოუყევით, რომ კარგი მხატვრები გვყავს, საოცარი მოცეკვავეები და მომღერლები, რომ ჩვენი ანბანის თითოეული ასო ამბავს ყვება, რომ ქართული ხალხური სიმღერები უნიკალურია და კოსმოსშიც კია გაგზავნილი ერთ-ერთი სიმღერა. ამგვარ საუბრებს უფრო მეტი შედეგი აქვს, ვიდრე დაზეპირებულ ლექსებს სისხლზე და მეფეებზე.

წაიყვანეთ ექსკურსიებზე, ლაშქრობებზე, აჩვენეთ, გააცანით მიწა, რომელზეც ვცხოვრობთ, რომელზეც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ და მათი შვილებიც იცხოვრებენ. დაეხმარეთ, შეიგრძნონ ბუნება, ხეები, ფეხები ცივ მდინარეში დაასველებინეთ და დამერწმუნეთ, ასე სამშობლოს ისე შეიყვარებენ, რომ თავადვე გაუჩნდებათ სურვილი, დაიცვან და თუ საჭიროა, მისთვის იბრძოლონ კიდეც.

და ეს ჩვენი წითელი ურჩხული ნელ-ნელა დასუსტდება, შეიძლება სულ გაქრეს კიდეც, რადგან მას მომხრეები მოაკლდება, მათ გარეშე კი ის არაფერია, მრავალთავას სულის გასაღები ხომ აღტკინებულ, ბრალმდებელ, ფსევდოპატრიოტიზმით გაბრუებულ ადამიანებში ინახება.

შენ ეს შეძელი! – ჩემი მეგობარი მასწავლებლის ერთი მნიშვნელოვანი მიგნება

თუ ჩვენს კლასში შეზღუდული შესაძლებლობების ან განსხვავებული ქცევის, ფერის, მრწამსის, ეროვნების მოსწავლე სწავლობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მოგვიწევს ჩვენი შემოქმედებითი უნარები კიდევ უფრო გავააქტიუროთ და ისეთი გარემო შევქნათ, სადაც, ვინც არ უნდა იყოს და როგორიც არ უნდა იყოს, თავს კომფორტულად და მშვიდად იგრძნობს.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხისადმი ფრთხილი და ფაქიზი დამოკიდებულებაა. ჩვენმა გადამეტებულმა ყურადღებამ ბავშვს თავი გამორჩეულად და ჯგუფიდან გამოცალკევებულად არ უნდა აგრძნობინოს, იარლიყიც არ უნდა მივაწებოთ სხვების თვალში.

თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მასწავლებელს უწევს გარკვეული კომენტარის გაკეთება და იმის ახსნა, რომ მოსწავლეს დახმარება სჭირდება კლასელებისგან.

რამდენიმე წლის წინ, ჩემი მეგობარი მასწავლებლის, დეას კლასში, რომელიც, ამავე დროს, ჩემი შვილის მასწავლებელიც იყო, ერთი არაჩვეულებრივი გოგონა სწავლობდა, რომელსაც აუტიზმის დიაგნოზთან ერთად ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც ჰქონდა შედგენილი. მაშინ დეაც, ჩემსავით ახალბედა მასწავლებელი იყო და ბევრს ფიქრობდა იმაზე, გვანცა როგორ ჩაერთო სასწავლო პროცესში, როგორ მიეღწია დასახული მიზნისთვის და კლასში მისი ინტეგრირება უმტკივნეულოდ როგორ წარმართულიყო. უკინძავდა დიდ ალბომებს, უხატავდა, უდგენდა სავარჯიშოებს, უკრავდა სურათებს, უწერდა ტექსტებს მსხვილი ასოებით, მაგრამ ფიქრობდა, რომ ეს საკმარისი არ იყო.

ერთხელ, სახლში დაბრუნებულმა, აღმოვაჩინე, რომ ჩემი მეოთხეკლასელი შვილი დიდ ორომტრიალშია ჩართული, ირგვლივ ფერადი ქაღალდების, ძველი წიგნებიდან, ჟურნალებიდან ამოჭრილი ილუსტრაციების და ფერადი მარკერების ზღვაა. როცა დავინტერესდი, რას აკეთებდა, მიპასუხა, რომ გვანცასთვის დავალებას ადგენდა და ძალიან ბედნიერი იყო, რადგან ამ ეტაპზე გვანცასთვის სავარჯიშოების მოგონება და მისი მეცადინეობა მას უწევდა.

თურმე, დეა მასწავლებელს ასეთი რამ მოუფიქრებია: კვირაში ერთხელ, თითო ბავშვმა, რომელსაც შემთხვევითობის პრინციპით არჩევს (ქისაში ჩაყრილი სახელებიანი ბარათებით), გვანცასთვის უნდა მოიფიქროს დავალება და მათზე ამუშაოს კიდეც. რა თქმა უნდა, ვისაც სურდა, ძალდატანებისა და ვალდებულების გარეშე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა ბავშვს გვანცაზე ზრუნვა ძალიან უნდოდა. ეს, ერთი მხრივ, მასწავლებლის დამსახურებაა, ამდაგვარი ჯანსაღი გარემო რომ შექმნა, მეორე მხრივ, ასაკობრივი თავისებურებაც გასათვალისწინებელია, ამ ასაკში, ბავშვებს ძალიან უნდათ „მასწავლებლობანას“ და „უფროსობანას“ თამაში, მოსწონთ, როდესაც ზრუნავენ და პასუხისმგებლობაც არ აშინებთ.

ჩემმა შვილმა, ისევე როგორც მისმა კლასელებმა, ძალიან კარგად იცოდა, როგორი სტილის და ფორმის დავალება უნდა შეედგინა, დეას ამაზეც უმუშავია და ნიმუშებიც უჩვენებია ბავშვებისთვის. დიდ ალბომში, გეომეტრიული ფიგურები ჩაემწკრივებინა, აქედან გვანცას უნდა შემოეხაზა მითითებული ფიგურა, ტექსტში ასოები მსხვილად დაეწერა და გაეფერადებინა, რომ წაკითხვა ადვილი ყოფილიყო, მოტორიკისთვის მარტივი ორნამენტები ჩაეხატა, რომლებიც დასრულებული არ იყო და გაგრძელებას საჭიროებდა, ძველი ჟურნალიდან ილუსტრაციები ამოეჭრა და ჩაეკრა, ამ ილუსტრაციებზე უნდა გამოეთქვა საკუთარი აზრი ან ეპოვა მითითებული ნივთი. მოკლედ, სავარჯიშოების ალბომი საინტერესოდ და მხიარულად გამოიყურებოდა. სხვა ბავშვების ნამუშევრებსაც გადავხედე, ყველა იცავდა ერთ პრინციპს: დავალებები მარტივი და შემეცნებითი, ხოლო ვიზუალური მხარე მკვეთრი და კონტრასტული იყო. გარდა ამისა, მოტორიკასაც მნიშვნელოვან როლს აკისრებდნენ და არც შემოქმედებითი უნარები ავიწყდებოდათ. ერთ-ერთი სავარჯიშოს ავტორი სთხოვდა, რომ ლამაზად დახატულ ჩარჩოში ავტოპორტრეტი დაეხატა, გვანცასაც გულდასმით ემუშავა და ავტოპორტრეტი, მართლაც, შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

ეს ისტორია მხოლოდ დავალების შექმნით არ დასრულებულა, მნიშვნელოვან ამბავს გვანცასთან ერთად მუშაობა წარმოადგენდა. ბავშვებს არ ავიწყდებოდათ არც წახალისება და ათას სტიკერს და ჯილდოს იგონებდნენ, ხანდახან ტკბილეულსაც იყენებდნენ, შესაძლოა მეთოდურად გაუმართლებელს, მაგრამ ეს ხომ მათი ფანტაზია და მიგნება იყო. ფიქრობდნენ, რა გაუხარდებოდა ყველაზე მეტად და ჯილდოს ამის მიხედვით არჩევდნენ.

მთელი წელი ბავშვები მუშაობდნენ გვანცასთან და ამ საქმეს ისეთი გულ-მოდგინებით, ყურადღებით, პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ, რომ ასეთი მიდგომა, ჩვენ, მასწავლებლებსაც არ გვაწყენდა.

შედეგად, იმის გარდა რომ გვანცას უნარები საგრძნობლად განვითარდა, მას ყველა ემეგობრებოდა, მასზე ზრუნავდნენ, უყვარდათ, სადილობისას კვე-ბაშიც ეხმარებოდნენ და ცდილობდნენ, თავი კომფორტულად ეგრძნო.

თავს ვერ დავდებ, რომ ეს მიდგომა იდეალური იყო, რომ შესაძლებელია, ამით გვანცას პრობლემები უფრო თვალშისაცემი გახდა, და კიდევ ათასი რამ, მაგრამ ფაქტი ერთია, ახალგაზრდა მასწავლებელმა ამით კლასში გვანცას ინტეგრირებას შეუწყო ხელი, ხოლო დანარჩენ ბავშვებში თანაგრძნობის, ემ-პათიის, ზრუნვის ჩვევები იმდენად განავითარა, რომ უკვე მეშვიდეკლასელი ჩემი შვილი, უყურადღებოდ არ ტოვებს ქუჩის არც ერთ ძაღლსა თუ კატას, განიცდის ბავშვების პრობლემებსა და გასაჭირს. ფიქრობს, რომ ფსიქოლოგი გამოვიდეს და ადამიანებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს.

ერთი რამ ცხადია, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის როლი და გავ-ლენა უმნიშვნელოვანესია, ჩვენ ჯადოქრები ვართ, ჯოხის ერთი აქნევით შეგ-ვიძლია, ადამიანები ცხოვრების მდინარის სწორ კალაპოტში მოვაქციოთ და სამწუხაროდ, პირიქითაც, სწორედ დაწყებითის მასწავლებლები ხშირად ქცე-ულან ათასგვარი კომპლექსისა და ფობიის მიზეზად.

აქამდე არ მომცემია შესაძლებლობა, დეასთან ამაზე მესაუბრა. აი, ახლა ამ წერილით ვეტყვი, – ჩემო ძვირფასო დეა, შენმა გამუდმებულმა ფიქრმა შედე-გი გამოიღო, ნამდვილად შეძელი ის, რომ დღეს შენი მოსწავლეები ზრუნავენ და ფიქრობენ მათზე, ვისაც დახმარება ძალიან სჭირდებათ.

ო, ეს საოცარი თომა! ბიჭი ჰიპერაქტიურობის დიაგნოზითა და ამოუწურავი ფანტაზიით

ერთ საოცარ ბიჭზე მინდა მოვყვე, რომელიც მუდამ მემახსოვრება და ყოველთვის, როცა მასზე ფიქრს დავიწყებ ან გავიხსენებ, რაც არ უნდა მიჭირდეს და ცუდად ვგრძნობდე თავს, მაინც გამეღიმება.

თუმცა ჩვენი პირველი შეხვედრა ღიმილით არ დაწყებულა, დაიწყო დიდი გაოცებითა და შიშებით – ახლა რაღა ვქნა.

მასწავლებლობა ახალი დაწყებული მქონდა, ანუ ახალი დაწყებული მქონდა ის ღელვები და ემოციები, ამ საქმიანობას რომ ახლავს თან, პირველი კლასი ამყავდა ერთ-ერთ კერძო სკოლაში, მშობლებთან და ბავშვებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს ვგეგმავდი და გულის ფანცქალით მოველოდი იმ პატარა ადამიანების გაცნობას, შემდეგი ოთხი წელი ერთად რომ უნდა გაგვეტარებინა, ერთად გვეცინა, ერთად გვეთამაშა, გვესწავლა, გვენერვიულა და ერთმანეთის ცხოვრების ნაწილები გავმხდარიყავით.

ოთხი წელი სულ არ არის ცოტა დრო, პირიქით, საკმაოდ დიდი დროა, ოთხ წელში უამრავი რამ შეიძლება მოხდეს და უამრავი რამ შეიცვალოს. ამიტომაც, პირველი შეხვედრები, პირველი შთაბეჭდილებები მნიშვნელოვნად მიმაჩნდა.

მოდიოდნენ პატარა გოგოები, პატარა ბიჭები გაფართოებული თვალებით, ღიმილებით, ზოგი შიშებითაც, დედიკოსთან ხელჩაჭიდებულები, მის ზურგს ამოფარებულები, რაღაცნაირი ეჭვიანი გამოხედვებით. მიხატავდნენ აწოწილ ფერად გოგონებსა და მწვანე დინოზავრებს. მიტოვებდნენ და დამშვიდებულები მიყვებოდნენ მშობლებს ფიქრებით, რომ – სკოლა, კლასი და მასწავლებელი არ აღმოჩნდა ისე ცუდი.

უკვე გათამამებული პატარების ემოციებით, რომ მასწავლებლობა არც ისე რთული ყოფილა, ჩემს ბოლო მოსწავლეს ველოდებოდი. გაიღო კარი და კარში ქარიშხალივით შემოიჭრა პატარა, ქერა, გამხდარი ბიჭი, მას უკან მშობლები მოჰყვნენ. ბიჭს მივესალმე, ხელი ჩამოვართვი, გავეცანი და ვთხოვე, რომ დამჯდარიყო იქვე, მერხთან, შემდეგ კი მშობლებს მივუბრუნდი.

ბიჭი დგას, არ ინძრევა, არც მიყურებს, არც მისმენს, რაღაცაზე ფიქრობს, ოღონდ ვერ ვხვდები რაზე. ვიფიქრე — შევეშვები, იქნებ რცხვენია, უხერხულადაა, ვაცდი.

მე და მშობლები ვსაუბრობთ, თვალი ბიჭისკენ გამირბის. დგას ისევ ისე, თითქოს არც არავის მიუმართავს მისთვის და არც არაფერი უთხოვიათ. ვაკვირდები მის მზერას, რომელიც ღია ფანჯარას წვდება. ჩვენ პირველ სართულზე ვიყავით, საკმაოდ ახლოს მიწასთან (კიდევ კარგი!), ვაიმე, ვფიქრობ, ნეტა ხომ არ უნდა... ფიქრს ვერ ვასრულებ, რომ ეს პატარა, გამხდარი, ქერა ბიჭი ადგილს წყდება, შურდულივით გარბის, შემხვედრ მერხს ევლება, ფანჯარასთან მირბის, ელვის სისწრაფით ხტება რაფაზე და უკვე ეზოშია. უკან კმაყოფილი იხედება, მეჩვენება, რომ ცალყბად იღიმის და თავქუდმოგლეჯილი გარბის.

ასე გავიცანით მე და თომამ ერთმანეთი და ვინ იცის, რამდენჯერ მიმიტოვებია კლასი და გავკიდებივარ კლასიდან გაქცეულს, მთელს ეზოში გვირბენია და მერე ორივე დაღლილები ამოვსულვართ და გაკვეთილის ჩატარება გაგვიგრძელებია. კითხვაზე, თუ რატომ გარბოდა, თომას ყოველთვის სხვადასხვა პასუხი ჰქონდა, აინტერესებდა, ფანჯრიდან რომ მოჩანდა მტრედი, ნამდვილი იყო თუ არა, ან გარეთ როგორი ამინდი იყო, ან რამდენი წუთი დასჭირდებოდა სტადიონამდე მიღწევას და ა. შ. მისი ყველა ქმედება ექსპერიმენტული იყო, სულ ცდიდა საკუთარ თავს და გარემოს, შიშის განცდა არ ჰქონდა, რაც ძალიან მაღელვებდა. იმიტომ, რომ ერთხელ საკმაოდ დიდი სიმაღლიდან გადმოხტა, რომ გაეგო, რა მოუვიდოდა. ერთხელ სპეციალურად დაგორდა პატარა გორაკიდან, ერთხელ გუბეში ჩახტა, რომ ახალი ბოტები გამოეცადა.

თომა ჰიპერაქტიური იყო, ამ სიტყვის სამედიცინო მნიშვნელობით. ის არ იყო მხოლოდ ცელქი ან მოუსვენარი, მას ჰქონდა ყურადღების დეფიციტი, მუდმივი შფოთვა, გაკვეთილებზე დასწრება მალევე ბეზრდებოდა, ამის მერე იწყებდა ფანჯრისკენ ყურებას (ფანჯრებს უკვე ვკეტავდი) ან მერხის ქვეშ შეძვრომას, ან ნივთების, წიგნების სროლას, სიმღერას, სხვადასხვა ცხოველის ხმების მიბაძვას ან უბრალოდ, კლასში სეირნობას.

მე გამოუცდელი მასწავლებელი ვიყავი და თავიდან ცოტა არ იყოს დავიბენი, ვერ ვხდებოდი, რა უნდა მექნა ამ დროს, ვდარდობდი სხვა ბავშვებზეც, ვაი თუ, თომას ნასროლი ნივთი მოხვედროდათ ან გაკვეთილზე რაიმე ვერ გაეგოთ.

ინტერნეტში ვეცნობოდი ბევრ მასალას, მშობლებმაც მომიტანეს რეკომენდაციები. თუმცა არც შესაბამისი რესურსი მქონდა და არც საკლასო გარემო

მიწყობდა ხელს. რადგან ჰიპერაქტიური ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, როცა დაიღლება წამოწვეს ან გარემო შეიცვალოს. მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური სკამი ჰქონდეს, სხვადასხვა ნივთი – სენსორული სტიმულაციისთვის და ასე შემდეგ.

დავიწყე პლასტილინით და თიხით. გაკვეთილებზე შეეძლო, პლასტილინით ეძერწა. ჩემი დაკვირვებით, ამ დროს უკეთ ახერხებდა ყურადღების მოკრებასა და სასწავლო პროცესში ჩართვას. თუმცა მხოლოდ პლასტილინი გამოსავალი ვერ იქნებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ თომა ძალიან, ძალიან გონიერი ბიჭი იყო, დასწავლის პრობლემა არ ჰქონდა, რომ იტყვიან, ჰაერში იჭერდა სიტყვებს, ძალიან კარგად აზროვნებდა, თუმცა იმის გამო, რომ დეტალებისადმი კონცენტრაცია უჭირდა, მათემატიკას ბოლომდე გულს ვერ უდებდა და ხშირად ისეთ შეცდომებს უშვებდა, წესით, რომ არ უნდა დაეშვა, რადგან, მითითების შემთხვევაში, ასწორებდა კიდეც.

თომას უყვარდა მარტივი თავსატეხები, რთულებზე გული უცრუვდებოდა და ნებისყოფა არ ყოფნიდა. დავიწყეთ ლაბირინთებით, ეს კარგი გამოსავალი აღმოჩნდა და რამდენიმე ხანი შემეშველა კიდეც. როცა მობეზრდებოდა, მისთვის ცალკე გამზადებულ ლაბირინთებს ვუდებდი და ისიც თავაუღებლად დაეხეტებოდა ამ ლაბირინთებში. ერთ გაკვეთილზე დაახლოებით ათი ლაბირინთის ამოხსნას ახერხებდა. ზღვა მასალა და რესურსი მჭირდებოდა, ამისთვის პრინტერიც კი შევიძინე, მაგრამ შედეგად მიღირდა. ამასობაში, ნელ-ნელა შეეჩვია გაკვეთილზე მშვიდად მუშაობას. პლასტილინი თუ ყურადღების კონცენტრაციაში მეხმარებოდა, ლაბირინთებმა თომას გაკვეთილზე ყოფნა ასწავლა. თუმცა, რა თქმა უნდა, მას მაინც სჭირდებოდა გასვლა და გარემოს შეცვლა, ამიტომ ათას საქმეს მხოლოდ მას ვავალებდი, ვაგზავნიდი, ასისტენტად ვნიშნავდი. ეს მარტივი სულაც არ იყო, სხვა ბავშვები პრეტენზიას გამოთქვამდნენ, რადგან აღნიშნული პრივილეგიად მიაჩნდათ და უკვირდათ, რატომ ჰქონდა თომას ეს პრივილეგია, როდესაც ის მაინცდამაინც არ იცავდა საკლასო წესებს. უხეშად და მათ ენაზე რომ ვთქვათ, ცუდად იქცეოდა. რთული იყო ამ ყველაფერთან გამკლავება, ვცდილობდი სხვებისთვისაც გამენაწილებინა მსგავსი უპირატესობები.

ამასობაში გადავწყვიტეთ, რომ საახალწლო სპექტაკლი დაგვედგა. ვნერვიულობდი, თომა როგორ შეასრულებდა როლს, თუმცა პირველივე რეპეტიციაზე, იმდენად გავოგნდი, რომ კარგა ხანი დამჭირდა იმის დასაჯერებლად, რომ თურმე ჩვენი თომა ძალიან მაგარი მსახიობი ყოფილა. ის ისე შე-

დიოდა როლში, რომ თვალს ვერ მოწყვეტდი. ამან დამაფიქრა მის შემოქმედებით უნარებზე და უკვე გამართულად წერა რომ ვისწავლეთ, თომას ერთი დიდი რვეული გამოვუყავი და ვთხოვე, მის მიერ გამოგონილი თამაშები ჩაეწერა. ის ხომ გიჟდებოდა ვიდეო თამაშებზე და ოცნებობდა, თავადაც შეექმნა. კომპიუტერს, ელექტრონულ მოწყობილობებს საოცრად ფლობდა, თუმცა მის ერთ-ერთ პრობლემას სწორედ კომპიუტერულ თამაშებზე მიჯაჭვულობაც წარმოადგენდა. რადგან ამ თამაშების რეალურ ცხოვრებაში გადმოტანის დიდოსტატი გახლდათ, თომას ფანჯრიდან გადახტომები და საოცარი სისწრაფით სირბილიც სწორედ აქედან იყო ინსპირირებული. თავიდან ჩემს შეთავაზებას ეჭვის თვალით შეხედა, მაგრამ ამასობაში ჩვენ კარგ მეგობრებად ვიქეცით, ამიტომ უარი ვერ მითხრა და დაიწყო წერა. დაიწყო წერა და არც გაჩერებულა, წერდა და წერდა, ფანტაზიის საოცარი უნარი გამოავლინა, თამაშებიდან მოგონილ თავგადასავლებში გადაეშვა, ხან მეკობრე იყო, ხან მონსტრი, ხან მოჩვენება. მის ნაწერებს როცა ვკითხულობდი, კარგად ვერთობოდი და ვაქებდი კიდეც, თუმცა თომასთვის შეფასება უმნიშვნელო იყო, მთავარი მისთვის პროცესი გახდა. ლაბირინთები წერამ ჩაანაცვლა. იქამდე სანამ გამართული კითხვა არ ისწავლა და ჰარი პოტერის წიგნები არ ჩაუვარდა ხელში.

აი, მაშინ დავიჯერე, რომ კარგ წიგნს სასწაულის მოხდენა შეუძლია. ჩაუჯდა და რა ჩაუჯდა, ხელიდან აღარ აგდებდა, მისთვის არც მათემატიკა არსებობდა, არც ქართული და არც ბუნებისმეტყველება. ხშირად კარადაში მიყუჟული მიპოვია ჰარის სამყაროში გადაშვებული. მესამე კლასში როულინგის ყველა წიგნი უკვე წაკითხული ჰქონდა. მეოთხეში კი უკვე სხვა წიგნებს ეძებდა და ამ დროს რიკ რიორდანის ტომები აღმოაჩინა.

კითხვამ თომას ბევრი რამ ასწავლა. თუმცა, ის თვისება, რომ წაკითხული ან ნანახი რეალობაში გადმოეტანა, არ გაქრობია, პირიქით, გულწრფელად სჯეროდა ჰარის ჯადოქრობის და ეზოდან ხან როგორ ჯოხს ამოიტანდა, ხან როგორს, მიმტკიცებდა, რომ მაგიური ჯოხი ჰქონდა. ერთხელ ერთი კრისტალი ვაჩუქე და ვუთხარი, რომ ჯადოსნური იყო, როცა ცუდად იგრძნობდა თავს, აუცილებლად დაეხმარებოდა. ეს კრისტალი მუდამ თან დაჰქონდა, მერე მთხოვა, იქნებ გულზე ჩამომიკიდოთო და მიმტკიცებდა, რომ ძალიან შველოდა. შევესწარი კიდეც, ამ კრისტალით და მზის სხივებით ცისარტყელას როგორ ქმნიდა, თან მეძახდა, ინა მას, თქვენი კრისტალი ნამდვილიაო.

ბევრი დაგვრჩა სამუშაო, ბევრი შეცდომაც დავუშვით, თუმცა მთავარი ისაა, რომ თომას რწმენა გაუჩნდა, თავისთავის და სამყაროსი.

სულ მინდოდა თომაზე დამეწერა და მესაუბრა, თქვენთვისაც გამეზიარებინა ამ გასაოცარი ბიჭის ამბავი, ის ხომ, ზუსტად ასეთი, ნამდვილად არსებობს და ახლაც, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, საკუთარ ექსპერიმენტებს ატარებს. აუცილებლად დადგება დრო, როდესაც თომა ნამდვილ ექსპერიმენტებს ჩაატარებს და მას მთელი სამყარო გაიცნობს. მანამდე კი დარჩეს ის ასეთი: ძალიან გულუბრყვილო და ამავე დროს ყველაზე დიდი აღმომჩენიც – სასწაულების და ჯადოსნურობის.

რისთვის სჭირდებათ ბავშვებს ზღაპრები

იამ რა უთხრა ვარდსა, ვარდმა რა უთხრა იასა, ანუ რისთვის სჭირდებათ ბავშვებს ზღაპრები

ჩემი ცხოვრების ოცდათხუთმეტი წლის თავზე, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ თუკი რაიმე გასაჭირი დამტყდომია თავს, თუკი რაიმე ჩიხში აღმოვჩენილვარ ცხოვრების გზაზე, თუკი პასუხები მიძებნია, მაშინვე ქართული ხალხური ზღაპრები ამოტივტივებულა, ფრაზებით, სახეებით, მეტაფორებითა თუ სიმბოლოებით. თითქოს მუდმივად თან მახლდეს. მუდმივად თან დამყვებოდეს უხსოვარი ამბების განზომილებაში შესაღწევი პორტალივით. ერთი დაფიქრება, ერთი გაელვება და უკვე იქ ვარ – მზის დედასთან მზის ნაბანი წყლის სათხოვრად მისული თუ უკვდავების მაძიებელი კაცის ზურგს უკან. ანდაც თითისტარს ვატრიალებ ჭაში მცხოვრებ ბებერთან ერთად.

ამბები და პერსონაჟები ზღაპრებიდან ისეთივე უხსოვარი, ისეთივე ნამდვილი და ისეთივე მისტიკურია, როგორც ჩვენი სამყარო. თითქოს მთელი ჩვენი არსებობისა და ცხოვრების საიდუმლო, არსი ხალხურ ზღაპრებში მოქცეულა. ყველა პასუხგაუცემელი კითხვის, სიკვდილ–სიცოცხლის წრე-ბრუნვის პასუხებიც იქაა. ოღონდ, აქ მთავარი ერთი რამეა: ზღაპრების წაკითხვის აუცილებელი პირობა – ბავშვობაა. დიახ, მხოლოდ ბავშვობაში წაკითხულ ზღაპრებს შეუძლიათ ჩვენი ქვეცნობიერის ისეთ კუნჭულში მოთავსება, შემდეგ მთელი ცხოვრება იქიდან ცხოვრებას რომ გასწავლის. იმიტომ, რომ უფროსების რწმენა სასწაულებისადმი მყიფეა. უფროსებს კირკიტი და კრიტიკა უყვართ, უფროსები ხშირად ვერ ვიგებთ იმ მეტაფორებსა და სიმბოლოებს, რომლებიც ზღაპრების ხვეულებში იმალებიან. მათ ყველაფრის საკუთარ ლოგიკურ ჩარჩოებში მოქცევა სჩვევიათ. თან როგორ უყვართ ათასგვარი ლოგოსებითა და იზმებით საკუთრი მოსაზრებების განმტკიცებაც. ახლაც, ბევრი იარეს თუ ცოტა, ადგნენ და მიადგნენ ამ ჩვენს ქართულ ხალხურ ზღაპრებს. საშიშია ბავშვებისთვისო, ბევრი სისხლიაო, მკვლელობები, სისასტიკეო. მოკლედ, ბევრი წერეს, ისაუბრეს ამ თემაზე, ფსიქოლოგებიც ჩართეს, ფილოლოგებიც და სხვა ოგებიც, ყველა, გარდა ბავშვებისა. ჩვენ ხომ გვიყვარს მათ ნაცვლად და მათი სახელით საუბარი, გადავწყვიტეთ, რომ უკეთ ვიცით, რა სჭირდებათ, როდის

რა უნდა წაიკითხონ, როგორ უნდა აღიქვან, რა უნდა იგრძნონ ან რის უნდა ეშინოდეთ.

ჰოდა, ახლა ბევრად უფრო ცოტა ბავშვი კითხულობს ქართულ ხალხურ ზღაპრებს, ბევრად უფრო ცოტა ადამიანს ექნება სამომავლოდ უძველესი მეტაფორებისა და სიმბოლოების გუდა, რომელიც ხან ქვად იქცევა და ყველივით გამოწურავ, ხან კიდევ ნაცრის ისეთ ბუღს დააყენებ, ცხრათავიან დევებს სულ კუდით ქვას ასროლინებ. უზღაპრობას უნდა დავაბრალოთ, ამ ბოლო დროს, სოციალურ ქსელებში კედელ-კედელ რომ დაატარებენ მაყვალა მრევლიშვილის არაკს და გაოცებას ვერ მალავენ, რომ არაკში ისეთი ამბები ხდება, რაც, მათი აზრით, წარმოუდგენელი და შეუძლებელია. ბავშვობისას წაკითხული ზღაპრები კი ჩვენს აზროვნებას სწორედ შეუძლებელის შესაძლებლად გარდაქმნას აჩვევს, სამყაროს კანონზომიერების მიღმა ხედვაში ავარჯიშებს.

პაპაჩემს უზარმაზარი ქართული ხალხური ზღაპრების კრებული ჰქონდა. წიგნი დაყოფილი იყო ჯადოსნურ და საყოფაცხოვრებო ზღაპრებად, მითებად და ლეგენდებად. ყველაზე მეტად ჯადოსნური ზღაპრები მიყვარდა, აი, სავარცხელს რომ გადააგდებ და უკან სალი კლდე აღიმართება, ან გომბიო, ბოროტი და რომ ვირისფერ წყალში დაიბანს თავს და ვირის ყურები ამოუვა. ან ტირილისას რომ ობოლ გოგოს ცრემლების ნაცვლად მარგალიტები სცვივა და ღიმილის დროს ია-ვარდების კონა, სალამურად ქცეული კი საკუთარ ქმარ-შვილს სიყვარულს რომ უმღერის. პაპაჩემთან სტუმრად მისული, ამ წიგნს რომ ჩავიგდებდი ხელთ, რეალური სამყარო უმალ ქრებოდა, ათასწლეულების წინანდელი კი ხელშესახებად და ნამდვილად იქცეოდა ხოლმე. პაპაჩემსაც უყვარდა ეს წიგნი, ძილის წინ რომ არ წაეკითხა, ვერ იძინებდა. ამიტომ ვერ მატანდა, ჩუქებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, თხოვებითაც კი არ მათხოვებდა. სულ თავთან ედო და ვინ იცის მერამდენედ კითხულობდა ერთსა და იგივე ამბავს. ჰოდა, მეც ვეშურებოდი და ზაფხულის გრძელ ღამეებს ვათენებდი. სისასტიკეც იყო, როგორ არა, სისხლიც და შურისძიებაც, ოღონდ ისეთები, კარგი დასასრული რომ აქვთ და ბავშვის გონება ადვილად რომ ხარშავს. აქ ყველაფერი შესაძლებელია: მკვდრები ცოცხლდებიან, ქვესკნელიდან უვნებელი ბრუნდებიან, მეფის მზეთუნახავი ასულები თავისუფლდებიან და სიყვარულით თხოვდებიან, დევები კი მარცხდებიან. აქ ბოროტებას სასტიკად უსწორდებიან, ძალიან სასტიკადაც. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ტექსტები, ვინ იცის, რამდენ ათას წელს ითვლიან და ვინ იცის, რომელ ცივილიზაციას ეკუთვნიან. მგონია, რომ ბავშვები ამ ყველაფერს ისე აღიქვა-

მენ, როგორც ნებისმიერი პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას. მგონია, რომ უხილავ სამყაროებთან კავშირს პოულობენ და როდესაც იზრდებიან, როდესაც ცხოვრების სისასტიკეს აწყდებიან, სწორედ მაშინ ახსენდებათ, როგორ დაამარცხა ნაბოლარა ძმამ ცეცხლის მფრქვეველი გველეშაპი, როგორ გააცოცხლა მზის ნაბანი წყლით უფლისწული საყვარელმა ცოლმა, ისიც ახსენდებათ, როგორ მობეზრდა კაცს უკვდავება და როგორ დაუბრუნდა მოკვდავთა სამყაროს. გაახსენდებათ და ცხოვრებაც რაღაცნაირად ასატანი ხდება, გასაგები მაინც. ამიტომ, მგონია, რომ პატარებს ქართული ხალხური ზღაპრების წაკითხვის შანსი არ უნდა წავართვათ. მე, როგორც მასწავლებელმა, რამდენჯერმე შევიტანე სამუშაო ტექსტად ქართულის გაკვეთილზე ზღაპრები და ბავშვებიც აღფრთოვანებული დარჩნენ. გაგიზიარებთ რამდენიმე აქტივობას, რომელიც, გარდა იმისა, რომ ზღაპრის გაცნობას ემსახურებოდა, სახალისოც აღმოჩნდა.

თხრობის ჯაჭვი

ზღაპრების ერთ-ერთი საინტერესო მხარე სიუჟეტის აგება და თხრობის სპეციფიკაა. ყოველ წინადადებაში რაღაც ხდება, ყოველი სიტყვა ქმედებაა. ზღაპრის არსის ჩასაწვდომად, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ბავშვებს სიუჟეტის ამ მძაფრ, დინამიკურ განვითარებასაც აღმოაჩენინებს. ბავშვები წყვილებში ან ჯგუფებად მუშაობენ. წინასწარ მომზადებული ოთხ-ხუთ სანტიმეტრებად დაჭრილი ქაღალდის ფერადი ან თეთრი ლენტები უწყვიათ. ვიწყებ ზღაპრის წაკითხვას. ბავშვებმა იციან, რომ ქაღალდის თითო ზოლზე ზღაპარში მოცემული თითო ქმედება უნდა დაწერონ და შეუძლიათ ილუსტრაციითაც გააფორმონ, შემდეგ კი წებოთი რგოლად შეკრან. მაგალითად: იყო ერთი ღარიბი კაცი – ერთი რგოლია, კაცი ბედის საძებნელად გაემგზავრა – მეორე, გზად დათვი შემოხვდა – მესამე და ასე შემდეგ. საბოლოოდ კი ერთ დიდ საახალწლო გირლიანდის მსგავს ჯაჭვად ეწყობა, რგოლები ერთმანეთში ეყრება და ეწებება. ჯგუფები საკუთარ ჯაჭვებს წარადგენენ და კითხულობენ.

მოისმინე და დაწერე

საქართველოს არქივს ქართული ხალხური ზღაპრების შესანიშნავი ციფრული აუდიო არქივი აქვს, რომელიც ხელმისაწვდომია – https://archive.gov.

ge/ge/kartuli-zghaprebi. https://archive.gov.ge/ge/kartuli-zghaprebis-akhali-chanatserebi. ბავშვებს რომელიმე ზღაპარი მოასმენინეთ, შემდეგ კი სთხოვეთ, რაც დაამახსოვრდათ, ის დაწერონ. შეუძლიათ შეცვალონ სიუჟეტი, დასასრული, დაამატონ პერსონაჟები, გაუკეთონ ილუსტრაციები. საბოლოოდ ძალიან საინტერესო პროცესია.

მოდი ზღაპარი მოვიგონოთ

ბავშვებს რომ გავაგებინოთ, დაახლოებით რას ნიშნავს ხალხური ზღაპარი და როგორ იქმნებოდა ის, ასეთი ექსპერიმენტი ჩავატაროთ: ავიღოთ ერთი დიდი რვეული, რომელშიც ზღაპრის წერას ერთ-ერთი ჩვენი მოსწავლე დაიწყებს, ზღაპრისთვის დამახასიათებელი დასაწყისით, სიუჟეტის განვითარებისა და დასასრულის გათვალისწინებით (ბავშვების სახელები ბარათებით ამოვიღოთ). შემდეგ სხვა აგრძელებს ამბავს, კიდევ სხვა და ასე შემდეგ, მანამდე, სანამ მთელ კლასს არ მოივლის. ოღონდ თავიდანვე უნდა განვსაზღვროთ წესები, რომ ერთმანეთის ამბავს არ გადაუხვიონ, პერსონაჟები გაითვალისწინონ და მოვლენების განვითარების საკუთარი ვერსიები წარმოადგინონ. ამ პროცესმა შესაძლოა ერთ თვესაც გასტანოს, საბოლოოდ კი კლასის წიგნს, კლასის ზღაპარს მივიღებთ, რომელიც შემდეგ დამუშავდება, გაფორმდება ვიზუალურად. პრეზენტაციაზე კი მშობლები და სტუმრები მოვიპატიჟოთ.

მოკლედ, ზღაპრები ბავშვობას და შემდეგ მთელ ცხოვრებას ზღაპრულად აქცევენ. ჰოდა, იამ რა უთხრა ვარდსა და ვარდმა რა უთხრა იასა — ეს ის ამბავია, ეს ის საიდუმლოა, მხოლოდ ბავშვების წრფელი გული და სული რომ სჭირდება.

ლელა კოტორაშვილი

1 სათაურები საკლასო წერის ნაცვლად 183

2 დღის ხუთი მთავარი სიტყვა 187

3 ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პერსონაჟი 192

4 გამჭოლი კომპეტენციების განვითარება ერთი ზღაპრის მიხედვით 198

5 პაოლო იაშვილის „ევროპას“ მულტიმედიური
წაკითხვის მცდელობა 204

სათაურები საკლასო წერის ნაცვლად

თვე, რიცხვი, საკლასო წერა ან საშინაო დავალება – როგორც წესი, რვეულებში ყოველ დღესა და სამუშაო სტილს ამგვარად გამოვყოფთ. მსურს გაგაცნოთ მეთოდი, რომელიც ადრეც გამომიყენებია, თუმცა, ამჯერად მთელი სემესტრი ამ ფორმით ვიმუშავეთ და გამოცდილების გაზიარების დრო დადგა. აღწერილობა ამგვარია: საკლასო წერისა და საშინაო დავალების ნაცვლად სათაურებს ვიგონებთ, რომლებიც დღის განწყობას ან კონკრეტულ ამბავს გვაცნობს. საკლასო წერის მაგივრად ორმოცამდე საერთო სათაური დაგვგროვებია, ხოლო საშინაო დავალებისთვის ინდივიდუალურ სათაურებს იგონებდნენ. მათზე დაკვირვებით მცირე კვლევაც კი გამომივიდა, კერძოდ, გამოიკვეთა ორი-სამი მოსწავლე, რომლებიც კვლავ საშინაო დავალებით იწყებდნენ ნაშრომს, შესაბამისად, მათთან დავალების გასააზრებლად გარკვეული მუშაობაა საჭირო; ზოგი სექტემბერშივე ხალისით აჰყვა წამოწყებას და ფანტაზიას გასაქანი მისცა, ზოგი კი სათაურების მოფიქრებით მხოლოდ დეკემბერში დაინტერესდა.

კიდევ უფრო დაწვრილებით რომ გიამბოთ, მაგალითად, 17 სექტემბრის სათაურად დაგვიწერია **მზე კაშკაშებს**. ზამთრის ცივ დღეებში გულს სიხარულით მივსებს სექტემბრის კაშკაშა, თბილი დღის გახსენება. 18 სექტემბრის ქვეშ ყველა ბავშვის რვეულში **სანდროს ცხვირი** მხვდება. ცოტა არ იყოს, დამაბნეველი სიტყვებია. სამაგიეროდ, ჩვენ – მე და ჩემმა ოცდაექვსმა მოსწავლემ – მნიშვნელობა ვიცით. ამ დღეს სანდროს გაკვეთილზე ცხვირიდან სისხლი წასკდა და, როგორც ხდება ხოლმე, ყველას ყურადღება მიიქცია. დაფაზე მთავარ მოვლენად საგანგებოდ იმ მიზნით მოხვდა, რომ უხერხული სიტუაცია შესაძლოა ერთგვარ თავგადასავლად იქცეს და კლასის ისტორიაშიც ჩაიწეროს. 26 სექტემბერი – **ანასტასიას დაბრუნება**. როცა ბავშვი რამდენიმე დღე სკოლაში არ დადის, მისი დაბრუნება ნამდვილად უნდა აღინიშნოს ან ასე **ნიკა მოგვენატრა** – როდესაც სკოლას აცდენენ ჯანმრთელობის პრობლემის გამო, ესეც უნდა შევნიშნოთ. **აი ია** – 15 ოქტომბერი. პირველკლასელებმა ასო-ბგერების

შესწავლა დაიწყეს და ამის შესახებ მესამეკლასელებსაც ვუამბობ. დამეთანხმებით, სადღესასწაულო მოვლენაა. 18 ნოემბერი – **მარი მასი მოგვენატრა** – კლასი დამრიგებლის გარეშე უკაპიტნო გემს ემსგავსება. 28 ოქტომბერს კი ბოლო გაკვეთილის განწყობა ამგვარად გამოგვიხატავს – **დავიღალეთ. საკლასო ოთახში ბურღი არის** – სკოლაში სარემონტო სამუშაოების გამო შეჭრილ ცვლაში მოგვიწია სწავლა. პირველკლასელების საკლასო ოთახში ყოფნისას შუა გაკვეთილზე ბურღით ტანსაცმლის საკიდი მიამაგრეს. აბა, წარმოიდგინეთ, როგორ გამხიარულდებოდნენ. ხშირად, როცა რაღაც სასაცილო ხდება, მასწავლებელი თამაშგარეთ აღმოჩნდება ხოლმე. კლასი თუხთუხებს, სიცილი მძლავრდება და ისეთი განცდა გეუფლება, სადაც არის დაგროვებული ენერგია წაგლეკავს. ამიტომ სიცილის მიზეზის მთავარ მოვლენად გადაქცევა სიტუაციის განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა. თან, სანამ დაფაზე ვწერ და სანამ ბავშვები რვეულში იწერენ, სიცილიც ნაღვერდალივით მინავლდება ხოლმე. ესეც ასე. ისევ სამუშაო განწყობა ბრუნდება და თან ყოველთვის გვეღიმება 22 ნოემბრის სათაურის წაკითხვისას. **ეზოში უპატრონო, ლაქებიანი ლეკვია** – განა რამდენი დილა დაიწყება ისე, სკოლის კარში შესულს ფეხებში პატარა ლეკვი რომ გაგეხლართება?! 27 ნოემბერს ვწერ ამ სათაურს და თან ვკითხულობ, კიდევ ვინმემ თუ შენიშნა ლაქებიანი ლეკვი. **ხვალ დასვენებაა** – ბავშვებზე არანაკლებ მასწავლებლებს გვიყვარს პარასკევი დღე. 8 ნოემბერი შაბათ-კვირის გამო ერთად გვიხაროდა. **ორი ქართული** – ხუთშაბათს წყვილი გაკვეთილის გამო ველოდებით. 7 ნოემბერი ამგვარად გამოარჩიეს, რადგან „ორი ქართული“ ჯგუფურ სამუშაოსა და საინტერესო დღეს გულისხმობს. მანდარინებით, ვაფლით, ცხიმიანი, ტკბილი თუ მარილიანი ორცხობილებით, საწუწნი კამფეტებით – განსაკუთრებით დაწყებითის მასწავლებლები ვართ განებივრებულები. ერთ მშვენიერ დღეს, საშინაო დავალების შემოწმებისას, შოთას მაგიდას რომ მივუახლოვდი, მოულოდნელად მერხის ბადიდან შოკოლადის ფილა ამოაფრიალა. ჰოდა, იმ დღის სათაურიც წამში დაიბადა – **შოკოლადი ამოხტა. ზამთარი დადგა და ქარიშხალი ამოვარდა** – 2 დეკემბერს ასეთი სათაური შევურჩიეთ.

სათაურებისთვის იდეებს თავდაპირველად მე ვთავაზობდი. ახლა უკვე ერთად ვფიქრობთ და მართალი გითხრათ, ცოტა გართულდა საქმე. კლასში რამდენიმე ვერსია ჟღერდება და ცდილობ, გული არავის დასწყდეს. ერთხელ სამი სათაურიც კი დავწერეთ. იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენები გამოკვეთეს, თქვენც ასე მოიქცეოდით: **მასწავლებლის მაგიდაზე შოკოლა-**

დია, მუსიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა ვიდეო გადაგვიღო, კლასში ნინას დაიკოა – პირველი სათაური შოთას ნაჩუქარი შოკოლადის ირგვლივ გვიყვება, რამდენიმე დღე ჩანთით დავატარებდი და 27 ნოემბერს მუსრი გავავლეთ; ამავე დღეს რამდენიმე წუთით ადრე მივედი სკოლაში. მუსიკის გაკვეთილი ჰქონდათ. ფეხზე იდგნენ და მღეროდნენ. კარს სიგრძეზე მინა დაჰყვება და ამ ჭრილიდან ბავშვები ჩანდნენ. ვიდეო გადავუღე. სათაურების წერისას რამდენიმემ სწორედ ეს ფაქტი გამოკვეთა; და მესამე, ვერაფრით დავტოვებდით გულგრილად ნინას დაიკოს ჩვენს გაკვეთილზე სტუმრობას.

ვფიქრობ, მეთოდის ირგვლივ გარკვეული შთაბეჭდილება შეგიქმენით. როგორც მონათხრობიდან გამოიკვეთა, მიზანი მრავალგვარია.

სათაურის შერჩევას ერთი წუთიც არ სჭირდება. სამაგიეროდ, ამ პატარა დროში რამდენ რამეს სწავლობენ: მთავარ მოვლენას მეორეულისგან გამოკვეთენ და ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს ამჩნევენ; აკვირდებიან გარემოსა და ბუნებას; ეჩვევიან ერთმანეთისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას; რაც მთავარია, გულწრფელ ურთიერთობას ვთავაზობ და იმავეს მიბრუნებენ.

კიდევ უფრო საინტერესოა ინდივიდუალური სათაურები, რომელთა საშუალებით კიდევ უფრო ახლოს გავიცანი თითოეული მოსწავლე: ზოგი მეოცნებეა, ზოგი პოეტური, ზოგი ძალიან გულუბრყვილო, ზოგი გონებამახვილი და ენამოსწრებული. საშინაო დავალების სათაურები გადაიქცა ერთგვარ მესიჯებად, რომლებსაც ბავშვები მიგზავნიან, მაგალითად: **ცუდი დღე, ჩემი დეიდა ჩამოვიდა, ბედნიერი ოჯახი, დღეს ჩემთან ნათესავი მოვიდა, სკოლა მომენატრა, დედა ხინკალს აკეთებს, ადვილი დავალება გვაქვს, სასიამოვნო ხედი, სახლში მივედი და ეგრევე ვმეცადინეობ, მე წავიქეცი, ღამით ვმეცადინეობ, სახლში არავინ არის, დედაჩემი მაგარი მასწავლებელია, მიტინგი, ახალი ბუცები მაქვს, მიყვარს ვარჯიში, გუშინ ცეკვაზე ვიყავი, სახლი მარტომ გავაღე, მარი მასი შეგვხვდა, გუშინ „ლეგენდა“ დამარქვეს, მე ვიტკინე ტუჩი, ერეკლე ცუდად არის, ჩაის გაკეთება ვისწავლე, გუშინ სამი ლელო დავდე, ბიცოლა მასწავლებელია, პაპაჩემი – სახლის მასწავლებელი, დედის ალერსი, ლიზის კბილი მოსძვრა, კვირას ახალი ძაღლი შემხვდა, გუშინ სასაცილო დღე იყო** – თითოეული დაშიფრულია მრავლისმთქმელი ამბებით, ჩემგანაც მათ ამოკითხვასა და დანახვას მოელიან.

ბუნების ბავშვებისეული აღქმა კიდევ უფრო ამაღლებულ განწყობაზე მაყენებს: ქარი შრიალებს, ფოთლები ძირს ყრია, აცივდა, ზამთრის პირველი

თვე, მზიანი დღე, დეკემბერი მობრძანდა, ბედნიერი შემოდგომა, ოქტომბერი გარბის, ცივი ზამთარი, ძალიან აცივდა, მგონი მალე თოვლიც მოვა, ვერ გავიგე, წვიმს თუ თოვს, მატყუარა მზე, ხვალ იმედია, მზე გაანათებს, ხვალე თოვლია, ზამთარი გვიახლოვდება, ნოემბერმა შემოიჭყიტა, ისევ ცუდი ამინდია, ღრუბლები – თუ დამღლელი დღე ლექსების კითხვისთვის დროს არ მიტოვებს, ამგვარი ფრაზები სულს მინათებს.

განმავითარებელი კომენტარით – სიტყვიერად თუ წერილობით – ყოველთვის აღვნიშნავ თითოეულის სათაურს. ხშირად სათითაოდ ვაკითხებ. სტატიისთვის სათაურების თავმოყრამ კიდევ ერთი გაკვეთილის იდეა დაბადა: წლის ბოლოს სლაიდებად ავკინძავ საკლასო წერისა თუ საშინაო დავალების ნაცვლად დაგროვებულ ჩვენს ამბებსა და განწყობებს. ამგვარი ქმედება კიდევ უფრო მეტ სურვილს გაუჩენთ, რომ უფრო დაკვირვებით განაგრძონ ცხოვრება.

დღის ხუთი მთავარი სიტყვა

– რა მოხდა დღეს?

– რა ვიცი, არაფერი.

დიალოგი გეცნობათ? შეკითხვაზე უმეტესად ასე მშრალად გვპასუხობენ ბავშვები. ასაკის სირთულესთან ერთად პასუხი უფრო ცივი და მოკლე ხდება. ჩვენ, მასწავლებლებიც, ხშირად ვწუხვართ, თუ როგორ უჭირთ თანამედროვე ბავშვებს ზეპირმეტყველება. ამას დავუმატოთ სიტყვათა მწირი მარაგი, მშობლების გადატვირთული რეჟიმი და შედეგს სამუშაო რვეულებში ვიმკით, სადაც თანდათან მრავლდება სასაუბრო სიტყვათა დამახინჯებული ფორმები: „ეხა“, „ძაან“, „რო“, „რას შვები“, „სახში“, „კატავი“, „ჯამთელი“, „ვფიქროფ“...

მეთოდი ჩემს შვილებთან საუბრის სურვილმა მომაფიქრებინა. ჩვენი ერთად ყოფნისა თუ ცალ-ცალკე გატარებული დღეების აღსაწერად დღის ხუთი მთავარი სიტყვა გამოვიგონე. რატომ ხუთი? ციფრი პირობითია. ხშირად ისეთი მსუყეამბებიანი დღეები გვაქვს, ხუთ სიტყვაზე მეტი გვაფიქრდება. ისიც შესაძლებელია, რომ დღის შესაფასებლად ხუთი სიტყვაც ვერ გამოძებნონ. გული არ დაგწყდეთ. პირადი მაგალითის ძალით ყველაზე გულჩათხრობილ ბავშვსაც ავალაპარაკებთ.

აღწერა

სახელი: დღის ხუთი მთავარი სიტყვა

სახელი უკვე თამაშისთვის განგვაწყობს. თქვენ შეგიძლიათ რიცხვი შეცვალოთ. როგორც უკვე აღვნიშნე, ზოგჯერ წესს ვარღვევთ, თუმცა, ინსტრუქციის გათვალისწინება სასურველია, რადგან, თუ ორზე მეტი თამაშობთ, თხრობას დიდი დრო დასჭირდება.

როგორ წარვმართოთ პროცესი?

დღის ბოლო ყველაზე ხელსაყრელი დროა ერთმანეთის მოსასმენად. „მოდი, სათითაოდ დავასახელოთ ხუთი სიტყვა ჩვენი დღიდან და შემდეგ თი-

თოეულის შესახებ მოვყვეთ!“ – ვამბობ და ვხვდები, რომ წამოწყება აღფრთოვანებასთან ერთად გაურკვევლობას იწვევს.

აუცილებლად გაიჟღერებს კითხვა „როგორ?“

მერე მოდელირებას მივმართავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ თავად ვყვებით მთელი გულითა და სიყვარულით, მერე მათი ჯერი დგება. თავდაპირველად შესაძლოა, გაუჭირდეთ მნიშვნელოვანი ამბების გახსენება. ამ დროსაც უნდა შევეხიდოთ. ვკითხოთ, დღის განმავლობაში სად იყვნენ, რას აკეთებდნენ, ვინ ნახეს, რა იგრძნეს...

დღის ხუთმა მთავარმა სიტყვამ საბოლოოდ ამგვარი სახე მიიღო: თავდაპირველად სათითაოდ ვამბობთ სიტყვებს, მერე კი რიგრიგობით ვყვებით, თუმცა, სიტყვათა თანმიმდევრობას მსმენელი ირჩევს.

გული მადლიერებით აგევსებათ, ისეთ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს დააგროვებთ, ერთმანეთის შესახებ უფრო მეტს გაიგებთ და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვები თხრობას ისწავლიან. როცა ამ მეთოდზე ვფიქრობ, ხშირად მახსენდება ფოტოაპარატის Macro რეჟიმი. როცა პატარა დეტალების მოახლოებით სრულიად განსხვავებულ სამყაროს ვხედავთ ფოტოზე., ასევეა თხრობისას ერთი სიტყვის გამორჩევა და სათქმელის მის ირგვლივ გაშლა. რაც უფრო მოულოდნელი და უცნაურია სიტყვა, მით უფრო იზრდება ბავშვების ინტერესი.

გამოცდილება, რომელიც ჩემს შვილებთან ურთიერთობისას დავაგროვე და სახელიც შევურჩიე, თამამად შეგვიძლია მოსწავლეებთან სწავლებისას გამოვიყენოთ: შეაფასონ გაკვეთილი, არდადეგები, შაბათ-კვირა, ტექსტი... მონათხრობი კი მოკლე ჩანაწერებად აქციონ.

პირადი მაგალითი

კარალიოკი, მაწვნის სუპი, თვალები, ჩრდილები, თ ასო – ჩემი ერთ-ერთი დღის ხუთი მთავარი სიტყვა ამგვარია. სასურველია ისეთი სიტყვები შევარჩიოთ, რომლებიც მთავარ ამბავს იტევენ და თან ბავშვების ცნობისმოყვარეობას ანკესზე წამოაგებენ. ჩამონათვალიდან სთავაზობთ თავად გითხრან, ყველაზე მეტად რომელი სიტყვის განმარტება სურთ. სანამ თხრობას შევუდგები, უნდა აღვნიშნო, რომ ხუთი მთავარი სიტყვა მეხსიერების განსავითარებლადაც არაჩვეულებრივი მეთოდია. ხშირად საკუთარი სიტყვების გახსენება გვიჭირს ხოლმე.

კარალიოკი

ჩვენი კორპუსის ბინას მზის სხივები მხოლოდ ჩასვლისა და ამოსვლისას ადგება, ისიც ირიბად. ამიტომ ხეებით, ყვავილებითა და მზით გაჩახჩახებულ საკუთარ სახლზე ვოცნებობ. ერთხელ მასწავლებლის სახლიდან მე და ჩემი გოგონა ნაცნობმა მძღოლმა წამოგვიყვანა. გზად პატარა დასახლება გამოვიარეთ. საუბარი მიწის ნაკვეთებზე ჩამოვარდა. დათო ბიძიამ სახლებს შორის ჩაკარგული, ბალახმოდებული ეზო დამანახა და მითხრა, რომ იყიდებოდა. მანქანა ნელა მიდიოდა, თუმცა მაინც მოვასწარი ღობის გადაღმა მდგარი ნარინჯისფრად აბრდღვიალებული კარალიოკის ხის დანახვა. ერთი კვირის შემდეგ სეირნობისას მიწის ნაკვეთის მონახულება გადავწყვიტე. ჭიშკართან მიახლოებისას ჩემმა ბიჭმა მითხრა, რომ ის ეზო თავისი მეგობრის ძიძას ეკუთვნოდა. მიწის ნაკვეთი ოცნების სახლისთვის იდეალური აღმოჩნდა. შემოდგომის მზე გამხმარი ფოთლების თავბრუდამხვევ სურნელს ატრიალებდა. ხის გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. ცირა დეიდამ ორკაპა ჯოხი მოიტანა და მე და ჩემს ბიჭს ზუსტად ის კარალიოკები მოგვიწყვიტა, რომლებმაც კორპუსებს შორის ჩაკარგული ეზო გვაპოვნინა.

როგორც მიხვდით, ამბავს ერთი სიტყვის ირგვლივ საქსოვი თვლებივით ვკინძავთ. საინტერესო სიუჟეტის გარდა, სათქმელს მოტივიც უნდა ჰქონდეს. ამჯერად ბავშვებისთვის იმის მინიშნება მსურდა, რომ ვოცნებობ, ვმოქმედებ, ვაკვირდები, ვსაუბრობ, ვეძებ და საკუთარ ცხოვრებას თვითონ ვძენ აზრს.

მაწვნის სუპი

დაკვირვებული ვარ, ბავშვებს ყველაზე მეტად იუმორით გაჯერებული ამბები ახალისებთ. ამ სიტყვის მიზანიც მათი გამხიარულება იყო. ყოველდღიური რუტინის გაძლება ყველაზე მეტად ამგვარი დეტალებით გამოგვდის.

ერთ-ერთი გადაცემისთვის ჩემს მესამეკლასელ მოსწავლეებთან ინტერვიუ ჩაწერეს. ჟურნალისტის შეკითხვაზე, იცოდა თუ არა, რა საჭმელი მიყვარს, ერთმა ბიჭმა კარგა ხნის ფიქრის მერე უპასუხა, ჩემი აზრით, მაწვნის სუპიო. სახლში დაბრუნებისას სკოლის ჭიშკართან მოსწავლის დედა დაგვხვდა. მისგან გავიგე, რომ 9 წლის ბიჭს შუადღეს სწორედ მაწვნის სუპი უჭამია და თავისი საყვარელი კერძის სიყვარული მეც „გადმომაბრალა“.

ინტერესით მისმენენ და თხრობის დასრულებისას გულიანად ხითხითებენ. არჩევანმა, ვფიქრობ ჩემთვის, გაამართლა.

თვალები

სასკოლო პროექტისთვის ჩემი უფროსი გოგონა ერთი კვირა ხატავდა თვალს და დროდადრო აზრს მეკითხებოდა. თვალიც თანდათან იცვლებოდა: ხან წამწამები დაუგრძელა, ხან გუგები გაუფერადა, ბოლოს ჩრდილებით ჩაამუქა და სწორედ იმ საღამოს მანახა დასრულებული ნამუშევარი. ძილის წინ შვიდი თვის ლილე ჩვენთან მოვიწვინეთ და დღის სიტყვებზე დავიწყეთ ფიქრი. საუბრისას სამივეს მზერა ტანსაცმლის კარადის სარკეში გადაიკვეთა და გაგვეცინა ორი შავი თვალის დანახვისას, რომლებიც თაგუნიებივით მოუსვენრად უმზერდა ხან ძმას, ხან დედას, ხან დაიკოს.

გულიანად ვიცინეთ პატარა გოგოს თვალების კვარკვარზე და თან დღის ამბავიც შედგა. საყვარელი ადამიანების დანახვას ამგვარი დეტალები აადვილებს. ბავშვებს კი გამუდმებით სჭირდებათ ჩვენს სიყვარულში დარწმუნება.

ჩრდილები

პირველად სკოლაში შევნიშნე. დღის მეორე ნახევარში დაცარიელებულ შენობაში შევედი. დერეფნის ფანჯრის ჩრდილები იატაკზე იყო გაწოლილი. სახლის გზაზე ჩემი მოსწავლე შემხვდა თავის სამი წლის დაიკოსთან ერთად. ბაღიდან გამოეყვანა და დედას ელოდნენ. სახლში წამოვიყვანე. კალათბურთის სტადიონი ჩამავალი მზის შუქით იყო სავსე. სხივებში ბიჭი სეირნობდა ველოსიპედით და მოძრაობისას თან დაჰყვებოდა თავისი ჩრდილი. სახლში ამოსულს ზუსტად ის დრო დამხვდა, როცა ჩემს სახლს მზის სხივები სტუმრობს. კედლის ერთ კუთხეში ორნამენტების ჩრდილი იყო გამოსახული. ამ სამი შუქ-ჩრდილის დროის პატარა მონაკვეთში შემჩნევამ სამყაროს კეთილ ნებაზე დამაფიქრა, დროდადრო რომ ცხადდება ხოლმე ჩემს ცხოვრებაში და იმედით მავსებს.

ჩრდილებზე საუბრის დასრულებისას ჩემს გოგონას გაოცების შეძახილი აღმოხდა. ყველაზე მეტად ემოციის ამგვარი გამოხატვა მახარებს, ე, რა მაგარიაო — გაიკვირვა და ჩაფიქრდა.

ამ ამბის მთავარი მოტივი მარტივია — პატარა დეტალების შემჩნევა, ერთმანეთთან დაკავშირება, ფიქრის ესთეტიკასა და ღირებულებებისთვის ხაზგასმა.

თ ასო

ოცდარვა პირველკლასელის თითებს ხელი შევავლე, თ-ს მუცლისა და ფეხის მომრგვალებაში დავეხმარე. რაც არ გამოსდით, საშლელით შლიან და ახლიდან წერენ. სკოლის შემდეგ სახლში მომიწია ჩემი პირველკლასელი ბიჭისთვის იმავეს სწავლება.

თ ასო ნამდვილად იმსახურებდა დღის მთავარ პერსონაჟად ყოფნას. აბა, განა ხშირად ხდება, ამდენ ბავშვს წერას რომ ასწავლი? ერთმა ბიჭმა ცრემლები აღვარღვარა, არ გამომდისო და შენც ქარიშხლისებური ქმედება გიწევს, რომ თან დაამშვიდო, თან სხვას დააკვირდე, თითები შეუსწორო და ბადეში დასაწყისისთვის 28 წერტილი დასვა.

ანბანის სწავლებაზე თხრობა ბოლო ორი თვეა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამგვარად ჩემი საქმიანობის შესახებ უფრო მეტს იგებენ.

რომ არა დღის ხუთი მთავარი სიტყვა, ამ მშვენიერ ამბებს, ალბათ, დავივიწყებდი. შეამჩნიო ცხოვრება, მოვლენები გამოკვეთო და შეაფასო, ესაუბრო საყვარელ ადამიანებს, მოჰყვე და მოუსმინო, „მოაახლოვო“ მათი შინაგანი სამყარო, ფიქრები, განცდები; გაიკვირვო, გაიხარო, დააფასო და თანაუგრძნო – ჩამონათვალი საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ დღის ხუთ მთავარ სიტყვაზე დაფიქრდე და მათ საჭიროებაში დარწმუნდე.

გისურვებთ თქვენი დღეების სიტყვებად ქცევას, საყვარელი ადამიანების მოსმენას და იმედი მაქვს, მასწავლებლებიც გამოვცდით ამ მეთოდს. ბოლოს გირჩევთ, რომ თუ დღის ხუთ მთავარ სიტყვას ითამაშებთ, აუცილებლად ჩაინიშნეთ დღიურში და მოკლე განმარტებებიც მიუწერეთ. ამგვარად საკუთარ ცხოვრებას დავიწყებისგან დაიცავთ.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პერსონაჟი

„ადამიანი თავის თავს ვერ დაეხმარება, თუ სხვებს არ უთხრა“.

სარა შვარტი

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა საზოგადოებაში იწვევს შიშს, გაუცხოებას, სირცხვილს. ხშირია დიაგნოზის დამალვა, პრობლემის შესახებ საუბრის აკრძალვა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის რამდენიმე ათასი შემთხვევაა აღნუსხული, საზოგადოებრივი ცნობიერება ამ კუთხით ძალიან დაბალია.

მინდა, ერთი გაკვეთილის შესახებ გიამბოთ – როგორ დაგვაფიქრა ერთმა ეპიზოდმა მე და ჩემი მოსწავლეები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანებზე. გაკვეთილმა კითხვები გააჩინა: რა ვიცით ჩვენ, უფროსებმა და რა იციან ბავშვებმა ამ საკითხზე? რატომ არის საჭირო მსგავს თემებზე საუბარი და როგორი ფორმა უნდა გამოვუძებნოთ სათქმელს?

ლიტერატურის მნიშვნელოვნებაზე ბევრს ვსაუბრობთ. მისი საშუალებით სხვა ადამიანების გრძნობებს ვეცნობით და განვიცდით. მასწავლებელს ამ განცდებსა და რეალობას შორის შუამავლის როლი აკისრია. პირადი მაგალითის ძალაზეც ხშირად ვამახვილებთ ყურადღებას. რა თქმა უნდა, ყველას არ ექნება მოსაყოლი ამბავი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ოჯახის წევრის შესახებ. ასეთ დროს შეიძლება ამბის გამოგონებაც.

ყველაფერი კი ასე დაიწყო.

ასტრიდ ლინდგრენის დაბადების დღე ახლოვდებოდა. სოფელ უწერის საჯარო სკოლაში ასტრიდ ანა ემილია ლინდგრენს დაბადების დღეებს ვუხდიდით ხოლმე, რადგან იქაური ბავშვები კითხვით სწორედ მისი წიგნების წყალობით დაინტერესდნენ. თბილისის კერძო სკოლაში დაბადების დღის აღნიშვნა ფორმალური რომ არ ყოფილიყო, გადავწყვიტე, მეექვსეკლასელებისთვის „მადიკენი და იუნიბაკენელი კუდრაჭა“ გამეცნო. წიგნი ქართულად რამდენიმე თვის წინ ითარგმნა და ჩემთვისაც აღმოჩენა იყო.

ასტრიდის პერსონაჟთა გალერეა მრავალფეროვანია – ადამიანები იდეალურები სულაც არ არიან, თუმცა წიგნმა – „მადიკენი და იუნიბაკენელი კუდრაჭა“ – ამ მხრივ კიდევ უფრო გამაკვირვა. მაგალითად, აქ გაიცნობთ ალკოჰოლიზმით დაავადებულ ბატონ ნილსონს, დედას, რომელსაც უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული მცირეწლოვანი შვილები და მთავარ გმირს – ბატონ ლინდკვისტს, რომელსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. მწერალი ცდილობს, ბავშვებს (მკითხველს) დაანახოს მრავალფეროვანი საცხოვრებელი გარემო და განსხვავებული ადამიანების მიმღებლობის აუცილებლობა.

წიგნში განვითარებული მოვლენები შვიდი წლის მადიკენისა და მისი პატარა დის ირგვლივ ტრიალებს, რაც ამბავს უფრო მეტ სიმძაფრეს სძენს. წიგნი მეოცე საუკუნის 70-იან წლებშია დაწერილი. შვიდი წელი ის ასაკია, როდესაც სამყაროს ნელ-ნელა ეცნობი და ქცევის მართვას სწავლობ. ოჯახს, სკოლას, გარემომცველ სოციუმს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის. „მადიკენი და იუნიბაკენელი კუდრაჭა“ ამ მხრივ გამორჩეული წიგნია.

ეპიზოდის შინაარსი, რომლის გარშემოც გაკვეთილი ავაგე, ასეთია: მადიკენის დედის დაბადების დღეს ოჯახი სურათის გადასაღებად გაეშურება. გზად ბაღი უნდა გადაკვეთონ. აქ ქოხია, რომელშიც ბატონი ლინდკვისტი მარტოდმარტო ცხოვრობს. ლინდკვისტისა ყველას ეშინია, მშობლები ბავშვებს მასთან მიახლოების უფლებას არ აძლევენ, რადგან „მთლად დალაგებული არ არის“.

მადიკენსა და მის პატარა დაიკოს, ლისაბეტს, ბატონი ლინდკვისტის ქოხის ნახვა სურთ. მამა შვილებს უხსნის, რომ მოხუცი ასეთი საშიში და კარჩაკეტილი მას შემდეგ გახდა, რაც ცოლი და პატარა შვილი ტბაში დაეხრჩო. ცოტა ხანში მოვლენები სხვაგვარად განვითარდება: მშობლები ნაცნობთან საუბარს შეჰყვებიან, ამასობაში კი ლისაბეტი გაუჩინარდება. მალევე დაინახავენ, როგორ მიათრევს მოხუცი ატირებულ გოგონას.

საინტერესოა დედისა და მამის რეაქციაზე დაკვირვება: თუ მანამდე მამა მშვიდად უხსნიდა ბავშვებს ლინდკვისტის ქცევის თავისებურების მიზეზს, ამ ქცევასთან შეჯახებისას წონასწორობას კარგავს და მზად არის, თავს დაესხას მოძალადეს. სამაგიეროდ, დედა გონიერებას და სიმშვიდეს ინარჩუნებს: ჯერ გაშმაგებულ მამას აჩერებს, მერე ატირებულ ლისაბეტს მკაცრად მიმართავს, რომ ტირილი შეწყვიტოს, მოხუცთან მიდის, ლოყაზე ეფერება და შვილის დაბრუნებას სთხოვს. ლინდკვისტი ჯიუტად იმეორებს, რომ ლისაბეტი მისი

შვილია. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დედა მას მოხალულ ნუშსა და ნიგვზიან ნამცხვარს სთავაზობს, ჩანთას ხსნის და იქიდან ტომსიკებს იღებს. ლინდკვისტს ორივე ხელი სჭირდება ტკბილეულის გამოსართმევად, ამიტომ ლისაბეტს ხელს უშვებს და ამგვარად პატარა გოგონა თავისუფლდება. დედა კიდევ ერთხელ ეფერება მოხუცს ლოყაზე და ემშვიდობება.

ასეთ გონივრულ გამოსავალს და სიტუაციის მართვის გზას გვთავაზობს ასტრიდი. ცდილობს, ლიტერატურის მეშვეობით მიაწვდინოს ხმა საზოგადოებას, რომ ყურადღების გადატანა, სითბოს გამომჟღავნება, ბრაზის მოთოკვა სხვისი რთული ქცევის მართვის საუკეთესო ხერხებია. იმასაც გვაპარებს, რომ ბატონი ლინდკვისტი სულ ასეთი „გადარეული“ არ ყოფილა, რომ საზოგადოებისგან პირადმა ტრაგედიამ და დიდმა სტრესმა გარიყა.

საკლასო ოთახში დავბრუნდეთ.

სამგვერდიანი ეპიზოდი შერჩეულია. თავდაპირველად ასოციაციურ რუკას ვქმნით. დაფაზე ვწერ: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანი, ბავშვები კი შემდეგ სიტყვებს მკარნახობენ: გაფრენილი, გიჟი, ტვინით ავადმყოფი, კანიბალი, სკლეროზიანი, მკვლელი, მოძალადე, მანიაკი.

მათ არაფერი იციან, გარდა იმისა, რომ ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანი საშიშია. 2015 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევაც ცხადყოფს, რომ ამ მხრივ ბევრი არაფერი ვიცით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანებისა ჯერ კიდევ გვეშინია და ჯანმრთელობის ასეთი პრობლემა ჯერ კიდევ სტიგმად რჩება.

წავიკითხეთ შერჩეული ეპიზოდი. განვიხილეთ თითოეული პერსონაჟის საქციელი. ვისაუბრეთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის რაობაზე.

პირადი ამბის მოყოლის დრო დგება. ვიხსენებ, რომ ზუსტად მადიკენის ტოლი, შვიდი წლისა ვიყავი, პირველად რომ გავიგე, რას ნიშნავს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა. ჩემს უფროს ძმას შიშის ნიადაგზე უძილობა დაეწყო და თანდათან იმდენად გაუმწვავდა მდგომარეობა, რომ რამდენიმე წელიწადში ქრონიკული შიზოფრენიის დიაგნოზი დაუსვეს.

მოვუყევი, რომ მრცხვენოდა ჩემი ძმის საქციელის. თავზე ცა მემხობოდა, როცა ქუჩაში გამვლელები ერთმანეთს ზურასკენ მიუთითებდნენ და გიჟად მოიხსენიებდნენ. დიდხანს მიჭირდა საუბარი პრობლემის შესახებ. მერე დავძლიე სირცხვილის გრძნობა. ფსიქიატრიული კლინიკების შესახებაც ვუამბე. ყველაზე მწვავე პერიოდშიც კი თითი რომ არ დაუკარებია ჩემთვის, არც ამის თქმა დამვიწყებია. ახლა ვხვდები, რომ მისი აგრესიის მთავარი მიზეზი ხში-

რად არასწორი ქცევა იყო. მე და ჩემმა ოჯახის წევრებმა არ ვიცოდით, როგორ მოვქცეოდით ზურას. არც არავინ გვასწავლიდა. ყველა დავიბენით: ჩვენ, მეზობლები, ნათესავები. რთული სიტუაციიდან გამოსავლად ზურას ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტვა მივიჩნიეთ.

ჩემი პირადი ამბავი ადვილი მოსასმენი არ არის ბავშვებისთვის, მაგრამ თუ სათქმელს ადეკვატურ ფორმას უპოვი, საკლასო ოთახში იუმორმაც შეიძლება გაიჟღეროს, მაგალითად, როცა შიზოფრენიის ერთ-ერთ მახასიათებლად უცხოპლანეტელებთან ზურას წარმოსახვითი საუბარი ვახსენე, ერთმა გოგონამ მითხრა, მერე რა მოხდა, მასე დედაჩემიც ელაპარაკება ხმამაღლა საკუთარ თავსო. ზურას გაცნობის სურვილიც გამოთქვეს.

დასაწერად თავისუფალი თემა მივეცი, სათაურით „რა შეცვალა ჩემში ამ ეპიზოდმა“.

რა თქმა უნდა, ათი-თერთმეტი წლის გოგო-ბიჭებს ერთი გაკვეთილი პრობლემის გადაჭრის გზას ვერ აპოვნინებს, მაგრამ მათ შინაგან სამყაროში მნიშვნელოვანი ძვრების დასაწყისად შეიძლება იქცეს.

მეორე დღეს ერთმანეთს ხმამაღლა უკითხავდნენ ნაწერებს. ყველაზე მეტად იმან გამახარა, რომ ფორმულირებისას ფრთხილობდნენ და დიდი იმედი მაქვს, ასოციაციურ რუკაზე ჩამოწერილი სიტყვებით ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანებს აღარასოდეს მოიხსენიებენ.

„ამ მოთხრობამ ჩემში შეცვალა ის, რომ ადამიანს, რომელსაც ფსიქიკური პრობლემა აქვს, არ უნდა ვუწოდოთ გიჟი, პირიქით, უნდა დავეხმაროთ. ისინი ხომ შინაგანად კეთილი და საყვარელი ადამიანები არიან. სანამ მათ გიჟებს უწოდებთ ან რამე ცუდს იტყვით, წარმოიდგინეთ მათი მდგომარეობა, სევდა, ტკივილი, სინანული და მერე თქვით, თუ გაბედავთ ამას“.

„ამ ეპიზოდმა მასწავლა, რომ სხვებს გიჟები არ უნდა დავუძახოთ, არ უნდა შეგვეშინდეს და არ უნდა დავამციროთ ის, ვინც ჩვენგან განსხვავდება.

მაგალითად, წიგნი „საოცრება“ არის ბიჭზე, რომელიც თავისი სახით განსხვავდება, მაგრამ ბოლოს ბევრი მეგობარი ეყოლება და ყველაფერს შეცვლის.

წიგნი „თევზი ხეზე“. ელი უცნაურია იმით, რომ ის დანარჩენებს არ ჰგავს და არც დაემსგავსება. მისთვის ასოები პეპლებივით დაფრინავენ, ესე იგი, მას წერა-კითხვა არ შეუძლია.

ლელა მასის ძმა, ზურა, იმითი არის უცნაური, რომ ის მეგობრებსა და ახლობლებს განშორებულია, თითქოს მას ემოციები არ აქვს“.

„ამ ეპიზოდმა დამაფიქრა იმაზე, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ის როგორია ან რანაირი ადამიანია, რადგან მასაც აქვს გრძნობები და გული“.

„ამ ეპიზოდმა მიმახვედრა, რომ ყველა ადამიანი ადამიანია, არა – გიჟი. ისიც ადამიანია, ოღონდ განსხვავებული. ამ ეპიზოდმა დამაფიქრა, რომ სხვას მხარში უნდა დაუდგე და არ უნდა დასცინო“.

„მე გავიგე, რომ ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანი არის ტყვე. მას არ უნდოდა ყოფილიყო ასეთი. მას ეს გზა არ აურჩევია და ჩვენ უნდა მოვუფრთხილდეთ. მათ არ შეუძლიათ იფიქრონ, როგორც ჩვენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არიან გიჟები. თუ ექნებოდათ არჩევანის უფლება, ისინი არჩევდნენ ისეთ ცხოვრებას, როგორიც ჩვენ გვაქვს. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ. შეიძლება, ყველა ვერ გამოვასწოროთ, მაგრამ რაღაცას მაინც ხომ გავაკეთებთ. ტექსტმა შეცვალა ჩემი ფიქრი ასეთ ადამიანებზე“.

„ძალიან მომეწონა დედას საქციელი, რადგან ეს ხომ იმასაც ნიშნავს, რომ ის კარგად აღზრდილი ადამიანია. დავფიქრდი იმაზე, რა კარგი იქნება, ყველა ასე რომ მოიქცეს.

ძალიან შემეცოდა ლელა მასის ძმა, ლელა მასწავლებელი და მისი მშობლები“.

ბავშვების გულწრფელობას ადვილად იგრძნობთ, იმასაც შეამჩნევთ, რა სწორად შეუფასებიათ წაკითხული და მოსმენილი, არათუ გაუაზრებიათ, არამედ გულში გაუტარებიათ და პატარა გადაწყვეტილებებიც მიუღიათ.

ასე რომ, ასტრიდის დაბადების დღე დემოკრატიულ ღირებულებებზე ყურადღების გამახვილებით აღვნიშნეთ. სტატიაში აღწერილი ეპიზოდი შეგვიძლია დავუკავშიროთ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს, კერძოდ, მეცამეტე კომპეტენციას – ემპათიას და ერთ-ერთ დესკრიპტორს: „თანაგრძნობას გამოხატავს სხვა ადამიანების თავს დატეხილი უსიამოვნების გამო“.

ბავშვების წერილები სავსეა თანაგრძნობის გამომხატველი ფრაზებით. ლიტერატურულმა მაგალითმა: ბატონი ლინდკვისტის პირადმა ტრაგედიამ, მარტოსულობამ, რთული ქცევის გამოვლენის მიზეზებში გარკვევამ და მადიკენის დედის გონივრულმა ქმედებამ, – ბავშვები თანაგრძნობით განმსჭვალა და მათთვის კიდევ უფრო ადვილი აღსაქმელი გახადა ჩემი პირადი ისტორია.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებზე სწორედ სკოლაში უნდა დავიწყოთ საუბარი. გავეცნოთ მიზეზებს და გავაცნოთ ისინი ბავშვებსაც, გავერკვიოთ იმაში, რთულ ქცევასთან შეჯახებისას როგორ ვიმოქმედოთ. როდესაც

შიშს დავამარცხებთ და გავაცნობიერებთ საფრთხეს, რომ შეიძლება, ცხოვრების რომელიმე ეტაპზე თითოეული ჩვენგანი იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს, საზოგადოებრივი ცნობიერებაც აგვიმაღლდება და სამყაროც უკეთესობისკენ შეიცვლება.

ბავშვობაში ჩემ გარშემო ყველა დუმდა. მაშინ რომელიმე გაკვეთილზე მსგავს პრობლემაზე რომ გვესაუბრა, ჩემთვის ბევრი რამ ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ხმა ამოვიღოთ, ვისაუბროთ, პირადი გამოცდილება ერთმანეთს გავუზიაროთ.

წერილის ბოლოს კი აუცილებლად უნდა ვახსენო ასტრიდ ლინდგრენისა და 12 წლის გოგონას, სარა შვარტის, რამდენიმეწლიანი მიმოწერა. წერილებში სარა გულწრფელად უყვება ასტრიდს საკმაოდ მწვავე ფსიქიკური პრობლემების შესახებ. ერთგან ასეთ რამეს წერს: „არც ერთ ადამიანს, არც ავადმყოფს და არც ჯანმრთელს, არ უნდა, იყოს სულიერად დაავადებული და არც ერთი ადამიანი არ უმხელს სხვას, რომ სულიერად დაავადებულია“.

მწერალიც ცდილობს, პატარა გოგონას საკუთარი თავის რწმენა გაუღვივოს და საკუთარი ცხოვრებიდან მაგალითები მოჰყავს, მაგალითად, როგორ იყო შეპყრობილი სუიციდური აზრებით, როგორ შეაშინა ერთხელ ფსიქიკურად დაავადებულმა კაცმა და როგორ გაიქცა... ასტრიდის პასუხები ჩემთვის ერთ მოწოდებად ხმიანდება: “ჰეი, სარა, შენ მარტო არ ხარ, ოდესმე ყველას გვიშფოთდება სული“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო, ტომი II, 2018
2. http://netgazeti.ge/life/84699/?fbclid=IwAR0OzHt1RfQUmpzepsAMuThfqYw-hCrFR9Ntxjmb9RrS8Yuyz3qCCXdOVTk
3. „შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ“, ასტრიდ ლინდგრენი, სარა შვარტი, 2018

გამჭოლი კომპეტენციების განვითარება ერთი ზღაპრის მიხედვით

ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს – ეროვნულ სასწავლო გეგმას – არცთუ დიდი ხანია, რაც დავუმეგობრდი. **გამჭოლი კომპეტენციები** – სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვისას გავიცანი, თუმცა ჩემს ცნობიერებაში დასამკვიდრებლად გარკვეული დრო დასჭირდა. ახლა ხშირად ვწერ საძიებო ველში და ვეცნობი თითოეულს, მერე გონებით საკუთარ გაკვეთილებზე ვიწყებ მოგზაურობას და კიდევ უფრო გასაგები ხდება პროფესიული ტერმინები.

თანამედროვე პედაგოგიკა მასწავლებლებს გვაგულიანებს, რომ ჩვენი საგნის სწავლებისას საზღვრები გადავლახოთ და ერთმანეთთან დავამეგობროთ ქართული ლიტერატურა, მათემატიკა, მუსიკა, ხელოვნება, ტექნოლოგიებიც ჩავრთოთ, რათა სკოლაში გატარებულმა დრომ ბავშვები ცხოვრებისთვის შეამზადოს.

გადავწყვიტე, ერთი ზღაპრის ირგვლივ ამეკინძა მრავალი აქტივობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებისკენ მიმემართა. ტერმინი გამჭოლი კომპეტენციები კიდევ უფრო რომ მოვიშინაუროთ. ამ სტატიის მიზანი ამგვარი იქნება: კითხვის სასიამოვნო პროცესად გადაქცევა, ტექსტის მრავალგვარად გაცოცხლება, ერთი ზღაპრით ლექსიკური მარაგის გამდიდრება, მოსმენილის გააზრება, წაკითხულის ნახატად და სქემად გამოსახვა, საყვარელი ნუგბარის დასამზადებლად საჭირო ნუსხის შედგენა, მაღაზიაში სასურველი პროდუქტის ძიება, კონსულტანტთან ურთიერთობა, პროდუქტის რაოდენობის შერჩევა, ქვითარზე ასახული ინფორმაციის გადამოწმება, ნაყინის დამზადება, საყვარელი ადამიანების გახარება, ტექსტის მიხედვით გადაღებულ მულტფილმზე დაკვირვება, ინგლისური სიტყვების დამახსოვრება.

სამიზნე წყვილად ჩემი ორი შვილი აღმოჩნდა. დრო რამდენიმე კვირაზე გადანაწილდა.

ყველაფერი კი ცნობილი საბავშვო წიგნებით შთაგონებული კერძების რეცეპტების წიგნით დაიწყო. ტექსტების ავტორი დიანა ანფიმიადია, ხოლო ილუსტრაციები ანა ჯანელიძემ დახატა. თერთმეტი საბავშვო ტექსტის მიხედ-

ვით, ავტორმა ლიტერატურული კერძების რეცეპტები გამოიგონა. „კუკრუჭანები, კოკლოზინები და სხვა რამეები პატარა მკითხველებისათვის“ არაჩვეულებრივი მეგზურია ბავშვების კითხვით დაინტერესებისთვის – თან კითხვა, თან თამაში, შედეგად დაუვიწყარი თავგადასავალი გელით. ლიტერატურული თამაში შეუძლიათ წამოიწყონ როგორც მშობლებმა, ასევე – მასწავლებლებმა. მაშ ასე, ჩვენ თოვლის დედოფლის საფირმო ნაყინი „ჩრდილოეთის ციალი“ შევარჩიეთ და თამაშიც დაიწყო. გამჭოლ კომპეტენციებს კი შემდეგნაირად დავუკავშირე:

წიგნიერება

ბავშვობაში ჰანს კრისტიან ანდერსენის ლურჯყდიანი წიგნი მქონდა. თხელ ყდაზე თეთრი მარხილი და თოვლის დედოფალი ეხატა. ქართულ ხალხურ ზღაპრებს შეჩვეული გულს ვერ ვუდებდი დანიელი მწერლის ლიტერატურულ ზღაპრებს. „თოვლის დედოფალი“ ბავშვობის მერე აღარ წამიკითხავს. სამაგიეროდ, ზღაპრის მიხედვით გადაღებული მულტფილმებითა და ფილმებით სავსეა თანამედროვე სამყარო, სპექტაკლებიც ხშირად იდგმება. ბავშვებთან ერთად ტექსტის ხელახლა აღმოჩენა ერთი დიდი სიამოვნებაა.

რამდენიმე დღე ხმამაღლა ვუკითხავდი. დროდადრო ახალ სიტყვებს ვაკვირდებოდით და ფანქრით ვხაზავდით. ხშირად მასწავლებლები ვფიქრობთ, რომ თუ ბავშვი კარგად კითხულობს, საუბრისას მრავალფეროვან სიტყვებს იყენებს, სიტყვებზე ყურადღების გამახვილება საჭირო არ არის. ამგვარმა მიდგომამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. ამიტომ სიტყვების „შემგროვებლებად“ გადაქცევა მშობლიური ენის შესწავლისას აუცილებელია. ასე დავაგროვეთ უცხო, გაუგებარი და საინტერესო სიტყვები: მრუდე, ზანდუკი, ზვირთები, ყავარჯენი, მღვრიე, ლელიანი, ჭრაქი, ვირთევზა, ჭვარტლი...

სკოლამდელი ასაკის ბავშვთან კითხვის პროცესს კიდევ უფრო სახალისოს გახდის სიტყვებით თამაში, მაგალითად, ვარჩევთ რამდენიმე სიტყვას და რიგრიგობით ვიგონებთ ახალ სიტყვებს. აქ მთავარია შეთანხმება, თუ რომელ ბგერაზე ვამახვილებთ ყურადღებას. შეიძლება ეს იყოს სიტყვის პირველი, მეორე, მესამე ასო-ბგერა ... ზანდუკი – ამბობს პირველი მოთამაშე, მეორე სიტყვის მესამე ასოთი დაწყებულ სიტყვას იგონებს – მაგ., ნიანგი, მესამე კვლავ მესამე ასოს ეძებს სიტყვაში და თავის სიტყვას ამბობს. ამგვარად, თან წინასაანბანო საფუძველს ვამყარებთ და თან ვხალისობთ.

ჩემი გონება მასწავლებლური მიგნებებისთვის პარალელურ რეჟიმში მუშაობს. მაგალითად, ერთგან ასეთი რამ მიმიწერია: საინტერესო იქნება ამ თავის მიხედვით გაკვეთილის აგება, კერძოდ, თემა – სხვაზე ცუდის თქმა... სარკისა და ნამსხვრევების ამბავს ვგულისხმობდი – ბოროტი კობოლდის სარკის ნამცეცი ადამიანებს თვალთახედვას რომ უმრუდებს: „სარკის ნამსხვრევები დედამიწაზე მტვერივით გაიფანტა. ვისაც ეს ნამსხვრევები თვალში მოხვდებოდა, აღარასოდეს მოშორდებოდა. ასეთი ადამიანი კი ყველაფერს უკუღმა ხედავდა, ყველაფერი მრუდედ და მახინჯად ეჩვენებოდა, ყოველ საქმეში მხოლოდ ცუდსა და ურიგოს ამჩნევდა, კარგს კი ვერაფერს ხედავდა“. ჩვენ ირგვლივაც ხომ არიან ასეთი ადამიანები, ყველაფერს მრუდე თვალთახედვიდან რომ აფასებენ. ბავშვობიდან შეფასებისა და აღქმის განვითარებისთვის გამიზნული მუშაობა აუცილებელი მგონია.

მედიაწიგნიერება

მედიაწიგნიერების ერთ კონკრეტულ მიზანზე გავამახვილებ ყურადღებას, კერძოდ, ინფორმაციის წაკითხვის, გააზრებისა და გამოყენების შესახებ სხვადასხვა გარემოსა და სიტუაციაში.

ზღაპრის წაკითხვის შემდეგ თოვლის დედოფლის საფირმო ნაყინის „ჩრდილოეთის ციალისთვის“ საჭირო ინგრედიენტები ამოვიწერეთ და სუპერმარკეტისკენ გავეშურეთ.

უნდა მოგვემარაგებინა:

ბანანი და ლიმონი – თითო-თითო ცალი, ვანილი – ნახევარი პაკეტი, შესქელებული რძე – 1 ქილა, ნუშის ფანტელი, ნაღები.

შეთანხმება ამგვარი იყო: თავად უნდა მოეძებნათ, სად რა იყიდებოდა. თუ ვერ მიაგნებდნენ, კონსულტანტისთვის უნდა ეკითხათ. მე მოშორებით მივყვებოდი. ბანანს, ლიმონს, ვანილს ადვილად მიაგნეს, ნუშის ფანტელისთვის კონსტულტანტს მიმართეს, შესქელებული რძე თევზისა და ხორცის კონსერვის ქილებში ეძებეს. შემდეგ სექციის თავზე დაკიდებულ აბრაზე მივანიშნე და მალევე აღმოაჩინეს რძის ნაწარმის ვეებერთელა პოსტერიც. თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ. ნაღების მოძებნა ცოტა გაუჭირდათ. პროდუქტის გამოშვებისა და ვარგისიანობის ვადასაც ვაკვირდებოდით. ბოლო ეტაპი მოლარესთან მისვლა, თანხის გადახდა და ქვითრის გადამოწმება იყო. ცრუ განგაშიც ატეხეს, ფასებსა და რაოდენობას შორის თანხვედრაზე ეჭვი შეეპარა ცხრა

წლის გოგოს. რაოდენობრივი წიგნიერების კომპეტენციების განვითარებაც შეგვრჩა ხელთ: პროდუქტის რაოდენობაზე, წონასა და ფასებზე დაკვირვება.

ციფრული წიგნიერება

ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება, რათა ლიტერატურული ტექსტი ციფრულ წიგნიერებას დავუკავშიროთ. ჩვენ პირველ რიგში ჩრდილოეთის ციალის ირგვლივ მოვიძიეთ ინფორმაცია, შემდეგ ვიდეოჩანაწერს ვუყურეთ და ნანახმა ზღაპარს მეტი ჯადოსნურობა შემატა. ტექსტშიც ვეძებეთ ჩრდილოეთის ციალი და ისეთ ადგილას მივაგენით, სუნთქვა შეგვეკრა. გერდა ყაჩაღის ასულის ნაჩუქარი ქორბუდა ირმით კაისკენ რომ მიქროდა: „გარბოდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა. თოვდა. მაგრამ ფანტელები ციდან არ ცვიოდნენ: ცა მოწმენდილი იყო და ჩრდილოეთის ციალი არემარეს მზესავით ანათებდა“.

ზღაპრის მიხედვით ძალიან ბევრი ანიმაცია არსებობს. ბევრი ვეძებე თუ ცოტა, არჩევანი ამ მულტფილმზე შევაჩერე https://www.youtube.com/watch?v=cV1M1y595_U&feature=emb_logo.

ერთად ვუყურეთ და პარალელურად ტექსტს ვადარებდით. ვსაუბრობდით მუსიკის ძალაზე, პერსონაჟებზე. სიუჟეტური ხაზი თითქმის ემთხვევა ლიტერატურულ ვარიანტს, თუმცა აქ მთხრობელს და ჰანს კრისტიან ანდერსენსაც გაიცნობთ. ჩვენი საყვარელი ყაჩაღის ასულის, ლაპლანდიელი და ფინელი ქალების დანახვისას ყიჟინა ავტეხეთ. განსაკუთრებით გამხმარი ვირთევზას დანახვამ გაგვახარა, რომელსაც ლაპლანდიელი ქალი ფურცლის მაგივრად იყენებს. მერე ტექსტს მივუბრუნდით და საყვარელი ეპიზოდი მოვძებნეთ: „– რამდენიმე სიტყვას დაგიწერთ გამხმარ ვირთევზაზე, რადგან ქაღალდი არ მაქვს, და ფინელ ქალთან გაგატანთ. ის ქალი დაგეხმარებათ.

როცა გერდა გათბა, ჭამა და დაისვენა, ქალმა ვირთევზაზე მართლაც დაწერა რამდენიმე სიტყვა, გოგონას უთხრა, არ დაგეკარგოსო, მერე ისევ ირემზე დააბა და გაუშვა“.

მრავალენობრივი კომპეტენცია

მულტფილმი, რომელსაც ერთად ვუყურეთ, ინგლისურ ენაზეა. ყურებისას სიტყვებსა და ფრაზებს ვუთარგმნიდი. საუბრის ტემპი ნელი და ადვილად გასაგებია.

ანე-კატერინე ვესტლის „ველოტური დანიაში“ გამახსენდა. დედა, მამა, რვა ბავშვი და დიდედა ავტორის სამშობლოში რომ იმოგზაურებენ ველოსიპედებით. ერთ-ერთ თავში აღწერილია ჰანს კრისტიან ანდერსენის სახლ-მუზეუმში სტუმრობა. ვისაუბრეთ ნორვეგიისა და დანიის შესახებ. ჩემი დაკვირვებით ცხრა წელი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი გეოგრაფიული სივრცის აღსაქმელად, თუმცა, გეოგრაფიული საზღვრების გასათავისებლად ენა დაგვეხმარება. ინგლისური, ნორვეგიული, დანიური, ქართული ენების მოსმენისას სამყაროს მრავალფეროვნებას პატარა ადამიანები ადვილად გაითავისებენ.

სემიოტიკური კომპეტენცია

სიტყვიერი ტექსტის ილუსტრაციის სახით გამოხატვაზე გავამახვილე ყურადღება. ბავშვებს ვთხოვე, მოსმენისას რაც ყველაზე მეტად მოეწონათ, ის დაეხატათ. შემდეგ კი გამოცნობანას თამაში წამოვიწყეთ: ერთმანეთისთვის ნახატების მიხედვით შესაბამისი ეპიზოდის ამოცნობას ვცდილობდით. ერთი სული მაქვს ხოლმე, როდის დაასრულებენ ხატვას და როდის დავაკვირდები, განსაკუთრებით რის მოსმენისას აუჩქარდათ პატარა გულები.

კიდევ ერთი აქტივობა მოვიფიქრეთ – სამზარეულოს კარადაზე წიგნის ილუსტრაციების დახატვა. გაზქურის თავზე ნაყინის „ჩრდილოეთის ციალის“ ინგრედიენტები გამოვსახეთ. ამგვარად ტექსტი და სიტყვები ვიზუალურად „ხელშესახები“ გავხადეთ.

სწავლის სწავლა

მე და ჩემი თაობის ადამიანებს არ გვასწავლეს, როგორ უნდა გვესწავლა. მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ახლა ჩემს მოსწავლეებთან ერთად ვმუშაობ. გააზრებული მაქვს, რამდენად ვიმარტივებთ ცხოვრებას, ვზოგავთ დროსა და ენერგიას, როდესაც კარგად ვიცნობთ საკუთარ შესაძლებლობებს. ამჯერად პრაქტიკული საქმიანობის სწავლას შევუდექით. მოვიმარაგეთ საჭირო ინგრედიენტები, გადავშალეთ წიგნი და მომზადების ინსტრუქციას ნაბიჯ-ნაბიჯ მივყევით. ყველა დეტალი განვიხილეთ: მიქსერისთვის „ფეხების“ ჩამაგრება, სიჩქარის მართვა, სახეხის უსაფრთხოდ გამოყენება, სათანადო ჭიქების შერჩევა, საყინულეს საჭირო რეჟიმზე მომართვა.

სულ ბოლოს კითხვარი შევადგინე და თეკლას შევსება ვთხოვე. რამდენიმე საფეხურიანი ინსტრუქციის გაგება გაუჭირდა და ბევრ კითხვას მისვამდა.

ერთგვარი შეჯამება გამოგვივიდა და დაკვირვება იმაზე, რა და როგორ ვისწავლეთ.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია

თოვლის დედოფლის ნაყინი უგემრიელესი გამოგვივიდა. ჯერ ვფიქრობდით, ეზოში ნაყინების გაყიდვას და დაგროვებული თანხის საქველმოქმედო მიზნით გამოყენებას, მაგრამ ქარმა შეგვაშინა. საბოლოოდ, ზამთრის ბოლო თვეს გამოვალაგეთ საყინულედან ნაყინები, ხელი დავავლეთ გაყინულ ჭიქებს, ბებიასთან და ბიძაშვილებთან სტუმრად წავედით და თან ჩვენი ხელით დამზადებული „ჩრდილოეთის ციალი“ მივიტანეთ. ამ ფუსფუსში საყვარელი ადამიანების გახარებაზე ვსაუბრობდით.

ეკოლოგიური წიგნიერება

ამ მხრივ ერთადერთი ის მოვახერხე, რომ ნაყინის დამზადებისას დაგროვებული ნაგვის ირგვლივ ვისაუბრეთ, კერძოდ, თუნუქის ქილას, ცელოფანს, ქაღალდის პაკეტს რამდენი ხანი სჭირდება დანაწევრებისა და მიწასთან შერევისთვის. ჭარბი საყოფაცხოვრებო ნივთების გამოყენებით დაბინძურებულ გარემოზე ბევრს ვფიქრობ და ვდარდობ.

ტექსტისა ავტორმა, დიანა ანფიმიადიმ, კი საინტერესო იდეა შემოგვთავაზა: ვარდის დაკალმება. ვარდის ორი ბუჩქი გერდას და კაის სარკმლებთან თაღს ქმნიდა. ამ ეპიზოდის მიხედვით წიგნში ილუსტრაცია არის დახატული, ხოლო მულტფილმში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კადრია. მართალია, ამჯერად ვერ მოვახერხეთ, თუმცა ვარდის დაკალმებით ზღაპრის გახსენება კიდევ სხვა ამბებს მოიყოლებს თან.

კიდევ ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ერთი ზღაპრის ამგვარი გაცოცხლებით ასოციაციური აზროვნებისთვის გზა ხსნილია. ჩვენ კი კვლავ ვაპირებთ თამაშს. ახლა ლუის კეროლის „ელისის თავგადასავალი საოცრებათა სამყაროში“ ერთობლივი კითხვა წამოვიწყეთ. ორი წიგნი გვაქვს და პარალელურად ერთმანეთის წარმოსახვით სამყაროში „ვმოგზაურობთ“. ვუზიარებთ შთაბეჭდილებებს, ვტკბებით ახალი სიტყვების აღმოჩენით, სამაგიდო თამაშის მოფიქრებასაც ვაპირებთ. წიგნის წაკითხვის შემდეგ კი გამოვაცხობთ ელისის საყვარელ ნამცხვარს ფორთოხლის მარმელადით და ამ წერილში აღწერილ გზას გავივლით: თან კითხვა, თან თამაში, თან სამზარეულოში ფუსფუსი და კიდევ ბევრი „თან“.

პაოლო იაშვილის „ევროპას“ მულტიმედიური წაკითხვის მცდელობა

ლექსი „ევროპა“ პაოლო იაშვილმა 1922 წელს დაწერა, 1921 წლის 25 თებერვლიდან ერთი წლის შემდეგ. ასი წელი გვაშორებს ლექსში აღწერილ მოვლენებს. დროის სამი ეპოქალური დანაყოფი ახლებური წაკითხვისკენ გვიბიძგებს.

თანამედროვე მკითხველს ტექსტის მულტიმედიური წაკითხვის შესაძლებლობა აქვს, რაც გულისხმობს მედიათა შორის მინიშნებებზე დაკვირვებას, სიტყვის ვიზუალურ გაცოცხლებასა და სემანტიკურ გააზრებას.

პაოლო იაშვილის „ევროპა“ ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომლის წაკითხვამ, ესთეტიკურ გავლენასთან ერთად, კვლევა-ძიებისკენ მიბიძგა. ერთმანეთში აირია სახე-სიმბოლოები, გეოგრაფიული ადგილები, ისტორიული პირები და თარიღები, ხელოვნების ნიმუშები, არქეოლოგიური ძეგლები, ლიტერატურული მიმდინარეობები, ლექსის მახასიათებლები, საფრანგეთის ჰიმნი, პოეტის ბიოგრაფიული დეტალები – ამ ყოველივეს შესახებ საგულდაგულო მოკვლევამ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია დააგროვა, თითქოს ძაფის აბურდულ გორგლად იქცა, რომლის წვერსაც პოვნა უნდა და ნასკვების ფრთხილი გამოხსნით სათქმელმა განსაზღვრული ფორმა უნდა მიიღოს.

სტატია მიზნად ისახავს ლექსის მულტიმედიურ გაცოცხლებას, თითოეული სიმბოლოს გაშინაარსებას, ერთმანეთთან დაკავშირებას, რაც, თავის მხრივ, ახალი ინფორმაციის მოპოვება-დახარისხებასა და მკითხველის მიერ მათ ახლებურ წაკითხვას გულისხმობს.

ლექსი „ევროპა“ საუკეთესო ტექსტია ისტორიული რეალობის გასააზრებლად და შემეცნებითი სამყაროს გასამდიდრებლად. მოსწავლეებისთვის ლექსის გასაცნობად ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვაა საჭირო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართულის, ისტორიის, გეოგრაფიის, ხელოვნების, მუსიკის მასწავლებლები.

ამასთანავე, დავიმოწმოთ 2019 წელს ამოქმედებული ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის სტანდარტის მთავარი ცნებები – **ტექსტის კონტექსტი და მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)**, რაც მიზანს უფრო მეტად დაგვაახლოებს.

ტექსტის გაგება-გაანალიზებისას კი ამგვარ განმარტებას ვკითხულობთ: სასწავლო გეგმაში ტერმინი „ტექსტი“ გამოიყენება ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს როგორც ბეჭდურ, ისე აუდიოვიზუალურ/მულტიმედიურ, აუდიო- და ვიდეოფორმატის ტექსტებს.

გაკვეთილის მიზნები საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტის V და VI საფეხურებსაც ეხმიანება:

ქართ.საბ.5.	ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ., ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით);
ქართ.საბ.6.	ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე;

ასე რომ, სტატიაში ასახული კვლევა-ძიება უკავშირდება ეროვნული სასწავლო სტანდარტის მოთხოვნებს. ტექსტის მულტიმედიური წაკითხვა მოსწავლეებისთვის სწავლა-სწავლებას სახალისოს ხდის – ქრება დრო, მცირდება მანძილი, აფასებ და ერთმანეთს ადარებ მოვლენებს, პირად ცხოვრებას, თანამედროვე გარემოს, ეცნობი ადამიანებსა და მათ სამყაროს.

სტატიის სათაურის სიღრმისეული გააზრებისთვის განვმარტოთ მედიათა მნიშვნელობა. მედიები (ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა, მნიშვნელობის მატარებელი სისტემები – გამოსახულება, ბგერა, ენა, ასევე, ინფორმაციის მატარებელი ან გამტარი...) ერთმანეთზე ზემოქმედებს და მათ მიერ გადმოცემული ინფორმაციის მრავალგვარი წაკითხვის საშუალებას იძლევა. მათი შინაარსის ინტერპრეტირებისას გასათვალისწინებელია ისტორიული კონტექსტი. მედიები ერთმანეთზე მიანიშნებს, რადგან აქვს საერთო თვისებები – ქმნის ესთეტიკურ ილუზიას, აქვს ამბის გადმოცემის უნარი (ლევან ცაგარელი).

შინაარსი

ამ ლექსს სიუჟეტური შინაარსი აქვს. „ევროპა“ ვერლიბრია და ალაგ-ალაგ გაბნეული რითმა, სტრიქონთა რიტმული წყობა და აგებულება ძლიერ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს. თავდაპირველად სათაურთან ერთად ამ ყოველივეს გამო მიმიზიდა. შემდეგ, დაწერის დროსა (1922) და ლექსში ასახულ

დროზე (1915) დავფიქრდი. როგორც უკვე აღვნიშნე, ერთი წელია გასული 1921 წლის 25 თებერვლიდან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეტი ლექსის დასასრულს ლეგიონის ორდენის წევრის, ქუთაისში რევოლუციის გადამტანი ბუჯუტა აბაშიძის ხსენებით საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს გამოხატავს.

ლექსის სათაური „ევროპა“ ალუზიური გზავნილია, რომელიც გვახსენებს სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობას ევროპაში“. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საბას ჩანაწერების პირველი ნაწილი, მართალია, დაკარგულია, მაგრამ, ლიტერატურათმცოდნეთა ვარაუდითა და ტექსტში ასახულ მოვლენებზე დაყრდნობით, თხრობა სწორედ პარიზში ყოფნის აღწერით იწყება.

ლექსის დასაწყისი — „1915, იანვარში / პორტმა, რომელსაც გლაზგო ჰქვია, / დიდ ნიაღვარში / მე გამისტუმრა ევროპიდან ინგლისის გემზე „კაბადოკია“. — პირველი მსოფლიო ომის მოვლენებს გვახსენებს. საფრანგეთი ინგლისსა და რუსეთთან ერთად გერმანია-ავსტრიის წინააღმდეგ ომში ჩაება. ქალაქები — პარიზი, რეიმსი, მარნა — სამხედრო ოპერაციების ასპარეზად იქცა. ომით გამოწვეული „ევროპული ქაოსი“ ახალგაზრდა პოეტს სამშობლოში დაბრუნებას აიძულებს.

ლექსის მიხედვით, გეოგრაფიული სივრცე პარიზიდან შოტლანდიაში გადაინაცვლებს, სადაც პოეტს კვლავ საომარი ვითარება ხვდება — ლამანშის სრუტეში ატლანტიკის გემებია ჩალაგებული.

პარიზში კი სენაში გერმანელ ტყვეებს ყრიან, ტროკადეროს ცლიან, ლუვრიდან ლაურა-დე-დიანტის იტაცებენ, „გახდა პარიზი უსიცოცხლო და უსიმღერო“, ბავშვებს პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ჯვრებითა და ყვავილებით გზავნიან. ლექსის ლირიკული გმირი შეძრულია ომით, სამშობლოში მორბის, ევროპას ქაოსში ტოვებს და გული სწყდება პერ ლაშეზზე დაკრძალულ ბუჯუტა აბაშიძეზე.

სისხლი, არეულობა, დაბნეულობა, უსამართლობა, შურისძიება, ნგრევა, სისხლი, ცრემლი, თოვლი, ანთებული გემები, ტანკების ქშენა, სასაფლაო, თაობათა გადაშენება, ქაოსი — ლექსში ასახული სახე-სიმბოლოები, რომლებიც პოეტმა ევროპაში განიცადა და უკან მოიტოვა, სამშობლოში 1921 წლის 25 თებერვალს ისევ გაცხადდა.

ლექსის რუკა

ერთ სტატიაში მოკლედ რომ წარმომედგინა ლექსში ასახული მოვლენები, ლექსის რუკას შევქმნიდი. ლექსის რუკა ტექსტს და ნახატს მოიცავს, თუმცა

უფრო მეტი სემიოტიკური ნიშნებით არის აკინძული. პირობითი ნიშნებით აღ-სანიშნთა ჩამონათვალი ამგვარია:

მდინარეები: სენა, რეინი, მარნა

ქალაქები: პარიზი, ვერდენი, ლუქსემბურგი, რეიმსი, გლაზგო, ქუთაისი



„გამოვექეცი ევროპის ქაოსს, სისხლს, დანგრეულ რეიმსის ტაძარს...“

ქვეყნები: შოტლანდია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, საქართველო
გეოგრაფიული ადგილები: ლამანშის სრუტე, ატლანტიკის ოკეანე, პერ-ლაშეზის სასაფლაო
ხელოვნების ძეგლები: ლუვრი, ტროკადეროს სასახლე, რეიმსის ტაძარი
ნახატი: ტიციანის „ლაურა-დე-დიანტი“

„ვიგონებ დღეებს, როცა ვერდენს მოადგა შანთი, როცა დასცალეს ტროკადერო და ლუვრს მოსტაცეს ლაურა-დე-დიანტი...“

ლირიკული პერსონაჟები: პაოლო იაშვილი, ბავშვები, მათხოვრები, გერმანელი ტყვეები და ბუჭუტა აბაშიძე
დრო გაცოცხლდებოდა 1915-დან 1922 წლამდე.

საუბრის დასაწყისში მარსელიეზას ჩავრთავდი. სულ ბოლოს Google-ის საძიებო ველში „ლილლას“ ფრანგულ შესატყვისს „Des Lillas“ ჩავწერდი და ვაჩვენებდი პარიზის ერთ-ერთ უძველეს კაფეს, რომელიც მეოცე საუკუნის

დასაწყისში მხატვრების, მწერლების, მომღერლების, მსახიობების თავშეყრის ადგილი ყოფილა. აქ დადიოდნენ ემილ ზოლა, შარლ ბოდლერი, ტეოფილ გოტიე, ონორე დე ბალზაკი, ერნესტ ჰემინგუეი, ამადეო მოდილიანი, პაბლო პიკასო, ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი, ანდრე ჟიდი (რომელიც საქართველოსაც სტუმრობდა და მეგზურობას სწორედ პაოლო უწევდა), ეზრა პაუნდი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, სემიუელ ბეკეტი, ჟან პოლ სარტრი. ამ კაფეში გაუტარებია საღამო ჯეიმს ჯოისს სილვია ბიჩთან ერთად, რომელიც გამომცემლობა „Shakespear & Co.“-ს რედაქტორი იყო და „ულისეს“ გამოცემაზეც აქ შეთანხმებულან.

„ღამის ქალები, პოეტები მოშორდნენ „დარკურს“ და კაფე „ლილლას...“

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის შესახებ ფოტომასალა მოვიძიე. ამ ლექსის ირგვლივ მრავალფეროვანი გაკვეთილის აგება შეიძლება. მოძიებულ მასალას სლაიდშოუდ ავკინძავდი და გაკვეთილს კადრების ჩვენებით დავიწყებდი. წარმოვიდგენ, მე რა დამაინტერესებდა ყველაზე მეტად და იმის მიხედვით ვმოქმედებ. თავდაპირველად, ალბათ, გაუკვირდებათ, ერთი ლექსი ამდენ ინფორმაციას რომ იტევს, მერე – სიტყვის ვიზუალური გაცოცხლება აღძრავს ცნობისმოყვარეობას.

ისტორიის მასწავლებელი დაიწყებდა პირველი მსოფლიო ომის შესახებ თხრობას და ლექსის დაწერის თარიღსა და ლექსში ასახულ მოვლენებს შორის გაავლებდა პარალელს; შემდეგ **გეოგრაფიის მასწავლებელი** გააცნობდა ბავშვებს ლექსში ნახსენებ ქვეყნებს, ქალაქებს, მდინარეებს; **ხელოვნების მასწავლებელი** ტროკადეროსა და რეიმსის ტაძარზე, პერ-ლაშეზის სასაფლაოსა და იქ დაკრძალულ ცნობილ ადამიანებზე ისაუბრებდა; **მუსიკის მასწავლებელი** საფრანგეთის ეროვნული ჰიმნის – „მარსელიეზას“ შექმნის ისტორიას მოჰყვებოდა, მოვუსმენდით ჰიმნის ვოკალურ და ინსტრუმენტულ ვერსიებს; **ქართულის მასწავლებელი** ლირიკის ჟანრის – ჰიმნის შესახებ მოკლე მიმოხილვით გადავიდოდა ვერლიბრის მახასიათებლებზე, ლექსის ლირიკული პერსონაჟის პარიზში წასვლის მიზეზების, იქ ყოფნისა და მისი უკან დაბრუნების შესახებ ისაუბრებდა, მხატვრულ ხერხებს, სახე-სიმბოლოებს, აკა მორჩილაძის „მორიდებულ ზურმუხტსა“ და პოსტმოდერნიზმს მსუყე ლუკმად მოიტოვებდა.

დამეთანხმებით, ზღვა ინფორმაციაა. თუ მიზნად დავისახავთ მხოლოდ ინტერესის აღძვრას, ერთი დღის ყველა გაკვეთილი შეგვიძლია დავგეგმოთ და კიბის პრინციპით მივყვეთ – ისტორია, გეოგრაფია, ხელოვნება, მუსიკა, ქართული; თუ გვინდა, ცოდნა მყარი იყოს, შეგვიძლია, ერთ კვირაზე გავწეროთ თავისი საშინაო დავალებებით და კომპლექსური დავალების შესრულებით დავასრულოთ.

ეპოქალური მოვლენების სურათ-ხატებად გაცოცხლება დაუვიწყარ ემოციებს აღძრავს. პოეტის ლირიკული სამყარო თვითჩაღრმავებასთან ერთად მისი ბიოგრაფიული დეტალების მოძიებისკენ გვიბიძგებს.

პაოლოს პარიზი

აქ უნდა ვახსენოთ ბიოგრაფიული დეტალი პოეტის ცხოვრებიდან, კერძოდ, 1913 წელს 20 წლის პაოლო საფრანგეთში გაემგზავრა და ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში სწავლობდა, სადაც გაეცნო ფრანგ მხატვრებს, პოეტებს, შეისწავლა ენა და თარგმნიდა კიდეც.

ბიოგრაფიულ ნარკვევებში ვერსად მივაკვლიე, რომელ ინსტიტუტში სწავლობდა პაოლო. თვითმიზნად დავისახე, ამ მხრივ, კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია მოვიკვლიო და პარიზის მოსანახულებელ ადგილთა ნუსხაში შევიტანო.

„პაოლო იაშვილს პირველად პარიზში შევხვდი. 1913 წლის ზამთრის და 1914 წლის გაზაფხულის თვეები პარიზის არტისტული ბოჰემის და სტუდენტობის სამ-

ფლობელოში – ლათინურ უბანში გავატარე; პაოლო იაშვილიც ამავე უბანში ცხოვრობდა. მას ოთახი პანთეონის მახლობლად ეჭირა ესტრაპადის ქუჩაზე... პაოლო იაშვილს და მე ჩვენს ქართველ მეგობრებთან ერთად ბევრი მხიარული საღამო გაგვიტარებია ამ მჭმუნვარე სახელწოდების ქუჩაზე. სხვათა შორის, ხშირად მოგვიგონია ფრანსუა ვიიონის ლექსები, სადაც ყველა თანამედროვე მოხეტიალე და მოუსვენარი პოეტის ეს წინაპარი გონებამახვილურად დასცინის ჯალათებს და მათ მიერ ამართულ სახრჩობელებს. პაოლო იაშვილს უყვარდა აგრეთვე პოლ ვერლენის ძეგლის გვერდით ჯდომა ლუქსემბურგის ბაღში და შადრევნის აუზში მობანავე ბეღურების ცქერა, რაღაცას ნათესაურს პოულობდა ამ ბავშვივით გულუბრყვილო, მაგრამ მიწიერ პოეტსა და უწყინარ ფრინველს შორის“, – იგონებს გერონტი ქიქოძე (პაოლო იაშვილი, 1956 წელი). მადლიერების განცდა მეუფლება ამ მცირე ჩანახატის აღმოჩენისას, რადგან კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს პაოლოს პიროვნება, ვიგებთ მისი სანაცნობო წრისა და იმ ადგილების შესახებ, სადაც სიარული უყვარდა. პარიზის ლიტერატურულ მარშრუტს ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტსა და კაფე „ლილლთან“ ერთად ესტრაპადის ქუჩა და ლუქსემბურგის ბაღიც შეემატა.

ვინ იყო ბუჭუტა აბაშიძე?

„პარიზში დამრჩა ერთი საფლავი,
ლეგიონის ორდენის წევრი,
აღმოსავლეთში განთქმული გმირი,
და ქუთაისში გადამტანი რევოლუციის,
მკვდარი მარნასთან,
პერლაშეზზე განსვენებული
ბუჭუტა აბაშიძე“.

ამ საკითხზე მუშაობა რომ გადავწყვიტე, მაშინვე დავიწყე ბუჭუტა აბაშიძის შესახებ ინფორმაციის მოძიება, თუმცა ეროვნულ ბიბლიოთეკაში მხოლოდ 1914 წლის გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ ფოტოს მივაგენი, რომლის წარწერა გვამცნობს ბუჭუტა (ალექსანდრე) აბაშიძის საფრანგეთში გარდაცვალებას.

კვლევა-ძიებისას მკითხველის ბლოგიდან შევიტყვე, რომ აკა მორჩილაძის რომანის „მორიდებული ზურმუხტი“ ერთ-ერთი პერსონაჟი ბუჭუტა აბა-

შიძეა. საახალწლო სამზადისის პარალელურად აღმოვჩნდი პოსტმოდერნულ ტექსტში, სადაც 1911 წელია. საქართველოს იმპერატორი ჰყავს, რომელიც დირიჟაბლით მოძრაობს. იმპერატორის ბრძანებით ფოთს თბილისი ჰქვია, თბილისს – ფოთი. იმერეთში აჯანყება მზადდება, რომელსაც თავადი, გაქნილი და გაიძვერა მარგალიტე აბაშიძე მეთაურობს. სწორედ ამ უკანასკნელის ხლართებით საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოჰყავთ ბუჭუტა აბაშიძე და მეთაურად ნიშნავენ. ბუჭუტას საქართველო „ვეფხისტყაოსანი“ ჰგონია და ამ თვალსაწიერით ზომავს რეალობას, რომელიც დიდი სიცრუეა. წიგნის გმირ ბუჭუტა აბაშიძეს იმერეთის ტყეში კლავენ. მასთან ერთად კვდება გლახუნა ბაქრაძეც. რომანი გაძეძგილია ალუზიებით ქართული თუ უცხოური ლიტერატურიდან. ავტორი თამაშობს ყველაფრით: წარსულით, სინამდვილით, ლიტერატურით, პერსონაჟებით და დიდი ინტელექტია საჭირო, რომ ამ თამაშში მთავარი გზავნილები ამოიკითხო. სასიამოვნოა იმის განცდაც, რომ, მიუხედავად ამდენი ალუზიისა, მკითხველს საკუთარი სათქმელი გიგროვდება. ყველაზე მეტად თხრობის სტილი, მწერლის ენა და პერსონაჟთა ხასიათები გხიბლავს. გულუბრყვილო, კეთილი, მამაცი ბუჭუტა აბაშიძე გამბედაობითა და სამხედრო მიღწევებით ჰგავს პაოლო იაშვილის ლექსის ლირიკულ გმირს, თუმცა მისი ბიოგრაფიის შესახებ ახალს ვერაფერს ვიგებთ.

კითხვა კი ბევრი ჩნდება: რა ურთიერთობა ჰქონდა პაოლო იაშვილს ბუჭუტა აბაშიძესთან? შეიძლება თუ არა, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ბუჭუტას საფლავის მიგნება? რა კავშირი ჰქონდა მას 1905 წლის რევოლუციასთან? რატომ იყო განთქმული აღმოსავლეთში? რა დამსახურებისთვის გახდა ლეგიონის ორდენის წევრი? აქვე იმასაც ვფიქრობ, რომ ინტეგრირებულ გაკვეთილზე ისტორიის მასწავლებელს ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ დაარსებული ორდენის შესახებ მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიწოდება მოუწევს.

ერთ-ერთ კითხვას პასუხი გასცა ღია ბარათმა, რომელიც 1914 წლის 10 იანვარს პაოლო იაშვილს პარიზიდან დავით მესხისთვის გამოუგზავნია. ბარათს ინტერნეტში (niamorebi.ge) მივაკვლიე, მისი ორიგინალი კი ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება.

Давиду Месхи, газ. „Ери“, Кутаисъ, Caucase
დათიკოს, გრიგოლს, ბესარიონს, გუცას, გიორგის
სალამი ყავახანა „Paskal“იდან.
ყველას ერთობით!

პ. იაშვილი. გ. ალშიბაია, გერ. ქიქოძე. ბ. ბერელაშვილი. ს. კედია, ნუცა შიუკაშვილი. მ. ივანიშვილი, მ. ჭ., ტარას ბაღაშვილი, ლ. ხიზანაშვილი, დ. პავლიაშვილი, ბუჭუტა აბაშიძე, ქოჩიაშვილი, ლ. მეტრეველი

როგორც ვხედავთ, კაფე „პასკალში“ პაოლო იაშვილთან, გერონტი ქიქოძესა და სხვებთან ერთად ბუჭუტა აბაშიძეც ყოფილა, რაც მათ ნაცნობობას ადასტურებს.

მდინარე მარნას ხსენება კიდევ ერთ ტექსტს გვახსენებს, კერძოდ, მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილს“ (1928 წ.), რომლის მთავარი პერსონაჟი და მთხრობელი მდინარე მარნასთან გაშენებულ ქალაქ ნოჟანში გაიცნობენ ერთმანეთს. ორივე ტექსტი დაახლოებით ერთი და იმავე დროს არის დაწერილი და ინტერტექსტუალური პარალელების გავლება საინტერესო აღმოჩენებამდე მიგვიყვანს.

ზმნები პირველი პირის ნიშნებით

ზმნებზე დაკვირვებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ის ფორმები იქცევს, რომლებშიც ლექსის ლირიკული გმირის პირადი დამოკიდებულებები ჩანს: **გამისტუმრა, ვიგონებ, გამოვექეცი, ვნახე, გავიღიმე, დამრჩა** – გრამატიკის სწავლებისას შეგვიძლია პირველი პირის ნიშნებით გამოხატული განწყობის სემანტიკურ მნიშვნელობაზე დავფიქრდეთ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართულის გაკვეთილი ბოლოსთვის მოვიტოვეთ. სლაიდშოუს ჩვენებისა და

ლექსში ასახული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მხოლოდ ეს ზმნები ჩამოვწეროთ დაფაზე და მოსწავლეებს ვთხოვოთ, გამოიცნონ, რა შეიძლებოდა გადახდენოდა თავს პოეტს.

ასი წლის შემდეგ მაოცებს ჩვენი პოეტების, მწერლების, მხატვრების ცოდნა სამყაროს შესახებ და მათი თვითგამოხატვის ფორმები. საკვირველია, როგორ ახერხებდნენ უინტერნეტო ეპოქაში ამდენი ინფორმაციის დაუფლებას, ნაცნობობის გაბმას. კვლევა-ძიების შედეგად ერთ მნიშვნელოვან რამეზე მეფიქრება – ტექნოლოგიების განვითარების საუკუნეში ჩვენ, თანამედროვე საზოგადოება, შევძლებთ კი, პაოლო იაშვილის მსგავსი მოაზროვნის აღზრდას? კითხვამ პათეტიკურად რომ არ გაიჟღეროს, სამოქმედო გეგმასავით მივაბათ ქმედება, კერძოდ, ინტერმედიულად გაცოცხლებული ტექსტები მოზარდებს ნამდვილად მისცემს მყარ ცოდნასა და დამოუკიდებელი მაძიებლობის სურვილსაც გაუღვივებს.

„როცა დასცალეს ტროკადერო...“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გივი ბოჯგუა, ქართველ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი, 2015
2. ლევან ცაგარელი, ინტერმედიალობა და მედიათაშორისი კვლევები
3. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა
4. აკა მორჩილაძე, მორიდებული ზურმუხტი. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013
5. http://niamorebi.ge/%e1%83%98%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%95%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%ac%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%90/

ნინო ჭიაბრიშვილი

1 დისკუსია წინასწარგანსაზღვრულ საკითხზე ანუ აკვარიუმის მეთოდი 217

2 მტკიცე ხასიათის ბავშვი 221

3 მედიარესურსების გამოყენება მოქალაქეობის გაკვეთილებზე 227

4 განათლება, თანმიმდევრულობა და ისევ ის დარდი 231

5 კრიტიკული ინციდენტი 234

6 სიტუაციური სავარჯიშოები ინტერკულტურული განათლებისთვის 241

დისკუსია წინასწარგანსაზღვრულ საკითხზე ანუ აკვარიუმის მეთოდი

„თევზის აკვარიუმის“ (Fishbowl), ან უბრალოდ „აკვარიუმის“ მეთოდი გამოიყენება ჯგუფური დისკუსიის დროს. მისი ზოგადი აღწერა ასეთია:

კლასი იყოფა ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს დამკვირვებლის ფუნქცია აქვს, მეორეს – მოქმედი ჯგუფისა. ჯგუფები არათანაბარი რიცხოვნობისაა. მცირერიცხოვანი ჯგუფი (6-8 მოსწავლე) განლაგდება წრიულად საკლასო ოთახის შუაგულში. თანაკლასელები მათ გარშემო ასევე წრიულად სხდებიან. შიდა წრეში მიმდინარეობს დისკუსია წინასწარ განსაზღვრულ საკითხზე. შიდა წრე შეიძლება იყოს დახურული ან ღია. ღია წრე გულისხმობს იმას, რომ დამკვირვებელ მოსწავლეებს შეუძლიათ დისკუსიაში ჩართვა, რისთვისაც შიდა წრეში თავისუფალი სკამია გამოყოფილი. მსურველი ჯდება ამ სკამზე, გამოთქვამს თავის მოსაზრებას და უბრუნდება თავის ადგილს გარე წრეში, ანუ დამკვირვებლის პოზიციას.



გარე წრეს შეიძლება სხვადასხვა დავალება ჰქონდეს:

ა) თვალყური ადევნონ დისკუსიას, იფიქრონ თავიანთ არგუმენტებზე, რათა მოგვიანებით გააცნონ მთელ კლასს. ამ შემთხვევაში ორიენტაცია აღებულია დისკუსიის შინაარსზე. ასეთ შემთხვევაში მოსახერხებელია ღია ტიპის შიდა წრე.

ბ) დააკვირდნენ დისკუსიის მიმდინარეობისას მონაწილეთა მიერ დისკუსიის წესების დაცვას, სოციალურ ქცევებს, მონაწილეთა პოზიციების დამაჯერებლობას და ა. შ. მიზანია საუბრის ხელოვნების განვითარება. ამ მიზანს შეესაბამება დახურული შიდა წრე.

გარე წრისათვის მინიჭებული ფუნქციის მიხედვით განისაზღვრება დისკუსიის შემდეგ საერთო საკლასო განხილვის შინაარსი. პირველ შემთხვევაში (ა) დისკუსია გრძელდება, მეორეში (ბ) – ხდება დისკუსიის მიმდინარეობის ანალიზი და შეფასება.

სასურველია მორცხვი და გაუბედავი მოსწავლეების ჩაბმა თავდაპირველად დამკვირვებლის როლში. ისინი თანდათან, შეუმჩნევლად შეძლებენ თავიანთი წვლილის შეტანას დისკუსიაში. გარდა ამისა, შიდა წრის წევრების ქცევა გაუბედავი მოსწავლეებისათვის ერთგვარი სტიმული იქნება.

გარე მონაწილეები ერთ რომელიმე მხარეს ემხრობიან. თუ ორთაბრძოლაში ჩართვის სურვილი უჩნდებათ, ორთაბრძოლის მონაწილეს მხარზე ადებენ ხელს და ისინი ადგილებს ცვლიან.

აკვარიუმის მეთოდით ჩატარებული გაკვეთილისთვის:

- უკეთესია დიდი ჯგუფი. ის გონებრივი იერიშის ერთ-ერთი სახეობაა;
- მიზანშეწონილია დისკუსიის საკვანძო საკითხების მონიშვნა, რადგან შეესაძლოა გაგვიტაცოს ფართო და საინტერესო, მაგრამ არამიზნობრივმა დისკუსიამ;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღებით მოსმენა;
- შესაძლებელია გარე მონაწილეები ფეხზე იდგნენ, რათა თავიდან ავიცილოთ მათი პასიურობა.

მეთოდის თავისებურებები:

- ეს არის ტრადიციული დებატების ალტერნატივა;
- ცვლის მრგვალ მაგიდასთან დისკუსიას;
- წაახალისებს დინამიკურ მონაწილეობას;
- სასარგებლოა წინააღმდეგობრივ თემებზე მუშაობისას;

- თავიდან გვაცილებს ხანგრძლივ პრეზენტაციებს.
- რჩევები მეთოდის გამოყენებისთვის:

1. განსაზღვრეთ მეთოდის მიზანშეწონილობა თემასთან/ საკითხთან მიმართებით;
2. წინასწარ შეუთანხმეთ მონაწილეებს „აკვარიუმის“ მეთოდის დრო, აუხსენით პროცედურა და მათი როლი;
3. წინასწარ განსაზღვრეთ საჭირო სივრცე;
4. შიდა წრეში დაგჭირდებათ რამდენიმე სკამი (შესაძლოა ეს სკამები შემაღლებულ ადგილზეც იყოს, რომ ყველა ხედავდეს);
5. შიდა წრის გარშემო დაალაგეთ სკამები ან მაგიდები მრგვალად;
6. დატოვეთ შიდა წრესთან მისასვლელი გზები;
7. საჭიროების შემთხვევაში მოიმარაგეთ მიკროფონები (შესაძლოა გვქონდეს პირობითი მიკროფონი, მაგ., მარკერი, ქაღალდის ჭიქა და ა. შ.);
8. სასარგებლოა ფლიფჩარტის ან დაფის გამოყენება საკვანძო იდეების დასაწერად;
9. დასაწყებად შიდა წრეში მსხდომ მონაწილეებს ვთხოვთ, აუხსნან ჯგუფს პროცედურის შესახებ. შემდეგ დავსვათ პროვოკაციული კითხვა და ვთხოვოთ მოსაზრების გამოთქმა;
10. მივცეთ 5–10 წუთი შიდა წრეში მსხდომ მონაწილეებს და კიდევ 10 წუთი დამაზუსტებელი კითხვებისათვის;
11. მივცეთ ძირითად ჯგუფს განსაზღვრული დრო, რომლის შემდეგ დამკვირვებლებს შეუძლიათ კითხვების დასმა და კომენტარების შეთავაზება დისკუსიის კონკრეტულ ნაწილზე;
12. სთხოვეთ დამკვირვებლებს დისკუსიაში მონაწილეობა – მათ ადგილი უნდა გაუცვალონ ძირითადი ჯგუფის რომელიმე წევრს, ისე, რომ ცვლილებები მუდმივი იყოს და მონაწილეობა ყველამ მიიღოს;
13. განსაზღვრული დროის შემდეგ (მაგ., 5 წუთი), ჯგუფის წევრებს ისე შეუცვალეთ ადგილები, რომ დამკვირვებლები ძირითად ჯგუფში გადავიდნენ, ხოლო ძირითადი ჯგუფის წევრები დამკვირვებლების როლში აღმოჩნდნენ.

აქვე გთავაზობთ დილემის ნიმუშს:

დილემის მიზნები:

1. მეცნიერებისა და ცოდნის სხვა სფეროების განვითარებაში დიდი წვლილის მქონე უცნობ ქალთა შესახებ ისტორიების მოძიება;

2. დამახინჯებული ფაქტების გასწორება და გენდერული სამართლიანობის დამყარება;
3. მდედრობითი სქესის მოსწავლეების წახალისება ქალ მეცნიერთა მოდელების გაცნობით.

რაჰელი ახალგაზრდა მასწავლებელია. ისტორიაში მას ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი აქვს. ერთ დღეს მან თავის მოსწავლეებს უთხრა, რომ სურს, ასწავლოს ახალი ისტორია, რომელიც განსხვავებული იქნება ისტორიის ტრადიციული სახელმძღვანელოებისაგან. მისი აზრით, მრავალი წლის განმავლობაში ისტორია მამაკაცი ისტორიკოსების მიერ იწერებოდა და სრულიად უგულებელყოფილი იყო ქალების წვლილი სხვადასხვა სფეროს განვითარებაში, მათ შორის, მეცნიერებაში. მისი მოსწავლეები მე-10 კლასელები არიან. კლასში თანაბრადაა გოგონებიც და ბიჭებიც. ზოგიერთმა მოსწავლემ (ძირითადად ბიჭებმა) უკმაყოფილება გამოთქვა მასწავლებლის გადაწყვეტილების გამო და აღნიშნა, რომ ის, რაც ისტორიის სახელმძღვანელოებში წერია, მნიშვნელოვანია, რომელთა ცოდნა და სწავლა მათთვის აუცილებელია. რაჰელმა გააცნობიერა, რომ მის გადაწყვეტილებას შესაძლოა უარყოფითი რეაქციები მოჰყოლოდა მშობლებისა და სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდანაც. ის საკუთარ თავს ეკითხება – ბოლომდე მიიყვანოს გადაწყვეტილება, თუ დანებდეს.

დილემის კითხვა: უნდა მიიყვანოს თუ არა ბოლომდე რაჰელმა საკუთარი გადაწყვეტილება?

შესაძლებელია გაიმართოს სკოლის საბჭოს სხდომა, სადაც მოსწავლეები შეასრულებენ შემდეგ როლებს:

რესურსცენტრის წარმომადგენელი;
ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი;
ისტორიის მასწავლებელი (რაჰელი);
მშობლების წარმომადგენელი;
მოსწავლეების წარმომადგენელი.

წყარო: http://www.kstoolkit.org/home

მტკიცე ხასიათის ბავშვი

„ზნეობრიობა სწორად მოქცევაა, იმის მიუხედავად, რას გეუბნებიან. მორჩილება კი იმის კეთებაა, რასაც გეუბნებიან, იმის მიუხედავად, სწორია თუ არა“.

ჰ.ლ. მენკენი

მშობლებისა და შვილების ურთიერთობა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, ამოუწურავი და მუდამ ახალი საკითხია. გთავაზობთ დოქტორ ლორა მარკჰემის მოსაზრებას ამ საკითხზე, რომელიც AhaParenting.com-ის დამფუძნებელი და რამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორია. მათ შორისაა: „მშვიდობიანი მშობელი, ბედნიერი შვილი: როგორ შევწყვიტოთ ყვირილი და დავიწყოთ ურთიერთობა“; „მშვიდობიანი მშობელი, ბედნიერი და-ძმა: როგორ დავასრულოთ ომი და აღვზარდოთ მეგობრები“.

მტკიცე ხასიათის[1] შვილი გყავთ? როგორ გაგიმართლათ! ასეთ ბავშვთან ურთიერთობა ადვილი არ არის, თუმცა, მგრძნობიარე მშობლის ხელში არაჩვეულებრივ მოზარდად და ზრდასრულად იქცევა. ის, თვითმოტივირებული და შინაგანი მიმართულების მქონე, დასახულ მიზანს მიჰყვება და თანატოლთა ზეწოლასაც არ განიცდის. თუკი მშობელი არ დანებდება შვილის „მორჯულების“ იმპულსს, შესაძლოა მის ლიდერად ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი.

რას ნიშნავს ზუსტად მტკიცე ხასიათის მქონე ბავშვი? ზოგიერთი მშობელი მას „რთულ“ ან „ჯიუტ“ ადამიანად მოიხსენიებს, თუმცა, ის პატიოსანი და პრინციპული ბავშვია, რომლის აზრის შეცვლა იოლი საქმე არ არის.

მტკიცე ხასიათის ბავშვი ენერგიული და გამბედავია, ურჩევნია სამყარო დამოუკიდებლად შეისწავლოს, ვიდრე სხვების მოსაზრება გაიზიაროს, ამი-

1 „მტკიცე ხასიათი“ ინგლისური strong-willed-ის შესატყვისად ითარგმნა, ძალიან ყურადღებიან კოლეგასთან რუსუდან აფციაურთან შეთანხმებით. ვფიქრობდით, რომ შესაძლებელი იყო რამდენიმე სხვა ვარიანტიც (ძლიერი ნებისყოფის, მტკიცე ნებისყოფის, თავისნათქვამა, თავნება, თავდაჯერებული, პრინციპული), თუმცა, არჩევანი „მტკიცე ხასიათზე“ შევაჩერეთ, იმ მოტივით, რომ უკეთ გამოხატავდა ავტორის სათქმელს.

ტომ არის, რომ ის გამუდმებით ამოწმებს საზღვრებს. საკუთარ თავზე პასუ-ხისმგებლობის დაუოკებელი სურვილი აქვს და ხშირად, ყველაზე მეტად ის სურს, რომ „მართალი იყოს“.

თუკი რაიმეზე გული შეუვარდა, მისი გონება უარს ამბობს გადართვაზე. მას ძლიერი, მწველი გრძნობები აქვს და სიცოცხლით ტკბება, საქმეში სულსა და გულს დებს.

ხშირად მშობლებთან ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ებმება, თუმცა, მო-გეხსენებათ, ძალაუფლებისთვის ბრძოლას ორი მხარე სჭირდება. აუცილებელი არ არის, ყოველ ჯერზე დაიცვათ საკუთარი არგუმენტები. ბრძოლის დაწყების შემდეგაც შეგიძლიათ ღრმად ჩაისუნთქოთ და საკუთარ თავს შეახსენოთ, რომ სასურველის მიღებას იმ შემთხვევაშიც შეძლებთ, თუკი შვილს საკუთარი ღირ-სების შენარჩუნების საშუალებას მისცემთ და არც თქვენ მოიქცევით უღირსად. შეგიძლიათ ისწავლოთ, როგორ აიცილოთ ძალაუფლებისთვის შერკინებები.

მითითებები არავის უყვარს, მტკიცე ხასიათის მქონე ბავშვისთვის კი ეს სრულიად აუტანელია. მშობელს შეუძლია თავი დააღწიოს ძალაუფლებისთ-ვის ორთაბრძოლას, თუკი აგრძნობინებს, რომ მისი ესმის, მიუხედავად იმი-სა, რომ საზღვრების დამწესებელია. ეცადეთ, გაუგოთ, არჩევანი მისცეთ და აგრძნობინოთ, რომ პატივისცემა ორმხრივია. ორივე მხარისათვის მომგები-ანი გადაწყვეტილების ძებნა და არა უბრალოდ კანონების დაწესება, ბავშვს „აფეთქების“ სურვილს უნელებს და მოლაპარაკებისა და კომპრომისის მნიშ-ვნელოვან უნარებს ასწავლის.

მტკიცე ხასიათის ბავშვი რთული ბავშვი არ არის. ის მიიჩნევს, რომ მისი პატიოსნება და პრინციპები იბღალება, თუკი იძულებულია სხვა ადამიანის ნე-ბას დაემორჩილოს. თუ არჩევანის საშუალებას მივცემთ, თანამშრომლობაზე სიამოვნებით თანხმდება. თუკი მიიჩნევთ, რომ მორჩილება მნიშვნელოვანი თვისებაა ბავშვისთვის, გთხოვთ, საკუთარ შეხედულებებს გადახედოთ. ცხა-დია, პასუხისმგებლობის მქონე, ყურადღებიანი, ანგარიშის გამწევი შვილის აღზრდა გსურთ, რომელიც მაშინაც კი სწორად იქცევა, როდესაც სწორად მოქცევა რთულია. ეს არ გულისხმობს მორჩილებას, ეს მშობლის გულის მო-საგებ ქცევას ნიშნავს. ცხადია, არ გინდათ, თქვენი შვილი მორჩილების გამო ყოველთვის ისე მოიქცეს, როგორც ნებისმიერი უფროსი ეუბნება. თქვენებუ-რად იმიტომ უნდა მოიქცეს, რომ სანდო ხართ და უნდა გენდობოდეთ; იმიტომ რომ ისწავლა: შეუძლებელია ყოველთვის ეთანხმებოდეთ მის სურვილებს, თუმცა, ყოველთვის ანგარიშს უწევთ მის ინტერესებს. გსურთ, თვითდისციპ-ლინის, პასუხისმგებლობის მქონე, მზრუნველი შვილი გყავდეთ და, რაც მთა-

ვარია, არჩევდეს, ვის ენდოს და როდის მოექცეს სხვისი ზეგავლენის ქვეშ. დამეთანხმებით, ეს ზრდასრულებსაც გვიჭირს.

აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ სიმტკიცის გატეხვით ბავშვი მოწყვლადი ხდება იმ გავლენების მიმართ, რომლებიც ხშირად იქნება თანხმობაში მის საუკეთესო ინტერესებთან. მეტიც, ეს იმ სულიერი შეთანხმების ღალატია, რომელსაც ვდებთ, როგორც მშობლები.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ძლიერი ხასიათის ბავშვები ზღვა ენერგიის, რთული, საინტერესო, მტკიცე ადამიანები არიან. როგორ დავიცვათ მათი საუკეთესო თვისებები და წავახალისოთ მათთან თანამშრომლობა?

გთავაზობთ მშვიდობიანი მშობლობის 12 რჩევას თქვენი მტკიცე ხასიათის მქონე ენერგიული შვილისთვის:

1. **თქვენი შვილი გამოცდილებით სწავლობს.** თუკი რაიმე სერიოზული საფრთხე არ მოელის, უფრო ეფექტური იქნება გამოცდილებით სწავლის ნება მისცეთ, ვიდრე მის კონტროლს ეცადოთ. თქვენ მიერ დაწესებულ საზღვრებს მრავალჯერ შეამოწმებს, რადგან სწორედ ასე სწავლობს. თუკი ეს გეცოდინებათ, გაგიადვილდებათ სიმშვიდე, რაც ურთიერთობებისა და ნერვების დაზოგვაში დაგეხმარებათ.
2. **ყველაზე მეტად საკუთარი თავის მართვა სურს.** ნება მიეცით, აიღოს პასუხისმგებლობა, რაც შეიძლება მეტ ქმედებაზე. ნუ წაუკითხავთ გრძელ და უსარგებლო მონოლოგს კბილების წმენდის აუცილებლობაზე. უმჯობესია ჰკითხოთ: „კიდევ რა უნდა გააკეთო სკოლაში წასვლამდე?“ პასუხს ჯიუტად ნუ დაელოდებით, მოკლე ჩამონათვალი გაახსენეთ: „ყოველ დილით ვსაუზმობთ, კბილებს ვიხეხავთ, საპირფარეშოში შევდივართ და ჩანთას ვილაგებთ. ვხედავ, ჩანთა ჩაგილაგებია. არაჩვეულებრივია! კიდევ რა უნდა გააკეთო წასვლამდე?“
   თუკი ბავშვი დამოუკიდებლობასა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას გრძნობს, დაპირისპირების მიზეზიც უქრება. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ის პატარაობიდანვე სწავლობს პასუხისმგებლობას.
3. **მიეცით არჩევანი.** თუ ბრძანებებს გასცემთ, დიდი ალბათობით, შვილი აიმრიზება. თუკი არჩევანს შესთავაზებთ, საკუთარი ბედის ბატონ-პატრონად იგრძნობს თავს. ცხადია, ისეთი არჩევანი უნდა შესთავაზოთ, რომელიც ცხოვრების ხალისს არ დაგაკარგვინებთ და ძალაუფლების გადაცემის გამო საკუთარ თავზე არ გაგაბრაზებთ. თუკი მაღაზიაში წასვლა განხილვას არ ექვემდებარება, ხოლო მას თამაშის გაგრძელება სურს, კარგი არ-

ჩევანი იქნება, თუ ჰკითხავთ: „ახლა გინდა წასვლა, თუ 10 წუთის შემდეგ? კარგი, 10 წუთი და არავითარი წუწუნი! შევთანხმდით... ვიცი, როგორი ძნელია 10 წუთში მორჩე თამაშს, შემიძლია რამით დაგეხმარო?“

4. **დაუთმეთ საკუთარ სხეულზე ზრუნვის უფლება.** „მესმის, ჟაკეტის ჩაცმა არ გინდა... მგონი, დღეს ცივა და მეც მაცვია ჟაკეტი. რა თქმა უნდა, საკუთარ სხეულზე პასუხისმგებელი თავად ხარ და გადარდებს საკუთარი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, ამიტომ თავად უნდა გადაწყვიტო, ჩაიცვა თუ არა ჟაკეტი. უბრალოდ, ვშიშობ გარეთ რომ გავალთ, შეგცივდება და არ მინდა, მალევე დავბრუნდეთ სახლში. რას იტყვი, ჟაკეტი რომ ჩანთაში ჩავდოთ იმ შემთხვევისთვის, თუ გადაიფიქრებ?“

   შვილს პნევმონია არ დაემართება, თუკი თქვენ გამარჯვებულის როლით არ მოიხიბლებით, როცა ის ჟაკეტის ჩაცმას მოგთხოვთ. საკუთარი თავის პატივისცემა და ღირსება არ შეებღალება და აუცილებლად გთხოვთ ჟაკეტს, როგორც კი შესცივდება. მისთვის ძნელია წარმოიდგინოს, როგორ ცივა გარეთ, როცა სახლში ასე თბილა და ჟაკეტი სრულიად ზედმეტ და უსარგებლო ტვირთად ეჩვენება. დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში – სხეულიც ამას კარნახობს და ბუნებრივია, რომ გეწინააღმდეგებათ. ცხადია, არ გსურთ მისი თავდაჯერებულობის შერყევა, ამიტომ უნდა ასწავლოთ, რომ სულაც არ არის სამარცხვინო, თუკი ახალი ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტილებას შეიცვლის.

5. **რუტინისა და წესების გამოყენებით თავიდან აიცილეთ ძალაუფლებისთვის ბრძოლა.** ცხადია, არ ხართ ის უხეირო „მეფე“, რომელიც მხოლოდ ბრძანებებს იძლევა: „წესია, რომ საპირფარეშოში ყოველი ჭამის შემდეგ შევიდეთ“; „განრიგის მიხედვით, შუქს საღამოს 20:00 საათზე ვანთებთ, თუკი იჩქარებ წიგნის წაკითხვას დღის შუქზე მოასწრებ“; „საშინაო დავალებებს ტელევიზორის ყურებამდე ვრჩებით“.

6. **ნუ ჰკრავთ ხელს „მოწინააღმდეგის ბანაკში“.** ნებისმიერი ასაკის ადამიანი ძალადობას ეწინააღმდეგება. თუკი შეუვალი იქნებით, შესაძლოა შვილი ძალიან ადვილად აღმოჩნდეს „მოწინააღმდეგე მხარეს“ მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი სიმართლე დაიცვას. მშვენივრად შეგიძლიათ გამოიცნოთ, როდის ილახება საზღვარი და იწყება ძალაუფლებისთვის ბრძოლა. უბრალოდ შეჩერდით, ღრმად ჩაისუნთქეთ და საკუთარ თავს შეახსენეთ, რომ თქვენი ურთიერთობები შვილთან ბრძოლის მოგებას ეწირება.

   მშვიდად უთხარით: „კარგი, გადაწყვიტე, როგორც გსურს“. თუკი ის ვერ პოულობს გზას და ვერ წყვეტს, აუხსენით, რა „ულუფაზეა“ პასუხისმგებე-

ლი ან მოძებნეთ სხვა გზა, რომ ავტონომიის მოთხოვნილება საკუთარი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხარჯზე არ დაიკმაყოფილოს.

7. **განზე გადექით ძალაუფლებისთვის ბრძოლისას და შვილს ღირსების შენარჩუნების საშუალება მიეცით.** არ გჭირდებათ იმის მტკიცება, რომ მართალი ხართ. თქვენ შეგიძლიათ და უნდა დაისახოთ გონივრული მოლოდინი და უზრუნველყოთ მისი გამართლება. მაგრამ არანაირ გარემოებებში არ უნდა ეცადოთ შვილის ნებისყოფის შერყევას ან მისთვის თქვენი შეხედულებების თავს მოხვევას. უნდა გააკეთოს ის, რასაც სთხოვთ, მაგრამ დაუტოვეთ უფლება, ამის შესახებ საკუთარი აზრი და ემოციები ჰქონდეს.
8. **მოუსმინეთ.** ალბათ, გონივრული იქნებოდა, გეფიქრათ, რომ, როგორც ზრდასრულმა, შვილზე მეტი იცით. თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენი შვილის მტკიცე ნებისყოფას, ნაწილობრივ, მისივე სიმართლე და მტკიცე ზნეობრივი პრინციპები განაპირობებს. მას საკუთარი შეხედულება აქვს, და ცდილობს დაიცვას ის, რაც მნიშვნელოვნად ეჩვენება. მხოლოდ მშვიდად მოსმენითა და მისი სიტყვების გააზრებით შეძლებთ გაიგოთ, რატომ გეწინააღმდეგებათ.
   ეცადეთ მიუკერძოებელი იყოთ და განსჯის ნაცვლად გაუგოთ – „ვიცი, აბაზანაში შესვლა არ გინდა. შეგიძლია მითხრა, რატომ?“ იქნებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღმოაჩინოთ, მაგალითად, აბაზანაში მარტო ყოფნის შიში. შესაძლოა, ეს თქვენთვის არა, მაგრამ მისთვის წონიანი მიზეზი იყოს. ამას ვერასოდეს გაიგებთ, თუკი შვილთან ცხარე დაპირისპირებას აირჩევთ და აბაზანაში შესვლას უბრძანებთ.
9. **დაინახეთ მისი თვალებით.** შესაძლოა შვილი ბრაზობს იმის გამო, რომ სუპერმენის მოსასხამის გარეცხვას შეჰპირდით და დაგავიწყდათ. თქვენი აზრით, ის გაჯიუტებულია. მისი აზრით, სამართლიანად არის განაწყენებული – ფარისეველი ხართ, რადგან მას არ პატიობთ პირობის შეუსრულებლობას, თავად კი, ადვილად არღვევთ.
   როგორ უნდა გამოძვრეთ სიტუაციიდან? გულწრფელად ებოდიშებით პირობის შეუსრულებლობის გამო, არწმუნებთ, რომ ძალიან ეცდებით სიტყვის შესრულებას და ერთად რეცხავთ მოსასხამს. შეიძლება საკუთარი ტანსაცმლის გარეცხვაც კი ასწავლოთ მომავალში მსგავსი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად და რეცხვის უფლებამოსილების მისთვის გადასაცემად. ისე მოექეცით შვილს, როგორც გსურთ გექცეოდნენ თქვენ.
10. **ასწავლეთ ურთიერთობებით და არა დასჯით.** ბავშვები ვერ სწავლობენ „საომარ ვითარებაში“. როცა ადრენალინი მძლავრობს, სწავლისთვის ადგილი არ რჩება. ბავშვს სურს, საკუთარი ქცევით უფროსი გაახაროს. რაც

უფრო ხშირად გაუმართავთ ორთაბრძოლას და დასჯით, მით უფრო შეასუსტებთ მის ამ კეთილშობილურ სურვილს.

თუ განაწყენებულია, დაეხმარეთ, გამოხატოს ტკივილი, შიში ან იმედგაცრუება და დაძლიოს ეს გრძნობები. ისიც მზად იქნება მოგისმინოთ, როცა შეახსენებთ, რომ თქვენს ოჯახში ერთმანეთს თავაზიანად ეპყრობიან. (ცხადია, მაგალითი თქვენ უნდა იყოთ. შვილი ყოველთვის იმას არ გააკეთებს, რასაც ეუბნებით, თუმცა გააკეთებს იმას, რასაც თქვენ აკეთებთ.)

11. **აჩვენეთ მას პატივისცემა და თანაგანცდა.** მტკიცე ხასიათის ბავშვების უმრავლესობა პატივისცემისთვის იბრძვის. თუკი პატივისცემით მოეპყრობით საბრძოლველად მიზეზი აღარ ექნება. ნებისმიერი ჩვენგანის მსგავსად, მათთვისაც მნიშვნელოვანია გრძნობდნენ, რომ უგებენ. მაშინაც კი, თუ ფიქრობთ, რომ მისი მოსაზრება არასწორია, მაგალითად, თუ მას სუპერმენის მოსასხამით სურს ეკლესიაში წასვლა – ნაწილობრივ თანაუგრძნობთ და იმავდროულად საზღვრებს უწესებთ: „ეს მოსასხამი მოგწონს და გინდა სულ გეცვას, არა? მაგრამ, როცა ეკლესიაში მივდივართ, ჩაცმულობითაც გამოვხატავთ პატივისცემას, ამიტომ მოსასხამს იქ ვერ ჩაიცვამ. რას იტყვი, ჩანთით რომ წამოიღო და გზაში ჩაიცვა?“
12. **ფაქიზი ძაფები.** თუკი შვილი ვერ გრძნობს ფაქიზ კავშირებს, ის არც მშობლის მზრუნველობას აღიარებს. ეს განსაკუთრებით მტკიცე ხასიათის ბავშვებს ეხებათ. 21 წლის ასაკში ჩემმა გოგონამ მითხრა, ჩემი მშობელი სხვა რომ ყოფილიყო, შესაძლოა დამნაშავე გავმხდარიყავიო. არა მგონია, მართალი იყოს, თუმცა მისი მშობლობა მარტივი ნამდვილად არ იყო. ის მხოლოდ „ცივილიზებულ“ გავლენას ემორჩილებოდა, რადგან ვუყვარდი და პატივს მცემდა. ვფიქრობ, ურთიერთობა ყველაზე ეფექტური გზაა მტკიცე ხასიათის ბავშვზე ზემოქმედებისათვის.

გეჩვენებათ, რომ ეს დამთმობი მშობლის ქცევაა? ასე არ არის. თქვენ აწესებთ საზღვრებს, თუმცა ითვალისწინებთ შვილის შეხედულებას და ამით თქვენს ურთიერთობებს კიდევ უფრო ამყარებთ. უხეშობის მიზეზი უბრალოდ არ არსებობს. დალაი ლამა ამბობს: „იყავი კეთილი, როცა შესაძლებელია. ეს კი ყოველთვის შესაძლებელია“.

წყარო: https://www.ahaparenting.com/parenting-tools/positive-discipline/Parenting-Strong-Willed-Child

მედიარესურსების გამოყენება მოქალაქეობის გაკვეთილებზე

ტერმინი „მედია“ ორ საუკუნეზე მეტი ხნისაა და თავდაპირველად გაზეთების აღსანიშნავად გამოიყენეს. დღეს მედიას მრავალი განსხვავებული კონოტაცია აქვს. მაგალითად, მასმედია, ბეჭდური მედია, ვიზუალური მედია, სოციალური მედია. მიუხედავად ფორმების მრავალგვარობისა, მედიის ყველა ფორმას ერთი უნივერსალური დანიშნულება აქვს – ის კომუნიკაციის არხია.

მთლიანობაში მედია შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარმოება, საზოგადოებრივი სამსახური და აგრეთვე პოლიტიკური ინსტიტუტი. რეალურად მედიის ყველა სახეობას როდი ახასიათებს ასეთი სამმაგი ბუნება: ერთი მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიის წყალობით შესაძლებელია მამა-პაპის დროინდელი მედიის დახვეწა. გარდა ამისა, მედიაპროდუქციის ნაწილს არაფერი აქვს საერთო საზოგადოებრივ სამსახურთან, მაგალითად, სუპერმარკეტის ტაბლოიდებს; და ბოლოს, მედიის ბევრი სახეობა, მაგალითად, როგორიცაა სავაჭრო და პროფესიული მიმოხილვები, პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარ როლს არ თამაშობს. და მაინც, მოქალაქის განათლებაზე ორიენტირებული მედია არის ზოგადი ინფორმაციის შემცველი: დღეს მედიას არცერთი ზემოხსენებული მახასიათებლის იგნორირება არ შეუძლია.[2]

მედიის გამოყენება შესაძლებელია აქტიური სწავლების ხელშესაწყობად. არსებული მედიარესურსები შეიძლება გამოვიყენოთ გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა ინტერესის გასაღვიძებლად და სასწავლი მასალის შესახებ ცოდნის გასაფართოებლად. ტრადიციული – მასწავლებელზე ორიენტირებული – მიდგომისაგან განსხვავებით, როცა ცოდნა მასწავლებლიდან მოსწავლეს გადაეცემოდა პირდაპირი სწავლების გზით, მედია შუამავლის როლს ასრულებს და ცოდნის გადაცემას სახალისოსა და საინტერესოს ხდის. ტექნოლოგიური ცვლილებების თავზარდამცემი ტემპის გათვალისწინებით, მასწავლებელს მუდმივად უწევს იზრუნოს ყველაზე ეფექტური მედიაპლატფორმის შერჩევაზე, რომ უკეთ მიაწვდინოს ხმა თავის მოსწავლეებს. მას შეუძლია

2 Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6017

საკუთარი მედიაც შექმნას ცოდნის ეფექტურად გავრცელებისათვის. მედია სასარგებლო პლატფორმას გვთავაზობს სიტუაციური სავარჯიშოებით სწავლების, თანამშრომლობითი სწავლების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა და ინტერაქტიული სწავლებისთვის.

მედიარესურსს რამდენიმე მნიშვნელოვანი ღირსება აქვს:

- ფიქრის ხელშეწყობა;
- სასწავლო მიზნის მიღწევა შედარებით მოკლე დროში;
- ემოციებზე გავლენა და დამოკიდებულების შეცვლა;
- შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისა და უნარების განვითარება;
- გამჭოლი კომპეტენციის მედიაწიგნიერების ხელშეწყობა;
- სინამდვილის რეპრეზენტაცია;
- და სხვა.

გიზიარებთ იმ რესურსებს, რომელიც მოქალაქეობის გაკვეთილებზე სხვადასხვა თემის სწავლებისას შეგვიძლია გამოვიყენოთ.

ნაწყვეტი ჩარლი ჩაპლინის დიდი დიქტატორიდან. აქვე გთავაზობთ ქართული სუბტიტრების ტრანსკრიპტსაც: „მაპატიეთ, მაგრამ მე არ მინდა იმპერატორობა – ეს არაა ჩემი საქმე. არ მინდა ვინმეს ვმართავდე ან ვიპყრობდე. მინდა დავეხმარო ყველას, ვისაც შემიძლია – ებრაელს, წარმართს, ზანგს, თეთრკანიანს. ჩვენ ყველანი ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, ადამიანები ასეთები ვართ, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ერთმანეთის სიხარულით და არა უბედურებით, არ უნდა გვძულდეს და გვეზიზღებოდეს ერთმანეთი. ამ სამყაროში ყველასათვისაა ადგილი, დედამიწა მდიდარია და ყველას დაგვიტევს. ცხოვრების გზა თავისუფალი და ლამაზი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ დავკარგეთ ეს გზა. სიხარბემ მოწამლა ადამიანთა სულები, მსოფლიო სიძულვილისგან ბარიკადებით გადაიღობა. ჩვენ განვავითარეთ სისწრაფე, მაგრამ მასში ჩავიკეტეთ, მანქანებმა გზა გაგვიხსნეს სიმდიდრისკენ, ცოდნამ ცინიკურები გაგვხადა, ნიჭიერებამ კი – მკაცრი და ბოროტი. ჩვენ ვფიქრობთ ძალიან ბევრს და ვგრძნობთ ძალიან ცოტას. მანქანებზე მეტად ჩვენ ადამიანობა გვჭირდება, ნიჭიერებაზე მეტად – სიკეთე და თავაზიანობა. ამ თვისებების გარეშე ცხოვრება სასტიკი გახდება და ყველაფერს დავკარგავთ. თვითმფრინავებმა და რადიომ უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთთან. ასეთი გამოგონებები ჩვენში კარგ მხარეს აღვიძებს, გვიხმობს საყოველთაო ძმობისკენ, რათა ყველანი

გავერთიანდეთ. ამ მომენტში ჩემი ხმა მილიონობით ადამიანამდე აღწევს მთელ მსოფლიოში, მილიონობით რწმენადაკარგულ მამაკაცამდე, ქალამდე და პატარა ბავშვამდე, სისტემის მსხვერპლებამდე, და სისტემამდე, რომელიც აწამებს და აპატიმრებს უდანაშაულო ადამიანებს. ვისაც ჩემი ხმა ესმის, მივმართავ: „იმედს ნუ დაკარგავთ!“. ახლა ჩვენს თავზე უბედურება ტრიალებს, რაც იმ ადამიანთა სიხარბისა და სიმკაცრის გამოა, რომლებიც ადამიანური პროგრესის გზას უფრთხიან. ადამიანთა სიძულვილი ჩაივლის და დიქტატორები დაიხოცებიან. ის ძალაუფლება, რომელსაც ხალხისაგან იღებენ, ისევ ხალხს დაუბრუნდება და სანამ ადამიანები იარსებებენ თავისუფლება არასდროს გაქრება. ჯარისკაცებო, ნუ ჩაუგდებთ თქვენს თავებს ხელში ულმობელ ადამიანებს, მათ ვისაც ეზიზღებით, ვინც გჩაგრავთ, ვინც განაგებს თქვენს სიცოცხლეს, გეუბნებათ, რა უნდა აკეთოთ, რა იფიქროთ და რა იგრძნოთ. ვინც გწვრთნით და გკვებავთ, ვინც საქონელივით გექცევათ, გიყენებთ საზარბაზნე ხორცად. ნუ ჩავარდებით ამ შემზარავი ადამიანების ხელში, მანქანა-ადამიანების ხელში, რომელთაც მანქანის ტვინი და მანქანის გული აქვთ! თქვენ არ ხართ მანქანები! თქვენ არ ხართ საქონელი! თქვენ ადამიანები ხართ! თქვენს გულებში ადამიანთა სიყვარულია, თქვენ არ გეზიზღებათ. ზიზღი იმათ აქვთ, ვისაც არავინ უყვარს. ჯარისკაცებო, ნუ იბრძოლებთ დასამონებლად! იბრძოლეთ თავისუფლებისთვის! წმინდა ლუკას სახარების მე-17 თავში წერია, „ღმერთის სასუფეველი თვითონ თქვენშია“. არა ერთ ადამიანში, არა ადამიანთა ჯგუფში, არამედ ყველაში, თქვენში! თქვენ გაქვთ ძალაუფლება, ძალაუფლება, რომ შექმნათ მანქანები, ძალაუფლება, რომ შექმნათ ბედნიერება. თქვენ გაქვთ იმის ძალაუფლება, რომ გახადოთ ეს ცხოვრება თავისუფალი და ლამაზი, აქციოთ ის გასაოცარ თავგადასავლად! მაშ, დემოკრატიის სახელით, მოდი, გამოვიყენოთ ეს ძალაუფლება! მოდი ყველანი გავერთიანდეთ! ვიბრძოლოთ ახალი მსოფლიოსთვის, წესიერი მსოფლიოსთვის, სადაც ადამიანს ექნება საშუალება, იმუშაოს, ხოლო ხანდაზმულებს შეუქმნის უსაფრთხოებას. ამ დაპირებებით ულმობელი ადამიანები ძლევამოსილნი გახდნენ, მაგრამ ისინი ტყუიან! ისინი არ ასრულებენ თავიანთ დანაპირებს, და ამას არასდროს იზამენ! ისინი ითავისუფლებენ თავიანთ თავს, მაგრამ იმონებენ ხალხს, მოდი, ვიბრძოლოთ ამ დაპირებების ასასრულებლად! ვიბრძოლოთ, რათა გავათავისუფლოთ მსოფლიო, გადავლახოთ ეროვნული ბარიერები, მოვიშოროთ სიხარბე, სიძულვილი და შეუწყნარებლობა. მოდით ვიბრძოლოთ იმ მსოფლიოსთვის, სადაც მეცნიერება და პროგრესი მთლიანად ადა-

მიანთა ბედნიერებისკენაა მიმართული. ჯარისკაცებო! დემოკრატიის სახელით, გავერთიანდეთ ყველანი!“

გრძელი კოვზების ალეგორია – შიმშილისა და გაზიარების შესახებ უძველეს ამბავზე აგებული ეს ანიმაცია „კარიტასის“ კამპანიის „ადამიანთა ერთი ოჯახი, საკვები ყველასათვის“ ნაწილია. ის გვასწავლის, რომ თუკი მხოლოდ საკუთარი თავის სიმაძღრეზე ვიფიქრებთ, ყველა მშიერი რჩება, მაგრამ თუკი, მეზობლის შიმშილიც შეგვაწუხებს, აუცილებლად ვიპოვით ყველას დაპურების გზებს. ეს ანიმაცია ერთმანეთის დახმარებას, სოლიდარობას და მონაწილეობას გვასწავლის.

ამავე თემაზეა კრისტოფ და ვოლფგანგ ლაუენშტაინების მიერ 1989 წელს გადაღებული ანიმაცია წონასწორობა. 8 წუთის განმავლობაში მაყურებელი სუნთქვაშეკრული იმედით ელოდება, რომ გმირებს ეყოფათ გონიერება და სიკეთე, რომ ერთმანეთს გაუზიარონ სიახლის სიხარული და არ დაარღვიონ პირობითი სივრცის ფაქიზი წონასწორობა.

1983 წელს გარი ბარდინის ანიმაცია „კონფლიქტი“, ხოლო 2008 წელს ივან რამადანის მიერ შექმნილი „ტოლერანტია“ გვიჩვენებს, როგორ ერთი ხელის მოსმით შეგვიძლია ადამიანებს, გავანადგუროთ ის, რასაც წლობით ვქმნიდით. როგორ გვეადვილება დაპირისპირებისთვის მიზეზების მოძებნა. და როგორ ადვილად შეგვიძლია აზრი დავუკარგოთ სიცოცხლეს.

ამავე თემის გაგრძელებაა ბრუნო ბოზეტოს ანიმაცია „კალიები“ და საუკეთესო თვალსაჩინოება ბერნარდ შოუს სიტყვებისთვის: „ისტორიიდან მხოლოდ იმის სწავლა შეიძლება, რომ ხალხს ისტორიიდან არაფერი უსწავლია“. ანიმაციის, ისევე როგორც ციტატის გამოყენება მასწავლებელს ისტორიისა და მოქალაქეობის ინტეგრირებული გაკვეთილისთვის შეიძლება გამოადგეს.

ბრუნო ბოზეტოს ანიმაციაში – „ცხოვრება თუნუქის ქილაში“ – ცხოვრების მთელი ციკლი 6 წუთშია მოქცეული და გვახსენებს, რა ადვილია ყოველდღიურობამ ფერი და ნამდვილი აზრი წაართვას ცხოვრებას. (ჩემი აზრით, ბრუნო ბოზეტოს ნებისმიერი ანიმაცია არაჩვეულებრივი რესურსია მოქალაქეობის მასწავლებლისთვის).

დაბოლოს, ორი ანიმაცია ურთიერთობის სიფაქიზის და განწყობის მნიშვნელობის შესახებ: ეფექტური კომუნიკაციის გზამკვლევი გვიჩვენებს, რომ სწორ დროსა და ადგილზე სწორად ნათქვამი სიტყვებით „შეჭმასაც“ კი შეიძლება გადაურჩე, ხოლო ბრუნო ბოზეტოს „ცეკვა“ – თვით სიკვდილსაც კი სხვა თვალით დაგვანახებს.

განათლება, თანმიმდევრულობა და ისევ ის დარდი...

სიტყვა „თანმიმდევრული“ ოქსფორდის ონლაინ ლექსიკონში ასეა განმარტებული: დროთა განმავლობაში ერთგვარად მოქმედება ან კეთება, განსაკუთრებით – სამართლიანობისა და სიზუსტის თვალსაზრისით; დროთა განმავლობაში უცვლელი ბუნება, სტანდარტი ან ეფექტი; ის, რაც არ შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობებს.

მრავალი ექსპერიმენტი მოწმობს არათანმიმდევრულობის დამღუპველ შედეგებს ცხოველთა ქცევის შეცვლის მიზნით ჯილდოსა და სასჯელის გამოყენების დროს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფსიქოლოგ ნორმან მაიერის კლასიკური ექსპერიმენტი. მაიერი აჯილდოებდა ვირთხას, თუ ის პლატფორმიდან იმ კარისკენ გადახტებოდა, რომელზეც ოთხკუთხედი ეხატა. კარი იღებოდა და ვირთხა მის უკან მოთავსებულ საჭმელს იღებდა ჯილდოდ. თუ ვირთხა პლატფორმიდან იმ კარისკენ გადახტებოდა, რომელზეც სამკუთხედი ეხატა, მაიერი სჯიდა ცხოველს – კარი არ იღებოდა, ვირთხა მას ცხვირით ეჯახებოდა და შემდეგ საკმაოდ დიდი სიმაღლიდან ბადეზე ეცემოდა. ამგვარად, ვირთხა „სწავლობდა“ ოთხკუთხედისა და სამკუთხედის გარჩევას – ეს იყო მარტივი ექსპერიმენტი პირობითი რეფლექსის ჩამოყალიბებაზე.

შემდეგ მაიერმა გადაწყვიტა, „არათანმიმდევრული“ ყოფილიყო ჯილდოსა და სასჯელის გამოყენებისას. ის გამიზნულად ცვლიდა პირობებს ნახატის შემთხვევითი (უსისტემო) შერჩევის გზით. ზოგჯერ ოთხკუთხედი იმ კარზე ეხატა, რომლის უკანაც საკვები იდო, ზოგჯერ კი იმაზე, რომელიც არ იღებოდა.

რა მოუვიდათ ვირთხებს? ისინი „ნევროზულები“ გახდნენ; ზოგიერთს კანის დაავადება გაუჩნდა, ზოგი კატატონიურ მდგომარეობაში ჩავარდა, ზოგი უგონოდ და უმისამართოდ დარბოდა გალიაში, ზოგი სხვა ვირთხებს გაურბოდა, ზოგი აღარ ჭამდა. მაიერმა არათანმიმდევრულობით ვირთხებში „ექსპერიმენტული ნევროზი“ გამოიწვია.

ჯილდოსა და სასჯელის გამოყენებისას არათანმიმდევრულობის შედეგები შესაძლოა ასეთივე დამღუპველი აღმოჩნდეს ადამიანისთვისაც. არათანმიმ-

დევრულობა არ გვაძლევს „სწორი“ (დასაჯილდოებელი) ქცევის დასწავლისა და „არასასურველი“ (დასასჯელი) ქცევის თავიდან აცილების შესაძლებლობას. ჩვენ ვერ ვხედავთ გამარჯვების გზას. შედეგად იმედი გვიცრუვდება, ვიბნევით, ვბრაზობთ და ნევროზულები ვხდებით.[3]

მცირე ხნის წინ სტატია ვნახე ფინურ განათლების სისტემაში რევოლუციური რეფორმის შესახებ, ჰოდა, კიდევ ერთხელ დამწყდა გული...

არ ვიცი, შესწავლილია თუ არა, რა შედეგები მოჰყვება არათანმიმდევრულობას ისეთ სფეროში, როგორიც განათლებაა. ვფიქრობ, სახარბიელო არაფერი. ახსნა ადვილია: თუ ეკონომიკური კუთხით შევხედავთ, განათლება წარმოების პროცესად შეიძლება განვიხილოთ, რომლის შედეგი/პროდუქტი – განათლებული ადამიანი – სხვა პროდუქტივით სწრაფად ვერ იქმნება. თუ ნებისმიერი უახლესი და ურთულესი მოდელის ტექნიკაც კი რამდენიმე საათში შეიძლება ააწყო, განათლებული ადამიანის „წარმოებას“ წლები სჭირდება. აქ საქმე თაობათა ღირებულებების, პრინციპების, ცხოვრების წესის ჩამოყალიბებასთან, ერთი სიტყვით, გაადამიანებასთან გვაქვს და გაუაზრებელი, ნაჩქარევი ცვლილებები სარისკოა როგორც წარმოებაში ჩართული ადამიანებისთვის, ისე პროდუქტის მომხმარებელთათვის. არადა, ბოლო რამდენიმე ათწლეულია, სულ ასეთ ცვლილებებში ვართ.

ცოდვა გამხელილი სჯობს – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლის მიერ კრედიტების დაგროვების წესის ბოლო ვერსია არ წამიკითხავს. ვიფიქრე, რამდენიმე დღეში, კვირაში ან თვეში განახლებულის წაკითხვა მომიწევს და ბარემ დაველოდები-მეთქი. ცხადია, ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი ისიც იყო, რომ ეს ყველაფერი პირდაპირ არ მეხება – სკოლაში არ ვმუშაობ. წარმოვიდგინე, რომ მემუშავა...

მივხვდი, თავს საშინლად ვიგრძნობდი, თუ:

მეცოდინებოდა, რომ ჩემი როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტის მწარმოებლის აზრი არავის აინტერესებს;

ხელისუფლების ცვლა პირდაპირ კავშირში იქნებოდა ჩემი სამუშაოს „რა“ და „როგორ“ კითხვებზე პასუხის ძირფესვიან ცვლასთან;

ხელისუფლებას მხოლოდ არჩევნების მოახლოებისას მოვაგონდებოდი;

წლების განმავლობაში, ცუდი პროდუქტის მწარმოებელს, სამსახურიდან „ნუ იქნება ოღონდ ბუნტი“-ს შიშის გამო არ გამიშვებდნენ;

3 გორდონი თ. (2014). როგორ გავხდე კარგი მშობელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, გვ. 196. თბილისი.

ჩემს შვილს არასოდეს მოუნდებოდა ჩემი გზის გაგრძელება;

ხმის ჩახლეჩამდე საათების აღება დამჭირდებოდა, რომ ჩემს ხელფასს ხელფასი რქმეოდა;

ხმაჩახლეჩილი და არაქათგამოლეული „ისე რა“ გაკვეთილებს ჩავატარებდი და მუდმივი დარდის მიზეზად მოსწავლეთა ჩამქრალი თვალები მექნებოდა;

ხმაჩახლეჩილს და არაქათგამოლეულს, არათუ პროფესიული, მხატვრული ლიტერატურის წაკითხვაც აღარ შემეძლებოდა/მომინდებოდა;

ნამდვილი პროფესიული დიალოგის ნაცვლად სფეროს ხელმძღვანელებთან შეხვედრები პოპულისტური გულის ფხანა იქნებოდა;

ამ ჩაკეტილი წრიდან სინათლის მბჟუტავი სხივიც არ გამოჩნდებოდა...

კრიტიკული ინციდენტი

სანამ ლომებს საკუთარი ისტორიკოსები არ ჰყავთ, მონადირეობის შესახებ ზღაპრებში მუდამ მონადირე იქნება განდიდებული.

აფრიკული ანდაზა

ტერმინი „კრიტიკული ინციდენტი“ ისეთ ურთიერთობას აღნიშნავს, რომელსაც მონაწილეები (ან ერთი მათგანი) პრობლემურად, დამაბნევლად, სახალისოდაც კი მიიჩნევენ. ეს ისეთი სიტუაციებია, რომელიც უნდა დავიხსომოთ და გავითვალისწინოთ. ჩვეულებრივ, კრიტიკული ინციდენტი კულტურათა ურთიერთქმედებას ასახავს – სიტუაციებს, რომელშიც მოულოდნელი ქცევა ჩნდება.

არ არის აუცილებელი, კრიტიკული ინციდენტი დრამატული მოვლენა იყოს: ჩვეულებრივ, ის კომუნიკაციაში მონაწილეთათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა. მოვლენაა, რომელმაც შეჩერება და დაფიქრება გვაიძულა, კითხვები გაგვიჩინა. შესაძლოა მან ეჭვქვეშ დააყენა ჩვენი შეხედულებები, ფასეულობები, დამოკიდებულებები ან ქცევა. მნიშვნელოვნად იმოქმედა პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე.

კრიტიკული ინციდენტის, როგორც სწავლების ინსტრუმენტის მიზანია, განუვითაროს ადამიანს სხვა კულტურის პერსპექტივიდან კონკრეტული ურთიერთობის დანახვის უნარი (Salo-Lee & Winter-Tarvainen 1995).

კრიტიკული სიტუაციის შესახებ ფიქრისა და ანალიზის შესაძლებლობა ხელს უწყობს კროსკულტურულ ცნობიერებას და სწავლება–სწავლას. ამ თვალსაზრისით კრიტიკული ინციდენტი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ კულტურით განპირობებულ განსხვავებათა და მოსალოდნელ გაუგებრობათა გამოსავლენად.

გარკვეულწილად, ნებისმიერი კომუნიკაცია ინტერკულტურულია, რადგან ყველას ჩვენ–ჩვენი ისტორია, ამბები „დაგვაქვს“, რომელიც ჩვენთან არის ნებისმიერი ურთიერთობისას. არასწორი ინტერპრეტაცია და გაუგებ-

რობა არცთუ იშვიათია კულტურათშორისი კომუნიკაციისას (Salo-Lee & Winter-Tarvainen 1995).

ქვემოთ მოცემული ზოგიერთი ინციდენტი უფრო სპეციფიკურია კულტურის თვალსაზრისით, ზოგი – უფრო ზოგადი. ჩვენი მიზანია, ვისწავლოთ ამ ინციდენტების გაანალიზება და ფიქრი სხვადასხვა კულტურისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის პერსპექტივით. სიტუაციებზე მსჯელობისას ნებისმიერი მოსაზრება მისაღებია.

1. სალომემ გრამატიკაში ტესტი დააწერინა მოსწავლეებს. ტესტირების დროს შენიშნა, რომ ერთ-ერთი მათგანი პასუხებს მეორისაგან იწერდა. მასწავლებელმა სთხოვა, დარჩენილი ნაწილი საკუთარი ძალებით დაესრულებინა. მოსწავლემ გადაწერა გააგრძელა. სალომემ ნამუშევარი აიღო და ყველას დასანახად ნაგვის ურნაში ჩააგდო. ამით სხვა მოსწავლეებს აჩვენა, რომ პასუხები არ ასახავდა რეალურ ცოდნას და აზრი არ ჰქონდა ტესტირების გაგრძელებას, თუკი მოსწავლე გადაწერას გააგრძელებდა. მოსწავლე ძალიან განაწყენდა და სასწავლო ნაწილთან გადაწყვიტა ჩივილი.
2. ჩემს მეგობარს თავისი კლასი მოსწონს, მაგრამ თვლის, რომ მასწავლებელი ძალზე ცივია. მეუბნება, რომ გრამატიკას კარგად ასწავლის, მაგრამ არასოდეს ეკითხება მოსწავლეებს ოჯახის შესახებ და არც საკუთარ ოჯახზე საუბრობს.
3. სოფო ხალისით ემსახურება საყვარელ პროფესიას ერთ-ერთ სკოლაში. ყოველ ახალ ჯგუფს ის უხსნის კლასში და სკოლაში ქცევის წესებს, რომელთა შორისაა დაგვიანების შესახებ წესი. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ერთ–ერთმა მოსწავლემ დაგვიანებით დაიწყო სკოლაში მისვლა. სოფოს მოვლენებისადმი მსუბუქი მიდგომა ახასიათებს და ერთ-ერთი დაგვიანებისას მოსწავლეს „საღამო მშვიდობისაო“ -ასე მიესალმა. ყველამ გაიცინა. ადრე ასე სხვა ჯგუფთანაც მოიქცა. მოსწავლემ ყურადღება არ მიაქცია და თავისი ადგილისაკენ გაემართა. გაწბილებულმა მასწავლებელმა დაგვიანების მიზეზი ჰკითხა. „ასე არ დამელაპარაკოთ“, დაუყვირა მოსწავლემ. სოფომ უთხრა, რომ დაგვიანებისთვის ბოდიში უნდა მოეხადა. მიუხედავად იმისა, რომ თვლიდა, მოსწავლეს პირველს უნდა მოეხადა ბოდიში, მოგვიანებით სოფომ თავად მოიხადა ბოდიში. მოსწავლემაც მოუბოდიშა, თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ კლასში საერთოდ აღარ გამოჩენილა.
4. ლევანი საღამოობით TOEFL-ს (ინგლისურის, როგორც უცხო ენის ტესტი) ასწავლის მოსწავლეებს. ერთ-ერთი შეხვედრისას ორ მოსწავლეს შორის უსი-

ამოვნება მოხდა: ერთს მოსმენის სავარჯიშოების გაკეთება სურდა, მეორეს – გრამატიკის. მეორე დღეს ერთ-ერთი მათგანი ლევანთან მივიდა და უთხრა, რომ, მისი აზრით, გრამატიკული სავარჯიშოები საკმარისად გააკეთეს და ახლა კარგი იქნებოდა მოსმენაზე კონცენტრაცია. არწმუნებდა, რომ სრულიადაც არ უფიქრია მასწავლებლისთვის ჭკუის სწავლება. ერთი კვირის შემდეგ ამავე მოსწავლემ ლევანს სთხოვა, სახლში მესტუმრეთ, რაღაც მინდა გაჩვენოთო. ლევანი არ წავიდა. მოგვიანებით მოსწავლისაგან ელფოსტით წერილი მიიღო, მადლობას უხდიდა სწავლებისთვის და შეხედულებებისთვის. ლევანმა თავი ძალზე უხერხულად იგრძნო, მან გააზრებულად სცადა, თავიდან აეცილებინა კლასის გარეთ მოსწავლესთან ურთიერთობა.

5. ჯეკი 10 წელია ასწავლის ინგლისურს ჩინეთსა და იაპონიაში. კანადაში დაბრუნებულს მულტიკულტურული ჯგუფი შეხვდა, რაც სასიამოვნო გამოწვევა იყო – მრავალფეროვანი მოსწავლეების სასწავლო საჭიროებები უნდა განესაზღვრა. ყველაზე მეტად ერთ–ერთ მოსწავლესთან გაუჭირდა საერთო ენის გამონახვა, რომელიც მუდამ მოღუშული და კრიტიკული იყო. 45 წლისას საკუთარ ქვეყანაში დოქტორის ხარისხი ჰქონდა მიღებული, არასოდეს იღიმოდა და თითქოს ყოველ ჯერზე სცდიდა ჯეკს გრამატიკისა და ლექსიკის სწავლებისას. ჯეკი ხვდებოდა, რომ მოსწავლე ხალისობდა საკუთარი საქციელით. ერთ დღეს ჯეკმა უთხრა მოსწავლეს, რომ თუკი უკმაყოფილო იყო, შეეძლო სხვა ჯგუფში გადასულიყო. მოსწავლე სხვა კლასში არ გადავიდა, თუმცა ამ ამბის შემდეგ უფრო კმაყოფილი ჩანდა.
6. ერთი მოსწავლე მყავს, რომელიც მუდამ იგვიანებს. თუმცა, მხოლოდ ეს არ არის პრობლემა. როცა რამეს ვეკითხები, ის საუბარს იწყებს და ვეღარ ჩერდება, დანარჩენები მოთმინებით ელოდებიან. მინდა ვუთხრა ხოლმე, რომ კითხვის არსს დაუბრუნდეს. საბოლოოდ ვაწყვეტინებ, რადგან ის დროის შეგრძნებას კარგავს. ვუთხარი, რომ მზად ვარ შესვენებაზე მოვუსმინო მის მოსაზრებას. მას არ ესმის დროის კონცეფცია. ჩვენ მკაცრი გრაფიკი გვაქვს და ყველაფერი დროულად უნდა გაკეთდეს, ყველაფერს განსაზღვრული დრო სჭირდება.
7. შესვენებისას დერეფანში ორი მოსწავლე საუბრობდა. როცა შესვენება დასრულდა, ჯენეტმა კლასში შესვლა სთხოვა. მოსწავლეებმა საუბარი გააგრძელეს. როცა ჯენეტმა ისევ სთხოვა კლასში შესულიყვნენ, ერთ–ერთმა მათგანმა ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, „რა უხეში ხართ! როგორ მთხოვთ კლასში შესვლას შუა საუბრისას“. ჯენეტმა თავი უხერხულად იგრძნო.

8. ჯორჯი მაცოფებს: როგორც კი დავალების ჩაბარების დრო დგება, საცოდავ ტყუილებს იგონებს და ბოდიშობს. ვბრაზობ, რადგან ვგრძნობ, რომ არც საქმეს და არც ვადებს სერიოზულად არ უდგება. მორიგი დავალება ზედმიწევნით ავხსენი, ვადა დაფაზეც დავწერე და როცა ისევ თავის მოკატუნება დაიწყო, ლამის გავგიჟდი. უფრო იმიტომ, რომ მეორე მოსწავლესაც არ ჰქონდა დავალება შესრულებული. მან მომიბოდიშა და მითხრა, რომ იმავე დღეს მოგვიანებით გამომიგზავნიდა. იმავე დღეს კი არა, რამდენიმე დღეში გამომიგზავნა, მაგრამ რაკი მომიბოდიშა, დავალება მივიღე და არც გავბრაზებულვარ.
9. ახალგაზრდა ქალი კანადაში ჩავიდა ახალი ცხოვრების დასაწყებად. იქ უფრო ციოდა, ვიდრე თავის ქვეყანაში, მაგრამ საკუთარი ჩაცმულობა მოსწონდა და არ უფიქრია შემოტმასნილი ქვედაბოლოსა და მოკლე ბლუზონის გამოცვლა. რამდენიმე დღეში გარშემომყოფთა დაჟინებული მზერა იგრძნო. იფიქრა, ხვდებიან, უცხოელი რომ ვარ და იმიტომ მიცქერენო. შემდეგ ვიღაცამ უთხრა, რომ ასე მხოლოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს აცვიათო. ქალმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და გაბრაზდა.
10. როცა სასაფლაოს ჩაუარა, კაცმა რაღაც უცნაური შენიშნა. იქნებ თვალები მატყუებსო და უფრო ახლოს მივიდა. საფლავის ქვაზე ორი ადამიანის სახელი შენიშნა. ერთზე ორივე თარიღი იყო აღნიშნული, ხოლო მეორეზე მხოლოდ დაბადების. ის თვალებს არ უჯერებდა.
11. ორი საშუალო ასაკის ქალბატონი ქუჩაში ხელიხელჩაკიდებული მოსეირნობდა. უცებ მანქანამ ჩაუქროლა და თავგამოყოფილმა მგზავრმა მიაძახა „ლესბოსელებოო“. ქალბატონებს ძალიან ეწყინათ, ალბათ, ასე ფიქრობს ყველაო და ერთმანეთს ხელები გაუშვეს.
12. დათომ განაცხადა, რომ ამდენი მარტოხელა ქალის არსებობას მათი სიზარმაცე განაპირობებს, რითაც ძალიან გააკვირვა და შეურაცხყოფილად აგრძნობინა თავი მაიას.
13. ირენმა და მისმა ქმარმა საქართველოში ჩამოსული წყვილის დაპატიჟება გადაწყვიტეს. როცა წყვილი მოვიდა, ოთახში უკვე სამი სხვა წყვილი იყო სტუმრად. მამაკაცმა ყველა მამაკაცს ჩამოართვა ხელი, ქალები კი უყურადღებოდ დატოვა. ირენმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.
14. მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ექვსი წლის წინ ვიყავი აშშ-ში. ვცხოვრობდი ამერიკულ ოჯახში. ზოგადად, დღეში რამდენიმე საათს საკუთარ თავს ვუთმობ, შევდივარ ჩემს ოთახში, ვასრულებ საშინაო

დავალებას ან ვწერ წერილს, ვისვენებ და ვუსმენ მუსიკას. ასე მოვიქეცი ამერიკაშიც. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ეს ჩვევა მასპინძელ ოჯახს სირთულეს შეუქმნიდა. ერთ დღეს ოჯახის დიასახლისი შემოვიდა ჩემთან და მკითხა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. მათი აზრით, მე იმიტომ ვიქცეოდი ასე, რომ მოწყენილი ვიყავი ან სახლი მენატრებოდა. გავოცდი – სინამდვილეში, ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია.

15. ერთად ცხოვრების მეორე დღეს ჩემმა მეგობარმა ჩაიცვა ქურთუკი და წასასვლელად მოემზადა. მინდოდა გამეგო, სად მიდიოდა და ვკითხე კიდეც. მიპასუხა, რომ მეგობარ ბიჭთან ერთად აპირებდა კინოში წასვლას, რადგან დღეს მისი დაბადების დღე იყო. მინდოდა მისთვის დაბადების დღე მიმელოცა, ამიტომ მისკენ გავეშურე და როგორც ჩემს ქვეყანაში იციან, ლოყაზე კოცნა დავუპირე. ვფიქრობ, ძალიან შევაშინე ჩემი საქციელით. მან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და შეშინებული თვალებით შემომხედა. მივხვდი, რომ რაღაც ისე არ გავაკეთე. მეც უკან დავიხიე და კოცნის ნაცვლად ხელი ჩამოვართვი.
16. სამ მარტს სტუდენტი მეცადინეობაზე მოვიდა და მთხოვა ავადმყოფობის გამო გადამევადებინა მისთვის ესეს ჩაბარების თარიღი (სახეზე და ხმაზე ეტყობოდა, რომ მართლაც ავად იყო). შევთანხმდით, რომ ესეს მომდევნო ხუთშაბათს მოიტანდა. თუმცა, მან ვერ მოახერხა ლექციაზე მოსვლა და არც შემეხმიანა. როცა შევეკითხე, თუ რატომ არ მოიტანა ესე, მიპასუხა რომ აუცილებლად მოიტანდა მომავალ კვირას. თან დაამატა, რომ თავს ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა კარგად. გამიკვირდა, რომ სტუდენტმა, რომელიც სისტემატურად ესწრებოდა მეცადინეობებს, დროულად ვერ ჩააბარა ნამუშევარი და თან ასეთი ქცევის კონკრეტული მიზეზიც ვერ დაასახელა. მისი განმარტების პასუხად ავუხსენი, თუ რაოდენ გამაღიზიანებელი იყო სტუდენტის მსგავსი საქციელი პედაგოგისთვის. როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ უნივერსიტეტი ყოველ გაცდენილ დღეზე ესეში ნიშანს აკლებდა სტუდენტს. მას იმდენი დაგვიანება ჰქონდა, რომ ექიმის ცნობაც ვეღარ უშველიდა.
17. ერთ-ერთ პედაგოგთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ნიჭიერმა სტუდენტმა, სწავლას მოუკლო. ამის მიზეზი ზარმაც „ახალგაზრდებთან“ მეგობრობა იყო. პედაგოგი ფიქრობდა, რომ აზრი არ ჰქონდა მასთან საუბარს. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ თუ კათედრას არ აინტერესებდა ამ სტუდენტის ბედი, მაშინ მე უნდა დავინტერესებულიყავი. გადავწ-

ყვიტე დავლაპარაკებოდი, თან მისი პედაგოგიც ვიყავი, პრაქტიკულ კურსს ვასწავლიდი. არ ვიცოდი საუბარი როგორ დამეწყო, არ მინდოდა უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი.

18. სემინარს 16 სტუდენტი დაესწრო. ორ მათგანს მომზადებული ჰქონდა პრეზენტაცია. შევეცადე, კითხვების დასმით მთელი ჯგუფი ჩამერთო დისკუსიაში. ჩემს პირველ შეკითხვას სტუდენტებმა სიჩუმით უპასუხეს. იგივე კითხვა ახლა სხვა სიტყვების გამოყენებით კვლავ დავსვი. მოკლე პასუხი მივიღე. ჯგუფის სხვა წევრების ჩაბმა ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. მეორე და მესამე კითხვებზე სტუდენტებმა სიჩუმით მიპასუხეს. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ოთხ სტუდენტს, მათ შორის პრეზენტატორებს, წაეკითხათ მასალა. სტუდენტებს შევახსენე სემინარის მიზანი და, აგრეთვე, მათი პასუხისმგებლობა. თან დავამატე, რომ აზრი არ ჰქონდა სესიის გაგრძელებას. ბოდიში მოვუხადე პრეზენტატორებს და მათ, ვინც მოამზადა წასაკითხი მასალა და კლასს ვთხოვე დაეტოვებინა აუდიტორია.

დაბოლოს, კრიტიკული ინციდენტის გამოყენებისას, სასარგებლოა ქვემოთ მოცემული ჩარჩო, რომელიც ინტერდისციპლინურ სწავლებას შეუწყობს ხელს.

1. **ინციდენტის მნიშვნელობა**
   - რა მოხდა, სად, როდის, ვინ მონაწილეობდა?
   - რა როლს ასრულებდით ინციდენტში?
   - რა გარემოში მოხდა ინციდენტი?
   - იმ მომენტში რა გსურდათ?
2. **პირველი რეაქცია ინციდენტის შესახებ**
   - როგორი იყო თქვენი გრძნობები და ფიქრები ინციდენტის მსვლელობისას?
   - როგორი პასუხები გასცეს ძირითად შეკითხვებზე? თუკი პასუხები არ მოგისმენიათ, თქვენი აზრით, როგორი პასუხები შეიძლებოდა ყოფილიყო?
3. **რა საკითხებს და დილემას გაესვა ხაზი ამ ინციდენტით**
   - მოინიშნეთ ნებისმიერი დილემა, რომელიც ამ კონკრეტულ ინციდენტს ეხება.
   - მოინიშნეთ ინციდენტში მოცემული ნებისმიერი ღირებულება და ეთიკური პრობლემა.
   - რამ გაგაკვირვათ ან რა მოხდა ისეთი, რასაც არ ელოდით?

4. შედეგი

- როგორი იყო ინციდენტის შედეგი თითოეული მონაწილისთვის?
- გამოიწვია თუ არა (ან შეიძლება თუ არა გამოიწვიოს) ამ ინციდენტმა ცვლილებები? როგორ გრძნობთ ან იგრძნობთ თავს ამ ცვლილებების შემთხვევაში?
- რას ფიქრობთ და გრძნობთ ამ ინციდენტის შესახებ?

5. სწავლა

- რა ისწავლეთ საკუთარი თავის შესახებ?
- ამ ინციდენტის შედეგად რა დაისახეთ მიზნად მომავალში?
- როგორ შეიძლება მიაღწიოთ მიზანს?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.jyu.fi/viesti/verkkotuotanto/kp/ci/ci_one.shtml
2. http://www.tolerance.org/magazine/number-48-fall-2014/feature/excerpt-case-studies-diversity-social-justice-education

სიტუაციური სავარჯიშოები ინტერკულტურული განათლებისთვის

„სოციალური ცვლილება შეუქცევადია. ადამიანს, რომელმაც კითხვა ისწავლა, ამ უნარს ვეღარ წაართმევთ. ვერ დაამცირებთ ადამიანს, რომელიც სიამაყეს გრძნობს. ვერ დათრგუნავთ ადამიანს, რომელსაც აღარ ეშინია“.

ცეზარ ჩავესი

მასწავლებლის ცოდნა ვითარდება და თვითსწავლის პროცესში ცალკეული მასწავლებლების აქტიური ჩართულობით სრულყოფილი ხდება. (Lau, Yu & Chan, 2008)

ხელოვნების მასწავლებელი

ჩემი ვიზიტი 20 მოსწავლისაგან შემდგარი პროგრამის ფარგლებში რუტინული იყო. როგორც სკოლის მონიტორინგის სამსახურის წევრი, რეგულარულად ვაფასებდი პროგრესს ქალაქის სკოლებში. ქალაქის ღარიბულ გარეუბანში მდებარე ეს სკოლა უკანასკნელი იმედი იყო იმ უფროსკლასელებისთვის, რომლებიც სკოლიდან გარიცხვის მუდმივი რისკის ქვეშ იყვნენ. ჰყავდათ ქალი და მამაკაცი მასწავლებლები, მათ შორის აფროამერიკელი – ჯამალი და ლათინოამერიკელი – მარია. ისინი მთელი მონდომებით ცდილობდნენ გამოემზეურებინათ მოსწავლეთა მიღწევები, თუმცა ძალზე მოკრძალებულად საუბრობდნენ პროგრამის წარმატებისთვის გაწეულ საკუთარ დაუღალავ შრომაზე.

სკოლის შემოვლისას შევნიშნე მოსწავლეების მიერ ხელით შეკერილი, მაკრამესა და სხვა ნამუშევრების სიუხვე. როცა მასწავლებლებს ვკითხე, მითხრეს, რომ სწავლის მკაცრი რეჟიმის დასაბალანსებლად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, მოსწავლეთათვის შეეთავაზებინათ შემოქმედებითი გამოცდილება. ვიცოდი, რომ სკოლას ბიუჯეტის მუდმივი დეფიციტი ჰქონდა, ამიტომ და-

ვინტერესდი, როგორ შეძლეს ამ პირობებში მასწავლებლის მოწვევა. პასუხად მივიღე, რომ „ძალიან გაუმართლათ“. ეჭვიანი ბუნების გამო კიდევ რამდენიმე კითხვა დავუსვი იმის შესახებ, თუ როგორ მოიძიეს ხელფასისთვის თანხა და როგორ მიიღეს თანხმობა დამატებითი მასწავლებლის მოწვევის შესახებ. ისევ მიკიბ-მოკიბული, მოკრძალებული პასუხი მივიღე. სიმართლე ჩემი ვიზიტის შემდეგ მალევე გამოვარკვიე.

ხელფასის დღეს ჯამალი და მარია საკუთარი ხელფასიდან ფულის ნაწილს კონვერტში დებდნენ და საიდუმლოდ უხდიდნენ პენსიაზე გასულ ქალბატონს. ის კვირაში ორჯერ მოდიოდა სკოლაში და მოსწავლეებს ასწავლიდა, როგორ გამოეყენებინათ საკუთარი შემოქმედებითი ენერგია. მოსწავლეები მას „ბებიას“ უწოდებდნენ და ხელისგულზე ატარებდნენ. თემში ყველამ იცოდა ეს ამბავი და იწონებდნენ.

1. რას ფიქრობთ ამ ორი მასწავლებლის ქმედებაზე?
2. რა გავლენა ექნება მათი და ხანდაზმული ქალბატონის ქმედებას მოსწავლეთა განათლებაზე?
3. ამ ამბის საფუძველზე რის თქმა შეიძლება ქვეყნის განათლების მდგომარეობის შესახებ?
4. საკუთარი გამოცდილების მიხედვით ახსენით, რა სირთულეების წინაშე არიან თანამედროვე მასწავლებლები. დაახარისხეთ ეს სირთულეები. ახსენით რანჟირების თქვენეული წესი.
5. ისაუბრეთ მიზეზებსა და გადაჭრის გზებზე?

როგორ უნდა მოიქცეს?

კახა 45 წლის ყოფილი პროგრამისტია და სწავლობს, რომ მასწავლებელი გახდეს. სამუშაო ცხოვრების 20 წლის განმავლობაში ის სიამოვნებას იღებდა მაღალი ტექნოლოგიების კომპანიაში მუშაობის სწრაფი ტემპით. მოუთმენლად ელოდება, რომ ამავე სიამოვნებას მიიღებს კლასის წინაშე მასწავლებლის მაგიდასთან მჯდომიც.

მასწავლებლობის პირველი პრაქტიკა პატარა საუნივერსიტეტო ქალაქში მოუწია, რომელიც განსხვავდებოდა ლურჯსაყელოიანთა იმ საზოგადოებისაგან, სადაც თავად გაიზარდა. ვის არ შეხვდებოდით აქ – უნივერსიტეტის პროფესორთა, მაღაზიის მეპატრონეთა თუ საწარმოს მუშების შვილებს. ბევ-

რი იყო ემიგრანტი მოსწავლე. სკოლაში რამდენიმე ენაზე საუბრობდნენ. მისი ბავშვობის სკოლა სრულიად სხვაგვარი იყო – მხოლოდ ქართველი და ღირსეული ოჯახების შვილები სწავლობდნენ, რომლებიც იმ ქალაქის მკვიდრნი იყვნენ რამდენიმე თაობის განმავლობაში.

ახალი ნაბიჯების გამო დაძაბულმა პირველ დღეს რამდენიმე გასაცნობი აქტივობა შესთავაზა მოსწავლეებს, რომლებიც ხალისით აჰყვნენ. ის მოუთმენლად ელოდა ნამდვილი სწავლების დაწყებას საკუთარი ბავშვობის მოგონებებით ფრთაშესხმული – როგორ წყნარად ისხდებოდნენ მერხებთან და მთელი ყურადღებით მოუსმენდნენ მასწავლებელს მათემატიკის უცნაურობების შესახებ.

მეორე დღე განსხვავებული იყო. კლასი სულ უფრო და უფრო მოუსვენრად იყო მისი შესავალი ლექციის დროს. ისინი არც წყნარად ისხდნენ და არც უსმენდნენ მის საუბარს. უარს ამბობდნენ კითხვებზე პასუხის გაცემაზე. კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა, როცა მან სახელმძღვანელოდან დავალების შესრულება სთხოვა. რაკი წყნარად არ ისხდნენ და არ მუშაობდნენ, კახას ბევრჯერ მოუხდა გაკვეთილის შეწყვეტა და დისციპლინის დამყარება. ის ბეჯითად მიჰყვებოდა მასწავლებლის გზამკვლევიდან გაკვეთილის გეგმას, მაგრამ მოსწავლეები ვერაფრით აიყოლია. ზოგიერთ მოსწავლეს კარგად არ ესმოდა ქართული და დავალების შესრულებისას დახმარება სჭირდებოდა. როგორც ჩანს, ახლად ემიგრირებულთა შვილებს მისი ფრაზეოლოგიზმები არ ესმოდათ და დაბნეულები უყურებდნენ.

მან შენიშნა, რომ ბიჭებს შორის გარკვეული დაძაბულობა იყო. გოგონები ბიჭების საქციელის გამო გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. კლასში ერთობა არ იყო და მრავლად გაისმოდა დამცინავი და შეურაცხმყოფელი შეძახილები. ყველაფერი, რაც სწავლების შესახებ იცოდა, უსარგებლო ეჩვენებოდა...

1. თქვენი აზრით, რა არის მასწავლებლის არაეფექტურობის მიზეზი?
2. რას ურჩევდით მასწავლებელს სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად?
3. შეადარეთ ეს სცენარი საკუთარ გამოცდილებას. ჰგავს თუ არა? თუ ჰგავს, რა მოიმოქმედეთ სიტუაციის უკეთესობისაკენ შესაცვლელად? თუკი მსგავსი გამოცდილება ჯერ არ გაქვთ, შეადარეთ ეს სცენარი თქვენი მოსწავლეობის, სტუდენტობის გამოცდილებას.
4. როგორ შეიძლება მასწავლებელი უკეთ მოემზადოს სწავლებისთვის?

ემიგრანტი და დევნილი მოსწავლეები

ტულონი ოჯახთან ერთად ახალგადმოსული იყო საცხოვრებლად ამ ქვეყნის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. ისინი, როგორც დევნილები, რამდენიმე თვის წინ ჩამოვიდნენ. მათ სამშობლოში რამდენიმე წელი მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, რომელმაც ათასობით უდანაშაულო მოქალაქე შეიწირა. ოჯახმა ყველაფერი დაკარგა. ორი წელი დევნილთა ბანაკში გაატარეს, სანამ რომელიმე ქვეყანა მათ მიღებაზე დათანხმდებოდა. ამ ორი წლის განმავლობაში მისი და-ძმა ავადმყოფობამ გადაიყოლა.

ტულონი ასაკის შესაბამისად მეხუთე კლასში დასვეს მისის ბიმანთან, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურად არცერთი სიტყვა არ იცოდა. მას სკოლაში არასოდეს უვლია და ზარდაცემული იყო ახალი გარემოთი. მისის ბიმანმა, დამწყებმა მასწავლებელმა თავი არ დაზოგა, რომ ტულონისთვის წერა-კითხვა ესწავლებინა, მაგრამ ურთიერთობებთან დაკავშირებით ვერაფერს გახდა. ზოგიერთმა თანაკლასელმა სცადა ტულონთან ურთიერთობა, თუმცა, მალევე გადაიფიქრეს ენობრივი ბარიერის გამო. ზოგმა დაცინვა დაუწყო, რაც მალევე იქცა ბულინგის საბაბად. როცა კლასს მანდატური ეწვია სასაუბროდ, მისი უნიფორმით შეშინებული ტულონი გაიქცა და ტანსაცმლის კარადაში დაიმალა. თანაკლასელთა სიცილმა და ხმაურმა ბიჭი კიდევ უფრო შეაშინა და აატირა. კლასელების ნაწილი მისმა ქცევამ შეაშინა, ნაწილმა კი ისევ დაცინვა განაგრძო. ათასგვარ მეტსახელს ეძახდნენ, დერეფანში ხან მუჯლუგუნები ხვდებოდა, ხან წიხლები, თუმცა, ყველაზე მძიმე განსაცდელი ავტობუსით სკოლისაკენ და უკან გზა იყო. ტულონი ვერ ხვდებოდა, ასე ძლიერ რატომ ეჯავრებოდათ ბავშვებს. მისის ბიმანი ხვდებოდა, რას განიცდიდა ბიჭი. ნუთუ ტულონი და მისი ოჯახი არასაკმარისად იტანჯნენ?

ეზოში ტულონი მარტოდმარტო თამაშობდა ხეების უკან. ის პატარა მარტოსული ბიჭი იყო, რომელმაც საკუთარ ქვეყანაში ცხოვრებაში მრავალი საშინელების ნახვა მოასწრო. ახლა უცნობ ახალ ქვეყანაში ის ახალი განსაცდელების წინაშე იყო.

1. რა მიგაჩნიათ ტულონის საჭიროებებად?
2. რა მიგაჩნიათ თანაკლასელებისა და სკოლის საჭიროებებად?
3. მისი მასწავლებელი რომ ყოფილიყავით, რით დაიწყებდით?
4. როგორ შეძლებდით მოსწავლეებისთვის იმ ცხოვრების შესახებ საუბარს,

რომელიც ტულონსა და სხვა ემიგრანტებსა თუ დევნილებს აქვთ ახალ ქვეყანაში?

5. რომელი სამოქალაქო უფლებები (კანონით გარანტირებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებები, რომელიც გააჩნია ყოველ მოქალაქეს როგორც საზოგადოების წევრს. რწმენისა და სინდისის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, გადაადგილების თავისუფლება (ადამიანის უფლება თავისუფლად აირჩიოს ის ქვეყანა, სადაც ცხოვრება უნდა), სამართლიანი სასამართლოს უფლება, სიცოცხლის უფლება, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ სქესობრივი დისკრიმინაციის დაუშვებლობა – მაგალითად, არ შეიძლება ერთსა და იმავე სამუშაოს შესრულებაში ვიღაცა სხვებზე ნაკლებს იღებდეს, იმიტომ, რომ ის არის ქალი, ან შავკანიანი, ან ებრაელი და ა. შ.) ირღვევა მოცემულ სიტუაციაში?

კარგი სწავლება კარგი სწავლებაა (თუ არა?)

1994 წელს შევიმუშავეთ 3-დღიანი კურსი „ინტერკულტურული კურიკულუმის შექმნა“. ეს ინტენსიური კურსი ეხმარებოდა მონაწილეებს ცნობიერების ამაღლებაში, ცოდნის გაღრმავებაში, ინტერკულტურული გაკვეთილების შექმნასა და შეძენილი ცოდნის გამოყენებაში.

წლების განმავლობაში მსმენელების კომენტარების მიხედვით რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა იმის თაობაზე, თუ რას ფიქრობენ კულტურის შესახებ ცოდნის მნიშვნელობასა და კულტურის მიმართ მგრძნობიარე კურიკულუმზე. ერთ ზაფხულს ერთ-ერთი ტენდენცია მაგალითის სახით მოიყვანა ნატალიმ, დაწყებითი კლასების მუსიკის მასწავლებელმა. ნატალი კავკასიელი იყო და სკოლაში მუშაობის 5 წლის გამოცდილება ჰქონდა. როცა დასაწყისში მას კულტურის მიმართ მგრძნობიარე სწავლებისთვის მომზადების შესახებ დაუსვეს კითხვა, მან ასე უპასუხა: „აქ ჩემი მეგობრის წყალობით ვარ. უნდა ვთქვა, რომ სკეპტიკურად ვარ განწყობილი ინტერკულტურული განათლების მიმართულებით ძალისხმევის შესახებ. მტკიცედ მჯერა, რომ კარგი მასწავლებელი კარგი მასწავლებელია. არ მგონია, რომ საჭირო იყოს განსაკუთრებული ყურადღება რასის, კულტურის, გენდერის, რასიზმის და დისკრიმინაციის სხვა ფორმების მიმართ. უბრალოდ, უნდა ვიცოდე, რომ კეთილსინდისიერი და სამართლიანი ვარ და კარგად ვიცი საგანი“.

3-დღიანი კურსის დასრულებისას დასკვნით შეხვედრაზე ნატალიმ აღიარა, რომ ბევრი ახალი გაიგო იმის თაობაზე, რას ნიშნავს კარგი მასწავლებელი. მან აღნიშნა, რომ არსებობს გარკვეული ცოდნა, უნარები და გამოცდილება, რომელიც მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის, თუკი სურს, ყველა მოსწავლისთვის ეფექტურად წარმართოს საქმიანობა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ნატალიმ საკუთარი თავის შესახებ შეიტყო ბევრი რამ. მისი აზრით, მისი, როგორც თეთრკანიანის სწავლების სტრატეგიები შესაძლოა წარმატებული იყოს თეთრკანიანებთან მუშაობისას, მაგრამ ნაკლებ წარმატებული ან სულაც წარუმატებელი – არათეთრკანიანებთან. მან ისწავლა, რომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეთა დაჯგუფების წესს და სხვა გამოცდილებას, რომელიც საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს მისი მრავალფეროვანი მოსწავლეებისთვის. და ბოლოს, ნატალიმ აღმოაჩინა, რომ კურსებმა მაღვიძარას როლი შეასრულა მისთვის – აიძულა, გადაეხედა საკუთარი ცოდნა და ვარაუდები სწავლებისა და სწავლის შესახებ.

1. იმსჯელეთ ნატალის განსაზღვრებაზე „კარგი მასწავლებელი, კარგი მასწავლებელია“. რას ნიშნავს ეს ნათქვამი თქვენთვის?
2. ის ფაქტი, რომ ნატალი კავკასიელია გავლენას ახდენს თუ არა მის შეხედულებაზე კულტურის როლის შესახებ სწავლება-სწავლაში? გამოხატეთ საკუთარი აზრი.
3. თქვენთვისაც ნაცნობია თუ არა ნატალის სკეპტიციზმი ინტერკულტურული განათლების მიმართ? დააფიქსირეთ საკუთარი აზრი.
4. წარმოიდგინეთ, რომ სხვა ქვეყანაში ხანგრძლივად მოგიწევთ ყოფნა და გჭირდებათ მისი კულტურის შესწავლა. თქვენი აზრით, კულტურის რა ასპექტების ცოდნა იქნება მნიშვნელოვანი?
5. წარმოიდგინეთ, რომ უცხო ქვეყანაში მოგიწევთ სკოლაში სწავლა. რას ისურვებდით, სცოდნოდათ მასწავლებლებს თქვენი და თქვენი კულტურის შესახებ, რომ წარმატებით გესწავლათ?

ჩვენი და სხვისი კულტურა

ქვემოთ მოცემული ცხრილი დაგეხმარებათ უკეთ შეძლოთ საკუთარი და სხვების (ეს სხვა შესაძლოა, იყოს მეგობარი, ნაცნობი, უცნობი, რომელსაც ინტერვიუს ვთხოვთ მოცემულ საკითხებზე) კულტურის გაცნობიერება.

ჩემი კულტურა	სხვისი კულტურა
1. სადილობის წესი	1. სადილობის წესი
2. ჩემთვის ძვირფასი რწმენა	2. მისთვის ძვირფასი რწმენა
3. ჩემი ოჯახის ერთი ტრადიცია	3. მისი ოჯახის ერთი ტრადიცია
4. ერთი რამ, რასაც არ ვაკეთებთ (ტაბუ)	4. ერთი რამ, რასაც არ აკეთებენ (ტაბუ)

1. იფიქრეთ, რამ მოახდინა გავლენა კითხვებზე პასუხის გაცემისას. ახდენს თუ არა გავლენას რელიგია, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, სქესი ან კულტურული იდენტობის სხვა ასპექტები თქვენსა და სხვის რწმენასა და ქმედებებზე? დაასაბუთეთ პასუხი.
2. სწავლება-სწავლაში, კულტურის მნიშვნელობის გათვალისწინებით, თქვენთვის ნაცნობ სკოლაში რომელი სამი აქტივობის განხორციელებას ისურვებდით?

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ...

ჩვენ ყველანი აღზრდის პროდუქტები ვართ – ეს არის მშობლების, მეგობრების, რელიგიის, საზოგადოების გავლენა. ჩვენი ოჯახის წეს-ჩვეულებები, ღირებულებები, ტრადიციები, სამყაროს ხედვა, საქმიანობის წესი ხშირად თაობიდან თაობას გადაეცემა. ქვემოთ მოცემულ საკითხებზე დაფიქრებით შევეცდებით გავიგოთ, როგორ სწავლობენ ადამიანები და რა გავლენა აქვს ამ პროცესზე კულტურას.

1. დაფიქრდით იმაზე, რაც საფუძვლიანად იცით. დეტალურად აღწერეთ, როგორ შეიძინეთ ეს ცოდნა. გამოთქვით მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები.
2. აღწერეთ, რა გავლენა მოახდინა თქვენმა კულტურულმა იდენტობამ (რასა, ეთნოსი, რელიგია, ენა) თქვენთვის უპირატესი სწავლის სტილის ჩამოყალიბებაზე.
3. აღწერეთ იმ სკოლის კულტურული ნორმები, რომელშიც სწავლობდით.
4. რამდენად ჰგავდა/განსხვავდებოდა თქვენი კულტურა თქვენი სკოლის კულტურისაგან, შეგიმჩნევიათ თუ არა ურთიერთგავლენები?
5. როგორ გამოიყენებთ ამ ცოდნას საკუთარ მოსწავლეებთან ურთიერთობისას?

წყარო: Howe W.A. and Lisi P. L. (2014). Becoming a Multicultural Educator, Developing Awareness, Graining Skills, and Taking Action. Sage.

თემურ სუყამვილი

1 მედიაწიგნიერების გაკვეთილი 251

2 პრობლემების ყუთი 258

3 სკოლის ადმინისტრაცია და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება მოსწავლეებში 261

4 „ბიჭი, რომელმაც ქარი მოათვინიერა“ 265

5 როგორ გავიგოთ მეტი ევროპის შესახებ 269

6 ჩვენი წილი აფხაზეთი სკოლაში 273

მედიაწიგნიერების გაკვეთილი

საქართველოსთვის დემოკრატიული პროცესები ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება. ამ ვითარებაში აუცილებელია მოსწავლეებთან დემოკრატიასთან დაკავშირებული თემების კლასში განხილვა, მათზე მსჯელობა და დასკვნების გამოტანა. ამავდროულად, XXI საუკუნეში, მოსწავლეებისთვის მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ჩვენი მოსწავლეები ხშირად ხდებიან დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მსხვერპლი. გთავაზობთ ჩემ მიერ ჩატარებული მედიაწიგნიერების უნარის განვითარებაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილის გეგმას.

საგანი: სამოქალაქო განათლება

სწავლების საფეხური / კლასი: საშუალო საფეხური – X კლ.

მოსწავლეთა რაოდენობა: 10 მოსწავლე (მათ შორის არაა სსსმ მოსწავლე)

გაკვეთილის თემა: დემოკრატია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები დაასახელებენ დემოკრატიის დამახასიათებელ აუცილებელ ნიშან-თვისებებს, შეადარებენ ორი განსხვავებული წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, იმსჯელებენ ამ წყაროების სანდოობის, მათი ავტორებისა და მიზნების შესახებ.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

მედიაწიგნიერება (ამონარიდი ესგ-დან) – მოსწავლე შეძლებს, ერთი მხრივ, მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრებას, ინტერპრეტირებას, გამოყენებას, მეორე მხრივ, მედიასამყაროში ორიენტირებას, სწორი არჩევანის გაკეთებას (ინფორმაციის „გაფილტვრა“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას.

მოქ. X.11. – მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს მოქალაქეების როლი ქვეყნის დემოკრატიაში.

ახასიათებს დემოკრატიის ძირითად პრინციპებს და უკავშირებს მათ ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს; საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებს მისთვის ცნობილი საერთაშორისო დოკუმენტების დებულებების მეშვეობით (მაგ.: *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია* და *სხვა*).

გამოყენებული მეთოდები: გონებრივი იერიში, ლექცია თვალსაჩინოებით, დისკუსია.

შეფასება: განმსაზღვრელი (რუბრიკა იხ. დანართში).

წინარე ცოდნა: მოსწავლეებს შეუძლიათ მსჯელობა: საქართველოს სახელმწიფო მმართველობის განვითარების ეტაპებზე და კონსტიტუციაში ასახულ დემოკრატიულ პრინციპებზე.

რესურსები: პრეზენტაცია, ვიდეო დემოკრატიის შესახებ, ფლიპჩარტის ფურცლები, მარკერები, პროექტორი, კომპიუტერები ჯგუფებისთვის.

N	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)*
1	საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება, გაკვეთილის მიზნისა და შეფასების რუბრიკის გაცნობა. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს და შეფასების რუბრიკას.	ვერბალური კომუნიკაცია	საერთო საკლასო	ფლიპჩარტზე დატანილი გაკვეთილის მიზანი, წინასწარ ამობეჭდილი შეფასების რუბრიკა. იხ. დანართი I	2 წთ.
2	მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება. მასწავლებელი სვამს შეკითხვებს: რა არის დემოკრატია? მიგიღიათ თუ არა დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობა? რა ფორმით? რა ნიშნები ახასიათებს დემოკრატიას? მათი პასუხები ფიქსირდება ფლიპჩარტზე/ დაფაზე.	გონებრივი იერიში	საერთო საკლასო	დაფა, ფლიპჩარტი, მარკერები.	5 წთ.

N	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)*
3	პრეზენტაცია მასწავლებელი ინტერაქტიული მინილექციით ესაუბრება დემოკრატიის არსზე და მისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებზე, თვალსაჩინოებად იყენებს „power point“ -ში მომზადებულ რესურსს. პრეზენტაციის დროს ყურადღებას ამახვილებენ სიტყვა დეზინფორმაციის მნიშვნელობაზე.	ინტერაქციული მინილექცია	მთელი კლასი	წინასწარ მომზადებული პრეზენტაცია, მარკერი, ფლიპჩარტი. იხ. პრეზენტაციის ბმული: https://drive.google.com/open?id=1rOqHJgUrA_BCHmKwllPuE7mLHZM-7jWW	7 წთ.
4	ვიდეო ფაილის ნახვა მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ახლა ისინი ნახავენ ვიდეოს, რომელიც შეესაბამება დემოკრატიის თემატიკას, თუმცა მასში ისეთი ინფორმაციაცაა მოყვანილი, რომელზეც აქამდე არ უსაუბრიათ. მოსწავლეებს ევალებათ ყურადღებით უყურონ ვიდეოს და შეავსონ სქემა წყვილებში.	კოგნიტური სქემებით სწავლება	წყვილებში მუშაობა	ვიდეო ფაილი იხ. ბმულზე (https://www.youtube.com/watch?v=KCXeLOBgOsw 0:00 3:56 წწ) შესავსები სქემა იხ. დანართი II	7 წთ.
5	ორი წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის შედარება მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას. შემდეგ მასწავლებელი ჯგუფებს სთავაზობს ცხრილს შესავსებად. ისინი ადარებენ ორი სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას ერთმანეთს და მსჯელობენ შევსებული ცხრილის ირგვლივ.	კოგნიტური სქემებით სწავლება, დისკუსია	ჯგუფური	სახელმძღვანელო; სქემა იხ. დანართი III	7 წთ.

N	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)*
6	მსჯელობა წყაროთა მიზნებზე, ავტორთა მიზნებზე, სანდოობასა და სხვ. მასწავლებელი სვამს სადისკუსიო შეკითხვებს. ჯგუფები კითხვებზე პასუხის გასაცემად იყენებენ ლეპტოპებსა და სმარტფონებს. პასუხებს აფიქსირებენ სამუშაო რვეულებში. (თითო ჯგუფს აქვს მინიმუმ ერთი ლეპტოპი/ სმარტფონი). I ჯგუფი • რა მიზნითაა დაწერილი ტექსტი? • რა მიზნითაა შექმნილი ვიდეო? • ვის მიერ არის შექმნილი ტექსტი? ვიდეო? • რამდენად მიზანშეწონილია ამ ვიდეოს სასწავლო დანიშნულებით გამოყენება? II ჯგუფი • ვინ არის GDI? რა მიზნები აქვს? • რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია? რომელი წყაროდან უფრო სანდოა? რატომ? • თუ გახსენდებათ ინფორმაცია, რომელიც არ გამართლდა? • რამდენად მიზანშეწონილია ამ ვიდეოს სასწავლო დანიშნულებით გამოყენება?	დისკუსია	ჯგუფური	ლეპტოპები, სმარტფონები, ამობეჭდილი კითხვები ჯგუფებისთვის. იხ. დანართი IV	9 წთ.

N	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)*
7	შეჯამება, შეფასება და საშინაო დავალების განსაზღვრა მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს მოსწავლეებთან ერთად, აფასებს მათ, აძლევს ურთიერთშეფასების საშუალებას და განუსაზღვრავს საშინაო დავალებას. მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტით გავრცელებული დეზინფორმაციის შესახებ. იმსჯელეთ, რა გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. დაფაზე წერს საიტს, სადაც შეიძლება მსგავსი ინფორმაციის მოძიება http://mythdetector.ge/	შეფასება	ჯგუფური	წინასწარ ამობეჭდილი შეფასების რუბრიკა. იხ. დანართი I	3 წთ.

შენიშვნა: სსიპ ქალაქ მარნეულის N2 საჯარო სკოლაში II-XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობა 40 წუთია.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

მოსწავლეები ასახელებენ დემოკრატიის დამახასიათებელ აუცილებელ ნიშან-თვისებებს, ადარებენ ორი განსხვავებული წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, მსჯელობენ ამ წყაროების სანდოობის, მათი ავტორებისა და მიზნების შესახებ.

დანართი I

კომპონენტი	კრიტერიუმები			
	დაბალი (2-4)	საშუალო (5-6)	კარგი (7-8)	საუკეთესო (9-10)
ტექსტის გააზრება	არ ესმის ტექსტის შინაარსი. ვერ პასუხობს ტექსტთან დაკავშირებულ ზედაპირულ შეკითხვებსაც კი.	ესმის ტექსტის შინაარსი. პასუხობს ტექსტთან დაკავშირებულ ზედაპირულ შეკითხვებს.	იაზრებს ტექსტს. შეუძლია უპასუხოს ტექსტთან დაკავშირებულ ძირითად შეკითხვებს.	სიღრმისეულად იაზრებს ტექსტს. შეუძლია უპასუხოს ტექსტთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვას.
ჩართულობა/ აქტიურობა	მოსწავლე პასიურია. არ იჩენს დიდ ინტერესს დავალებისადმი.	მოსწავლე ნაწილობრივ ჩართულია საგაკვეთილო პროცესში, გამოთქვამს მოსაზრებებს.	მოსწავლე ჩართულია საგაკვეთილო პროცესში, აქტიურად გამოთქვამს მოსაზრებებს დასმული საკითხის მიმართ.	მოსწავლე სრულფასოვნად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში. გამოთქვამს მოსაზრებებს და იზიარებს თანაკლასელების მოსაზრებებს.
პრეზენტაცია	პრეზენტაცია ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვებს.	პრეზენტაცია არასრულყოფილია, ნაწილობრივ პასუხობს დასმულ შეკითხვებს	პრეზენტაცია ნაწილობრივ პასუხობს დასმულ შეკითხვებს, ჩანს მოსწავლეების მიდგომები.	პრეზენტაცია სრულყოფილია, გამოკვეთილია მოსწავლეთა კრეატიული მიდგომები.

დანართი II

სახელი _____ გვარი _____

ყურადღებით უყურეთ ვიდეოს და მონიშნეთ სწორია თუ არა ქვემოთ მოცემული წინადადებები:

N	წინადადება	+/-
1	დემოკრატიული სახელმწიფოს მოვალეობაა აღზარდოს არამარტო პიროვნება, არამედ მოქალაქე.	
2	დემოკრატია არაა დაინტერესებული იმით, რომ მოქალაქეები ჩაერთონ სახელმწიფოს განვითარების პროცესში.	
3	მეტი მოქალაქის მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში ზრდის ხელისუფლების პასუხისმგებლობას.	
4	დემოკრატია ხორციელდება მხოლოდ წარმომადგენლობითი ფორმით.	
5	რეფერენდუმის გზით მხოლოდ უმნიშვნელო საკითხები წყდება.	
6	რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სრულწლოვან მოქალაქეებს.	

N	წინადადება	+/-
7	მოქალაქეებს არ აქვთ უფლება მიმართონ პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით.	
8	არჩევნების გაყალბება არ უქმნის საფრთხეს დემოკრატიას.	

დანართი III

გაეცანი დებულებებს და პლუსით (+) მონიშნე, რომელ წყაროშია მოცემული ინფორმაცია.

N	ინფორმაცია	ტექსტი	ვიდეო
1	ახსნილია, რა არის დემოკრატია და რა ნიშნები ახასიათებს მას.		
2	ახსნილია უშუალო დემოკრატიის ფორმები.		
3	განმარტებულია, ვინ არის ამომრჩეველი და ახსნილია ხმის მიცემის პროცედურა.		
4	საუბარია არჩევით დემოკრატიაზე;		
5	დასახელებულია ის თანამდებობის პირები და ორგანოები, რომელთაც თანამდებობაზე ირჩევენ არჩევნების გზით.		
6	საუბარია საზოგადოებრივ გაერთიანებებში გაწევრიანების მნიშვნელობაზე დემოკრატიული პროცესებისთვის.		
7	დასახელებულია არჩევნების პერიოდულად ჩატარების 3 ძირითადი მიზეზი.		
8	განმარტებულია ლეგიტიმური ხელისუფლება.		
9	განმარტებულია რეფერენდუმი და პლებისციტი.		

დანართი IV.

დაფიქრდით და უპასუხეთ შეკითხვებს:

I ჯგუფი

- რა მიზნითაა დაწერილი ტექსტი?
- რა მიზნითაა შექმნილი ვიდეო?
- ვის მიერ არის შექმნილი ტექსტი? ვიდეო?
- რამდენად მიზანშეწონილია ამ ვიდეოს სასწავლო დანიშნულებით გამოყენება?

II ჯგუფი

- ვინ არის GDI? რა მიზნები აქვს?
- რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია? რომელი წყარო უფრო სანდოა? რატომ?
- თუ გახსენდებათ ინფორმაცია, რომელიც არ გამართლდა?
- რამდენად მიზანშეწონილია ამ ვიდეოს სასწავლო დანიშნულებით გამოყენება?

პრობლემების ყუთი

2019-2020 სასწავლო წლიდან ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის VII კლასში, ახალი საგნის – „მოქალაქეობა“ – სწავლება დაიწყო. აქამდე სამოქალაქო განათლება მხოლოდ IX-X კლასებს მოიცავდა. ვფიქრობ, საგანი იმსახურებს სათანადო ყურადღებას და გადავწყვიტე, მოსწავლეებშიც თავიდანვე აღმეძრა ინტერესი. ამის გაკეთება არ არის მარტივი. საბოლოოდ პრობლემების ყუთს მივანიჭე უპირატესობა. მოქალაქეობის მასწავლებლებს მინდა გავუზიარო კონკრეტული აქტივობა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით დასახული ამოცანებისა და მიზნების შესრულებას უწყობს ხელს.

საგნის – „მოქალაქეობა“ – ფარგლებში მოსწავლე ახლოს გაეცნობა საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს; შეისწავლის ლოკალურ, სახელმწიფოებრივ და გლობალურ დონეზე მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს. დამეთანხმებით, XXI საუკუნე უსაზღვრო შესაძლებლობების ხანაა, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების გამომუშავების ადრეული ასაკიდან დაწყება.

მოქალაქეობის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი თავის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღქმაში;
- გაუღვიძოს საკუთარი ქვეყნისადმი მზრუნველობის სურვილი;
- ასწავლოს სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები; გააცნობიერებინოს, რომ მას შეუძლია და მართებს საკუთარ ქვეყანაში (თემში/მუნიციპალიტეტში/სახელმწიფოში) პოზიტიური ცვლილებების განხორციელება;
- გამოუმუშავოს მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობის, კონფლიქტის მართვის, სამეწარმეო და ფინანსური) და ღირებულებები/დამოკიდებულებები (ადამიანის უფლებების, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ტოლერანტობა);

- დაეხმაროს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპების გათავისებაში;
- ჩამოუყალიბოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კულტურა.
- საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტი შემაჯამებელი სამუშაოების ფართო არჩევანს გვთავაზობს. მათ შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროექტების შემუშავებასა და მათ განხორციელებას. ყუთის იდეა სწორედ პრობლემის დანახვისა და მისი მოგვარებისკენ უბიძგებს მოსწავლეებს. ამავდროულად, მე, როგორც პრაქტიკოს მასწავლებელს მომცა საშუალება პირველივე გაკვეთილზე დამეწყო მე-7 კლასის მოსწავლეებთან პროექტების მიმართულებით მუშაობა.

I ნაბიჯი

მე-7 კლასის მოსწავლეებს, საგნის პროგრამისა და მიზნების გაცნობის შემდეგ, ვთხოვე, გადაეხედათ პირველი კარის/თავის შინაარსისთვის და მოენიშნათ აქტუალური, პრობლემური საკითხები/თემები. შემდეგ გაკვეთილზე საკლასო ოთახის ცენტრში დახვდათ „პრობლემების ყუთი“, რომელშიც მოათავსეს პრობლემები.

II ნაბიჯი

საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ გავხსენი ყუთი და დავიწყე შემოსული საკითხების დახარისხება კატეგორიების მიხედვით (გარემოსდაცვითი/ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო, სოციალური, უფლებები და ა. შ.).

აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოსწავლეები, ხშირ შემთხვევაში, იმაზე კარგად ამჩნევენ თემში არსებულ პრობლემებს, ვიდრე ჩვენ. მათ არ მოსწონთ მარნეულში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი, სიხშირე და აპროტესტებენ კიდეც აღნიშნულს. დაბინძურებული სადარბაზოები და ეზოები, ქუჩაში უპატრონო ცხოველები და ა. შ. მათთვის ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს. რამდენიმე მოსწავლემ ყურადღება გარე განათების არარსებობაზე გაამახვილა.



11–12 წლის ბავშვები აქტიურ მოქალაქეებად რომ ვაქციოთ, დიდი შრომაა საჭირო. პრობლემების დანახვა ერთია და მათი მოგვარება მეორე. ამიტომ, სასურველია, მათ კარგად გაიაზრონ მონაწილეობის უფლება და ადვოკატირების ინსტრუმენტები.

შესაბამისად, შემდგომი ნაბიჯები იქნება ადვოკატირების ინსტრუმენტების საშუალებების გაცნობა და თემში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ეფექტური კამპანიის ერთობლივად დაგეგმვა. კამპანია ორიენტირებული იქნება თემში არსებული პრობლემის მოგვარებაზე/გადაჭრაზე ან უფლებამოსილი პირების დაინტერესებაზე.

სკოლის ადმინისტრაცია და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება მოსწავლეებში

ოქტომბერში საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას დავესწარი. კონფერენციის დღის წესრიგის მიხედვით, მოწვეული სტუმრები ოთხ თემატურ სამუშაო ჯგუფში გადანაწილდნენ. ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფის (რომლის წევრიც ვიყავი) თემატიკა ეხებოდა სკოლის ადმინისტრაციის როლს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების მიმართულებით.

ხშირად ვაწყდები დისკუსიას საზოგადოებაში დაბალი სამოქალაქო ცნობიერების არსებობის შესახებ. ძირითად შემთხვევაში დისკუსიაში მონაწილე მხარეებს ყურადღების მიღმა რჩებათ სკოლის როლი. არადა, განათლების სისტემის მიზანია, განუვითაროს მოზარდს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, მისცეს საჭირო ცოდნა, გააცნოს ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჩამოუყალიბოს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული **სამოქალაქო ცნობიერება** და დაეხმაროს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობის განხორციელებაში.

ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში გვიწერია: სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა. შესაბამისად, სკოლის უმთავრესი როლი სწორედ მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე ახალგაზრდის აღზრდაა.

პირველ რიგში, ვისაუბრებ იმაზე, თუ რა უშლის დღეს ხელს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას.

- ხაზგასასმელია დირექციისა და სკოლის ადმინისტრაციის როლი. ჩემი დაკვირვებით, ქართულ რეალობაში, სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან აქცენტი აკადემიური მოსწრების კონტროლისა და უსაფრთხო სკოლის პრინციპების დაცვის მიმართულებით კეთდება. ამ დროს ნაწილობრივ

იზღუდება თავისუფლება, რაც სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას უშლის ხელს.

- ჩემი, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლის თვალით დანახული მეორე ფაქტორი გამოცდებზე ორიენტირებას ეხება. ამაში მთავარი „დამნაშავე" განათლების სისტემა და მისი მოთხოვნებია. სწორედ სისტემა კარნახობს სკოლასა და პედაგოგს, რომ მოსწავლე მოამზადოს გამოცდების ჩასაბარებლად;
- ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს სკოლაში მიმდინარე უამრავი **ფიქტიური პროცესი**. სინამდვილეში ამ პროცესების აქტიური მონაწილე მოსწავლე უნდა იყოს;
- ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არის მასწავლებლების არასწორი დამოკიდებულება და აღქმა. პედაგოგები თვლიან, რომ უმთავრესი მიზანი საგნის სწავლებაა. ამ დროს ყურადღების მიღმა რჩება უმთავრესი – ღირებულებების, პრინციპების, სამართლიანობის, კანონის უზენაესობის, თანასწორობისა და ადამიანური ღირსებების საკითხები.

სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება დაკავშირებულია პასუხისმგებლობების, უფლება-მოვალეობების კარგად გააზრებასთან, აღზრდასთან. მიზნის მიღწევა შესაძლებელია როგორც ფორმალური საგაკვეთილო პროცესის კვალდაკვალ, ასევე არაფორმალური განათლების გზითაც. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც მიმართულია მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობისკენ.

სამართლიანობის განცდა და სანდო გარემო – დიდწილად სკოლის დირექციაზეა დამოკიდებული სამართლიანობის განცდის, ჯანსაღი კლიმატის, დაცულობის შეგრძნებისა და ნდობის მაღალი მაჩვენებლის არსებობა, რაც მოსწავლეს თავისუფლად განვითარების საშუალებას აძლევს.

ასეთ პირობებში მოსწავლემ იცის, რომ ის არ იქნება უსამართლობის, ბულინგის, დაცინვის ან დისკრიმინაციის მსხვერპლი. პრობლემის არსებობის შემთხვევაში თავისუფლად მიმართავს დირექციას ან უფლებამოსილ პირს/ორგანოს.

თავისუფლებისა და ინიციატივების წახალისება – სწორედ სამოქალაქო ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა თავისუფალი გარემო, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ აზრის გამოხატვის საშუალება. ასეთ გარემოში მოსწავლეებს აქვთ ინიციატივები, რომლებიც მხარდაჭერილია სკოლის დირექციის მიერ.

სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა – საჯარო სკოლებში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც რეაგირებს სკოლაში მომხდარ დისციპლინურ გადაცდომებზე. კომიტეტს ჰყავს 6 წევრი, მათ შორისაა სკოლის თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი 2 მოსწავლე. ბევრ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, დისციპლინური გადაცდომების განხილვაში ძირითადად 2 მშობელი და 2 მასწავლებელი მონაწილეობს. რიგი მიზეზების გამო მოსწავლეებს არ ატყობინებენ ჩანიშნული სხდომის დროსა და საკითხებს.

როდესაც ვსაუბრობთ მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, ჩემი აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვების მონაწილეობას დისციპლინური კომიტეტის საქმიანობაში. აღნიშნული საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ჩაიხედოს პედაგოგიური საქმიანობის სირთულეებში, მოთხოვნებში და გაიაზროს ისინი. ასევე მოსწავლე, რომელიც დისციპლინური გადაცდომების განხილვაში მონაწილეობს, იაზრებს, რომ არავინაა შეუმცდარი და ნაკლებად აქვს შეცდომების შიში.

სკოლის თვითმმართველობის გაძლიერება – ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე სკოლებში ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები. ერთი შეხედვით, ეს რუტინული ამბავია. სწორედ არჩევნის თავისუფლების პრინციპის დაცვა უწყობს ხელს სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას. მოსწავლეებმა სკოლიდანვე იციან, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ ან თავად იყვნენ არჩეულნი სკოლის თვითმმართველობაში. გაყალბება კი, მიუღებელი საქციელია. უშუალოდ ვარ მომსწრე, როგორ შეიცვალა დამოკიდებულება თვითმმართველობის არჩევნებისადმი. იყო პერიოდი, როდესაც სკოლაში თვითმმართველობის არჩევნებისას დამრიგებლები თვითონ არჩევდნენ წარმომადგენლებს. სკოლის დირექტორმა, როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებელს, მთხოვა, მომემზადებინა კლასები არჩევნებისთვის. არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ჩავატარეთ საინფორმაციო შეხვედრები, განვმარტეთ თვითმმართველობის როლი და მისია. 2016 წლიდან მოყოლებული მსურველები წარადგენენ გაწერილ პროგრამას. გვყავს აქტიური თვითმმართველობა.

არაფორმალური განათლება – არაფორმალური გარემო უფრო მეტად იზიდავს მოსწავლეებს, ვიდრე ფორმალური საგაკვეთილო პროცესი. ამ გარემოებას იყენებს სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლების დახმარებით მოსწავლეებს რთავს პროექტებში, რომლებიც სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული.

მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე მოზარდი არის აქტიური. ის ინტერესდება თემში და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით, ცდილობს შეცვალოს არსებული რეალობა უკეთესობისკენ.

თანამშრომლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან – სკოლის ადმინისტრაციის მიერ წახალისებულია საზოგადოებრივი ჯგუფების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა. სკოლასა და თემში მოქმედი თუ ცენტრიდან ჩამოსული სამოქალაქო აქტივისტების მჭიდრო ურთიერთობა დადებითად აისახება მოსწავლეებზე. სკოლაში ინტენსიურად ტარდება სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებასა თუ ამაღლებაზე ორიენტირებული შეხვედრები, ტრენინგები, სემინარები და სიმულაციური თამაშები. ამ დროს მოსწავლეებს უყალიბდებათ დამოკიდებულებები და შეხედულებები.

ზემოთ მოყვანილი რჩევები არ წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის ერთადერთ მზა რეცეპტს. ეს არის, ჩემი, როგორც პრაქტიკოსი პედაგოგისა და სკოლის ადმინისტრაციის ყოფილი წევრის ნააზრევი. მიმაჩნია, რომ სკოლაში, სადაც არის დაცულობის მაღალი დონე, სამართლიანობის განცდა, წახალისებულია ინიციატივები და თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯგუფებთან, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებასა და არაფორმალურ განათლებაში; არსებობს ძლიერი, დემოკრატიის პრინციპის დაცვით არჩეული თვითმმართველობა; მეტი შანსია, რომ ბავშვებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული საკუთარი როლი საზოგადოების განვითარებაში.

ეს ყველაფერი კი სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

„ბიჭი, რომელმაც ქარი მოათვინიერა“

თანამედროვე სამყაროში უწყვეტად მოედინება ინფორმაციის ნაკადი. გვიწევს, ავტომატურ რეჟიმში გავფილტროთ ინფორმაცია და დროის უმოკლეს მონაკვეთში გადავწყვიტოთ – რა წავიკითხოთ, რას ვუყუროთ, რომელ მოვლენაზე გავამახვილოთ ყურადღება და ა.შ. ამის გათვალისწინებით თქვენი ყურადღების მიპყრობის ძალიან მცირე შანსი მაქვს.

დღევანდელ სტატიაში მინდა, გესაუბროთ კონკრეტულ ფილმზე, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე და არამარტო. „ბიჭი, რომელმაც ქარი მოათვინიერა“ არის ბრიტანული BBC-სა და კომპანია Netflix-ის 2019 წლის ერთობლივი პროდუქტი.

სასკოლო ცხოვრება, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობა, განათლების მიმართულებით არსებული პრობლემები ისეთი თემებია, რომლებიც მუდმივად საინტერესოა და რომლებსაც უამრავი ფილმი ეძღვნება. რეჟისორები სხვადასხვა კუთხით წარმოგვიჩენენ ხოლმე ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებს. თუმცა ზემოთ ხსენებული ფილმი, ვფიქრობ, განსხვავებულია დანარჩენთაგან, რადგან არ აკეთებს აქცენტს ერთ კონკრეტულ პრობლემაზე, იძლევა არაერთი პრობლემის სხვადასხვა კუთხით დანახვის საშუალებას. რეჟისორი გვთავაზობს გამოწვევების შესაძლებლობებად ქცევის არაერთ მაგალითს. რაც მთავარია, ფილმი გადაღებულია რეალურ ამბავზე დაყრდნობით.

საგანმანათლებლო, დოკუმენტური და მხატვრული ფილმების გამოყენება დისტანციური სწავლების პროცესშიც შესაძლებელია. მისი, როგორც რესურსის გამოყენება შესაძლებელია რამდენიმე საგანში. მაგალითად:

- ფიზიკის მასწავლებელს შეუძლია ამ ფილმით ადვილად აჩვენოს მოსწავლეებს, როგორ ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება;
- გეოგრაფიის მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ამინდისა და კლიმატის მნიშვნელობაზე, ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე;

- სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ, ყურადღება გაამახვილონ მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაზე, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე, ბავშვთა შრომისა და სწავლის ხელმისაწვდომობის მიმართულებით არსებულ პრობლემებზე.
- ფილმში მოვლენები ვითარდება XXI საუკუნის დასაწყისში, აფრიკის ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყანა – მალავიში. სრული სიუჟეტის განხილვისგან თავს შევიკავებ. უილიამი 13 წლის ბიჭია. მისი ოჯახის შემოსავლის უმთავრეს წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. წლიდან წლამდე თავის გასატანი მოსავლის ოდენობა კი მთლიანად კლიმატზეა დამოკიდებული. უილიამის განსაკუთრებულ გონებრივ შესაძლებლობებს ფილმის დასაწყისშივე შეამჩნევთ. ის ცდილობს შეაკეთოს გაფუჭებული რადიო, რათა მამამისმა და თანასოფლელებმა მოისმინონ ამინდის პროგნოზი... გარდა ამისა, რადიოების შეკეთება ერთგვარი შემოსავლის წყაროცაა მისთვის.

უილიამისთვის ოჯახის შემდეგ განათლება ყველაზე დიდი ღირებულებაა. ის დარწმუნებულია, რომ მხოლოდ სწავლას შეუძლია, შეცვალოს გარშემომყოფთა ცხოვრება უკეთესობისკენ. თუმცა ამ გზაზე ხვდება ყველაზე დიდი დაბრკოლება...

მიუხედავად თავისი მცირე ასაკისა, ის გრძნობს ოჯახის მიმართ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, წარმოუდგენელ ნებისყოფას იჩენს და არ ერიდება რისკებს მათი შიმშილისგან გადასარჩენად.

ფილმი პედაგოგიურ პრაქტიკაში

ფილმის ყურებისთანავე გადავწყვიტე, მიზნობრივად გამომეყენებინა იგი და ამ პროცესში ჩავრთე VII-VIII კლასის მოსწავლეები (სწორედ ამ კლასებში ისწავლება სეზონური ქარები და ენერგიის ალტერნატიული წყაროები) და მეათე კლასის მოსწავლეები, რომელთაც ვასწავლი სამოქალაქო განათლებას.

VII-VIII კლასის მოსწავლეებს ვთხოვე, გაეანალიზებინათ ფილმი გეოგრაფიულ ჭრილში. აქ გამოვყავი:

კლიმატი და გარემოს დაცვა	გეოგრაფიული მდებარეობა და მისით გამოწვეული სირთულეები	ქარი, როგორც ენერგიის ალტერნატიული წყარო	მეურნეობის დარგები

X კლასის მოსწავლეებმა ფილმი უფრო გლობალურ ასპექტში განიხილეს. კერძოდ:

გარდა ამისა, მოსწავლეებმა დაამზადეს პოსტერები და დაწერეს ბლოგ-პოსტები, რომლებშიც უფრო ფართოდ გაშალეს ფილმში მოსმენილი მნიშ-ვნელოვანი გზავნილები. აღმოჩნდა, რომ მათ უფრო მეტი დაინახეს, ვიდ-რე მე წინასწარ ვვარაუდობდი, მაგალითად, უილიამისა და მისი ძაღლის მეგობრობა. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი სრულყოფილად ვერ ფლო-ბენ ქართულ ენას, ნამუშევრები გავასწორე მხოლოდ ტექნიკური კუთხით, ხოლო სტილი, აზრი და შინაარსი თავიდან ბოლომდე შენარჩუნებულია. გიზიარებთ რამდენიმე ყურადსაღებ მონაკვეთს მათი ბლოგებიდან, ხოლო მათი მოსაზრებები, ემოციები და დამოკიდებულებები შეგიძლიათ იხილოთ მითითებულ ბმულზე.

„დედა ყოველთვის მასწავლის – „რაც შეგიძლია ყველაფერი გააკე-თე, რომ სხვებს გამოადგე“! ამ ფილმის ყურების შემდეგ თავს უბედურად ვგრძნობ. არ ვიცი რატომ?! მაგრამ მრცხვენია, რომ არაფრის გაკეთება არ შემიძლია!..“

„ზოგიერთ საზოგადოებაში წინააღმდეგობას ვერ იტანენ. ამის გამო უზღუ-დავენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. უილიამის სოფელს ჰყავდა ჭკვიანი წინამძღოლი. მან ქვეყნის პრეზიდენტს სიმართლე უთხრა, სახალ-ხოდ ისაუბრა მათ გასაჭირზე. ამის გამო მას მიკროფონი წაართვეს, სცემეს... საბოლოოდ ის გარდაიცვალა“.

„უფულობა – აქ გამოკვეთილი პრობლემის ცენტრს სწორედ მძიმე სოცი-ალური ფონი წარმოადგენს. ხალხი უსახსრობის გამო შიმშილობს. მთავარ პერსონაჟს სწორედ უფულობის გამო უკრძალავენ სკოლაში სიარულს. ასე-თი ფონი ბრბოს ფსიქოლოგიის გაღვივებას უწყობს ხელს. ხალხს გამოსავა-ლი არ აქვს და ქურდობას იწყებს...“.

http://temursukashvili.blogspot.com/2019/04/blog-post.html



შემოთავაზებული მიმართულებები, რა თქმა უნდა, არ არის უალტერნატივო. ის შეიძლება შეცვალოთ და გამოიყენოთ თქვენი შეხედულებისამებრ და მოარგოთ იმ კონკრეტულ გარემოს, სადაც გიწევთ მუშაობა.

საბედნიეროდ, მალავიში არსებული მძიმე სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა არ არის იდენტური ჩვენს ქვეყანაში არსებული პრობლემებისა, თუმცა საქართველოშიც გვხვდება დაბრკოლებები და მნიშვნელოვანია, მოსწავლეები დავაფიქროთ და ვასწავლოთ, თავად როგორ ეძებონ გამოსავალი, დავეხმაროთ იმის გათვითცნობიერებაში, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენენ და ძალუძთ, დიდი თუ მცირე წვლილი შეიტანონ გამოწვევების დაძლევაში.

კომენტარებში, სოციალური ქსელით სიამოვნებით მოვისმენ თქვენს გამოცდილებას.

ფილმი შეგიძლიათ ნახოთ აქ:

http://net.adjara.com/Movie/main?id=24968&q=SD&s=Georgian

როგორ გავიგოთ მეტი ევროპის შესახებ

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა გამოაცხადა კონკურსი მასწავლებლებისთვის სახელწოდებით: „ჩაატარე ლექცია ევროპის შესახებ“. კონკურსის პირობების მიხედვით აპლიკანტს მოეთხოვებოდა ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმის გაგზავნა. ჩემ მიერ მომზადებულმა გაკვეთილის გეგმამ და ჩატარებულმა გაკვეთილმა მოწონება დაიმსახურა, პროექტის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა და მე სხვა წარმატებულ კონკურსანტებთან ერთად ბრიუსელში გავემგზავრები.

მინდა გაგიზიაროთ ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილის თემატიკა, გეგმა და შემოკლებული ვიდეოვერსია.

პრობლემის აქტუალურობა

საქართველოში მკვეთრად იმატა ანტიდასავლურმა პროპაგანდამ და რიტორიკამ. სოციალურ ქსელებში, ბლოგებზე ხშირად ვაწყდებით ქსენოფობიური და ჰომოფობიური ლექსიკით მდიდარ წერილებსა და პოსტებს. ანტიდასავლური პროპაგანდის გავრცელებაში ყველაზე დიდ როლს მედია თამაშობს. შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და ა. შ. ანტიდასავლური პროპაგანდა ხშირად დაუსაბუთებელ შიშებზეა აგებული. მესიჯები ძირითადად რუსული ნარატივითაა გაჯერებული, ყურადღება მახვილდება ისეთ ფაქიზ თემებზე როგორებიცაა: სარწმუნოება და რელიგია, ტრადიციები და ღირებულებები. მისი მიზანია მოსახლეობის განწყობის შეცვლა, ევროპის, როგორც გარყვნილების ბუდედ წარმოჩენა.

ვასწავლი სკოლაში, სადაც მოსწავლეთა 95% ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია და ხშირ შემთხვევაში, მათ აქვთ მცდარი/არასწორი ინფორმაცია/წარმოდგენები ევროკავშირისა და ევროპული ფასეულობების შესახებ, რის მიზეზიცაა – სახელმწიფო ენის არცოდნა; საინფორმაციო საშუალებად უცხოური (ძირითად შემთხვევაში, პროპაგანდისტული) მედიასაშუალებების გამოყენება.

შედეგად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ევროპას საფრთხედ აღიქვამენ. თვლიან, რომ ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია საფრთხეს შეუქმნის მათ კულტურას, რელიგიასა და თვითმყოფადობას.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე NDI-ის მიერ ჩატარებული ბოლო კვლევებიც ცხადყოფს.

მაგალითად, აზერბაიჯანული თემის 8% მიიჩნევს რუსეთის სამხედრო აგრესიას საფრთხედ, მაშინ, როცა მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოკითხულთა 31% მიიჩნევს ამავე ქვეყანას აგრესიის შესაძლო წყაროდ. კვლევის იმავე ნაწილში ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ 10%-ით მესამე ადგილზეა ანტიდასავლური პროპაგანდა.

ამ სურათის გათვალისწინებით, მოსწავლეების ინფორმირება თეორიულ მასალაზე დაყრდნობით და პრაქტიკული მაგალითების ჩვენებით, გამოცდილების გაზიარებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე გამოვყავი საკვანძო საკითხები:

- **ევროპაში ეროვნული ფასეულობების პატივისცემა.**
  დანიის მაგალითის განხილვა;
- **ლინგვისტური, ეთნიკური, რელიგიური და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა.**
  საკანონმდებლო დოკუმენტების მიმოხილვა,
  მისი შედარება საქართველოს კანონმდებლობასთან;
- **კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება.**
  მოსალოდნელი შედეგი:
  მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ ევროპა დგას ფასეულობების და ტრადიციების დაცვის სადარაჯოზე. აღმოაჩენენ, რომ ევროპის ქვეყნებში საკანონმდებლო დონეზეა დაცული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები და ევროკავშირში ინტეგრაცია არ წარმოადგენს საფრთხეს საქართველოსთვის.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა N1 – მისალმება, სალექციო თემატიკის გაცნობა.

აქტივობა N2 – პრეზენტაცია – ანტიდასავლური პროპაგანდა საქართველოსა და ევროპაში.

ინტერაქტიული პრეზენტაციის ფარგლებში მიმოვიხილეთ ანტიდასავლური რიტორიკის ძირითადი მიმართულებები და მასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდები.

აქტივობა N3 – ვიდეოჩართვა დანიიდან.

ქ. სვენბორგის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი სანდრა კაროლინი საუბრობს იმის შესახებ, როგორ მოახერხა დანიამ ევროკავშირში ინტეგრაცია და ამავდროულად შეინარჩუნა მთელი რიგი თავისუფლებები.

აქტივობა N4 – T დიაგრამა – აქტივობის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნენ იმ დოკუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას ევროპაში. შემდეგ ის შევადარეთ საქართველოს კონსტიტუციასა და სხვა აქტებში არსებულ ჩანაწერებს.

ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენცია;
ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ;
„ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო-კონვენცია;

აქტივობა N5 – ჯიგსოუ – კლასი იყოფა ხუთ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

- საქართველო უმცირესობების, ღირებულებებისა და ტრადიციების დაცვის სადარაჯოზე;
- უმცირესობები და უმრავლესობები;
- ევროპის წინაშე არსებული სირთულეები;
- რამდენიმე სიტყვით ევროპული ინსტიტუტების ისტორიისა და ფასეულობების შესახებ;
- კულტურული მრავალფეროვნების ცნება.
- მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, ამუშავებენ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. შემდეგ ჯგუფის წევრები ცვლიან ადგილებს. ჯგუფებში დარჩენილი სპიკერები სხვა ჯგუფებიდან შემომატებულ მოსწავლეებს აწვდიან საკვანძო ინფორმაციას. შემდეგ მოსწავლეები ბრუნდებიან უკან და ავსებენ ფაზლის ბადეს. ხდება საკითხის გაერთიანება, გამთლიანება.

აქტივობა N6 – შესაძლებელია ფასეულობებით ვაჭრობა?

აქტივობის ფარგლებში დავარიგე ფასეულობებისა და ღირებულებების ბარათები. თითოეულ ჯგუფს შეხვდა 6-6 ბარათი. შემდეგ დაიწყო სიმულაცია. ჯგუფში განიხილეს და გადაწყვიტეს, რომელ ბარათს გაყიდდნენ და რომელს დაიტოვებდნენ.

აქტივობა N7 – შეჯამება ინტერაქტიული და სახალისო ტესტირების საშუალებით ბოლო ფაზაზე გამოვიყენე kahoot-ის პლატფორმა. კითხვები შეეხებოდა გაკვეთილის საკვანძო საკითხებს.

- გაკვეთილი ჩატარდა პროექტის ფარგლებში. შესაბამისად, არ მომეთხოვებოდა დროის ლიმიტის მკაცრი დაცვა. მოსწავლეთა უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეგიძლიათ, თქვენც ჩაატაროთ მსგავსი ტიპის გაკვეთილი და დაანახოთ მოსწავლეებს, რომ ევროპული ცივილიზაცია დგას ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვის საფარაჯოზე და ის არ წარმოადგენს საფრთხეს ჩვენი ქვეყნისთვის.

გაკვეთილის ვიდეო ბმული:
https://www.youtube.com/watch?v=yYKjMV3dYMw&feature=emb_title

წყაროები:

1. NDI -ს კვლევის შედეგები – https://1tv.ge/news/endiai-mosakhleobis-umravlesoba-fiqrobs-rom-qveynistvis-mtavar-safrtkhes-ruseti-warmoadgens/
2. დანია და ევროკავშირი – https://www.youtube.com/watch?v=3SKuqv_7EJg

ჩვენი წილი აფხაზეთი სკოლაში

90-იანი წლების თაობის წარმომადგენელი ვარ. აფხაზეთი ჩემს ცხოვრებაში მაშინ შემოიჭრა, როცა მე-6 კლასში ვიყავი. დღემდე მახსოვს ისტორიის მასწავლებლის მიერ ჩატარებული ღია გაკვეთილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის, სოფელ ალიბეგლოს შოთა რუსთაველის სახელობის სრულ საშუალო სკოლაში. XX საუკუნის დასასრულს რუკებისა და რამდენიმე წიგნის გარდა სხვა რესურსი არ ჰქონია. მაშინ მასწავლებელმა გვითხრა, რომ 1992-1993 წლებში საქართველომ ომი წააგო...

წერილზე მუშაობის დროს, ყმაწვილკაცობის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამახსენდა. 14-15 წლის ვიქნებოდი, როცა მამაჩემს ვეხმარებოდი ჩემს ძმასთან ერთად. თივას ვაგროვებდით ზვინებად. წყლის დასალევად და სულის მოსათქმელად მოვიჩრდილეთ. ზაფხული იყო – ზღვაზე დასვენების პერიოდი. საუბარი ქვიშიან სანაპიროზე ჩამოვარდა. მე და ჩემს ძმას ზღვა ჯერ არ გვენახა. მაშინ მამაჩემმა ერთი უცნაური პირობა მოგვცა. „აუცილებლად ჩაგიყვანთ სოხუმში, გავჩერდებით ზღვის ნაპირზე და ბრტყელ ქვებს ვისვრით თვალუწვდენელ წყალშიო“. იმ დროს მამაჩემის წყალობით, უკვე კარგად ვიცოდი, რა იყო აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და რა ფასი ედო ამ დაპირებას.

წლები გავიდა.

დღეს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტში ვმუშაობ მასწავლებლად.

სად იძენს ბავშვი ღირებულებებს? როგორ ყალიბდება ის პატრიოტ პიროვნებად?

ამაზე პასუხად ვიტყვი, რომ ოჯახი, გარემო და სკოლა ის სამკუთხედია, რომელიც მოქალაქეს აყალიბებს.

ეთნიკური უმცირესობების მშობლების ახლანდელ თაობას სახელმწიფო ენის ცოდნის სერიოზული პრობლემა აქვს (ცხადია, ამაში უდიდესი როლი მახინჯ საბჭოთა სისტემას მიუძღვის). შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი სამკუთხედიდან ერთი კუთხე ჩამოშლილია. მშობლებმა თვითონ არ იციან საქარ-

თველოს უახლესი ისტორია და ბავშვს რას აუხსნიან XX საუკუნის ავბედით წლებზე? აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მშობლებისთვის ძირითადი საინფორმაციო წყარო მეზობელი სახელმწიფოების მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებებია. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ „სიმართლეს“ აწვდიან იგივე რუსული ტელევიზიები აფხაზეთის კონფლიქტზე?

ჩემი აზრით, სასკოლო განათლების სისტემაში აფახაზეთის თემატიკა არ ისწავლება სიღრმისეულად. ინფორმაციის მიწოდება საკმარისი არ არის. ჩვენ გაბედულად უნდა ვისაუბროთ იმ არასწორ ნაბიჯებზე, შეცდომებზე, რუსეთის როლზე, რათა სრული სურათის დანახვა შევძლოთ. აქვე დავძენ – ხშირი ურთიერთობა მაქვს სხვა სკოლის მოსწავლეებთან, მისაუბრია მათთან და გულისტკივილით ვიტყვი – მომავალ თაობას ძალიან შორეული წარმოდგენა აქვს თუნდაც სოხუმზე.

არსებული რეალობის გათვალისწინებით უდიდესი როლი ენიჭება სასკოლო სივრცეს. შეიძლება შუა თბილისში, 1918-1921 წლის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა ოკუპაციის, აფხაზეთისა თუ სამაჩაბლოს კონფლიქტის, 1989 წლის 9 აპრილის და უახლესი ისტორიის სხვა მნიშვნელოვანი თარიღების გახსენება, გაანალიზება და შეფასება ერთი მნიშვნელობის იყოს, მაგრამ ეროვნული უმცირესობის სკოლებში სხვა დატვირთვას ატარებს.

ჩემი სკოლა ამ მხრივ გამორჩეულია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ აქ, სსიპ მარნეულის N2 საჯარო სკოლაში ჩვენი წილი აფხაზეთი გვაქვს.

2018 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით მოსწავლეები ბათუმში ჩავიყვანეთ. ზღვისპირა ქალაქში, სოხუმის გახსენების იდეა ბავშვებისგან წამოვიდა. მოსწავლეებს მარნეულიდან ბათუმის კერძო სკოლა „განათლების“ მოსწავლეებმა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მაია მენაბდემ უმასპინძლეს.

ეს იყო იმედით სავსე დღე საერთო განწყობით – ჩვენ დავბრუნდებით სოხუმში!

სკოლაში კლასის დამრიგებლები ყოველწლიურად ატარებენ საკლასო საათს, ისტორიის მასწავლებლები ცდილობენ სიღრმისეულად წარმოაჩინონ უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი დეტალები, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მართავენ დისკუსიებს კონფლიქტის თემატიკაზე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე და ამავე თემატიკაზე გადაღებულ ფილმებზე.

ყველა დამეთანხმებით, რომ მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა შეძლონ ნებისმიერი მოვლენის სხვადასხვა კუთხიდან შეფასება, გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. 26 და 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით რამდენიმე გაკვეთილი ჩავატარე VII და VIII კლასებში. კლასი დავყავი რამდენიმე ჯგუფად. დავურიგე სხვადასხვა მასალიდან მოპოვებული ადაპტირებული ტექსტები. თითოეულ ჯგუფს ქვემოთ ჩამოთვლილი თემებიდან უნდა ემსჯელა ერთ საკითხზე:

- აფხაზეთის ომის დაწყების წინარე ისტორია და მიზეზები;
- ქართული შინაგანი ჯარების/ბატალიონების ორგანიზება და მეთაურობა;
- რუსეთის როლი აფხაზეთის ომში;
- სოხუმის დაცემისა და ომის წაგების მიზეზები;
- აფხაზეთი რომ არ დაგვეკარგა...

მოსწავლეებმა დეტალურად და ნაბიჯ-ნაბიჯ გააანალიზეს აფხაზეთის ომის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები.

გააცნობიერეს, გულში ტკივილად იგრძნეს ომის წლებში გამოვლილი, მოგლეჯილი ნაწილები სამშობლო მიწიდან.

ამაყი ვიყავი, მათ რომ ვუსმენდი.



მომავლის რწმენა და იმედი მივსებდა გულს, რომ არაფერია დაკარგული, ჩვენი მომავალი განათლებაშია.

აქ დავასრულებ თხრობას.

ვიდეოები ღონისძიებიდან „აფხაზი ვარ“!

https://www.youtube.com/watch?v=q32626ok37Q&t=331s

https://www.youtube.com/watch?v=rUgoRqeJ2ul

შორენა ტყეშელაშვილი

1 სკოლა, ოჯახი და საზოგადოება – არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის 279

2 სკოლა ძალადობის პირისპირ 287

3 ბავშვს უნდა უსმინო და მიჰყვე 293

4 ბავშვებზე დაკვირვების დრო – ახალი აღმოჩენები 298

5 როგორ სურთ ბავშვებს თამაში? 301

6 ფანტაზიის განმავითარებელი წერითი დავალებები 305

7 ხშირად დასმული კითხვები ბავშვებისგან 308

სკოლა, ოჯახი და საზოგადოება – არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის

ოთხ მეთორმეტეკლასელს ერთ-ერთი სწრაფი კვების ობიექტში შემთხვევით ვხვდები. ისინი იმ თემაზე ლაპარაკობენ ხმამაღლა, რომელზეც ახლა დავიწყე მუშაობა – არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია. ოღონდ, ეს შინაურული საუბარია, გულწრფელი, მეგობრებს შორის. მივდივარ და ვთხოვ, თუ სურვილი ექნებათ, დამელაპარაკონ. მთანხმდებიან, ოღონდ სკოლა არ უნდა დავასახელოთ. ოთხი მეთორმეტეკლასელი- ნიკა, გიო, დავითი და ლუკა იწყებენ საუბარს, თუ რა პრობლემები აქვთ მოზარდებს სკოლაში, ვინ შეიძლება მათ დაეხმაროს, როდესაც კონფლიქტური სიტუაცია აქვთ. როგორ იცავენ თავს, რა როლი აქვს სკოლას და ოჯახს მოზარდის სრულფასოვნად ჩამოყალიბებაში, რა უბიძგებს მოზარდებს დანაშაულის ჩადენისკენ და ა. შ. ზოგჯერ რიგითობა ირღვევა, ერთმანეთს საუბარს აწყვეტინებენ, თუმცა მათი მოსმენა ძალიან საინტერესოა.

„ჩვენ არ ვართ იდეალური ადამიანები, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შეგვიძლია, რომ არ ვართ პროვოკატორები, ანუ აგრესიის წყარო. ჩვენც გვიწევს არასამართლებრივი გზებით თავის დაცვა, ანუ „ჩვენით“. მართალია, ვგმობთ ქუჩის აკადემიას, მაგრამ ზოგჯერ მისი ელემენტები გამოგვიყენებია. შეიძლება ადამიანი იყოს ძალადობის წინააღმდეგი, მაგრამ მაინც უწევდეს მისი ელემენტების გამოყენება თავის დასაცავად“, – ამბობს ლუკა.

როდესაც გარემოს შეფასებას ვთხოვ, ისინი სკოლის შესახებ იწყებენ საუბარს.

„ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ბავშვისთვის არის სკოლა. როგორია სკოლა, ეს ბავშვებისგან უნდა გაიგოთ, რადგან რეალური სიტუაცია მხოლოდ იმან იცის, ვინც იქ სწავლობს. სკოლები კი ძალიან განსხვავდება შინაარსით ერთმანეთისგან. გამიჭირდება იმის თქმა, სად არის ყველაზე უსაფრთხო და დაცული სკოლა, მაგრამ არის სკოლები, სადაც კარგი სწავლაა და სადაც ბავშვებს აქცევენ დიდ ყურადღებას, მაგრამ ისეთი სკოლებიც არის, სადაც ბავშვები არ სწავლობენ, არ კონტროლდებიან და „სხვანაირ“ ცხოვრებას მისდევენ. ეს სხვაობა სხვადასხვა გარემოს შორის ბევრ რამეს განაპირობებს მო-

მავალში. თუ არის ისეთი სკოლა, სადაც გარემო და ხალხი მობილიზებულია სწავლაზე, ბავშვებსაც ნაკლები აქვთ ინტერესი სხვა გზა აირჩიონ“.

ხორავას ქუჩის ინციდენტი, რომელსაც ორი მოზარდის სიცოცხლე შეეწირა ჩვენი საუბრის თემაც ხდება. ბიჭები ამბობენ, რომ ასეთი შემთხვევის დროს სკოლა ვერაფერს იზამს, რადგან სიტუაცია უკვე ქუჩაში ინაცვლებს, სადაც მანდატურს და სკოლის ადმინისტრაციას აღარ შეუძლია გააკონტროლოს ვითარება. „მაინც ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც მოხდა“ – ამ სიტყვებს ხშირად იმეორებენ და ამბობენ, რომ ყველაზე მთავარი იმ ღირებულებების და მენტალობის შეცვლაა, რომელიც მოზარდებს აქვთ და „ქუჩის აკადემია“ ისევ აქტუალურია.

„ინციდენტებისგან დაზღვეული არავინ არის. შეიძლება კარგ სკოლაში სწავლობდე, კარგი პირობები გქონდეს და ვიღაც შეგეჩეხოს ქუჩაში და რაღაც მოხდეს. კონფლიქტების მოგვარების მთავარი საშუალება არის ბავშვის ფსიქოლოგიის სწორად ჩამოყალიბება. გარემოში კი მარტო მასწავლებელი არ მოიაზრება, მიუხედავად იმისა, რომ მას მართლაც დიდი როლი აქვს, ვერც მასწავლებელი და ვერც მანდატური საბოლოოდ ვერაფერს ვერ ცვლიან. ოჯახი, მშობლები, გარემო, ინტერესები, სპორტი და სკოლა, თუ ყველა ერთად არის ჩართული მოზარდის განვითარებაში, ალბათ რაღაც გამოვა. ის ბავშვები კი მაინც იჩხუბებდნენ ან მეორე დღეს, ან მესამე დღეს. თავიდან აგრესიულ ინციდენტებს ცდილობ გაერიდო, მაგრამ თუ მოძალადე ისევ აგრძელებს ძალადობას და ზემოქმედებას, იძულებული ხდები უპასუხო. ზოგჯერ, არპასუხის შემთხვევაში უფრო უარესი ხდება. ყველა სხვადასხვანაირად მანევრირებს. ყველა მომენტში ვერ გაერიდები“ – ამბობს ნიკა.

ვინ შეიძლება დაეხმაროს მოზარდს მსგავს სიტუაციაში, როდესაც მას კონფლიქტური სიტუაცია აქვს და გადაწყვეტის გზებიც არავინ იცის, როგორ განვითარდება. კლასელებიდან ერთ-ერთი დავითი ამბობს, თუ ვინ შეძლებდა მათ დახმარებას. ეს ალბათ უფროსი მეგობარი იქნებოდა. მისი თქმით, ასეთ დროს, უმეტესწილად მშვიდობიანად გვარდება კონფლიქტი.

„ძალიან არარეალურია კონფლიქტური სიტუაციის დროს მე-12 კლასელმა ბიჭმა მასწავლებელი ჩარიოს. ხშირად მშობელსაც ვერ უმხელს ბავშვი საკუთარ პრობლემას. ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის და შვილის სიახლოვე ასეთ დროს, რომ შვილმა მშობელს თავისი გულისტკივილი გაუმხილოს. თუმცა, ეს ურთიერთობა თავიდანვე მყარი უნდა იყოს. ჩემი აზრით, სკოლაში ფსიქოლოგის არსებობა მსგავს პრობლემებს უფრო ეფექტურად გადაჭრიდა.

ჩვენს სკოლაშიც ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის, მაგრამ ვფიქრობ, ნაკლებად ეფექტურია. ერთჯერადი შეხვედრები ვერაფერს ცვლის. ბულინგის მსხვერპლს სხვანაირად უნდა დაელაპარაკო, ბულინგის ინიციატორს სხვანაირად და ერთიანი ტრენინგები ამას ვერ შველის. ბულინგის მსხვერპლი ტრენინგზე არ მოყვება თავის ისტორიას და არც მოძალადე აღიარებს თავის დანაშაულს. ამით კი ძნელია რამის მიღწევა. რაღაც რეჟიმში ფსიქოლოგთან შეხვედრა, ვფიქრობ, სიტუაციას ბევრად შეცვლიდა. სკოლებში უნდა იყვნენ ფსიქოლოგები. ის უფრო ადვილად შეამჩნევს, რა პრობლემები აქვს ბავშვს და უფრო დაეხმარება“, – ამბობს ლუკა.

ზვიად ხაფავა ოთხი შვილის – ზუკას, ნატალის, იოანას და მირიანის მამაა. ასევე მას წალკის რაიონში, დაბა ბედიანის ბავშვთა ცენტრის ხელმძღვანელობა აბარია. სექტემბერში ზვიადის ოჯახი ბედიანიდან თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, თვითონ კი ძირითადად ბედიანში უწევს ყოფნა, თუმცა ცდილობს, შვილებთან მჭიდრო ურთიერთობა შეინარჩუნოს და კრიტიკულ მომენტში მათ გვერდით იყოს. ქალაქის სკოლაში ზვიადის შვილებს სხვადასხვა სირთულეები დახვდათ. ყველაზე რთული კი ახალ სკოლაში დამკვიდრება 12 წლის ზუკასთვის აღმოჩნდა.

„მე ხან თბილისში ვარ, ხან ბედიანში. ყოველდღე ტელეფონით მაქვს კონტაქტი ბავშვებთან. თბილისში როცა ვარ, აუცილებლად მე მიმყავს ზუკა ვარჯიშზე, მე მიმყავს სკოლაში, მარტო იმიტომ არა, რომ მე მიხარია, უბრალოდ ისინი ძალიან ბედნიერები არიან, თუ მივაკითხე და მე წავიყვანე სახლში. თვითონ ითხოვენ მამის მხრიდან ძალიან დიდ ჩართულობას. ზუკა 12 წლისაა და მე-7 კლასშია და ისეთი ასაკი აქვს, სხვანაირად უნდა ელაპარაკო. მეც ვცდილობ ფსიქოლოგების რჩევები გავითვალისწინო და მეგობარი მშობლების გამოცდილებაც, რომლებმაც ეს ეტაპები უკვე გაიარეს. ფსიქოლოგებთან მარტო ჩემი შვილების გამო არ მივდივარ, ხშირად მიწევს კონსულტაციების გავლა ბედიანის ბავშვთა ცენტრის აღსაზრდელების გამოც. ამიტომ, მათთან ხშირად მაქვს კომუნიკაცია და მათი რჩევები ძალიან მეხმარება. ზუკასაც და ბავშვთა ცენტრის აღსაზრდელებს ყოველთვის ვეუბნები – შენ ნუ დაჩაგრავ, შენ ნუ იქნები მოძალადე, შენ ნუ იქნები დამნაშავე, ყოველთვის იყავი მართალი. ერთხელ ასეთი რაღაც მოხდა, ზუკას მეგობარს მოუვიდა კონფლიქტი ბავშვთან და როგორც ხდება, გაკვეთილების შემდეგ წავიდნენ საქმის „გასარჩევად“. ეს ამბავიც ჩხუბით დასრულდა და მერე სკოლაში იყო

მტყუან-მართლის გარკვევა... ისე გამოვიდა, რომ მარტო ზუკას უნდა ეთქვა, რაც მოხდა სინამდვილეში. როდესაც დამირეკა და მკითხა, როგორ მოქცეულიყო, მე ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდი და ვერ ვუთხარი, რომ სიმართლე ეთქვა. მე ვიცი, რომ ყოველთვის სიმართლე უნდა ვილაპარაკო, მაგრამ ჩემი შვილი ვერ ჩავაყენე ამ მდგომარეობაში. ასეთ დროს ყველას თვალში ცუდი ტიპი ხდები, გოგოების თვალში, ბიჭების თვალში, მეგობრების თვალში, ძალიან ცუდი იარლიყების მიკერება ხდება, თან რთული ასაკი აქვს. ვწუხვარ, რომ არ ვურჩიე, ადექი და ყველაფერი მოყევითქო, მით უმეტეს, როდესაც ცალსახად, მათ მხარეს იყო სიმართლე“.

ნანა ბიჩინაშვილი არასამთავრობო ორგანიზაცია „კონფლიქტების მართვისა და მშვიდობის მშენებლობის ახალგაზრდული ცენტრის“ დამფუძნებელია. ორგანიზაცია ხუთი წელია სასკოლო კონფლიქტების შესწავლითა და მართვით არის დაინტერესებული. სკოლებში კონფლიქტის პრევენციისთვის სამ სამიზნე რგოლთან უწევთ მუშაობა, – მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. ორგანიზაცია ამ დროისათვის ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში „მოვუსმინოთ მოსწავლეებს“. ნანა გვიყვება: „შეხვედრებმა დაგვანახეს, რომ მოსწავლეებს შორის ყველაზე მწვავე პრობლემად დგას ერთმანეთის დაცინვა ჩაცმის ინდივიდუალური სტილის, ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის გამო. ისინი ფიქრობენ, რომ თავდაცვის ერთ-ერთი გზა ასეთ ვითარებაში აგრესიაზე აგრესიით პასუხია ან მეორე უკიდურესობა – იგნორით პოზიციის გამოხატვა. მათთან მუშაობით ვცდილობთ, მოსწავლეებს დავანახოთ, რომ კონფლიქტი მხოლოდ საშიში და შემზარავი მოვლენა არ არის, რომ მისი კონსტრუქციულად მოგვარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებას უწყობს ხელს. დღესდღეობით სკოლების უმეტესობა ორიენტირებულია მოვალეობის მინიმუმის შესრულებაზე – მოსწავლე სკოლიდან გაუშვას ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატით“. ნანა ამბობს, თუ სკოლა უფრო ღია იქნება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო დაწესებულებებთან კავშირისათვის, ასეთ ურთიერთობებს და კავშირებს შეუძლია სკოლის გაძლიერება.

„არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი ანა სუბელიანი გვეუბნება, რომ მის ორგანიზაციას ახლა უკვე საჯარო სკოლებთანაც შეუძლია მუშაობა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით, თუმცა მათთან თანამშრომლობის დაწყებას რამდენიმე წელი დასჭირდა. ანა ფიქრობს, რომ სკოლა ფაქტობრივ ცოდნასთან ერთად,

მოზარდს უნდა დაეხმაროს სრულყოფილ სოციალურ ფუნქციონირებაში, სწორი ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში და ჯანსაღ განვითარებაში.

„მასწავლებელი ვალდებულია, ამოიცნოს ბავშვზე ძალადობისა და უგულებელყოფის შემთხვევა და გადაამისამართოს სოციალური მომსახურების სააგენტოში, რაც უმეტესად არ სრულდება. ამ მექანიზმს სკოლები მხოლოდ უკიდურეს, განსაკუთრებით კრიზისულ შემთხვევებში იყენებენ, როდესაც ჩარევა უმეტესად დაგვიანებულია. სამწუხაროდ, განათლების სამინისტროს არ აქვს მკაფიოდ გააზრებული ამ მიმართულებით მუშაობის აუცილებლობა. დღემდე არცერთ მინისტრს არ წარმოუდგენია ბულინგისა და დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მკაფიო დოკუმენტი. აუცილებელია, ყურადღების გამახვილება იმ მოზარდებზე, რომლებიც არ იმყოფებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკში, ანუ 14 წლის ჯერ არ გამხდარან, თუმცა ჩადიან ქმედებას, რომელიც დაკვალიფიცირდებოდა დანაშაულად, 14 წელს მიტანებული რომ იყვნენ. ამიტომ მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამების არსებობა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული სკოლის და მისი თემის საჭიროებას, ერგება კონკრეტულ ბავშვებს, მშობლებს და მასწავლებლებს, მიზნად ისახავს ბულინგის პრევენციას, მის ადრეულ გამოვლინებას, მასზე სწორი რეაგირების მექანიზმის შექმნას და გამოყენებას“ – ამბობს ანა სუბელიანი.

რა გზებით ცდილობს სკოლა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას, ამის შესახებ აზრი მარნეულის N2 საჯარო სკოლის დირექტორს, შორენა ხუხუას ვკითხეთ. სკოლა მრავალეთნიკურია და მრავალრიცხოვანი. სკოლაში 1300-მდე მოსწავლე სწავლობს. სკოლის დირექტორი ამბობს, რომ პრობლემები ამ მიმართულებით ყველა სკოლაშია და არც მისი სკოლაა გამონაკლისი, თუმცა მიზანმიმართული მუშაობის შედეგად შემთხვევები შემცირდა და სკოლის ადმინისტრაციის დასაყრდენს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით მუშაობაში მასწავლებლებთან ერთად, უკვე მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოადგენს.

„ძალიან ბევრ მასწავლებელს გაუკვირდა, როცა დიდი დრო დავუთმეთ მოსწავლეთა თვითმართველობის ფორმირებას და გაერთიანებას. თვითმართველობა ყურადღებას აქცევს კლასებში კონფლიქტის მცდელობებს, ცდილობს დაგეგმოს ღონისძიებები, აქტივობები ბულინგის აღმოსაფხვრელად. საბაზო და საშუალო საფეხურზე ყველა კლასიდან ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა საფრთხეების წინაშე ვდგავართ და ერთობლივი აქტივობები

ძალადობის პრევენციისთვის უფრო ეფექტურია. სკოლისთვის ძალიან დიდი გამოწვევაა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, ამიტომ ნებისმიერი პრევენციული ხასიათის ღონისძიება თუ აქტივობა პედაგოგის განსახორციელებელია, რადგან ის უკეთ იცნობს თავის მოსწავლეებს და შეუძლია საფრთხეების გაანალიზება. კლასის დამრიგებელი თუ გულწრფელი და ყურადღებიანია, თუ ხშირად ესაუბრება მოსწავლეებს, აუცილებლად იგრძნობს კლასის გულისცემას. უმთავრესია, კლასი შეიკრას ერთ გუნდად, ამიტომ კარგია სპორტული შეჯიბრი სხვა კლასთან, სხვა სკოლასთან, ლაშქრობები, სირთულეების დაძლევა ერთად, როცა მოსწავლე ერთი ჯგუფისადმი მიკუთვნებულობას და საჭიროებას გრძნობს. მთავარია, მოზარდმა იგრძნოს, რომ მისი სჯერათ, უყვართ და ენდობიან“.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ერთიანი პოლიტიკის, სტრატეგიისა და დანაშაულის პრევენციის კოორდინაციას სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ ახორციელებს, რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. არასრულწლოვანთა დანაშაულის სტრატეგიაში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებები დაყოფილია მიზნობრივი ჯგუფისა და პრობლემის განვითარების სტადიის მიხედვით: პირველადი/ადრეული პრევენცია მიმართულია ყველა არასრულწლოვანზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. მეორე დონის პრევენცია ორიენტირებულია დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებზე – რისკ ჯგუფებისა და დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებაზე. მესამე დონის პრევენცია გამიზნულია განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებაზე, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დანაშაულის პირველი დონის პრევენციის სამმართველოს უფროსი მაია ნასრაშვილი ამბობს, რომ სოციალიზაციის პროცესში გამოყოფილია რამდენიმე მნიშვნელოვანი სფერო: ოჯახი, განათლება, საზოგადოება და მასმედია. მიჩნეულია, რომ ამ სფეროების განვითარების გზით, შესაძლებელია არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია.

„2017 წლიდან დაიწყო დანაშაულის პრევენციის მიმართულებით საგანმანათლებლო თუ ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების გაძლიერება, მათი ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების განვითარება. კერძოდ, შეიქმნა

ტრენინგ-სემინარები, ადრეული პრევენცია განათლების სისტემაში და ადრეული პრევენცია ზრუნვის სისტემაში. განათლების სამინისტროდან პროცესში ჩართული არიან სკოლის დირექტორები, სკოლის სპეცპედაგოგები, ფსიქოლოგები და მასწავლებლები. დანაშაულის პრევენციის ცენტრი მიზნების მიღწევისათვის იყენებს არაფორმალური განათლების ინსტრუმენტს, როგორც უშუალოდ ახალგაზრდებთან, ასევე პედაგოგებთან და მშობლებთან" – გვეუბნება მაია ნასრაშვილი.

ფსიქოლოგი მაია ცირამუა, ანტისოციალური ქცევის ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად თავად მოზარდობის ასაკობრივ თავისებურებებს და ცვლილებებს მიიჩნევს. როდესაც მოზარდი უფრო იოლად ღიზიანდება, პროტესტს უფრო მეტად გამოხატავს, იზრდება თანატოლებთან თვითდამკვიდრების, ინტეგრაციის სურვილი, როდესაც იმატებს სარისკო ქცევების და სარისკო სიტუაციებში აღმოჩენის სურვილი, რომელიც მოზარდს ეხმარება საკუთარი იდენტობის და საკუთარი „მე" კონცეფციის განსაზღვრაში.

„ძალიან ბევრი სარისკო რამ დევს მოზარდობის ასაკში, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ანტისოციალურ ქცევას. ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი თავად მოზარდობის ასაკია. ამას ემატება სხვადასხვა ტიპის გარემოებები, ძალადობის გამოცდილება, ძალადობის შემსწრეობა ოჯახში, კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში, თუ ის სკოლაში არ არის აღიარებული, თუ ის ბულინგის მსხვერპლია და ა. შ. ეს კიდევ უფრო მეტად ზრდის ანტისოციალური ქცევის რისკებს. სარისკო ფაქტორები არ არის მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე, უნდა შევხედოთ გლობალურად, რომ სარისკო გარემოებები არის ოჯახშიც, სკოლაშიც და იმ საზოგადოებაშიც, სადაც ეს მოზარდი ცხოვრობს. ეს ძალიან კომპლექსური, მულტიფაქტორული საკითხია, რასაც მიჰყავს მოზარდი ანტისოციალურ ქცევასთან. თუ ინდივიდუალურ დონეზე განვიხილავთ იმ მოზარდების ქცევას, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მოდიან, ისინი გარკვეული უნარების დეფიციტს განიცდიან. ეს არის სოციალური უნარების დეფიციტი, თვითრეგულაციის უნარის დეფიციტი, არაძალადობრივი კომუნიკაციის დამყარების უნარი, როცა მოზარდი მოკლებულია უნარს გაუძლოს თანატოლების დევიაციურ ზეწოლას. ინდივიდუალურ დონეზე ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია მოზარდის მორალური განვითარების შეფერხება. ასევე რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ძალადობრივი აღზრდა, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ანტისოციალურ ქცევას. თუ მოზარდთან ძალადობრივ კომუნიკაციაში შედიოდნენ, ღირსებას ულახავდნენ, ფიზიკურად ეხებოდნენ, ემოციურ ზეწოლას ახ-

დენდნენ, მას ახლა ეს სოციალური მოდელი აქვს აღებული და ამ მოდელით იწყებს ურთიერთობას სხვა ადამიანთან. ასეთი ტრავმული და ძალადობრივი გამოცდილება, არაერთხელ განცდილი და პერმანენტული, ხშირ შემთხვევაში ადამიანს უჩენს რევანშისტულ იმპულსებს და იგი რევანშისთვის ეძებს თავის მსხვერპლებს. თუ სკოლის პრიზმიდან შევხედავთ ამ საკითხს, ძალიან ხშირად ის ბავშვები, რომლებსაც აქვთ გარკვეული ტიპის სწავლის უნარის დარღვევები, ვერ ახერხებენ კლასთან ინტეგრაციას, არ უყალიბდებათ თვითეფექტურობის განცდა, ჩამორჩებიან სწავლაში, ამ შემთხვევაშიც სკოლის როლი არის ძალიან დიდი. სკოლას კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული ანტიბულინგური პროგრამები, რომელიც ბავშვსაც და თანატოლებსაც დაიცავს ძალადობრივი ურთიერთობისგან. სკოლამ უნდა აწარმოოს ძალადობრივი შემთხვევის ორივე მხარესთან მიზანმიმართული მუშაობა, არ მოახდინოს უფრო მეტი ვიქტიმიზაცია, დაეხმაროს მათ სოციალური უნარების შეძენაში. სკოლა უნდა აძლევდეს ბავშვს ამ ყველაფერს და განათლების სისტემის როლი, ამ მხრივ, ძალიან დიდია, მაგრამ მარტო ერთი უწყება ვერაფერს გახდება, ეს არ უნდა იყოს მარტო სკოლის ვალდებულება, ასეთ დროს პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს ყველა უწყება“ – ამბობს მაია ცირამუა, რომელიც ორგანიზაცია GCRT-ის თანამშრომელია და ანტისოციალური ქცევის რისკის ქვეშ მყოფ მოზარდებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ფოკუსში ვეცადეთ გაგვერკვია, რას ფიქრობენ თავად მოზარდები ამ თემაზე, როგორ შეიძლება დაეხმაროს მას ოჯახი, სკოლა და საზოგადოება, რათა მან სწორად განსაზღვროს ცხოვრებისეული ღირებულებები და თავიდან აირიდოს ანტისოციალური ქცევა.

სკოლა ძალადობის პირისპირ

UEESCO-ის მონაცემებით, ყოველწლიურად 246 მილიონი ბავშვი სასკოლო ძალადობისა და ბულინგის მსხვერპლია. როგორია სახელმწიფო პოლიტიკა ამ პრობლემის დასაძლევად და რას უნდა აკეთებდეს სკოლა ძალადობრივი ფაქტების შესამცირებლად – ამ და სხვა საკითხებზე პროფესიით იურისტსა და სპეციალური განათლების სპეციალისტს, ანა ქათამაძეს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.

ბულინგის ბევრნაირი ფორმა არსებობს. რომელია სასკოლო ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა?

სამწუხაროდ, საქართველოში ბულინგის პრობლემა კონკრეტული კვლევის ფარგლებში შესწავლილი არ არის. აღნიშნული თანაბრად ეხება ბულინგის ყველაზე გავრცელებულ ფორმებსა და შედეგებს ბულინგის პროცესში მონაწილე ყველა ბავშვის მიმართ, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მუშაობის დაგეგმვას და ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის უფრო ფრაგმენტულ ხასიათს განაპირობებს. არსებობს კონკრეტული კვლევები, რომლებიც ბულინგის საკითხს ბავშვთა უფლებებისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ჭრილში განიხილავს, თუმცა არ იძლევა საკითხის სიღრმისეული შესწავლის საშუალებას საქართველოში ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმების შესახებ. მაგალითად, გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ 2007-2008 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა 47.1% სკოლაში ფიზიკურ, 47.5% ფსიქოლოგიურ, ხოლო 7.3% სქესობრივ ძალადობას განიცდიდა.[i] ბულინგის პრობლემის აქტუალობაზე საუბრობს თავის ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველიც, რომლის თანახმადაც სკოლაში ხშირია მოსწავლის დამცირება, ზედმეტსახელის დარქმევა, დაცინვა, ჭორების გავრცელება, გარიყვა, ფიზიკური შეურაცხყოფა, პირადი ნივთების გადამალვა და კიბერბულინგი. [ii]

რა გავლენას ახდენს ასეთი გარემო საგანმანათლებლო პროცესზე?

ძალადობისგან თავისუფალ გარემოში სწავლა ყველა ბავშვის უფლებაა. როდესაც სასწავლო გარემო მათთვის უსაფრთხო ადგილს აღარ წარმოადგენს, ინტერესი სასკოლო ცხოვრების მიმართ იკლებს. ბავშვები, რომლებიც განიცდიან ბულინგს, ხშირად თავს არიდებენ სკოლას და სასკოლო ღონისძიებებს, ეძებენ სკოლაში არწასვლის მიზეზებს, უარესდება მათი აკადემიური მოსწრება, კარგავენ ინტერესს საგაკვეთილო პროცესის მიმართ და სხვა. ბავშვები, რომლებიც ახორციელებენ ძალადობას სკოლის მიღმა დარჩენის, ანტისოციალურ ან დანაშაულებრივ ქმედებებში ჩაბმის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ბავშვებს, რომლებიც განიცდიან ბულინგს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში აწუხებთ შფოთვა, შიში, მარტოსულობის განცდა, დეპრესია, ექმნებათ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სპეციფიკური პრობლემები, შეიძლება აწუხებდეთ სუიციდური აზრები. ბულინგი უარყოფითად მოქმედებს ბულინგის მოწმე ბავშვებზეც – დანაშაულის გრძნობა უმოქმედობის გამო, ბრაზი, შიში, რომ ის იქნება შემდეგი და სხვა. რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფითად აისახება მათ შორის საგანმანათლებლო პროცესზეც.

რა უნდა გააკეთოს სკოლამ, რა პრევენციული გზების გამონახვა არის საჭირო ძალადობრივი ფაქტების შესამცირებლად და თავიდან ასარიდებლად?

პირველ რიგში, ყველამ უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ ბულინგი, როგორც სოციალური მოვლენა, ყველა სკოლაში არსებობს. მიდგომა – „ჩვენს სკოლაში ბულინგი არ არის“ – ყველაზე მეტად უშლის ხელს პრობლემის მოგვარებას. აუცილებელია, რომ სკოლებში ბულინგის დაძლევა განათლების პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად განისაზღვროს, შემუშავდეს სასწავლო გეგმებში ინტეგრირებული ბულინგის პრევენციისა და რეაგირების სპეციალური პროგრამები, შეიქმნას ბულინგის შესახებ მიმართვიანობისა და ბულინგის ფაქტების გამოძიების ეფექტური სისტემა, ჩატარდეს ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული კამპანიები და ამ პროცესში თანაბრად იყოს ჩართული როგორც სკოლის ადმინისტრაცია და პერსონალი, ასევე მშობლები და თავად მოსწავლეები. უნდა ვიმუშაოთ იმ ბავშვებთან, ვინც ავლენს ბუ-

ლინგის სუბიექტის ან ობიექტის ქცევას, ასევე უნდა დაინერგოს ადრეული ინტერვენციის პროგრამები ბავშვების უფრო ფართო ჯგუფებისთვის. რაც მთავარია, ბულინგის არცერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე, ყველამ უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ დახმარება არა მხოლოდ ბულინგის მსხვერპლს, არამედ ბულინგის ინიციატორსაც სჭირდება. სკოლამ უნდა იზრუნოს უსაფრთხო და ტოლერანტული სასწავლო გარემოს შექმნაზეც, მაშინაც კი, როდესაც სკოლაში არ მოქმედებს ბულინგის საწინააღმდეგო პროგრამა, პოზიტიური და მხარდამჭერი საკლასო გარემო ხელს უწყობს სკოლაში ბულინგის შემცირებას.

რამდენად სერიოზულად აღიქმება მოსწავლეთა შორის ძალადობა ადმინისტრაციის მხრიდან და მსგავსი ფაქტების იდენტიფიცირება ძალადობასთან?

ბულინგი იშვიათად აღიქმება როგორც ძალადობა. მას ხშირად მიაწერენ „ბავშვობის ასაკისთვის დამახასიათებელ ქცევებს“, რომლის მსგავსიც ყველას განგვიცდია და რომელიც მალე გაივლის. ეს ბულინგთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითია. საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“[iii] ბავშვზე ძალადობის ეჭვის არსებობის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებას ანიჭებს ვალდებულებას, მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს. ბულინგიც ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი ხშირად საერთოდ არ აღიქმება ძალადობად. შესაბამისად, სკოლების მიერ დადგენილებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის გააზრება გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს. სახალხო დამცველის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლის პერსონალის მხრიდან ბულინგის შემთხვევები, ძირითადად, ბავშვურ ხუმრობად და ერთჯერად შელაპარაკებად არის აღქმული. [iv]

რამდენად აქცევს სახელმწიფო ყურადღებას ბულინგის პრობლემას? არსებობს თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ამ პრობლემის დაძლევისკენაა მიმართული?

ბულინგის დაძლევისკენ მიმართული პოლიტიკა სახელმწიფოს არ გააჩნია. აღნიშნული პოლიტიკა, პირველ რიგში, მტკიცებულებებზე დაყრდნობით

განსაზღვრულ მიმართულებებს უნდა ეფუძნებოდეს. საქართველოში კი ჯერ არცერთი კვლევა არ ჩატარებულა, რომელიც სიღრმისეულად შეისწავლიდა ბულინგის პრობლემის აქტუალობას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და მის გავრცელებას. შესაბამისად, დღესდღეობით არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ამ საკითხზე არგუმენტირებული მსჯელობის საშუალებას მოგვცემდა. არ არსებობს ინფორმაცია სკოლებში ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმებისა და ბულინგის შედეგების შესახებ, სკოლებისთვის შემუშავებული არ არის სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც სკოლის პერსონალს ბულინგის შემთხვევების იდენტიფიცირებასა და ბულინგის პრევენცია-ინტერვენციის მექანიზმების დანერგვაში დაეხმარებოდა. მართალია, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი [v] პირდაპირ კრძალავს სკოლებში ძალადობას, თუმცა ეს რეგულაცია უფრო ზოგად ხასიათს ატარებს. ბულინგი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად საერთოდ არ განიხილება, როგორც ძალადობა და, შესაბამისად, არც ამ მუხლში მოიაზრება. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ბულინგის, როგორც ძალადობის სპეციფიკური ფორმის რეგულირება და დაიწყოს მისი დაძლევისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავება. ეს პოლიტიკა, თავის მხრივ, უნდა იყოს სახელმწიფოს ერთიანი სისტემური ხედვა, სადაც არა მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, არამედ სხვა მომიჯნავე უწყებებს, მაგალითად, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საკუთარი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს განსაზღვრული.

როგორია ამ მხრივ საზოგადოების ცნობიერების დონე?
რა უნდა გაკეთდეს მათი უფრო მეტი ინფორმირებისთვის?

ძალიან დაბალი. თუმცა ეს მხოლოდ ბულინგის პრობლემას არ უკავშირდება. ქართული საზოგადოება ხშირად არათუ მიმღებლურია ბავშვების მხრიდან აგრესიისა და ძალადობის გამოვლენის მიმართ, რიგ შემთხვევებში, ახალისებს კიდეც მას. ჩვენი საზოგადოება ძალადობის ერთგვარ ლეგიტიმაციას ახდენს აღზრდის იმ მეთოდებით, რომელსაც მშობლები იყენებენ. მაგალითად, ხშირად ძალადობა კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთ გზად მიიჩნევა. ჩვენ არ ვუსმენთ ბავშვებს, არ აღვიქვამთ მათ ჩვენს თანასწორ „პატარა ადამიანებად" და გვგონია, რომ არც მათ ესმით ჩვენი. ვამბობთ ხოლმე,

რომ ჩვენ უკეთ ვიცით, მათთვის რა სჯობს და ა. შ. სინამდვილეში ბავშვებს ყველაფერი ესმით და ყველაფერს ზუსტად ისე ხედავენ, როგორც არის. მათთვის ნაცნობი „დიდი ადამიანების“ ქცევის მოდელი კი მარტივად გადააქვთ რეალურ ცხოვრებაში.

როგორია ბულინგის ძირითადი ფორმები, როგორ უნდა ამოიცნოს ის მშობელმა, მასწავლებელმა?

ბულინგის ხუთი ძირითადი ფორმა არსებობს: ფიზიკური ბულინგი, რაც გულისხმობს ფიზიკურ თავდასხმასა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს; ვერბალური ბულინგი, რომელიც მოიცავს სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას, დამამცირებელი კომენტარების გაკეთებას, მეტსახელების დარქმევას, დაცინვას და ა. შ.; სოციალური ბულინგი გულისხმობს ადამიანის სოციალური ურთიერთობებისთვის ან რეპუტაციისთვის ზიანის მიყენებას; სექსუალური ბულინგია, როდესაც ადგილი აქვს სექსუალური ხასიათის კომენტარებს, არასასურველ შეხებას, შეურაცხმყოფელი სახელების დაძახებას და კიბერბულინგი. გავრცელებული მითია, რომ რადგან კიბერბულინგის შემთხვევაში ფიზიკური კონტაქტი არ არსებობს, ის ნაკლებად საზიანოა, თუმცა კიბერბულინგის ისეთი ფორმები, როგორიცაა ვირტუალური ადევნება, დამამცირებელი მესიჯების გაგზავნა ან კომენტარების დატოვება, კონფიდენციალური მიმოწერის გასაჯაროება და ა. შ., ისეთივე მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვის ცხოვრებაზე, როგორც ბულინგის სხვა ფორმები.

რაც შეეხება ბულინგის შემთხვევების იდენტიფიცირებას, მარტივი პროცესი ნამდვილად არ არის. ბულინგის ნიშნები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიძლება არც იძლეოდეს იდენტიფიცირების საშუალებას, თუმცა რამდენიმე ნიშნის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება. მაგალითად, ბულინგის მსხვერპლი ბავშვები ხშირად თავს არიდებენ სკოლას და სასკოლო ღონისძიებებს, სოციალურ ურთიერთობებს, ეცვლებათ კვებასთან და ძილთან დაკავშირებული ჩვევები და რეჟიმი, ახასიათებთ სხვადასხვა თვითდესტრუქციული ქცევები (სახლიდან გაქცევა, თვითდაზიანება, საუბრები სუიციდიზე). ბულინგის ინიციატორი ბავშვები კი ხშირად გამოხატავენ დადებით დამოკიდებულებას ძალადობის მიმართ, გადამეტებულად ზრუნავენ საკუთარ რეპუტაციაზე, ახასიათებთ აგრესიულობა თანატოლებისა და უფროსების მიმართ, ნაკლებად გამოხატავენ თანაგრძნობას, შეიძლება

ადანაშაულებდეს მსხვერპლს ან ამბობდეს, რომ მან ეს დაიმსახურა და ა. შ. მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ბულინგის ინიციატორი ხშირად თავად არის ბულინგის მსხვერპლი, თუმცა რამდენადაც მოკლებულია წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას, თავად ახორციელებს ბულინგს მასზე უმცროსი ან „სუსტი“ ბავშვების მიმართ. ნებისმიერ შემთხვევაში, თავიდან უნდა ავირიდოთ მისთვის მოძალადის იარლიყის მიკერება და გავაცნობიეროთ, რომ დახმარება მასაც სჭირდება.

როგორ უნდა დაეხმაროს სკოლა ორივე მხარეს პრობლემის მოგვარებაში?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ რიგში, უნდა მოხდეს პრობლემის აღიარება, ხოლო შემდეგ სკოლის დონეზე ბულინგის პრევენციის პროგრამებისა და ინტერვენციის ეფექტური მექანიზმის დანერგვა. გარდა ამისა, თითოეულ სკოლას უნდა ჰყავდეს სპეციალურად შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი პროფესიონალი, რომელიც იმუშავებს ბულინგის პროცესში ჩართულ ბავშვებთან და კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის დახმარებას გასწევს. თუმცა ამ საკითხზე სამუშაოდ მხოლოდ სკოლის ბაზაზე რაიმე მექანიზმისა და თუნდაც რამდენიმე სპეციალისტის ჩართვა არ იქნება საკმარისი. უნდა გაიმართოს სპეციალური რეფერირების მექანიზმი და დაინერგოს სერვისები, სადაც სკოლის პერსონალს ბავშვის გადამისამართება შეეძლება.

ბავშვს უნდა უსმინო და მიჰყვე

ხათუნა მეტრეველი თბილისის მეექვსე საჯარო ბაღის მასწავლებელია. ცხრა წლის წინ, როდესაც საბავშვო ბაღში მივიდა, იქ უკვე აღარ იდგა „მასწავლებლის მაგიდა“, რომელთანაც მასწავლებელი იჯდა და დირექტივებს გასცემდა. ჯგუფის სივრცეში ბავშვებისა და აღმზრდელის ურთიერთობას დღეს არავითარი ბარიერი არ უშლის ხელს, ამიტომ ხათუნამ არ იცის, რა შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა ასეთ მაგიდასთან. სამაგიეროდ, იცის, რომ ახლა ბავშვებთან უფრო ახლოსაა, ისინი ეხებიან, ეთამაშებიან და მშვიდად არიან. ხათუნა ფიქრობს, რომ ბაღი სწორედ დაცულობის და სიმშვიდის განცდას უნდა უჩენდეს თითოეულ ბავშვს.

რეჯო ემილიას აღზრდის ცნობილი მეთოდის წყალობით მონდომებულმა და კომპეტენტურმა ადამიანებმა თბილისის ერთი საჯარო ბაღის პრაქტიკა უფრო ჰუმანური, სასიამოვნო და ლაღი გახადეს, რაც ასე იშვიათია ბაღების ყოველდღიურობაში. ხათუნა მეტრეველი ამ ცვლილებებზე, ბავშვებთან ურთიერთობის სწორ ფორმებსა და მიდგომებზე გვიყვება.

რა გამოწვევებს უკავშირდება ბაღის მასწავლებლობა თქვენთვის? ამ ცხრა წლის განმავლობაში რა შეიცვალა თქვენს პროფესიულ საქმიანობაში?

ბაღი არ არის სამსახური, სადაც შეიძლება, მხოლოდ ხელფასისთვის იარო – ეს საქმეს დაეტყობა, ბავშვთან ურთიერთობას დაეტყობა. მასწავლებლობა ურთულესი საქმეა, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც დამღლელი. ბავშვებს რომ გადაითვლი, უცებ შეიძლება ვიღაც გამოგრჩეს და ხელმეორედ გადათვლამდე ერთ სიცოცხლეს ათავებ... მაგრამ შინ დაბრუნებისას ყოველთვის მაქვს მოსაყოლი რაღაც კარგი, რაღაც სახალისო. ჩემი შვილებიც მეკითხებიან ყოველდღიურ ამბებს. მეორე დღეს გაღიმებული შევდივარ ჯგუფში და როდესაც ბავშვიც ღიმილით შემოდის, სხეული და გონება თავისით იწყებს მუშაობას და ჩვენ უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის.

ბავშვებთან ურთიერთობა ყოველთვის მიყვარდა, მსიამოვნებდა, მავსებდა. მასწავლებლობამ, პირველ რიგში, ემოციების მართვა მასწავლა. როდესაც, ჩვენთან რეჯო ემილიას მეთოდი ინერგებოდა, კულუარებში ამბობდნენ: ეს რა არის, რა მოიგონესო... ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებლებს გვქონდეს სიახლეების მიმღებლობა, რომელიც პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში, გარემოს უკეთესობისკენ შეცვლაში დაგვეხმარება.

როგორია ბავშვზე ორიენტირებული აქტივობები და რას გკარნახობენ თავად ბავშვები? მაგალითად, სხვა ბაღების ყოველდღიურ პრაქტიკაში უფრო ნაკლები დრო ეთმობა თამაშს...

ჩემს პროფესიულ პრაქტიკას ორ ნაწილად გავყოფდი. პირველი პერიოდი იყო ზუსტად ასეთი: ჩვენ გვქონდა მზა პროგრამა, სახელმძღვანელო, რომელიც უბრალოდ უნდა წაგვეკითხა. ბავშვს კი შესაძლოა, ამ დროს სხვა ინტერესები ჰქონოდა. მართალია, ეს პროგრამა ლავირების საშუალებას გვაძლევდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. მეორე პერიოდი უფრო მომწონს. ამ დროს პროექტული სწავლება დავიწყეთ. ეს ბავშვზე უფრო მეტად ორიენტირებული მიდგომაა. მაგალითად, თუ ბავშვი იკითხავს, რა არის აისბერგი, შეიძლება მშრალად კი არ უპასუხო, არამედ კომპიუტერში აჩვენო, ან ბიბლიოთეკაში წაიყვანო და იქ ერთად ჩაიხედოთ ენციკლოპედიაში, ან გახვიდე სამზარეულოში, გამოიტანო ყინულის ნატეხები და აისბერგის პატარა მოდელი გააკეთებინო. ბავშვიც ხვდება, რომ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან შეიძლება მიიღოს, რაც შემდეგ სკოლაშიც დაეხმარება. ბევრ დროს ვუთმობთ თამაშს, რადგან მას აქვს ბევრი განმავითარებელი თვისება. მისი წყალობით ბავშვი თავისთავად ითვისებს იმ უნარებს, რომლებიც წლის ბოლოს უნდა ჰქონდეს: სწავლობს სწორ ხაზზე სიარულს, სამბორბლიანი ველოსიპედის მართვას, ფერების ცნობას, ნივთების ამა თუ იმ ნიშნით დაჯგუფებას... ბევრ ბაღში ბავშვები სხედან და ჩვეულებრივ მეცადინეობენ. თუმცა ეს არ არის მარტო პედაგოგების ბრალი – ზოგჯერ მშობლებიც ითხოვენ, მათი შვილები სასკოლოდ ასე მოამზადონ. ბავშვების გადაღლილი და დათრგუნვილი სახეებიც მოწმობს, რომ ეს არ არის სასიამოვნო პროცესი და უფრო მეტი შანსია, სწავლისადმი ნეგატიური განწყობა ჩამოუყალიბდეთ.

ბავშვებისა და აღმზრდელის ასეთი ურთიერთობა უფრო თანამშრომლობას წააგავს, სადაც ორივე თავისუფალია...

როდესაც მუშაობა დავიწყე, ოთახიდან უკვე გატანილი იყო მაგიდა, რომელიც ერთგვარი ზღუდეა აღმზრდელსა და ბავშვებს შორის. ასეთი მაგიდები ბევრ ბაღშია შემორჩენილი და პირადად მე, ნამდვილად არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს აღმზრდელმა მაგიდასთან, როგორ უნდა მართოს იქიდან ჯგუფი. მართალია, ბავშვებთან თვალით კონტაქტი აუცილებელია, მაგრამ როდესაც მათ გვერდით ზიხარ ხალიჩაზე, ბავშვები გეხებიან და ეს შეხება მათთვისაც და შენთვისაც სასიამოვნოა, მაგიდასთან განცალკევებით მჯდარ მასწავლებელსა და ბავშვს შორის კი ბარიერია. როდესაც ეს ბარიერი მოშლილია, ჩვენ თავისუფალ სივრცეში ვართ და ერთობის სრულფასოვან წევრებად ვიქცევით. მე, მასწავლებელი, არ ვარ წამყვანი – ვაკეთებ იმას, რასაც ბავშვები მკარნახობენ. ბავშვი ითხოვს იმას, რაც აინტერესებს და ჩემი დახმარებით უნდა დაიკმაყოფილოს ინტერესი. ეს თავადაც მსიამოვნებს, იმისთვის კი არ ვაკეთებ, რომ ვიღაცასთან თავი მოვიწონო...

ბავშვების შესაძლებლობებს მუდმივი დაკვირვება და კვლევა სჭირდება. რაზე უნდა დასვას აღმზრდელმა აქცენტი და როგორ შეიძლება დაეხმაროს ბავშვებს, რომლებსაც გამოხატვის პრობლემები აქვთ?

ბავშვის ძლიერი მხარეები კარგად ჩანს და ამის გამო მისი სისუსტეები ხშირად შეუმჩნეველი რჩება. მასწავლებელს დიდი ყურადღება მოეთხოვება, რომ არც ერთი აღსაზრდელის საჭიროება არ გამოეპაროს. მორიდებულ ბავშვებთან – უფრო მეტად. მაგალითად, დილის შეხვედრაზე, როდესაც ვკითხულობ, ვის აქვს მოსაყოლი ახალი ამბავი, უმთავრესად აქტიური ბავშვები იწევენ ხელს. თუ ამ დროს აღმზრდელმა მხოლოდ აქტიურ ბავშვებს მიაქცია ყურადღება, მორიდებულები წლის ბოლომდე ხმას არ ამოიღებენ. მაგრამ თუ დაანახე, რომ მათი მონათხრობი აინტერესებთ, არ დასცინიან, გათამამდება და ჯგუფის სრულფასოვან წევრად იგრძნობს თავს.

ბაღის ყოველდღიურობაში ალბათ პატარ-პატარა კონფლიქტებიც არსებობს. როგორ აგვარებთ მათ?

ჩემი დაკვირვებით, ბავშვები თვითონვე პოულობენ გამოსავალს. ისინი ყოველთვის კონსტრუქციულ გადაწყვეტილებამდე მიდიან. ხორავას ქუჩის ტრაგედიის შემდეგ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებაზე და მასწავლებლის როლზე უფრო მეტად დავფიქრდი და გადავწყვიტე, რომ არცერთ კონფლიქტს არ დავტოვებდი უყურადღებოდ. როდესაც ყოველდღიურ რუტინაში

ხარ ჩართული, ჯგუფში 30 ან 35 ბავშვია, შესაძლოა, ბავშვების პატარ-პატარა კონფლიქტებზე თვალი დახუჭო. მაგრამ არა, სწორედ ბაღის ასაკიდან იწყება ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება და მასწავლებელს ამაში უდიდესი როლი აკისრია. ბავშვმა უნდა შეძლოს აგრესიის გარეშე მოაგვაროს კონფლიქტი. თავდაცვა აგრესია არ არის, მაგრამ ბავშვს ასეთ დროსაც უნდა შეეძლოს, სიტყვიერად განტვირთოს კონფლიქტი. ამ უნარის განვითარებაში კი ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი.

სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის, ოჯახის წევრების შემდეგ, ალბათ ბაღის მასწავლებელია პიროვნება, რომელიც შეიძლება მისი როლური მოდელი გახდეს.

ბავშვი საბავშვო ბაღში რვა საათს ატარებს და ამ ხნის განმავლობაში გიყურებს, გაკვირდება და იმეორებს შენს ქცევას, ე. ი მისი მოდელი ხარ. ამიტომ შეცდომის უფლება არ გაქვს. ბაღის გარემო განაპირობებს მომავალში ბავშვის დამოკიდებულებას და მიმღებლობას სხვა ადამიანების მიმართ. თუ მე არ ვიქნები ტოლერანტული და გამგები, ამას ბავშვები იგრძნობენ და ყველანაირ დარიგებას აზრი დაეკარგება. ჩვენ, მასწავლებლებსაც შეგვიძლია, ბავშვებისგან ვისწავლოთ. როდესაც ჯგუფი ჩართულია ინკლუზიურ განათლებაში, უფრო მეტი თანადგომა ბავშვებისგან მოდის. ისინი ზრუნავენ პრობლემურ თანატოლზე, ეთამაშებიან მას. მშობლებს თავდაპირველად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ ინკლუზიური განათლების მიმართ. არ ესმოდათ, რატომ უნდა ევლოთ მათ შვილებს იმავე ბაღში, ან იმავე ჯგუფში, სადაც სწავლობდა, მაგალითად, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი. საბედნიეროდ, ნელ-ნელა ისინიც გაიზარდნენ და ჯანსაღი და სწორი დამოკიდებულება გაუჩნდათ.

როგორ მონაწილეობენ მშობლები სკოლამდელი განათლების პროცესში?

მშობელი არ არის ვალდებული, იცოდეს, რა საჭიროა, მაგალითად, თიხაში თამაში, რა გავლენას ახდენს ეს ბავშვის განვითარებაზე. მასწავლებელი იმისთვისაა, რომ აუხსნას, რა სარგებლობა მოაქვს სენსორულ აქტივობებს. ამ შემთხვევაში მშობლის ჩართულობაც იზრდება. ბავშვისა და აღმზრდელის და მშობლისა და აღმზრდელის თანამშრომლობა ორმხრივი პროცესია და ამ პროცესში ორივე მხარე ერთად იზრდება.

დაბოლოს, როგორი უნდა იყოს ბაღი, რომ ბავშვმა თვითაქტუალიზაცია შეძლოს?

იდეალურია ბაღი, სადაც კარგი ფიზიკური გარემოა, ბევრი და ხარისხიანი განმავითარებელი სათამაშო, მაგრამ კარგი ბაღი, უპირველეს ყოვლისა, არის ის, სადაც ბავშვი ემოციურად დაცულად გრძნობს თავს. კარგ ბაღში ბავშვი არ უნდა იყოს დათრგუნვილი, არ უნდა ეშინოდეს, უნდა გრძნობდეს აღმზრდელის ემოციურ მხარდაჭერას. კარგ ბაღში ბავშვი თავისუფალი უნდა იყოს, რომ თვითაქტუალიზაცია და საკუთარ უნარებში გარკვევა შეძლოს. ბავშვს უნდა უსმინო და მიჰყვე. მაგალითად, თუ ბავშვს ექიმობანას თამაში უნდა, აღმზრდელმა კი უთხრა: ჯობია, მათემატიკაში ვიმეცადინოთ, – ეს უკვე ცალმხრივი განვითარებაა. უმჯობესია, ბავშვს შევთავაზოთ თამაში, რომელშიც ის ფურცელს და კალამს გამოიყენებს, მაგალითად, „პაციენტისთვის“ რეცეპტის გამოსაწერად. ასე, თამაშ-თამაშით, ბავშვს მეტყველებაც განუვითარდება, შემეცნებითი და სოციალური უნარებიც, ისწავლის წესების დაცვას, გაუვარჯიშდება მეხსიერება, მოტორიკა და წინარე გამოცდილებასაც გადმოიტანს თამაშში. მასწავლებელს მხოლოდ ის მოეთხოვება, ბავშვს საჭირო რესურსით დაეხმაროს. თავის მხრივ, მასწავლებელსაც სჭირდება მხარდაჭერა. ის თავისუფალი უნდა იყოს, თუმცა, რა თქმა უნდა, სტანდარტის ფარგლებში. თავისუფლების გარეშე მას მუდმივი ბრძოლა მოუწევს, მებრძოლი მასწავლებელი კი უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვების ფსიქიკაზე.

ბავშვებზე დაკვირვების დრო – ახალი აღმოჩენები

სანამ შვილები არ გამიჩნდა, მეგონა, ბავშვებთან ურთიერთობა არ გამომდიოდა. შეიძლება ითქვას, ნაკლები თანაგანცდა მქონდა, მათთან ურთიერთობას ვერიდებოდი და ცოტა „მეშინოდა“ კიდეც მათი. მაშინაც ისე ვუყურებდი, როგორც დიდ ადამიანებს, მხოლოდ ლოყაზე ხელის მოცაცუნება არ კმაროდა, კიდევ რაღაც უნდა მეთქვა მათთვის, უნდა დავხარჯულიყავი ამ ურთიერთობისთვის და ეს საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმიანობად მეჩვენებოდა. მაშინ, რატომღაც მეგონა, რომ ბავშვები ამას ვერ ხვდებოდნენ, მე კი ჩემი დამოკიდებულებები უხერხულ განცდებს მიჩენდა. საკუთარი შვილების გაჩენის შემდეგ, სხვა უცნობი მხარეებიც აღმოვაჩინე ჩემს ხასიათში და ბავშვებზე დაკვირვება ჩვეულებრივ საქმიანობად მექცა.

პირველ რიგში: ისინი ჩვენგან ჩვეულებრივ ურთიერთობას ითხოვენ და სურთ, ისე მოვექცეთ, როგორც დიდ ადამიანებს; ველაპარაკოთ თანასწორივით, ველაპარაკოთ მძიმეწონიანი და პატიოსანი არგუმენტებით და არ გადავამლაშოთ; ვიყოთ თანმიმდევრული და ამასთან ერთად მშვიდი. ვერ ვიხსენებ, ვერცერთ ისეთ შემთხვევას, როდესაც ნორმალურ მიდგომას უკვალოდ ჩაევლოს, როდესაც მცირე ტიპის კონფლიქტები ჩნდებოდა ყოველდღიურ ურთიერთობებში. პირისპირ, სხვა დამსწრე პირებისგან გამოცალკევების შემდეგ და ბავშვებთან გულდასმით და გულწრფელ საუბრებში ბევრი რამ ირკვევა. მათ სჭირდებათ იმის ახსნა, რა არ მოგვეწონა მათ ქცევაში, რა გვეწყინა და რა იყო გულსატკენი. ამის შემდეგ, შეიძლება ბევრჯერ იყვნენ არათანმიმდევრულნი ქცევაში და ვერ მოიქცნენ ისე „კარგად“, ჩვენ რომ მოგვეწონება, მაგრამ მათ ყოველთვის აქვთ მცდელობა, რაღაც შეცვალონ და ეს მცდელობა უნდა დავუფასოთ.

ჩემი ორი შვილი ერთმანეთს არ ჰგავს. მათი ხასიათის შტრიხები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. მათში ორი რამ შევნიშნე, უფროსი თავდაჯერებულად და ყველანაირი მტკიცების გარეშე გამოხატავს საკუთარ აზრს და შესაძლებლობებს. ამბობს, რომ ეს თეთრია ან შავი, ხოლო უმცროსი მუდმივად მტკიცების რეჟიმშია, ის ამბობს, რომ შეიძლება ეს შავია, მაგრამ შე-

საძლებელია თეთრი გახდეს. ის ამბობს, რომ თავადაც ყველაფერს შეძლებს, ხიდიდან წყალში ისიც გადახტება, ცურვას ისიც ისწავლის, წყალში ყვინთვასაც არ მოერიდება, სტვენა მასაც შეუძლია და ციხესიმაგრის ხატვა მასაც უფროსივით გამოდის. მას შეუძლია დაგვაჯეროს, რომ რასაც მოინდომებს ყველაფერს შეძლებს და დაბრკოლებები არ შეაშინებს. მაგრამ, თუ ცოტათი წაიბორძიკა და ჩვენც საყვედურით გავხედავთ, თვალები ცრემლით ევსება. ვერც ჩვენ გვპატიობს საყვედურნარევ მზერას და ვერც საკუთარ თავს პატიობს შეცდომას.

როდესაც ბავშვების ხასიათს და დამოკიდებულებებს გავაანალიზებთ, სხვადასხვა სამოქმედო სტრატეგია დაგვჭირდება. ორ განსხვავებულ არსებას თამაშიც განსხვავებული უნდა, საუბარი და მიდგომებიც მათი ხასიათის შესაბამისი. არ გპატიობენ წამოცდენებსაც და მუდმივად ითხოვენ ძალიან დიდ მოთმინებას. ყოველი დღე ჩემთვის სიმშვიდის შენარჩუნების თუ ბეწვის ხიდზე სიარულის მცდელობაა. ისინი ხომ მთელი დღე არ იღლებიან, უზომოდ ცნობისმოყვარეები არიან და გათენებიდან დაღამებამდე თამაშს ითხოვენ, უამრავ კითხვას სვამენ, მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნა სურთ და მათი სურვილებიც უსაზღვროა.

როდესაც ბავშვებზე დაკვირვებას ვიწყებთ, მათში ბევრ საინტერესო ცვლილებას აღმოვაჩენთ. ეს ცვლილებები კი განსაკუთრებით თავს იჩენს ახალ გარემოში, სადაც ახალი შესაძლებლობების გამოცდისთვის ხელსაყრელი პირობებია. სადაც, მართლაც, თვალსა და ხელს შუა ამჩნევ, როგორ იზრდებიან ისინი მენტალურადაც და ფიზიკურადაც. როგორ მოსწონთ საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა და რა საოცარი კმაყოფილებით აჯამებენ ერთი თვის განმავლობაში მიღებულ შედეგებს. იკვლევენ, რა ისწავლეს და რა შეძლეს. ამ ყველაფერს ისინი უფროსებივით მიზანდასახული აზარტით მიჰყვებიან და სწავლის, ძიების და კვლევის ეს თავისებური პროცესი მათ ბედნიერს ხდის. სწორედ ასეთ დროს ვფიქრობ, რომ ბავშვებს, რომლებსაც საკუთარი შესაძლებლობების ძიება ასე აღაფრთოვანებთ, რა პირობები დახვდება სკოლაში. ექნებათ თუ არა ნოყიერი ნიადაგი იმისთვის, რომ საკუთარი თავი და შესაძლებლობები გამოსცადონ საგანმანათლებლო გარემოში. ექნებათ თუ არა მასწავლებლებს მათზე დასაკვირვებლად დრო და განწყობა...

ჩემი ექვსი წლის შვილი, რომელიც სექტემბერში სკოლაში მიდის და რომელიც სწორედ ასეთი დაჯამებების დიდოსტატია, ივლისის ბოლოს კმაყოფილი სახით ითვლიდა თითებზე იმ მიღწევებს, რაც სხვა, არაქალაქურ გა-

რემოში შეისწავლა. „დავძლიე სიმაღლის შიში, დავძლიე სიღრმის შიში, დავ-ძლიე ცურვის შიში. ვისწავლე სტვენა, წყალზე ზურგით წოლა, წყალში ყვინ-თვით ცურვა, საცურაო რგოლის გარეშე ცურვა. ვისწავლე ყველის ამოყვანა და გავიჩინე კიდევ ოთხი საუკეთესო მეგობარი“ – ასეთი იყო მისი არასრული ჩამონათვალი საზაფხულო მიღწევების და ალბათ, არასოდეს ყოფილა ისეთი ბედნიერი და კმაყოფილი, როგორიც ცხელი ივლისის თვეში.

ბავშვებს არაფერი ისე არ სიამოვნებთ, როგორც საკუთარი შესაძლებ-ლობების გააზრება და მათი გამოყენება. არც მშობლებს და არც მასწავლებ-ლებს არ უნდა გამოგვეპაროს მათი უჩინარი უნარები და ისინი მუდმივად უნდა იყვნენ ჩვენი დაკვირვების ობიექტივში, რათა ჩვენც შევძლოთ დახმა-რება და ცოტაოდენი გზის გაკვალვა მათთვის, საკუთარი შესაძლებლობების ძიებისა და გამოცდის პროცესში.

როგორ სურთ ბავშვებს თამაში?

თამაშის ბევრნაირი სახეობა არსებობს და წესებიც მრავალნაირია. მშობლის უპირველესი მიზანი, ალბათ, ის უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი, მრავალფეროვანი და განმავითარებელი თამაში შესთავაზოს შვილს, ჩაერთოს ამ პროცესში და ახალი თამაშების გამოგონებაში მიიღოს მონაწილეობა. მნიშვნელოვანია ასევე კარგი ხარისხის და განმავითარებელი სათამაშოები, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობაში უკვე ძვირად მოსაპოვებელი სიამოვნება გახდა. თუმცა, თუ ბავშვს დავაკვირდებით და მის ქცევას მივადევნებთ თვალს, მივხვდებით, რომ ზოგჯერ სულაც არ არის მნიშვნელოვანი უამრავი ძვირადღირებული სათამაშოს შეძენა, რადგან ბავშვებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის დროა, რომელსაც მშობელი მისთვის დაუნანებლად გასცემს. ასე რომ, მშობლებს შეუძლიათ შესთავაზონ ბავშვებს ისეთი თამაშები, რომლებიც არც დამატებით ფინანსურ ხარჯს მოითხოვს და მეტიც, უზარმაზარი ემოციური სარგებლის მოტანა შეუძლია. ასეთ დროს ხომ ერთ მუშტად იკვრება ოჯახი და ბავშვებიც გრძნობენ ამ ერთიანობის ჯადოსნურ ძალას. თუმცა ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მშობელს არც თამაშის განწყობა აქვს და არც დრო, ასეთ დროს კი მთავარია, ხელი არ შეუშალოს ბავშვს და უხეში ჩარევით არ შეაჩეროს მის სამყაროში მიმდინარე ჯადოსნური პროცესები.

წარმოიდგინე და ითამაშე

ჩემი შვილების საყვარელი თამაშები წარმოსახვითია. ისინი ისე არ დაიძინებენ, თუ ძილის წინ რაიმე ახალი თამაში არ გამოიგონეს. სიუჟეტს თავად იფიქრებენ და როლებსაც თავად ანაწილებენ. გოგონა ხან ციხე-სიმაგრეში გამოკეტილი მზეთუნახავია, რომელიც ცეცხლისმფრქვეველმა ურჩხულმა დაატყვევა და ახლა მის გასათავისუფლებლად მამა და პრინცის როლმორგებული ძმა იბრძვიან და საბოლოოდ დაიხსნიან კიდეც მას. ხშირად არის, რომ მათი თამაშები იმ ლიტერატურული ეპიზოდებით მდიდრდება, რომელსაც დღის მანძილზე ეცნობიან და შემდეგ ესეც თამაშის ნაწილი ხდება. ამიტომ,

თუ შვილებთან თამაშს გადაწყვეტთ და ხუთი წუთით მაინც დაფიქრდებით სიუჟეტზე, ნებისმიერი რამ შეიძლება გახდეს საინტერესო თამაშის შთამაგონებელი.

მაგალითად, რამდენიმე დღის წინ თამაშში გადავიტანეთ ბულინგის სიუჟეტი. ჩემი პირველკლასელი შვილი სკოლაში უკვე შეეჯახა თანატოლისგან არასასიამოვნო (ძალადობრივ) ქცევას და გადავწყვიტეთ თამაში ამ თემაზე აგვეგო. თამაშში ახლა ის განასახიერებდა ბულერ ბიჭს, რომელიც პატარა გოგონას ჩაგრავდა და მას კვების თანხას სძალავდა. პატარა გოგონას როლს ჩემი გოგონა ასრულებდა. ამ სიუჟეტურ ქარგაში მოვაქციეთ ბულინგის დრამატულობა და შემდეგ ისინი ჩემი დახმარების გარეშე ცდილობდნენ თამაშის დასკვნით ნაწილში ორი ადამიანის ერთმანეთთან შერიგებას და პრობლემის მოგვარების გზის გამოძებნას. ამისთვის მათ აირჩიეს სტრატეგია – საერთო ინტერესები. „შენ ფრი გიყვარს, ხომ? წამოდი, ჩემთან სახლში ფრი ერთად ვჭამოთ და შემდეგ გაკვეთილები ერთად მოვამზადოთ“; ან კიდევ „რა საყვარელი ძაღლი გყავს. შეიძლება ერთად გავასეირნოთ?“. ამ თამაშში გავაჟღერეთ ისიც, რომ ზოგჯერ მოძალადის ქცევაც ძალადობით არის განპირობებული და მას ბევრი მიზეზი შეიძლება უძღოდეს წინ. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, ბულინგის შემთხვევაში პრობლემის მოგვარების დროს არა მარტო მსხვერპლზე გაკეთდეს აქცენტი, არამედ მოძალადეზეც და ამ ქცევის გამომწვევ წყაროსაც მივაგნოთ. რადგან, ხშირად, არასოციალურ ქცევას თავისი განმაპირობებელი მიზეზები აქვს: არასახარბიელო სიტუაცია და აგრესიული ატმოსფერო ოჯახში, ეკონომიკური სიდუხჭირე თუ საზოგადოებაში თვითდამკვიდრებისთვის არასწორად არჩეული სტრატეგია. ოცწუთიან თამაშში ჩავტიეთ ეს ამბავი და ისინიც კმაყოფილები დარჩნენ. ჩემი დაკვირვებით, ყველაზე კმაყოფილები და ბედნიერები ისინი თამაშის დროს არიან.

კოშკების შენება

თუ ამ თამაშს ციხე-კოშკების აშენებას არ დავარქმევთ, თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „განმარტოობანას“ თამაში ან ცხოვრების შენება. მიუხედავად მცირე ასაკისა, ბავშვებიც მიილტვიან სიმყუდროვისკენ და სურთ საკუთარი პირადი სივრცის მოწყობა. თამაშისთვის აუცილებელი რესურსი ბლომად საბან-ბალიში და პლედია. ყველაფერი კი ასე იწყება: ორ სავარძელს ერთად შეატყუპებენ, შემდეგ იწყება საძირკვლის ჩაყრა, ბევრი ფუმფულა საბნის და-

ფენა, შემდეგ გადახურვის პროცესი მიდის. რაც შეიძლება დიდი გადასაფარებელი გვჭირდება, რომ ციხე-კოშკში მზემ ვერ ჩააღწიოს. თუ გვერდებიდანაც აღწევს სინათლე, მაშინ გვერდების დამატებით „გადახურვაა“ საჭირო. აი, ასეთ სახლებს აშენებენ ჩემი შვილები, როდესაც დრო ჩვეულებრივზე მეტი აქვთ ხოლმე. შემდეგ შეძვრებიან თავიანთ ციხე-სიმაგრეში, შეიტანენ ფერად განათებას, წიგნებს ან სასუსნავებს და იწყება კიდევ ერთი ახალი თამაში. ზოგჯერ, ასეთ შტაბში გამაგრებულებს ხან უცხოპლანეტელები ესხმიან თავს და ხანაც ზომბები. მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, რასაც ყველაზე დიდი ხალისით და ინტერესით უდგებიან, ეს შენების პროცესია. ისინი გამოცდილი მშენებლებივით ყველა დეტალს სერიოზულად და სკრუპულოზურად აკვირდებიან. ასეთი თამაშების დროს მშობლების მოთმინებაც იცდება: „ნუთუ, ათი პლედი და ოთხი ბალიში საკმარისი არ არის? აუცილებელია, ყველა მანდ შეიტანოთ?“ – ბუზღუნებს ალბათ ჩემნაირი მშობელი, რომელიც დაშლის პროცესს როცა წარმოიდგენს, კოშკების მშენებლობა აღარ ეპიტნავება. თუმცა, როდესაც თავის „ქვენა“ გრძნობებზე მაღლა დადგება, ისიც იგრძნობს, რომ ძალიან სასიამოვნოა ბავშვურ სამყაროში თუნდაც ოცი წუთით დაბრუნება.

ეს რა თამაშია? ეს რა თამაშია?!

ალბათ, მხოლოდ ჩემი საწუხარი არ არის ის, რომ თანამედროვე, ურბანულ გარემოში ბავშვების გართობისთვის და თამაშისთვის არეალი დავიწროვდა და ამას ბევრი მიზეზი აქვს. გადატვირთული სასწავლო რეჟიმის პირობებში მყოფ ბავშვებს, უფრო ნაკლები დრო რჩებათ სირბილისთვის, თამაშისა და ონავრობებისთვის. მჯდომარე ცხოვრების წესი არამარტო უფროსებს აწუხებთ, არამედ ბავშვებიც ამ პირობებში იმყოფებიან. სექტემბრიდან მოყოლებული, ალბათ თითზე ჩამოსათვლელი იქნება ისეთი დღეები, როდესაც ჩემი ოთხი წლის გოგონა, ბაღის ეზოში გაიყვანეს. ამისთვის ხელისშემშლელი მიზეზი კი არასოდეს დაილია. ძირითადად, ყველაფერი „ცუდ ამინდს“ ბრალდება და ასე არიან გამოკეტილი ბავშვები დილის ცხრა საათიდან საღამოს ექვსამდე ერთ სივრცეში და გამუდმებით ჭრიან, აფერადებენ, კითხულობენ და ხატავენ. რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი არცერთი აქტივობის წინააღმდეგი არ ვარ და მეტიც, მადლიერი ვარ, რომ ბაღში გაგვიმართლა და კარგი მასწავლებლები შეგხვდნენ, მაგრამ ეზოში თამაში და ფიზიკური აქტივობაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვის ჯანსაღი განვითარების პროცესისთვის

და, სამწუხაროდ, სკოლამდელი დაწესებულებების უმრავლესობა ასეთი რეჟიმის პირობებში იმყოფება. სწორედ ამის გამო, ერთგვარი მისიონერული შემართებით შევუდექი საკუთარი შვილების დღის დაგეგმვას: არცერთი დღე ჰაერისა და სირბილის გარეშე! თუმცა, ესეც სხვა მნიშვნელოვანი საქმეების ხარჯზე ხდება. ამიტომ, იმისთვის, რომ მათ, ყველაზე მცირე, ორი საათი ჰაერზე გაატარონ, ვიყენებ ყველა პარკს, სადაც კი მოვხვდებით. პარკებში ყოფნის დროს ერთი თვალის შევლებაც კი კმარა იმის მისახვედრად, რომ ბავშვებთან დაკავშირებულ ადამიანებს, იქნებიან ისინი ძიძები, ბებიები თუ დედები არასაკმარისი ცოდნა აქვთ იმის შესახებ, თუ როგორი უზარმაზარი სიკეთეა ბავშვისთვის ფიზიკური აქტივობა. ამიტომ, ნებისმიერი პარკში მოხვედრილი ადამიანი ხშირად მოისმენთ ასეთ ფრაზებს: „ნუ დარბიხარ – გაცივდები, ნუ დარბიხარ – გაოფლიანდები, ნუ დარბიხარ – დაისვრები“. მთელი ეს აკრძალვები მარტო სირბილზე არ ვრცელდება, ასევე ვრცელდება თამაშის სიუჟეტზეც. „ეს რა თამაშია?! ეს რა თამაშია?!” – მამები თუ ძიძები ამ ფრაზით დასდევდნენ ბავშვებს, რომლებიც „ზომბობანას“ თამაშობდნენ ერთ-ერთ პარკში და ერთმანეთს „შესაჭმელად“ დასდევდნენ. მათ საბოლოოდ, მაინც მოახერხეს და დაშალეს „ზომბებისგან“ შემდგარი გუნდი.

თამაში ბავშვებისთვის არც დროის გაყვანაა და არც ამ დროის უსარგებლოდ ხარჯვა. თამაში შენებაა იმ უნარების, რომლებიც მას ზრდასრულობაში გამოადგება. თამაში ადრეული განვითარების ასაკში ის ინსტრუმენტია, რომლის გამოყენებითაც უკვე ზრდასრულობაში უფრო განვითარდება ბავშვის სოციალური, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური სფერო. ამიტომ, მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ, როგორ თამაშობს ბავშვი, როგორ სურს, რომ ითამაშოს, რადგან სწორედ ამ დროს იგი გამოხატავს საკუთარ განწყობას, ხასიათს, სურვილებს და ამ პროცესში ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი შეიძლება ამოვიკითხოთ და შემდეგ ხელი შევუწყოთ მის განვითარებას. არ დაგვავიწყდეს! ბავშვების თამაში არ ეფუძნება ჩვენ მიერ აღიარებულ მსოფლმხედველობას თუ სხვა კანონზომიერებას, ამიტომ დავუტოვოთ მათ იმის უფლება იყვნენ თავისუფალი საკუთარ გამოგონილ სამყაროში.

ფანტაზიის განმავითარებელი წერითი დავალებები

გაბრიელ გარსია მარკესის წიგნი „იცხოვრე, რომ მოჰყვე“, წაკითხვისთანავე ჩემს საყვარელ წიგნად იქცა. ერთი ფრაზა ამოვიკითხე, რომელიც გონებაში ღრმად ჩამებეჭდა. უფროსი მეგობარი, დონ რამონი ახალგაზრდა გაბოს ურჩევს, რომანის შავი ვარიანტიდან, რეალური ტოპონიმი ბარანკილია სხვა დასახელებით შეცვალოს. გამოცდილი მეგობარი, ამას ერთი მიზეზით ხსნის: არსებული სახელი იმდენად არის რეალობით დატვირთული, რომ მკითხველს საოცნებოდ დრო არ დარჩებოდა.

ლიტერატურა ნამდვილად არის ის სამყარო, სადაც ჩვენი წარმოსახვაც ფრთებს შლის და ჩვენც, ავტორის შემოქმედების თანაზიარი ვხდებით. კარგი ლიტერატურა კი ამას ისე ახერხებს, რომ დაგვავიწყოს რეალობა და სრულიად საოცნებო სამყაროში მოვხვდეთ. როგორც გაბრიელ გარსია მარკესი ამბობს, ამის მოხდენა კი ისეთ წიგნებს შეუძლია, რომლებიც თავს ნებიერად გვაკითხებენ.

გამოგონილ ამბავს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ ბავშვების ცხოვრებაშიც. ბავშვები ხომ მუდამ ფანტაზიორობენ, როდესაც თამაშობენ, ლექსებს წერენ და ხატავენ, ან როლურ თამაშებში არიან ჩართული. ამ გამოგონილი სამყაროს ხიბლი მათში წარმოსახვასაც აძლიერებს და ახალ, სააზროვნო ჰორიზონტს უხსნის მათ.

არდადეგებზე, როდესაც ყველა გასართობი და თამაში ამოვწურეთ, ჩემს მეორეკლასელ შვილს არ ასვენებდა სკოლიდან გამოყოლილი პასუხისმგებლობების დარდი. ამიტომ გადავწყვიტე დღეში ნახევარი საათი დაგვეთმო წერითი მეტყველების განვითარებისთვის, რასაც ცოტა ხანში მისი ოთხი წლის დაც შეუერთდა და მისი ამბების ჩაწერის პასუხისმგებლობა მე დამეკისრა.

თავდაპირველად, წაკითხული მცირე ტექსტიდან იმის დაწერა ვთხოვე, რა გაიგო და რა იყო მნიშვნელოვანი ტექსტში. ამ დავალებას რამდენიმე დღე ასრულებდა. შემდეგ, გადავწყვიტე, მათ გასახალისებლად გამოგვეგონებინა ისეთი ამბები, რომლებიც გასაოცარი და ორიგინალური იქნებოდა შინაარსით და წარმოსახვაც არ შემეზღუდა.

ჩემი შვილები იმ ადამიანთა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან, რომლებსაც უფროსებისგან ბევრი ახსნა-განმარტების მოსმენა უყვართ. ამიტომ მხოლოდ ერთი მკაფიო დავალება გაითვალისწინეს – გამოეგონებინათ ისეთი ამბები, რომლებიც არ არსებობს და შინაარსისა თუ სათაურის შერჩევისას მკაცრი ცენზორის მიერ დანახული შეცდომები თითქმის არ გაითვალისწინეს. ეს უწყინარი დავალება, არდადეგების ყოველდღიურ რუტინად იქცა და გამოგონილი ამბები და სათაურები ყოველდღიურად უფრო საინტერესო ხდებოდა.

ასე დაიბადა: მოუსვენარი კაშნე, ჭარბწონიანი სპილო, სახელად ტომი, ძროხა, რომელსაც ცოცვა უყვარდა, ფართხალა ბოტასი და სხვა.

ფართხალა ბოტასი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ფართხალა ბოტასი. ფართხალა ბოტასი იმიტომ ერქვა, რომ სულ დაფართხალებდა. ფართხალით მიდიოდა გზაზე და ყველას აშინებდა. ბოტასის ეშინოდა კურდღლებსა და კვატებს. ბოლოს, ფართხალი რომ მობეზრდა, წავიდა სახლში, დედას უთხრა, ძალიან დავიღალეო და დაიძინა.

ანასტასია, 4 წლის

მოუსვენარი კაშნე

იყო ერთი მოუსვენარი კაშნე. ეს კაშნე ერთი ბიჭის საკუთრება იყო და ძალიან მოუსვენარი გახლდათ. კაშნე სულ ეპარებოდა პატრონს და ბიჭიც სულ ეძებდა. კაშნე მოუსვენარი იმიტომ იყო, რომ ძალიან პატარა იყო. გავიდა ერთი წელი, გაიზარდა და დაჭკვიანდა ჩვენი კაშნე და ამის მერე, ბიჭი და კაშნე დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ანდრო, 7 წლის

ძროხა, რომელსაც ცოცვა უყვარდა

იყო ერთი ძროხა, სახელად მარია ერქვა. მარიას ცოცვა უყვარდა ძალიან და პატარაობაში სულ ცოცავდა. ყველა გაოგნებული იყო, როგორ ცოცავდა მარია, იმიტომ, რომ ძროხები არ ცოცავენ. მარია კლდეებსა და გორაკებზე დაცოცავდა და გაწვრთნილი მცოცველი იყო.

ერთ დღეს მარია სკოლაში წავიდა, სადაც ლექსებს ასწავლიდნენ. სკოლიდან რომ ბრუნდებოდა, კლდეზე აცოცება მოუნდა და ცდილობდა აცოცებულიყო, მაგრამ ჩამოვარდა და ეს მტკივნეული იყო...

დედაააა, დედაااا! – ყვიროდა მარია.

დედაც, თურმე, ახლოს ბალახობდა და მარიასთან მივარდა, ნატკენ ფეხზე წყალბადის ზეჟანგი დაასხა და შეუხვია.

შემდეგ, დედამ მარია ეკლესიაში წაიყვანა და ღმერთს მადლობა უთხრეს, რომ ფეხი არ მოტყდა.

ანასტასია, 4 წლის

ჭარბწონიანი სპილო სახელად ტომი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი სპილო. სპილოს მეგობრები სულ მსუქანა სპილოს ეძახდნენ, მაგრამ მას ტომი ერქვა. ტომის ცოტა მეგობარი ჰყავდა. მას იმიტომ არ ემეგობრებოდნენ, რომ ჭარბი წონა ჰქონდა... ტომის დედა სულ ეუბნებოდა ტომს, შენ განსაკუთრებული და სიმპათიური სპილო ხარო... ერთი წლის შემდეგ ტომი ფეხბურთით დაკავდა, კუნთებიც დაეჭიმა, წონაშიც დაიკ-ლო და მთელ ქვეყანაში გაითქვა სახელი. ამის მერე ყველას მასთან მეგობ-რობა უნდოდა და ყველას შეუყვარდა.

ანდრო, 7 წლის

ეს ათწუთიანი დავალებები, რომელსაც შესაძლოა დავალება არც კი დაარქვა, ჩვენი ყოველდღიური რუტინის ნაწილი გახდა. ბავშვებს თხრობის მიმართაც გაუმძაფრდათ ინტერესი და სახალისო საქმიანობადაც იქცა.

წერითი მეტყველების უნარი ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპი-რატესობაა და ვფიქრობ, ამის მიღწევა არ იქნება რთული, თუ ბავშვებს მცირე ასაკიდან შევთავაზებთ მრავალფეროვან წერით სავარჯიშოებს, რომელიც მათ წერითი მეტყველების განვითარებაში დაეხმარება.

ხშირად დასმული კითხვები ბავშვებისგან

საკუთარ თავთან, არსებობასთან, სიკვდილ-სიცოცხლის თემასთან დაკავშირებით ბავშვებს ხშირად უჩნდებათ კითხვები და როდესაც ისინი კითხვებით მოგვმართავენ, ჩვენგან ითხოვენ მეგზურობას დიდების სამყაროში. პატარებს დაუცხრომელი ინტერესი აქვთ შემეცნების და სიახლეების გაგების და ეს არა მარტო მათი სურვილი, არამედ მათი საგანმანათლებლო უფლებაცაა. მნიშვნელოვანია, მათ მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე და დაიკმაყოფილონ ცნობისმოყვარეობა.

საიდან მოვედი?

თუ ვარსებობდი მანამდე?

ღმერთი სად ცხოვრობს? როგორია? თეთრი წვერი აქვს?

ჩიტი რომ მოკვდება, სამოთხეში მოხვდება?

რა ხდება სიკვდილის შემდეგ?

როგორ გავჩნდი?

ბავშვები როგორ ჩნდებიან?

ბოლო კითხვა უფრო ხშირად მეორდება ხოლმე. თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით უფრო გაბედულად და თამამად ვესაუბრებით შვილებს, შეკითხვა ისეთ ბუნებრივ რამეზე, როგორიც ადამიანის ამქვეყნად მოვლინებაა – გვაბნევს და უკვე მერამდენედ გადავავადებთ ამ საკითხზე საუბარს, სხვა რამეზე გადავიტანთ ყურადღებას და შევეცდებით, დავიწყებას მიეცეს ეს თემა. ასეთ დროს ვფიქრობთ, რომ ნაადრევია 5 ან 7 წლის ბავშვისთვის ამის ახსნა და პასუხებისგანაც თავს ვიკავებთ. ვფიქრობთ, რომ ნაადრევია ჯერ ამაზე საუბარი, ამის დროც მოვა, როდესაც საჭირო სიტყვებს და წინადადებებს დავალაგებთ და სათქმელს თავს მოვუყრით, მაგრამ ასეთი დროის დადგომა აგვიანებს...

ხშირად დასმული კითხვების მთავარი ობიექტები მშობლები ვართ და როდესაც ბავშვები ამ კითხვით ჩვენთან მოდიან, ისინი თავიანთ ნდობას გამოხატავენ ჩვენ მიმართ და ჩვენგან გულწრფელ პასუხებს ელიან; ჩვენ უნდა

ვიყოთ ღია და მეგობრულები და შემწყნარებელი მათი კითხვების მიმართაც, რადგან სხვა დროს ისინი აღარ მოვლენ ჩვენთან რაიმე გამოცდილების გასაზიარებლად და დამოუკიდებლად შეეცდებიან, მიიღონ ინფორმაცია მათთვის სასურველ კითხვებზე.

მშობლებს გვაკისრია ვალდებულება ბავშვების მიერ დასმულ შეკითხვებს ყურადღებით და გაგებით მოვეკიდოთ, ვესაუბროთ ოჯახურ გარემოში იმ საკითხების შესახებ, რაც მათ აინტერესებთ. საუბარიც ზედმეტია ისეთი ფრაზების გამეორებაზე, რომელიც ჩვენს ბავშვობაში ხშირად გვსმენია, როდესაც უფროსები თავს არიდებდნენ რეპროდუქციული განათლების საკითხებზე საუბარს: „ბავშვები წეროს მოჰყავს“, ან „კომბოსტოში გიპოვეს“ და ა. შ. ასეთი ფრაზები ჩვენს შვილებზე აღარ ჭრის, მეტიც არასერიოზულია... რა უნდა იყოს იმაზე დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ბავშვისთვის, რომელიც ერთ დღეს აღმოაჩენს, რომ მშობლებმა მოატყუეს, იმის მაგივრად რომ ახლოს დაესვათ და მისი ასაკისთვის შესაფერისი ფორმით აეხსნათ მისთვის საინტერესო საკითხი, დაეკმაყოფილებინათ მისი ინტერესი.

ინტერნეტის და გუგლის ეპოქაში, ბავშვების უმრავლესობას საკუთარ სმარტფონში შეუძლია მოიძიოს სხვადასხვა ინფორმაცია მისთვის მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, მაგრამ ასევე არსებობს დიდი რისკი, მან რაღაც არასწორი ინფორმაციაც მიიღოს და დამახინჯებული წარმოდგენა შეექმნას ამ საკითხზე. ხშირად, ბავშვები ნებსით თუ უნებლიეთ ინტერნეტში გადააწყდებიან პორნოგრაფიული შინაარსის შემცველ ვიდეო ან ფოტო მასალას და ექმნებათ არასწორი წარმოდგენები. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი შვილებთან მეგობრული საუბრები და იმ თემებისთვის ტაბუს ახსნა, რომელიც დღეს ასე სტიგმატიზებულია ჩვენს ოჯახებში თუ ჩვენს სკოლებში.

და, თუკი, ერთ დღესაც, საკუთარი შვილი შეთქმულის ღიმილით კიდევ ერთხელ გვკითხავს... „და მაინც, როგორ ჩნდებიან ბავშვები, ეს ვერ გავიგე“-ო, ალბათ აჯობებს, ყველა საქმე გვერდზე გადავდოთ და მშვიდად და მეგობრულად ვესაუბროთ მისთვის საინტერესო თემაზე.

გიორგი ჭანტურია

1 „მახსოვს პირველად სასწავლებელში“
ანუ ერთი ჩვეულებრივი ამბავი 313

2 (არა)სწორი მოლოდინების შესახებ 316

3 სწავლება დოკუმენტური ფილმებით 319

4 იუმორის დროა 322

5 შემაჯამებელი 324

„მახსოვს პირველად სასწავლებელში“ ანუ ერთი ჩვეულებრივი ამბავი

სკოლის გახსენებისას ყველას სხვადასხვა მოგონებები აქვს. რა დასამალია და უამრავი ადამიანისათვის სკოლა ალბათ ყველაზე ცუდი გამოცდილებაა ცხოვრებაში. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია სასკოლო კვლევები – მაგალითად, მასწავლებლების დამოკიდებულებები ამა თუ იმ საკითხის მიმართ, უსაფრთხოების თემები, სწავლა-სწავლების ხარისხი და ა. შ. საკმარისია სახალხო დამცველის ანგარიშებს გადავხედოთ, რომ მივხვდეთ, რატომ არის სკოლა ბევრი ბავშვისათვის არასასურველ გარემოდ აღქმული. საინტერესოა, ჩვენ თავად რა გვახსენდება სკოლის შესახებ. მაგალითისათვის, შევეცდები, მოკლედ მოვყვე ჩემს გამოცდილებაზე რამდენიმე ისტორია, რაც სკოლის შესახებ მაგონდება.

რატომღაც, სკოლაზე ფიქრისას, გონებაში ამომიტივტივდა გიორგი ჭალადიდელის ლექსი „მოგონება“ – „მახსოვს, პირველად სასწავლებელში წასაყვანად რომ მე გამამზადეს...“. ჩემს შემთხვევაში, ეს იყო კლასიკური მაგალითი, როგორ შეიძლება შეაძულო სკოლა მოსწავლეს. ჩემი აზრით, სკოლის მოსწავლისათვის, მით უმეტეს დაწყებითი კლასების მოსწავლისათვის, ამ შეუსაბამო ლექსის დაზეპირებით გამოწვეული გაუგებრობა (მათ შორის უსამართლობა) შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს სკოლაზე ხელის ჩასაქნევად. სხვების შემთხვევაში ეს შეიძლება სხვა ლექსი ან მოთხრობა იყოს. ცოდვა გამხელილი ჯობს და ბევრისათვის ეს ვეფხისტყაოსანიც არის. ჰაგიოგრაფიაზე ხომ საერთოდ არაფერს ვამბობ. აზრი რომ დავასრულო, ერთია ასაკისათვის შეუსაბამო ტექსტები, მეორე – (არა)სავალდებულო საზეპიროები და მესამე – სწავლების [უინტერესო] მეთოდები, მაგალითად, გამოდი-მოყევი-დაჯექი.

მეორე, რაც სკოლის შესახებ მახსენდება და რომელიც მეგონა, რომ პირველი გამახსენდებოდა, ეს არის ეთიკის მასწავლებლის მიერ გაწნილი სილა. საინტერესოა, არა? – ეთიკის მასწავლებელი და 8 წლის მოსწავლისათვის ხელის გარტყმა. მიზეზი ათი წუთით დაგვიანება და გაკვეთილზე ცოტა სწრაფად, ცოტა მოუსვენრად შესვლა იყო. სიმართლე რომ ვთქვა, იმ მომენტისათვის

წარმოდგენა არ მქონდა, რას ნიშნავდა ეთიკა. მოკლედ, ესეც მეორე ამბავი. პირველ შემთხვევაში თუ მასწავლებლებთან ერთად სახელმძღვანელოს თემაც იყო, აქ უკვე მხოლოდ მასწავლებლებისა და ძალადობრივი სასკოლო გარემოს ამბავია. სხვათა შორის, სამართლიანობა მოითხოვს მხოლოდ მასწავლებლებზე არ ვთქვათ. არც სკოლის ადმინისტრაცია ჩამორჩებოდა ამ საქმეში.

მესამე მოგონება ძალიან ზუსტად მახსოვს. ალბათ მეორე თუ მესამე კლასში ვიქნებოდი, როდესაც ჩემი თანაკლასელი შეწუხებული მიყვებოდა ოჯახური ძალადობის შესახებ. იმდენად შემეცოდა, რომ თანაგრძნობის მიზნით ვუთხარი, ნუ ნერვიულობ, ჩემთანაც ზუსტად ეგრეა-მეთქი. ამის შემდეგ დედაჩემი გაკვირვებული ისმენდა მის მიმართ გამოთქმულ მწუხარებებს. სხვათა შორის, ამ ამბავზე დღემდე მეცინება ხოლმე.

წინა ამბავი რომ გავაგრძელო, არაერთი ჩემი სკოლელი მახსოვს ჩალურჯებული რომ მოდიოდა სახლიდან. სამწუხაროდ, ეს პრობლემა დღესაც დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე.

მეოთხე და ბოლოსწინა ისტორია დაახლოებით ისეთივეა, როგორიც 2018 წლის 1 დეკემბრის ამბავი, რომელიც 51 სკოლაში დატრიალდა. სამწუხაროდ, მაშინდელი სკოლა კიდევ უფრო ძალადობრივი და აგრესიული იყო. შესაბამისად, ძალიან კარგად მახსოვს უამრავი გარჩევა, ნაცემი, დაჩეხილი და გასისხლიანებული მოსწავლე (არც მე ვიყავი გამონაკლისი). კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყო გამოყენებული ინსტრუმენტები – დრინები, დანები, ხელჯოხები, იარაღები და ა. შ. საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო ინვენტარიც გადასარევად გამოიყენებოდა (მაგ. მასწავლებლის სკამი).

სამწუხაროდ, ამ ტიპის ამბები მაშინდელი უფროსებისათვისაც ნორმა იყო. ამიტომ რეაგირება გაცილებით ნაკლებად ხდებოდა (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მახსოვს).

მეხუთე ისტორია უფრო კლასობრივ სხვაობასა და უთანასწორობას ეხება. კარგად მახსოვს, როდესაც კერძო სკოლაში გადავედი, ჩემი ერთ-ერთი კლასელის პირველი შეკითხვა – „შენ რა ტელეფონი გაქვს?“ – რომელიც იმ მომენტში იმდენად დამაბნეველი აღმოჩნდა, გაკვირვება სახეზე დამეტყო. მოკლედ რომ ვთქვა, სკოლებს შორის რადიკალური განსხვავებები, ბავშვებს შორის სულ სხვადასხვა ღირებულებები, ინტერესები, პრობლემები და მიზნები, კიდევ ერთი სერიოზული გაკვეთილი იყო, რომელიც სკოლაში მივიღე. იქამდეც და იმის შემდეგაც მძულს უთანასწორობა, რომელიც დღესაც

გამეფებულია საქართველოში. სამწუხარო ის არის, რომ სკოლის ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც, სწორად რომ, თანაბარი შესაძლებლობების მიცემაა ბავ-შვებისათვის, დღესაც არ აქვთ გააზრებული ამ ქვეყანაში.

შეჯამებისათვის, ბუნებრივია, იყო კარგიც და ძალიან კარგი ისტორიებიც, მაგრამ სკოლის დანიშნულებიდან გამომდინარე, ზემოთ ხსენებული „აცდე-ნები“ უფრო ამახსოვრდება ადამიანს.

საინტერესოა, თქვენ რა გახსენდებათ სკოლაზე?

(არა)სწორი მოლოდინების შესახებ

2019 წლის სექტემბერში, არაერთი მცდელობისა და 13 წლიანი პაუზის შემდეგ, ისევ სკოლას დავუბრუნდი. ამ შემთხვევაში, მასწავლებლის სტატუსით. სიმართლე უნდა ვთქვა, მიუხედავად დიდი მომზადებისა, მოლოდინები მაინც სულ სხვა მქონდა. თუმცა, შესვლის დღიდანვე გამახსენდა ყველა ის მიზეზი, თუ რატომაც არ მიყვარდა სკოლა (მიზეზებზე მოგვიანებით).

ისე მოხდა, რომ ჩემი პირველი გაკვეთილი სასწავლო წლის პირველ დღეს დაემთხვა. ამ დღეს კი, ყველაზე მეტად არა ბავშვები ან რაიმე კონკრეტული შემთხვევა, არამედ ყვავილები დამამახსოვრდა. რატომღაც, გასვენებისა და პანაშვიდების მსგავსად, ჩემთვის საპირველსექტემბრო ყვავილები მხოლოდ ნეგატიურთან არის დაკავშირებული. რაღაცნაირად, ეს ამბავი საბჭოთა კავშირს მაგონებს, პატარა პიონერებს, ამხანაგ-პედაგოგებს, რომლებიც ერთმანეთს ულოცავენ სასწავლო წლის დაწყებას და მგონია, რომ იმ სისტემიდან ვერ დაგვიღწევია თავი. რაღაც ძალიან უშნო და უსიამოვნოა ამ ამბავში ჩემთვის. რაღაცით ამოუცნობიც.

ნებისმიერ შემთხვევაში, დაიწყო პირველი გაკვეთილი. ბევრი ბავშვი და მე. და ალბათ, აი, მანდ დავუშვი პირველი შეცდომა. გაკვეთილის თემად სასკოლო სისტემა ავირჩიე. გამხსნელად ფინქ ფლოიდის კედელი ჩავურთე და ვუყვებოდი, თუ რატომ დაიწერა ეს სიმღერა. გარდა ამისა, ვსვამდი მათთვის უცნაურ კითხვებს. მაგალითად, რატომ არის, რომ მერხები ზუსტად ისე არის ჩამწკრივებული, როგორც მათთან, რატომ ასწავლიან იმ საგნებს, რაც ცხრილში უწერიათ, რატომ არის გაკვეთილები 40-45 წუთიანი, რატომ ირეკება ზარი და ბევრი სხვა... რაც მთავარია, საერთოდ, რისთვის არის და რა საჭიროა სკოლა?

ამის შემდეგ, ვმსჯელობდით იმაზე, თუ რა უნდა შეცვლილიყო სკოლებში. მიყვებოდნენ თავიანთ გამოცდილებებს (ძირითადად უარყოფითს) და მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო ეს ყველაფერი (თუმცა, ამ ნაწილში ცოტა გაუჭირდათ). ბოლოს, იმდენად შევედით „მუღამში“, რომ რამდენიმე

ბავშვი მეუბნებოდა, აჯანყებისთვის/ბუნტისთვის გვამზადებთო? რაც, სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან მესიამოვნა, რადგან, რეალურად, ზუსტად ეგ იყო ჩემი მთავარი მიზანი. ნაკლებად მაინტერესებდა ეს ბავშვები „ადიქციას“ სწორად განმარტავდნენ თუ არა, მნიშვნელოვანი იყო უფრო ინიციატივიანი და მოაზროვნეები ყოფილიყვნენ. რაც მთავარია, დაესვათ დამაფიქრებელი შეკითხვები სხვებისთვის და, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის. სხვა სიტყვებით, დაეწყოთ ან გაეგრძელებინათ კრიტიკულად აზროვნება.

შემდგომ გაკვეთილებზე მივაყოლე და მივაყოლე. ვსაუბრობდით ადამიანის უფლებებზე, ჩაგვრაზე (მათ შორის, კონკრეტულ შემთხვევებზე. ძალიან ემოციური იყო, როდესაც ერთ-ერთ უსაყვარლეს მოსწავლეს ცრემლები წამოუვიდა, ტირილი დაიწყო და მისი გამოცდილება გამიზიარა), საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე, ადამიანისთვის მნიშვნელოვან თვისებებზე და ა. შ. ვაღიარებ, იყო შემთხვევები, როდესაც დროის უქონლობის გამო, ფიზიკურად მოუმზადებელი მივდიოდი გაკვეთილზე. იშვიათად მიმართლებდა და მაინც საინტერესოდ მიდიოდა საგაკვეთილო პროცესი. ხანდახან – იყო პირდაპირი ჩავარდნები, როდესაც კლასში სრული ქაოსი ხდებოდა.

ბევრი მხარდამჭერის წყალობით მოვახერხეთ და არაერთ გასვლით ღონისძიებაზე იყვნენ ბავშვები. მათ შორის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პიკნიკზე, ექსპერიმენტორიუმში, ილუზიების მუზეუმში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში – 112, კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრში, სადაც ჩაუტარდათ გუნდურობის ტრენინგი. ამასთან, გვყავდა მოწვეული სტუმრებიც. მოკლედ რომ ვთქვა, არ მოიწყენდი. ამისათვის, უღრმესი მადლობა თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ამ ღონისძიებების ორგანიზებაში დამეხმარა.

ალბათ ფიქრობთ, შეცდომა ამ ყველაფერში რა იყოო. იდეაში, შეცდომა არც გაკვეთილის თემებში, არც გასვლით ღონისძიებებში და, მით უმეტეს, არც ბავშვებში იყო. შეცდომა უფრო ჩემს აღქმებსა და მოლოდინშია. კონკრეტულად, შეცდომა იყო ის, რომ ვფიქრობდი, ძალიან მოკლე დროში შევძლებდი და ამოვაყირავებდი ყველა იმ უარყოფით გავლენას, რაც ამ ქვეყანამ ბავშვებს დაამჩნია (არავითარ შემთხვევაში მხოლოდ სკოლამ. მეტწილად – სხვა ფაქტორებმა): სიზარმაცე, უინტერესობა, აგრესიულობა და დესტრუქციულობა, საბოლოო ჯამში კი – უინიციატივობა. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი იმდენად ღრმად არის ბავშვებში გამჯდარი და იმდენი ფაქტორი მოქმედებს მათზე, ჩემი და სხვა მასწავლებლების პერიოდული მცდელობები არასაკმა-

რისია. სწორედ ამიტომაც არის სისტემის გამართულობა საჭირო. როგორც არ უნდა იყოს, ამ აბზაცის მთავარი სათქმელი ის არის, რომ გაცილებით მაღალი ამოცანები დავუსახე ჩემს თავს და იმაზე მეტი მოლოდინები მქონდა, ვიდრე გაკეთება შემეძლო. ჰოდა, როდესაც სემესტრის ბოლოს ვიკითხე, რა ისწავლეთ-თქო, ერთ-ერთი მოსწავლის ნათქვამი, რა უნდა გვესწავლა – არაფერიო, დიდი იმედგაცრუება იყო ჩემთვის.

აქედან გამომდინარე, დამწყებ მასწავლებელთათვის ჩემი მთავარი რეკომენდაციაა, დაისახონ კონკრეტული მიზნები, რომელიც კონკრეტულად მათ საგანს ეხება და არა სკოლისა თუ სისტემის გადატრიალების გეგმები. სხვათა შორის, 2019 წლის ნოემბერში, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ახალი ინიციატივის – სკოლა ლაბი – ფარგლებში, ჩემს კოლეგებთან ერთად, სასწავლო ტურით ვიმყოფებოდი პოლონეთში. ტურის განმავლობაში, რამდენიმე სკოლისა და არა ერთი ორგანიზაციის საქმიანობას გავეცანით. ერთ-ერთი იყო განათლების სკოლის პროგრამა, რომელიც ხორციელდება პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ინსტიტუტის მიერ. რაც ყველაზე მთავარია, პროგრამის მეთოდოლოგია შემუშავდა კოლუმბიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. აღნიშნულის ფარგლებში, ეს ორგანიზაცია ამზადებს და უშვებს ძალიან მაღალი დონის მასწავლებლებს. ამ ამბავს აქ იმიტომ ვყვები, რომ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ზუსტად ამ რეკომენდაციას აძლევენ თავიანთ მომავალ მასწავლებლებს. მათი გამოცდილება კი გაცილებით შთამბეჭდავი და გასათვალისწინებელია ვიდრე ჩემი.

P.S. ისე კი, საინტერესოა, რომ თავად სიტყვა სკოლა მოდის ბერძნულიდან (schole) და, დასვენებას, თავისუფალ დროს ნიშნავს. საინტერესოა, საქართველოში ვის როგორ ესმის, რას ნიშნავს სიტყვა სკოლა.

სწავლება
დოკუმენტური ფილმებით

სწავლა-სწავლების პროცესში ფილმების გამოყენების სიკეთეზე ხშირად წაგვიკითხავს. მათ შორის, დოკუმენტური ფილმების სიკეთეებზე. დასაწყისშივე უნდა ვთქვა, რომ დოკუმენტალისტიკასთან შეხება დიდი ხანი არ არის, რაც მაქვს და მოყვარულის/მაყურებლის დონეზე ვიცნობ. ამჯერად მის მნიშვნელობაზე ვისაუბრებ მასწავლებლის პერსპექტივიდან.

სრულიად შემთხვევით, მქონდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო 2019 წლის საერთაშორისო დოკუმენტური ფესტივალის (Cinedoc Tbilisi) ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში – Civil Pitch. პროექტი ითვალისწინებს კინორეჟისორებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაკავშირებას და მათი თანამშრომლობის ხელშეწყობას. პროექტის მიზანია, წარმოაჩინოს ისეთი თემები, რომლებსაც ნაკლებად ექცევა ყურადღება. მაგალითად, ეკოლოგია, ურბანიზმი, LGBTQ უფლებები, მიგრაციის საკითხები, რელიგიური ექსტრემიზმის საფრთხე, ნაციონალიზმი, ეთნიკური კონფლიქტები კავკასიის რეგიონში და მრავალი სხვა...

პროექტის პირველ ეტაპზე, შესაბამისი პროცედურის მიხედვით ხდება ორგანიზაციებისა და კინორეჟისორების შერჩევა და დაწყვილება. შემდგომ, ისინი მუშაობენ გარკვეულ თემატიკაზე (ჩემს შემთხვევაში, თომა ჩაგელიშვილთან ერთად ვმუშაობდით დოკუმენტურ ფილმზე მასწავლებლის შესახებ). ამას უკვე მოსდევს რამდენიმე დღიანი ტრენინგი საერთაშორისო ტუტორების მონაწილეობით. ეს ერთგვარი რეპეტიციაცაა ნამუშევრის წარდგენამდე, ანუ „ფიჩინგამდე“, რომელიც საერთაშორისო ჟიურის წინაშე ხდება. საბოლოდ, ჟიური ავლენს რამდენიმე გამარჯვებულს.

მოკლედ რომ ვთქვა, მიუხედავად ჩემი ინტერესისა, ამ პროექტმა ჩემში დოკუმენტური ფილმების სიყვარული ერთი-ორად გაზარდა. წარმოიდგინეთ, 10-15 ორგანიზაცია და ამდენივე დოკუმენტალისტი, ტრეილერის სახით, ერთდროულად წარადგენს იდეას სულ სხვადასხვა თემატიკაზე. დამერწმუნეთ, საინტერესო პროცესია!

გამოხდა ხანი და 2020 წლის სექტემბერში ორ სკოლაში დავიწყე მუშაობა. რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდგომ, გადავწყვიტე ანალოგიური პროექტი სკოლაშიც დამენერგა. პირველად ეს კერძო სკოლა „ქორალში" დავიწყე. ბუნებრივია, პრინციპი ცოტა სხვა იყო. ამ შემთხვევაში, დოკუმენტალისტებიც და ორგანიზაციების წარმომადგენლებიც თავად მოსწავლეები იყვნენ. უფრო კონკრეტულად, თითოეულ კლასში მოსწავლეები დავაჯგუფე, რის შემდეგაც ჩემთან კონსულტაციის შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა შეარჩია ფილმის თემატიკა. შერჩევის პროცესი იმდენად საინტერესო იყო, რომ, დამერწმუნეთ, მასწავლებლისათვის ღირს ამის გაკეთება. მოვიყვან შერჩეული ფილმების რამდენიმე მაგალითს: ქართველები და ჩერნობილის კატასტროფა, ოკუპაცია, წეროვანის დასახლება, აფხაზეთის ომი, ადრეული ქორწინება, ცხოველთა უფლებები, ადიქცია, გენდერული თანასწორობა, ემიგრაცია, ქაოსური მშენებლობები, ქალაქის მეეზოვე.

თემატიკის შერჩევის შემდგომ, მათი მიზანი იყო, გადაეღოთ მოკლე 3-4 წუთიანი ფილმი (სინოფსისი). ბუნებრივია, მასწავლებლის მხარდაჭერა ამ პროცესში მნიშვნელოვანია. მაგალითად, ერთ-ერთ ჯგუფთან ერთად წავედით მარნეულში და შევხვდით ეროვნულ უმცირესობებს, სხვა ჯგუფებმა ჩაწერეს თემატური ინტერვიუები და ა. შ.

პროცესი საინტერესოდ მიდიოდა და ორი რეპეტიციის ჩატარება მოვასწარით. რეპეტიციების შემდგომ ვგეგმავდით ფილმების ჩვენება დიდ აუდიტორიაში მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანდასწრებით მოგვეწყო. ამჟამად, ამ ამბავმა დისტანციურად გადაინაცვლა.

რომ არ გამომრჩეს, გარდა პროექტის სახალისო ნაწილისა, ის ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისათვის. ამ პროექტით ისინი სწავლობენ არა ერთ, არამედ ყველა იმ საკითხს, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე, რადგან რეპეტიციები და ჩვენებები ერთდროულად, ანუ დიდ ჯგუფში, კლასში ხდება. რაც მთავარია, ამგვარად ისინი სწავლობენ დამოუკიდებელ მუშაობასა და უვითარდებათ კვლევითი უნარ-ჩვევები.

ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, უნდა მოგახსენოთ, რომ დატვირთული ონლაინგაკვეთილების ნაცვლად, შეგიძლიათ გამოიყენოთ დოკუმენტური ფილმები. საბედნიეროდ, ამ მხრივ, არჩევანი ძალიან დიდია. საინტერესო ბაზა აქვს საზოგადოებრივ მაუწყებელს. კიდევ უფრო გასახარია და, გარკვეულწილად ფუფუნებაა, რომ ფილმები ხელმისაწვდომია IDFA-ს (ამსტერდამის საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი) ვებგვერდ-

ზეც. აქ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ 200-მდე ფილმი ონლაინრეჟიმში. არის როგორც მოკლემეტრაჟიანი ასევე სრულმეტრაჟიანი ფილმები.

უაღრესად საინტერესო მასალებია რადიო თავისუფლების ვებგვერდზე, რომლებიც შეიქმნა „3-წუთიანი ფილმების კონკურსის“ ფარგლებში. ამ შემთხვევაში, თემატიკა გენდერულ თანასწორობასა და ოჯახურ ძალადობას ეხება.

დაბოლოს, ჩემი საყვარელი – „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“. როგორც მის აღწერაში ვკითხულობთ, ეს არის ფილმი სიყვარულზე, იმედგაცრუებაზე, ომსა და ოცნებაზე. ჩემთვის კი, ეს არის ფილმი ცხოვრების ტრაგიზმსა და აბსურდულობაზე. ეს იმ კატეგორიას მიეკუთვნება, აუცილებლად სანახავს რომ ეძახიან.

იუმორის დროა

ვიცინი, მაშასადამე ვსწავლობ... ვხუმრობ, მაშასადამე ვასწავლი.

რენე დეკარტეს რა გითხრათ, მაგრამ ეს ორი ფრაზა არანაკლები ჭეშმარიტება მგონია. კორონავირუსით გამოწვეული გაუგებრობის დროს კი ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი.

ამ სტრესის პერიოდში, სულ რადენჯერმე გამეცინა და ერთ-ერთი გამოწვეული იყო ვიდეო-რგოლით, რომელშიც სატელევიზიო გამოკითხვის დროს, გამვლელმა კაცმა იხუმრა, 32 წელია კორონავირუსს ვუძლებო და თავის ცოლზე მიანიშნა. ჰოდა, თუ რამე გადაგვარჩენს, ეს იუმორია!

ვფიქრობ, დადგება დრო და მასწავლებლებს ამ კრიტერიუმითაც შეარჩევენ. როგორ? – ეს ცალკე თემაა. ისე კი, საინტერესო იქნება, შესარჩევი კომისია რომ იკითხავს: ჭანტურია, აბა ერთი აგვიხსენით, რას ნიშნავს შრომის უფლებები. იუმორის გამოყენებით, თუ შეიძლება.

ჰო, ვერ იქნება კარგი სანახაობა. თუმცა, იქამდე დიდი დროა. ამიტომ, შევეცდები მოკლედ განვმარტო, რატომ არის იუმორის ქონა საკმაოდ მნიშვნელოვანი უნარი მასწავლებლისათვის:

ამცირებს სტრესს და ხელს უწყობს სასიამოვნო და კომფორტული გარემოს შექმნას;

ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში;

ხელს უწყობს კლასის ერთ გუნდად შეკვრას;

ხელს უწყობს მოსწავლე-მასწავლებელს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას და სხვა და სხვა...

ამავდროულად, ისიც უნდა ითქვას, რომ დისტანციური სწავლების მსგავსად, იუმორის არასწორად გამოყენებას ნეგატიური გავლენა აქვს მოსწავლეებსა და სწავლა-სწავლების პროცესზე. ამის მაგალითები მეც მქონია. ასეთი ტიპის იუმორია სარკაზმი, ასაკთან შეუსაბამო, მოძველებული ან არაბუნებრივი ხუმრობები. იმის ყურება, როგორ წვალობს ადამიანი იხუმროს, ნამდვილად არ არის კარგი სანახავი. დარწმუნებული ვარ, ყველა ვყოფილვართ სიტუაციაში, როდესაც უხერხული სიჩუმე დამდგარა მასწავლებლის უხერხული ხუმრობის შემდეგ.

იმ პირობებში, როდესაც განათლების სფერო ფიქრობს, როგორ გაგრძელდეს სწავლა-სწავლების პროცესი, ვფიქრობ, ეს კომპონენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. უფრო კონკრეტულად, იმისათვის, რომ ბავშვები ჩაერთონ ამ პროცესში და მათთვის ეს სასიამოვნო იყოს, უნდა მივაწოდოთ სახალისო და იუმორისტული მასალები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, საუკეთესო დროა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების გამოსაყენებლად.

პირველი და უპირველესი – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონია". ამას საერთოდ არაფერი ჯობს ამ ქვეყანაზე. საოცრად მაგარი მონაკვეთია „N სოფლის საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 1940 წლის 18 მარტის სხდომის ოქმი", „საერთო კრება", „ლიტერატურული საღამო" და, ზოგადად, ნებისმიერი დიალოგი ილიკოს, ილარიონსა და ზურიკელას შორის. იუმორთან ერთად ეს წიგნი რომ ცხოვრებას გვასწავლის, ეგრე უნდა...

ძალიან მაგარია მისი იუმორისტული მოთხრობები. მაგალითად, „ბავშვის როლი მშობლების აღზრდის საქმეში", რომელიც შემდეგნაირად იწყება:

„მშობლების როლი ბავშვების აღზრდის საქმეში განუზომელია, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვებიც გარკვეულ როლს ასრულებენ მშობლების აღზრდაში. განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენენ ამ საქმეში 5-6 წლის ბავშვები".

ისევ დუმბაძეს რომ გავყვეთ, ძალიან მაგარია მოთხრობების ტრილოგია – „საუბრები ღმერთთან". მაგ. ერთ-ერთი – „მესამე, გაუთვალისწინებელი, მაგრამ გულახდილი საუბარი ღმერთთან":

„– შენ თუ კიდევ რამის სათხოვნელად ხარ მოსული, გავგიჟდები! – შემიცხადა ღმერთმა და თვალი ამარიდა.

– გათავდა, ბატონო გიორგი! ამ მწერალთა მეექვსე ყრილობასაც დავესწრები, ვეტყვი ჩემს სათქმელს და მერე თქვენი ვარ – სტენოკარდიის მძაფრი შეტევითა და ნერვიული სისტემის აბსოლუტური მოშლილობით – ვახარე მე

– შენ სულელი ხომ არ ხარ?! მოურიდებლად მკითხა უფალმა და ელექტროღილაკს თითი დააჭირა."

დაბოლოს, ყველაზე ნაკლებად ცნობილი „ზუსტად 8 საათზე":

„ევროპაში ნამყოფი ჩემი მეგობრები დილით თურქული ყავითა და OC-ის მარკის კონიაკებით საუზმობენ. მე კი ისევ მურაბიანი ჩაითა და ცეკავშირის ყველით ვსაუზმობ... ჩემი ამხანაგები ისეთი ვიწრო შარვლებით დადიან, ორი კაცი ეხმარებათ გაძრობაში. მე კი, ქამარს რომ შევიხსნი, მისით მძვრება. კარგია მერე ეს? რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ იმედი მაქვს ამ მოთხრობის შემდეგ გამოვსწორდები, რადგან ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებს გარკვეული აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს თვით ავტორისთვისაც".

შემაჯამებელი

„თუ დრო არ გაქვს, ნუ დაიწყებ კითხვას.“ ასე იწყებს გოდერძი ჩოხელი თავის რომანს, „ადამიანთა სევდა.“ ჰოდა, აქაც, რაღაც ეგეთი ამბავია... ამიტომაც, მეც მას მივბაძავ და ეგრე დავიწყებ.

ეს ამბავი არც შემაჯამებელ დავალებას ეხება და არც რაიმე მსგავსს. ეს არის ჩემი მასწავლებლობის პირველი წლის გამოცდილების შეჯამება. უფრო – გახსენება და ზოგადი შეფასება. რა გავაკეთე, რა ვერ გავაკეთე, რა მეგონა და რა – არ მეგონა. მოკლედ, დავიწყებ და ვნახოთ, რა გამოვა.

მოკლე შესავალი

ე. ი. დასაწყისში უნდა ვთქვა, რომ ჩემი საქმიანობა განათლების კოალიციაში, ასევე მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს პროექტი და სხვა კავშირები, ბუნებრივია, დამეხმარა იმაში, რომ მასწავლებელი გავხდი. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მასწავლებლობა პირველად 2015 წელს ვცადე, თუმცა, გასაუბრების შემდგომ ჩემი კანდიდატურა არ შეირჩა.

მიზეზებზე, თუ რატომ მომინდა მასწავლებლობა, ბევრს არ დავწერ. ორი მიზეზი აქვს – პრაგმატული და მეორე:

პრაგმატული – ძალიან ახლოს არის ჩემს საქმიანობასთან და მინდოდა, ეს გამოცდილება მქონოდა;

მეორე – ბავშვობიდან ყოველთვის მიყვარდა სირთულეების გადალახვა და გამოწვევები; მაგალითად, ფეხბურთის თამაშის დროს, ვცდილობდი ყოველთვის ყველაზე რთული მეტოქე „ამეყვანა.“ სხვა სპორტშიც ყველაზე კონკურენტული ადამიანები მიყვარს – მაგალითად, კობი ბრაიანტი; განათლების კოალიციაშიც ვცდილობთ, სულ ასეთ საქმეებს შევეჯიდოთ. მაგალითად, მასწავლებლის ეროვნული ჯილდო. მოკლედ, მასწავლებლობა უფრო საკუთარი თავის ტესტი იყო. მეორე მხრივ, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება. აქვე ვიტყვი, რომ დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, არ ვიყავი სათანადოდ მომზადებული მასწავლებლობისათვის. თუმცა, მაინც გავრისკე.

ბუნებრივია, ვაანალიზებდი ყველა იმ რისკს, რაც ამ გადაწყვეტილებას ახლდა (ასეთი კი ბევრი იყო).

რაც შეეხება სკოლებს, პირველი არჩევანი იყო შედარებით პერიფერიული სკოლა, სადაც ბევრი გამოწვევა მექნებოდა. არც თუ ისე ხანგრძლივი ძიებისა და სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერესების თანხვედრის შემდგომ, გავიარე გასაუბრება და ყველა ის პროცედურა, რაც მომეთხოვებოდა. საბოლოოდ, დავიწყე მუშაობა თბილისის 71-ე საჯარო სკოლაში. კონკრეტულად, ორი კლასი მყავდა. ორივე მეშვიდე.

ამ გადაწყვეტილებიდან რამდენიმე ხანში, ჩემმა მეგობარმა, ნათია ფურცელაძემ დამირეკა და შემომთავაზა, სკოლა ქორალში დამეწყო სწავლება. მოკლედ, იმდენად დამაინტრიგა, რომ სხვა გზა არ მქონდა. შესაბამისად, 2019 წლის სექტემბრიდან არა ერთ, არამედ ორ სკოლაში და 8 კლასში დავიწყე სწავლება.

რა გავაკეთე და როგორ – კორონამდე და კორონას შემდეგ

პირველი ნაწილი – კორონამდე

პირველი დღე და პირველი კვირა, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო. პირველივე გაკვეთილზე ჩავაგდე ინტრიგა და დავიწყე სკოლის კრიტიკა (არ გამიჭირდებოდა). თავიდან, მიყურეს, ეს მოგზავნილიაო, მაგრამ შემდეგ, სულ ცოტა ხანში, ძალიან კარგი დისკუსია გავმართეთ. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და, წლის ბოლოს, მე მგონი, ყველანი კმაყოფილები ვართ. მეორე გაკვეთილზე გადამღები ჯგუფი მოვიდა სიუჟეტის ჩასაწერად და ამითაც ძალიან ბედნიერები იყვნენ. მახსოვს, ყველას მაშინ უნდოდა აქტიურობა.

დისკუსიების გარდა, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ბავშვები სკოლის გარეთ გამეყვანა, ხანდახან, თუნდაც, სხვა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე. ბუნებრივია, „გარე გაკვეთილები“ თვითმიზანი არ იყო და გარკვეული გასართობი, განმავითარებელი, დასამახსოვრებელი და დასაფიქრებელი აქტივობები უნდა მომეფიქრებინა. საბოლოოდ, მოვახერხეთ და წავედით უამრავ ადგილას – ექსპერიმენტორიუმი, ილუზიების მუზეუმი, თავისუფალი თეატრი, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი და ა. შ.

გარე აქტივობებთან ერთად, მოწვეული სტუმრების მეშვეობით, შევეცადე მათი სააზროვნო არეალის გაფართოებას, ანუ მათ ისეთ თემებზე დაფიქრებას, რაზეც იქამდე არ უფიქრიათ. მსურს, ყველა ამ ადამიანს მადლობა გადა-

ვუხადო, ასეთები კი, საბედნიეროდ ბევრნი არიან: დაჩი ნანობაშვილი, თემო სუყაშვილი, ნინო ზაუტაშვილი, ირინა ჭოჭუა, ნათია გოცაძე, პავლე თვალიაშვილი.

ასევე, პირადად ჩემთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო გაკვეთილებზე ვიდეო რგოლების გამოყენება. ხშირად ვიყენებდი „რადიო თავისუფლების“ ან ონლაინ გამოცემა „პუბლიკას“ ვიდეოებს. მაგ. ვიდეოში – „ვერის აღმართი შესვენებით“ – მთელი ცხოვრებაა გადმოცემული. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ბავშვებს სიკეთისაკენ უბიძგებს და სწორი ღირებულებებისაკენ განაწყობს. ვიდეოში – „გარდაცვლილებსაც სჭირდებათ სამართალი“ – უამრავი ისეთი საკითხია, რასაც სამოქალაქო განათლება ასწავლის. როდესაც მოსწავლეებს ვთხოვე, ჩამოეთვალათ ეს საკითხები და დაესაბუთებინათ რატომ, გაკვირვებულიც კი დავრჩი, იმდენი რამე ჩამოთვალეს: უთანასწორობა, სიღარიბე, შრომითი უფლებების არარსებობა, ბავშვთა შრომა, ემიგრაცია და, ამ მხრივ, არსებული პრობლემები, საბინაო პოლიტიკა, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის უპასუხისმგებლობა, „გამოძიება,“ საზოგადოების როლი და დამოკიდებულება ასეთი საკითხებისადმი და ა. შ.

ძალიან მეხმარებოდა დოკუმენტური ფილმები და დოკუმენტური მასალები. მაგალითად, „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს,“ ფანტასტიკური ფილმი, რომელიც ბევრი მიმართულებით დააფიქრებს ადამიანს. ამ მხრივ, სკოლა „ქორალში“ დავიწყეთ დოკუმენტური ფილმების ფესტივალის ორგანიზება და დიდი გეგმები გვქონდა, სადაც ბავშვებს თავად უნდა გადაეღოთ ფილმები. თუმცა, პანდემიამ გაგვაჩერა. მიუხედავად ამისა, „ქორალის დოკუმენტური ფილმების ფესტივალის“ ფარგლებში შემდეგი აქტივობები მოვასწარით:

ვიზიტი მარნეულის N2 საჯარო სკოლაში და დისკუსია თანატოლებთან;

შეხვედრა ნინიშა ჩლაიძესთან (აქტივისტი) ცხოველთა უფლებების შესახებ;

შეხვედრა მედეა ხმელიძესთან (ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენელი) ქალთა უფლებებისა და აბორტთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად;

შეხვედრა სოციალურ მუშაკებთან მათი საქმიანობის გაცნობის მიზნით;

შეხვედრა „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ წარმომადგენლებთან;

ვიზიტები ქვეშის საჯარო სკოლაში და წეროვანში ოკუპაციის საკითხების განსახილველად;

შედეგად, პირველ რიგში, მივიღე ის, რომ მაქვს კარგი ურთიერთობა ბავშვებთან. მეორე მხრივ, გაიზარდა მათი თვალსაწიერი, ისეთ რაღაცებზე დაიწყეს ფიქრი, რაზეც აქამდე არ უფიქრიათ. გარდა ამისა, სულ სხვა პერსპექტივიდან დაინახეს ის საკითხები, რასაც მხოლოდ ერთ ჭრილში განიხილავდნენ. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მესამე – შეეცვალათ დამოკიდებულება თავად საგნის მიმართ და დაინახეს მისი მნიშვნელობა.

იქიდან გამომდინარე, რომ პირველ წელს 8 კლასში ვასწავლიდი, ძალიან გამიჭირდა მოსწავლეების სახელების დამახსოვრება. შესაბამისად, ჩემი ერთ-ერთი, ხშირად გამოყენებადი ფრაზა იყო: „შენი სახელი გამახსენე."

მიუხედავად იმისა, რომ სულ ვაწარმოებდი ჩანაწერებს, სერიოზული გამოწვევა იყო დამემახსოვრებინა, რომელ კლასთან რას განვიხილავდით და პირადად მე რას ვლაპარაკობდი. არ მინდოდა სხვა კლასში იგივე გამემეორებინა. შესაბამისად, მეორე, ხშირად გამოყენებადი ფრაზა იყო: „ეს თქვენთან უკვე მოვყევი?" მოკლედ, მახსოვრობა მნიშვნელოვანი და საყურადღებო უნარია მასწავლებლისათვის.

არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა შეფასება. ხშირად მესმოდა და მესმის მასწავლებლებისგან, „მე ვიყენებ ინდივიდუალურ მიდგომებს და განმავითარებელ შეფასებას" და ყოველთვის მიკვირდა, ეს ხალხი ამას როგორ აკეთებს-თქო. საბოლოო ჯამში, პირველ წელს განმსაზღვრელი შეფასებები არ გამომიყენებია. თუმცა, ფორმალურად მათი გამოყენება მაინც დამჭირდა. შესაბამისად, ეს მომენტიც გარკვეულ სირთულესთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, წესი, რომ ყოველ გაკვეთილზე ორი ბავშვი მაინც უნდა შეაფასო (განმსაზღვრელი შეფასებით).

შეფასების მხრივ, ძირითადად, პროცესი აგებული მქონდა ურთიერთობებზე და ვცდილობდი, მათში ინტერესი გამეღვიძებინა. ასევე გამოვიყენე პროექტები და კონკურსები და ამ მხრივ, ერთგვარი ინდივიდუალურ-განმავითარებელი შეფასებაც გამოგვდიოდა.

მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი სირთულე, რომელთან გამკლავება არც თუ ისე კარგად გამომივიდა, ეს არის ე. წ. პასიური ბავშვების აყოლიება, ბავშვების, რომლებსაც არ აინტერესებთ სკოლა. ბუნებრივია, ამის წაკითხვა და მოგვარების გზების მოფიქრება რთული არ არის. თუმცა, მათი განხორციელება ხანდახან თითქმის არარეალურიცაა, მით უმეტეს 30 ბავშვიან კლასში, სადაც, ხშირ შემთხვევაში, სრული ქაოსია და ბავშვებს ინტერესზე გაცილებით სერიოზული, ყოფითი პრობლემები აქვთ. მოკლედ, მე მგონი ეს მარადიული

პრობლემაა და, იმედი მაქვს, მომდევნო წელს მეტი პასუხები მექნება ამ საკითხზე.

ამავე პრობლემასთან არის დაკავშირებული საგნისადმი ნაკლები ინტერესი. სამწუხაროდ, ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, სამოქალაქო განათლების საგანი ე. წ. მეორეხარისხოვანთა სიაში გადის, როგორც სკოლებისათვის, ასევე მშობლებისათვის. მშობელი ყოველთვის იკითხავს, რას შვება ბავშვი მათემატიკაში. თუმცა, მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია პროგრესი სამოქალაქო განათლების/მოქალაქეობის საგანში. შესაბამისად, მოსწავლეთა დაინტერესება ორმაგად რთული აღმოჩნდა. მეორე მხრივ, ეს ჩემთვის ერთგვარი შესაძლებლობაც იყო, რომ მესარგებლა ამ მომენტით და მათი მოლოდინები არ გამემართლებინა, ანუ პოზიტიურად გამეკვირვებინა. ძალიან გამიხარდა, როდესაც ვთხოვე, მიმები გაეკეთებინათ ჩვენი საგნის შესახებ, შედეგად შემდეგი ფოტოები გამომიგზავნეს:

მომდევნო გამოწვევა უფრო საბაზო საფეხურს ეხება, ეს არის ბალანსი მეგობრობასა და სწავლებას შორის. ჩემს მეგობრულ დამოკიდებულებას, ხშირ შემთხვევაში, ბავშვები არასათანადოდ იყენებდნენ. მოდიოდნენ მოუმზადებლები, პასიურობდნენ. არაერთხელ მსმენია – „სიმკაცრე საჭიროა, გიორგი." თუმცა, ჩემთვის ეს არაბუნებრივი, არასაჭირო, მარტივი და უშედეგო გამოსავალია. ვფიქრობ, მასწავლებელი საკმარისად შემოქმედებითი უნდა იყოს, რომ სიმკაცრე არ დასჭირდეს. ამ შემთხვევაში, პრინციპულობა, გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად მუშაობა გაცილებით მნიშვნელოვანია. ეს მიმართულება ჩემთვის ყველაზე რთული აღმოჩნდა.

ამ ყველაფრით იმის თქმა ნამდვილად არ მინდა, რომ პირველ წელს დიდი მიღწევები მაქვს. თუმცა, ვფიქრობ, გარკვეული დადებითი ეფექტი მოვახდინე როგორც ბავშვებზე, ასევე სკოლაზე. არა ისეთი, როგორიც მინდოდა, თუმცა – მაინც დადებითი. ბუნებრივია, იმასაც ვაანალიზებ, რომ ჩემი პოზიცია (და კიდევ ბევრი სხვა რამ) დამეხმარა, სხვებისთვის რთულად მისაწვდომი რაღაცები გამეკეთებინა. თუმცა, ვფიქრობ, რომ ყველას რაღაც შეგვიძლია და მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ მაქსიმუმის მისაღებად.

რამდენად გამომივიდა, ნამდვილად ვერ გეტყვით. თუმცა, ცდა ნამდვილად არ დამიკლია.

არ ვიცი, სხვებთან როგორ არის, თუმცა, ჩემთვის ასევე გამოწვევა იყო, არ ვყოფილიყავი სუბიექტური, მათ შორის ურთიერთობებში. ალბათ, ბუნებრივია, ვიღაცები უფრო ახლოს არიან ჩვენთან და გვემეგობრებიან, ვიღაცები – ნაკლებად. საპირისპიროდ, მეც ვიღაცებთან უფრო კომფორტულად ვარ, ვიდრე – სხვებთან. აქედან გამომდინარე, ძალიან მინდოდა მეგობრობა და სიახლოვე რამდენიმე ბავშვთან არ ყოფილიყო ხელისშემშლელი და ნეგატიურად აღსაქმელი სხვა მოსწავლეთათვის.

ინა არჩუაშვილი

1 მე ახლა არავის ველოდები... 333

2 ცუდი შვილები 339

3 გულიდან გაზომილი მანძილი 344

4 მოსწავლის ავტოგრაფი 351

5 შავ-თეთრიდან ნათელი ფერებისკენ 355

მე ახლა არავის არ ველოდები...

რამდენიმე წელიწადში ერთხელ, ხან მონატრების გამო, ხანაც სპონტანურად, ჩემს ძველისძველ მოწნულ კალათში ჩაწყობილ ბარათებს ვამზეურებ. მოვიდგამ კალათს გვერდით, ამოვიღებ თაბახის გაყვითლებულ თუ ჯერ კიდევ სისპეტაკეშენარჩუნებულ, ცალხაზიან თუ უჯრიან რვეულის ფურცლებზე დაწერილ წერილებს და მანამდე ვკითხულობ, სანამ ემოციურად გავუძლებ. მათ შინაარსზე რომ აღარაფერი ვთქვა, არ არის ადვილი იმასთან მიახლება, რაც უკვე დასრულდა, რაც აღარასდროს განმეორდება. არადა, თითქოს გუშინ იყო ის დრო, როცა ერთმანეთს ხელით დაწერილ ბარათებს ვუგზავნიდით.

ბარათი #1

ჩემთვის გამოგზავნილი ბარათებიდან ყველაზე ხალისიანები და ფერადები ჩემს პატარა მოსწავლეებს, დღეს უკვე დიდ, ლამაზ და ჭკვიან გოგობიჭებს ეკუთვნით, რომელთაც მე-ნ გიმნაზიაში დაწყებით კლასებში ვასწავლიდი. ვიცი, ასეთ ბარათებს უამრავი ბავშვი წერს და მათი მსგავსები ბევრი სხვა მასწავლებლის „კალათებშიც“ მოიძებნება, მაგრამ მე ჩემები მიყვარს და მეძვირფასება. ის ბრჭყვიალა გულებითა და ყვავილებით გაფორმებული სტრიქონები კი, რომელთაც ახლა ვკითხულობ, უდიდეს სიამოვნებასთან ერთად, ჯერ კიდევ განმაცდევინებს სინდისის ქენჯნასაც, რადგან ვერასდროს ვეღარაფერს შევცვლი:

„ირმა მასწავლებელო! რატომ მიგვატოვეთ?
ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარდით! გთხოვთ, დაბრუნდით!“
თქვენი III კლასის ბავშვები“
როგორ გინდა, რომ ამ „დანაშაულის გრძნებით“ იარო მთელი ცხოვრება?

ბარათი #2

მომდევნო ასევე ზომითაც და შინაარსითაც ციცქნა ბარათი „კალათიდან“, ჩემს მასწავლებელს და უფროს მეგობარს, მწერალ თეიმურაზ მაღლაფერიძეს ეკუთვნის. მე ის 1987 წლის აგვისტოში გადმომცეს თსუ-ს მაღლივი კორპუსის ეზოში (ოღონდ არ მახსოვს, ვინ), როდესაც მისაღებ გამოცდას ვაბარებდი ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

„ირმა!

არ შეშინდე, თამამად გადი, მოითხოვე თავმჯდომარე. აბა შენ იცი! გამოცდის შემდეგ აუცილებლად გამაგებინე რა ჰქენი.

თ. მ.“

გავაგებინე, რა თქმა უნდა, და ის სიხარული დღემდე მახსოვს, გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მასთან რომ მიმარბენინებდა.

ბარათი #3

ეს ბარათი კი ჩვენს საერთო სამუშაო მერხზე დაუტოვებია ჩემთვის კიდევ ერთ ძვირფას ადამიანს და მასწავლებელს ვახტანგ როდონაიას, ანუ ბატონ ვატას, რომელთან ერთადაც ჯერ კიდევ სტუდენტი გოგო, გაზეთ „კავკასიონში“ ვმუშაობდი (სამწუხაროდ, ვერც აქ ვიხსენებ, რომელ „წერილზეა“ საუბარი).

„ირმა!

წერილს გავეცანი. აქა-იქ ჩავასწორე. უკვე შეიძლება მისი კომპიუტერში შეტანა. ავტორიც იყო და ვესაუბრე. შენ იცი აბა!

კეთილი სურვილებით, ვ. როდონაია“

და აქვე, კიდევ ერთი რამის თქმა მინდა სიამაყით: მე მქონდა ბედნიერება, ამავე „კავკასიონის“ რედაქციაში არაერთხელ მომესმინა თეიმურაზ მაღლაფერიძის, ვატა როდონაიასა და რეზო სირაძის ნამღერი ხალხური სიმღერები და მათთვის ჩემი მოკრძალებული ხმა ამეყოლებინა.

ბარათი #4

ეს ბარათი კი საბერძნეთში საცხოვრებლად წასულმა სტუდენტობის დროინდელმა მეგობარმა მომწერა, მართალია, უკვე 21-ე საუკუნეში, მაგრამ ის მაინც ხელითაა დაწერილი:

„ჩემო მეგობარო! როგორ მეშინია, რომ ველარ გამიხსენებ. რაც საქართველოდან წავედი, ეს შიში სულ თან დამდევს. ...თმა როგორ გაქვს, მე რომ მიყვარს, ისე, ძალიან მოკლედ შეჭრილი თუ... მაპატიე ასეთი დეპეშური ბარათისთვის. მომავალში, თუ გახსოვარ და დაინტერესდები, ვრცლად მოგწერ.

მ. კვირიკაშვილი, ათენი. 27.10. 02.“

პატარა, სიფრიფანა, მაგრამ გასაოცარი გამძლეობისა და ნებისყოფის მქონე ლურჯთვალა გოგო იყო ჩემი მეგობარი. ჩვენ ურთიერთობა განვაახლეთ, თუმცა საუკუნის შესაბამისი – ვირტუალური. მე მას დღემდე „ლურჯ ღილს“ ვეძახი.

ბარათი #5

ესეც მცირე ამონარიდებია სტუდენტობის დასრულების შემდგომ თბილისიდან მშობლიურ ბათუმში დაბრუნებული მეგობრის წერილიდან, რომელიც წლების შემდეგ, ოჯახით, ბევრად უფრო შორს, ამერიკაში გაემგზავრა, და ალბათ, როგორც ჩვენი მეგობრების უმრავლესობა, აღარც ის დაბრუნდება საქართველოში საცხოვრებლად. წერილებს ისევ ვწერთ ერთმანეთს, ელექტრონულს, მაგრამ ამ წერილებს სიშორის, გაუცხოების კვალი ატყვია. ისეთი სითბო აღარ მოდის მათგან, როგორც 21 წლის წინ გამოგზავნილი ამ ნაწერიდან:

„...ჩემო უსაყვარლესო, სულზე უტკბესო მეგობარო! რომ იცოდე, როგორ მომენატრე, როგორ ვწუხდი შენი ამბების უცოდინრობის გამო. ... დავდივარ სამსახურში. ვბეჭდავ. შენ კი იცი, რაოდენ ძლიერ მიყვარს მე ბეჭდვა. სისულელეებს გწერ ვიცი, იმიტომ, რომ მახრჩობს ამ ქალაქში დაბუდებული ჭაობის შმორი, სიმყრალე... თბილისი კი ვიცით ორივემ, რას დაემსგავსა, მაგრამ აქ რაც ხდება, ენით ვერ აღწერს ადამიანი.

... სათქმელი უამრავი მაქვს, არც ვიცი, საიდან დავიწყო. ...მარისკა უკვე დიდი გოგოა, ისეთი კულულები აქვს, როგორიც ხათუს ჰქონდა ბავშვობაში.

...ძალიან მენატრები, იქნებ შენ მოახერხო და ჩამოხვიდე აქ? თუმცა ვიცი, რომ ბათუმის ჰავა შენთვის მავნებელია, მაგრამ მე მაინც ვიფიქრებ, რომ ჩამოხვალ.

გემშვიდობები, გკოცნი, გეხვევი. მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!

შენი ნინო. 6. 08. 96 წ. დასაწვავი ბათუმი“

ბარათი #6

მე ბარათს ვეძახი შუაზე გაკეცილ, გაყვითლებულ თაბახის ფურცელზე დაწერილ ამ პატარა ტექსტს ნახაზთან – ჩემს დასაკვალიანებლად სახელდახელოდ შედგენილ რუკასთან – ერთად, რომელიც ეს წუთია ამოვიღე კალათიდან. ნახაზი სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტში, ИМР-ში მისასვლელ გზას მასწავლის ვნუკოვოს აეროპორტიდან ობნინსკში, კალუგის ოლქში, სადაც სულ მარტო, თვითმფრინავით, თანაც პირველად და დამთრგუნველი დიაგნოზით მივდიოდი ჯერ თბილისსაც კი შეუჩვეველი სოფლელი გოგო. ტექსტი კი ასეთია:

„ვნუკოვოდან ობნინსკამდე „ელექტრიჩკა“ დადის (ეს „ელექტრიჩკა“ მოდის მოსკოვიდან, გაივლის რამდენიმე დასახლ. პუნქტს. ბოლო გაჩერება აღარ მახსოვს, მგონი, მალოიაროსალავეცია). ვნუკოვოდან „ელექტრიჩკა“ გაივლის ობნინსკს და აგრძელებს გზას.“

ნანა ყანჩაველი – კეკელიძის 19, ტელ: 22-41-39“

ქალბატონი ნანა მე მაშინ ვნახე პირველადაც და უკანასკნელადაც. მერე აღარასოდეს მინახავს. მთელი ცხოვრება მადლიერი ვარ მისი, თუმცა, ჩემდა სამარცხვინოდ, არც ერთხელ აზრად არ მომსვლია დამერეკა, მომეკითხა, მადლობა გადამეხადა და ჩემი ამბავიც მეთქვა. ვფიქრობ, იქნებ ახლა გავაკეთო ეს, მაგრამ იმდენი წელი გავიდა მას შემდეგ, იმდენი, რომ მეშინია...

ბარათი #7

ამ წერილს პირობითად ვარქმევ მეშვიდეს, რადგან ის ერთი ბარათი კი არ არის, მთელი ციკლია – „წერილები მეგობარს“, რომელთა უმეტესო-

ბა 90-იან წლებში ფშავიდან გამომიგზავნა ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ირმა ბერიძემ (იმავე ი. ბ-მ). ჩემი ოჯახის წევრების და ნათესავების წერილების შემდეგ (მათ გადაკითხვას სხვა დროისთვის გადავდებ) ყველაზე უხვად, სწორედ მისი წერილები მაქვს კალათში. რომელიღაც ძველი წიგნიდან ამოხეულ ფურცლებზე დაუწერია, მხოლოდ ცალ მხარეს, იმიტომ, რომ მეორე მხარეს დაახლოებით ასეთი შინაარსის ნაბეჭდი ტექსტია: „... შეეშინდათ რა მართვის სფეროში სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისა, ამ წინადადებაზე უარი თქვეს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ორგანოები ხშირად გაუმართლებლად გულუხვად აძლევენ სუფსიდიებს სახელმწიფო საწარმოებს...“. და ამავე ნაბეჭდ მხარეს მიუწერია: „სუფთა ფურცლები არ მქონდა, ნახე, რაზე ვწერდი“... ყველაზე უცნაური აქ ისაა, რომ ეს ფურცლები სულ ერთი და იგივე – 21-ე გვერდებია, ჩვენი რიცხვი, ჩემი და ირმას დაბადების დღის რიცხვი (რაც ნამდვილად ახლა აღმოვაჩინე, ამ წაკითხვაზე.).

წერილები კი 20-21 წლის რომანტიკოსი, სამყაროზე, მთაზე და პოეზიაზე სულით ხორცამდე შეყვარებული, თავადაც პოეტი გოგოს ემოციებითაა სავსე, სადაც ის ხან უზომოდ ბედნიერია, ხან კი ყველასგან გარიყულად და მიტოვებულად გრძნობს თავს (მათ შორის ჩემგანაც).

„ინო,

...თივის ბულულასთან ვზივარ. წინ, ჩემგან ორიოდ ნაბიჯში არაგვია და მთები. გული მტკივა, რომ ერთად ვერ ვუყურებთ ამ სილამაზეს. აი, ახლა, ჩემ თვალწინ, მთებმა მწვანიდან ლურჯისკენ იცვალეს ფერი, ლივლივა სილურჯე გადაიკრეს მხრებზე. აი, ეს არის „დაბინდული ქლიავის“ ფერი, გალაკტიონი რომ ამბობს, ეს, ეს... და „მე მინახავს“ ეს ფერი – ვაშა, ვაშა!..

...მეზობლის ქალი, ნინო ბებო, ძროხას წველის გომურში. წეღან სველი, გაკრიალებული ვედროთი გაიარა. ვერ ვხედავ, როგორ წველის. მარტო ხმა მესმის. რძე ვთხოვეთ, მაგრამ, არ მოგვცა. არაო. მკითხავს უთქვამს, გათვალული ხარ, რძეს არიგებ და კარაქს ამიტომ ვერ დღვებო. ...აქაურ ქალებს ძალიან მოვწონვარ. კაცები არ ჰყავთ. აი, ასე. არ ჰყავთ და მორჩა.

...ნელ-ნელა ბინდდება. მუქდებიან მთები. სიჩუმეა. მარტო არაგვის ხმაღა ისმის. არა ჩერდება ეს დალოცვილი.

ი. ბ. ფშავი. ბუსნიჭალა.
მკათათვის 12. 1993 წელი

ინო,

დღეს ისეთი დარი დაიჭირა, მზემ შეგვისრუტა ლამის. იცი რა ვქენი, დედიშობილა გავწექი არაგვის ჭალაში. ხო სიგიჟეა? აქ მზეა ყველაფერში. მზეზე ფიცხდები და მერე არაგვში ჭყუმპალაობ, კიდევ და კიდევ... ცხელ მიწაზე წოლისას რაღაც უცნაური შევიგრძენი. მიწასთან ასე ახლოს არასოდეს ვყოფილვარ. წარმართივით ვლოცულობ: მზეო, შემიერთე, შემისრუტე, როგორც შენი წილი და ნაწილი.

ირმისა, ფშავი, ბუსნიჭალა.
მკათათვე, სამშაბათი

ინო,

ჩემთან ყველაფერი იმგვარად ხდება, მე თვითონ რომ ვერაფერი გამიგია. მე ვარ ქარი, ბორიალა, უსახლკარო... ქარს ტკივილები ამოაქვს სხეულიდან და მზეზე ჰფენს...

ი. ბ. გიორგობისთვე, უნივერსიტეტი

ეს კიდევ, მოგვიანებით, ორი წლის შემდეგ მოწერილი წერილი იმაზე, თუ როგორ მელოდა ჩემი მეგობარი ტრამვაის ხაზთან 2 საათი წვიმაში. მელოდა იმ ადგილას, სადაც ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მე ამ დროს სოფელში ვცხოვრობდი უკვე. ის კი თურმე მაინც ჯიუტად იდგა და მელოდა. შეშლილი გოგო. ხოლო შინ მისული, მწერდა:

„გამიჭირდა შენი დათმობა, შენი გაშვება. თითქოს რაღაც შუაზე გაიპო, ჩაიქცა, ჩაიშალა... მე მარტო დავრჩი.

მე ახლა არავის ველოდები...

შენი ი. ბ. 21 თებერვალი, 1995 წ.“

ცუდი შვილები

არ ვიცი, სხვაგან როგორ ხდება, მაგრამ ჩემს სამეგობროში გოგოები დაუფარავად ვსაუბრობთ ჩვენი, ასაკში შესული დედების (ალბათ იმიტომ, რომ უმეტესობას მამები არ გვყავს, თორემ სხვა სამეგობროებში მამებზეც საუბრობენ) ქცევებზე, უფრო კონკრეტულად კი იმ ქცევებზე, რომლებიც გვაღიზიანებს და რომელთა რიცხვიც, თითქოს ჩვენს ჯიბრზე, დღითიდღე სულ უფრო მატულობს წლებთან ერთად. დამეთანხმებით, არ არის ადვილი, თუნდაც უახლოეს მეგობართან საკუთარ მშობელზე ლაპარაკი, მაგრამ ერთხელაც, ვერც ჩვენმა „ჭირმა დამალა თავი". ჯერ ფრთხილად, მორცხვად, გადაკვრით, მინიშნებით, შემდეგ კი ერთმანეთის წაქეზებით თუ მხარის აბმით, ყველამ ამოვთქვით სათქმელი, რომლის გამოც თითოეულ ჩვენგანს ყველაზე უღირს შვილად მიაჩნდა თავი. ისიც მალევე გაირკვა, რომ ამ პრობლემიდან თავის დასაღწევად, არც წიგნების და სტატიების კითხვა დაგვზარებია, ფილმიც ბევრი გვინახავს და ზოგიერთი ჩვენგანი ფსიქოლოგთან და მოძღვართანაც წასულა „რჩევების მისაღებად", მაგრამ ბოლოს მაინც ყველამ ერთხმად ვაღიარეთ, რომ ასეთ დროს შვებას მხოლოდ შენს მდგომარეობაში მყოფ სხვა ადამიანთან საუბარსა და მისთვის გულის გადაშლაში ნახულობ. მინდა, ამ ქცევებიდან ის რამდენიმე ჩამოვთვალო, რომელიც ყველაზე მეტად გვაღიზიანებს, თუმცა მანამდე ვიტყვი, რომ ამაში დამნაშავე, უპირველესად, მათი ასაკია, ანუ სიბერე – „ყველა ჭირზე უფრო ძნელი ჭირი" (რომელიც, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ მათი „ბრალი" სულაც არ არის, მაგრამ, რა ვქნათ, გვაღიზიანებს.):

გვაღიზიანებს ცხელი ჩაის ან წვნიანის კოვზით დიდხანს გაცივება სულის შებერვით და მერე იმხელა ხმით დახვრეპა, რაზეც ბავშვობაში საუზმის დროს არაერთხელ მიუთითებიათ ხმამაღლა, ხოლო სტუმრად ყოფნისას – თვალების ან მკლავებზე ხორცის გადატრიალებით (და ასეთ დროს, მოთმინების ფიალაავსებულები, რომ არ დაგვეყვიროს, ხშირად უჭმელი ვდგებით მაგიდიდან);

გვაღიზიანებს მათ მიერ გარეცხილ ჭურჭელზე შერჩენილი ცხიმი, რომლის აღმოჩენის დროსაც, განსაკუთრებით, თუ სტუმრები არიან სახლში, გულში ვიქადნებით, რომ თუ ახლა გადავურჩით სირცხვილს, აღარასოდეს არაფერს გავარეცხინებთ;

გვაღიზიანებს ჭამის დროს თეფშის გვერდით ჩანგლის „ფასონად“ დება და მთელი კვირის დამშეულივით, საჭმლის ორივე ან ცალი ხელით ჭამა და თითების გალოკვა;

გვაღიზიანებს უკბილო პირის წკლაპუნი ან პროთეზის პაკუნი, რომელსაც ყურებზე ჩვენი ხელების აფარება (ოღონდ დედა ვერ უნდა მიხვდეს, ამას მიზეზი თავადაა) და ჩუმი ნატვრა მოჰყვება – ღმერთო, რა იქნებოდა, კბილები არ ფუჭდებოდეს, ან მათთვის იმპლანტანტის ჩასმის საშუალება გვქონდეს! და მით უფრო აუტანელია ეს განცდა, როცა იცი, რომ თავადაც ცუდად გაქვს უკვე კბილების საქმე და შეიძლება რამდენიმე წელიწადში შენც ამავე მდგომარეობაში აღმოჩნდე;

გვაღიზიანებს ჩუმჩუმად ტკბილეულის გადაჭარბებული ჭამა, განსაკუთრებით, თუ შაქრიანი დიაბეტი აქვთ;

გვაღიზიანებს მუქი ქვედაკაბების სათავიდან ან ბოლოებიდან თეთრად ან ვარდისფრად გამოკრეჭილი „პოდიუბკები“ და „ჟორსეს“ პერანგები (თუმცა ამის დანახვაზე ზოგჯერ ისე გვიჩუყდება გული, რომ თუ უახლოეს წუთებში მათ სხვა ქცევას არ გავუღიზიანებივართ, მივდივართ და ჩვენივე ხელით ვუსწორებთ);

გვაღიზიანებს განუწყვეტლივ „ცივა-ცივა“-ს ძახილით ფენა-ფენა, აჯაჯული ტანსაცმლით სიარული და წინდების უკუღმა ან ცალ-ცალი ჩაცმა;

გვაღიზიანებს ინდური და თურქული სერიალების ყურება და ტელევიზორის ისეთ მაღალ ხმაზე აწევა, რომ სახლში მისულებს კარს ზოგჯერ ნახევარი საათის დაგვიანებით გვიღებენ: ჯერ ზარის ან კაკუნის ხმა არ ესმით, ხოლო როცა გაიგებენ, ამის შემდეგ იმდენ ხანს მოდიან, იმდენ ხანს ისმის მათი ფლოსტების ფლატუნის ხმა, რომ მზად ვართ, სასწრაფოდ გავიქცეთ აქედან და უკან აღარასოდეს დავბრუნდეთ. და როდესაც ადრე თუ გვიან, საკეტი გაიჩხაკუნებს, უკვე ისე უთავმოყვარეოდ ვართ აღშფოთებულები, რომ პირგამეხებულები შვვარდებით სახლში, აქეთ-იქით ვისვრით ჩანთას, ფეხსაცმელს, დორბლებს, და გაჩენის დღეს ვიწყევლით იმის გამო, რომ ყველა ისე ცხოვრობს, როგორც უნდა, ჩვენ კი იმის უფლებაც არ დაგვიტოვეს, რომ კარი შიგნიდან, ურდულით არ იყოს ჩაკეტილი და ჩვენი შინ დაბრუნება მთელმა კორპუსმა არ გაიგოს;

და ყველაზე უფრო გამაღიზიანებელი, მომაკვდინებელი და საკონტროლო გასროლის ტოლფასი, ეს არის ჩვენი წარმოუდგენლად საშინელი აგრესიის დროსაც კი, მათი მზრუნველი და იმავდროულად, დამნაშავე თვალების დანახვა. რა გინდა რომ ქნა ამ თვალების შემხედვარემ? არც არაფერი, გარდა იმისა, რომ იმ წამსვე აორთქლდე, გაქრე, დასრულდე, მოუსავლეთში წახვიდე, დაიძინო და აღარ გაიღვიძო, ჰარაკირი გაიკეთო ან ფანჯრიდან გადახტე (თუ, რა თქმა უნდა, მაღალ სართულზე ცხოვრობ)... და კიდევ სხვაც ბევრი ალტერნატიული ვერსია დაგირბის თავში ძალაგამოცლილს და გაცამტვერებულს. სინამდვილეში კი რას აკეთებ? რას და, რისი გაკეთებაც ყველაზე გონივრულია ამ დროს: მეგობრებთან მიდიხარ გულის გადასაშლელად, ან თუ ამას ვერ ახერხებ, იკეტები შენს ოთახში (თუ ასეთის ბედნიერება გაქვს), ტელეფონზე ურეკავ ისევ რომელიმე მათგანს და უყვები შენს განცდებსა თუ განსაცდელებზე (შიგადაშიგ კი კიდეც წაუტირებ ხოლმე ცოტას. თუ სხვა გზა არ დაგრჩა, მეგობართან შეიძლება, ამის გაკეთება.“).

ვიცი, ჩვენსავით ბევრს გაწუხებთ ეს პრობლემა, მაგრამ გიჭირთ ამაზე საუბარი, რომ არ შეგაჩვენონ, „შინაბერობა“ არ დაგწამონ, თქვენი ნათქვამი ქვეყანას არ მოსდონ და მშობელი დედის „სიძულვილში“ არ დაგადანაშაულონ, მაგრამ მაინც უნდა გაბედოთ და სხვებიც აიყოლიოთ. რაღაც პერიოდის შემდეგ კი მსგავს საუბრებს იუმორით გაახალისებთ და ცხოვრებაც ისე საშინელი აღარ მოგეჩვენებათ. თანაც, ახლა თქვენ უკვე გეყოლებათ „თანამოაზრეები“, რომლებიც ზუსტად ისე გაიგებენ თქვენს ნათქვამს, როგორც ამბობთ: რომ ამ ნათქვამის ხმამაღლა თქმის მიზანი მშობელი დედის დამცირება ან მისი ცუდი მხარეების საქვეყნოდ გამომზეურება კი არა, საკუთარი თავის თერაპიაა იმ აუტანელი რეალობის გასაძლებად, რომელშიც ცხოვრება „მოგესაჯათ“.

მიუხედავად იმისა, რომ „მსხვერპლის“ როლში ჩვენივე სურვილის საწინააღმდეგოდ აღმოვჩნდით (ან ასე გვგონია), ჩვენ მაინც არ უარვყოფთ, რომ ცუდი შვილები ვართ, ოღონდ არა – ბრიყვი შვილები, რადგან ჩვენ ბევრი გვიფიქრია იმაზე, თუ რატომ ხდება ასე, რატომ გვჭირს ის, რაც გვჭირს, და ცხადია, ამ კითხვებზე სათანადო პასუხებიც მოგვეძევება.

პირველ რიგში, ეს იმის ბრალია, რომ ჩვენ იდეალური შვილები არ ვართ (სიმართლე თუ გაინტერესებთ, არც გვინდა, რომ ვიყოთ). ამის გარდა კი, სხვა უამრავი ობიექტური (სუბიექტური ალბათ, უფრო ნაკლებად) მიზეზიც არსებობს. კერძოდ კი ის, რომ:

ჩვენ ცუდი დროის შვილებიც ვართ, დაღლილი, დანევროზებული შვილები, ქვეყნისა და ხელისუფლებებისგან შეურაცხყოფილი შვილები, ოცნებაჩაკლული, ჯანმრთელობაგანადგურებული შვილები, ის შვილები, რომელთაც აქედან გაქცევა შეეძლოთ, მაგრამ საზღვრები არ გადაკვეთეს ბევრი მიზეზის, მათ შორის, იმავე დედების (მშობლების) ვერმიტოვების გამო; ჩვენ ვართ შვილები, რომელთა უმეტესობა ვერ გათხოვდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი პოტენციური ქმრები გაურკვეველმა ომებმა შეიწირეს და რომლებმაც, ისევ დედების (ოჯახის) ღირსება რომ არ შეელახათ, თავიანთი საკუთარი შვილებიც კი ვერ გააჩინეს (მხოლოდ ერთეულებმა მოახერხეს ამის გაკეთება, მაგრამ უმრავლესობა მხდალები აღმოვჩნდით და შეგვინდეთ ეს სისუსტე!); ჩვენ ისიც ვიცით, რომ არც ისე ბევრი დრო გავა და მწარედ ვინანებთ ჩვენს აგრესიულ განწყობას (იმაზე გაცილებით მტკივნეულად, ვიდრე ახლა), ხოლო როცა ჩვენი დედების ასაკისანი გავხდებით, თავადაც გავიმეორებთ მათ ქცევებს, ოღონდ, განსხვავება იმაში იქნება, რომ ჩვენ არ გვეცოდინება, ვის გააღიზიანებს ჩვენი ქცევები – ჩვენ ხომ ჩვენი საკუთარი „ცუდი შვილებიც“ კი არ გვეყოლება. და მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ვიცით, მაინც გვიჭირს კარგად მოქცევა (ესეც მოგვიტევეთ!).

ნეტავ, საერთოდ თუ არსებობენ იდეალური შვილები? და თუ არსებობენ, როგორები არიან ისინი? ბავშვობაში ქვიშაში არ თამაშობენ, სიჭაბუკეში ნამდვილ სიყვარულს ხელს ჰკრავენ და კარიერას იკეთებენ, რომ ბევრი ფული იშოვონ, ყველა ასაკსა და სიტუაციაში მშვიდები და გაწონასწორებულები არიან და მშობელ დედას მუდამ „დედიკო“-თი ან „ძვირფასო დედა“-თი მოიხსენიებენ უემოციოდ და მშრალად? უნდა გითხრათ, რომ ჩვენ, ცუდი შვილები და გოგოები, ვერ ვიტანთ მსგავს რობოტულ, ფუტურო ურთიერთობას და ასეთობას ისევ ჩვენნაირობა გვირჩევნია. ჩვენ იდეალურები არ ვართ, მაგრამ, სამაგიეროდ, ღირსებები გაგვაჩნია: ყოველთვის შეგვიძლია ბოდიშის მოხდა, უძღები შვილის სინანულიც ვიცით და დედებთან ათასი ჩახუტების დამტევი ერთი უხერხული ჩახუტებაც, რომელიც, შესაძლოა, წამზე ნაკლებ ხანს გრძელდება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ურთიერთობის სტილი არ ცნობს ისეთ ბანალურ ფრაზებს, როგორიცაა:

„– მაპატიე, დედიკო, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.

– მეც ძალიან მიყვარხარ, შვილო“... და მისთ;

ჩვენ, ცუდმა შვილებმა, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ისეთი შვილებიც არიან, სულ მუდამ თვალებში რომ შესციცინებენ სიყვარულით დედებს. თუმცა, უფრო ხშირად, „შვილები არ არიან“ მშობლებისთვის, ისინი მაინც უფრო თავისთვის არიან (თუ მისცეს ამის უფლება), მაგრამ, რადგან სიტყვამ მოიტანა, ვიტყვი, რომ ამ სტრიქონების ავტორი, მგონი, მართლა იყო იდეალური შვილი. აქ აღარ ჩამოვთვლი, რამდენი გულმდუღარე ამბავი გვაკითხა „ბესიკ-ბესო-ბესარიონ“ ხარანაულმა დედაზე – თუ ახალგაზრდობაში, თუ ასაკში შესულმა, თუ „8-10-ისამ“, თუ „14-15-ისამ“, და კიდევ ბევრმა სხვა მწერალმაც (ისეთებიც ვიცი, დედას რომ დასანახად ვერ იტანდნენ სიცოცხლეში), მაგრამ მწერლობა მაინც მწერლობაა და საკმაოდ შორსაა რეალური ცხოვრებისგან.

თუ თქვენ ცუდი შვილების მსგავსი არა ხართ და მშობელ დედას გულშიც კი არასოდეს გასწყრომიხართ, მაშინ გვაპატიეთ, რომ „დაგაბრკოლეთ“ და სულ სხვა მიმართულებით გაგახედეთ, თან კი გილოცავთ – თქვენ „აქ“ ღვთისთვის სათნოდ გიცხოვრიათ და, ალბათ, როცა ამის დრო დაგება, „იქაც“, ანგელოზთა დასში ჩაგრიცხავენ. ხოლო იმათ, ვისაც ჩემი და ჩემი მეგობრების მსგავსი განცდები და ემოციები გაქვთ, გირჩევთ, რომ ფიქრით და თვითგვემით ნუ დაიავადებთ თავს. ასეთ დროს, მეგობრები და იუმორი მოიშველიეთ და რაც შეიძლება ხშირად, „კარჩაკეტილი ცხოვრებიდან – გამოდით მზეზე“. თანაც, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ეს ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეებია, რომელიც თვით ქრისტესაც კი ჰქონდა. და თუ სულ ცდილობთ, მაგრამ მაინც ვერ უმკლავდებით აგრესიას და გამუდმებით იტანჯებით ამის გამო, მაშინ თქვენც მოსალოცად გქონიათ საქმე – მეხუთე მცნება კარგად გხსომებიათ!

P.S. დაბოლოს, რადგან იმაზე მეტად გულახდილი ვიყავი და იმაზე მეტი ვიფილოსოფოსე, ვიდრე საჭირო იყო, იმ იმედით გემშვიდობებით, რომ ოდესმე მეც შევძლებ ცუდი შვილისა და ავტორის შელახული რეპუტაციის აღდგენას.

გულიდან გაზომილი მანძილი

ქარი და ადამიანები

კვირაში ორჯერ, თითქმის ერთსა და იმავე დროს, მეტრო დელისში ამოვდივარ, იქვე მუდმივად გაჩერებულ N53 ყვითელ სამარშრუტოში ვჯდები და ნუცუბიძის III მიკრორაიონის გადასახვევთან ჩავდივარ. გადავირბენ ზებრას და აქედან ნებისმიერ ამინდში ფეხით მივუყვები ფართო, თითქმის უხმაურო ქუჩას.

ხან ცხარე მზე მაჭერს, ხან წვიმა მაწვიმს. გზაზე კანტიკუნტად მხვდებიან ფეხით მოსიარულე, უმეტესად ერთი და იგივე ადამიანები – უფრო ჩემი ასაკის ქალები და კაცები, და ბავშვებიც. ისინი იქიდან მოდიან, სადაც მე მივდივარ. უკვე ვცნობთ კიდეც ერთმანეთს სახეზე, მაგრამ არ ვესალმებით, ჩვენთვის მივდივართ, ჯერჯერობით ასე გვირჩევნია.

გარშემო ყველგან მშენებლობებია, ისე, როგორც მთელ ქალაქში. „მეც ხომ თითქმის მშენებელი ვარ, რისთვისაც ახლა მივდივარ, ისიც ხომ შენებაა?“ – გამიელვებს თავში ამპარტავნული აზრი, რომელსაც, ვერასოდეს ვერავინ გაიგებს გარდა მუხათწყაროდან მონაბერი ქარისა, დრო და დრო შლეგიანივით რომ გამოექანება ხოლმე ჩემკენ და გულზე ისე მომაწყდება, ლამისაა წამაქციოს, ზოგჯერ კი ნამდვილი მეგობარივით გვერდში ამომიდგება და ზომიერი ქშუტუნით ფეხდაფეხ მომყვება. „კიდევ კარგი, ენა არა აქვს, თორემ, ამას რა გააჩერებდა! წამში გააფრიალებდა ჩემს ფიქრებს და ამ მშენებარე თუ უკვე აშენებულ სახლებს მოსდებდა. შეიძლება ახლად ამოწვერილ მწვანე ბალახზეც გაეფინა ფარდაგივით და მერე ზედ კმაყოფილი სტვენით გაექროლ-გამოექროლა. თუმცა, საიდან უნდა ვიცოდე, რას იზამდა, რას გაიგებ ქარისას!..

ჰერტა გოგოსავით

ახალი წაკითხული მაქვს ჰერტა მიულერის ავტობიოგრაფიული რომანი „ჩემი სამშობლო იყო ვაშლის კურკა“ და, როგორც საერთოდ, კარგი წიგნის

წაკითხვის შემდეგ ხდება, სამყაროს ცოტა ხნით მწერლის თვალით ვუყურებ. მე რომ იმ ბალახების, ყვავილების, ხეების და ბუჩქების სახელები ვიცოდე, რომლებიც გზად მიმავალს მხვდება, ახლა მეც ძროხების სამწყემსად წასული ჰერტა გოგოსავით დაველაპარაკებოდი მათ, სახელებითაც მივმართავდი პატივისცემის ნიშნად, მზისა და მიწის ამბებსაც გამოვკითხავდი, მაგრამ, ჩემდა სამარცხვინოდ, მე მხოლოდ რამდენიმე მათგანს ვცნობ თუ ვიცნობ. მაგალითად, ყაყაჩოს, ყვითლად აბურბურებულ იელს, ჩიტის წიწმატს, რომელსაც ბუდიდან გადმოვარდნილი მკვდარი ჩიტების დამარხვის შემდეგ საფლავებზე ვაწყობდით სოფლელი ბავშვები; ბალბას, რომლის მკვრივი, მრგვალი და ხაზებიანი მწვანე თესლებისგან „წო-წო-ბალბა-წოს“ ვთამაშობდით და საათებს ვიბეჭდავდით თოთო მაჯებზე, მის მრგვალ, ხასხასა ფოთლებს კი ბუჩქებად ვკრავდით და მანამდე ვკენწლავდით, სანამ ან ფეხი არ დაგვეღლებოდა ან „ბუჩქი“ არ დაიშლებოდა დაფლეთილ ფოთლებად; ასევე ასკილის ბუჩქს, რომლის შარშანდელ სიშავეშეპარულ ხმელ წითელ ნაყოფს ისე ოსტატურად მალავენ მისი ღია ვარდისფრად აფეთქებული ნაზი ფურცლები, როგორც ჩვენი თავმოყვარე ბებიები იფარავდნენ ხოლმე ხელით ან წინსაფრით თავიანთ ჩაწყალებულ კაბის კალთებს...

უფრო შორს, ფერდაზე, ლითონის ბადეებითა და მიბრეცილ-მობრეცილი სარებით შემორაგული პატარა ბაღ-ბოსტნები მოჩანს, საიდანაც აყვავებული ატმისა და ვაშლის ხეები მიწვევენ. მე კი მათ შორის მობორიალე პატარა ჰერტას ვხედავ, სამწყემსურში წასულს, რომელიც თან ჰერტაა და თან მე ვარ.

ბავშვთა სოფელი

გზა ნამდვილად შორია. თუმცა რომელი გზა არ არის შორი და დამღლელი? მით უფრო, როცა შენით მიიკვლევ მას, მარტო. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, საიდან იწყებ მანძილის გაზომვას – გულიდან თუ საცხოვრებელი ადგილიდან. თუ გულიდან, იქაც სწორედ ასეთივე განწყობით გხვდებიან – „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა SOS ბავშვთა სოფელში!“, – გეუბნებიან და მეც ვერ ვმალავ, რომ მიხარია რეკომენდაციის, „ნაცნობობის“, ყოველგვარი ბიუროკრატიული ფორმალობების გარეშე უპრეტენზიო, არაფრით გამორჩეული CV-ით მოპოვებული ახალი სამსახური, სადაც საოცნებო საქმე უნდა ვაკეთო.

ეზოში შესულს ბევრი ნაძვი და 15-მდე ლამაზი, ევროპული სტილის წითელი სახლი მხვდება. ერთ-ერთი ასეთი სახლის წინ კი ჩემი უშუალო უფ-

როსი, ბატონი ნიკო მელოდება. ცოტა ხნით დერეფანში მაყოვნებს, მერე კი დარბაზში შევდივართ და იქ სათითაოდ მაცნობს ჩემთან შესახვედრად ნებაყოფლობით თუ იძულებით მოსულ ერთად შეჯგუფებულ სხვადასხვა ასაკის ჩუმ და ხმაურიან, კეთილგანწყობილ და მოღუშულ, მორცხვ და თამამ, და იმ საერთო ნიშნით დაღდასმულ ბავშვებს, რომელსაც დედამიწაზე არცერთი მათი თანატოლი არ იმსახურებს. ამ ნიშანს – მშობლების გარდაცვალებისა თუ სხვა უამრავი საპატიო და არასაპატიო მიზეზის გამო, მშობლიური სახლის არქონა, უფრო მწარედ კი – ტკივილი ჰქვია, რომელიც ამ ბავშვებმა მთელი ცხოვრება უნდა ატარონ. ესა გულდასაწყვეტი თორემ, ადამიანური სიკეთეები, საყოფაცხოვრებო პირობებით დაწყებული და გულწრფელი სიყვარულით და სითბოთი დამთავრებული, მათ უხვად აქვთ, ისევე როგორც – თავისუფლება. ბავშვების უფლებებს აქ არავინ ზღუდავს, უფრო მეტიც, ისინი აქ სწორედ იმიტომ არიან, რომ მათი უფლებები დაიცვან.

„შემოქმედებითი ქართულის“ მასწავლებლის ჩანაწერებიდან

„პირველივე დღეს ვკითხე ბავშვებს, როგორი მასწავლებელი გინდათ გყავდეთ ან თქვენთვის რას ნიშნავს-მეთქი კარგი მასწავლებელი. თავიდან დაიმორცხვეს, მერე ნელ-ნელა გათამამდნენ, საუბარში ამყვნენ. საბოლოოდ ის დასკვნა გამოვიტანე, რომ, გასაგები მიზეზების გამო, მათი სასურველი მასწავლებელი დედას უფრო ჰგავდა, მაგრამ რადგან მე მათი დედა ვერასოდეს გავხდებოდი და ამას ვერც შევპირდებოდი, ამიტომ თავიდანვე მეგობრობაზე შევთანხმდით“.

„ბავშვები უკვე მენდობიან. თავიანთ საყვარელ ფილმებსა და წიგნებზე მიყვებიან. კითხვა ეზარებათ, ცხადია, უფრო ფილმებს უყურებენ. ქართველ საბავშვო მწერლებზე თითქმის არაფერი იციან. დღევანდელი გაკვეთილი დაახლოებით 2 საათს გაგრძელდა. ბედნიერებაა, როდესაც დროში არ ხარ შეზღუდული“.

„გაკვეთილების შემდეგ ორმა საყვარელმა „დიდმა“ გოგომ გზამდე მიმაცილა. დიდხანს ვიდექით „სოფლის“ ჭიშკართან. ისინი თავიანთ შეყვარებულებზე მიყვებოდნენ სიცილით, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ბინდდებოდა, რომ წამოვედი. დამშვიდობებისას მთხოვეს, ჩაგეხუტებითო. ერთად ჩამეხუტნენ აქეთ-იქიდან. დიდხანს იყვნენ მოწებებულები და ღრმად სუნთქავდნენ. მე ვიტირე.

„დღეს 22 აპრილია. დედამიწის საერთაშორისო დღე. ბავშვებს ამერიკელ სენატორზე, გეილორდ ნელსონზე ვუამბე, მსოფლიოში პირველ გარემოს დამცველზე, რომელმაც 1970 წელს სანტა-ბარბარას საბადოდან ოკეანეში დაღვრილი ნავთობით წყლის დაბინძურება გააპროტესტა, რის გამოც უამრავი ცხოველი დაიღუპა. ძალიან მინდა ხეები დავრგო მათთან ერთად!“

„ბუნებრივად მიჰყვა ერთმანეთს გაკვეთილები წიგნის საერთაშორისო დღეზე, პიქტოგრამებზე, დედაენის დღეზე, კომუნისტურ რეჟიმზე, იაკობ გოგებაშვილსა და „დედაენაზე“, სამოქალაქო გმირობაზე, ექვთიმე თაყაიშვილისა და დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებაზე; გვქონდა ემოციური საუბრები ოსკარ უაილდის „თავკერძა გოლიათსა“ და სიკეთისა და ბოროტების, სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობაზე. სულაც არ მიკვირს, რომ ბავშვები რელიგიური თემების მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებენ. ისინი სწორედ იმაზე არიან გაფაციცებული, რომ თანატოლებისგან განსხვავებულ პირობებში ყოფნის მიზეზებს ჩასწვდნენ და უამრავ ბავშვურ და არაბავშვურ კითხვაზე მიიღონ პასუხი...“

„ამასობაში სასწავლო წელიც დამთავდა და მე წამოვედი „სოფლიდან“. სამწუხაროდ, სულ წამოვედი. მაგრამ წამოსვლამდე ერთი უხერხული ისტორია გადამხდა თავს, რომელზეც ახლაც ხშირად ვფიქრობ ხოლმე და, ალბათ, ყოველთვის ვიფიქრებ“.

სად არის ქრისტე?

გამოცდა

თავიდანვე გამაფრთხილა, ტეტე დამიძახეო. ყველა ასე მეძახის და თქვენც ასე დამიძახეთო. ყველაზე მოუსვენარი იყო, თავდაჯერებული, ყოყლოჩინა და გონიერი. რამდენჯერმე ჩემი გამოცდაც გადაწყვიტა და „ჩამჭრელი კითხვები“ დამისვა. ბევრი ლექსი იცოდა ზეპირად, დაუზარლად გვიკითხავდა, თუ ხასიათზე იყო. „განძის კუნძულით“ თავს ამეტებდა მეგობრებს, რომელთაც ამ წიგნის შესახებ ჯერ არაფერი სმენოდათ.

ერთ დღეს გაკვეთილზე გვიან შემოვიდა და თითქმის კარიდანვე მომაძახა, უფრო კი მომთხოვა – მღვდელი მოიყვანეთ სკოლაში, ბევრი კითხვა დამიგროვდა, თქვენ იმიტომ არ გკითხავთ, რომ მაინც ვერ მიპასუხებთო. გაღიზიანებული იყო, ჩვეულებრივზე სწრაფად და აგდებული ტონით მელაპარაკებოდა. წავხდი. მისი მოულოდნელი მოთხოვნა ჩემთვის დაუმსახურე-

ბელი უნდობლობის გამოცხადება იყო. იქნებ მაინც გვეცადა-მეთქი, ვკითხე გამშრალი ყელიდან ამოსული შეშინებული ხმით, თუმცა ტეტემ, რატომღაც გაგრძელება გადაწყვიტა:

– მაშინ მითხარი, – თითქმის იყვირა, – რატომ გაუჩნდა მამაჩემს კიბო, რატომ ვერ დგება ეტლიდან, რატომ ვერ არჩენენ ექიმები, რატომ ვცხოვრობ მე ამდენ სხვა ბავშვთან ერთად, ესენი ხომ ჩემი და-ძმები არ არიან? რატომ მძინავს სხვა სახლში, სხვა საწოლში, სადაც სულ ცუდ სიზმრებს ვხედავ, რატომ, როცა ჩემი სახლი მაქვს? სად არის ქრისტე, რომელმაც ლაზარე გააცოცხლა და თავისი თავიც გაიცოცხლა, რატომ არ მოდის ჩვენთან, რატომ არ შველის მამაჩემს, რომელსაც არაფერი დაუშავებია? მამაჩემი კარგი კაცია, ყველას უყვარს, კარგი მამაა, არასოდეს არ უყვირია ჩემთვის, ჩემზე ბევრი ლექსი იცის, თქვენზე მეტ წიგნსაც კითხულობს, ყვავილებსაც უვლის და მაინც ცუდად არის... და ცუდად რომ არის, მე ამიტომ ვერ მივდივარ მასთან, ჩემს სახლში... რა დავუშავეთ მე და მამაჩემმა ქრისტეს... თქვენ მიპასუხებთ ამ კითხვებზე? - ბოლო წინადადება გათანგულმა თქვა და სკამზე დაეშვა. არ უტირია. მარტო თვალები აუწყლიანდა ცოტა ხნით.

აი, წახდენა ეს ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე. სკამი მივიტანე და გვერდით მივუჯექი.

– ტეტე, მომისმინე, – ვუთხარი წყნარად და ჩემსავით დაბნეულ და შეშინებულ ბავშვებს ტუჩებთან თითის მიტანით ვთხოვე, არ ეხმაურათ. პატარა ტანის ბიჭი იყო ტეტე, დამჯდარი კიდევ უფრო პატარა ჩანდა. – ყველაფერი ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვლაპარაკობდი, სიტყვებს დიდხანს ვარჩევდი. – მე მჯერა, რომ მამაშენი საუკეთესო მამაა და არაფერი დაუშავებია საიმისო, რომ ასე ავად გახდა, და ვწუხვარ, რომ...

- მაშინ მე მაქვს ბევრი ცოდვა და ჩემი ცოდვების გამოა ცუდად, მაშინ მე დამსაჯოს ღმერთმა და მამაჩემი მოარჩინოს, მე ცუდად ვიქცევი, ცუდ სიტყვებს ვამბობ, ბავშვებს დავცინი და მასწავლებლებს ვაბრაზებ, ჰკითხე ნიკოს თუ არ გჯერა, ნიკოს მასწავლებელსაც კი არ ვეძახი, ნიკოა და იმიტომ... – აქ მომეჩვენა, რომ დაიღალა, ცოტა ფერიც დაკარგა და აზრის დასასრულებლად ღრმად ამოისუნთქა, – ჰოდა, მოვიდეს ქრისტე, თუ არსებობს და დამსაჯოს, სად არის, მოვიდეს... ან თუ ასეთი მაგარია, მამაჩემი კარგად გახდეს, აქ ფეხით მოვიდეს და სახლში წამიყვანოს...

მისკენ ვიხრები, მინდა, გულზე მივიხუტო, მაგრამ არ მანებებს. მაშინ ოდნავ წინ ვაჩოჩებ სკამს, მინდა, მეტად მივუახლოვდე. მის გვერდით ახლა

ფიზიკურად უსაშველოდ დიდი მეჩვენება საკუთარი თავი, იმავდროულად, საშინლად უსუსური და დამნაშავე. უცებ ქვემოდან ამომხედა, ეტყობა, ძალა მოიკრიბა და კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიტყვა პირზე შეაცივდა, გაოცებული მომაშტერდა. წამებში გავიაზრე რაც მოხდა: როლინგში ვითომ საიმედოდ ჩამალულ ჩემს უხვად ნაიარევ ყელს წააწყდა თვალებით და სათქმელიც დაავიწყდა, მღვდელიც, ქრისტეც, თავისი „ცოდვებიც“ და მოულოდნელად, ისევ ძველებურ ტეტედ გადაიქცა, თვალებანთებულ „ჰიპერაქტიურ“ ბიჭად, როგორც „სოფელში“ ამბობდნენ მასზე და, ნანახით აშკარად გაოგნებული, მეკითხება:

„– მააას, ეს როგორი ყელი გაქვთ, მას, რა დაგემართათ, ნამდვილი ყელი რა უყავით, ვინმემ მოგაჭრათ, თუ ასე დაიბადეთ, როგორ სუნთქავთ, მას, საჭმელს როგორ ყლაპავთ, არა გტკივათ? უფრო კარგად მაჩვენებთ მას, გთხოვთ რა, მააას!.. – ტყვიებივით ისროდა ტეტე კითხვებს და აზარტში შესული, ხელით მეგობრებსაც იწვევდა „სანახაობაზე“. გახევება და გაქვავება ერქვა ჩემს იქ ყოფნას. მხოლოდ იმას ვფიქრობდი, ტირილი არ წამსკდეს, ბავშვები არ დავზაფრო-მეთქი. ამასობაში დანარჩენებმაც გაბედეს და მოგვიახლოვდნენ. ყველას უნდოდა ტეტეს „აღმოჩენის“ ნახვა.

რამდენმე წუთი დამჭირდა ნებისყოფის მოსაკრებად და იმის გასააზრებლად, როგორ მოვქცეულიყავი. მერე კი ყველაფერი თავისით მოხდა: ერთად ნუ დამესევით, რიგში ჩადექით და სათითაოდ მომიახლოვდით, ვუთხარი ბავშვებს, ამასობაში კი როლინგის საყელო საგულდაგულოდ გადავიკეცე მოჩვენებითი ღიმილით, ყელი „მოვიღერე“ და მათი ბავშვური ცნობისმოყვარეობა ასე, გაბადრული სახით დავაკმაყოფილე.

გულში კი ვითვლიდი: 6-ღა დარჩა, უკვე – 5, აი, ეს ბიჭი ბოლოდან მე-4-ა, ეს მე-3, ეს პატარა გოგონა კი... მორჩა, ყველამ ნახა. ახლა მთავარია, გაკვეთილი მალე დასრულდეს.

ისინი ვერასოდეს გაიგებენ, როგორ ვნატრობდი, ამ „ცოცხალ რიგში“, რომელიმე მათგანს ჩურჩულით ეთქვა ყურში მეგობრისთვის: „ამის გაკეთება სირცხვილია, მე არ მინდა...“, მაგრამ ეს არ მოხდა.

ზოგჯერ ძალიან, ძალიან ძნელია მასწავლებლობა!

თუმცა, გამოცდა ჩავაბარე!

„პასუხი ტეტეს“, რომელმაც ჩემს გაკვეთილებზე აღარ იარა

– როცა ძალიან ავად ვიყავი, მე მისი მჯეროდა. ვთხოვე და მომარჩინა. თან სწორედ იმ სნეულებისგან, რომელიც შენს მამიკოს დაემართა. იცოდი,

რომ ქრისტეს შენსავით ბავშვის გული აქვს? მართლა ასეა, არ გატყუებ. სხვა დროს, როცა მისთვის რაიმეს თხოვნა ან განდობა მოგინდება, გაბრაზებულმა არ სთხოვო, სიყვარულით და ჩურჩულით სთხოვე, თუ გინდა, საერთოდაც, უხმოდ. თუმცა მან უშენოდაც იცის, როგორ დაგეხმაროს ისე, რომ გაგახაროს, ან ძალიან რომ არ გეტკინოს, მაგრამ მაინც უზომოდ გაუხარდება, თუ დაუძახებ. საერთოდაც, ყოველთვის დაუძახე, როცა გაგიჭირდება, ან უბრალოდ, წყენის ან ბრაზისგან გათავისუფლება მოგინდება. ხომ გახსოვს, პატარა ოსკარიც ასე იქცეოდა, როცა ავად იყო. თანაც, შენს ღმერთს შენზე კარგად ვერავინ გააგონებს.

ისე, რომ იცოდე, მეც დიდი დრო დამჭირდა იმის დასაჯერებლად, რომ თურმე ჭრილობები, შენ რომ ასე გაგაოცა, სასირცხვილო სულაც არ არის, არც უცოდველია ვინმე ამქვეყნად, არც შიში არსებობს გადაულახავი და ოცნებებიდანაც, თუ მოინდომებ, ბევრი არ რჩება აუხდენელი. ოღონდ, სანამ მამა გამოჯანმრთელდება და მშობლიურ სახლში დაბრუნდები, უნდა აჯობო ამ ბრაზს, გუნება გამოიკეთო და კარგად ისწავლო.

ამასობაში გაიზრდები კიდეც. მე დაგავიწყდები. შენი კითხვების ზოგიერთ პასუხს წიგნებში ამოიკითხავ, დანარჩენს კი ცხოვრება გასწავლის, რომელიც შენი საუკეთესო მასწავლებელი გახდება, ხოლო შენ, ამაში დარწმუნებული ვარ, მისი გამორჩეული მოსწავლე!..

მოსწავლის ავტოგრაფი

ამბავი კი აღწევს ჩვენამდე, მაგრამ წასვლას „ვერ ვახერხებთ“, „ვერ ვიცლით“. მერე, როცა „ფაქტის წინაშე“ ვდგებით, „გულწრფელად ვწუხვართ“, უფრო მერე, „სინდისი გვქენჯნის“, ბოლოს კი თავს იმით ვინუგეშებთ, რომ არც პირველები ვართ და არც უკანასკნელები და ცხოვრებას ვაგრძელებთ.

სულ სადღაც მიგვეჩქარება, დავქრით მანქანებით, მატარებლებით, თვითმფრინავებით, უკვე ზეცაში უფრო ხშირად ვართ, ვიდრე მიწაზე. მიწაზე ყოფნა კიდევ, ვიცით რასაც ნიშნავს ჩვენს საუკუნეში – ოფისებსა და კაბინეტებში გამოკეტვას, კომპიუტერში თავის ჩარგვას და რეალური სამყაროსგან და ადამიანებისგან მოწყვეტას. აქ ვსახლდებით, აქ ვწერთ და ვკითხულობთ, აქ გვიყვარდება და გვძულდება, აქ ვყიდულობთ და ვყიდით, ექიმის დანიშნულებასაც აქ ვიღებთ და გადასახადებსაც აქედან ვიხდით, აქ ვლოცულობთ და აღსარებებს ვაბარებთ, აქ ვულოცავთ დღესასწაულებს ახლობლებს, აქ ვუსამძიმრებთ ვირტუალური ცრემლებით და... რაღა რჩება? – არც არაფერი, გარდა სინანულისა, რომელსაც სიმორცხვის გრძნობასავით ოდესმე აუცილებლად დავკარგავთ.

„...ნათესავის მოსანახულებლად ხომ მისულხარ საავადმყოფოში?“
სამჯერ, ოთხჯერ გადაგიდია იქ წასვლა.
ბოლოს, უკანასკნელ დღეშიაო და
გამოგინახავს დრო ვალის მოსახდელად.
შესულხარ, მოუხერხებლად ჩამომჯდარხარ საწოლის კიდეზე:
როგორ გიკითხოო? ნუ გეშინიაო!“

შადიმან შამანაძე

პოეტის მიერ ზუსტად და შეულამაზებლად აღწერილ ამ სიტუაციაში ყოველი ჩვენგანი არაერთხელ, ან ერთხელ მაინც აღმოჩნდება (ან უკვე აღმოჩნდა) ცხოვრების მანძილზე. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ლექსში აღწერილზე კიდევ უფრო მტკივნეული შემთხვევებიც არსებობს, როდესაც მხოლოდ „ვალის მოსახდელად“ კი არა, მართლა გულით გინდა „უკანასკნელ დღეში“ მყოფი ახლობელი ადამიანის მონახულება, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ ახერხებ. და ერთ საღამოს, როცა ძილის წინ მტკიცედ გადაწყვეტ, რომ ხვალ უსათუოდ წახვალ, საავადმყოფო იქნება ეს თუ სახლი, სწორედ იმ დილით, უფრო კი ნაშუადღევისკენ, რადგან ასეთ ამბებს უთენია არ აუწყებენ ხოლმე, ვინმე საერთო ახლობელი დაგირეკავს და გეტყვის: „ცუდი ამბავი უნდა გითხრა, წუხელ საწყალი N...“

შარშან, სექტემბერში, ჩემს ტელეფონში ორჯერ გაისმა ასეთი ამბის მაუწყებელი ზარი – უცნაური დამთხვევაა, რომ ქართულში ამ სიტყვას აქვს ომონიმი, რომელიც დატირებას, გლოვასაც ნიშნავს – თუმცა ორივემ ერთი და იმავე ადამიანის – ჩემი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისა და მეგობრის გარდაცვალება მამცნო.

მას ლეილა ერქვა, რაც არაბულად ღამეს, შავს ნიშნავს, მაგრამ სიშავეს და სიბნელეს არაფერი ჰქონდა საერთო მასთან, მით უფრო, რომ კარგი მასწავლებელი ისედაც სინათლე და დღეა, და მაშინაც გინათებს ცხოვრებას, როცა გგონია, რომ დამოუკიდებლადაც მოიპოვებ ყველანაირ „შუქს“.

არ ვიცი, რამდენი რამეა ჩემს ცხოვრებაში ისეთი, რაც პირველად სწორედ ლეილა მასწავლებელმა „მითხრა“, „დამანახა“ და „წამაკითხა“; რასაც პირველად ლეილა მასწავლებელმა „შემახო“, „მაზიარა“ და „მიმაახლა“; ვინც პირველად ლეილა მასწავლებელმა „გამაცნო“, „შემაყვარა“ და „აღმომაჩენინა“... მართალია, მერე და მერე მეც აღმოვაჩინე, რომ მისი კარგი მასწავლებლობა რაიმე განსაკუთრებულ წიგნიერებას და ერუდიციას კი არა, უფრო ლიტერატურულ გემოვნებას, ალღოს, კეთილსინდისიერებას, მოსწავლეებთან ჯანსაღ ურთიერთობებს და პროფესიისა და სიცოცხლის სიყვარულს ეფუძნებოდა, მაგრამ ამით მის ღირსებას არაფერი დაჰკლებია.

ლეილა მასწავლებელი იყო პირველი, ვისაც ვუზიარებდი წაკითხული წიგნისა თუ ნანახი ფილმის შთაბეჭდილებებს, ვისთანაც, ჯერ კიდევ მოსწავლე, მეგობრის სტატუსით მივდიოდი სტუმრად და მის მყუდრო სახლში თანასწო-

რებივით ვსაუბრობდით მაშინ ჯერ კიდევ უამრავ ტაბუდადებულ თემაზე. ახლაღა ვხვდები, რა ახალგაზრდა ყოფილა, როდესაც ჩვენს კლასში პირველად შემოვიდა. გუდიაშვილის ქალებს ჰგავდა მათსავით მიმზიდველი და ხორცსავსე, მოცინარი თვალებითა და ოქროსფრად შეღებილი თმით, რომელსაც შუბლზე გვერდულად ჩამოიყრიდა, უკან კი გოგოსავით ჩაიწნავდა ხოლმე.

ხშირად დავყავდით ექსკურსიებზე. თითქმის არ დარჩენილა საქართველოში კუთხე და ღირსშესანიშნავი ადგილი, მასთან ერთად რომ არ მოგვევლო. ტყესა და მთასაც ხშირად ვსტუმრობდით. გაზაფხულის დადგომისთანავე, მოვიკიდებდით ზურგჩანთებს და ავუყვებოდით კავკასიონისკენ მიმავალ ბილიკებს. ფიქრობდა, რომ ასე უფრო გავიცნობდით ცხოვრებასაც და ერთმანეთსაც. მისი წყალობით ვიყავი პირველად მარჯანიშვილის თეატრში, სადაც, შესაძლოა, მაშინდელი ჩემი ასაკისთვის შეუფერებელი, მაგრამ, სამაგიეროდ, ლეგენდად ქცეული „ურიელ აკოსტა“ ვნახე კოტე მახარაძისა და სოფიკო ჭიაურელის მონაწილეობით; მისი იდეა იყო თემურ ჩხეიძისა და მედეა ჩახავას მოწვევა ჩვენი სოფლის სკოლაშიც. რომ არა ეს ფაქტი, ახლა არ მექნებოდა ძვირფასი ფოტოები, სადაც ბიჭურად თმაშეჭრილი მოწიფული შავტუხა გოგო ჩემსავით შავგვრემან მედეა ჩახავასა და თემურ ჩხეიძის შუაში მდგარი ვიბადრები, და როგორც მაშინ ქალბატონმა მედეამ იხუმრა, მართლა ვგავარ ორივეს; მისი სახსოვარია ჩემი უსაყვარლესი ხალხური პოეზიის წითელყდიანი კრებული, რომელსაც თითქმის ყოველდღე ვკითხულობდი და ამიტომ ბევრად ადრე „შემომესწავლა“ ფოლკლორის გამოცდაზე ზურაბ კიკნაძისთვის ჩასაბარებელი „შიოლა და მთრეხელი“, „ხოგაის მინდი“, „ჯარჯი“, „ხმით ნატირლები“ და კიდევ ბევრი სხვა შედევრი; და კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი რამ: მან პირველმა მირჩია ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩამებარებინა და უზომოდ ბედნიერი იყო, როცა გაიგო, რომ მისი რჩევა გავითვალისწინე.

დალხენილი ცხოვრება არ ჰქონია. ღირსეულად გადაიტანა ახალგაზრდა, ავარიით გარდაცვლილი ვაჟის სიკვდილი. სოფლიდან ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ სკოლაში აღარ უმუშავია. უბედურებამ კიდევ უფრო

კეთილშობილი და თავმდაბალი გახადა. მირეკავდა ხოლმე, როცა რომელიმე ჟურნალსა თუ გაზეთში დაბეჭდილ ჩემს მოთხრობას ნახავდა. მილოცავდა, ტელეფონიდან მეფერებოდა თავისი უკვე ასაკშეპარული, თბილი ხმით, რომელსაც ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ხანდახან უცნაურად მჟღერი, გაუკონტროლებელი ბგერები ამოჰყვებოდა ხოლმე. როგორ მიყვარდა მისი ხმა!..

2010 წელს ჩემი პირველი კრებული, „ინო“ გამოვიდა. ეს ამბავი მაშინვე ვახარე და პრეზენტაციაზეც დავპატიჟე. აუცილებლად მოვალო, მითხრა, მაგრამ როცა ორი კვირის შემდეგ წინა დღით ისევ შევახსენე, შეწუხებულმა მითხრა, მაპატიე, ფეხი მოვიტეხე, სახლიდან ვერ გავდივარ და იქნებ შენ მოახერხო და მოხვიდე ჩემთანო. რა თქმა უნდა, დავპირდი და სიცილით დავაყოლე, თან წიგნსაც გაჩუქებთ მოსწავლის ავტოგრაფით-მეთქი. სამახსოვრო წარწერა უკვე გაკეთებული მქონდა, მაგრამ... ვეღარ მივედი, როგორც ხდება ხოლმე. მხოლოდ ერთხელ, სოფელში ჩასულმა მივაკითხე. არავინ გამაგონა ჩაჟანგული რკინის კარის იქიდან. ამ დროს უკვე ავად ყოფილა.

მისი კუთვნილი წიგნი ახლაც მიდევს თაროზე ხალხური პოეზიის კრებულთან ერთად. კრებულში კი შუაზე გაკეცილი ცალხაზიანი რვეულის ორი ფურცელი მაქვს ჩადებული, სადაც მეცხრე კლასში, ალბათ, ჩვენი ერთ-ერთი მორიგი ლაშქრობის შემდეგ, თავისუფალი თემა – „მთას ვიყავ“ დამიწერია. არ მახსოვდა. სახლში ინახავდა თურმე და სკოლის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მომცა, ახლა ჯობია შენ გქონდესო. თემის ბოლოს წითელი პასტით დიდი ხუთიანია მოხაზული, მის გასწვრივ კი წერია: „ლეილა მასწავლებელს შენი სჯერა!“

არ ვიცი, სინდის ქენჯნისა თუ მასზე გამუდმებული ფიქრის გამო, გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დამესიზმრა. სამასწავლებლოდან გრძელი დერეფნით ჩემი კლასისკენ მოდიოდა. ისე ეცვა, როგორც ყოველთვის, კოხტად – საშუალო ქუსლიანი, ტანგეტკა ფეხსაცმელები, ტანზე მომდგარი ორნაჭრიანი, ლურჯი ლავსანის ქვედაბოლო და თეთრი, ზომიერად გულამოღებული პულოვერი. მოდიოდა ახალგაზრდა, ლამაზი, დერეფნის ღია ფანჯრებიდან შემოსული მზის შუქი ირიბ ზოლებად გადასდიოდა ოქროსფერ თმაზე. ორივე ხელში კი რაღაცნაირად, მოუხერხებლად ეჭირა საკლასო ჟურნალი, რომელზეც ზევიდან ჩემი იასამნისფერყდიანი წიგნი იდო.

შავ-თეთრიდან ნათელი ფერებისკენ

ყველაფერი ცუდი რომ დასრულდა, თოთხმეტი წლის იყო. ხატვა ამის მერე დაიწყო. ჯერ ფურცლები და ფანქრები მოითხოვა, მერე საღებავები, ფუნჯები, ტილოები. მოლბერტი დედას მეგობარმა აჩუქა. ხატავდა თითქმის ყოველდღე და იმას, რასაც ხელი „თავისით დახატავდა“. ხატვის ტექნიკაზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ისიც კი არ იცოდა, ზეთის საღებავის გახსნა ზეთში რომ შეიძლებოდა...

მანამდე ფუნჯი არასოდეს მოესვა, ფერები არასოდეს გაეზავებინა. ყოფილა ისეც, რომ არც ფურცელი ჰქონია და არც ტილო და საღებავები. მაშინ კედლებზე ხატავდა, ნაქირავები ბინის გაურემონტებელ, ღია ცისფერ კედლებზე. ხატავდა ფანქრებით, ფუნჯებით, თითებით, საღებავში ჩაწობილი თმის ბოლოებით. ხატავდა იმას, რაც გამოვიდოდა. ღამეებს ათევდა. არ ადარდებდა, შეუქებდნენ თუ დაუწუნებდნენ ნახატს. მთავარი იყო, რომ თავს კარგად გრძნობდა, უსიამოვნო მოგონებები გარეთ გამოჰქონდა, თავისუფლდებოდა. გამთენიისას იძინებდა, დაღლილი, მაგრამ ბედნიერი. ოჯახის წევრებს კი მოლბერტზე ახალ-ახალი ნახატები ხვდებოდათ.

სულ პირველად პორტრეტი დახატა – „ღამისთვალებიანი“ გოგო სისხლის ცრემლებით (ოღონდ არ ვიცი, ეს მე ვარ თუ არაო, ამბობს); მეორეც შავ-თეთრ ფერებში შესრულებული პორტრეტი იყო, რომელშიც უკვე გახელილი, მაგრამ ნაღვლიანი და შეშინებული თვალებით მოცქირალი გოგონა ფანჯრის რაფას ათივე თითით ჩაბღაუჭებია (წერილის წაკითხვის შემდეგ მიხვდებით, რომ თითები ამ ნახატის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალია); მერე ამას მართალია უსახო, თუმცა წითელ კაბაში ჩაცმული დედის პორტრეტი მოჰყვა – სასთუმალთან „ღამისმთეველი დედის“ პორტრეტი; მერე ისევ „შიში“ და „შავი კლანჭები“ შემოეჭდო ქალის (თუ გოგოს) შიშველ სხეულზე, რასაც მოგვიანებით კვლავ „ნათელი“ შიშველი სხეულების სერია მოჰყვა – თავდაჯერებული, საკუთარ თავში დარწმუნებული გოგოს „კვლავ-დაბრუნება“ ადამიანებთან.

მინდა, რაც შეიძლება ბევრმა თანატოლმა გაიცნოს ის – ყოჩაღი, ლამაზი, მიზანდასახული მეთერთმეტე კლასელი მარიამ (ახლა უკვე ევა) პატაშური, სიფრიფანა გოგო, რომელმაც დაამარცხა ურთულესი დაავადება, დაძლია ბევრი კომპლექსი, თითქმის სრულიად მარტომ მოახერხა ბულინგისგან თავის დაღწევა, დღეს კი მზად არის, თავისი გულახდილი ნაამბობით (და არა მხოლოდ ნაამბობით) სხვებსაც (ალბათ უფროსებსაც) დაეხმაროს.

ტრავმა

ხუთი წლის ვიყავი, ველოსიპედის ბორბალში რომ ჩამიყვა თითი. მარცხენა ხელის არათითი (ხელს მაღლა სწევს და მიჩვენებს). უმძიმესი ტრავმა მივიღე. თითის დაკარგვა გარდაუვალი იყო. ცოტა ხანში კი ისე გამირთულდა ეს მოტეხილობა, ჭრილობა თუ დაჟეჟილობა, მოკლედ, ყველაფერი ერთად, თითს ვინღა ჩიოდა, კინაღამ ხელი მთლიანად დავკარგე. არ ვიცი, ვეღარც ვითვლი, იმდენი ოპერაცია გავიკეთე. ზაფხული იყო მაშინ, ივლისის დასაწყისი, ეს ამბავი რომ დამემართა და ოქტომბრის ბოლომდე ყოველდღე დავყავდი ჩემს მშობლებს საავადმყოფოში თითის დასამუშავებლად. ბევრჯერ ანესთეზიის გარეშეც მიფხეკდნენ ძვალს, მაგრამ არასოდეს მიტირია. თან მე თვითონაც ვუყურებდი ოპერაციებს, ვითხოვდი, შემახედეთ-მეთქი. ასე უფრო ადვილი იყო ტკივილის მოთმენა. ჩემი მშობლები თავს არ ზოგავდნენ ჩემს გადასარჩენად და მეც მინდოდა, რამით დავხმარებოდი. სხვა რა შემეძლო 5 წლის ბავშვს? – მხოლოდ მოთმინება. და მეც ვითმენდი. შეიძლება არც დაიჯეროთ, რომ ასეთი პატარა გოგო იმ დროს ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ მართლა ასე იყო (ამას რომ ამბობდა, ღაწვებზე სიწითლე აჰყვა).

მერე, როგორც იქნა, თითმა მორჩენა დაიწყო. უმეტესად უკვე სახლში ვიმუშავებდი და ვიხვევდი ჭრილობას. ექიმმაც დაგვრთო ნება და თან აღარც ფულის გადახდის საშუალება გვქონდა. დედა თავიდან მარტოს არ მანდობდა ხელს შესახვევად, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერს სწორად ვაკეთებდი, ის ექთნად იქცა, მე კი ექიმად – „ძირითად სამუშაოს“ მე ვასრულებდი (იცინის). როგორც თავიდანვე ივარაუდეს ექიმებმა, ზუსტად ისე მოხდა: თითის სრულად შენარჩუნება ვერ მოხერხდა, ორი ფალანგი დავკარგე. უფრო სწორად, ფალანგნახევარი (თითი აღარ უჩვენებია. თუმცა მაინც თვალსაჩინოდ ედო მუხლზე).

მარტოობა და ბულინგი

როდესაც ჩემი მშობლებისთვის, ანუ უფროსებისთვის, ყველაფერი ასე თუ ისე მშვიდობიანად „დასრულდა“, არანაკლებ „რთული“ ახალი ცხოვრება მაშინ დაიწყო ჩემთვის. მეზობლის ბავშვები თავს მარიდებდნენ, აღარ თამაშობდნენ ჩემთან, ხან ბევრ კითხვას მისვამდნენ თითის შესახებ, ხან დამცინოდნენ, ხან კი მეუბნებოდნენ, თითი არ გაქვს და როგორ უნდა ითამაშოო. ვიდექი და მხოლოდ მათ ვუყურებდი, ან ჩემთვის მარტო ვთამაშობდი. რამდენჯერმე თითიც ვიტკინე თამაშის დროს, მაგრამ ეს ტკივილი არაფერი იყო იმასთან შედარებით, რასაც ღობესთან თუ კართან ატუზული, სხვა ბავშვების ასეთი დამოკიდებულების გამო განვიცდიდი. მარტო ვიყავი. უმეგობროდ. სახლში არ ვლაპარაკობდი ამაზე. ახლაც მგონია, რომ სხვა ბავშვებთან ურთიერთობა შენ თვითონ უნდა მოაგვარო, უფროსები არ უნდა ჩარიო, თუ რაიმე განსაკუთრებული არ ხდება.

სკოლა, ცხრა თითი და ისევ ბულინგი

სკოლაში რომ მივედი, სამი თვე ხელი ისევ შეხვეული მქონდა. კლასელები მეზობლის ბავშვებზე კიდევ უფრო სასტიკები აღმოჩნდნენ. თითის გამო არავინ მეგობრობდა ჩემთან. თან „ცხრათითას“ მეძახდნენ. ერთმა კლასელმა ჩემი მარცხენა ხელი დახატა დაფაზე ოთხი თითით და მთელი კლასი ამაზე იცინოდა. იმიტომაცაა, პირველი კლასის ბოლოს გადაღებულ სურათში ყველა ბავშვი რომ იცინის, მე კი „ნატანჯი“ სახით ვდგავარ...

მიჭირდა, მაგრამ ვიბრძოდი, როგორც შემეძლო. რვა წლის ვიყავი, „როლიკებზე“ დადგომა რომ გავბედე. ჩვენი დიასახლისის შვილი მასწავლიდა. ერთხელაც დავეცი და თითი დავარტყი (ჯერ კიდევ მტკიოდა). გავმწარდი. თან ჩემი თანატოლი ბიჭები იდგნენ იქ და დამცინეს. ძალიან შემრცხვა, გავნერვიულდი. მაშინვე სახლში წავედი. დედა წამოწოლილი იყო. არაფერი მითქვამს. ჩახუტება მინდოდა და ესევე, ტანსაცმლიანად, მეც გვერდით მივუწექი. პირველი შეტევა იმ ღამით დამემართა. უცნაური რაღაც ხდებოდა ჩემს თავს. დედა სასოწარკვეთილი ხმით მეძახდა: „მარიამ, მარიამ, გაიღვიძე, რა გემართება, გამოფხიზლდი, გთხოვ!“. მე მესმოდა დედას ხმა, მინდოდა მეთქვა, მღვიძავს, დედა, მესმის შენი ხმა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ყველაფერი შავ-თეთრი იყო...

(ველოდი, რომ აი, ახლა ჩამოუგორდება ცრემლი, აი, ახლა-მეთქი, მაგრამ მხოლოდ ხმა აუკანკალდა ოდნავ, სულ ოდნავ).

ეპილეფსია

ამ კრუნჩხვებით ჩემთვის ახალი ჯოჯოხეთი დაიწყო. რვა წელი ვებრძოლეთ ეპილეფსიას მე და ჩემმა მშობლებმა. ყოველთვის ძილში მემართებოდა – „ძილის პარცეალური ეპილეფსია“ იყო. წუთი, წუთნახევარი გრძელდებოდა და მერე კარგად ვხდებოდი. პირველ ხანებში დედა თავზე მადგა და ჩემს სახელს ათასჯერ იმეორებდა, ნერვიულობდა. მერე და მერე დამშვიდდა, ცუდად როცა ვხდებოდი, თავთან მეჯდა და „მამაო ჩვენოს“ კითხულობდა, თან მეფერებოდა. დედას არასდროს დაუკარგავს იმედი, რომ კარგად ვიქნებოდი და მეც გადმომედო ეს განწყობა. იმედი გადამდებია, მით უმეტეს – დედის (ამაყად ააღერა მაღალი ყელი). ისე, საშინელი დაავადებაა, ყოველ დღე წამალს სვამ და მერე სულ გეძინება. თავს ვაიძულებდი, რომ გაკვეთილებზე არ ჩამძინებოდა. ჯერ თითის გამო როგორ დამცინოდნენ ბავშვები და ახლა ამას ეპილეფსიაც რომ დამატებოდა, ძალიან გამიჭირდებოდა მათი მოგერიება. თან რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მწვავდებოდა ჩვენი ურთიერთობა. ცუდად ვგრძნობდი თავს. ამხელა სკოლაში ერთი ბავშვიც არ აღმოჩნდა, ვისაც ჩემთან მეგობრობა მოუნდებოდა, ვინც გამომესარჩლებოდა. მასწავლებლებს ნეიტრალური პოზიცია ეკავათ. მერე დედა მოვიდა და მშვიდად ელაპარაკა დირექტორს და ჩემს მასწავლებლებს – დედა ფსიქოლოგია და ასეთი ლაპარაკი იცის, არასოდეს ჩხუბობს, მაგრამ ადამიანებს თამამად ეუბნება სიმართლეს – და მეორე დღეს სხვა სკოლაში გადამიყვანა.

კარგად მახსოვს, სკოლიდან რომ გამოვდიოდით, მითხრა, ჩვენ ჯერჯერობით მოთმინება და სიყვარული გვჭირდება და არა ბრძოლაო. დედა სხვადასხვა ფორმით ცდილობდა ჩემს დახმარებას. ერთხელ წამიყვანა და ისეთი ადამიანები გამაცნო, რომლებსაც სხვისი დახმარება სჭირდებოდათ – შშმ პირები, მარტოხელა დედები, მოხუცები... ამით მაჩვენა, რომ ჩემზე უფრო მეტადაც უჭირთ ადამიანებს. მე დღესაც ვმეგობრობ ზოგიერთ მათგანთან და ვეხმარები, როგორც შემიძლია.

გამარჯვება და ლამაზი მეგობარი

ცხადია, ღმერთს თუ არ უნდოდა, ეს არ მოხდებოდა, მაგრამ ჩვენ – მე, დედამ, მამამ და ჩემმა ძმამ – ყველამ ერთად ბევრი ვიბრძოლეთ და დიდმა ძალისხმევამ, მოთმინებამ, წლობით ნათევმა ღამეებმა, შედეგი გამოიღო. უკვე ორი წელია, საბოლოოდ დავამარცხე ეპილეფსია. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ. ყველაფერი ცუდი ჩემს ცხოვრებაში უკან დარჩა.

ახლა მეგობარიც მყავს. არა, შეყვარებული არ გეგონოს (ისევ იცინის), დაქალია. ულამაზესი ლანა. ყველაზე ნიჭიერი და კეთილი გოგო. აღარც სხვა ბავშვები მერიდებიან და მეც უფრო თამამად ვურთიერთობ მათთან.

წლების მატებასთან ერთად აგრესიის მოგერიებაც ვისწავლე. ახლა უკვე აღარავის გავაბედვინებ, ცუდად მომექცეს. ის კი არა, როცა ვინმე დაუცველია ჩემ ირგვლივ, ვფიქრობ, რომ მე მის მაგივრადაც უნდა ვიყო ძლიერი და სამართლიანი–მეთქი (აქ მუშტს კრავს). აღარც თითის გამო ვნერვიულობ. ადრე სულ ვმალავდი, სათითეს ვატარებდი, ახლა აღარ. საბოლოოდ გადავლახე „ცხრათითას“ კომპლექსი.

ზოგი რამ ალბათ ჩემი ბრალიც იყო. როცა იცი, რომ ნაკლი გაქვს, საკუთარ თავში იკეტები, გარეთ გასვლა არ გინდა, გგონია, რომ ყველა შენ გაკვირდება. ვცდილობდი, მეპოვა ჩემს თავში ძალა, დედაც მეხმარებოდა, მაგრამ ავადმყოფობა ხელს მიშლიდა. ისე, სიმართლე რომ ვთქვა, სპეციალურად არასოდეს დავმდგარვარ სარკის წინ და არ მითქვამს ჩემი თავისთვის: „აბა მარი, შენ იცი, არავის დაეჩაგვრინო!“. უფრო თავისით მოხდა „გარდატეხა“. ალბათ, გავიზარდე და ამის გამოც.

რეცეპტი

ბულინგისგან თავის დასაღწევი, კომპლექსების გადასალახავი ჩემეული „რეცეპტი“ ისაა, რომ აგრესიით ვერაფერს გახდები. შეიძლება რაიმე თანდაყოლილი ან შეძენილი გარეგნული ნაკლი გქონდეს, მაგრამ ასჯერ მეტი ღირსება და სიკეთე იმალებოდეს შენს შიგნით. ამის მოძებნა და პოვნაა აუცილებელი. ბევრი რამის „წამალი“, ჩემი აზრით, კარგი მეგობრები და ურთიერთობებიცაა, და კიდევ... საყვარელი საქმე ან ჰობი. ჩემი ჰობი ჯერჯერობით ხატვაა. პროფესია კი... უკვე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ ექიმი გამოვიდე. ექთნის როლს ათი წლიდან ვირგებ – დიდი ხანია, ვიცი წნევის გაზომვა, ნემსის გაკეთება, ჭრილობების დამუშავება და კიდევ ბევრი რამ; საჭმელების გამომგონებელიც ვარ – ახალ კერძებს ვქმნი, რაც უნდა უცნაური ინგრედიენტები ავურიო ერთმანეთში, მაინც გემრიელი კერძები გამომდის. ახლახან კერვაც ვისწავლე და ძალიან მომწონს ჩემი შეკერილი ტანსაცმლით სიარული. მოდელობაც ვცადე, მაგრამ ძვირადღირებული სიამოვნებაა.

ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი თინეიჯერი გოგო ვარ უკვე. არც მინდა არაჩვეულებრიობა. უბრალოდ, ჯანმრთელი და ბედნიერი მინდა ვიყო და იგივე ვუსურვო ყველას.

ნათია ნაცვლიშვილი

1 ყველაზე მარტივი კანონის თანახმად... 363

2 კანონების კანონი 365

ყველაზე მარტივი კანონის თანახმად...

ეს პატარა წერილი ეძღვნება გიორგის და მათ, ვისაც უნებურად რაღაც არასწორად, ან ისე ვასწავლე, როგორც არ უნდა მესწავლებინა. თავიდან ვერ ვიცანი – გაზრდილი, გამხდარი, გამაღლებული, ორ გოგოსთან ერთად შემოვიდა. მოსაშვილზე, ერთ-ერთ კაფეში მეგობართან ერთად ვიჯექი. მისი თანმხლები გოგოები რაღაცაზე იცინოდნენ. ესეც იცინოდა, მაგრამ სახეზე მაინც რაღაც უცნაური დაძაბულობა ჰქონდა აკრული, ნიღაბივით. ახლა მგონია, რომ სწორედ ამ დაძაბულობით მიიქცია ყურადღება, ეს „ნიღაბი" მეცნო, ამიტომ დავაკვირდი და მერე უცებ – ვიცანი! გარშემო ბევრი ხალხი იყო, მაგიდები – გადაჭედილი და ვერ დავინახე, სად დასხდნენ. ისე გამოვედით, თვალი აღარ მომიკრავს. არც თვითონ დავუნახივარ.

არაჩვეულებრივი კლასი იყო, ფრთხიალა ჩიტების გუნდს ჰგავდა – რაღაცნაირი ფუსფუსა, აქტიური, მოძრავი, მოხტუნავე, ყველა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა და ყველას უცნაური იდეებით ჰქონდა თავი გამოტენილი. ერთმანეთზე ლამაზები და ცელქები იყვნენ. ყველა ერთდროულად ჟღურტულებდა და, მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებდნენ, ერთმანეთისთვის მოესმინათ. მეხუთე კლასში უკვე ჰქონდათ გარემოს მართვის და მასზე ლიდერობის უნარები. და ყველაზე მეტად სწორედ ამით ჰგავდნენ ერთმანეთს. მარტო გიორგი იყო სხვანაირი. სანამ შენ არ ჰკითხავდი რამეს, თვითონ ხმას არ ამოიღებდა. სახეზე სულ ის უცნაური, დაძაბულობის ნიღაბი ჰქონდა აკრული, დასვენებებზეც თავის მერხს არ სცილდებოდა და ოდნავ შესამჩნევი, ძალიან თბილი ღიმილით, მერხიდან აკვირდებოდა, როგორ დახტოდნენ დანარჩენები.

ერთი უჯრა მაქვს გამოტენილი მათი ნაჩუქარი კალმებით, თავმოღრღნილი ფანქრებით, ბარბებიანი და მიკი მაუსებიანი სათლელებით, გაცვეთილი საშლელებით და წერილებით, წერილებით, წერილებით. გაკვეთილზე წამოხტებოდნენ, მოირბენდნენ, დამიდებდნენ მაგიდაზე და ერთ წამში ისევ თავიანთ სკამზე გაჩნდებოდნენ. თავიდან, მიუჩვეველი, მონდომებით ვაპროტესტებდი ამ უცნაურ საჩუქრებს, მაგრამ მერე მივხვდი, როგორ სერიოზულად

სწყინდათ ეს უარი და ყოველ საშლელს, კალამს, რვეულის ყდიდან ამოჭრილ გულს და ბარბებს ისეთი სიხარულით, აღფრთოვანებით და მადლობებით ვიღებდი, როგორც მსოფლიოში ყველაზე ძვირფას და ძვირადღირებულ ნივთს. ისინიც, ამაყები და გაბრწყინებულები, ხვდებოდნენ, რომ მესმოდა თითოეული ამ ნივთის მნიშვნელობა.

...ერთხელაც, ერთ-ერთ გაკვეთილზე, რომელიღაც სახალისო თამაშის ბოლოს გიორგი შევაქეთ ტაშით და სულ ოდნავ გავბზარეთ მისი ნიღაბი. სანამ ზარი დაირეკებოდა, გიორგი წამოდგა, ძალიან ნელა, დინჯად მოუახლოვდა ჩემს მაგიდას, გამიღიმა და ყვითელი, ნახევრად გახარჯული, აქა-იქ ნაკბილარებდამჩნეული ფანქარი წინ დამიდო. მერე ისევ დინჯად დაუბრუნდა თავის მერხს. მე მისი პირველი საჩუქარი მივიღე! მან პირველად გადმოდგა ნაბიჯი თავისი ჯადოსნური წრიდან. ძალიან დავიბენი, ძალიან მინდოდა, მივსულიყავი და გულში ჩამეხუტებინა. ძლივს შევიკავე თავი.

მერე ზარი დაირეკა, ჩიტები ფრთხიალით და ჟრიამულით წამოცვივდნენ თავიანთი მერხებიდან. მე ჩემი ნივთები წამოვკრიფე მაგიდიდან, დავემშვიდობე და კლასიდან გავედი. იმ დასვენებაზეც და შემდეგ დასვენებებზეც ფოიეში ვტრიალებდი, ალბათ მორიგე ვიყავი. ბავშვებს შორის რამდენჯერმე მოვკარი თვალი გიორგის, დაძაბული სახით თვალს არ მაცილებდა. რამდენჯერმე შორიდან გავუღიმე, ერთხელ ახლოს ჩავუარე და თავზე ხელი გადავუსვი.

სამასწავლებლოში ვიჯექი, რვეულებს ვასწორებდი, ბოლო გაკვეთილის დასრულების ნიშნად ზარი რომ დაირეკა. რიგრიგობით ბრუნდებოდნენ ჩემი კოლეგები გაკვეთილებიდან. ერთ-ერთის შემოსვლისას ინსტინქტურად კარს გავხედე და ღია კართან დერეფანში მდგარ ჩანთააკიდებულ გიორგის მოვკარი თვალი. ხელებში რაღაცას აწვალებდა და საშინლად დაძაბული სახით მიყურებდა. მაშინვე გავედი. მისკენ დავიხარე, გავუღიმე და სანამ რამეს ვკითხავდი, ყვითელი, ნახევრად გახარჯული, აქა-იქ ნაკბილარებდამჩნეული ფანქარი, დილით მაგიდაზე რომ დამიდო, სწორედ ის ფანქარი გამომიწოდა – კლასიდან რომ გადიოდით, დაგივარდათო. კი არ გამოვართვი, თავისი გაყინული ხელებით უფრო ხელებში ჩამიგდო, გამიღიმა, შებრუნდა და გაიქცა.

მართლა ვიგრძენი, როგორ შემერყა ფეხქვეშ მიწა. თითქოს მართლა ცივი წყალი გადამასხეს. გაშტერებული ვიდექი და ძალიან, ძალიან, ძალიან მინდოდა ტირილი.

კანონების კანონი

ამ პატარა მოთხრობის წაკითხვა, რომელზეც ახლა უნდა გიამბოთ, ჩემი ცხოვრების მანძილზე სამჯერ მომიწია. სამივეჯერ თავიდან დამაფიქრა. ცხადია, ნებისმიერი შთაბეჭდილება ინდივიდუალურია, მაგრამ ვიფიქრე, რომ მაინც ღირს ამ ამბის გაზიარება მისთვის, ვისაც ჯერ არ წაუკითხავს ეს სულ რამდენიმეგვერდიანი ტექსტი და ვინც ჩემსავით არ დაფიქრებულა კანონების კანონზე.

როდესაც კამიუს „სტუმარს“ მეორედ „შევხვდი“, სკოლაში ვმუშაობდი. ამ, მეორე „შეხვედრაზე“ მოთხრობა გულდასმით არ წამიკითხავს, ისე, ზერელედ გადავავლე თვალი, როგორც უკვე ნაცნობ ტექსტს, მაგრამ მეორე დღეს გაკვეთილზე რომ შევედი, მივხვდი, რომ კედლებში, სადაც გუშინაც ასე ვიდექი, დღეს ამ პატარა მოთხრობის დამსახურებით, თითქოს განვსხვავდებოდი იმისგან, რაც წინა დღეს ვიყავი. და მქონდა რაღაცნაირი, „დამარცხებულის“ განცდა, რადგან ვიცოდი, რა მინდოდა მესწავლებინა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ.

ეს არის მოთხრობა ნდობაზე. ნდობასა და პასუხისმგებლობაზე.

სკოლის შენობაში მცხოვრებ მასწავლებელს მისი დიდი ხნის ნაცნობი მოხუცი ჟანდარმი მოულოდნელად ესტუმრება. გარეთ თოვლია, ცივა. ჟანდარმს ხელებშეკრული არაბი ტყვე ახლავს, რომელსაც თავისი ბიძაშვილისთვის დანით ყელი გამოუჭრია, მერე კი გაქცეულა. ერთი თვის ძებნის შემდეგ დაუჭერიათ. ჟანდარმი დავალებითაა მოსული. ტყვე მასწავლებელს უნდა ჩააბაროს და ქალაქამდე, რომელიც სკოლიდან 20 კილომეტრითაა დაშორებული და სადაც არაბი უნდა გაასამართლონ, იგი მასწავლებელმა უნდა ჩაიყვანოს. მასწავლებელი დავალებას აპროტესტებს, მაგრამ ამაოდ. ჟანდარმი მიდის, ტყვეს მას აბარებს და თან, ყოველი შემთხვევისთვის, იარაღსაც უტოვებს. მასწავლებელი ტყვეს ჩვეულებრივი სტუმარივით იღებს, იარაღს შეინახავს, ასადილებს, ლოგინს გაუშლის. ტყვე დაბნეულია, ვერ მიმხვდარა, ვინაა ეს კაცი, რატომ მოხსნა თოკი და რატომ ჭამს მასთან ერთად. ჰგონია, რომ ხვალ ისევ

უნდა მოაკითხოს ჟანდარმმა და სასამართლოს წარუდგინოს. „შენც წამოდი ჩვენთან ერთად“, – ეუბნება არაბი უცნობ მასპინძელს. დაღამდება, დაწვებიან დასაძინებლად. ღამით არაბი ტყვე სიბნელეში ფრთხილად წამოდგება და გარეთ გავა. მასწავლებელს არ სძინავს, გაახსენდება საწერი მაგიდის უჯრაში ჩაკეტილი იარაღი, წამით გაურბენს ფიქრი, იქნებ გაიპაროს ტყვე და გავთავისუფლდე მისგანო. მერე გარედან წყლის ჩხრიალს გაიგონებს, მიხვდება, რატომაც ადგა არაბი, რომელიც რამდენიმე წუთში ისევ ფეხაკრეფით დაბრუნდება ოთახში და საბანში გაეხვევა.

მეორე დღეს მასწავლებელი ტყვეს ასაუზმებს და გზას გაუდგებიან. ასე, ერთ საათს ივლიან და ბოლოს გორაკზე შეჩერდებიან. მასწავლებელი არაბს ერთ ფუთაში გამოკრულ პურს, შაქარს და ათას ფრანკს აძლევს. არაბი დაბნეული და შეშინებულია. მასწავლებელი ორ გზას უჩვენებს – აღმოსავლეთის გზა ქალაქში, სასამართლომდე მიიყვანს, ხოლო სამხრეთის – მომთაბარე ხალხთან, სადაც შეიფარებენ. აქ, გზაგასაყართან ტოვებს მასწავლებელი დაბნეულ ტყვეს, რომელმაც არ იცის, რა ქნას და თვითონ უკან, სკოლისკენ ბრუნდება. კაი ხნის მერე მოტრიალდება უკან და გულნატკენი დაინახავს, მსუბუქ ნისლში როგორ მიიკვლევს არაბი გზას აღმოსავლეთისკენ...

თქვენი არ ვიცი და, მასწავლებელთან ერთად, შეიძლება მეც შვებით ამომესუნთქა, სამხრეთის გზას რომ დასდგომოდა კაცი, რომელმაც საკუთარ ბიძაშვილს ყელი გამოსჭრა და რომელიც ერთი თვის ძებნის შემდეგ ძლივს დაიჭირეს, ახლა კი თავისი ფეხით მიდიოდა საპატიმროსკენ.

ალბათ არ არსებობს რაიმე ფორმულა ან ალგორითმი, რომელიც შეაძლებინებს ადამიანებს, მართლები და პირნათელები იყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ კანონი, რომელიც ყველა სხვა კანონის კანონია, ამ საქმეში ყველაზე მეტად გვეხმარება: ნდობა.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ დღევანდელ ეპოქაში, როცა დრო დაჩქარდა და მანძილი დაპატარავდა, როცა კომუნიკაციები გაადვილდა, ადამიანები, დაახლოების ნაცვლად, კიდევ უფრო გაუუცხოვდნენ ერთმანეთს. შეიძლება ამ, კანონების კანონს ვარღვევთ და იმიტომ. შეიძლება სამყარო ოდნავ მაინც უკეთესი ყოფილიყო და შეიძლება ოდნავ უფრო მეტი ღიმილითა და სიხარულით გვეცხოვრა, უპირველეს ყოვლისა, ამ კანონის მორჩილებას რომ ვსწავლობდეთ.

საბოლოოდ ხომ მართლა ვერაფერი ზრდის ადამიანს ისე, როგორც ნდობა.

WWW.TPDC.GE

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი